ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელი ბარამიძე

ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები



წიგნში წარმოდგენილი საკითხების ერთი ნაწილი ადრეც იყო გამოქვეყნებული, ნაწილი პირველად აქ იბეჭდება. მასში ძირითადად განხილულია ქართული ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა ისტორია, ცვალებადობა, ნაჩვენებია მათი განვითარების ტენდენციები. აქვე შესულია სხვა საკითხებიც.

წიგნი განკუთვნილია ქართული ენის ისტორიის შემსწავლელ პირთათვის; ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ საგანში როგორც დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტთათვის სწავლების ორივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

რედაქტორი **პროფ. დ. მელიქიშვილი**

რეცენზენტები: **პროფ. ა. ონიანი**
პროფ. თ. უთურგაიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-008-3

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართულში ზმნა უჩვეულოდ მდიდარია ფორმებით. სახელს მხოლოდ ორი გრამატიკული კატეგორია (ბრუნვა და რიცხვი) აქვს, ზმნაში კი გამოყოფენ ერთ ათეულზე მეტ სხვადასხვა კატეგორიას (პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი), რომელთაც განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ და წარმოების საკუთარი მოდელი მოეპოვებათ ენაში. შეიძლება ითქვას, რომ ზმნა ქართულში არის წინადადების მაორგანიზებელი ძირითადი ერთეული, რომელთანაც თავმოყრილია (დაკავშირებულია) წინადადების სტრუქტურაში შემავალ ელემენტთა უმეტესი ნაწილი.

ქართული ენის ზმნის თავისებურებათა შესწავლას იმთავითვე დიდი ყურადღება დაეთმო და მრავალი ნაშრომი მიეძღვნა მონოგრაფიებისა თუ ცალკეული სტატიების სახით.

ზმნა, ისე როგორც დანარჩენი მეტყველების ნაწილები, ისტორიულად ცვალებადობას ექვემდებარება. თუმცა ძველ ქართულში (V-X სს. ძეგლების ენაში) ძირითადი ზმნური კატეგორიების ჩამოყალიბება დასრულებული ჩანს, მაგრამ მოვლენათა განვითარება, ცხადია, ამაზე არ შეჩერებულა. მიმდინარეობს ფორმათა შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ხდება ძველი გრამატიკული ელემენტების ცვლილება ფუნქციურად და სტრუქტურულად. ზოგი რამ ხმარებიდან გადის და მათ ადგილს ახალი გრამატიკული სტრუქტურები იჭერს. ზოგიერთი გრამატიკული ფუნქციის გამოხატვა რადიკალურადაც კი იცვლება. ასეთია, მაგალითად, ასპექტი, რომელიც ძველ ქართულშიც ჰქონდა ქართულ ზმნას, მაგრამ სულ სხვა საშუალებებით იწარმოებოდა, ვიდრე ახალ ქართულში. ძირეულად შეიცვალა აგრეთვე გზისობის კატეგორიის გამოხატვა ენაში. როგორც ცნობილია, ერთგზისი და მრავალგზისი ფორმების გარჩევას ძველ ქართულში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეჭირა. მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად ყოველ სერიაში არსებობდა ერთი ან (უფრო ხშირად) რამდენიმე მწკრივი. დღევანდელ სალიტერატურო ენაში ამ მწკრივთაგან არც ერთი აღარ შემოგვრჩა და ამავე ფუნქციით ენაში უკვე სხვა (ძირითადად ლექსიკური) საშუალებები არის გამოყენებული.

ნაშრომში შესწავლილია როგორც პირიანი, ისე უპირო ზმნის (კერძოდ, საწყისის) გრამატიკულ კატეგორიათა ისტორია. პირიანი ზმნის გრამატიკულ კატეგორიათაგან განხილულია ერთი ნაწილი: ზმნის პ ი რ ი, რ ი ც ხ ვ ი და გ ვ ა რ ი.

როგორც ცნობილია, ზმნა ქართულში შეიძლება იყოს პირიანი ან უპირო. უპირო ზმნებია საწყისი (იგივე მასდარი) და მიმღეობა. უპირო ზმნები მჭიდრო კავშირშია წარმომშობ პირიან ზმნასთან, მასთან ერთად ვითარდება და იცვლება. მათი ფუძის სტრუქტურა ზმნასთან არის დაკავშირებული და ხშირად საშუალებას იძლევა გაირკვეს პირიანი ზმნის ფუძის აგებულებაში მომხდარი ცვლილებები. უპირო ზმნები, ანუ სახელზმნები, უაღრესად საყურადღებოა იმითაც, რომ მათ შეუძლიათ სხვადასხვა ზმნური კატეგორიის გამოხატვა.

ნაშრომში განხილულია საწყისის ზმნური კატეგორიები ძველ ქართულში: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი და გვარი. ადრე ეს საკითხები საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა და ახლაც იცვლება ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის ძველი ქართულისეული სისტემა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ მხრივ სუბიექტური მესამე პირი, რომელსაც მრავალი თავისებურება ახასიათებს როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში. ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირისა და რიცხვის მარკერებია მხოლობითში: **ს, ნ, დ, ა, ო,** მრავლობითში: **ეს, ენ, ან, ნ, ედ**.

ირკვევა, რომ S_3 პირის მრავალრიცხოვან აფიქსებს, პირისა და რიცხვის აღნიშვნის გარდა, დაკისრებული ჰქონდათ სხვა გრამატიკული კატეგორიების წარმოებაც, როგორიცაა: დრო, კილო, ჯერობა. სხვადასხვა დროსა და კილოში განსხვავებული მარკერები იყო გამოყენებული, რითაც ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო: ა) ახლანდელი და წარსული დრო; ბ) თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილო; გ) ერთგზისი და მრავალგზისი ფორმები. ამასთან დაკავშირებით, სუბიექტური მესამე პირის ნიშნები განაწილებული იყო მწკრივთა მიხედვითაც. დროის, კილოსა და ჯერობის (გზისობის) მიხედვით განსხვავებულ მწკრივთა ჯგუფებში S_3 პირის ერთი და იგივე მარკერები გვხვდებოდა.

ახალ ქართულში S_3 პირის ნიშნების აღნიშნული ფუნქციები დაჩრდილულია და წინა პლანზე წამოწეულია პირისა და რიცხვის კატეგორიების გამოხატვა.

პირისა და რიცხვის კატეგორიებთან დაკავშირებით საინტერესო ვითარებაა დაცული ქართული ენის დიალექტებში, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი ჩანს ენის ისტორიის საკითხების კვლევის დროს. ასეთია, მაგალითად, S_3 პირის აღსანიშნავად **-ა** სუფიქსის გამოყენება იმ შემთხვევებშიც, სადაც სალიტერატურო ენაში უკვე ძველი ქართულიდანვე **-ო** იხმარება. ნაშრომში მოცემულია ამ მოვლენის ახსნის ცდა.

პირისა და რიცხვის გამოხატვას უკავშირდება აგრეთვე ძველი ქართულის ბოლო პერიოდიდან დაწყებული მეშველი (ვარ, ხარ, ვართ, ხართ) ზმნის დართვა I და II სუბიექტურ პირებში. ეს მოვლენა, ავტორის ვარაუდით, განპირობებულია ზოგიერთი ტიპის პირიან ზმნებში ფორმათა დამთხვევით და გვხვდება ორ მწკრივში: აწმყოსა და I თურმეობითში.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ექცევა იმას, რომ მეშველი ზმნის გამოყენების არეალი თანდათან ფართოვდება ცოცხალ მეტყველებაში, განსაკუთრებით ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, სადაც მეშველი ზმნა დაერთო სუბიექტურ მესამე პირსაც მრავლობით რიცხვში, ოღონდ უაღრესად თავისებური ფორმით: ჟილარიენ, დგილარიენ... ამ ტიპის ფორმათაგან მეშველი ზმნა გადასულია მხოლობითი რიცხვის III პირშიც: მოდის კაცი, ჟილარია ცხენზე. ნაშრომში გარკვეულია ამგვარ ფორმათა წარმოშობის გზები. უნიფიკაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ზმნათა რიცხვიც, რომელთაც მეშველი გაუჩნდა. მეშველი ზმნა იქაც იჩენს თავს, სადაც სრულიად არ არის მოსალოდნელი.

თავისებურებები და გარკვეული ცვლილებები ახასიათებს ვნებითი გვარის ფორმათა წარმოებას და ფუნქციონირებასაც. ვნებითი გვარის ფორმათა ჩამოყალიბება გრძელდება ძველსა და ახალ ქართულშიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისეთი ზმნები, რომელთაც **ე-** პრეფიქსი დაერთვის, მაგრამ ვნებითის ფორმებად მათი მიჩნევა არ შეიძლება. ასეთია: ეკიცხევს, ეტყებს, ეგლოვს, ეშურობს, ემღერს, ენუკვეს, ერჩის და მისთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალ ქართულში ეს ფორმები აღარ იხმარება (გამონაკლისია ეძებს...). გვარის მიხედვით დღეს არსებულ ოპოზიციურ ფორმებს შორის ვნებითი ყველაზე გვიან ჩამოყალიბებული ჩანს. იგულისხმება ვნებითის მიმართება გვარის სხვა სახეობებთან. ის სტრუქტურები, რომლებიც შემდგომ გაერთიანდა მოქმედებითსა და საშუალში, უფრო ადრე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ვიდრე ვნებითი. ქართულში ვნებითი მოქმედებითის კონვერსიული ფორმაა, აქტივი ამოსავალია პასივისათვის და ბუნებრივია, თუ პასივი უფრო გვიანდელია. გვარის სხვა ფორმათა (კერძოდ, მოქმედებითისა და საშუალის) წარმოება და აგებულება — სტრუქტურა სრულიად განსხვავებულია ვნებითისაგან. დინამიკური ვნებითის სტრუქტურული მრავალფეროვნება უაღრესად საინტერესოა და ახსნას მოითხოვს. მოქმედებითსა და საშუალს ქართულში გვარისთვის საგანგებო მარკერი არ აქვს გამოყენებული. ვნებითში კი ერთმანეთის გვერდით გვხვდება ამ გვარის რამდენიმე აფიქსი: **ი-**, **ე-**, **-დ** (← **-ედ**), **-ნ** (← **ენ**). აღნიშნულ სუფიქსთა სრული სახეობებიც (**-ედ**, **-ენ**) დაცულია ძველ ქართულში. საფიქრებელია, რომ მათ განსხვავებული ფუნქციები ჰქონდათ (ა. შანიძე, ბ. ჯორბენაძე). ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ საკითხზეც. ამასთან ერთად საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა ტიპის ვნებითთა ისტორიული ურთიერთობის საკითხი და, ამასთან დაკავშირებით, ის, თუ როგორია მათი გამოყენების არეალი, რეალიზაცია.

ცალკე არის გამოყოფილი სტატიკური ვნებითი, განხილულია მისი ფორმობრივი, სტრუქტურული თავისებურებები და ცვალებადობა ძველსა და ახალ ქართულში. ნაშრომში გამოვლენილია და აღრიცხული სტატიკური ვნებითის ფორმები ძველ ქართულში (ნაწილობრივ გათვალისწინებულია საშუალი ქართულის ვითარებაც).

ზმნურ კატეგორიებზე მსჯელობის დროს ძირითადი (ამოსავალი) ჩვენთვის არის ძველი ქართულის მრავალრიცხოვან ძეგლებში დაცული ვითარება, დოკუმენტური მასალა, მაგრამ, ამასთან ერთად, სათანადო ყურადღება ექცევა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების — დიალექტების — მონაცემებსაც.

ჩვენ ბედნიერება გვაქვს, ქართული ენის გრამატიკული, კერძოდ ზმნური კატეგორიების ცვალებადობას, ახალ ფორმათა ჩამოყალიბებას თვალი გავადევნოთ მრავალი საუკუნის მანძილზე. უძველესი პერიოდიდან (V ს.) დღემდე მოღწეული წერილობითი ძეგლები საშუალებას გვაძლევს, თეორიული მსჯელობა შევამაგროთ, დავადასტუროთ ან უარვყოთ დოკუმენტურად არსებული მასალით. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლები სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი: ნაწილი ჯერ კიდევ გამოუცემელია, რაც დაბეჭდილია, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანთათვისაც კი ჯერ კიდევ არ არის

შედგენილი სიმფონია-ლექსიკონები. ხოლო რაც უკვე შესწავლილია ამ მხრივ და გამოსაცემად მომზადებული, მატერიალური სიდუხჭირის გამო მათი გამოქვეყნებაც არ ხერხდება. ასე, მაგალითად, თსუ ძველი ქართული ენის კათედრაზე (ლ. ბარამიძის, რ. ენუქაშვილისა და თ. მეტრეველის მიერ) შედგენილი სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, რომლითაც დასრულდა ახალი აღთქმის წიგნთა სიმფონიის დამუშავება, მრავალი წელია, დაბეჭდვას ელოდება. გამოცემას ელოდება აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლებისა[1] და იქვე მომზადებული ფსალმუნთა უძველესი რედაქციების სიმფონია-ლექსიკონები (ეს უკანასკნელი შეადგინა მ. შანიძემ).

ასეთ ვითარებაში ცალკეული გრამატიკული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით ყოველთვის მრავალრიცხოვანი სქელტანიანი ხელნაწერებისა თუ დაბეჭდილი ტექსტების ხელახლა გადაკითხვა სანდო მასალის მოსაპოვებლად უმძიმესი და უაღრესად შრომატევადი საქმეა. წარმოდგენილ ნაშრომში ავტორის მიერ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მრავალი წყაროა შესწავლილი, მაგრამ, მაინც არ ვართ დაზღვეული იმ მხრივ, რომ ფაქტობრივი მასალიდან რაიმე გამორჩენილი არ იყოს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ძირითადი და დამახასიათებელია, ყურადღების მიღმა არ არის დატოვებული.

ნაშრომის ყველა ნაწილი სრული სახით არის გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს. ერთი მათგანი, რომელიც ეხება სუბიექტური მესამე პირის ნიშნების განაწილებას ძველ ქართულში, ცალკე წიგნად არის გამოცემული.

უღრმესი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ კომპიუტერული ტექსტი თავიდან ბოლომდე უსასყიდლოდ ააწყო და ტექნიკურად გამართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა მ ა ი ა ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ მ ა .

[1] სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონის I ტომი უკვე დაიბეჭდა.

პირველი ნაწილი

პირი და რიცხვი

I. ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში

მეშველზმნიანი ფორმები ნაირ-ნაირი შინაარსისა და აგებულებისაა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში:

1. მიმღეობა პლუს მეშველი (არს) ზმნა უღლებაში მონაწილეობს და ერთპირიან ზმნათა III სერიის ფორმათა საწარმოებლადაა გამოყენებული;

2. მიმღეობიანი კონსტრუქცია შედგენილი შემასმენლის ფუნქციითაც იხმარება (შედგენილ შემასმენელში მიმღეობის ადგილას სხვა მეტყველების ნაწილებიც გვაქვს);

3. სახელზმნის ვითარებითი ბრუნვის ფორმა მეშველ ზმნასთან ერთად მომავლის გამოხატვის ერთი საშუალებათაგანი იყო ძველ ქართულში (ქავთარაძე, 1960);

4. საკმაოდ იყო გავრცელებული ძველსავე ქართულში ე. წ. რთული ზმნები, რომლებიც ძირითადად მწკრივ-ნაკლ ზმნათა დანაკლისი ფორმების შესავსებად გამოიყენებოდა (ქავთარაძე, 1954, 19-20).

მეშველზმნიანი კონსტრუქციები მხოლოდ ქართულის თავისებურებას არ წარმოადგენს; იგი სხვა ენებშიც არის გავრცელებული და ხშირად გაცილებით მეტი ადგილი უჭირავს ზოგ ენაში, ვიდრე ქართულში. მაგ., ინგლისურის მთელი უღლება თითქმის ამგვარ წარმოებას ემყარება, სადაც: „Единственными простыми глагольными формами являются Present и Past Indefinite в утвердительной форме. Эти же формы являются наиболее старыми глагольными формами. Все остальные временные, видовые и видо-временные формы, а также отрицательная и вопросительная форма Present и Past Indefinite образуются с помощью вспомогательных глаголов, т.е. являются сложными. или аналитическими“ (ვინოკუროვა, 1954, 87).

ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში, აღწერითი ფორმა მწკრივთა საწარმოებლადაა გამოყენებული თუ სხვა ფუნქციით, მეშველი ზმნა დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს (მიმღეობას, ინფინიტივს, სახელებს), მაგრამ არა პირიან ზმნას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალი ქართულის ის ფორმები, სადაც სავსებით ჩამოყალიბებულ ზმნურ ფორმას, გარკვეულ შემთხვევებში, მეშველი (არს) ზმნის პირიელი ფორმები დაერთვის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქართველურ ენებშიც, კოლხურსა (ჭანურ-მეგრულსა) და სვანურში. სხვა ენებისათვის კი ასეთი რამ თითქოს არ უნდა იყოს

დამახასიათებელი[1]. იგი არსებითად განსხვავდება მეშველი ზმნის გამოყენების სხვა, ფართოდ გავრცელებული, შემთხვევებისაგან და ამდენად გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ცნობილია, რომ ახალ ქართულში გარდაუვალ ზმნათა ერთი ნაწილი აწმყოს ორივე რიცხვის პირველსა და მეორე პირში მეშველი ზმნის დართვას საჭიროებს: ვდგა-ვარ, ვზი-ვარ, ვწუხ-ვარ... (ს)დგა-ხარ, (ს)წუხ-ხარ და სხვა. ვსწერი-ვარ, ვჰგონი-ვარ, ვურევი-ვარ... სწერი-ხარ, ჰგონი-ხარ, ურევი-ხარ... ასეთივე მდგომარეობაა I თურმეობითში, სადაც 1-ლ და მე-2 პირში მეშველი ზმნა დაერთვის ყოველგვარ ორპირიან ზმნას, გარდამავალს თუ გარდაუვალს; (ვ)უნახავ-ვარ [←(ვ)უნახავ-ვარ], შე(ვ)უშინები-ვარ, გა(ვ)უზრდი-ვარ... უნახავ-ხარ, შეუშინები-ხარ, გაუზრდი-ხარ... შევსძულები-ვარ, შევჰბრალები-ვარ... შესძულები-ხარ, შეჰბრალები-ხარ და სხვა[2].

ეს ნაშრომი[3] ცდაა ამ ფორმათა მონოგრაფიული შესწავლისა. ძველ ქართულში ამგვარი ზმნები აღნიშნულ მწკრივებს უმეშველოდ აწარმოებდნენ, ისე როგორც ზმნათა დიდი უმრავლესობა — აწმყოსა და სხვა მწკრივებს ახალ ქართულში.

მეშველზმნიან ფორმებთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დგება: 1. როდის ჩაისახა ასეთი წარმოება და როდის მიიღო ის სახე, რაც მას დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აქვს? 2. როგორია მისი გავრცელების არე და განვითარების ტენდენციები ამჟამად? 3. რა არის ამ ფორმათა ჩასახვის მიზეზი, ან რამ შეუწყო ხელი ამ პროცესის წარმოშობას? 4. რა ფუნქცია აქვს მეშველ ზმნას ამ ფორმებში? და სხვა.

ქართულის ვითარებაში რომ უკეთ გაერკვეთ, მოშველიებულია მონათესავე ენათა მონაცემებიც.

ზემოაღნიშნულ აღწერით ფორმათა წარმოშობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. ასევე სავარაუდებელია სხვა ქართველური ენებისთვისაც. მიუხედავად ამისა, ყველა ქართველურ ენაში პრინციპულად ერთნაირი ვითარება დასტურდება, რაც საინტერესო ფაქტია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები განხილული და გამოყენებული იქნება თავ-თავის ადგილას.

---

[1] ქართველურ ენებში მეშველი ზმნის ამგვარად გამოყენების სხვა შემთხვევებიც გვაქვს: ჭანურ-მეგრულში გარკვეული მწკრივების მზამზარეულ ფორმებს დაერთვის განსაზღვრული მეშველი ზმნა და ამ გზით ახალი მწკრივია მიღებული. ასეა, მაგალითად, ჭანურ-მეგრულის ნანამყოსრულარ და ნააორისტალ თურმეობითებში, პირობითებში და სხვ. ყველა ასეთი ფაქტი მეშველი ზმნის პირიან ზმნაზე დართვით ახალი ფორმის წარმოებისა გვიანდელი ჩანს და ქართველურ ენათა საყურადღებო თავისებურებას წარმოადგენს.

[2] მრავლობითის ფორმები არ მოგვყავს სიმოკლისათვის.

[3] იბეჭდება შემოკლებით.

ნაწილი პირველი
ძველი ქართული

მეშველზმნიანი ფორმები, რომელთაც აქ განვიხილავთ, ორ მწკრივში — აწმყოსა და I თურმეობითში გვხვდება. გარჩევა გვაქვს პირთა მიხედვითაც: დაერთვის პირველსა და მეორე პირს ორსავე რიცხვში, მესამეს — არა; მესამე პირის ფორმა ამ მხრივ ერთნაირია ძველსა და ახალ ქართულში. ასეთ აღწერით ფორმათა წარმოქმნა ქართული ენის ისტორიის გარკვეულ პერიოდს მიეკუთვნება, ძველმა ქართულმა იგი არ იცის, მაგრამ პროცესის ისტორიის დასადგენად საჭიროა ძველი ქართულის მონაცემებიც გავითვალისწინოთ: ვიცოდეთ, რა უძღოდა წინ დღევანდელ სურათს, როგორი იყო ამოსავალი მდგომარეობა.

რა ზმნებია ის ზმნები, რომელთაც შემდეგში მეშვლის დამატება დასჭირდათ? ამ მხრივ სხვადასხვანაირი ვითარებაა მწკრივთა მიხედვით. ზმნები, რომელთაც შემდეგში აწმყოში მეშველი ზმნა დაერთო, არსებითად განსხვავდება I თურმეობითის მსგავს ფორმათაგან: აწმყოში ესაა ზოგიერთი საშუალი და ვნებითი გვარის ზმნა, თურმეობითში — მოქმედებითი გვარისაც. თუ ასეა, როგორ მოხდა, რომ ერთმა და იმავე მოვლენამ იჩინა თავი ორივეგან? რა აქვს საერთო ამ ორი ჯგუფის ზმნებს? სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი (და საერთოდ მესამე სერიის მწკრივები) გვიანაა წარმოქმნილი და რომ მას საფუძვლად უდევს აწმყოს ერთი ტიპის ზმნათა ფორმები. ესაა სტატიკური ვნებითი; ვარაუდობენ, რომ III სერიის ფორმები მათი ინვერსიის გზითაა მიღებული. რომ ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ის ფაქტიცაა, რომ ახლაც ზმნათა ეს ორი წყება განვითარების ერთნაირ ტენდენციებს იჩენს. ამიტომვე უნდა გვქონდეს, მაშასადამე, საერთო მოვლენები ორივეგან. მაგრამ სტატიკური ვნებითის გარდა, მეშველზმნიანი წარმოება აწმყოში სხვა ტიპის ზმნებთანაც არის. ამის შესახებ ქვემოთ.

რაკი ჩვენთვის საინტერესო წარმოება ორ სხვადასხვა მწკრივში დასტურდება, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

აწმყო

აწმყოში მეშველი ზმნა ახალ სალიტერატურო ქართულში ზმნათა ერთ მცირე ჯგუფს სჭირდება. ასეთ ზმნათა ერთი ნაწილი საშუალი გვარისაა (ძირითადად მედიოპასივი, იშვიათად — მედიოაქტივი), მეორე — ვნებითისა, ე. წ. სტატიკური ვნებითი.

საშუალი გვარის ზმნები

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საშუალი გვარის ზმნები აგებულების მიხედვით, პრინციპში, არ განსხვავდებიან მოქმედებითისაგან. ფუძე აქ იმავე სუფიქსებითაა გაფორმებული, რითაც მოქმედებითში; მაგ.,

ავ: ბრწყინ-ავ-ს, გორ-ავ-ს, ხურინ-ავ-ს, ზრუნ-ავ-ს...

ებ: ღაღად-ებ-ს, უნ-ებ-ს, გოდ-ებ-ს, ტორტმან-ებ-ს...

ობ: გალ-ობ-ს, მეფ-ობ-ს, ჴმ-ობ-ს...

არის სხვა სუფიქსებითაც ნაწარმოები ზმნები.

საშუალ ზმნათა მეორე (უფრო ძველი) ნაწილი მარტივი აგებულებისაა, თემატური ნიშნები არ გააჩნია. ესენია: ჰ-სურ-ს, ს-ძულ-ს, უ-ყუარ-ს, ჰ-რწამ-ს, ს-ძაგ-ს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეშველი ზმნის დართვის საკითხში ყველა ტიპის ზმნასთან ერთნაირი მდგომარეობა არა გვაქვს. მეშველი ზმნის გაჩენის ტენდენცია პირველ რიგში მარტივ, ათემატურ ფუძეებთან იჩენს თავს. იცვლება ან ისეთი ზმნები, რომელთა ფუძის დაშლა საერთოდ არ ხერხდება, ან რომლებშიაც სუფიქსების გამოყოფა შეიძლება (დგ-ა-ს ← *დგ-ან-ს და მისთ.), მაგრამ ეს სუფიქსები უკვე ფუძესაა შეხორცებული და, ამდენად, მათი სუფიქსობა არც შეიგრძნობა, თემის ნიშნიანი ფუძეები კი უცვლელი რჩება.

ზმნათა პირიანობის მიხედვით გარჩევა არ იჩენს თავს: ერთპირიანიცა და ორპირიანი ფორმებიც ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებენ. მიუხედავად ამისა, სიცხადისათვის მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ. ამავე მიზნით ზმნები დალაგებული იქნება ანბანის რიგის მიხედვით და სამივე პირისა და ორივე რიცხვის ფორმები ამა თუ იმ ზმნისა ერთად იქნება თავმოყრილი. მესამე პირის ფორმები ძველსა და ახალ ქართულში ერთნაირია, მეშველი ზმნის დართვა მხოლოდ პირველსა და მეორე პირს ეხება (ორსავე რიცხვში) და ამიტომ შეგვეძლო მესამე პირის საილუსტრაციო მასალის მოყვანისაგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ ამ ტიპის ზმნათა უღლების სრული სურათის გასათვალისწინებლად ძველ ქართულში თითო-ოროლა ნიმუშს აქედანაც წარმოვადგენთ.

ერთპირიანი ზმნები

დეგ

1. ვ დ გ ა კარსა ზედა და ვჰრეკ, გამოცხ. 3,20; ვ დ გ ა და ვწამებ მცირესა და დიდსა, საქმე 26,22; შენ წინაშე ვ დ გ ა, თეკლ. 124,1; ასევე: ურჰ. 319,12; დაბად. 24,13; ლიტ. ურთ. 162,23; მამათა სწავლ. 232,34 და სხვა.

აჰა ესერა მახლობელად ვ დ გ ა თ, კიმ. I,139,29; და დღეს საშჯელსა ზედა ვ დ გ ა თ, სპევს. 333,66; რომელსა ზედა ვ დ გ ა თ მოსწრაფედ, ქრესტ. 55,16; ასევე: წარტყუენვაჲ, მწ 13.

2. აჰა ს დ გ ა, მახლობელო ჩემო, აჰა ეგერა ს დ გ ა, შუენიერო ჩემო, იპოლ. 4,1; ს დ გ ა და ჰღაღადებს, ბოლნ. ქად. 42,7; მტკიცედ ს დ გ ა ა? შუშანიკ. III,23; ასევე: სახისმეტყ. იზ 18; მრავ. 257, 6...

რაჲსათჳს ს დ გ ა თ თქუენ აქა? მათე, 20,6DE; კაცნო გალილეველნო, რაჲსა ს დ გ ა თ მხედველნი ცად? ეკლეს. 45,7; ასევე: 1 მეფ. 22,8 (ხელნაწ. 40r, 2 სვ.); მრავ. 313,36; ფსალმ. 134,2 და სხვ.

3. ესერა პეტრე კართა დ გ ა ს, საქმე 12,14.

აჰა დედაჲ შენი და ძმანი შენნი დ გ ა ნ ა ნ გარეშე, მათე, 12,47.

დუმ

1. ხოლო უფროჲსსა მას ბუნებისასა ვდუმი, მრავ. 282,3; ასევე: სინ. მრავ. 32,36.

ჩუენ ვდუმით და ველით ნათელსა განთიადისასა, 4 მეფ. 7,9; ხელნ. 178r, 2 სვ.; და ჩუენ ვდუმით მოღებად მისა ჴელთაგან მეფისა ასურთაჲსა, 3 მეფ. 22,3; ხელნ. 163 v, 1 სვ.

2. ღაღად-ყავ ძლიერად და ნუ სდუმი, ესაია 210 r, 1 სვ.; ნუ სდუმი, რამეთუ მე ვარ შენ თანა, საქმე 18,9; ვარიანტი: სდუმ.

და აწ თქუენ რად სდუმით და ჰსხედთ? 2 მეფ. 19,10; ხელნ. 100 v-r.

3. დუმან მდინარენი, სასულ. პოეზ. რაპე, 113.

ზი, სხედ

1. ვზი და ვილოცავ, ჰაგ. მასალ. 28,2 სვ., 13 ქვ.; მე აქა მშჯდობით ვზი, კიმ. I,204,21; მე მეფეთა საყდართა ვზი, ასურ. მოღვაწ. ცხ. 203,7 ქვ.

აწ ჩუენ რასა ვსხედთ? იერემ. 8,14; ხელნ. 234 v, 2 სვ.

2. რომლისა მიზეზისათჳს ჰზი და სტირ? აპოკრ. 66,14; რომელი ჰზი ქერუბინთა, იაკობ. დგ 2; ასევე: სინ. მრავ. 96,7; კიმ. I,206,18; იპოლ. 8,13; გამოსლვ. 18,14; იობ. 2,9C; კიმ. II,57,34.

და აწ თქუენ რად სდუმით და ჰსხედთ და არა მიიქცევით უფლისა თქუენისა მეფისა? 2 მეფ. 19,10; ხელნ. 100 r, 1 სვ.; ჰსხედთ საპყრობილესა შინა კრულნი კრებულისანი, ზაქარია 414 v, 1 სვ.; ამისთჳს ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ყოველთა ჰურიათა, რომელნი სხედთ ქუეყანასა ეგჳპტისასა, იერემ. 44,26; ხელნ. 291 v, 2 სვ.; რაჲსა სხედთ[1] და მცავთ მე? აპოკრ. 19,1 ქვ.

3. ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, მათე, 21,5.

რომელნი სხენან ბნელსა, ლ. 1,79E.

რბი

1. მე უკუე აწ ეგრე ვრბი, ვითარცა არა უჩინოდ (იერუს. განჩ. 321, 2).

2. ხოლო შენ, კაცო,... სულისა შენისათჳს ჰრბი (სინ. მრავ. 48, 16).

სხედ (ნახე ზი)

ჩან (→ ჩა)

1. გარეშცთ ვჩათ მდაბლად, მამათა სწავლ. 264,21 ვარ.: ვჩანთ.

2. კაცად მბრძოლად შჩან, ლიტ. ურთ. 36,15; თუ არა ჰპოვნე, ნუცა შენ აქა შჩა, აპოკრ. 67,4; ვარიანტი: შჩან A.

შჩათ, რამეთუ, Мapp, Опис. 97,3 ქვ.

3. ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, ი. 1,5.

ძე

1. დავრდომილი ვძე სარეცელსა ზედა, მამათა სწავლ. 294,24.

[1] ხელნაწერშიც და გამოცემაშიაც „სხედ" არის.

2. რაჲსა ს ძ ე და ხ ურ ი ნ ავ? იონა 1,6, ისტ. ქრესტ.

3. ბაგასა შიდა ძ ეს, მრავ. 276,33.

წ ევ

2. ნუ დღეს ქუეყანასა ს წ ევ და ხვალე ცხედარსა ზედა, ივ. ჯავახ., სინის აღწ. 229,40.

3. ლომი წ ე ვ ს, კიმ. I,305,23.

წ უ ხ

1. ელისაბეტს უხარის და მე ვ წ უ ხ, სინ. მრავ. 98,19; რაჲსა ვ წ უ ხ, 2 მეფ. 12,23; ხელნ. 81 r, 2 სვ.

2. ჰრქუა ძმასა მას: ნუ ს წ უ ხ, ძმაო, ასურ. მოღვაწ. ცხ. 106,1; ნუ ს წ უ ხ, ტობია 530 r, 2 სვ.; რაჲსა სტირ და ს წ უ ხ? S 11,348 r, 2 ქვ.

ნუ ს წ უ ხ თ, ძმანო, ათონ. კრებ. 151,26; ნუ ს წ უ ხ თ, არამედ, ასურ. მოღვაწ. ცხ. 80,27.

3. წ უ ხ ნ და ტირნ, 1 მეფ. 1,7; ხელნ. 1 r, 2 სვ.

ორპირიანი ზმნები

რელატიურ მედიოპასიურ ზმნათა ერთი ნაწილი თავისებური სემანტიკის მქონეა, რის გამოც პირველი და მეორე სუბიექტური პირი საერთოდ არ გააჩნია. სუბიექტური პირებიდან აქვს მხოლოდ მესამე [რომელიც ზოგ შემთხვევაში უცვლელი, ერთი და იგივე შეიძლება იყოს და ამიტომ იკარგება კიდეც: სძინავს მას ის (ძილი ← *ძინი) → სძინავს მას...]. ამ მესამე პირის კომბინაციები კი ყველა ობიექტურ პირთან ხშირია და ჩვეულებრივი: მწყურის, გწყურის, სწყურის[1]... ეს ზმნებია: უხარის, სტკივის, ჰრცხუენის, ჰშუენის, ჰშურს, ჰსურს, ჰმარჯუს, სწადის, უკჯრს,[2] შჯირს და სხვა.

რაკი ამ ზმნებს I და II სუბიექტური პირის ფორმები არ აქვს, ცხადია, მეშველი ზმნის დართვის საკითხიც არ არსებობს. წარმოვადგენთ დანარჩენ ორპირიან ზმნათა უღლების ნიმუშებს.

გ ა ვ

1.3. სახითა ხოლო მონაზონთა ვ ჰ გ ა ვ თ, მამათა სწავლ. 266,6.

---

[1] გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას ამ ზმნას შეიძლება I და II სუბიექტური პირებიც ჰქონდეს:

სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს გულსა დამშვრალსა

ს წ ყ ურ ხ არ, როგორც სწყურს ცის ნათელი, სხივი ბნელს თვალსა

(ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, ტფილისი, 1894, გვ. 57).

[2] ხევსურულში ამ ზმნასაც აქვს I, II სუბიექტური პირი: მ ი კ ვ ირ ხ არ, ჰალას მთიბელო, რამ მაგაცდინა ჭკვიანი? (ხევს. პოეზ. 207,1).

დეგ

2.3. გულისჴმა-ყავ, კაცო, თუ ვისსა მახლობელად სდგა ანუ ვის წინაშე უდგ ჟამსა მას წმიდათა საიდუმლოთასა, Мapp, Опис. 71,3.

რწამ

1.2. ჰრქუა მას იესუ: ... მიხილე და გრწამ, ი. 20,29DE; თქუენ მე შემიყუარეთ და გრწამ, ი. 16,27DE.

1.3. რომელსა მე არა ვრწამ,[1] ღმერთი არა რწამს,[1] სინ. მრავ. 147,25; რომელთა ვჰრწამ მე, მათე 18,6C.

2.1. ღმერთი ჩემი ხარ შენ და მრწამ შენ, თეკლ. 113,12; უფალო იესუ ქრისტე, რომელი გურწამ ტყჳსა ამის მიერ, მოქც. ქართ., შატბ. 794,15.

2.3. რომელთა არა ჰრწამ შენ ღუთისმშობლად, ათონ. კრებ. 184,1.

3.3. ყოველი შესაძლებელ არს, რომელსა ჰრწამს, მრ. 9,23C.

ქუან

ახალ ქართულში ყოლა-ქონების აღსანიშნავად (имѣть, ἔχειν) ორი ზმნაა გამოყენებული: **აქვს**, **ჰყავს**, რომლებიც ფუნქციებს ასე ინაწილებენ: ჰყავს მხოლოდ სულიერის, ცოცხალის მიმართ იხმარება, აქვს — ყველა დანარჩენისა. ასეთი გარჩევა იმთავითვე თითქოს არ უნდა გვქონოდა. ამას გვაფიქრებინებს რამდენიმე გარემოება. 1. ძველ ქართულში არც ისე იშვიათად დასტურდება **ქუან** ფუძის გამოყენების შემთხვევები სულიერის მიმართაც. მარტო ქართული ოთხთავის სამ შატბერდულ ხელნაწერში 10 ასეთი მაგალითია გამოვლენილი (ი. იმნაიშვილი, 1949, 613; 1963, 185). მსგავსი რამ შეინიშნება სხვაგანაც. ერთნაირი მდგომარეობაა თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლებში. 2. დიალექტებში[2] ახლაც ცოცხალია ეს მოვლენა (ი. ქავთარაძე, 1954, 161). 3. ძველ ქართულში ყოლა-ქონების მნიშვნელობით ამათ გარდა კიდევ რამდენიმე სხვა ფუძე იხმარებოდა: **მივის** (მესუა), **მადგს**, **მიდგს**,[3] **მიბს**. გარკვეულ შემთხვევებში ქონებას გამოხატავს აც (← აძს), უც (← უძს) ზმნებიც (ი. ქავთარაძე, 1954, 225). მრავლობითში ყველა ეს ზმნა სხვა ფუძეს ინაცვლებდა. ესაა **სხ** (უსხენ, ესხნეს). საინტერესოა, რომ მონაცვლე ფუძე ერთი და იგივეა ყველა მათგანისათვის და, მაშასადამე, მრავლობითში სულიერისა და უსულოს გარჩევის საკითხი თავისთავად მოხსნილია. ასევე უნდა ყოფილიყო **ჰყავს**, **აქვს** ზმნებთანაც.

1.3. აწ ესერა ქნარი მათი მე ვარ, და მე სასიტყუელად ვაქუ, იობ. 30,9. შდრ.: ... და ვინაჲთგან არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელსა, ზღაპრ. ელენთ. 37,22.

---

[1] ასეა.

[2] ერთნაირად თითქმის ყველა დიალექტში: ინგილოურში, მოხეურში, ფშაურში, ხევსურულში, რაჭულში, მესხურში, კახურში.

[3] უდგს ზმნა „ყოლის" მნიშვნელობით უფრო გვიანაც გვხვდება: ბატონს თეიმურაზს... მეფის სჳმონის ქალი ედგა (იგულისხმება: ცოლად) (ქრონიკ. II, 464,2-3).

2.1. რომელთა გუაქუ თანაშემწედ, დედოფალო წმიდაო, ათონ. კრებ. 357,14; გადიდებთ და მეოხად გუაქუ ღმრთისა მიმართ, ყოვლად წმიდაო, მოდრეკ. 107 r, 27.

ისევე როგორც **ჰყავს** ზმნა, ესეც დაირთავს ზმნისწინებს და განსხვავებულ მნიშვნელობას ღებულობს; ნუ მიმოაქუთ ყოველსა მას ქარსა მოძღურებისასა ნებითა კაცთაჲთა, კიმ. II,188,8.

ყავ(ან)

საშუალი გვარის ზმნები, ჩვეულებრივ, მდგომარეობას გამოხატავენ და ზმნისწინი არ სჭირდება, მაგრამ იშვიათად ზმნისწინიანი ფორმები აქაც გეხვდება. ჩვენს შემთხვევაში ამ გზით ახალი ზმნაა მიღებული. ყავ ფუძეს რამდენიმე ზმნისწინი დაერთვის:[1] გან-, მი-, მო-, შე-, წარ-.

1.2. რაჲსა არა მიგყავ შენ ჯუარად? სინ. მრავ. 247,13.

1.3. ერთ არს, რომელსა მივჰყავ მე, აპოკრ. 17,22; აჰა ესერა წარვჰყავ მე განსაკითხავად და შემეწიე ჰირსა ჩემსა, ბალავ. 38,35Ზ; დედაო, აჰა ესერა შვილი შენი იოსებ წარვჰყავ ეგჳპტედ კრული, ასურ. მოღვ. ცხ. 191,7Ⴑ; და მე ესერა... წარვჰყავ[2] ამიერ სოფლით, მამათა სწავლ. 226,3.

აწ-ღა მოუვლინებიეს და იდუმალ განვჰყავთ ჩუენ, საქმე 16,37Ⴑ; ცოდვათათჳს მივჰყავთ ბაბილონდ ტყუედ, წიგნი სამოციქულოჲ იერემ. 323r; ვეცხლისა მისთჳს შევჰყავთ ჩუენ შეწამებად ცილისა, დაბად. 43,18.

ყუარ

1.2. სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? ი. 21,15; ი. 21,16; ჰრქუა მას მესამედ, ვითარმედ: გიყუარ? ი. 21,17. ასევე: კიმ. I,129,11; ათონ. კრებ. 308,11...

1.3. იგი არს, რომელსა უყუარ მე, ი. 14,21; უწყოდით, ვითარმედ უყუარ მეფესა ამას, კიმ. I,151,9; ამისთჳს მამასა უყუარ მე, ი. 10,17.

2.1. შენ ხიცი, რამეთუ მიყუარ შენ, ხანმ. 358,2 სვ., 15,16); შენ უწყი... ვითარ მიყუარ (ბალავ. 38,23Ზ; ასევე: ი. 21,16; ი. 21,17; საბა ასური 15,41; მოძღუარ აჰა გჳყუარ შენ, აპოკრ. 85,17; აჰა ყოველთა გჳყუარ და გისმენთ, ათონ. კრებ. 162,28.

2.3. შენ უყუარ უფროჲს აზნაურთასა, მამათა სწავლ. 146,15.

თჳთ მამასა ჩემსა უყუართ თქუენ, ი. 16,27DE; ასევე: სინ. მრავ. 193,21.

ჩნ → ჩ (← ჩან)

1.2. უკუეთუ სათნო გიჩნ მე, მოგყვე ადგილადცა შენდამდე, კიმ. I,209,29.

2.1. წმიდამან თეოდოსია ჰრქუა: ცთომით ვინმე მიჩ შენ, კაცო, კიმ. I,152,5; წრფელ და კეთილ მიჩ წინაშე ჩემსა მშჯდობასა და ღუაწლსაცა,

---

[1] ამ ზმნის უზმნისწინო ძველი ფორმები ჩემ გადაკითხულ ძეგლებში მხოლოდ საშუალ ქართულში დადასტურდა (ვჰყავ მე მას, ჰყავ შენ მას....).

[2] გამოცემაშია: წარჰყავ. რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

1 მეფ. 29,6; ხელნ. 55 v, 1 სვ.; სათნო მიჩ მე წინაშე თუალთა ჩემთა ყოვლით კერძოვე, 1 მეფ. 29,10; ხელნ. 55 v, 2 სვ.

2.3. ამათ მთავართა კეთილვე უჩ შენ, I მეფ. 29,6; ხელნ. 55 v, 1 სვ. ეგრეცა თქუენ გარეშე უჩთ კაცთა მმარხველ, მათე 23,28C; ვარიანტი: ჰგონიეთ, იქვე DE.

ძაგ

1.2. აწ ნუ რას მერიდებით და ნუცაღა გძაგ, შუშანიკ. IV,14.

2.1. მე მძაგ შენ, გამოცხ. 3,17თ.

3.3. შეგინებულსა გულსა ყოველი სძაგნ, ივ. ჯავახ., სინის აღწ. 45,3.

ძულ

1.3. უფალმან ისმინა, ვითარმედ ვსძულ მე, და მომცა მე ესეცა, დაბად. 29,33; ასევე: ი. 7,7; ამას კაცებსა ვსძულთ ჩუენ, კომ. I,116,4.

2.3 ყოველთა მათ სძულ შენ, ესაია 207 r, 2 სვ.

ამისთჳს ჰსძულთ (სძულთ CE) თქუენ სოფელსა, ი. 15,19D.

3.3. რომელსა მე ვსძულდე, მამაჲცა ჩემი სძულს, ი. 15,23C.

ჴსოვ (→ ჴსო)

1.2. მემცა, გლახაკი, მარადის გაჴსოვ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, ხანძთ. ობ 62; უკუეთუ გაჴსო მე გულსა შენსა, S97,260 vb, 4.[1]

გაჴსოვთმცა მარადის წმიდათა შინა ლოცვათა შენთა, ხანძთ. ლ 65.

სტატიკური ვნებითი

ზმნათა მეორე ჯგუფი, რომელიც აწმყოში აღწერით წარმოებაზე გადავიდა ახალ ქართულში, სტატიკური ვნებითის სახელითაა ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში. საჭირო იყო თუ არა ამ ტიპის ზმნათა გამოცალკევება სხვა სტატიკური მნიშვნელობის მქონე ზმნათაგან მეშველზმნიან ფორმებზე მსჯელობის დროს? ვფიქრობთ, საჭიროა. ჯერ ერთი, ამ ორი ჯგუფის ფორმათა წარმოება საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. მეორე მხრივ, სტატიკური ვნებითის ფორმები მჭიდრო კავშირშია გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან. ვარაუდობენ, რომ ეს უკანასკნელი სტატიკური ვნებითისაგან მომდინარეობს (ა. შანიძე, 1953, § 487). ზმნათა ეს ორი ჯგუფი (სტატიკური ვნებითი და გარდამავალი ზმნის III სერია) განვითარების ერთნაირ ტენდენციებს გვიჩვენებს სამსავე ქართველურ ენაში (ნ. ნათაძე, 1955). ეს გარემოება თავს იჩენს აღწერითი წარმოების ჩასახვის პროცესშიაც: ორივეგან აღნიშნული წარმოება თითქმის ერთდროულად ჩნდება და წინ უსწრებს ასეთსავე ტენდენციას აწმყოს ე. წ. საშუალი გვარის ზმნებში.

სტატიკური ვნებითის ზმნათა რიცხვი ახალ ქართულში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ძველ ქართულში.[2] I და II სუბიექტურ პირთა ფორმები ყო-

[1] მაგალითი მომაწოდა პროფ. ი. იმნაიშვილმა.

[2] საერთოდ ეს ჯგუფი ახალ ქართულშიც მცირეა.

ველნაირი ზმნისა იშვიათია ძველი ქართულის ტექსტებში. განსაკუთრებით კი ეს ეხება სტატიკურ ვნებითს. ძველი ქართულის მრავალ განხილულ ძეგლში მხოლოდ რამდენიმე ასეთი ფორმა შეგვხვდა, მაშინ როცა მესამე სუბიექტური პირის კომბინაციები ყველა ობიექტურ პირთან საკმაოდ ხშირია. I და II სუბიექტურ პირთა შემცველი ყველა ფორმა ჩვენს ნიმუშებში **იე**-ზე დაბოლოებული სტატიკური ზმნისაა.

გ

1(3). მტკიცედ ვჰგიე მე და მჴნედ, კიმ. I,226,7; შეუძრველად ვჰგიე, იქვე 268,25; ვჰგიე მე კლდესა ზედა სარწმუნოებისასა შენდა მიმართ, იქვე 231,37; ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა, ი. 15,10DE.

მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, კათ. ეპისტ. გვ. 27, 4, 13; ჩუენდა კმა არს შჯული ეგე და ვჰგიეთ მას, ლიტ. ურთ. 179,22; უვნებელად ვჰგიეთ მარადის, Марр, Опис. 238,7 ქვ.; ასევე: იქვე 202,5.

2(3). ჰგიე შენცა და იმარხავ შჯულსა, საქმე 21,24; და ღმრთეებით ჰგიე ყოვლად უხილავად, მოდრეკ. 74 r, 25; რამეთუ შენ ჰგიე უკუნისამდე, ბარუქ 3,3; ხელნ. 311 v, 2 სვ.; ასევე: ათონ. კრებ. 178,22; ხანძთ. კთ 55; ფსალმ. 101,27Ქ; სინ. მრავ. 96,30; ფსალმ. 101,13Ქ; ათონ კრებ. 135,18.

ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ი. 15,10DE.

გონ

1.2. ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, საქმე 13,25; თქუენ ვინ გგონიე მე? მათე 16,15DE; ასევე: ლ. 9,20; ნუ გგონიე მე, საყუარელნო, ვითარცა კაცი მრავლის-მეტყუელი, წარტყუენვად დ 16.

1.3. ვინ ვჰგონიე ერსა ამას? ლ. 9,18.

2.3. ეგრეცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა მართალ, მათე, 23,28DE.

პყარ

1.3. ოთხ არიან, რომელთა უპყრიე მე, აპოკრ. 17,21.

2.3. (ეკლესიასა) უპყრიე შენ ვითარცა ზღუდედ, მოდრეკ. 153 r, 10.

3.3. ქუეყანად იგი ქართლისად სარკინოზთა უპყრიეს, აბო, 67,6.

-ია დაბოლოება სტატიკური ვნებითის აწმყოში

-იეს → **-ია** ჯერ კიდევ ძველ ქართულში ისახება და ახალი ქართულისათვის, როგორც ვიცით, -ია უკვე ნორმაა. სპეციალური ლიტერატურიდან ეს ფაქტი ცნობილია. მოვლენა ერთნაირად დამახასიათებელია როგორც სტატიკური ვნებითისათვის აწმყოში, ისე მოქმედებითი გვარის ზმნებისათვის პირველ თურმეობითში.[1] ამ ფაქტის შესახებ მსჯელობა I თურმეობითის სათანადო ფორმებთან გვექნება, ახლა კი მხოლოდ ნიმუშებს მოვიყვანთ: გმოსია, ბალავ.

[1] არას ვამბობთ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითზე, რადგან ძველ ქართულში იგი უაღრესად იშვიათია.

84,11Ⴑ; ჰმოსია, გამოცხ. 12,1Cთ); ასევე: იქვე 7,13Cთ; ხანძთ. მწ 32.. უპყრია, ეკლეს. 103,4; ასევე: ფსალმ. 72,12 Ⴑ. ჰგია, ივ. ჯავახ., სინის აღწ. 105,17 ქვ.; ასევე: ხრონ. 231,26; ნთია, ათონ. კრებ. 221,11 და სხვა.

I თურმეობითი

გარდამავალ ზმნებს მესამე სერიის სამი მწკრივიდან I თურმეობითი დანარჩენი ორისაგან განსხვავებულად აქვს ნაწარმოები. II თურმეობითი და III კავშირებითი I თურმეობითის ფუძეს კი არ ეყრდნობა, არამედ სულ სხვა ოდენობას წარმოადგენს (შდრ. I და II სერიის მწკრივთა წარმოება: აწმყო ამოსავალია I სერიის მწკრივთათვის, ასევე წყვეტილი — II სერიის მწკრივთათვის). ამ მხრივ ცალკე დგას II თურმეობითი და III კავშირებითი, რომელთაც საზიარო ფუძე აქვთ (მოუკლავს, შდრ. მოეკლა, მოეკლას).

I თურმეობითი ახალ ქართულში მეშველზმნიანია (აღწერითია) ყველა ტიპის ზმნისათვის. მაგ., ერთპირიანები: დავმალულ-ვარ, დამალულ-ხარ, დამალულ-ა; დავბერებულ-ვარ, დაბერებულ-ხარ, დაბერებულ-ა; გავმთბარ-ვარ, გამთბარ-ხარ და მისთ. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები: დავმალვი-ვარ, დამალვი-ხარ... ვჰგონები-ვარ, ჰგონები-ხარ... ვჰყვარები-ვარ, ჰყვარები-ხარ და მისთ. ორპირიანი გარდამავალი ზმნები: ვუნახა(ვ)-ვარ, უნახავ-ხარ და მისთ. სამპირიანი ზმნა III სერიაში, როგორც ცნობილია, ორპირიანად იქცევა, ან სულ ვერ აწარმოებს ამ მწკრივთა ფორმებს. პირველის ნიმუში იქნებოდა: ვუკითხა(ვ)-ვარ, უკითხავ-ხარ და მისთ. სხვაგვარი ვითარებაა II თურმეობითსა და III კავშირებითში: ერთპირიანი ზმნები აქაც აღწერითია, ყველა დანარჩენი — ორგანული. ნათქვამის ნათელსაყოფად რამდენიმე მაგალითს აქაც მოვიყვანთ. II თურმ.: დავმალულიყავ ← დამალულ ვიყავ, დავბერებულიყავ ← დაბერებულ ვიყავ და მისთ. შდრ.: დავმალვოდი, ვჰყვარებოდი, ერთის მხრით, და ვენახე, ვექე და მისთ., მეორე მხრით. III კავშ.: დავმალულიყო ← დამალულ ვიყო, დავბერებულიყო ← დაბერებულ ვიყო და მისთ. შდრ.: დავმალვოდე... ვენახო, ვექო და მისთ. I თურმეობითის წარმოების პრინციპი ამ მხრივ თითქოს ერთია ყოველნაირი ზმნისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: ერთპირიან ზმნათა აღწერითი ფორმები ერთის მხრით, სულ სხვაგვარი აგებულებისაა, ვიდრე ორპირიანი ზმნებისა, მეორე მხრით კი, ამ უკანასკნელშიც გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები.

გარდაუვალი ორპირიანი ზმნები

გარდამავალი ზმნები I ან II სერიის ფუძეს იყენებენ, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. სხვაგვარად დგას გარდაუვალ ორპირიან ზმნათა საკითხი: სარკვევია, თუ რას ეყრდნობა მათი მესამე სერიის ფორმები. ეჭვს ამ მხრივ აღძრავს ის გარემოება, რომ უძველეს ძეგლებში ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ფორმები თითქმის არ გვხვდება. ფაქტი პირველად აღნიშნა

ნ. ნათაძემ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ფორმები შედარებით გვიან ჩნდება (ნ. ნათაძე, 1955).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მხოლოდ I თურმეობითი. ამასთან, მაგალითების დაძებნისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ამ მწკრივის 1-ლ და მე-2 სუბიექტურ პირთა ფორმებს. აღმოჩნდა, რომ ძველი ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ასამდე ძეგლში არ დადასტურდა არც ერთი მათგანი. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება I თურმეობითის მე-3 პირს, ორიოდე ფორმის გარდა, რომლებიც შედარებით ძველ ძეგლებშია,[1] ხელთა გვაქვს რამდენიმე მაგალითი მოგვიანო ხანებისა. ესენია:

თუ ვითარ იგი ზეშთა ბუნებისა მძლეველ ექმნა სიკუდილსა, არა დაგჳწყებია, ანტიოქ. 106,5; და ესეცა არა დამვიწყებიეს... გარდადგინებულთა მათ ეფთჳმისი და მაკედონისი, რომელთა შჯული ნესტორისი არა შეიწყნარეს, კიმ. II,181,23; აწყუედილ არიან მჴედარნი ჩუენნი, და დასდებია შიში და ძრწოლა მათი სპარსთა ზედა, ქართ. ცხ. I,60,12; XI ს.; ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებაჲ ჰნებებია მას სიტყუასა, იერ. ხელნ. აღწ. 57,11; XI ს.;[2] ძუელი (scil. თარგმანი) წინ არა მდებია, ეფრ. მცირე; მიმომხ. I, გვ. 169, 3-4 ქვ..

საინტერესო პარალელებია დაცული ამ შემთხვევებში: აწ უკუე მრავალგზის შეჰმთხუევიეს ჰურიასტანსა მოოკრებაჲ, ხრონოღ. 223,34; ფორმა კიდევ ორჯერ გვხვდება იქვე: 207,6; 264,1.[3] შდრ. ესენი კაცნი არიან, რომელთათჳს ვნებაჲ შემთხუეულ არს, ბალავ. 23,12C;[4] დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა და არა მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთაჲ, რამეთუ მკალითა ვერ განვძლიერდები, ქართ. ცხ. I,190,14.[5] შდრ. მოცემულ არს ჩემდა ყოველი ჴელმწიფებაჲ, მათე, 2,18C; არა არს მიცემულ მისა ზეცით, ი. 3,27; თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, მრ. 4,11. ასევე: ხოლო აწ აჰა თქუმნითა ლოცვითა წინა-დაგჳც ესე და ძუძლისა მისდა ყოვლად არა შეხებულ ვართ, ეფრ. მცირე, მიმომხ. I, გვ. 170, 5-6; II თურმეობითის ნაცვლად: ესმა რაჲ, არა უგულებელს ყვნა სიტყუანი მათნი და ეტყოდა მათ, ვითარმედ: სმენილ იყო ეგე ჩემდა, ლიტ. ურთ. 11,9-10.

---

[1] ნ. ნათაძეს აღნიშნულ ზმნათა I და II თურმეობითების მხოლოდ ოთხი მაგალითი აქვს დამოწმებული ძველი ქართულისათვის.

[2] ნაწყვეტი გამოცემული აქვს რ. ბლეიკსაც — ეფრემ მცირის ლიტ. მოღვაწეობიდან, მიმომხილველი, I, 1926, გვ. 161-166; თარიღის შესახებ ნახე კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 236, შნშ. 3.

[3] ძეგლი თარგმნილიაო XI ან XII საუკუნეში. შემონახულია სამ ხელნაწერში, რომელთაგან ერთი XIII საუკუნისაა, ორი დანარჩენი — XVII-XVIII საუკუნეებისა: ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისაჲ. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1920.

[4] სხვა, მოგვიანო, ხელნაწერებში (BCD) ამის მაგიერ შემთხუჱვია გვაქვს.

[5] ფორმა დამოწმებული აქვს ა. შანიძესაც: ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 028.

როგორც ჩანს, ეს საშუალებები ენაცვლებოდა მერმინდელ ორგანულ ფორმებს ადრე.[1]

თუ სწორი აღმოჩნდებოდა დებულება ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ორგანული ფორმების გვიან ჩამოყალიბების შესახებ, მაშინ სხვანაირად შეიძლებოდა დასმულიყო ასეთ ფორმათა ამოსავალი ფუძის საკითხიც. საყრდენ ერთეულად, ვფიქრობთ, საწყისი უნდა იყოს გამოყენებული[2]. ამ მოსაზრებას მხარს დაუჭერდა ერთი გარემოებაც: ორპირიან გარდაუვალ ზმნათა დიდ ნაწილს თავისებური საწყისები აქვს (ყოლა, დგომა, ძღოლა და მისთ.). ასეთ ზმნათა III სერიის ფორმები აშკარად საწყისს ეყრდნობა: ყოლა: ჰყავს — ჰყოლია (წაყოლა: წაჰყვება — წაჰყოლია); გაძღოლა: გაუძღვება — გასძღოლია და სხვ.

გარდამავალი ზმნები

გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი ძველ ქართულში ორი სახისაა: ნიშნიანი (**იე** დაბოლოებით) და უნიშნო. უნიშნო წარმოება მხოლოდ **ავ** და **ამ**-იან ზმნებთან გვაქვს, **იე** დაბოლოება აქვს ყველა დანარჩენს.

გარდამავალი ზმნების I თურმეობითში (ისე როგორც III სერიის ორ სხვა მწკრივში) ფორმები ინვერსიულია. მეშველი ზმნა მოუდის ობიექტურ პირს, რომელიც წარმოშობით სუბიექტურია.

ცალ-ცალკე ვუჩვენებთ თითოეული ჯგუფის ზმნათა უღლების ნიმუშებს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან.

ა) იე დაბოლოებიანი ზმნები

მი-ვლინება, მო-ვლინება, წარმო-ვლინება

3.1. მე უფალსა მ ი უ ვ ლ ი ნ ე ბ ი ე[3] ვიდრე ბეთელდმდე, 4 მეფ. 2,2; ხელნაწ. 167 r, 2 სვ.; უფალსა მ ი უ ვ ლ ი ნ ე ბ ი ე მე იერიქოდ, იქვე 2,4; ხელნ. 168 v, 1 სვ.; ასევე: იქვე 2, 6; ხელნ. 168 v, 1 სვ.

სარგებელისათჳს ამის ქუეყანისა წ ა რ მ ო უ ვ ლ ი ნ ე ბ ი ე თ ჩუენ უფალსა ჩუენსა, ასურ. მოღვ. ცხ. 29,14.

3.2. ღმერთსა მოღუაწედ ჩემდა მ ო უ ვ ლ ი ნ ე ბ ი ე თ, ზარზმ. 157,7.

---

[1] ეს ნაშრომი დასრულებული იყო 1962 წელს. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ფორმების ძველ ქართულში გამოყენების შესახებ ჩვენგან დამოუკიდებლად მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ც. ქურციკიძეს სპეციალურ სტატიაში („ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში"), რომელიც 1963 წ. დაიბეჭდა: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXX, № 2.

[2] შდრ. ერთპირიანი ზმნები, რომლებიც მიმღეობას მიმართავენ III სერიის ფორმათა საწარმოებლად.

[3] ხელნაწერში: მიუვლინებიეს.

შე-პყრობა

3.1. ძრწოლასა შეუპყრიე მე, ანტიოქ. 90,9; ზრუნვასა შეუპყრიე მე მარადის შენთჳს, მამათა სწავლ. 107,17; რამეთუ მე ძრწოლასა შეუპყრიე და განკრთომილ ვარ გონებითა, ანტიოქ. 113,8; ასევე: სინ. მრ. 130,23.

3.2. რაჲ არს განრყუნილებაჲ ეგე, რომელსა შენ შეუპყრიე, თეკლ. 97,4.

შე-რაცხა

2.1. რაჲსათჳს... შეგირაცხიე მე ვითარცა წინააღმდგომი შენი? იობ. 13,24.

უკუეთუ შეგირაცხიე მე მორწმუნედ უფლისა, შემოედით ვანად ჩემდა, საქმე 16,15. თქუ... მწვალებელად შეგირაცხიეთა მეფჱ და ჩუენ ყოველნი? კიმ. I,84,14.

3.1. ბოროტად ჩემ ზედა რისხვაჲ მოაწია. შეურაცხიე მე ვითარცა მტერი, იობ. 19,11.

საძაგელად შეურაცხიეთ მას და განშორებულ არს გზათაგან ჩუენთა, სიბრძნე სოლომ. 2,16; ხელნ. 273 v, 1 სვ.

1.3. ჩემდა მარჯუენით ცხოვარნი იგი შემირაცხიან, იპოლ. 7,40.

და-ტევება

3.1. არა დაუტევებიე მე მარტოჲ, ი. 8,29C.

3.2. რაჲსა... აცთუნებთ თავთა თქუენთა, რამეთუ ქრისტესა დაუტეობიეთ, წარტყუენვაჲ, ლდ. 21,22.

2.3. არა დაგიტევებიეს სიცოფჱ იგი, აბო, 73,12.

შობა

2.1. ჰრქუეს ძელსა: მამაჲ ჩუენი ხარ შენ, და ქვასა: გიშობიე მე, იერემ. 2,27; ხელნ. 223 r, 2 სვ.; ღმერთი ჩემი ხარი შენ, შენ გიშობიე[1] მე, ხრონოლრ. 202,27.

1.2. ძე ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ, ფსალმ. 2,7. ეს ადგილი ბევრგან მეორდება ციტატის სახით: მრავ. 310,27; იქვე 260, 16-17; კიმ. I,174, 29; საქმე 13,33 და სხვა.

3.2. არა-მე მაგას უშობიეა შენ?[2] კიმ. I,136,29.

მი-ცემა

1.2. ნიშად მიმიცემიე შენ სახლსა ისრაჱლისასა, იეზეკ. 340 v, 2 სვ.

ცნობა

2.3. ... არცა განცხადებულად გიცნობიე, ვინ ვარი მე, ივ. ჯავახ., სინის აღწ. 170,11.

---

[1] გამოცემაშია: გიშობიეს მე.

[2] გამოცემაშია: არა-მე მაგას უშობიესა შენ?

და-წერა

2.1. მეცა აღმჴოცე წიგნისა მისგან, რომელსა დაგიწერიე, მამათა სწავლ. 207,19.

ბ) ავ-იანი ზმნები

იე-ზე დაბოლოებული ზმნების მსგავსად მარტივი იყო **ავ**-იან ზმნათა უღლებაც ყველა პირში.

შე-კრვა

3.1. შეუკრავთ ყოველნი მტერსა, ივ. ჯავახ., სინის აღწ. 159,35.

მო-ცვა, გარე-მო-ცვა

3.1. ალმურსა სიკუდილისასა მოუცავ მე ყოვლით კერძო, მამათა სწავლ. 227,11; (ღმერთო) მიჴსენ ყოველთაგან ვნებათა, რომელთა მოუცავ, ურჯ. 317,8; მრავალსა სალმობასა ტკივილთასა მოუცავ მე, იოანე დამასკ. 153,22. ასევე: ფსალმ. 31,7; იობ. 2;9d.

ზამთარსა ბოროტსა მოუცავთ, მამათა სწავლ. 271,34; მოუცავთ ჩუენცა ღელვათა, იქვე 151,3; და მან თავადმან დაჰჴსნეს ბოროტნი ესე, რომელთა გარე-მოუცავთ ჩუენ, თხრობ. 18,27.

ხილვა

2.1. წარიღე ევლოგიაჲ ესე და წარვედ და აწ იხილო რაჲ ესე, გიხილავ მე, კიმ. I,330,10; გიხილავ სადაა, ანუ მე შენ? იქვე, 69,23.

3.1. ვინ უწყის, ღმრთისა ტაძრადღა იგი შევიდოდე, მაშინ სადამე უხილავ მას, მრავ. 263,28; ვიხილო, რომელსა-იგი წინაჲთვე უხილავ, სინ. მრავ. 96,22; ასევე: ი. 20,29; მრავ. 264,15.

-ია დაბოლოება პირველ თურმეობითში

სტატიკურ ვნებითთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ მესამე პირის **იე**-ს დაბოლოება სტატიკურ ვნებითშიცა და I თურმეობითშიც საშუალ ქართულში **ოა**-მ შეცვალა. აღნიშნული იყო ისიც, რომ მოვლენის ჩანასახი ძველ ქართულშივე გვაქვს. თითო-ოროლა ნიმუში ასეთი ფორმებისა თითქმის ყველა ძეგლში გეხვდება. IX-X საუკუნეთა ტექსტებში კი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, ისე რომ ერთ X ს. გადაწერილ ძეგლში ორივე ფორმა (**იეს**-ით და **ოა**-თი) თანაბრადაა გამოყენებული.[1]

მოვიყვანთ მაგალითებს: მიუღებია, არიმათ. 43,11; მიუპყრია, თეკლ. 96,4; მიუცემია, იქვე 96,22; შებმა-მიყოფია, იპოლ. 25,28; 25,40; გულისხმა-მიყოფია, ხანძთ. გ. 14; განმიწესებია, იქვე, თ. 72; დამიწერია, იქვე, ლზ. 19; დამიძინებია,

[1] იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 135

იქვე მა 11; მიმიცემია, იქვე მზ 3; წარმოუყვანებია, იქვე ნე 69; წარმოგკცემია, იქვე ჲბ 35; გარდამივლია, ანტიოქ. 91,3; დაუთმენია, იქვე 95,32; წარუწყმედია, იქვე 98,32; შეუმოსია, იქვე 114,2; შეუცოდებია, იქვე 125,32; გკცნობია, ეკლეს. 148,25; უდებ-გიყოფია, სინ. მრავ. 246,8; მოგკწერია, ესთერ 499 v, 2 სვ.; შეგკრაცხია, სპევსიპ. 333,64; მოგიცემია, ფსალმ. 59,6; დამიკრებია, იქვე, გალობაჲ 2,34; უპოვნია, იქვე გვ. 446, 4, მიგიცემია, იქვე 20,3 და სხვა.

XI საუკუნიდან ასეთი ფორმები უფრო ხშირია. განსხვავება შეინიშნება სხვადასხვა დარგის მწერლობის ნიმუშებს შორის: სასულიერო ხასიათის ძეგლებში ცდილობენ დაიცვან ძველი ფორმა, საეროში კი თითქმის მხოლოდ ახალ ვარიანტს იყენებენ. ასე, მაგალითად, 1058 წლის ბაგრატ IV-ის სიგელში მღვდელთა მიმართ I თურმეობითის მხოლოდ ახალი ფორმები დასტურდება: დაუწერია, ქრესტ. 96,9; გაუთავისუფლებია, იქვე 96,17; დამიმტკიცებია, იქვე 96,31; დაუწერია, იქვე 96,28. 1011 წლით დათარიღებულ ერთ მინაწერში აგრეთვე ყველა ფორმა ახალია (ქრონიკ. I, გვ. 164-165); გ. მთაწმიდლის „იოვანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“, რომელიც 1074 წლის ხელნაწერშია დაცული, 12 ფორმიდან 9 ახალია: მომიცემია 27,3; დაგკწერია 31,7; 32,6; მოუმადლებია 47,1; შემინდობია 53,7; გაუწესებია 72,1; დამიმცნია 72,2; მოგკჳსენებია 118,26; აღგკწერია 4,1; ძველია: მიმიცემიეს 79,7; აღუწერიეს 32,7; დაგიტევებიეს 79,6; მხოლოდ ახალი ფორმები გვაქვს ნიკორწმიდის XI ს.-ის სიგელში (ქრონიკ. II, გვ. 45-49), დავით აღმაშენებლის ანდერძში შიო-მღვიმისადმი (თ. ჟორდანია, ტფ., 1895) და მით უმეტეს XII-XIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებში.

მაშასადამე, XI, XII საუკუნეებისათვის თურმეობითი პირველის მესამე პირის ახალ დაბოლოებაზე გადასვლის პროცესი ძირითადად დამთავრებულია, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასაუბრო მეტყველებაში ასეთი ფორმები დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული; მწერლობაში მის შემოტანას კი იმ დროის მწერლობის კანონიკური ხასიათი უშლიდა ხელს.

რას წარმოადგენს თურმეობითი პირველის ახალი ფორმა, როგორ მივიღეთ ის? ახალ ბოლოსართში **-ი** იგივე **-ი** არის, რაც **-იეს** ' ში გვქონდა, საკვლევია **ა** ' ს რაობა. ამ საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, რასაც, როგორც ჩანს, იწვევს ის გარემოებაც, რომ ეს **-ა** ' ნიანი ვარიანტი უშუალო გაგრძელებაა პირველი და მეორე პირებისა, სადაც I თურმეობითის ძველ ფორმას საშუალ ქართულში მეშველი ზმნები დაემატა შესაბამის პირებში. რომელიმე **შეუპყრიე → შეუპყრი-ვარ**, **შეუპყრიე → შეუპყრი-ხარ**, **შეუპყრიე-ს → შეუპყრი-ა** ფორმებმა შეიძლება მიგვიყვანოს იმ აზრამდე, რომ III პირშიც ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორიც I და II პირებშია: „ახალ ქართულში დაიკარგა რიცხობრივი გარჩევა და **იეს** და **იან**-ის ნაცვლად **ია** მიეიღეთ: დამიწერია (იგი, იგინი), სადაც **-ა** შეიძლება „არს“ ზმნის შეკვეცილ ფორმადაც იქნეს გაგებული, რადგანაც სხვა პირის ფორმებს მეშველი ზმნა გაუჩნდა: დავუწერი-ვარ, დაუწერი-ხარ, დაუწერი-ა“ (ა. შანიძე, გვ. 447). ამავე საკითხის შესახებ სხვაგან ვკითხულობთ: „სტატიკურ ზმნებს ძველ ქართულში აწმყოს მწკრივში ფუძის ბოლოს **ი** სუფიქსი მოუდიოდა, რომლის მეორე ნაწილი (**ე**) იკარგებოდა III პირის მრ. რიცხვში: ვ-ჰგონიე,

ჰ-გონიე, ჰ-გონიე-ს, ვ-ჰგონიე-თ, ჰ-გონიე-თ, ჰ-გონი-ან. ახალ ქართულში კი ამ ზმნებმა I-სა და II სუბიექტურ პირში მეშველი ზმნა დაირთო, III-ში კი ე-ს-ის ადგილი **ა**-მ დაიჭირა, რომელიც ზოგ შემთხვევაში მრავლობითის ფორმიდან მოდის [ჰგონია(ნ)] და რომელიც გარეგნულად მეშველი არს ზმნის შეკვეცილ სახეს ჰგავს. ამიტომ ისეთი სურათია დღეს, თითქოს მეშველი ზმნა ყველა პირში იყოს გატარებული: ვჰგონი-ვარ, ჰგონი-ხარ, ჰგონი-ა, ვჰგონი-ვართ, ჰგონი-ხართ, ჰგონი-ა(ნ)" (იქვე, § 390).

ნ. მარს მეშველ ზმნად მიაჩნდა არა მარტო **-ა** I თურმეობითის მხ. რ. მესამე პირისა, რომელიც შედგენილ შემასმენელში წარმოდგენილი **-ა** ' ს ტოლ ოდენობად დაუსახავს (თჯსია, იგია...) (ნ. მარი, 1925, §§ 156, 165), არამედ I თურმეობითისავე **-ეს** დაბოლოებაც (აღმიშნები-ეს), რომელიც, მისი სიტყვით, განსაკუთრებით აღწერით ფორმებში ან შედგენილ ზმნურ ფუძეებში გამოიყენება.[1]

მეორე მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში ეს **-ა** (I თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს მესამე პირისა) მიჩნეულია მესამე სუბიექტური პირის ნიშნად. ნ. ნათაძის ვარაუდით, ეს **-ა** იგივე უნდა იყოს, რაც **-ა**, რომელიც ვნებითებში ენაცვლება მესამე პირის ძველ ნიშანს: თეთრდები-**ს** → თეთრდებ-**ა**, დგები-**ს** → დგებ-**ა**... თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს წარმოების **-იე** ვარიანტის შეცვლა **-ია** ვარიანტით ისევე უნდა აიხსნასო, როგორც „თბების" ტიპის წარმოების შეცვლა „თბება" ტიპით აწმყოში (ნ. ნათაძე, 1955, 92).

-ა ' ს მესამე პირის ნიშნად მიჩნევას თითქოს ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ეს **-ა** იწვევს თურმეობითის -ე ბოლოსართის მოკვეცას, მეშველ ზმნას კი, თუნდაც შეკვეცილი ფორმით წარმოდგენილს, ეს არ შეუძლია (შდრ. ხე-ა. მზე-ა) (ვ. თოფურია, 1955, გვ. 456). მეშველი ზმნა თითქოს მართლაც არ იწვევს ფუძისეული ხმოვნის მოკვეცას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ იმავე მეშველი ზმნის დართვის გამოა დაკარგული **-ე** პირველსა და მეორე პირში: **მიმიცემიე + ხარ → მიმიცემი-ხარ**, **მიგიცემიე + ვარ → მიგიცემი-ვარ**... სხვა საკითხია ამ შემთხვევაში მეშველმა ზმნამ გამოიჩინა ხმოვნის მოკვეცის უნარი, თუ სხვა მიზეზი არსებობს ამისთვის. თურმეობითისეული **-ე** ' ს მოკვეცის პირობები ყველაზე მეტად მესამე პირში უნდა გვქონოდა: აქ თავს მოიყრიდა სამი ხმოვანი აუსლაუტში, რაც ქართულისათვის ფონეტიკურად რამდენადმე არაბუნებრივ კომპლექსს შექმნიდა. ამის გამო ახალი ხმოვნის დამატება (რა ფუნქციისაც უნდა ყოფილიყო იგი) ცხადია, გამოიწვევდა გამარტივებას: **შეუპყრიე + ა → შეუპყრია**, ძველი **შეუპყრიეს** ფორმის ნაცვლად. ისტორიულადაც გამარტივება მესამე პირში იწყება და დიდი ხნით წინ უსწრებს დანარჩენ პირებს. საფიქრებელია, რომ III პირის ფუძე განზოგადდა შემდეგ სხვა პირებში.

---

[1] იქვე §§ 211, 156. ამ უკანასკნელის მცდარობა აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, **ეს** მთლიანი სუფიქსი კი არ არის, არამედ შედგენილია -ე- ელემენტისა და III სუბიექტური პირის -ს ნიშნისაგან: ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე. VII, 1955, გვ. 456.

ამასთან, ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ძველი და საშუალი ქართულის მინაცემების მიხედვით არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ I თურმეობითისა და აწმყოს ვნებითის **-ა** ' ნიანი ფორმები (გაუკეთები-ა..., თბებ-ა...). I თურმეობითში **-ა** ჩნდება ძალიან ადრე, თითქმის უძველეს ძეგლებში. ვნებითის **ა**-ნიანი ფორმები კი გაცილებით გვიანდელია: XVII-XVIII ს.ს. მწერლებთან შემთხვევათა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ძველ ფორმებზე მოდის (თბების...),[1] ისე რომ ეს ორი პროცესი, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად ჩაისახა და მიმდინარეობდა და მათ შორის კავშირის ძიება, ვფიქრობთ, უშედეგო იქნება. მეორე მხრივ, თითქოს არ უნდა უგულებელვყოთ კავშირი ისეთ ორ მოვლენას შორის, როგორიცაა I თურმეობითის **-ა** და **-ა** შედგენილი შემასმენლისა,[2] რომელიც აგრეთვე მესამე პირში გვაქვს და **არს** ზმნის ნაშთს წარმოადგენს. აქეთკენ ჩვენს ყურადღებას ისიც მიაქცევს, რომ ორივე მოვლენა თითქმის ერთდროულად ისახება (თითქოს უსწრებს შედგენილი შემასმენლის გამარტივება: ხოლო ჩუენ ხუესავთ, ვითარმედ **იგია**, რომელმან იჴსნეს ისრაჱლი, ხანმ. ლექც., ლ. 24,21) და ერთმანეთის გვერდით მიმდინარეობს.

შედგენილი შემასმენლის გამარტივებული ფორმები მრავლადაა ისეთ უძველეს ძეგლებში, როგორიცაა ოთხთავი, ფსალმუნი და საერთოდ ძველი აღთქმა (ოშკის ბიბლია) და სხვა, რაც, ვფიქრობთ, არ შეიძლება მხოლოდ უკანასკნელი გადამწერის მიერ შეტანილ ცვლილებად ჩაითვალოს, მით უფრო, რომ კანონიკურ ძეგლებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ფსალმუნში ასეთი შემთხვევა 20-მდეა. ფესუედითა ოქრეანითა შემკულ-ა და შემოსილ, ფსალმ. 44,14, უფალი შესავედრებელ-ა ცხოვრებისა ჩემისა, იქვე 26,1; არავინ-ა მსგავს შენდა..., იქვე 85,8C; ... იგი-ა ღმერთი მაცხოვარი ჩუენი, იქვე 94,7A; ჟამი-ა მსახურებად უფლისა, იქვე 118,126; რჩეულ-ა სიტყუაჲ შენი ფრიად, იქვე 118,140 და სხვა.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს სხვა ძეგლებიდან.

თავი მოკუეთილ-ა პავლჱსა, სინ. მრავ. 252,33; ეგე მართალ-ა, იქვე 130,23; ჩემი-ა შურის-გებაჲ, იქვე 197,20; თქუენი-ა სასუფეველი ღმრთისაჲ, ლ. 6,20C; ყოველივე შესაძლებელ-ა მორწმუნისა, მრ. 9,2D; (ქუეყანაჲ) კუარცხლბერკი-ა ფერჴთა მისთაჲ, მათე, 5,35C; არავე-ა სული ჩემი მათა მიმართ, იერემია, 15,1; ხელნ. 244 r, 2 სვ.; სადა... ჴევნი ფართონი-ა, ესაია 194 v, 1 სვ.; დედანი-ა, 1 ეზრა, 435 v, 2 სვ.

ასევე შეიძლებოდა მაგალითების მოყვანა სხვა ძეგლებიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, აღარაა საჭირო.

ამგვარად, I თურმეობითის (და სტატიკური ვნებითის) **-ია** დაბოლოების საკითხის რკვევისას ზემოთ მოყვანილ ფორმათა გვერდის ავლა არ უნდა იყოს მართებული, მით უმეტეს, თუ საანალოგიო მასალა, რომელსაც მივმართავთ სხვაგვარი ახსნისას, თვითონ საჭიროებს ახსნას (თბები-**ს** → თბებ-ა... ტენდენციის საფუძველი გაურკვეველია). საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული გზით

---

[1] ზოგ დიალექტში ამჟამადაც ასეა.

[2] არს → ა არა მარტო მაშინ, როცა ის მეშვლადაა გამოყენებული, არამედ დამოუკიდებლად ხმარებისასაც. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ეს უკანასკნელი ცალკე არ გამოგვიყვია.

III სუბიექტური პირის ნიშნად -ა ' ს გაჩენამ აწმყოში[1] (სტატიკურ ვნებითებში) თავის მხრივ ხელი შეუწყო ამ ნიშნის გავრცელებას სხვა ტიპის ზმნებშიაც.

ნაწილი მეორე
საშუალი ქართული

მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვის ადგილი. ცნობილია, რომ ძველი ქართული ენა მოიცავს პერიოდს V საუკუნიდან X ს. ჩათვლით. ეს მონაკვეთი ძირითადად ერთნაირ ნორმებს გვიჩვენებს ენობრივი თვალსაზრისით. ახალ ენობრივ მოვლენათა ჩანასახები განსაკუთრებით თვალში საცემია XI საუკუნიდან. გვაქვს თუ არა ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, თუნდაც ჩანასახის სახით, XI ს. ძეგლებში? ცოტა რთული მდგომარეობაა იმ მხრივ, რომ ნუსხების თითქმის უმრავლესობა, რომლებშიაც შემონახულია ადრინდელი პერიოდის ძეგლები, გვიანდელია. ამიტომ ყველაფერი, რაც ამა თუ იმ ძეგლში გვხვდება, არ შეიძლება მივაწეროთ ძეგლის წარმოშობის დროს. ბევრ რამეში, უნდა ვიფიქროთ, შემდეგდროინდელ გადამწერლებსაც მიუძღვით თავიანთი წვლილი. გადაწერის თარიღი კი ხშირად ძალიან დაშორებულია ძეგლის შექმნის დროს. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგებია, რომ რომელიმე მოვლენის დროის განსაზღვრა ვერ იქნება ზუსტი. მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ, თუ რა შემთხვევაში გაჩნდა პირველად ზემოაღნიშნული მოვლენა.

საშუალი ქართულის მასალების მიხედვით მეშვლიანი წარმოება ერთდროულად დასტურდება პირველ თურმეობითშიცა და იმ ფორმებში, რომლისაგან მიღებულადაც I თურმეობითი ითვლება, ე. ი. სტატიკური ვნებითის აწმყოში. ზმნათა ამ ორ ჯგუფს შორის ქრონოლოგიური განსხვავება ახალი (მეშველზმნიანი) წარმოების გაჩენის მხრივ არ შეინიშნება.[2] ამის მიხედვით თითქოს ორგვარი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ა) ახალი წარმოება ან ორსავე მწკრივში ერთდროულად გაჩნდა, ან ბ) აწმყოდან გადავიდა I თურმეობითში, რაკი აწმყოსაგანაა დამოკიდებული I თურმეობითი ისტორიულად. მაგრამ არც ერთი მათგანი არ უნდა იყოს სწორი. ახალ სალიტერატურო ქართულში აწმყოს მწკრივში მეშველზმნიანი წარმოება, გარდა სტატიკური ვნებითისა, სხვა ტიპის ზმნებთანაც გვაქვს. ესაა საშუალი გვარის ზმნები, უმეტეს წილად, ე. წ. მედიოპასივი. საშუალი ქართულის ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით განსხვავებული მდგომარეობაა აწმყოს ამ ორი ჯგუფის ზმნებში: მეშვლიანი წარმოება მედიოპასივში გაცილებით უფრო გვიან დასტურდება, ვიდრე აწმყოს სტატიკურ ვნებითში (აგრეთვე I თურმეობითში). რომ ასეთი წარმოება პირველად აწმყოში ჩასახულიყო, ის I თურმეობითზე ადრე თუ არა, მასთან ერთდროულად მაინც გავრცელდებოდა დანარჩენ ზმნებზეც აწმყოში.

---

[1] ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ა აწმყოში არა გვაქვს.

[2] თუმცა I თურმეობითის ახალი წარმოების პირველი ნიმუშები უფრო ადრინდელ ძეგლებში გვხვდება, ვიდრე სტატიკური ვნებითისა, მაგრამ მხოლოდ ამის მიხედვით არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ თავდაპირველად სწორედ I თურმეობითში ჩაისახა ასეთი ფორმები, რადგან იმ ტექსტებში, სადაც I თურმეობითის ახალი ფორმები პირველად გვხვდება, სტატიკური ვნებითის I და II პირის ფორმები საერთოდ არ გვაქვს.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ე. წ. სტატიკური ვნებითის ზმნათა რაოდენობაცა და გამოყენებაც ძველ ქართულში იშვიათია. განსაკუთრებით ეს ითქმის ამ ზმნათა I და II სუბიექტურ პირთა ფორმების შესახებ. ამის გამო საეჭვოა, რომ ის აქედან გადასულიყო სხვაგან. ამავე მიზეზით საეჭვო ჩანს აღნიშნული წარმოების ერთდროული ჩასახვა ორსავე მწკრივში. მაშასადამე, დაგვრჩენია დავუშვათ მეშვლიანი წარმოების გაჩენა I თურმეობითში და იქვე ვეძიოთ ამ მოვლენის წარმომშობი მიზეზები.

მეშველზმნიანი I თურმეობითის რამდენიმე, თითქოს ადრინდელი, მაგალითი შეგვხვდა. თითო ფორმა დასტურდება ოშკის ბიბლიასა[1] და „ქართლის ცხოვრების“ XI ს. ტექსტში.[2] სხვა ადრინდელი ნიმუშები „ბალავარიანს“[3] შემოუნახავს. ამათგან ყველაზე ძველია ოშკის ბიბლიაში დაცული მაგალითი: აწ ისმინე, უფალო ჩემო მეფე,[4] სიტყუაჲ მონისა შენისაჲ: უკუეთუ ღმერთსა აღუდგენიხარ შენ მდევრად ჩემ ზედა, იყავნ ნებაჲ ღმრთისაჲ, I მეფ. 26,19; ხელნ. 50 r, 2 სვ., 4 ქვ. თუ ეს ფორმა მერმინდელი შესწორების შედეგი არაა, მაშინ იგი ერთი პირველი ნიმუში იქნებოდა აღწერითი წარმოებისა. ხელნაწერის ფოტოპირზე დაკვირვების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეიძლება შემდეგდროინდელ გადაკეთებასთან გვქონდეს საქმე: ბოლო სამი ასო (იხ˙რ) ჩამატებულია უფრო პატარა ასოებით და თითქოს განსხვავებული ხელით.

„ქართლის ცხოვრებაში“ ასეთი ფორმაა დაცული: არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე, ვითარცა სახედ გწადიან, ქართ. ცხ. I,277,15. ვარიანტებიც ამასვე გვიჩვენებს. „მატიანე ქართლისაჲ“, სადაც ეს ფორმა გვხვდება, 1072-73 წლებში დაწერილადაა მიჩნეული. ხელნაწერები გვიანდელია: XVII-XVIII საუკუნეებისა, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ამ შემთხვევაში.

„ბალავარიანში“ მეშველზმნიანი ფორმების რამდენიმე მაგალითი მოიპოვება, ისინი ერთნაირად გვხვდება როგორც ვრცელ, ისე მოკლე რედაქციაში. ვრცელში: ხოლო მე მიუდრეკივარ სიყუარულსა საწუთროჲსასა, 77,36-37; შეუწყუდევივარ ესრეთსა ადგილსა და გაუყენებივარ კაცთაგან, 20,28-29; ხოლო აწ მიჯსნიხარ მტერთაგან ძალითა... ქრისტესითა, 84,31; და აწ მე თანა-მაც..., რაჲთა შევემთხჳ გონებასა მაგას, რომელსა მიუდრეკიხარ შენ სიბრძნითა, 110,22-23. მოკლე რედაქციაში: ამისთჳს შეუპყრივარ სნეულებასა ძნელსა, 91,21; მიუდრეკივარ სიყუარულსა სოფლისასა, 78,2; ძალითა ქრისტესითა მიჯსნიხარ მტერთაგან, 84,31.

„ბალავარიანის“ ქართული რედაქციების გამომცემელი მოკლე რედაქციის წყაროდ ვრცელს ვარაუდობს, პირველი უკანასკნელის შემოკლებას წარმოად-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოპირი, № 1.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

[3] ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1957.

[4] ხელნაწერშია: მეფჲ.

გენსო. მისი აზრით, ვრცელი რედაქცია შექმნილი უნდა იყოს IX-X საუკუნეებში, ხოლო ხელნაწერი, რომლითაც ის მოღწეულია, XI ს. მეორე ნახევრისადაა მიჩნეული. რაც შეეხება მოკლე რედაქციას, ის ჩამოყალიბებული უნდა იყოს XI ს. გასულსა თუ ამ საუკუნის შემდეგ, ხოლო მისი ადრინდელი ნუსხა XII-XIII საუკუნეებისააო (ბალავარიანი, 1957, გვ. 029, 035). მკვლევარი ამ დასკვნების გამოტანისას სხვა მონაცემებთან ერთად ეყრდნობა იმ ფაქტსაც, რომ „ბალავარიანის" რედაქციებში დასტურდება I თურმეობითის ზემოაღნიშნული ახალი წარმოების ფორმები. მისი სიტყვით, „ასეთი ფორმები დასახელებული მწკრივისათვის შედარებით ახალ მოვლენად ითვლება. რადგან ისინი XI ს.-ის „ბალავარიანის" ვრცელს ნუსხაშია და თანაც აქა-იქ მათ X ს.-ის ძეგლებშიც (ნუსხებში) ვხვდებით, ამიტომ ისინი ძველი ქართული ენის მოგვიანო ეტაპისათვის ნიშანდობლივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ" (ბალავარიანი, 1957, გვ. 033). რომ ასეთი ფორმები X ს.-ის ძეგლებშიც გვხვდება, მკვლევარი იმოწმებს ა. შანიძის ნაშრომს „გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით" (შანიძე, 1946, გვ. 78). ა. შანიძის აღნიშნულ ნაშრომში მითითებულ ადგილას მართლაც ლაპარაკია I თურმეობითის ახალ ფორმებზე, მაგრამ არა ყველა პირისა, არამედ მხოლოდ მესამე პირის შესახებ. მესამე პირის ახალი (გვიანდელი) ვარიანტი კი (იგულისხმება -ია დაბოლოება) X საუკუნეზე ადრეც გვხვდება, როგორც ზევით აღვნიშნეთ. მაგრამ ამ აზრის გავრცელება I და II სუბიექტური პირების ახალ, მეშველზმნიან, ფორმებზე არ შეიძლება, რადგან ეს ფორმები არ გვხვდება არა თუ X საუკუნის ძეგლებში (resp. ნუსხებში), არ გვხვდება ისინი გაცილებით უფრო გვიანაც: პირველი ნიმუშები სწორედ ამ ძეგლშია დადასტურებული. „ბალავარიანს" ამ მხრივ მხარს არ უჭერს XI ს. სხვა თხზულებები. XI ს.-ის ძეგლები კი საკმაო რაოდენობითაა მოღწეული, ასევე ნუსხებიც. მიუხედავად ამისა, I თურმეობითის ახალ ფორმათა არსებობა XI საუკუნისთვის მაინც დასაშვებია, ოღონდ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფორმები ტექსტში გვიანდელი შენატანია. ეს მაშინ, თუ გამომცემლის ვარაუდის თანახმად, ძეგლს IX-X საუკუნეებში დაწერილად მივიჩნევდით. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ I თურმეობითის ახლებური წარმოება აქ გაბატონებულია, ძველი ფორმა არ გვხვდება „ბალავარიანის" არც ერთ რედაქციაში.

რაკი დადასტურდა, რომ მეშველზმნიანი წარმოება თავდაპირველად პირველ თურმეობითში გვაქვს, ამიტომ მიმოხილვას აქედან დავიწყებთ.

I თურმეობითი

მეშველზმნიანი ფორმები მრავლად გვხვდება XII საუკუნიდან: „ვისრამიანი", ვეფხისტყაოსანი", „ამირან-დარეჯანიანი" თითქმის ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებენ ამ მხრივ.[1] სამივე თხზულება გვიანდელი (XVII-XVIII ს.ს.) ხელნაწერებითაა შემონახული და შეიძლება მთლად სანდოდ ვერ მივიჩნიოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ სამივეს ერთნაირი ვითარება დაუცავს და, მეორეც, რომ ეს მოვლენა განვითარებული სახითაა მოცემული მომდევნო საუკუნეთა ძეგლებში, გვაფიქრებინებს, რომ გადამწერთა ხელი ამ ფორმებს თითქმის არ

[1] იოანე პეტრიწთან, „აბდულმესიასა" და თამარიანში" I თურმეობითის I და II სუბიექტურ პირთა ფორმები საერთოდ არა გვხვდება.

შეხებია. ერთგვარი გამონაკლისი შეიძლება დავუშვათ: შესაძლებელია, თავდაპირველად მეშველზმნიანი წარმოება ყველა ზმნაში არ იყო გატარებული და შემდგომი დროის გადამწერთა წყალობით მოხდა ნიველირება. მაგრამ მაშინ ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას: „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ახალი წარმოება **ავ** და **ამ**-იან ზმნებთან ჯერ კიდევ არა გვაქვს, მაშინ როცა **იე** დაბოლოებიან ზმნებში იგი ყველა შემთხვევაში დასტურდება. გამოდის, რომ მოგვიანო საუკუნეთა გადამწერლებს ყველა სხვა ზმნის ძველი ფორმა შეუცვლიათ ახალი ვარიანტით, **ავ** და **ამ**-იანი ზმნებისათვის კი რატომღაც ხელი არ უხლიათ, რაც ნაკლებ დასაჯერებელია. აღნიშნულ თემის ნიშნიან ზმნებთანაც მეშველი ზმნა უკვე „ამირან-დარეჯანიანში“ დასტურდება.

ამგვარად, როგორც აღვნიშნეთ, ამ სამ ძეგლს ერთნაირი თავისებურებანი შემოუნახავთ, რითაც ისინი განსხვავდებიან მომდევნო დროის ძეგლთაგან და ენობრივი თვალსაზრისით ერთგვარ ნდობასაც იმსახურებენ. ეს თავისებურებანია: 1. მეშველ ზმნა-დართული ფორმები გვაქვს ყოველგვარ ორპირიან ზმნათა პირველ თურმეობითში, სტატიკურ ვნებითში (მოიპოვება თითო-ოროლა შემთხვევა, მაგრამ, რაც არის, მეშვლიანია) და არა გვაქვს დანარჩენ ზმნებთან აწმყოში: 2. I თურმეობითში ცალკე დგას **ავ** და **ამ**-იანი ზმნები, რომელთაც მეშველი ჯერ კიდევ არ დაერთვის. ეს თავისებურებანი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. მომდევნო საუკუნეთა (XIV-XVIII ს.ს.) მასალა **იე**-ზე დაბოლოებულ ზმნებთან რაიმე თავისებურებას არ გვიჩვენებს. ამ ტიპის ზმნებში რაკი ჩნდება მეშვლიანი ფორმები, ის თავიდანვე ყველგან გვაქვს: ერთმანეთის გვერდით ძველი და ახალი ვარიანტი არ მოიპოვება.

მაშასადამე, I თურმეობითის ახლებური წარმოების პროცესი **იე** დაბოლოების მქონე ზმნებთან სავსებით დასრულებულია უკვე საშუალი ქართულის ადრეულ პერიოდში. ამასვე ვერ ვიტყვით **ავ** და **ამ**-იანთა შესახებ, სადაც ძველიდან ახლისაკენ გარდამავალი პერიოდი გაცილებით მეტ ხანს გრძელდება.

რაც შეეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითს, ის, როგორც ზემოთაა აღნიშნული, გვიან გაჩენილი ჩანს. ამ ზმნათა უმეშვლო I და II სუბიექტური პირის ფორმები არ შეგხვედრია. აღწერითი ფორმები კი **იე**-ზე დაბოლოებულ გარდამავალ ზმნებთან ერთდროულად ჩნდება და საკმაოდ ხშირად იხმარება.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას საშუალი ქართულიდან.

გარდამავალი ზმნა

ა) იე ბოლოსართიანი

და-ბადება

3.1. ღმერთსა თავითგან უბედური... დაუბადებივარ, ვისრ. 158,16-17 ქვ.; ასევე: შაჰნ. II,2980,4; რუსუდ. 334,29.

ასრე დაუბადებივართ ღმერთსაო, რუსუდ. 327,37; 327,38.

3.2. ღმერთსა გასანათებლად დაუბადებიხარ, ვისრ. 161,7; ასევე: რუსუდ. 524,38.

თურმე ღმერთსა ორნივე კარგნი ჰაბუკნი დაუბადებიხართ, ამირანდარეჯ. 78,3.

გა-ზრდა, და-ზრდა

2.1. სიყმაწვილესა შიგან შენ გაგიზრდივარ, ვისრ. 55,1 ქვ.; ასევე: შაჰნ. I,1142,2; თეიმ. 1,71, 93,1.

3.1. მას გაუზრდივარ ველზედა, შაჰნ. I,1579,3.

ჩვენთა ძიძათა მალვით... დაუზდივართ, რუსუდ. 584,29.

1.2. შემოსძახა... რასთჳს მომკლაო, ხომ მე გამიზდიხარო, ქართ. ცხ. II,409,8.

3.2. კურთხეულმცა არს... მიწა იგი, რომელსა გაუზრდიხარ, ამირანდარეჯ. 85,8 ქვ.

გამო-მეტება

3.1. თუ ღმერთს არ გამოუმეტებივარ, ადრე მოვალო, რუსუდ. 462,33.

თურმე ღმერთს არ გამოუმეტებივართ, იქვე 170,32-33.

3.2. არც ღმერთს გამოუმეტებიხარო, იქვე 196,6.

პოვნა

2.1. აწ მოყვარე გიპოვნივარ, ვეფხ. 252,4; 300,2; ასევე: შაჰნ. II, 434,10 ქვ.; შაჰნავაზ. 44,3; ომაინ. 291,2 და სხვა.

ყოველთა მწუხარეთა უსაწყლესი გიპოვნივართო, საბა, I,35,3 ქვ.

1.2. აწ მიპოვნიხარ უებრო, ვეფხ. 1004,2; 236,3.

შე-პყრობა

2.1. შეგიპყრივარ, გყევარ ტყვედა, შვიდი მთიები 628,3.

3.1. შეუპყრივართ ამა ჴირზე, შაჰნ. I,625,4.

1.2. რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემიპყრიხარ გაჭრამდი, არჩ. II,186,1.

3.2. შეუპყრიხარ სიყვარულსა, ვეფხ. 129,4.

მი-ცემა

2.1. სასიკვდილოდ მიგიცივარ, ბესიკი 55,2.

3.1. მიუცივარ, იქვე 100,21.

1.2. შენა... მეხარეთ მიგვიციხარა, საქ. სიძვ. II,338,5 ქვ.; 1727 წ.. თქვენ სულხან ეშიკაღას-ბაშისათვის მიმიციხართ, დოკუმენტ. I,416,2 ქვ.; 1746 წ.; ჩვენ მანდედამ ხელი აგვიღია და იმისთვის მიგვიციხართ, დოკუმენტ. I,666,6; 1737-1744 წლ.

3.2. მიმინოშვილს ნადარეიშვილისათვის მიუციხართ, საქ. სიძვ. I,49,7 ქვ.; 1738 წ.

ბ) ავ და ამ სუფიქსიანი ზმნები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვის პირველ პერიოდში საყურადღებო თავისებურებას იჩენენ **ავ** და **ამ** თემის ნიშნიანი ზმნები: ერთსა და იმავე ძეგლში, ერთმანეთის გვერდით იხმარება I თურმეობითის ახალი ფორმები (**-იე** ბოლოსართიანებთან) და ძველი (**ავ, ამ**-იანებთან). ასეა, მაგალითად, „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“: **იე** ბოლოსართიანები მხოლოდ ახალი წარმოებისაა, **ავ, ამ**-იანი ზმნები კი მხოლოდ ძველი ფორმითაა წარმოდგენილი.

მო-კლვა

2.1. იცი, თუ შენ ჩემთვის რა გიქმნია ანუ რაზომ-ფერად მ ო გ ი კ ლ ა ვ, მ ო გ ი ყ ი ვ ნ ე ბ ი ვ ა რ? ვისრ. 280,17; მეტითა უმეცრებითა მე მ ო გ ი კ ლ ა ვ და შენ არა შეგწონს, იქვე 241,8 ქვ.

ნახვა

2.1. სიყმაწვილესა შიგან შენ გ ა გ ი ზ რ დ ი ვ ა რ და მას აქეთაც გ ი ნ ა ხ ა ვ, მაგრა ესრე დასაწყლებული არაოდეს გ ი ნ ა ხ ა ვ, ვისრ. 56,1; ასევე: იქვე 230,8; 251,13; 289,2; 198,13 ქვ.; ვეფხ. 286,3.

1.2. რა მ ი ნ ა ხ ა ვ, მუნითგან არა გამომისუენებია წამსაცა ერთსა, ვისრ. 190,3 ქვ.; ასევე: იქვე 217,5; 217,2.

თქუენ ორნივე მ ი ნ ა ხ ა ვ თ მიჯნურნი, ვისრ. 65,7.

მო-ჩხიბვა

3.2. შენ... მისსა გამზრდელსა მ ო უ ჩ ხ ი ბ ა ვ, ვისრ. 185,18.

შე-ცვა

3.1. ვისგან შ ე ვ უ ც ა ვ სევდათა, ვეფხ. 310,4.

და-წვა

2.1. ვჰკადრე, თუ: მზეო, დ ა გ ი წ ვ ა ვ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე, ვეფხ. 530,3.

3.1. ვამე, მას აქათ სახმილსა დ ა ვ უ წ ვ ა ვ ნიადაგულსა, იქვე 344,4.

3.2. აქა მოგვესმის ამბავი, შენ რომე დ ა უ წ ვ ა ვ ალთა, იქვე 637,3.

-ამ თემიანი მხოლოდ ერთი მაგალითი შეგვხვდა:

და-სმა

2.1. აწ ზღუაშიგან მრჩუალი დ ა გ ი გ დ ი ვ ა რ და კიდეგანობისა ცეცხლსა ზედა დ ა გ ი ს უ ა მ, ვისრ. 234,1-2.

ორიოდე ზმნა ამ თხზულებებში ახალი ფორმითაც გვხვდება:

3.1. მ ო უ კ ლ ა ვ ა რ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა, ვეფხ. 152,1.

1.3. ეგრე მეტყუი: არაოდეს მ ი ნ ა ხ ვ ი ხ ა რ... და თუ მ ი ნ ა ხ ვ ი ხ ა რ, არცა უიმედოდ გასრულ ვარ, ვისრ. 260,7.

პირველი მათგანის შესახებ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ან გვიანდელი შენატანია, ან გათანაბრების ტენდენციის ჩანასახი. რაც შეეხება მეორეს, ის, რა თქმა უნდა, შემდეგდროინდელი ჩასწორების შედეგია და მიღებულია **ოე** ბოლოსართთიან ზმნათა ანალოგიით. ახალი ქართულიდან ეს ფაქტი ცნობილია და გავრცელებული: უნახავს → უნახია, უნახავხარ → უნახიხარ (|| უნახვიხარ)...

ახალი ფორმები ამგვარ ზმნებთან „ამირან-დარეჯანიანშიც" დასტურდება. აქ მხოლოდ სამი მაგალითია **ავ**-იანი და სამივე მეშველ ზმნა დართულია: მ ი ნ ა ხ ა ვ ხ არ 86,4; გ ა უ წ ი რ ა ვ ა რ თ 61,12 ქვ.; 62,11 ქვ. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკვე XIII საუკუნისათვის მეშველი ზმნის დართვის პროცესი **ავ**-იან და **ამ**-იან ზმნებთან დამთავრებულია. მომდევნო პერიოდის მასალა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის, **ავ**-იან ზმნათა ძველი ქართულისეული ფორმები, თუმცა ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც უფრო გვიანაც გვხვდება. ქვემოთ დამოწმებულ მასალაში თურმეობითი პირველის ორივე ვარიანტს[1] (ძველსაც და ახალსაც) ვუჩვენებთ ერთმანეთის გვერდით: ჯერ ახალს, შემდეგ ძველს.

მო-კვლა

3.1. რაღაცა მიც, მ ო უ კ ლ ა ვ ა რ, სიმძიმითა ტინი კლდია, შაჰნ. I,1796,2; ასევე: თეიმ. I, მაჯ. VII,15,1; ბესიკი 92,12.

გა-კიცხვა

3.1. მე გ ა უ კ ი ც ხ ა ვ ა რ, საბა, I,130,16.

და-მალვა

3.1. მერმე ... აქ დ ა უ მ ა ლ ა ვ ა რ, რუსუდ. 55,23.

ნახვა

2.1. არ გ ი ნ ა ხ ა ვ ა რ, ომის დღეს რა უყავ იმა ლომ-კაცსა? შაჰნ. II,4069,1; ასევე: რუსუდ. 425,13.

3.1. ვითამ მე არც კი უ ნ ა ხ ა ვ ა რ ო, რუსუდ. 496,27. შდრ. ჯელ-შეკრული ვის უ ნ ა ხ ა ვ, ადგილს ვინ დამეცილების, შაჰნ. II,5564,3.

1.2. შენ აგრე კვლავ არ მ ი ნ ა ხ ე ვ ხ არ, რუსუდ. 440,23-24; მ ი ნ ა ხ ა ვ ხ არ, საბა I,11,9 ქვ.; შდრ. მოახსენა: შვილო, მოდი, არ მ ი ნ ა ხ ა ვ დიდი ხანა, შაჰნ. I,1573,1.

3.2. ჯერ არც შენს ყმათ უ ნ ა ხ ე ვ ხ არ, რუსუდ. 270,2.

შე-წირვა

1.2. ბატონის კათალიკოზისაგანცა... [მცხეთას] შეწირულ იყავ და ჩუმნცა... შ ე მ ი წ ი რ ა ვ ხ არ, ქრონიკ. II,497,4 ქვ.; 1683 წ.; და შენც წმინდის გიორგის ალავერდელის ეკკლესიისათვის შ ე გ ვ ი წ ი რ ა ვ ხ არ, ქართლ.-კახ. მონასტრ. ისტ. საბ. 262,4-5 ქვ.; 1798წ.

[1] სადაც ასეთი მოგვეპოვება.

ხელახლა დამიხსნიხართ და ... მიჴვრიტისა[1] მღვთისმშობლისათვის შემიწირავხართ, საეკლ. საბუთ. II,163,15; 1808 წ.); წმინდის ნიკოლოზისათვინ შეგვიწირავხართ, ხახან. გუჯრები, 29,1-2; 1685 წ.; ასევე: ქრონიკ. II,283,3 ქვ.; 1464 წ.; დოკუმენტ. I,72,5; 1682 წ. და სხვა. შდრ. თქუენ... ეკუდრისათვის შემიწირავთ და შეწირულნი ხართ, ისტ. საბუთ. III,24,13; 1441 წ.

ავ-იან ზმნებზე მეშვლის დართვა პირველი პირის ფორმით (**ვარ**, **ვართ**) ერთ ცვლილებას იწვევს: ზმნის ბოლოში ორი **ვ**-ს შეხვედრის გამო ერთი იკარგება. მაგ.: **მოუკლ-ავ-ვარ → მოუკლავარ**, **მოუკლ-ავ-ვართ → მოუკლავართ**. საფიქრებელია, იკარგებოდეს თემის ნიშნისეული **ვ** და არა პირის ნიშანი, რადგან მეორე პირის ფორმაში მეშველი ზმნა არ იცვლება (**მოუკლავ-ხარ**, **მოუკლავ-ხართ**), რაც ხელს შეუწყობდა პირველი პირის სრულად დაცვასაც. გარდა ამისა, სხვა ტიპის ზმნებში (**ი**ე ბოლოსართიანსა და **ამ**-იანებში) მეშველი ზმნა აგრეთვე უცვლელია.

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითი

შე-ბრალება

1.2. მრავალჯერ არ შეგბრალებივარ, ვისრ. 257,18.

დგომა

1.2. მრავალჯერ შენსა კარსა გდგომივარ, ვისრ. 257,15.

და-ვიწყება

1.3. დავვიწყებივარ სიკვდილსა, ვეფხ. 853,4; ასევე: ვისრ. 299,5 ქვ.

და-პირება

1.2. ორის გლეხის წყალობას დაგპირებივართ,[2] დოკუმენტ. I,432,6 ქვ.; 1678 წ.

2.3. დაჰპირებიხარ პატრონსა, შაჰნ. II,4185,4; 4444,3.

შე-რთვა

1.3. დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ სულთა სირასა, ვეფხ. 884, 4.

გა-ყრა, შე-ყრა

1.2. დღეს რისაც მჭონებელი ვარ... ამით ძმათ შეგყრივარ, საქ. სიძვ., I,98,3; 1778 წ.

1.3. შევყრივარ მისსა მნახველსა, · შაჰნავაზ. 121,1; სრულად გავჰყრივარ თმობასა, ვეფხ. 1087,2.

---

[1] ასეა. იგულისხმება ბიჴვინტისა.

[2] გამოცემაშია: დაკბირებივართ.

2.3. არ მოსულხართ, არ შეყრიხართ, დოკუმენტ. I,469,5 ქვ., 1737-1744 წლ.

მო-ძულება, მო-ძულვება

1.2. ვიცი, რომელ მოგძულვებივარ, ვისრ. 273,4-5.

1.3. თუ ვირო ძმა არის, აწ მას მოვსძულებივარ, ვისრ. 92,3; ყოველსა კაცსა აწ მოვსძულვებივარ, იქვე 114,13 ქვ.; ასევე: ვისრ. 202,13.

მო-წყენა, მო-წყინება

1.2. ვიცი, რომელ... მოგწყენივარ, ვისრ. 273,4-5.

1.3. ეგრე იტყოდი, ვითა: მოვსწყინებივარო, ამირან-დარეჯ. 77,7.

2.3. მოსწყინებიხართ მეფესა, ამირან-დარეჯ. 25,12.

და-ჯერება

1.3. თვითან მაგათის მოურავისაგან გასამართლებული არის, რომ ჩვენც დავჯერებივართ და ეგენიცა, ისტ. საბუთ. V,88,10 ქვ.

2.3. რადგანაც მდივანბეგის სამართალს არ დასჯერებიხარ... სამართალს მოგცემთ, საქ. სიძვ. II,489,10-11 ქვ.; 1772 წ.

დასკვნა. ორიოდე სიტყვით თავი მოვუყაროთ, რაც მეშველზმნიანი I თურმეობითის შესახებ ითქვა ზემოთ.

1) მეშველზმნიანი წარმოება თავდაპირველად I თურმეობითში ჩნდება და აქედან უნდა იყოს გადმოსული აწმყოში.

2) ასეთ ფორმათა ჩასახვის პროცესი იწყება XI საუკუნიდან და სავსებით დამთავრებულია XVIII საუკუნისათვის.

3) I თურმეობითში მეშველი ზმნა დაერთვის: გარდამავალი ზმნების ინვერსიულ ფორმებს ობიექტურ პირებში (რომლებიც წარმოშობით სუბიექტურია) და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს სუბიექტურ პირებში.

4) გარდამავალ ზმნებში გარჩეულია **ი**ე ბოლოსართიანი და **ავ, ამ** თემის ნიშნიანები. **ი**ე დაბოლოების მქონე გარდამავალ ზმნებსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებში ერთდროულად და თითქოს ერთბაშად ხდება ახალ წარმოებაზე გადასვლა. რაც შეეხება **ავ** და **ამ**-იან ზმნებს, აქ ახალი ფორმები შედარებით გვიან ჩნდება.

აწმყო

სტატიკური ვნებითი

სტატიკური ვნებითის აწმყოში მეშველზმნიანი ფორმები ტექსტებში თითქმის I თურმეობითის სათანადო ფორმათა ერთდროულად ჩნდება. მაგრამ სტატიკური ვნებითი საერთოდ და განსაკუთრებით მისი I და II სუბიექტური პირის ფორმები იმდენად იშვიათია წერილობით ძეგლებში, რომ მათ მიხედვით ძნელია ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს I თურმეობითისა და სტატიკური ვნე-

ბითის ფორმები ერთდროულად ჩაისახა. I თურმეობითის მეშვლიანი ფორმები საშუალი ქართულის თითქმის ყველა ძეგლში ჩვეულებრივია და ხშირი, მაგრამ იმავე ტექსტებში სტატიკური ვნებითის ორი-სამი მაგალითიღა შეიძლება მოინახოს.

ავ-იანი სტატიკური ზმნის I და II სუბიექტური პირის ფორმები ტექსტებში არ შეგხვედრია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთადერთ მაგალითს: ... ხელთ უჭირავარ ორთავე (თეიმ. I, 9, 49, 2). **ოე**-ზე დაბოლოებული ზმნები კი შედარებით მეტია. საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდიდანვე ამ დაბოლოებაზე გადადის ყოველნაირი სტატიკური ზმნა: **აბს → აბოა, არტყს → არტყოა, ჰკიდავს → ჰკიდოა**... **-ოა** დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენცია თავს იჩენს მედიოპასიურ ზმნებთანაც: **ადგს → ადგოა, აკლს → აკლია** (შანიძე, 1953, § 392, 564) და სხვა.

შენიშვნა. ზმნა **ჰგიეს**, რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება, მხოლოდ ძველი ფორმით გვხვდება საშუალ ქართულშიაც. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აქ ის ცოცხალი და აქტიური სიტყვა აღარაა. იხმარება ჩვეულებრივ ისეთ კონტექსტში, სადაც ის და სხვა ასეთი ფორმები (განსაკუთრებით I თურმ.-ის მესამე პირი **-ოეს** დაბოლოებით) არქაულ სამკაულებადაა გამოყენებული. მეორე მხრივ, სიგლებს წინ უძღვის ხოლმე გრძელი ღვთისმეტყველური შესავალი, სადაც ჩვეულებრივ სასულიერო მწერლობიდან ამოღებული ფრაზებია პირდაპირ მოყვანილი. ასეთ ფრაზებში შემორჩენილია ძველი მორფოლოგიური ფორმაც. ახალ ქართულში ეს სიტყვა აღარ გადმოსულა.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1.(3). და მიერითგან ვიდრე აქამომდე ვგიეთ შენ მიერ მართალსა და მტკიცესა სარწმუნოებასა ზედა, ისტ. საბუთ. III,89,8; 1595 წ. და სხვა.

2.(3). შენ ხარ სასანთლე იგი ოქროჲსაჲ ... რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა... და თჳთ მხოლოდ ჰგიე მოუკლებელად... ტაძარსა მაგას სიწმიდისასა, საეკლ. საბუთ. I,90,22; 1706 წ.

სხვა სტატიკურ ზმნათა მაგალითები ასეთია:

ბ (ბმა)

1.(3). ლომთა ჰანგშიგა ვაბივარ, შაჰნ. II,4212,3; ქორის ჰანგშიგა ვაბივართ, იქვე 3924,1.

2.(3). რას საქმეშიგან აბიხარ, იქვე 4313,3.

გდ (გდება)

1.(3). აქა ვგდივარ, საქ. სიძვ. III,316,13 ქვ.; 1796 წ.; მე აქ მიწაზე ვაგდივარ, რუსულდ. 537,28-29.

გონ

1.2. გგონივარ ვინმე ვაჭარი, ვეფხ. 1262,1; რად გგონივარ უჭკუო, იქვე 1501,2; ვინ გგონივარ, იქვე 1279,1; ასევე: რუსულდ. 552,18; იქვე 293,17.

1.3. ვგონივარ, ვისრ. 238,16; 114,2 ქვ.; თეიმ. I, მაჯ. VIII,1,1; ომაინ. გვ. 97,31; 84,34 და სხვა.

2.1. შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი, ვეფხ. 816,3; ასევე: რუსუდ. 228,4.

მართ

2.(3). რადღა ჰმართიხარ ზე, მთაო? ვეფხ. 1592,4; ასევე: თეიმ. I,132,55,3.

რევ

1.(3). მე იმის საქმეში არც არას ურევივარ და არცა რა ვიცი იმ შენის მსახურის სიკვდილისა... და არცა ვურევივარო, საქ. სიძვ. III,463,18-19; 1751 წ.

წერ

1.(3). ახლაც თქვენს სახასოს დავთარში ვსწერივართ, დოკუმენტ. I,324,3 ქვ.; 1745 წ.

(ა)ხლავ

ძველსა და ახალ სალიტ. ქართულში ეს ზმნა **ავ**-იანია აწმყოში: ახლ-ავ-ს. საშუალ ქართულში გვხვდება რამდენიმე ფორმა, სადაც ისიც სტატიკურთა **ია** დაბოლოებაზეა გადასული: გახლია, ახლია...

1.2. გახლივარ, — ჩემსა წავიდეთ, შაჰნ. II,5086,4.

მშვიდობით გახლივართ, საქ. სიძვ. III,102,11 ქვ.; 1803 წ. ასევე: იქვე 97,14 ქვ.; 1796 წ.; შაჰნ. II,4693,1.

1.3. თქუენსა ჩრდილსა არ ვახლივართ, შაჰნ. I,1398,4.

2.3. შორს ახლიხარ საყვარელს, გურამიშვ. 78,371,2.

3.2. ბრძანე, გვერცა ვინ გახლია? შაჰნ. II,4196,3.

ჯობ

1.2. მე გჯობივარ, შაჰნ. II,4533,3; იქვე 1659,2.

1.3. ვჯობივარ, შაჰნ. I,2120,2; იქვე 2150,3.

2.3. შენ სჯობიხარ თურანელთა? შაჰნ. II,3421,2.

დასკვნა. მეშველზმნიანი ფორმები სტატიკურ ვნებითში გვხვდება XII საუკუნიდან. პროცესი დამთავრებულია საშუალ ქართულში. საშუალი ქართულის ადრინდელი პერიოდიდანვე სტატიკურთა დაბოლოებაზე გადადიან საშუალი გვარის ზმნები აწმყოში, რითაც სტატიკური ვნებითისებრი ფორმების რიცხვი საგრძნობლად იზრდება.

საშუალი გვარის ზმნები

სპეციალურ ლიტერატურაში, როცა კი მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობის საკითხი დასმულა, თითქმის ყოველთვის უვარაუდნიათ, რომ ასეთი ფორმე-

ბი თავდაპირველად საშუალი გვარის ზმნათა აწმყოში გაჩნდა (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ. 131-140; ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 185; ნ. ნათაძე, 1955, გვ. 90-91). ზემოთ კი აღნიშნული იყო, რომ საშუალი ქართულის უხვი მასალა სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს: მეშველი ამ ტიპის ზმნებს ყველაზე გვიან დაერთო. I თურმეობითში იე-ზე დაბოლოებულ ზმნებთან მეშველი ზმნის დართვის პროცესი დამთავრებულია უკვე „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“, მაშინ როცა ამავე ძეგლებში საშუალი გვარის ზმნათა აწმყო ისევ ძველი ფორმითაა წარმოდგენილი, ე. ი. უმეშველოდ. მხოლოდ და მხოლოდ ძველი ფორმები მოიპოვება „თამარიანსა“ და „აბდულმესიანში“, ხოლო „ვისრამიანსა“, „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირან-დარეჯანიანში“ ამათ გვერდით რამდენიმე ახალი ფორმაც შეინიშნება. ეს უკანასკნელი თითქმის უმნიშვნელოა ძველი წარმოების საერთო ფონზე (სამივე თხზულებაში 80-ზე მეტი ძველი ფორმაა და მხოლოდ 5 ახალი. ამასთან, 5 ახალი ფორმიდან 3 „ამირან-დარეჯანიანში“ არის, თითო-თითო — „ვისრამიანსა“ და ვეფხისტყაოსანში“). აღნიშნულ ძეგლებში წარმოდგენილი ვითარების ასეთი შეფარდება თავისთავად საინტერესოა.

ადგილის სიმცირის გამო საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ძეგლებიდან საილუსტრაციო მასალას წინადადებების გარეშე მოვიყვანთ.

ერთპირიანი ზმნები

დეგ

1. ვდგა, ვისრ. 260,4; ვდგათ, ვეფხ. 1034,4. 2. სდგა, იქვე 271,8; სდგათ, ვეფხ. 449,2; ვისრ. 109,11 ქვ.

ზი, სხედ

1. ვზი, ვისრ. 78,8; ვეფხ. 858,4; 1300,1; 2. ჰზი, ვისრ. 146,9 ქვ.; ვეფხ. 529,4; სხედთ, ვისრ. 53,17.

ჩან

1. ვჩანთ, თამარ. XII,55,3; 2. სჩან, თამარ. III,10,4; იქვე V,35,3; იქვე XII,26,3; ვეფხ. 517,3.

წევ

1. ვწევ, ვისრ. 248,19; 2. სწევ, იქვე 62,9.

ჯამ

1. ვჯამ, ვეფხ. 784,1; 2. ჰჯამ, ვისრ. 261,9 ქვ.; იქვე 146,12 ქვ.

ორპირიანი ზმნები

გავ, მი-

1.3. ვჰგავ, ვისრ. 56,8; იქვე 56,10; იქვე 56,17; იქვე 57,13; იქვე 60,16 ქვ.; ვეფხ. 317,4; ვჰგავთ, ვისრ. 317,6; მივჰგავ, ვისრ. 56,16.

2.3. ჰგავ, აბდულმ. 9,1; ვისრ. 70,4; იქვე 123,12 ქვ.; იქვე 196,7; ვეფხ. 955,2; იქვე 80 3; ჰგავთ, ვისრ. 189,15 ქვ.; ამირან-დარეჯ. 43,7; იქვე 84,11 ქვ.

ზი

2.1. გუიზი, ვისრ. 318,9 ქვ.

მძიმ

2.1. მიმძიმ, ვეფხ. 433,3.

ნდ

1.2. გინდი, ვისრ. 184,3 ქვ.; იქვე 218,5; იქვე 276,4 ქვ.
1.3. უნდი (მე მას), ვისრ. 97,2; იქვე 281,5 ქვ.; ვეფხ. 556,2.
2.1. მინდი, ვისრ. 307,18 ქვ.; ვეფხ. 714,4.
2.3. უნდი (შენ მას), ვეფხ. 750,3.

უავ

1.2. გუავ, ვისრ. 165,3 ქვ.; გუავთ, ქრონიკ. II,166,14; 1280 წ.
1.3. ვუავთ, ქრონიკ. II,166,6.
2.1. მუავ, ვისრ. 80,2 ქვ.; იქვე 153,16 ქვ.

უუარ

1.2. გიუუარ, ვისრ. 276, 8.
1.3. ვუუვარ (მე მას), ვეფხ. 360,1.
2.1. მიუუარ, ვისრ. 72,10 ქვ.; იქვე 79,8 ქვ.; მიუუართ, ამირან-დარეჯ. 97,14 ქვ.; გუიუუართ, იქვე 88,12.
2.3. უუუარ (შენ მას), ვისრ. 45,17; იქვე 70,19 ქვ.; იქვე 70,18 ქვ.

(ა)ხლავ

1.2. გახლავ, ვეფხ. 920,3.
1.3. ვახლავ, ვისრ. 191,7 ქვ.; ვეფხ. 886,4; იქვე 658,3; ვახლავთ, ვეფხ. 1390,3.
2.1. მახლავ, ვეფხ. 106,4.
2.3. ახლავ, ვისრ. 171,3 ქვ.; იქვე 103,20.

ხსოვ

1.3. ვახსოვ, ვეფხ. 284,4.

ჯობ

1.2. გჯობ, ვეფხ. 79,1; იქვე 201,3.
1.3. ვსჯობ, ვისრ. 116,3; ვსჯობთ, ვეფხ. 202,2.

ახალი ფორმებია: 1. ვდგავარ, ამირან-დარეჯ. 25,28; ვდგევარ, იქვე 29,4 ქვ.; ვდგევართ, ამირან-დარეჯ. 19,6; 2. სდგახარ, ვისრ. 17,23.

2.1. მჯობხარ, ვეფხ. 1275,3.

XV საუკუნისა და განსაკუთრებით კი, XVI-XVII საუკუნეთა ძეგლებში მეშველზმნიანი და უმეშველო ფორმები თითქმის თანაბრად გამოიყენება (ცოტათი სჭარბობს აღწერითი). სხვანაირი მდგომარეობაა XVIII საუკუნეში: აქ ძველი ფორმები უკვე იშვიათია, თუმცა ისევ მოიპოვება. ორივენაირი წარმოების პარალელური ჩვენება, ვფიქრობთ, ნათელს გახდის საქმის ვითარებას.

ერთპირიანი ზმნები

ზი, სხედ

1. მე ლაპარაკად აქა ვზი, შაჰნ. I,2933,3; ასევე შაჰნ. II,3139,1; იქვე 3188,4; შვიდი მთ. 190,2; იქვე 708,4; იქვე 1585,2; თეიმ. I,160,4 ქვ. და სხვ. შდრ. მზესთან მთუარე ვითა ვზივარ, შაჰნ. I,1659,4; ასევე: იქვე 1242,4; შაჰნ. II,4289,3; რუსუდ. 57,21; შვიდი მთ. 208,3; შაჰნავაზ. 602,4 და სხვა.

მხიარულნი ტახტზედ ვსხედვართ, შაჰნ. II,5392,2; ასევე: იქვე 4431,2.

2. ეტლსა ჰზი, თეიმ. I, მაჯ. III,1,1; ზღვას ზი, შაჰნ. II,3145,4; ასევე: რუსუდ. 85,14; იქვე 54,17; იქვე 365,14; არჩილ. II,226,2 და სხვა. შდრ. ღვინის ნაცვლად ჰზიხარ წართვად, თეიმ. I, მაჯ. IV,7,4; ტახტსა ზედა ზიხარ, რუსუდ. 90,17; ასევე: იქვე 298,20; იქვე 204,16; არჩილ. II,413,4; იქვე 356,3 და სხვა.

თქვენ... სმად სხედხართ, საბა I,101,11 ქვ.

წევ

1. შენგან დაჭრილი ლახვრითა ვწევარ, შვიდი მთ. 106,3; ასევე: იქვე 648,4.

2. აფრასიობ, სწევხარ ძილად? შაჰნ. II,4342,2; ასევე: რუსუდ. 338,9; იქვე 446,36; იქვე 603,23; იქვე 603,33-34 და სხვ.

წუხ

1. თქვეს: ვწუხთო აქ არ დამხდომნი, არჩილ. II,266,3.

2. ჯიმშედ გაიცინა: ნუ სწუხ, მზეო ჩემო! რუსუდ. 194,9; ასევე: იქვე 17,15; იქვე 17,8; იქვე 494,4; საბა I,61,8. შდრ. რასთვის სწუხხარ, პირად მზეო? არჩილ. II,79,2; ასევე: საბა I,62,12; მან მითხრა: აბა რასა სწუხარო?! რუსუდ. 243,19; ასევე: იქვე 111,1; იქვე 551,28.

მაგაზე ნუ სწუხხართ, ძმანო, რუსუდ. 584,12; სწუხართ, იქვე 571,8.

ორპირიანი ზმნები

გავ

1.3. ვარდს ვჰგავ, შვიდი მთ. 1600,3; ასევე: იქვე 1619,2; თეიმ. I,47,175,4; შდრ. შტო-მოტეხილსა ხესა ვგავარ (რუსუდ. 603, 37); ასევე: იქვე 52, 29; შაჰნ. I, 1659, 4; რუსუდ. 469, 11.

2.3. არა ჰგავ სახით ვაჟარსა, შვიდი მთ. 942,1; ასევე: იქვე 942,2; იქვე 424,1; შაჰნ. I,2675,4. შდრ. სისრულითა ჰგავხარ ზღვასა, შაჰნ. I,2793,3; ასევე: შაჰნ. II,3070,2; შვიდი მთ. 517,4; თეიმ. I,69,78,3; გავხარ, რუსულ. 101,12; ასევე: შაჰნ. II,3302,1; იქვე 5099,1 და სხვა.

ყვარ

1.2. შვილის წესით არ გიყვარვარ, შაჰნ. II,5044,3; ასევე: რუსულ. 255,20-21.

1.3. ვისაც უყვარვარ, იამოს, შაჰნ. I,1168,4.

2.1. ვით მიყვარ, სრულად დაწერა არ შეუძლიან კალამსა, თეიმ. I,47,169,3; ასევე: იქვე 82,179,1; შდრ. მას აქეთ... მიყვარხარ, რუსულ. 255,19; ასევე: არჩილ. II,82,4; ომაინ. 134,1.

2.3. რად უფრო უყუარ მამასა, თეიმ. I,64,37,3; შდრ. უყვარხარ სრულად ლაშქართა, შაჰნ. II,5059,1; ასევე: იქვე 4471,4; რუსულ. 504,23 და სხვა.

ჯობ

1.2. ბრწყინვალებითა ცისკარსა „მე გჯობ-ო“ დაუმორევდა, თეიმ. I,66,50,4); ასევე: იქვე 103,32,2; შდრ. სალხინოდ მე გჯობვარ, იქვე 106,54,3; ასევე: არჩილ. II,83,1.

2.3. გგავს, მაგრა კიდევ შენ სჯობო, თეიმ. 1,9,48,4; შდრ. შენ სჯობხარ ვარდსა სინათლით, იქვე 21,54,2; ასევე: არჩილ. II,83,2; შვიდი მთ. 626,2.

2.1. ვერც ყმად გვჯობ, ვერცა ძალ-გულად, შაჰნ. II,3371,3; შდრ. უთხრეს... შენ გვჯობხარ ფერადო, თეიმ. I, მაჯ. II,3,1.

ზემოთ განხილულ მასალაში წარმოდგენილი არ იყო XVIII საუკუნის ნიმუშები, რადგანაც აქ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს წინა პერიოდთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ძველი წარმოების (უმეშვლო) ფორმები ისევ გვხვდება, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად მეშველზმნიან ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი ამ დროისათვის დამთავრებულია. საინტერესო სურათია ამ მხრივ დ. გურამიშვილთან. ძველი და ახალი ფორმების შეფარდება აქ ასეთია: ძველი — 7, ახალი — 26. მხოლოდ მეშვლიანი წარმოება გვაქვს XVIII საუკუნის სიგელ-გუჯრებში.[1] ამიტომ XVIII საუკუნისათვის ნორმად ვერ მივიჩნევთ ბესიკთან დაცულ ვითარებას: საშუალი გვარის ზმნათა აწმყო ბესიკთან ძველი ქართულისებრია, მეშველ ზმნას არ დაირთავს.[2] უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ანტონ I-ის სკოლის გავლენასთან გვაქვს საქმე.[3]

დასკვნა. საშუალი გვარის ზმნათა აწმყოში აღწერითი წარმოების თითოოროლა ნიმუში გვხვდება XII-XIII ს.ს. ტექსტებში. XV-XVI საუკუნეებიდან კი

---

[1] ადგილის სიმცირის გამო საილუსტრაციო მასალა ვერ მოგვყავს.

[2] ორიოდე მეშვლიანი ფორმა (მიყვარხარ 93, 12; მიყუვარ 54, 3) სურათს, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის.

[3] შდრ. ბესიკი, თხზულებანი, მეექვსე გამოცემა, ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 283, 287.

ასეთი ფორმები იმდენად მრავლდება, რომ თითქმის სჭარბობს ძველი წარმოებისას. XVIII საუკუნისათვის ახალი წარმოება უკვე გაბატონებულია.

აღწერით ფორმათა გავრცელების არე დიალექტებში

როცა აღწერით ფორმათა გავრცელებულობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება: თურმეობითი პირველი ამგვარ ფორმათა გაჩენიდანვე გვიჩვენებს ერთფეროვნებას, რომელიც ახლაც გვაქვს. მეშველი ზმნა აქ ყოველგვარ ზმნას დაერთვის (გარდამავალს, გარდაუვალს).[1] სხვა ვითარებაა აწმყოში საშუალი გვარის ზმნებთან. აქ აღწერით წარმოებაზე თავდაპირველად გარკვეული აგებულების ზმნები გადავიდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, მეშველზმნიანი წარმოება პირველ რიგში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე მარტივ ზმნებთან გვხვდება. ესენია, ერთი მხრივ, ზი-ს, რბი-ს, დუმ-ს (დუმი-ს), წუხ-ს, ყარ-ს, ს-ძულ-ს, ჰ-რწამ-ს, უყვარ-ს, ს-ძაგ-ს და სხვ. მეორე მხრივ, დგა-ს, ჩან-ს, ჰ-ყავ-ს, ჰ-გავ-ს... ამ უკანასკნელებში თითქოს ხერხდება ზმნურ სუფიქსთა გამოყოფა (დგას ← *დგ-ან-ს ← *დეგან-ს), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სუფიქსები სხვა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ე. წ. თემატურ სუფიქსებთან შედარებით, შემდეგ, სამეტყველო აზროვნებაში დიდი ხანია უკვე აღარ შეიგრძნობა მათი სუფიქსობა. ეს ზმნები აღიქმება, როგორც მარტივ ფუძიანები, ვერც საშუალ ქართულში და ვერც ახალ სალიტერატურო ქართულში ვერ შეხვდებით მეშველ ზმნას **ებ**, **ავ**, **ობ** და სხვა სუფიქსების მქონე ზმნებთან. მათ არ სჭირდება მეშველი ზმნა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ანალოგიის გზით საშუალი გვარის გარკვეულ ზმნებში აღწერითი წარმოების გავრცელებისათვს ზმნურ ფუძეთა აგებულებასაც უნდა შეეწყო ხელი.

სხვანაირი სურათია დიალექტებში. დამხმარე ზმნა აქ დაერთვის თითქმის ყოველნაირ ფუძეს (განსაკუთრებით ზოგიერთ კილოში, მაგ., ინგილოურში) და, რაც საყურადღებოა, არა მხოლოდ საშუალი გვარის ზმნებს, არამედ მოქმედებითისასაც (აგრეთვე ინგილოურში, გურულში...).

საილუსტრაციო მასალას დავალაგებთ სუფიქსთა მიხედვით. ამასთან, ჯერ გარდაუვალ ზმნათა ფორმებს მოვიყვანთ, შემდეგ — გარდამავალი ზმნებისას.

გარდაუვალი ზმნები

ი სუფიქსიანები

საშუალ ქართულსა და ახალ სალიტერატურო ქართულში საშუალი გვარის ზმნათა ერთ ნაწილს, რომელსაც ბოლოში **ი** სუფიქსი მოუდის, მეშველი ზმნა არ დაერთვის. ესენია: ტირ-ი-ს, კვნეს-ი-ს, ძრწ-ი-ს, ყვირ-ი-ს, ყვავ-ი-ს, ჩივ-ი-ს, ტყუ-ი-ს და სხვა. დიალექტებში, აგრეთვე სასაუბრო მეტყველებაში, აღწერითი წარმოება ამათზეც გავრცელებულა.

ბღავ-ი-ს: რა ჰბოსავით ბღავიხარ (ინგილ.: ქართ. დიალექტ. 246,4).

---

[1] არ ვგულისხმობთ ერთპირიან ზმნათა I თურმეობითს, მისი სხვაგვარი შედგენილობის გამო: აქ მეშველი ზმნა მიმღეობას დაერთვის და არა პირიან ზმნას.

კვნეს-ი-ს: ორი დღეა ვკვნესივარ (საუბრიდან).

ტირ-ი-ს: მე რომ ვტირივარ და შევჩივივარ, ვინ მაძლევს რამეს? (საუბრიდან); რათ ტირიხარ, მალე მოვა შენი ძმაო (ჯავახ.: ქართ. დიალექტ. 346,1-2 ქვ.); ასევე: ჯავახ., იქვე 347,1-2; ინგილ.: ღამბ. ინგილ. კილო 282,1.

ტყუ-ი-ს: ტყუვხარ, მელა! (ინგილ.: მ. ჯანაშვ., საინგ. 182,13); ასევე: ღამბ., ინგ. კილო 289,3 ქვ.

უვირ-ი-ს: შენ რომ უვირიხარო, ქვეყანა უნდა შემიყაროო? მესხური: ქართ. დიალექტ. 368,3.

ჰყოფნ-ი-ს: შენ ჩვენს მეტი არავინ გივლის? რა, თქვენ არ მყოფნიხართ თუ? საუბრიდან.

იცინ-ი-ს: რას იცინიხარ? რას იცინიხართ?[1] (ქართლური: მცხეთის რ-ნი, სოფ. ნიჩბისი; ასევეა გარეკახურშიაც).

შესცქერ-ი-ს: თვალ-გულ-დამშეული შევსცქერივარ, ვაჟა III,171,3; რა წამსაც ავდარს დაიწყებს, მთებს შევცქერივართ ჭალითა, ვაჟა I,305, VII,2).

ღერ-ოვ-ს (= *მღერობს) = მღერის: უჩუმრად დადექ, მე ღეროვვარ, ინგილ., კახის რ-ნი. შდრ. ღრრივარ || ღეროვ || ღრროვ (= ვმღერი), იქვე.

ობ-იანი ზმნები

კოჭლ-ან-ს (= კოჭლობს): კოჭლანხარ (= კოჭლობხარ = კოჭლობ) (მესხური) (ძიძიგური, 1954, გვ. 142).

ავ-იანი ზმნები

გორ-ავ-ს: რა არის, რომ ყოლგან გორავხარ? გურული.

კუთ-ავ-ს (= კვნესის): შენ რაღას კუთავხარ? იქვე.

სტვინ-ავ-ს (= სტვენს): ნუ სტვინავხარ, ბიჭო! იქვე.

ღელ-ავ-ს: ვწერ და მე ამ დროს ისე ვღელავარ... (გურული: გაზ. სოც შრომა, 13. VIII, 1961, მე-4 გვ.); მომითმინე, კაცო, ნუ ღელავხარ (გურული).

ღოღ-ავ-ს: სა ღოღავხარ, ბიჯო, თელი დღეი? (იქვე).

ხტუნ-ავ-ს: თელი დღეი რომ ხტუნავხარ, საქმეს როის გააკეთეფ? (იქვე).

ევ-იანი ზმნები

მისდ-ევ-ს: შენ მიდევხარ? (= მიჰყვები, გამომც. განმარტებით: აჭარა დიალექტ. 24, 27); ძველი მარხვის ჩვეულებით იმ წესსა მივსდევართ (მოხეური: ქართ. დიალექტ. 39, 17-18).

გარდამავალი ზმნები

ჰყრის: მარილს ჩეჲში ვყრივარ (= მარილს ჩაიში ვყრი; ინგილ., სოფ. ალიაბათი); სიმინდს ჰყრუვარ (= სიმინდს ვთესავ; ინგილ., სოფ. კახი).

[1] მაგალითები მომაწოდა ასპ. კლარა გაგუამ.

ცეს: დამიჟერ, მე ვიცივარ ნადირი ყადდაღ (ღამბ., ინგილ. კილო 252,11); ასევე: იქვე 279,20; იქვე 290,1; ქართ. დიალექტ. 230,11-12); უცუვარ (=ვიცი; ღამბ., ინგილ. კილო 290,10 ქვ.); ახლა იციხარა, ჩემ ბიზამ რაღ თქო? (ინგილ., ქართ. დიალექტ. 230,4 ქვ.); ასევე: ღამბ., ინგილ. კილო 274,6; ქართ. დიალექტ. 231,25; თქრს, ჩონ ვერ ვიცივართ, ხაბარ არ გოქავ, ღამბ., ინგილ. კილო 267,3 ქვ.; არ იციხართ, იქ რა დრვლათ არისავ, იქვე 282,12 ქვ.

ძებნის: შეველ შიგ შაარში, ზრბნივარ (= ვძებნი), ნოხო, ერ ჰენგილავ დამიხტრვავ? ღამბ., ინგილ. კილო 261,7.

ჭამს: პურს (|| პურ) ვჭამვარ, თავ გამანებ, და! ინგილ., კახი; ჰჭამხარ, იქვე.

ამბობს: ეს რაუმ იქნეს? ჰომბოვვარ (= ვამბობ), ემაგრა ბოღრიალოვს, ღამბ., ინგილ. კილო 259,6 ქვ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტექსტებში გაცილებით ნაკლები მასალაა წარმოდგენილი (იმის გამო, რომ I და II სუბიექტურ პირებთან მიმართებები თხრობისას იშვიათია), ვიდრე ამა თუ იმ დიალექტში სინამდვილეში გამოიყენება. და, მაშასადამე, სრული ვითარების გასათვალისწინებლად დიალექტთა ადგილობრივ შესწავლაა საჭირო. ერთი რამ ამ მცირე მონაცემებითაც ირკვევა: აღწერით ფორმათა გავრცელების არე ბევრად უფრო ფართოა კილოებში, ვიდრე სალიტერატურო ქართულში. ამასთან, იმ დიალექტებში, სადაც სალიტერატურო ქართულის გავლენა სუსტია, ასეთ ფორმათა გავრცელებას ანალოგიის გზით მეტი გასაქანი აქვს. ასეთი გზა უნდა ჰქონდეს გავლილი ჭანურ-მეგრულსა და სვანურსაც: აღწერითი წარმოება ამ ენებში აწმყოდან სხვა მწკრივებშიაც გადასულა; არც გვარის მიხედვით გარჩევა შემოგვრჩენია.

დიალექტების გზით აღწერითი წარმოება, ზოგიერთ შემთხვევაში,[1] ლიტერატურაშიაც იჩენს თავს. მაგ., ვტყუივარ, შემინდე! (ლიტ. გაზ. 10. VI. 1960, „დროის შესაფერისად", გვ. 4); რას ჩადიხარ, ხამსის! (იქვე 17. VI. 1960); რას ჩადიხარ, თამარ! (იქვე 14. IV. 1961, გვ. 2); შენ აღარ ტირიხარ? (ჟურნ. „საბჭ. ქალი", № 2, 1961, გვ. 23); ხედავ, შენ კი ყოველთვის ჩივიხარ, რომ შენზე არ ვფიქრობ (იქვე გვ. 23). ვფიცავარ, არ ვიცი... აწკმუტუნდა მელია (მნათობი, 1962 წ., № 10, გვ. 5); ექსპრეს-მატარებლით მიჰქროლავხარ სივრცეში (კ. გამსახურდია, რჩ. თხზ., ტ. II, 1959, 7, 12).

ნაწილი მესამე

მეშველზმნიან ფორმათა გარჩევის მიზეზების შესახებ

მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობის მიზეზების რკვევისას ქართულში არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სხვა ქართველურ ენათა მონაცემები.[2] ამ მხრივ ქართულის სრულ ანალოგიას ვპოულობთ როგორც სვანურში (ქვემოსვანურში),

[1] განსაკუთრებით ინიან ზმნებთან.

[2] შრომის ამ ნაწილში გამოყენებულია ის ტერმინოლოგია, რომელიც ამ ენათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში გვაქვს.

ისე კოლხურში (ჭანურში, მეგრულში). სვანურში სურათი ნათელია: მეშველი ზმნა სრული სახით (ისევე როგორც ქართულში) და პირთა მიხედვით დაერთვის აღებულ ზმნურ ფორმას (სგურ-ხუი, ვზივარ; სგურ-ხი, ჰზიხარ); მეგრულ-ჭანურში სხვანაირი მდგომარეობაა: დამხმარე ზმნა აქ ისე გაცვეთილა, რომ სუფიქსად ქცეულა და მხოლოდ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად ხერხდება მისი თავდაპირველი სახის გათვალისწინება (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ. 131-139).

სვანურზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ქვემოსვანური; ზემოსვანურში (განსაკუთრებით ბალსზემოურში) უძველესი მდგომარეობაა დაცული, ისეთივე, როგორიც ძველ ქართულში გვქონდა შესაბამის ზმნებთან. რაც შეეხება ქვემოსვანურს, აქ მოვლენა ისე შორს წასულა, რომ აღწერით ფორმათა გავრცელების თვალსაზრისით იგი ყველა ქართველურ ენას უსწრებს წინ. ქართულში მეშველი ზმნა, როგორც ვნახეთ, მხოლოდ აწმყოს ფორმით დაერთვის სათანადო ზმნებს. აღწერითი ფორმები, სადაც მეშველი ზმნა ნამყოს ფორმით გვექნებოდა, ქართულმა არ იცის.[1] სვანურში ასეთიც გვაქვს. გაცილებით მეტია სვანურში მწკრივთა რაოდენობაც (თოფურია, 1931, გვ. 183) და, რაც საყურადღებოა, ქართულისაგან განსხვავებით (და მეგრულის მსგავსად) მეშველი ზმნა სვანურში ყოველგვარ ზმნას შეიძლება მოუდიოდეს.

მეშველი ზმნა **აწმყოს ფორმით** დაერთვის შემდეგ მწკრივებს:

1. აწმყო;
2. კონიუნქტივი I, II, III;
3. მყოფადუსრული;
4. მყოფადსრული;
5. თურმეობითი I;
6. ნამყოსრული (=ქართ. თურმეობით I-ს).

ნამყოს ფორმით:

1. ნამყოუსრული;
2. პირობითი;
3. აორისტი;
4. ნამყოწინარეწარსული (= ქართ. თურმეობით II-ს).

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს მწკრივთა მიხედვით.

აწმყო

ლენტ.	1. ლუგ-ხუი	ლაშხ. ლჳგ-(ლუგ-)ხუი[2]	ბალსზ. ხუგ (ვდგავარ)
	2. ლგგ-ხი		ხგგ (სდგახარ)
	3. ლგგ		ლგგ (დგას).
ლაშხ.	1. თერა̈-ხუი (ვჩანავარ) (იქვე, 11)		1.2. ჯაყა̈-ხუი (გყავარ)
	2. თერა̈-ხი		1.3. ხუაყა̈-ხუი (ვჰყავარ)

[1] რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მიმღეობიანი აღწერითი ფორმები და ამათი ანალოგიით აღმოსავლურ დიალექტებში გავრცელებული. II თურმეობითის ისეთი წარმოება, როგორიცაა ჰქონიყო, სცოდნიყო და სხვა (ჰქონოდა, სცოდნოდა-ს მაგიერ).

[2] სვანური მაგალითები მოყვანილია ვ. თოფურიას წიგნიდან, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 2.

3. თერა

2.1. მაყა-ხი (მყავხარ)
2.3. ხაყა-ხი (ჰყავხარ).

და ასე სხვა ტიპის ზმნებთანაც:

	ლაშხ.	ლენტ.
1.3.3.	ხოტხე-ხუი	ხუტხე-ხუი (ვუბრუნებ) (იქვე, 183).
2.3.	ხამარე-ხი	ხამარე-ხი (ამზადებ).

ლაშხ. ხამურჯი-ხი (აპირებ) (სი ლოქ ერ ხამურჯიხი „შენ რომ აპირებხარო“) (იქვე, 184); ხუადგარი-ʳხუიˀ (ვკლავ); ხუაჳნი-ʳხუიˀ (ვხნავ); ხუიგნალ-ʳხუიˀ (ვდგები); ხიგნალʳხიˀ (სდგები) (ხიგნალხი ესა? სდგები?).

კონიუნქტივი I

ლაშხ. გუეჳნრლდე (|| ე)-ʳხუიˀ (ვძლებდე) (იქვე, 214);

ხუადგარდე-ʳხუიˀ(ვკლავდე)
ხადგარდე-ʳხიˀ
ადგარდეს.

ხუეშყე-ხუი (იქვე, 215) (ვახსოვდე)
ხეშყე-ხი
ხეშყეს.

მყოფადუსრული

ლაშხ. 1.3. ხუადგარნი-ʳხუიˀ (ვკლავდე იქნება).
2.3. ხადგარნი-ʳხიˀ
3.3. ადგარნი

მყოფადსრული

ლაშხ. სი ქრხჩედნი-ხი ← ლენტ. ქახოჩედენი-ხი „შენ წამოუხვალ, გამოექცევი“ (თოფურია, 1931, 192); ჯოდ ლოქ სი აჳდენი-ხი ეჩაჯ, ფიშირ... მარას ლოქ ეთლაკი-ხი „ვიდრე შენ მიხვალ (ააწევ) იქამდეო, მრავალ... კაცს წააწყდებიო“ (იქვე, 208); სი ლოქ ლახ ჟი მესგვრი-ხი „შენ რომ ზედ მეჯდომები“ (იქვე, 184); ოდგე-ხუი, ლენტ. ადუგე-ხუი (გავაქრობ) (იქვე, 183) და სხვა.

I თურმეობითი

ლაშხ. 1.3. ხუაბრლნა-ხუი||ხუაბმ/ნრლნა-ხუი
(ვებმებოდი თურმე), (იქვე, 197).
1.3. ხუაკუშენრლნა-ხუი (ვუტყდებოდი თურმე) (იქვე).
1.3.3. ხუაგმინა-ხუი
ლენტ. ხუაგემნა-ʳხუიˀ (ვუშენებდი თურმე).
2.3.3. ხაგმინა-ხი ხაგემნა-ʳხიˀ (უშენებდი თურმე) (იქვე,133).
შდრ. ბალსზემ. ხუაგმინა, ხაგმინა.

II კონიუნქტივი

ლაშხ. 1.3. ლოხშყე (||ე-ხუი) (მოვაგონდე). შდრ. ლენტ. ლახუეშყე
2.3. ლეხშყე (||ე-ხი) ლახეშყე
3.3. ლეხშყეს ლახეშყეს (იქვე, 215).

ლაშხ. 1.3. ხუეწუ-ხუი (ვნახო) (იქვე, 207).
2.3. ხეწუ-ხი (ნახო).

ნამყოსრული

ზემოსვანურში მეშველი ზმნა არც აქ გვაქვს, „ხოლო ქვემოსვანურში მხ. რ. I და II პირის ფორმებს ქართულის მსგავსად მეშველი ზმნა ხუი („ვარ") და ხი („ხარ") დაერთვის" (თოფურია,1931, გვ. 175).

ლაშხ. 3.1. მი ეჯის, ეჯ̣აარს ხომპარა-ხუი, ლენტ. ხუმარა-ხუი
(მე მას, მათ ვუმზადებივარ).
„ „ „ ოთმეჩა-ხუი ათუმეჩა-ხუი
(მე, მას, მათ დავუბერებივარ).
3.2. სი „ „ ოთმეჩა-ხი ათომეჩა-ხი
(შენ მას, მათ დაუბერებიხარ).
(თოფურია, 1931, გვ. 175)

ასეთივე მდგომარეობაა ორპირიან გარდაუვალ ზმნებშიაც:

ლაშხ. 1.3. ლოხტეხა-ხუი ზსვ. ლოხ'უ'ტეხა ← ლენტ. ლახუატეხა-'ხუი'
(მოვბრუნებივარ).
2.3. ლახტეხა-ხი ლახტეხა ← ლახატეხა-'ხი'
3.3. ლახტეხა ლახტეხა ← ლახატეხა (იქვე, 208).

ზემოთ მოყვანილ ნიმუშებში მეშველი ზმნა აწმყოშია ყოველთვის. განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, სადაც მეშველი ზმნა ნამყოს ფორმითაა დართული. მოვლენა საკუთრივ სვანურია (იგი არ იცის სხვა ქართველურმა ენებმა, არც ქართულის დიალექტებმა) და საყურადღებოა აღწერით ფორმათა განვითარება-გავრცელების ტენდენციების თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეშველი ზმნა ნამყოს ფორმით დაერთვის ნამყოსრულს, პირობითს, აორისტსა და ნამყოწინარეწარსულს (= თურმეობით II-ს ქართულისას). მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

ნამყოსრული

ლაშხ. 1. თერრნდ-'ხუა/ეს' (ვჩანდი). ხუალტ̣ნდ-'ხუას' (ვუყვარდი)
2. თერრნდ-'ხა/ეს' ხალტ̣ნდ-'ხას'
3. თერრნ'და' ხალტ̣ნ'და' (იქვე, 99).
1.3. ხუაშყდ̣ნდ-ხუას (ვახსოვდი) (იქვე, 214).
3.3. ხაშყდ̣ნ'და'.

პირობითი

ლაშხ. ონტხენრლ-'ხუას' (დავბრუნდებოდი) შდრ. ლენტ. ანტუეხენ'დას'
ანტხენრლ-'ხას' ანტეხენ'დას' (იქვე, 196).

აორისტი

ლაშხ. ლახლატ̣ნდ ხას (შეუყვარდი) (იქვე, 164).
ოთკალატ ხუეს||ხუას (გავლეწე), ლენტ. ალუაშ ხუეს (დავთესე) (იქვე, 3).

ათკალაუ ხეს || ხას (გაჰლეწე). ალაშ ხეს (დასთესე).
ლენტ. ახუაწსყ ხუეს (გავაკეთე) (იქვე, გვ. 3, შნშ. 1) ლაშხ. ჩოდაგრ-ʿხუასʾ (მოვკალ).
ახაწსყ ხეს (გააკეთე). ჩუადაგრ-ʿხასʾ (მოჰკალ).
ჩუადგარ (მოკლა).

ნამყო წინარეწარსული

ლაშხ. ოთქაჩან/ენ-ʿხუესʾ (დავჭროდი) (იქვე, 179) შდრ. ლენტ. ათუაქაჩან
ათქაჩან/ენ-ʿხესʾ (დაჭროდი). ათაქაჩან.
ოთდაგრა/ენ-ʿხუესʾ (მოვჰკვდომოდი).
ოთდაგრა/ენ-ʿხასʾ (მოჰკვდომოდი).

სვანურში (და მეგრულ-ჭანურშიც) ერთი საყურადღებო ფაქტი იჩენს თავს, ქართულისაგან განსხვავებული: მეშველი ზმნა აქ მრავლობითში არ დაერთვის, იგი მხოლოდ მხ. რ. I და II პირებისთვისაა დამახასიათებელი. მაგ.:

მი სი, სგაჲ ლენტ. ჯალაჲტ-ხუი, ლაშხ. ჯალატ-ხუი (გიყვარვარ)
მი ეჩას, ეჯჲაჲრს „ ხუალაჲტ-ხუი, „ ხუალატ-ხუი (ვუყვარვარ)

მაგრამ:

ნაჲ სი, სგაჲ ლენტ. ჯალაჲტ-დ, ლაშხ. ჯალატ-დ (გიყვარვართ)
ნაჲ ეჩას, ეჯჲაჲრს „ ხუალაჲტ-დ, „ ხუალატ-დ (ვუყვარვართ).

სპეციალურ ლიტერატურაში მოიპოვება ამ მოვლენის ახნის ცდა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

აღწერითი ფორმები ქვემოსვანურის ორი დიალექტიდან (ლაშხურიდან და ლენტეხურიდან) თითქოს უფრო გავრცელებულია ლაშხურში. ქართულისაგან განსხვავებულ ფორმებში მეშველი ზმნის გამოყენება ფაკულტატურია ორივე დიალექტში (ლაშხურშიცა და ლენტეხურშიც), შედარებით მტკიცე — ქართულის იდენტურ ფორმებში.

ქართულ-სვანურის მონაცემების მიხედვით სავსებით მოსალოდნელია მსგავსი მდგომარეობა გვქონდეს მეგრულ-ჭანურშიც, მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, თითქოს არ დასტურდება. კოლხურში ქართულ-სვანურის შესაბამის ფორმებში მეშველი ზმნის ადგილას გვაქვს ცალი თანხმოვანი (მეგრულში **ჭ**, ჭანურში **რ**), რომელსაც სხვადასხვანაირ კვალიფიკაციას აძლევდნენ სპეციალურ ლიტერატურაში (ჭ. ლომთათიძე, 1946). ჭ. ლომთათიძის აღნიშნული სტატიის შემდეგ, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ეს სუფიქსები მეშველი ზმნის ფუნქციითაა გამოყენებული და მისივე (ე. ი. მეშვლის) გაცვეთის გზით მიღებული (ჭ. ლომთათიძე, 1946, 136-137). მაშასადამე, მეშველი ზმნა ქართულის შესაბამის ფორმებში მეგრულ-ჭანურშიც გვქონია.

მეშველი ზმნის გამოყენების მიხედვით ქართველური ენები პრინციპულად მსგავს ვითარებასთან ერთად განსხვავებასაც გვიჩვენებენ. თითოეულ მათგანში სხვადასხვანაირია, მაგალითად, აღწერითი წარმოების გამოყენების არე. ქართულისა და სვანურის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი, განსხვავებული მდგომარეობაა ამ მხრივ კოლხურში.

მეგრულში მეშველი ზმნა, ამჟამად სუფიქსის სახით წარმოდგენილი **ჭ**, რომელიც ქორენ'ისაგან მიღებულად მიაჩნიათ (ქ. ლომთათიძე, 1946, 136-137), დაერთვის ორ მწკრივს — აწმყოსა და I თურმეობითს, მაგრამ არა მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებს (როგორც ქართულშია), არამედ — ყოველნაირს (როგორც სვანურის ზოგ კილოში გვაქვს) (ყიფშიძე, 1914, 056).

ჰანურში იგივე მეშველი ზმნა **-ორე(ნ) || რე(ნ) -რ** სუფიქსად ქცეულა (ქ. ლომთათიძე, 1946, 136-137). მისი საშუალებით აღწერითად ნაწარმოებ მწკრივთა რაოდენობა მეგრულთან და ქართულთან შედარებით აქ მეტია: დაერთვის, აწმყოსა და I თურმეობითს. გარდა, უწყვეტელსა და I კავშირებითსაც (მარი, 1910, 58): აწმყოში (აგრეთვე მასზე დაყრდნობილ მწკრივებში) — მხოლოდ გარდაუვალ ზმნებს (საშუალი და ვნებითი გვარისას), თურმეობითში — ყოველნაირს.

სვანურის მსგავსად და ქართულისაგან განსხვავებით მეგრულ-ჰანურში მეშველი ზმნა მრავლობითში არ დასტურდება (ქ. ლომთათიძე, 133, 135)[1]. მოვიყვანთ მცირეოდენ საილუსტრაციო მასალას.

მეგრული

აწმყო

მხ. რ.	მრ. რ.
1.2. რჳნ-ჭ (გყავარ)	2.1. პუნ-ჭ (მყავხარ) რჳნ-თ (გყავართ)
1.3. პუნ-ჭ (ვჳნ-ჭ) (ვჰყავარ)	2.3. ჳნ-ჭ (ჰყავხარ) პუნ-თ (ვჳნ-თ) (ვჰყავართ) და შემდგომი.

სხვა მაგალითები:

მხ. რ.	მრ. რ.	
1. იმგარ-ჭ (ვტირი)	ბხე-ჭ (ვზივარ)	ბხე-თ (ვსხედვართ)
2. ინგარ-ჭ	ხე-ჭ	ხე-თ
3. ინგარს (ყიფშიძე, 1914, 055,063)	ხე	ხენა (იქვე, 072).

ასევეა ვნებითისა და მოქმედებითი გვარის ზმნებიც:

მხ. რ.	მრ. რ.
1.3. ვუღურუ-ჭ (ვუკვდები)	ვუღურუ-თ
2.3. უღურუ-ჭ	უღურუ-თ
3.3. უღურუ(ნ)	უღურუნა(ნ) და სხვა.
1.3. ვოჯღონან-ჭ (ვგზავნი, ვაგზავნი)	ვოჯღონან-თ (ვაგზავნით)
2.3. ოჯღონან-ჭ	ოჯღონან-თ
3.3. ოჯღონანს	ოჯღონანა(ნ).

სხვა მაგალითები: ფთასგნ-ჭ (ვთესავ), ფხაშგნ-ჭ (ვხარშავ), ფჭუნ-ჭ (ვფქვავ), (იქვე, 055), ვიჭყან-ჭ (ვიწყებ), ვოცქვან-ჭ (ვაქებ), (იქვე, 058) და სხვა.

[1] ჰანურის მრავლობითის მეშვლიანი ფორმები მეორეული უნდა იყოს, როგორც სამართლიანად ფიქრობს ქ. ლომთათიძე.

I თურმეობითი

მეგრულში თურმეობითების ორგვარი წარმოება გვაქვს. ერთი ძველია და ქართულისნაირი (მიჯარგ, გიჯარგ, უჯარგ „მიწერია"... მიცვილგ(ნ), გიცვილგ(ნ), უცვილგნ (ყიფშიძე, 087), მეორე — უფრო ახალი, მიმღეობა + მეშველი ზმნა [ნოძირუე(ნ) „უნახავს", ნოჩქვე(ნ) „სცოდნია"] (ჩიქობავა, 1936, 143-144; როგავა, 1953, 17) და უფრო გავრცელებულია ამჟამად, ვიდრე პირველი. ჩვენ ამჯერად ძველი წარმოება გვაინტერესებს. აქ კი **-ჭ** სუფიქსი იმავე შემთხვევებშია გამოყენებული, როგორც ქართულში.

მაგ.: 1.2 დორღურუუ-ჭ (მოგკვდომივარ);
2.1 დობღურუუ-ჭ (მომკვდომიხარ);
1.3 დოვღურუუ-ჭ (მოვჰკვდომივარ);
2.3 დოღურუუ-ჭ (მოჰკვდომიხარ).

მრავლობითში ამ ფორმებს **-ჭ** ჩამოსცილდება და მრავლობითის **-თ** სუფიქსი დაერთვის მხოლოდ: დორღურუუ-თ (მოგკვდომივართ) და სხვა. მიდაგიჯღონუე-ჭ (გაგიგზავნივარ), მიდამიჯღონუე-ჭ (გამიგზავნიხარ); გიძირუ-ჭ (გინახავარ), (ვ)უძირუ-ჭ (ვუნახავარ), მიძირუ-ჭ (მინახავხარ) და სხვ.

მრავლობითში აქაც მხოლოდ სუფიქსი **-თ** დაერთვის, **-ჭ** აღარ ჩანს: მიდაგიჯღონუე-თ (გაგიგზავნივართ) და შემდგ.

ჰანური

აწმყო

მხ. რ.	1.	ბხე-რ (ვზივარ)	ბტუბუ-რ (ვთბები) შდრ. ვიყოფუ-რ (ვიმყოფები)
	2.	ხე-რ	ტუბუ-რ	იყოფუ-რ
	3.	ხენ	ტუბუნ	იყოფუნ
მრ. რ.	1.	ბხე-რ-თ	ბტუბუ-რ-თ	ვიყოფუ-თ
	2.	ხე-რ-თ	ტუბუ-რ-თ	იყოფუ-თ
	3.	ხერან ‖ხენან	ტუბურან‖ტუბუნან	იყოფუნან (იქვე, 67).

(მარი, 1910, 58).

და ასე: ბღურუ-რ (ვკვდები), ღურუ-რ (ჰკვდები)... ვიჭვე-რ (ვიწვი), იჭვე-რ (იწვი)... ვულუ-რ (ვვალ), ულუ-რ (ხვალ)... (ჩიქობავა, 1936, 112).

უწყვეტელი

1. ბხე-რ-ტი (ვიჯექი)	ბხე-რ-ტით (ვისხედით)	ბტუბუ-რ-ტი (ვთბებოდი)
2. ხე-რ-ტი	ხე-რ-ტით	ტუბუ-რ-ტი
3. ხე-ტუ	ხე-ტეს	ტუბუ-ტუ (მარი, 1910, 58).

და სხვ.

თურმეობითი I

თურმეობითების წარმოებით ჰანური მეგრულისაგანც განსხვავდება და ქართულისგანაც. მეგრულის ტიპის აღწერითი თურმეობითები (ნოცვე „ჰყოლია") აქ არა გვაქვს. ჰანურში გავრცელებულია ქართულისა და მეგრულის თურმეობითებისაგან განსხვავებული ფორმები ნამყოსრულის თურმეობითისა

და აორისტის თურმეობითისა, რომლებიც ნამყოსრულისა და აორისტის მზა-მზარეულ ფორმებზე მეშველი დორენ || ერე ზმნის დართვითაა მიღებული. მაგ.: ნანამყ. თურმეობითი: მა ბზუმუმტი-დორენ ჰეა (მე თურმე ვზომავდი მას); ნააორისტ. თურმეობითი I: მა ბზუმი-დორენ ჰეა (მე მიზომავს ის, მე ნაზომავარ მას) (ჩიქობავა, 1936, 141-144).

ნანამყოსრულარი თურმეობითი მიჩნეულია მეგრულისათვის დამახასიათებელი **ნა-** პრეფიქსიანი აღწერითი წარმოების ბადლად (გ. როგავა, 1953, 27), ნააორისტალი თურმ. I კი თუმცა ფუნქციით ქართულის ინვერსიულ თურმეობითს უდრის (იქვე), მაგრამ სხვანაირადაა ნაწარმოები, ვიდრე ქართულის აღნიშნული ფორმები. ამიტომ ჩვენთვის ამჟამად ნაკლებ საყურადღებოა. რაც შეეხება ქართულის შესატყვის ინვერსიულ თურმეობითს, ჰანურში ის ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ გზას უთმობს თურმეობითის ახალ ტიპს (იქვე). ამგვარ თურმეობით პირველში ჰანური მხარს უჭერს ქართულ-მეგრულს და მეშველი ზმნის ფუნქციით იმავე **-რ** სუფიქსს იყენებს, რასაც აწმყოში (იქვე).

მაგალითები[1]: ეშო ზოპონანჭი, სი მა გიბახუ-რ (ამბობენ, რომ შენ მე გიცემივარ); მა სი მიბახუ-რ (მე შენ მიცემიხარ); სი მა გიძირამუ-რ, ალა ვარ გშუნს (შენ მე გინახავარ, მაგრამ არ გახსოვს); მა სი სოთხანი რენ მიძირუ-რ (მე შენ სადღაც მინახავხარ) და სხვ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ამჟამად მეშველზმნიანი ფორმები სამსავე ქართველურ ენაში გვაქვს, ამასთან თითოეულ მათგანში ამ მოვლენის განვითარების განსხვავებული საფეხურებია დაცული. ამოსავალი მდგომარეობა შემონახულია ზემოსვანურში (რომელიც ძველი ქართულის ვითარებას გვიჩვენებს), მაშინ როცა ქვემოსვანური ამ მხრივ ყველა სხვა ქართველურ ენაზე წინაა წასული.

რამდენიმე კითხვა ისმის: 1. ყველა ქართველურ ენაში დამოუკიდებლად ჩაისახა ეს მოვლენა, თუ რომელიმე მათგანში ასეთი ფორმების გაჩენისათვის სხვა, მონათესავე ენის გავლენამ შექმნა ხელსაყრელი პირობები? 2. ამოსავალში რა შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთ ფორმათა წარმოშობის მიზეზი?

პირველი საკითხის დასმა სვანურის დღევანდელი ვითარებით არის ნაკარნახევი. სხვა ქართველურ ენათა მიმართ რაიმეს გადაჭრით თქმა გაძნელდებოდა, მაგრამ სვანურის შესახებ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოვლენა აქ სხვა ქართველურ ენებთან შედარებით გვიანაა გაჩენილი და რომ მონათესავე ენებს (მეგრულს, ქართულს) გარკვეული როლი შეიძლებოდა შეესრულებინა ამ საქმეში. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ზემოსვანურში უძველესი ვითარებაა შემონახული, ახალი ფორმები კი სვანურის სწორედ იმ დიალექტებშია გავრცელებული, რომლებიც ქართულსა და მეგრულს ემეზობლებიან ტერიტორიულად. საკითხის ასე გადაწყვეტას თითქოს ხელს უშლის ერთი რამ: სვანური ზოგი თავისებურებით ქართულს უჭერს მხარს, ზოგიერთით კი — მეგრულს. მეგრულის მსგავსად (და ქართულისაგან განსხვავებით) სვანურში მეშველი ზმნა მრავლობითში არ დაერთვის. მეორე მხრივ, ქართულის მსგავსად (და მეგრულისაგან განსხვავებით) მეშველი ზმნა აქ სრული სახითაა დაცული (სკურ-ხუი ეზივარ,

[1] მაგალითები განმარტებებითურთ მომაწოდა თბილისის უნივერსიტეტის ლექტორმა, ლაზმა ჰასან ჰალიმიშიმ.

სკურ-ხი ჰზიხარ...). თუ მხოლოდ მეგრულის გავლენას ვიგულისხმებთ, მაშინ ეს გავლენა ძალიან ადრინდელად უნდა მივიჩნიოთ, იმ დროისად, როცა თვით მეგრულში გაირჩეოდა აღნიშნული სუფიქსის თავდაპირველი სახე, ე. ი. როცა ჯერ კიდევ ნათელი იყო, რომ იგი წარმომავალია მეშველი ზმნისაგან.[1] საერთოდ კი როგორიც უნდა ყოფილიყო ამოსავალი მდგომარეობა, ჩვენთვის საინტერესო მოვლენის განვითარების ტენდენციების თვალსაზრისით, სვანური გვერდით უდგას სხვა ქართველურ ენებს.

ზემოთ წარმოდგენილ აღწერით ფორმებში მეშველი ზმნის ფუნქციის (და, მაშასადამე, წარმოშობის მიზეზების) შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია: „ხსენებულ სუფიქსებს (-ქ, -რ) იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინა, რასაც მეშველი ზმნა ასრულებს სტატიკურ ზმნებთან (resp. სტატიკურ ფორმებთან) აფხაზურსა და ყაბარდოულში. ... მათ ისე, როგორც მეშველ ზმნებს აფხაზურსა და ყაბარდოულში, ეკისრებოდათ **სტატიკურობის, „მდგომარეობის“**, არსებობის აღნიშვნა...“ (ლომთათიძე, 1946, 134). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეგრულ-ჭანურის ეს სუფიქსები (**ქ, რ**) ქართული მეშველი ზმნის ტოლფარდ ოდენობადაა მიჩნეული იმავე ავტორის მიერ და, მაშასადამე, რაც ითქვა მათ შესახებ, ვრცელდება ქართულის (აგრეთვე სვანურის) შესაბამის ფორმებზე. ქვემოთ სწორედ ამის შესახებაა მსჯელობა.

აფხაზურისა და ყაბარდოულის საანალოგიო ფორმათა შესახებ იქვე ნათქვამია: „აფხაზურში, და ყაბარდოულშიც, ე. წ. მდგომარეობის, ანუ სტატიკურობის გამომხატველ ზმნებს ერთვით სუფიქსები, რომლებიც თავისთავად მეშველი ზმნებისაგან მომდინარეობენ“. მაგ., რომელიმე „არსებობა“ ზმნას აფხაზურში, რომელიც -ყა- ძირით გამოიხატება, აწმყოში ერთვის იგივე **-უპ**, რაც დამახასიათებელია პირის აფიქსის შემცველი მეშველი ზმნისათვის: სოუპ ← სა-უპ „ვარ“, ბოუპ ← ბა-უპ „ხარ“ ... და სხვა. და ამ ნიადაგზე გვაქვს ფორმები:

სგ-ყა-უპ (→ სგ-ყო-უპ) „ვარ“ (უკეთ: „მე-ვარ-არს“)
სგ-შოჳგ-უპ „მე კაცი-ვარ“ (უკეთ: „მე-კაცი-არს“)
სგ-გგლა-უპ „მე ვდგა-ვარ“ (უკეთ: „მე-ვდგა-არს“)[2] და სხვა.

ასევე ყაბარდოულში სათანადო ფორმებს ერთვის სუფიქსი -სы, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს „დგომა“ ზმნისაგან („сы„გთ „დგას“) „არსებობის“ მნიშვნელობით და გვაქვს:

სგ-წგჰუ-сы მე კაცი-ვარ (მე- კაცი-არს)
სგ-сგთ-сы მე ვდგა-ვარ (ვდგა-არს)“ (ლომთათიძე, 1946, 134).

„ახალ ქართულშიც ხსენებულ ფორმებზე მეშველი ზმნის დართვისას ამოსავალი უნდა ყოფილიყო აგრეთვე **სტატიკურობა**“ (ლომთათიძე, 1946, 135. ხაზი ავტორისაა).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურსა და ყაბარდოულთან ანალოგია ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს მართებული.

---

[1] ასეთ შემთხვევაში (და საერთოდაც) მეშველი ზმნა მეგრულში (ჭანურშიც) III პირის ფორმით კი არ უნდა დაჰრთოდა ყველა პირს, არამედ შესაბამისი პირის ფორმით.

[2] ხაზი ავტორისაა.

თვით სტატიკური ზმნები აფხაზურში სხვა აგებულებისაა, ვიდრე ქართულის (resp. კოლხურ-სვანურის) აწმყოს მეშველზმნიანი ფორმები. სტატიკურ ზმნათა ფუძედ აფხაზურში სხვადასხვანაირი მასალაა გამოყენებული. ძირითადი და დამახასიათებელი კი აფხაზურისთვის არის სახელის გამოყენება სტატიკური ზმნის ფუძედ. „ყოველი სახელი (თავისი შედარებით მარტივი ფუძით) აწარმოებს სტატიკურ ზმნას პირისა და დრო-კილოთა აფიქსების დართვით“ (ლომთათიძე, 1955, 207). სტატიკურ ზმნათა ფუძედ შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ე. წ. ფუძე-წინდებულები (რომლებიც თავის მხრივ ისევ სახელებისაგან მომდინარეობენ). მხოლოდ რამდენიმე სტატიკური ზმნა იყენებს თითქოს ზმნურ ფუძეს. ესენია მარტივი ძირები **-ყა**, **-მა** და სხვა.

მაგ.: -მა-: ისგ-მო-უპ მაქვს (მყავს).
-ყა-: სგ-ყო-უპ (ვარ, ვარსებობ).
-გ-: ისგ-გ-უპ მაკლია ის (რაღაც).[1]

„მაგრამ ჩვენ რომ ამ შემთხვევაში ვიცოდეთ აღნიშნულ ფუძეთა წარმომავლობა, შესაძლებელია ისინიც პირველ ჯგუფში[2] მოგვექცია. საფიქრებელია, რომ ეს ფუძეებიც სახელთაგან მომდინარეობენ“ (ლომთათიძე, 1956, 196).

მაშასადამე, აფხაზურის სტატიკური ზმნები წარმოადგენენ **სახელურ ფუძეს**, რომელსაც **ზმნად** აქცევს პირისა, მწკრივისა და სხვა ზმნური აფიქსები და მათ შორის **-უპ**[3] (ლომთათიძე, 1954, 111). ქართულის შესაბამისი ფორმები კი **ზმნაა დასრულებული სახისა**, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა მეშველი ზმნის გარეშე იმავე ფუნქციით, რადაც ახლანდელი მეშველზმნიანი ფორმები.[4]

ამ ბოლო დროს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სტატიკურ ზმნათა ფინიტობის **-პ** სუფიქსი „უნდა უკავშირდებოდეს ქართულის აწმყოს ფუძის **-ე-ბ**, **-ო-ბ** სუფიქსს“ (ლომთათიძე, 1955, 227). მაშასადამე, **უპ** აფიქსს საეჭვოა, რომ თვით აფხაზურშივე შეჰქონდეს ზმნაში სტატიკურობის გაგება. ქართულის (ან ქართველურის) მეშველზმნიანი ფორმების მეშველ ზმნაზე კი იმ თვალსაზრისის გავრცელებას, რომ თითქოს სწორედ ის ანიჭებდეს მთლიანად ფორმას სტატიკურობას, სხვა რამეც უშლის ხელს. მეშველი ზმნა, როგორც აღნიშნული იყო, ქართველურ ენებში ძირითადად ორ მწკრივს დაერთვის — აწმყოსა და I თურმეობითს.[5] სტატიკურობა, მდგომარეობის ჩვენება ძირითად თვისებათაგანია ორივეგან,[6] რომელიც იმთავითვე ჰქონდა აღნიშნულ ფორმებს.[7] მეშველი ზმნის დართვა კი მეორეული და ჩვენს თვალწინ გა-

---

[1] მაგალითები (განმარტებებითურთ) აქაც და ქვემოთაც მოყვანილია პროფ. ჭ. ლომთათიძის შრომებიდან აფხაზურის შესახებ.

[2] იგულისხმება სტატიკურ ზმნათა ის ჯგუფი, რომელსაც სახელი აქვს გამოყენებული ფუძედ.

[3] ეს -უპ იშლება: -უ, -პ; „-უ აწმყო დროს გადმოსცემს, პ — ფინიტობას“.

[4] ამის გამო აფხაზურის ყა, მა ტიპის ფუძეთა სახელთაგან წარმომავლობა თუნდაც არ დამტკიცდეს, მაინც ამათი ქართულის აღნიშნულ ფორმებთან გათანაბრება შეუძლებელია.

[5] სხვა მწკრივებში ასეთი ფორმები გვიანდელია და ანალოგიით აიხსნება.

[6] აწმყოში ეს გარკვეული ტიპის ზმნების მიმართ იგულისხმება მხოლოდ.

[7] ამიტომაც სპეც. ლიტერატურაში I თურმეობითს პირველ შედეგობრივსაც უწოდებდნენ: ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 1930, გვ. 124; „დამიწერია, მინახავს... ამას ნიშნავს: დაწერილია ჩემ მიერ, ნახულია ჩემ მიერ“... იქვე, გვ. 154.

ჩენილი, გვიანდელი მოვლენაა. გასარკვევია არა ის, თუ რა შინაარსისაა აღებული მეშველი ზმნა (ან ამ მეშველ ზმნადართული ფორმა ზმნისა), არამედ ის, თუ რატომ დასჭირდათ ამ ისედაც სტატიკურობის გამომხატველ ზმნებს, მეორე ასეთივე მნიშვნელობის მქონე ზმნის (მეშვლის) დართვა. ეს საკითხი კი სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვს.

აფხაზურ-ყაბარდოულისა და ქართულის (ან კოლხურ-სვანურის) აღნიშნული ფორმების ურთიერთდაკავშირებას სხვა დაბრკოლებაც ეღობება წინ, როგორც აღნიშნულია კიდეც სპეციალურ ლიტერატურაში (ლომთათიძე, 1946, 134-135). აფხაზურ-ყაბარდოულში მეშველ ზმნებად მიჩნეული სუფიქსები ყველა პირში გაჰყვება, ქართველურ ენებში მეშველი ზმნა მხოლოდ I და II სუბიექტურ პირებს დაერთვის, მესამეს — არა. კოლხურ-სვანურში მეშველი ზმნა არა გვაქვს მრავლობითშიაც. ე. ი. კოლხურ-სვანურში მეშველი ზმნა მხოლოდ მხოლობითი რიცხვის I და II პირებს ახასიათებს. მითითებულ სტატიაში ეს გარემოება ასეა ახსნილი: „ერთი შეხედვით თითქოს ჰირს სათანადო აფხაზურ და ყაბარდოულ ფორმებთან ანალოგია მეგრულსა და ჰანურში წარმოდგენილი ვითარებისა იმ მხრივ, რომ იქ მეშველი ზმნა ყველა პირში გაჰყვება, მეგრულში, და ჰანურშიც, ეს სუფიქსები მხოლოდ I და II პირში და ისიც მხოლობითში გვხვდება. მაგრამ ეს შემდეგით აიხსნება: აფხაზურსა და ყაბარდოულს პირის ნიშანთა პრეფიქსაცია ახასიათებს, მეგრულსა და ჰანურში პრეფიქსით მხოლოდ I და II პირია წარმოდგენილი. III პირში იმიტომ არ დაერთო მეგრულსა და ჰანურში ეს სუფიქსები, რომ მესამე პირის ნიშანი სუფიქსად მოუდით ზმნებს. მრავლობითის ნიშნის სუფიქსობამვე შეუშალა ხელი -ჭ ' ს დართვას მრავლობითს რიცხვში მეგრულში“ (ლომთათიძე, 1946, 135). და ცოტა ქვემოთ: „... მეშველი ზმნის გამოყენებაში ამ ენათა მიხედვით ის სხვაობაა, რომ ქართული და სვანური მეშველ ზმნას იყენებს I და II პირის ფორმათა მიხედვით, მეგრული და ჰანური კი იღებს მხოლოდ III პირის ფორმას და ურთავს მას „ყველა“ პირს (ტექნიკური პირობების გამოა, რომ III პირში მხოლოობითსა და მრავლობითში არ ჩანს ხოლმე მეგრულში ეს მეშველი ზმნა[1]), როგორც ეს გვაქვს ყაბარდოულში“ (ლომთათიძე, 1946, გვ. 139).

ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში მესამე პირი და მრავლობითი რიცხვი (ყველა პირისა) სუფიქსებითაა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მიზეზი ამ შემთხვევებში მეშველი ზმნის დაურთველობისა. მეგრულშიც და ჰანურშიაც მეშველი ზმნის საშუალებით მწკრივთა წარმოებას ფართო გასაქანი აქვს. ამ საფუძველზე აქ ქართულისაგან განსხვავებული რამდენიმე მწკრივია ჩამოყალიბებული (ა. ჩიქობავა, 1936, 140 და შემდგ.). ესენია: პირობითი პირველი და მეორე, ნანამყოსრულარი თურმეობითი და სხვა. ქართულისაგან განსხვავებით, მეშველი ზმნის საშუალებითაა ნაწარმოები კოლხურში ქართულთან საერთო მწკრივებიც — თურმეობითი II, კავშირებითი III. მეშვლიანი ფორმებითაა გამოხატული მყოფადიც ჰანურში. ყველგან, ყველა მწკრივში მეშველი ზმნები ერთნაირადაა გამოყენებული სამივე პირის ორსავე რიცხვში. ამას ხელს

[1] III პირში მეშველი ზმნა არა ჩანს მარტო მეგრულში (და ჰანურში) კი არა, არამედ არცერთ ქართველურ ენაში.

არ უშლის ასევე **სუფიქსებით წარმოდგენილი** პირისა და რიცხვის ნიშნები. მაგ.,

1. პირობითი I:

ჭან. ემუქ ზუმუმტ-**უ-კონ** ჰეა (ის რომ ზომავდეს)
ჩქუნ ბზუმუმტი-**თ-კონ** ჰეა
თქვან ზუმუმტი-**თ-კონ** ჰეა
ჰემთეფექ ზუმუმტ-**ეს-კონ** ჰეა.[1]

ასევეა მეგრულშიც.

პირობით მეორეში ფუძეა განსხვავებული, წარმოება კი იგივე რჩება, რაც პირობით პირველში, ამიტომ ნიმუშებს აღარ მოვიყვანთ.

2. ნანამყოსრულარი თურმეობითი, რომელიც ნამყო უსრულზე მეშველი დორენ ზმნის დართვითაა მიღებული.

ჭან. მა ბზუმუმტი-**დორენ** ჰეა (მე თურმე ვზომავდი)
ჩქუნ ბზუმუმტი-**თ-დორენ** ჰეა
ჰემთეფექ ზუმუმტ-**ეს-დორენ** ჰეა.

ასევეა ნააორისტალ თურმეობით პირველში, სადაც უწყვეტლის მაგიერ წყვეტილის ფუძეა გამოყენებული: ჰემთეფექ ზუმ-**ეს-დორენ** ჰეა (მათ უზომავს ის) და სხვა.

ზოგჯერ მეშველი ზმნა მრავლობითის სუფიქსის წინაა ზმნაში. ამას ადგილი აქვს ხოფურში თურმეობითების წარმოების დროს. ნანამყოსრულარი თურმეობითი: ჩქინ ბზიმუფტ-**ერე-თ**... ენთეფექ ზიმუფტ-**ერე-ნ-ან**; ნააორისტალი თურმეობითი: ჩქინ ბზიმ-**ერე-თ** და სხვა.

ჭანურში **-რ** სუფიქსი აწმყოდან I სერიის სხვა მწკრივებშიაც გადასულა.

	მხ. რ.	მრ. რ.
უწყვეტელში გვაქვს:	1. ბხე-რ-ტი	ბხე-რ-ტი-თ
	2. ხე-რ-ტი	ხე-რ-ტი-თ
	3. ხეტუ	ხეტეს (მარი, 1910, 58).

როგორც ვხედავთ, მეშველი ზმნა (**-რ**) აქ მოთავსებულია არა მხოლოდ რიცხვის გამომხატველი სუფიქსის წინ, არამედ უწყვეტლის მაწარმოებელი **-ტ** სუფიქსის წინაც კი.

მაშასადამე, გამოდის, რომ პირისა და რიცხვის ნიშნების სუფიქსობა ვერ იქნება დამაბრკოლებელი მეშველი ზმნის დართვისათვის ამა თუ იმ პირსა და რიცხვში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეგრულში მეშველი ზმნის მრავლობითში ქონას ხელს უშლისო ის გარემოება, რომ ზმნის ბოლოში იქმნება აქცესიური კომპლექსი (**-ქთ**) (როგავა, 1949, გვ. 506),[2] მაგრამ სვანურის მარტივ ფორმებს ასე ვერ ავხსნით: **მალატ-ხი** („მიყვარხარ"), **მალატ-დ** („მიყვარხართ").[3]

---

[1] ჭანურის მაგალითები აქაც და ქვემოთაც ამოღებულია ა. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი"-დან.

[2] შდრ. მეგრ. თირუა („გაცვლა") ← *ჭთირუა. შდრ. ჭან. ოქთირუ.

[3] ჭანურიც არ დაუპერდა მხარს ასეთ ახსნას.

მეშველი ზმნის პირთა მიხედვით გავრცელებას ამდენი ყურადღება იმიტომ ექცევა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს დასმული საკითხის გადაწყვეტისათვის. თუ დავუშვებდით, რომ მეშველი ზმნა სტატიკურობის გამოხატვას ემსახურება, მაშინ ის აუცილებლად უნდა გვქონდეს ყველა პირში, პირთა ყოველგვარ კომბინაციაში მოცემული მწკრივის ფარგლებში მაინც. ჩვენს შემთხვევაში კი მეშველი ზმნა მხოლ. რიცხვის I და II სუბიექტურ პირებს გარდა სხვა შემთხვევაში არა გვაქვს.[1]

მაშ, რა შეიძლება იყოს მეშველი ზმნის გაჩენის მიზეზი ქართველურ ენათა აღნიშნულ ფორმებში? ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ქართულის მეშველზმნიანი ორი მწკრივიდან ასეთი ფორმები პირველად თურმეობითში გაჩნდა. ასეთივე ვითარებაა სავარაუდებელი სხვა ქართველურ ენებშიც. აქედანაა ის გადასული აწმყოში — ჯერ სტატიკურ ვნებითში და შემდეგ საშუალი გვარის გარკვეულ ზმნებში. ამიტომ, ცხადია, მოვლენის ჩასახვის მიზეზებიც I თურმეობითში უნდა ვეძიოთ.[2] ახალი ზმნური ერთეული, ამოსავალი ფორმისაგან განსხვავებული, მეშველი ზმნის დართვის შედეგად ამ შემთხვევაში არ მიგვიღია.[3] ამგვარი რამის დაშვებას ხელს შეუშლიდა ის გარემოებაც, რომ აღწერითი ფორმები მთელი მწკრივის ფარგლებში არ ვრცელდება. ამასთან, მეშველი ზმნის დამატება არავითარ გრამატიკულ ცვლილებას არ იწვევს აღნიშნულ მწკრივში: ძველი (მარტივი) და ახალი (აღწერითი) ფორმები ამ მხრივ რაიმე განსხვავებას არ გვიჩვენებს.

მეშველზმნიან ფორმათა გაჩენა პირის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომაც უნდა გვქონდეს პირთა მიხედვით გარჩევა მეშველი ზმნის დართვისას. ეს დებულება ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რადგან სწორედ მეშველი ზმნის დართვის გამოა, რომ აღნიშნულ ფორმებში I და II სუბიექტური პირები ორმაგადაა გამოხატული: **ვ**-დგა-**ვ**-არ, **ვ**-წუხ-**ვ**-არ... შე-**ვ**-ვედრები-**ვ**-არ, და-**ვ**-ვიწყები-**ვ**-არ და სხვა. I თურმეობითს სხვადასხვანაირად აწარმოებენ გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, უკანასკნელთაგან — ერთპირიანები და ორპირიანები. ერთპირიან ზმნათა I თურმეობითის შესახებ ზემოთ ნათქვამია, რომ შედგენილობით ის სხვაგვარია, ვიდრე გარდამავალ და ორპირიან გარდაუვალ ზმნათა ამავე მწკრივის ფორმები: მეშველი ზმნა აქ მიმღეობას დაერთვის და არა პირიან ზმნას. ამიტომ ამჟამად არ გვაინტერესებს. რაც შეეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითს, როგორც ვნახეთ, ეს ფორმები გვიან ჩნდება. მარტივი, უმეშვლო წარმოება ასეთ ზმნებთან ვერ დავადასტურეთ. მეშვლიანი ფორმები კი გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მსგავსია და საერთოდ ამ უკანასკნელის გავლენით ჩანს შექმნილი. გვრჩება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი. მაშასადამე, ჩვენი აზრით, მეშველი ზმნის გაჩენის მიზეზები კიდევ უფრო კონკრეტულ პირობებს შეიძლება დაუკავშირ-

---

[1] ქართულში, როგორც ვიცით, ცოტა სხვანაირი ვითარებაა.

[2] და არა აწმყოში, როგორც თითქმის ყოველთვის ვარაუდობენ სპეც. ლიტერატურაში.

[3] ჩვეულებრივ მეშველი ზმნის ფუნქცია სწორედ ესაა ბევრ ენაში. მეშველი ან სახელთან ერთად (ან ზმნის უპირო ფორმებთან — ინფინიტივთან და სხვ.) ქმნის ახალ ერთეულს, ან ზმნას დაერთვის და სხვა მწკრივის ფორმა მიიღება (ასე ნაწარმოები, მაგალითად, ჰანურ-მეგრულის პირობითი I და II და რამდენიმე სხვა ახალი მწკრივი).

დეს, ე. ი. ამ მხრივ მხოლოდ გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფორმებს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

გარდამავალი ზმნები I თურმეობითში უღლებისას საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს. სხვადასხვა ტიპის ზმნებს ამა თუ იმ მწკრივში პირთა კომბინაციების განსხვავებული შესაძლებლობები აქვს. მწკრივის წევრთა რაოდენობისათვის მნიშვნელობა აქვს იმასაც, მეორდება თუ არა ფორმა მწკრივის ფარგლებში (შანიძე, 1953, 230). რაც უფრო ნაკლებია გამეორებულ ფორმათა რიცხვი, მით უფრო მდიდარია ზმნა ფორმებით. გარდამავალი ზმნის I თურმეობითში ასეთი სურათია:[1]

	ობიექტური პირი					
სუბიექტური პირი	1 (მე)	2 (შენ)	3 (იგი)	1 (ჩუენ)	2(თქუენ)	3(იგინი)
1 (მე)	—	შემიპყრიე	შემიპყრიეს	—	შემიპყრიეთ	შემიპყრიან
2 (შენ)	შეგიპყრიე	—	შეგიპყრიეს	შეგიპყრიეთ	—	შეგიპყრიან
3 (მას)	შეუპყრიე	შეუპყრიე	შეუპყრიეს	შეუპყრიეთ	შეუპყრიეთ	შეუპყრიან
1 (ჩუენ)	—	*შემიპყრიე || შეგჯპყრიე	*შემიპყრიეს || შეგჯპყრიეს	—	*შემიპყრიეთ || შეგჯპყრიეთ	*შემიპყრიან || შეგჯპყრიან
2 (თქუენ)	*შეგიპყრიე	—	*შეგიპყრიეს	*შეგიპყრიეთ	—	*შეგიპყრიან
3 (მათ)	*შეუპყრიე	*შეუპყრიე	*შეუპყრიეს	*შეუპყრიეთ	*შეუპყრიეთ	*შეუპყრიან

ცხრილის მიხედვით ჩანს, რომ აღებულ შემთხვევაში მწკრივში არა გვაქვს არცერთი გაუმეორებელი ფორმა[2]: შემიპყრიე — 2 (მე შენ, ჩუენ შენ),[3] შემიპყრიეს — 2 (მე იგი, ჩუენ იგი), შემიპყრიეთ — 2 (მე თქუენ, ჩუენ თქუენ), შემიპყრიან — 2 (მე იგინი, ჩუენ იგინი), შეგიპყრიეთ — 2 (შენ ჩუენ, თქუენ ჩუენ), შეგიპყრიან — 2 (შენ იგინი, თქუენ იგინი), შეუპყრიე — 4 (მას მე, მას შენ, მათ მე, მათ შენ), შეუპყრიეს — 2 (მას იგი, მათ იგი), შეუპყრიეთ — 4 (მას ჩუენ, მას თქუენ, მათ ჩუენ, მათ თქუენ), შეუპყრიან — 2 (მას იგინი, მათ იგინი).

[1] გამეორებულ ფორმებს ვარსკვლავით აღვნიშნავთ.

[2] ფორმათა გამეორება სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული, მაგრამ ახლა ამაზე ვერ შევჩერდებით.

[3] ფორმასთან მიწერილი რიცხვი აღნიშნავს გამეორების რაოდენობას.

ამ ფორმათა განსხვავების საჭიროება,[1] როგორც ჩანს, იგრძნობოდა ენაში.[2] ყველაზე მეტად ამისი აუცილებლობა უნდა გვქონოდა I და II სუბიექტურ პირებში, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო ერთ ფორმას ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოცემა ეკისრებოდა: **შეუპყრიე მას მე, მას შენ, მათ მე, მათ შენ**; **შეუპყრიეთ მას ჩუენ, მას თქუენ, მათ ჩუენ, მათ თქუენ**. ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას ძველ ქართულში: გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითის I და II პირის ფორმებთან უმეტეს შემთხვევაში იხმარება შესაბამისი ნაცვალსახელები; მაგ.: მოუვლინებიე მე, შეუგდებიე მე, შეურაცხიე მე, დაუტევებიე მე, შეუპყრიე მე, უხილავ მე, მოუცავ მე და სხვა. ასევე: შეუპყრიე შენ, აღუდგენიე შენ, უშობიე შენ... წარმოუვლინებიეთ ჩუენ, გარე-მოუცავთ ჩუენ... შეურაცხ-უყოფიეთ თქუენ, შეუყენებიეთ თქუენ და სხვა. იშვიათ შემთხვევაში, როცა ასე არაა გარჩეული პირი, კონტექსტი უჩვენებს, თუ რა ფორმასთან გვაქვს საქმე. პირთა გარჩევისათვის რომ მეშველი ზმნა იქნა გამოყენებული და არა სხვა რაიმე, ამას უთუოდ ხელი შეუწყო ერთპირიან ზმნათა აღწერითმა ფორმებმა პირველი თურმეობითისა.[3] აქედან შემდეგ ანალოგიის გზით აღწერითი წარმოების სხვა შემთხვევებში გავრცელება სავსებით ბუნებრივია და დასაშვები. ამგვარად, მეშველზმნიანი ფორმები თავდაპირველად გარდამავალი ზმნის I თურმეობითში ჩნდება. მისი დანიშნულებაა დააზუსტოს რომლობა პირისა. მსგავსი მდგომარეობა უნდა გვქონოდა სხვა ქართველურ ენებშიაც. ინვერსიული თურმეობითი გარდამავალი ზმნებისა ერთნაირად გავრცელებული იყო ყველა ქართველურ ენაში. ამჟამად ჭანური მეტწილად სხვანაირ წარმოებას მიმართავს, მაგრამ იშვიათად ქართულისნაირი თურმეობითიც გვხვდება. მეგრულსა (ა. ჩიქობავა, 1936, გვ. 145, შნშ.2) და სვანურში კი ახლაც ინვერსიული თურმეობითია ძირითადი. მაშასადამე, ყველა ქართველურ ენაში ისეთივე საფუძველი არსებობდა მეშველზმნიანი ფორმების გაჩენისათვის, როგორიც ქართულში. ოღონდ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ რომელიმე მათგანში ამ ფორმათა წარმოებისათვის მეზობელ ენათა ვითარებასაც შეეწყო ხელი. რატომ არა გვაქვს მეშველი ზმნა მესამე პირსა (ყველა ქართველურ ენაში) და მრავლობით რიცხვში (მეგრულ-სვანურში)? — იმიტომ, რომ პირთა დაპირისპირება ისედაც ნათელი იყო, პირები გარჩეული იყო და ენამ აღარ მიმართა დამატებით საშუალებებს[4].

---

[1] რომ მორფოლოგიურ ომონიმიას ენა თავს არიდებს, ამისი საინტერესო შემთხვევები არის განხილული ფ. ერთელიშვილის სტატიაში „მორფოლოგიური ომონიმია და მისი შედეგები ქართულში" (წაკითხულ იქნა ახალი ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომაზე 16.V.58წ.).

[2] შეიძლება ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ტექსტებში ხანდახან ეს ფორმები (განსაკუთრებით I და II პირისა) დამახინჯებულია: აღდეგ და წარემართე, სადა-იგი მოუვლინებია (= მოუვლინებიე) მეფესა (ხელნაწ. A 397, 263r, ზემ. 9); ... რამეთუ მე უფალსა მიუვლინებიეს (= მიუვლინებიე) ვიდრე ბეთელდმდე (4 მეფ. 2, 2; ხელნაწ. 167r, 2 სვ.); ღმერთი ჩემი ხარი შენ, შენ გიშობიეს მე (= გიშობიე) (ხრონოლრ. 202, 27); არა-მე მაგას უშობიესა (= უშობიე) შენ? (კიმ. I,136,29-30) და სხვა (თუ ეს ორი უკანასკნელი ხელნაწერიდან მომდინარეობს).

[3] ერთპირიან ზმნათა I თურმეობითის ფორმების ანალოგიით აქვს ახსნილი საერთოდ მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობა ქართულში პროფ. ა. შანიძეს: ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 181.

[4] რომ ასე არ იყოს, არაფერი შეუშლიდა ხელს მეშველი ზმნის დართვას ამ შემთხვევაშიაც.

II. გარდაუვალ ზმნათა ერთი ტიპის აღწერითი ფორმების შედგენილობისათვის ქართული ენის დასავლურ კილოებში

მხედველობაში გვაქვს „ვარგილარიენ", „ჯდილარიენ", „წევლარიენ", „ყავლარიენ" ტიპის წარმოება. ამგვარი ფორმები დიალექტურია, გვხვდება ზოგიერთ დასავლურ კილოში: იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში. გასარკვევია მათი აგებულება. კერძოდ, თუ რას წარმოადგენს მათი პირველი ნაწილი, რომელსაც მეშველი „არიან", „არიენ" ზმნა დაერთვის.

სპეციალურ ლიტერატურაში ეს ფორმები შენიშნულია, მაგრამ არსებული გამოკვლევები ჩვეულებრივ ეხება ერთი რომელიმე სოფლის (ან რამდენიმე სოფლის), რაიონის ან, უკეთეს შემთხვევაში, კილოს ვითარებას. ლიტერატურაში არაფერია აღნიშნული ამ ფორმების შესახებ ლეჩხუმურში. არ არსებობს ყველა საჭირო მასალის ერთიანი მიმოხილვა, რის გამოც ამ ფორმათა შესახებ მოცემული დასკვნები არ არის დამაჯერებელი. ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი.

„წევლარიენ" ტიპის აღწერითი წარმოება ზმნათა გარკვეულ ჯგუფს ახასიათებს, კერძოდ, საშუალი გვარის ზმნათა ერთ ნაწილს და სტატიკურ ვნებითებს. ეს არის ამ ზმნათა აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა. გვხვდება როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ზმნათა 1-ლი და მე-2 სუბიექტური პირებიც აღწერითია თანამედროვე ქართულსა და დიალექტებში.

აღნიშნული ფორმები ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული მთელს იმერულსა და გურულში, ისინი ძირითადად გვხვდება ქვემოიმერულსა და ქვემოგურულში, მაგრამ შეინიშნება ტენდენცია მათი გადასვლისა ზემოიმერულისა და ზემოგურულის იმ სოფლებში, რომლებიც ესაზღვრებიან ქვემოიმერულსა (ქ. ძოწენიძე, 1973, 217) და ქვემოგურულს.

მოვიყვანთ ნიმუშებს:

ქვემოიმერული: წლისთავზე დაბრუნდენ და მ ო დ ი ლ ა რ ი ე ნ, დიალექტ. ქრესტ. 317,31; მ ო დ ი ლ ა რ ი ე ნ და ერ ადგილზე ბოფშია, იქვე, 317,32; ზ ი ლ ა რ ი ე ნ სტუმრები (ქ. ძოწენიძე, 1973, 250); დათვრენ და წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ, იქვე; ლურჯი ჩ ა მ ლ ა რ ი ე ნ, იქვე, 253; ქალები დ გ ა ლ ა რ ი ე ნ, იქვე, 255; სახთან დ გ ი ლ ა რ ი ე ნ, იქვე; პურის საჭმელად ჯ ი ლ ა რ ი ე ნ / ჯ დ ი ლ ა რ ი ე ნ, იქვე.

იმერულსა და გურულში ორპირიან ზმნებში „არიან", „არიენ" ხშირად მიცემითში დასმული სახელის მრავლობითს შეესაბამება, მოსალოდნელი **თ** აფიქსის ადგილას გვხვდება. სუბიექტი ჩვეულებრივ მხოლობითშია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფორმები, რომლებშიაც „არიან" მე-2 ობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს:

შევიდა სახში მელამ და კითხა: — როგორ მ ო გ წ ო ნ ა რ ი ე ნ, ბატონო? (= მოგწონთ), ა. ჯამბ.; არ ა ხ ს ო ბ ლ ა რ ი ე ნ, თუ არის პროგრამაში (= ახსოვთ), ვანის რ-ნი; ე ქვესკნელის ქალები სულ ლესტან-დარეჯანს გ ა ვ ლ ა რ ი ე ნ, იმისანეებია, დიალექტ. ქრესტ. 314,2; იგინი ჯ ო ბ ლ ა რ ი ე ნ (იქვე, 255); მ ი ჩ ე რ ე ბ ლ ა რ ი ე ნ, როის მოკტებაო, იქვე.

ზემოიმერული: ახლა თურმე საჰმელად ჯილარიენ, ზემოიმ. კილ. 543,1 ქვ.; სტუმრები წევლარიენ, იქვე, 217; ბევრი დგალარიენ, იქვე; ქათმები ჩალარიენ, იქვე; აქ წევლარიენ, იქვე.

გურული: ჯილარიენ უსაქმოდ და უსაქმობამ იგი იცის, ნენა, კობალ. 1,2; ჟილარიენ აი ფართუკიანი ქალები იქინე, რეიზა ჟდანარიენ, მითხარი ელანძე, იქვე, 1,38; მაგენი თფილიში დგანარიენ, იქვე, 1,41; ბოვშები აი იქინე დგანარიენ[1]; წევიდენ საცხა გზავრათ. ცხენზე ჟილარიენ, ქართ. დიალექტ. 427,9; ბავშები არ ჩანარიან; ბინიზა წუხლარიან ძალიან; თურმე იქავე გვერდით, ჟვერში კაჩაღები ჟილარიენ და მოპარულ ვოქროს იყოფენ, გურ. ფოლკ. 225,16.

დღეი კარში ყრილარიენ და რა სვრის ამ ოდას, კობალ. 1,3.

რა გინდებლარიენ, რეიზა მობრუნდით? (= გინდათ); რეიზა გიკვილარიენ მაი ამბავი? (= გიკვირთ); იგენს მოწონარიენ ნამეტანი, კობალ. 2,53 (= მოსწონთ); ნენა, მერი უკვილარიენ მაგენს, რაფერი ენისააო, იქვე, 1,45 (= უკვირთ); სახლიდან რომ გადავლიენ, აფერი აღარ ახსოვლარიენ; ღმერთი არ ახსოვლარიენ, ჩემი შვილის არ იყოს, იქვე, 1,25 (= ახსოვთ); რა უჭილარიენ, ნენა, ყველა მის საქმეს იკეთეფს, იქვე, 1,19 (= უჭირთ); რომ ქე უყვალარიენ, რეიზა არ იციენ მოვლა? იქვე, 1,20 (= უყვართ); თქვენ, კალანდაძნებს, სახელი გიყვალარიენ, იქვე, 1,12 (= გიყვართ); ბინა უჭილარიენ, თვარა ბაღნების მოვლა ქე იციენ, იქვე, 2,64 (= უჭირთ); ამ ბაღნებს რა ტკივლარიენ, ნეტე, იქვე, 1,4 (= სტკივათ); ქალიშვილს რომ მივე ყურბალიშე, საცხა უდენარიენო, ნინამ თქუა, იქვე, 1,21 (= უძევთ); გურამიზა ბზეი ამოუვლარიენ მაგენს, იქვე, 1,4 (= ამოსდით, ამოუდით); აი ქონება რომ დაგელიონ, ჩემი სახელი ახსენეთ და ფული მოგივლარიენ იქინევო, გურ. ფოლკ. 212,4 ქვ. (= მოგივათ); ჰიქაში ღვინო ჩაასხა, მაგრამ კი ვეღარ დალია, რადგანაც ხედავს ეზოში სტუმრები მოუვლარიან, იქვე, 65,10 (= მოუდიან).[2]

ლეჩხუმური: ლეჩხუმურში აღწერითი ფორმების ხმარება იმერულის გავლენით შეიძლება აიხსნას, თუმცა არც დამოუკიდებელი გზა არის გამორიცხული.

ესენი კოსტასას დგალარიან, სოფ. ლუხვანო; ბოვშები იქანე ზილარიენ, იქვე; იგი რო თვრალია, ვერავინ ვერ გაჩერდება ზერე, მორბილარიენ ქალები აკავანებით, სოფ. აღვი; არ მოდილარიენ ჯერ, იქვე; ნიანგის კორესპოდენტები მოდილარიენ და გაგზატავენ ნიანგშიო, იქვე; დადილარიან || დადილარიენ, — რავაც მოქხვთება, ისე ვიტყვით, ქართ. დიალექტ., 486,10; ჩამოდილარიენ, სოფ. აღვი.

შვილიშვილები უნდა ნავხო, მიყვალარიან, სოფ. ლუხვანო; ალავიძეებს არ გავლარიენ ისინი, სოფ. აღვი; სტუმრები გვყავლარიენ, როვა გეკადრებათ, იქვე: შვილები მყავლარიან დაკარგული, ერთი დამრჩა, სოფ.

---

[1] სადაც წყარო მითითებული არ არის, იგულისხმება ჩემ მიერ ლანჩხუთის რაიონში ჩაწერილი მასალები.

[2] ვალ ფუძეს დიალექტებში ზოგჯერ შენარჩუნებული აქვს ძველი მნიშვნელობა, ახლანდელ დროს გამოხატავს.

ლუხვანო (შდრ. იქვე: ორი რძალი მყავს, ერთს კვდარი და ერთს დაკარგული ყავთ ქმარები).

ჩვენი მასალების მიხედვით ლეჩხუმურის ორპირიან ზმნებში „არიან" მხოლოდ სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს, განსხვავებით იმერულისა და გურულისაგან, რაც თავდაპირველ ვითარებას უნდა შეესაბამებოდეს.

შესაძლოა, აღწერითი წარმოება ზოგიერთ სხვა კილოშიც არსებობდეს, მაგრამ ეს არ ჩანს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით. სავარუდოა, რომ ამგვარი ფორმები მოეპოვებოდეს ქვემორაჭულსა და ქვემოაჭარულს.

ზემოთ მოყვანილ აღწერით ფორმათა პირველი ნაწილის **ელ / ლ** ელემენტმა იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. სალიტერატურო ქართულში ამ ზმნათა აწმყოს სხვა პირები აღნიშნულ ელემენტებს არ შეიცავს. ვლ. ფანჩვიძე თავის „ქართული ენის იმერული კილო" შრომაში ამ ტიპის ფორმათა შესახებ ამბობს: „ახსნას საჭიროებს **-ელ / ლ** ელემენტი, რომელიც ამ შემთხვევაში ფუძესა და არიენ / არიან-ს შორის ჩაერთვის: ვარგ-ილ-არიენ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მიმღეობის მაწარმოებელ ფორმანტს წარმოადგენს, მაგრამ ამას ცალკე განხილვა ესაჭიროება" მოგვყავს პ. გაჩეჩილაძის ნაშრომთა მიხედვით (პ. გაჩეჩილაძე, 1951, 133-134; 1956, 142).

მეორე, უფრო მოგვიანო, ნაშრომში იგივე ავტორი კვლავ შეეხო აღნიშნულ ფორმებს და ზმნის ფუძე მიჩნეულია მესამე სერიის ფორმათა ანალოგიით შექმნილად: „რაც შეეხება ზმნის ფუძეს, იგი მესამე სერიის ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს ნაწარმოები (დაწერილ ვართ...), ოღონდ არაჩვეულებრივი წარმოებისაა და ასახსნელია ფუძის შედგენილობა, მისი ელემენტი **-ელ**: ჯდ-ილ-არიენ... ვარგ-ილ-არიენ..." (ვლ. ფანჩვიძე, 1945, 846).

ელ-ის მიმღეობის მაწარმოებლად მიჩნევას მხარს უჭერს პ. გაჩეჩილაძე: „**-ელ** რომ ჯდილ-ში მიმღეობის საწარმოებელი ელემენტია, ეს საეჭვო არ უნდა იყოს, რამდენადაც **-ელ**-ით ნაწარმოები მრავალი ფორმა მოიპოვება ძველსა და ახალ ქართულში (შდრ. გარე-მოდგომ-ილ-ი, ლ. 21,20; აღდგომ-ილ-ი, მრ. 16,14; აღრაცხ-ილ-ი, მ. 10,30C; ბან-ილ-ი, ი. 13,10C...).

საკითხი შეიძლება დადგეს თემის ნიშან-მოკვეცილი ფუძის გამოყენების შესახებ. გვაქვს და-ჯდ-ომ-ილ-ი, ა-დგ-ომ-ილ-ი, მაგრამ ზმნის აღწერითი ფორმების წარმოებისას[1] თემის ნიშანი **-ომ** იკარგება: ჯდ-ილ-არიენ... თემის ნიშნის მოკვეცა მიმღეობის წარმოების[1] დროს სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება (შდრ. მომზადილი). ხ.- ზეგნურის დგალარიენ მიღებული ჩანს ასე: მ-დგ-არ-არიენ → მ-დგ-ალ-არიენ (დისიმილაცია) → დგალ-არიენ (მ-ს დაკარგვა). ამის ანალოგიით უნდა იყოს მიღებული წევლარიენ, ვარგლარიენ / ვარგილარიენ" (პ. გაჩეჩილაძე, 1956, 142).

აქ ორი სხვადასხვა საკითხია ერთმანეთში არეული: 1. თემის ნიშნის მოკვეცა ზმნის აღწერითი ფორმების წარმოებისას, რის მტკიცებისთვისაც ავტორს არავითარი საბუთი არ აქვს და 2. თემის ნიშნის მოკვეცა მიმღეობის წარმოების დროს. ავტორის ვარაუდით, „მომზადილი" და მისთ. ფორმები ამის დამადასტურებელია. დიალექტებში მართლაც გვხვდება ამგვარი, თუ შეიძლება ით-

[1] ხაზი ჩვენია — ლ. ბ.

ქვას, „მოკლე" ფუძიანი მიმღეობები (მოტაცილი, დაწყილი... (ქ. ძოწენიძე, 1952-53, 87), შდრ. მომზადება, მოტაცება, დაწყება...), მაგრამ ეს მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ მათი ამოსავალი ზმნური ფუძე ყოფილა განსხვავებული. ცნობილია, რომ დიალექტებში ზოგჯერ გვხვდება მსგავსი ფუძეები. მაგ., გურულში მიუთითებენ ასეთი ფორმების არსებობაზე: ნახს, დახედს, ვხოცდით, ვთესდით, მორეკს... (პ. ჯაჯანიძე, 1956, 306). ასევეა იმერულში: მოვბოჭდი, დაკეტდა, მოვხარშთი და მისთ. (ქ. ძოწენიძე, 1973, 62). აქვე გვხვდება გამოძახილი, დატოვილი, დაწყილი, ანთილი... და ქ. ძოწენიძე ფიქრობს, რომ შესაბამის აწმყოსაც არ უნდა ჰქონოდა სუფიქსი (იქვე). მაშასადამე, მიმღეობის წარმოების დროს თემის ნიშნის მოკვეცა ამ საბუთით ვერ დამტკიცდება.

პ. გაჩეჩილაძის ვარაუდით, ყველა სხვა **ილ**-იანი ფორმისათვის საანალოგიოა ერთადერთი ზმნა ჯდილარიენ, რომელსაც თითქოს „მიმღეობა" + არიენ აწარმოებს, **ლ** ელემენტიანი ფორმებისათვის კი — ასევე ერთადერთი დგალარიენ, რომელიც აგრეთვე მიმღეობური წარმოებისა ჰგონია მას: მ-დგ-არ-არიენ → დგალ-არიენ. მაგრამ კითხვა ისმის: როგორ მოხდა, რომ ორ ერთნაირ ზმნაში სხვადასხვა ტიპის მიმღეობაა გამოყენებული ერთი და იმავე მიზნისათვის?

ცნობილია, რომ **დგ** (დეგ), **ჯდ** (**ჯედ**) ფუძეთაგან მიმღეობა ჩვეულებრივ ამგვარია: მ-დგ-არ-ი, მ-ჯდ-არ-ი.[1] თუ ერთ შემთხვევაში აღწერითი წარმოებისას მ-დგ-არ ტიპს ვივარაუდებთ ამოსავლად, რატომ არა გვაქვს ტიპურად მსგავს მეორე ზმნასთან ასეთივე ვითარება? (შდრ. ჯდ-ილ-ი, მიღებული თითქოს ჯდომილი-საგან და მ-დგ-არ-ი).

ვარაუდი, რომლის მიხედვითაც „წევლარიენ", „ჯილარიენ" ტიპის წარმოება ახსნილია ერთპირიან ზმნათა პირველი თურმეობითის ანალოგიით, სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს (ქ. ძოწენიძე, 1973, 293; 239; მ. ძიძიშვილი, 1958, 197), მხედველობაში აქვთ ქართული ენის დასავლურ კილოთა ერთპირიანი ზმნის პირველი თურმეობითი, კერძოდ მისი მრავლობითი რიცხვის მესამე პირი, რომელიც აღწერითი წარმოებისაა და ძველი ქართულის მსგავს სრულ სახეს ინარჩუნებს დღესაც (შ. ძიძიგური, 1938, 130; ქ. ძოწენიძე, 1973, 293; მ. კობალაძე, 1958, 245; მ. ძიძიშვილი, 1958, 197). გვაქვს ასეთი ფორმები: წასულარიან / წასულარიენ, დაწოლილარიან / დაწოლილარიენ, ჩამოსულარიენ, ყოფილარიენ, გაპარულარიენ, გაქცეულარიენ და მისთ. შდრ. სალიტერატურო ქართულის წასულან, დაწოლილან, ჩამოსულან, ყოფილან, გაპარულან, გაქცეულან. მოყვანილ დიალექტურ ფორმებში საუღლებელი ზმნის წარსული დროის მიმღეობას ემატება მეშველი „არიან", „არიენ" ზმნა სრული სახით. ერთი შეხედვით, ეს ფორმები თითქოს ჰგვანან წევლარიენ, ჯილარიენ, გავლარიენ, ყავლარიენ და მისთ. ფორმებს, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ეს ფორმები ერთმანეთის მსგავსი მაშინ იქნებოდნენ, თუ აღმოჩნდებოდა, რომ წევლარიენ, ჯილარიენ ტიპის ზმნათა პირველი ნაწილი მიმღეობაა, რაც მოსალოდნელი არ არის.

[1] ძველი ქართულის აღ-დგომ-ილ-ი ისევე, როგორც სხვა სახის მიმღეობები ამავე ზმნებისა (მ-დგომ-არე, მ-ჯდომ-არე) სხვა ფუძეს ეყრდნობა.

ქ. ძოწენიძემ იმერული კილოს გამოწვლილვითი შესწავლის დროს არაერთხელ მიაქცია ყურადღება აწმყოს ზემოთ აღნიშნულ აღწერით ფორმებს. პირველად ის ამ ფორმებს ეხებოდა ნაშრომში „იმერული კილოს უხუთური მეტყველება“ (1948 წ.), რომელიც გადაბეჭდილია ამავე ავტორის წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973. ის ჯერ მსჯელობს ერთპირიან ზმნათა პირველი თურმეობითის „წასულარიენ“ ტიპის ფორმებზე, შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „საშუალი გვარისა და სტატიკური ვნებითის ზოგიერთი ზმნა თურმეობითის ანალოგიით იწარმოება აწმყოში“ და ნიმუშებად მოჰყავს მოდილარიენ, გვიჯილარიენ, დგანარიენ, ყრილარიენ, წევლარიენ ზმნები (იქვე, 293).

1964 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომლის სათაურია „უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში“, მკვლევარი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ახალ, ჩვენი აზრით, მართებულ ახსნას იძლევა. მისი დაკვირვებით, ამ ზმნათა ერთ ნაწილს ზემოიმერულში აღმოაჩნდა **ალ, არ** დაბოლოება (ნაცვლად **ან**-ისა). „დგარენ / დგალენ“, „გავრენ / გავლენ“... ფუძეს ემატებაო „არიენ“ მეშველი ზმნა და, ბუნებრივია, თუ ამ პოზიციაში დისიმილაციას აქვსო ადგილი. შემდეგ მკვლევარი განაგრძობს: „ვფიქრობთ, ამ კონტექსტში შეიძლება გასაგები გახდეს ქვემოიმერულის დგალარიენ, ჩალარიენ, წევლარიენ, გავლარიენ, ყავლარიენ და მსგავს ფორმათა წარმოება (მოდილარიენ, ჯილარიენ ამგვარი ფორმების ანალოგიური წარმოების შედეგი უფრო ჩანს, ვიდრე ერთპირიან ზმნათა მესამე სერიის აღწერითი ფორმებისა). საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება და გადაჭრით რისამე თქმა ძნელია. ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ სავარაუდო მსჯელობაა შესაძლებელი“ (იხ. წიგნში: ქ. ძოწენიძე, 1973, 275-276; შდრ.: ლ. ბარამიძე, 1965, 147-152).

ცოტა მოგვიანებით ქ. ძოწენიძემ რატომღაც ისევ ანალოგიის თეორიას დაუჭირა მხარი: „ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლიობად უნდა გამოიყოს ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველის ასეთი წარმოება: წასულარიენ, გაზდილარიენ, დაწოლილარიენ...

ამგვარი ფორმების ანალოგიითაა ნაწარმოები სტატიკურ ზმნათა აწმყოც: მოდილარიენ, გვიჯილარიენ, დგალარიენ, წევლარიენ“ (ქ. ძოწენიძე, 1973, 227-241).

ზემოთ აღინიშნა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფდნენ აღწერით ფორმათა **ლ, ილ** ელემენტებს და მათი ახსნის ცდა იყო მოცემული. ქვემოთ ვუჩვენებთ, რომ **ილ** ელემენტი არ არსებობს, ის იშლება **ი** და **ლ** ნაწილებად, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობისა არიან:

ლ ელემენტიანი ფორმები ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს. პირველ ჯგუფში მეშველი „არიენ“ ზმნა დაერთვის აწმყოს ფუძეს, რომელსაც გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები განუცდია. მეორე ჯგუფში **ლ** ფუძისეული არ ჩანს, ანალოგიით უნდა იყოს გადმოსული პირველი ჯგუფის ზმნათაგან.

გურულში აღწერითი ზმნები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. **ლ** ელემენტი არა გვაქვს: 2. **ლ** მიღებულია ფორმაში ფონეტიკური ცვლილებების გზით: 3. **ლ** გაჩენილია მეორე ჯგუფის ზმნათა ანალოგიით.

ამოსავალი ვითარება დაცულია სწორედ პირველი ჯგუფის ზმნებში. ესენია: ჯდანარიენ, დგანარიენ, ჩანარიენ, მოწონარიენ, უდენარიენ (მაგალითები

ნახეთ ზემოთ). ამათ მიხედვით ჩანს, რომ „არიან", „არიენ" მეშველი ზმნა დაერთვის ზმნის აწმყოს ფუძეს, რომელიც თავის მხრივ დიალექტურია. ეს ფორმები გამჭვირვალეა და ცხადია, რომ მათ შედგენილობაში მიმღეობა არ მონაწილეობს.

გურულის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება გიკვილარიენ (უკვილარიენ), უჭილარიენ, უყვალარიენ (გიყვალარიენ)... ზმნები, რომელთა აგებულება და წარმოშობა, აგრეთვე, ნათელია: გიკვირ-არიენ → გიკვილ-არიენ, უკვირ-არიენ → უკვილ-არიენ, უჭირ-არიენ → უჭილ-არიენ, უყვარ-არიენ → უყვალ-არიენ, გიყვარ-არიენ → გიყვალ-არიენ. აქ მოქმედებს ქართულ ენაში კარგად ცნობილი წესი ორი რ-ს დისიმილაციისა.

ლ ფუძისეულია და იმთავითვე გვექნებოდა ამოუვლარიენ, მოგივლარიენ, მოუვლარიენ ფორმებში,[1] რომლებშიც **ვალ** ფუძე ძველი ქართულის მსგავსად ახლანდელი დროისაა, აწმყოშია გამოყენებული.

მესამე ჯგუფში შედის სწუხლარიენ, გინდებლარიენ, ახსოვლარიენ, ტკივლარიენ, ჟილარიენ / ჯილარიენ, ყრილარიენ... ტიპის ზმნები.. როგორც აღინიშნა, ამ ფორმათა **ლ** ფუძისეული არ ჩანს, ის მეორე ჯგუფის ზმნათა ანალოგიით უნდა იყოს წარმოშობილი.

ეჭვს იწვევს სწუხლარიენ / წუხლარიენ ფორმა: შესაძლებელია, მისთვის ამოსავალი იყოს დიალექტური წუხნან, შდრ. წუხლან (ქ. ძოწენიძე, 1973, 258), თუ ეს უკანასკნელი კონტამინაციის შედეგი არაა: წუხან, წუხლარიენ → წუხლან. შდრ. ჯიან, ჯილარიენ → ჯილან (პ. გაჩეჩილაძე, 1956, 137).

იმერულსა და ლეჩხუმურში ამოსავალი ვითარება უფრო დაბნელებულია ფონეტიკურ პროცესთა წყალობით. გურულში გამოყოფილი პირველი ჯგუფის ფორმები (დგანარიენ...) აქ აღარ შემორჩენილა,[2] ფონეტიკური ცვლილებები განუცდიათ. მათ ნაცვლად გვაქვს: წევლარიენ, გავლარიენ, დგალარიენ, ჩალარიენ, ყავლარიენ..., რომლებიც გვერდით უდგანან გურულის მეორე ჯგუფის ფორმებს: უყვალარიენ, უკვილარიენ, უჭილარიენ და მისთ. ეს უკანასკნელები იმერულსა და ლეჩხუმურშიც დასტურდება[3] (შ. ძიძიგური, იქვე, 130).

დგალარიენ, წევლარიენ და მისთ. ფორმები დისიმილაციის მოქმედების შედეგი უნდა იყოს ისევე, როგორც უყვალარიენ ტიპის ზმნები.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია ზემოიმერულის ერთი საინტერესო ფაქტი (ლ. კიკნაძე, 1946, 166-167): სალიტერატურო ქართულის დგ-ან-ან, წვ-ან-ან. მყვ-ან-ან, ჩ-ან-ან ფორმათა მაგიერ აქ გვხვდება დგარან, წევრან, მყავრან... ფორმები. ვარაუდობენ, რომ **რ** ამ ფორმებში მიღებულია თავდაპირველი **ნ**-საგან დისიმილაციის ნიადაგზე: დგანან → დგარან, წევნან → წევრან, მყავნან → მყავრან (იქვე, 167-168).

დისიმილაციური მონაცვლეობის ამგვარი მაგალითები უხვად არის გამოვლენილი ქ. ძოწენიძის ნაშრომებში ზემოიმერულის შესახებ, გვხვდება მის მიერ შეკრებილ ტექსტებში: იმ სერზე დგარან გლეხები, ზემოიმერ. კილ. 490,21: ჩე-

[1] მათი მნიშვნელობა იხ. ზემოთ მაგალითებში.

[2] იშვიათად, როგორც ჩანს, მაინც შეიძლება შეგხვდეს დგანარიენ (შ. ძიძიგური, 1938, 131).

[3] უკვირლარიენ კონტამინირებული ფორმაა: უკვირთ / უკვილარიენ → უკვირლარიენ.

მი ბოვშები ერთათ წევრან, იქვე 529,24: ასევე: 511,35: ბოვშები მხეცები მყავრან, იქვე 511,27: არც ერთი არ გავრან ერთმანეთს, იქვე 29: სტუმრები მოჩარან, იქვე, 250.

სუფიქსად გვხვდება **ენ** ფორმანტიც: გევიხედე, აგერ დგარენ, ზემოიმერ. კილ. 384,15: ნინას გოგოები ერთმანეთს ძაან გავრენ, იქვე, 527,36; არ ჩარენ, იქვე.

ქ. ძოწენიძე აღნიშნავს, რომ „მთელ ზემოიმერულ მეტყველებაში დასახელებულ ზმნებს მრავლობითი რიცხვის წარმოებისას **ნ**-ს ადგილას **რ** აღმოაჩნდება“ (ქ. ძოწენიძე, 1973, 275).

ზემოიმერულშივე, ზესტაფონის რაიონში, მას შეუნიშნავს რ-ს გვერდით **ლ**-ის ხმარებაც: ე კაცები ფეხზე დგალენ (ქ. ძოწენიძე, 1973, 216); გოგოები არც ერთი არ გავლენ ამ ბიჭს, ზემოიმ. კილ. 533,6 ქვ. იშვიათად დაცულია **ნ**-იანი ვარიანტიც: წევნან (იქვე, 275). ზოგჯერ ამ ტიპის ზმნათა ფუძეში არა გვაქვს არც ერთი: არც **ნ**, არც მისი მონაცვლეები **რ** და **ლ**: ესენი, რძალი და მაზლი ერთათ წევან, ზემოიმ. კილ. 442,2: ასევე, იქვე, 443,12. ფუძე უკუმშველია და **ნ** დაკარგულია სხვა კილოებშიც: ყავან, დიალექტ. მას. 385,27 (აჭარული); გვყავან, ქართ. დიალექტ. 397,18 (აჭარ.); წევან, დიალექტ. ქრესტ. 377,40 (იმერ.); მყავან, ყავან, ქართ. დიალექტ. 527,22-23 (მთარაჭული).

როგორც აქედან ჩანს, იმერულის აღწერით ზმნათა ფუძეში რამდენიმე ფონეტიკური პროცესი მომხდარა, წევლარიენ, გავლარიენ, ყავლარიენ ზმნათა ფუძე უკუმშველია ამ კილოში. ამოსავალი წევ-ნ-ან → წევ-რ-ან / წევ-ლ-ან, მყავ-ნ-ან → მყავ-რ-ან / მყავ-ლ-ან, გავ-ნ-ან → გავ-რ-ან / გავ-ლ-ან. ასევე ამოსავალი დგ-ან-ან → დგა-რ-ან / დგ-ალ-ან, ჩან-ან → ჩარ-ან / ჩალ-ან დისიმილაციის გზით. **რ** და **ლ** ზოგჯერ გადასულია მხოლობითის მესამე პირში, იშვიათად სხვა პირებშიაც (იქვე, 193-194, 216): დგარს, ჩარს; სხვა მაგალითები: ზემოიმერ. კილ. 436,2 ქვ.; იქვე, 436,10; იქვე, 526,14; ვდგარვართ.[1]

ქვემოიმერულის აღწერითი ფორმებისათვის გამოყენებული უნდა იყოს **ლ**-იანი ვარიანტი: წევლან → წევლარიენ, გავლან → გავლარიენ, დგალან → დგალარიენ, ჩალან → ჩალარიენ, ყავლან → ყავლარიენ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ, როგორც ქ. ძოწენიძეს აქვს შენიშნული (1973, 216), **ლ** გვხვდება მხოლოდ ზესტაფონის რაიონში, ე. ი. ქვემოიმერულის უშუალოდ მოსაზღვრე კუთხეში, რომელშიაც აღწერითი ფორმებიც გვაქვს ქვემოიმერულის მსგავსად. თუმცა არც **რ** ელემენტიანი ფორმები არის გამორიცხული, მაშინ „არიან“, „არიენ“ მეშველი ზმნის მიმატება დისიმილაციას გამოიწვევდა ფუძეში: წევრ-არიენ → წევლარიენ (ქ. ძოწენიძე, 1973, 276). ჩვენ უფრო პირველი გვგონია.

რაც იმერულის შესახებ ითქვა, ეხება ლეჩხუმურსაც, რადგან აქაც მსგავსი ვითარებაა.

იმერულსა და ლეჩხუმურში ზემოთ აღნიშნულ ფორმათა გვერდით გვხვდება სხვებიც. ესენია: ჯობლარიენ, მიჩერებლარიენ, წუხლარიენ... და ე. წ.

[1] დუღრან, დუმრან (ქ. ძოწენიძე, 1973, 275), შესაძლებელია მიღებული იყოს დუღნან, დუმნან ფორმათაგან (შესაბამისად, ეს უკანასკნელი კი — წევნან და მისთანათა ანალოგიით).

„ილ ელემენტიანი" ფორმები: დადილარიენ, მოდილარიენ, მორბილარიენ, ზილარიენ, ჯდილარიენ / ჯილარიენ, გვიჯილარიენ, ვარგილარიენ... ზოგი ამათგანის მსგავსი ფორმები გურულშიც გვქონდა (ზილარიენ, ყრილარიენ...) და მათ შესახებ ზემოთ აღინიშნა, რომ ისინი „დგალარიენ" ტიპის ფორმათა ანალოგიით არიან მიღებული, ე. ი. ამათში **ლ** გაჩენილია. **ლ**-ს წინ მდგარი **ი** კი ფუძისეულია. იგივე **ი** გვაქვს ამავე ზმნათა ყველა პირში: 1-ლსა და მე-2 პირებში, აგრეთვე მე-3 პირის მხოლობით რიცხვში: დავდივარ, დადის; მოვრბივარ, მორბის; ვზივარ / ვჟივარ / ვჯდივარ / ვჯივარ და: ზის, ჟის, ჯდის, ჯის; ვყრივართ, ყრია...

ამიტომ ცოტა უცნაურია, როცა ლ-ს გვერდით ამ ი-საც გამოყოფენ და არარსებული **„ილ** ელემენტის" ახსნას ცდილობენ. ამ შეცდომას მოჰყვა მეორეც: **„ილ** ელემენტიანი" ზმნები სწორედ ამ **„ილ**"-ით აღმოჩნდა მიმღეობით ნაწარმოები აღწერითი I თურმეობითის „მსგავსი": ჯილარიენ, შდრ. ყოფილარიენ.

თითქოს ცალკე დგას „ვარგილარიენ", შდრ. ვარგვარ, ვარგა. მას გვერდით ამოუდგება დგილარიენ, ადგილარიენ (თავს), უდგილარიენ (გვერდით) და მისთ. რა შეიძლება ამათ შესახებ ითქვას? როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან (ა. შანიძე, 1973, §§ 392; 564; ლ. ბარამიძე, 1965, 99-104), სტატიკურ ზმნათა **ია** დაბოლოებაზე გადავიდა მედიოპასიური ზმნებიც. ეს პროცესი ძველსავე ქართულში დაიწყო და დღესაც გრძელდება: დგას → დგია, ადგას → ადგია, უდგას → უდგია, აკლს → აკლია, ჯდის → ჯდია, სჯობს → ჯობია და სხვ. **ია** დაბოლოებაზე გადასვლა საშუალი გვარის ზმნებისა კილოებში დღესაც მიმდინარეობს. იმერულში გვხვდება ასეთი ფორმები: წვია, ჯდია/ჯია, აჯდია, დვია, დგია (ლ. ლეჟავა, 1958, 186-187) ჯდია ვინმე? ზემოიმ. კილ. 437,3: უჯდია, დიალექტ. ქრესტ. 302,31: უდგია, იქვე, 308,16: უყვარია (საუბრიდან).

აქვე გვხვდება „ვარგია" ფორმაც: ორპირათ გადააბრუნეფ, ცალპირი არ ვარგია, ზემოიმ. კილ. 432,23.

ანალოგიური ფორმები დასტურდება გურულშიც: დგია (საუბრიდან); მიდგია, გურ. ფოლკ. 109,13 ქვ.; ზია: მიველი და ბუხართან ზია აი მთვრალი კაცი (საუბრიდან). ასევეა ლეჩხუმურშიც: დგია, ჯდია, გვიჯდია.

ამათ გვერდით ორივე კილოში გვხვდება სხვა ტიპის ფორმები, რომლებშიაც უძველესი ვითარება ჩანს დაცული.

იმერულში: დგანა, დენა, წვენა/წენა, ჯდენა (ქ. ძოწენიძე, 1973, 293). **ენ** დაბოლოების მქონე ფორმები, შესაძლოა, დისიმილაციით იყოს მიღებული: წვენა / წენა /= წევს /← წვანა; დენა /= დევს, ძევს /← დვანა; ჯდენა /= ზის, ჯდის /← ჯდანა.

გურულში: დგანა, დიალექტ. ქრესტ. 336,35: გურ. ფოლკ. 156,6; მიდგანა, იქვე, 123,4; ადგანა, ქართ. დიალექტ. 428,28; ჟდანა, იქვე, 434,2; უჯდანა, გურ. ფოლკ. 260,22.[1]

მსგავსად არის ნაწარმოები იმერულსა, გურულსა და ლეჩხუმურში 1-ლი და მე-2 პირის ფორმები:

[1] შდრ. დგანს, ჯდანს აჭარულისა: დგანს, ქართ. დიალექტ. 366,16; ჯდანს, დიალექტ. მას., 385,18.

იმერულში: ვჯივარ, ზემოიმ. კილ. 438,2; იქვე 438,9; ვჯდივარ, იქვე, 527,20; 363,10; ვარგიხარ, იქვე, 529,11; ჯდანხარ, იქვე, 220; ვჯდენვარ, ვწენვარ, იქვე, 293.

გურულში: ვჟივარ, გურ. ფოლკ. 130,19; იქვე, 109,12 ქვ.; ვჟივართ, კობალ. 3,119; ვჟდანვარ (საუბრიდან); კობალ. 1,22; იქვე, 3,110: ჟდანხარ, იქვე, 2,59; ვდგანვართ, გურ. ფოლკ. 100,5 ქვ.

ლეჩხუმურში: ვჟივარ, სოფ. აღვი: ვჯდივარ, სოფ. ლუხვანო; ვჟდივარ, სოფ. აღვი; ვჟდივართ, იქვე; ჟდიხარ, იქვე; ჟდიხართ, იქვე.

მაშასადამე, ვარგილარიენ, დგილარიენ ია დაბოლოების მქონე ფორმათა მრ. მე-3 პირია და, ბუნებრივია, ი ფუძისეული იქნება.

ზემოთ თქმულის მიხედვით აწმყოს მრავლობითის მე-3 პირის აღწერით ფორმათა შესახებ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ფორმები არის გამოხატულება ენაში არსებული უნიფორმაციის ტენდენციისა: 1-ლი და მე-2 პირების შემდეგ მეშველი ზმნა უჩნდება მე-3 პირსაც:

ვდგანვარ	ვდგანვართ	ვდგივარ	ვდგივართ
დგანხარ	დგანხართ	დგიხარ	დგიხართ
დგანა	დგანარიენ	დგია	დგილარიენ

ამგვარად, რამდენიმე დასავლურ დიალექტში დადასტურებული აწმყოს მრავლობითის მე-3 პირის მეშველიანი ფორმები კანონზომიერი გაგრძელებაა ამავე ზმნათა 1-ლი და მე-2 პირების წარმოებისა: აქაც ისევე, როგორც 1-ლსა და მე-2 პირებში, მეშველი „არიან", „არიენ" ზმნა აწმყოს ფუძეს ემატება. ირკვევა, რომ აღწერით ფორმათა გამოყენების არე თანდათან ფართოვდება. არის ცდა მეშველი ზმნის დართვისა აწმყოს მხოლობითის მე-3 პირშიაც, ოღონდ მიღებულია ძალზე თავისებური ფორმები: ჟილარია, უდგილარია (= ზის, უდგას). მაგალითები: მოდის კაცი, ჟილარია ცხენზე და ნაბადი ახურია, ქართ. დიალექტ. 472,18 (წულუკიძის რაიონი); ცაგერს რო უდგილარია, აგია (ცაგერის რ-ნი, სოფ. ლუხვანო).

მეშველი ზმნა გადასულა ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა თურმეობით პირველშიც, მრავლობითის მე-3 პირში.

გარდაუვალი ზმნები: გაროუჭრიათ გზაი თათრებიზა და მოქცევლარიენ წინ (= მოჰქცევიან), ქართ. დიალექტ. 470,2 (წყალტუბოს რ-ნი); მერე ისთევლე თათრები დახვთერლარიენ წინ (= დაჰხვედრიან, დიალექტური დახვთერიან), იქვე, 470,3. შდრ. დახვთერია (ის მას); ისტე ქალებმა ქე მითხრეს, რომეო შენ გოგუეფს ბიჭები კიდო მოყოლარიენო, მარა რას ვიფიქრებდი (= მოჰყოლიან), ცაგერის რ-ნი, სოფ. მახაში; მოფერებილარიენ პირში (= მოჰფერებიან), ზემოიმ. კილ. 255.

გარდამავალი ზმნები: მასკვან აღარ მინახავლარიენო. არ მინახავლარიენ დიდიხანია (= მინახავს, მინახავან), ზემოიმ. კილ. 255.

ეს ფორმები ენაში ერთხელ გაჩენილი ტენდენციის ბუნებრივი განგრძობაა: მეშველი ზმნა მე-3 პირში ჩნდება იქ, სადაც 1-ლსა და მე-2 პირში უკვე გვაქვს. მაგ.: მოვჰყოლი-ვართ, მოჰყოლი-ხართ და მოყოლ-არიენ; მოვფერები-ვართ, მოჰფერები-ხართ, მოფერები-ლ-არიენ: მინახავ-ხართ, მინახავ-ლ-არიენ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ენა აქ არ ჩერდება. ანალოგიური წარმოება გვხვდება იმ შემთხვევებშიც, სადაც მოსალოდნელი არ იყო, კერძოდ, **ე**-ნიანი ვნებითის აწმყოს მე-3 პირში: ბავშვებო, ბავშვებო... რა გაჩხუბებთ? გეყოფლარიენ ახლა, თ. დრაიზერი, ფინანსისტი, თბილისი, 1966 წ., 13, 8; დედა, დედა, რამდენჯერ გითხარი — „გეყოფლარიენ" არა თქვა-მეთქი, იქვე, დედაწში, ინგლისურში, ამ წინადადებაში ნახმარია დიალექტური ფორმა სხვა სიტყვისა და მთარგმნელს (მოსე ქარჩავას) შესაფერისი კუთხური ფორმა მოუნახავს მეორე სიტყვისათვის. მაშასადამე, დიალექტური ფორმა შეგნებულად არის მოხმობილი, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ცოცხალი მეტყველებიდან არის აღებული, ალბათ გურული ან ქვემოიმერული ფორმაა გამოყენებული. სპეციალურ ლიტერატურაში მოყვანილია ეხმარებილარიენ ფორმაც (ქ. ძოწენიძე, 1973, 255): ეხმარებილარიენ გოგოები ძმას, იქვე.

ცალკე უნდა შევჩერდეთ აღწერით ფორმებთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე.

ზემოთ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ორპირიან აღწერით ზმნათა ერთი ნაწილის აწმყოს ფორმებში „არიენ" გამოხატავს მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობას: მოწონარიენ = მოსწონთ (მათ ის). უკვილარიენ = უკვირთ (მათ ის), ახსოვლარიენ = ახსოვთ (მათ ის), უჭილარიენ = უჭირთ (მათ ის), უყვალარიენ = უყვართ (მათ ის) ტკივლარიენ = სტკივათ (მათ ის).

მოყვანილ მაგალითებში მიცემითში დასმული სახელი მე-3 პირია. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ „არიან", „არიენ" ზმნა გვაქვს მეორე პირის მრავლობითობის აღსანიშნავად. ვგულისხმობთ ობიექტურ პირს, რომელსაც „არიენ" მეშველ ზმნასთან ერთად **გ** პრეფიქსიც შეესაბამება ფორმაში: გ-იკვილ-არიენ = გ-იკვირ-თ (თქვენ ის), გ-იყვა-ლარიენ = გ-იყვარ-თ (თქვენ ის) და მისთ.

შეიძლება გვითხრან: ამ ზმნებთან მიცემითში შეწყობილი სახელი სუბიექტად გაიგება და იმიტომ დაერთვისო „არიენ" ზმნა. მაგრამ მაშინ ის არ უნდა იყოს მე-2 პირში. ამასთან, ასეთივე ვითარება გვაქვს იმ ფორმებშიც, რომლებიც სადავო არაა და რომლებშიც სუბიექტი სახელობითში დასმული სახელია: უდენ-არიენ = უძევ-თ (მათ ის), ამოუვლ-არიენ = ამო-უდი-თ (მათ ის), მო-გ-ივლ-არიენ = მო-გ-ივა-თ (თქვენ ის). ამ ფორმებში მრავლობითში ობიექტია და მისი რიცხვია გადმოცემული „არიენ" მეშველი ზმნით.

ამათთან ერთად, რა თქმა უნდა, გვხვდება მაგალითები, რომლებშიც „არიენ" გამოხატავს სუბიექტის მე-3 პირის მრავლობითობას: უყვალარიან = უყვარან (მას ისინი), მოუვლ-არიან = მოუდიან (მას ისინი). სწორედ აქ იყო მოსალოდნელი მისი ხმარება. სხვა შემთხვევებში კი ის ენაცვლება ობიექტის მრავლობითობის **თ** აფიქსს.

ცნობილია, რომ იმავე იმერულსა და გურულში სუბიექტის მე-3 პირის **ენ** სუფიქსი გამოყენებულია ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად, სალიტერატურო ქართულის **თ**-ს ნაცვლად: მოაქვ-ენ (= მოაქვ-თ), გა-ქვ-ენ (= გაქვ-თ), მოყავ-ენ (= მოჰყავთ) გინდები-ენ (= გინდა-თ) და სხვ. (ა. ჩიქობავა, 1936, 102;

ვლ. ფანჩვიძე, 1945, 847). ეს ზანურის გავლენით არის ახსნილი (ა. ჩიქობავა, 102).

ორპირიან აღწერით ფორმებში „არიან“, „არიენ“ მეშველი ზმნის ხმარების არის გაფართოება ამ ტენდენციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ლეჩხუმურში „არიან“, „არიენ“ მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა სუბიექტის მე-3 პირის მრავლობითობა არის გამოსახატავი:[1] ის გვხვდება ან ერთპირიან ზმნებში, ან კიდევ ორპირიან ზმნათა სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მე-3 პირში. მაგალითად: შვილიშვილები უნდა ნავხო, მიყვალარიან (= მიყვარან ისინი მე); სტუმრები გვყავლარიენ (= გვყვანან ისინი ჩვენ); შვილები მყავლარიან დაკარგული (= მყვანან ისინი მე); ალავიძეებს არ გავლარიენ ისინი (ჰგვანან ისინი) და მისთ.

[1] რამდენადაც ეს ჩვენი მასალის მიხედვით ჩანს.

III. აწმყოსა და I თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში (პირთან დაკავშირებით)

გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის წარმოებას ძველი ქართულიდანვე დაჰყვა ერთი თავისებურება: ზმნათა ერთი, დიდი ნაწილი დაირთავს **ოე** სუფიქსს, რომელიც ამ მწკრივის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, მეორე კი სპეციალურ სუფიქსს არ შეიცავს, იმეორებს ამ ზმნათა აწმყო-მყოფადის ფორმებს (დამიწერ-იე-ს... მომიკლ-ავ-ს). **ოე** სუფიქსიანია ყველა ზმნა, გარდა **ავ** და **ამ** თემისნიშნიანებისა. წარმოების პირველ ტიპში გაერთიანებულია სრულიად სხვადასხვა აგებულების ზმნები — როგორც თემისნიშნიანები, ისე უთემისნიშნოები, ხმოვანმონაცვლეები და სხვ. თემისნიშნიანთაგან აქ შემოდის **ი**, **ებ**, **ობ**, **ოფ** და **ემ**-იანი ზმნები. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ეს თემის ნიშნები ზმნას შეიძლება გადმოჰყვეს პირველ თურმეობითშიც. მაშინ მწკრივის აფიქსი (ძველი ქართ. **ოე**, ახ. ქ. **ო**) მას მიერთვის (ძვ. ქ. მიმიც-ემ-იე-ს, მიყ-ოფ-იე-ს... ახ. ქ. ამიშენ-ებ-ი-ა... გამიკეთ-ებ-ი-ა...).

ცალკე ჯგუფს ქმნიან **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები, რომელთაც პირველი თურმეობითის საწარმოებლად სპეციალური აფიქსი არ სჭირდებათ (ძვ. ქ. მიხილ-ავ-ს, მითქუ-ამ-ს). **ავ**, **ამ**-იანი ზმნები სხვა მხრივაც იქცევენ ყურადღებას. როცა საშუალ ქართულში გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის 1-ლსა და მე-2 პირს მეშველი დაერთო, **ავ**, **ამ**-იანი ზმნები ერთხანს განზე იდგნენ და შედარებით მოგვიანებით შეუერთდნენ დანარჩენ ზმნებს (ლ. ბარამიძე, 1964, 116-119). გარკვეულ პერიოდში ერთმანეთის გვერდით იხმარებოდა უშობივარ, უშობიხარ... და მოუკლავ მას მე, მოუკლავ მას შენ... ნაცვლად მოსალოდნელი მოუკლავარ, მოუკლავხარ ფორმებისა.

ენაში ადრევე დაწყებულა პირველ თურმეობითში **ავ**, **ამ**-იან ზმნათა უღლების გათანაბრება სხვა გარდამავალ ზმნებთან. პირველი ნიმუშები მე-3 პირში შეინიშნება: დამისახავს → დამისახია, დაგითესავს → დაგითესია (ზ. ჭუმბურიძე, 1976, 29). შემდეგ ეს მოვლენა მოედო მთელს ენას, გავრცელდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებში და შემოვიდა სალიტერატურო ქართულშიც (ა. ჩიქობავა, 1944, 129; ზ. ჭუმბურიძე, 1976, 30-32). **ავ** და **ამ** თემისნიშნიან ზმნებში **ი** დაბოლოების გაჩენა ახსნილია ენაში უნიფიკაციის ტენდენციის არსებობით. ენაში გამოყენებული ორი პარალელური ფორმიდან გაბატონდა ერთ-ერთი და ფორმათა წარმოება ერთგვაროვანი გახდა (ვ. თოფურია, 1955, 58; გრ. იმნაიშვილი, 1974, 210-211; ზ. ჭუმბურიძე, 1976, 32).

პირველი თურმეობითის მსგავსი ვითარებაა სტატიკურ ზმნათა აწმყოში, რაც განსაზღვრულია მათი გენეტური კავშირით (ა. შანიძე, 1953, 445-446; ნ. ნათაძე, 1955, 98). აქაც გამოიყოფა ზმნათა ორი ჯგუფი — **ოე** ბოლოსართიანი და **ავ** და **ამ** თემისნიშნიანები. ეს უკანასკნელი მწკრივის აფიქსს არ დაირთავს. სტატიკურ ზმნათა **ავ** დაბოლოებაც იცვლება გარკვეული დროიდან, ირთავს **ი** სუფიქსს: ჰ-კიდ-ავ-ს → ჰკიდ-ი-ა, ახლ-ავ-ს → ახლ-ი-ა (ლ. ბარამიძე, 1965, 98-102).

თურმეობითი პირველის წარმოების მიხედვით ქართული ენის დიალექტებს ორ ჯგუფად ყოფენ სპეციალურ ლიტერატურაში: პირველში მოქცეულია დიალექტთა უმეტესობა, ე. წ. ბარის კილოები, მეორეში — მთის კილოები. თუ ბარის კილოებში **ი-ა** დაბოლოება იკაფავს გზას, მთის კილოებში პირიქით, **ავ** იფართოებს გამოყენების არეს, გვხვდება როგორც **ი-ა** დაბოლოებიანი წარმოების ადგილას, ისე **ავ**, **ამ**-იანებში. ვ. თოფურია წერს: „უნიფიკაცია გატარებულია თურმეობითი I-ის ფორმებისა თითქმის ყველა დიალექტში. აღსანიშნავია, რომ აქ ორი მიმართულება იჩენს თავს: ერთი მიმართულებაა — გააბატონოს **-ი-ა** სუფიქსები და მოშალოს **-ავ** და **-ამ** თემატური ნიშნები, მეორე კი, პირიქით, გაავრცელოს **-ავ** და გარკვეულ შემთხვევებში **-ივ**. პირველი ტარდება ბარის კილოებში — ქართლურში, კახურში, იმერულში და სხვაგან — და აქედან ლამობს ლიტერატურულ ენაშიც შემოჭრას (მინახია, უთქვია...), **-ავ** კი მოდებულია ხევსურულში, ფშაურში, თუშურში და ფშაურიდან ვაჟას შემოტანილი აქვს სალიტერატურო ენაში“ (ვ. თოფურია, 1955, 458).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებს, დასახელებულთ გარდა, მიეკუთვნება მთიულური, მოხეური, თიანური, გუდამაყრული. პირველი თურმეობითის წარმოების მიხედვით ესენი ბარის კილოებს უჭერენ მხარს. ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში გავრცელებული **ავ** (**ავის**) დაბოლოების ნაცვლად, რომელიც ყოველგვარ ზმნაში გვხვდება, ზემოაღნიშნულ კილოებში **ი-ა** სუფიქსები გვაქვს. მაგ., მ ო ხ ე უ რ შ ი: შ ე უ ყ ო რ ე ბ ი ა, დიალ. ქრესტ. 172,26; დაუხოვია სტრაჟნიკები, იქვე, 172,29; გაუგია, იქვე, 172,28; დაუსონია, იქვე, 174,39; გაუკეთებიათ, იქვე, 175,1; მოუყვანია, იქვე, 177,12; უპოვნია, იქვე, 184,18 და სხვ. **ია** გვხვდება **ავ** და **ამ**-იან ზმნებშიც: უნახია, იქვე, 172,27; უჩეგრია (უჩაგრავს), იქვე, 176,5; შაუკრია (შეუკრავთ), იქვე, 172,29; უკნიათ, ქართ. დიალ. 29,23: შაურთია (შეურთავს), იქვე, 27,21; გოგიმართია (გაგვიმართავს), იქვე, 36,21... უთქმიათ, დიალ. ქრესტ. 181,16; 184,17; 184,19; წამაუსხმია (წამოუსხამს), ქართ. დიალ. 27,12...

მ თ ი უ ლ უ რ შ ი: მოურეკია, ქართ. დიალ. 63,4; მიუცია, იქვე, 62,15; აუღია, წამაუღია, იქვე, 62,17; უყიდნია, გამაუგზავნიათ, იქვე, 63,17; მოუტაცნიათ, კაიშ. 160,24; მიუტანია, აუშენებია, უვლია, იქვე, 160,27...

ი გვაქვს **ამ**-იან ზმნებშიც: მოუსვია ნაბდის ბეწვი, ქართ. დიალ. 63,11; ჩაუსვია, იქვე, 63,37; ცხენზე შემოუსვია, იქვე 63,36.

გვხვდება სხვა ტიპის ფორმებიც, რომლებსაც სუბ. პირის ნიშანი **ს** მოკვეცილი აქვთ: ჩაუსომ **ი** ქალი (ჩაუსვამს), იქვე, 63,28; ჩაუცომ (ჩაუცვამს), იქვე, 63,26; 63,29; 63,35; უთქომ, იქვე, 63,4. გვინახავო, იქვე, 76,35; გინახავთო, იქვე, 76,34...

მთიულურის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „არის შემთხვევები **-ია** წარმოებისა **-ავს-** ტიპის ნაცვლად, აგრეთვე **-ნ-ია**-ს გამოყენებისა“ (ა. ჩიქობავა, 1937, 53).

თ ი ა ნ ურ შ ი **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები **ია** დაბოლოებითაც იხმარება და მეორე, ძველი ყალიბითაც, ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ს**, როგორც წესი, დაკარგულია: ა) დაუკლია, და-

მიწნია, დამიხნია, დამიდგია... ბ) დაგინახავ ბალღები, ვაჟასა წამოუკრავ, საკლავიც დაუკლავ, კარგა უთქომ... (გ. ცოცანიძე, 1970, 203).

მაშასადამე, გამოდის, რომ თურმეობითი პირველისა და სტატიკური აწმყოს წარმოების მხრით ქართული ენის კილოთაგან ცალკე დგას მხოლოდ სამი დიალექტი — ხევსურული, თუშური და ფშაური. როგორც აღინიშნა, ამ კილოთა თავისებურება ის არის, რომ პირველი თურმეობითისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმებში საყოველთაოდ გატარებულია **ავ** ან მისი ვარიანტი **ავის** დაბოლოება (ა. შანიძე, 1957, 16; ვ. თოფურია, 1955, 458; ნ. ნათაძე, 1955, 84; ა. ჭინჭარაული, 1960, 120-126; თ. უთურგაიძე, 1960, 51-52). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით ჩანს, რომ **ავ** (**ავის**) დაბოლოების ხმარება განსაკუთრებით დამახასიათებელია ხევსურულისათვის, რომელშიც ის ნორმას წარმოადგენს; თუშურსა და ფშაურში **ავ** (**ავის**) შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე ყოველგვარი ზმნის თურმეობით პირველსა და სტატიკურ აწმყოში, ოღონდ ამის გვერდით საკმაოდ გავრცელებულია **ო-ა** დაბოლოება (თ. უთურგაიძე, 1960), რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის არის დამახასიათებელი გარკვეული ტიპის ზმნებში და კილოთა უმრავლესობაშიც გაბატონებულია.

ხევსურულსა, თუშურსა და ფშაურზე დაკვირვებამ გამოავლინა სხვა თავისებურებანიც, რომელთაგან უმთავრესია ის, რომ **ავ** (**ავის**) დაბოლოება ამ დიალექტებში მხოლოდ მესამე პირს ახასიათებს, 1-ლი და მე-2 პირები (სუბიექტური სტატიკური ვნებითისათვის, პირდაპირობიექტური გარდამავალ ზმნებში) გადასულია **ო** დაბოლოებაზე ისევე, როგორც ქართული ენის სხვა კილოებში. ამასთან, მხოლოდ **ო** გვაქვს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაშიც, როცა ფორმაში ჩნდება მრავლობითი რიცხვის გამომხატველი **ან** სუფიქსი.

მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, თურმეობით პირველსა და სტატიკურ აწმყოში ზმნათა უღლების სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია მესამე პირის საკითხის განხილვაც აღნიშნულ კილოებში.

მესამე პირის წარმოება

I. ხევსურული

I თურმეობითი. როგორც ცნობილია, ხევსურულში **ავ** (**ავის**) გვაქვს ყოველგვარ ზმნაში, მათ შორის იმათშიც, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან **ი** (**იე**) დაბოლოება აქვთ. **ავ** და **ამ** თემისნიშნიანებში, რომლებსაც სალიტერატურო ენაში დღემდე შემოუნახავთ უნიშნობა, განსხვავებული ვითარებაა. **ავ**-იან ზმნებს მეორე **ავ** თითქოს საერთოდ არ დაერთვის, **ამ**-იანებში კი ზოგჯერ **ავ**-იც გვხვდება. ეს **ავ** ემატება თემისნიშნიან ფუძეს, რომელსაც ჩვეულებრივ კუმშავს კიდეც (იარაღები აუსხამ, უთქვამ... უთქ-მ-ავ, აუსხ-მ-ავ). ხევსურულისათვის იმ შემთხვევებში, სადაც **ავ** არის გატარებული სალიტ. ქართულის **ო**-ს ნაცვლად, ამოსავალი სწორედ **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნებია: ამათ ემსგავსება ყველა დანარჩენი ფორმა და არა გვგონია, რომ **ავ** მთის კილოებში უძველესი ვითარების გადმონაშთი იყოს და მწკრივის ნიშნად იყოს გამოყენებული იმთავითვე. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ თვით **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები ჩვეულებრივ არაფერს დაირთავს: უხილ-ავ,

უნახ-ავ... უსვ-ამ (უსვამს), დაუდგ-ამ (დაუდგამს). **ავ**-იანებზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი თემის ნიშანი საკმარისად იქნა მიჩნეული და მეორე **ავ** აღარ დაერთოო, მაგრამ **ამ**-იანი ზმნები? რატომ იხმარება ისინი, როგორც წესი, **ამ** დაბოლოებით, რატომ მათაც არ დაემატა **ავ**? გადახვევა ამ გზიდან გაერთფეროვნების ტენდენციის ახალი ნაკადის მოქმედების შედეგია: უთქვ-მ-ავ, დაუდგ-მ-ავ... გვხვდება მხოლოდ შატილურ-მიღმახეურში, არხოტული **ამ**-იან ზმნებში **ავ**-ს არ იყენებს (ა. ჭინჭარაული, 1960, 122). როგორც ჩანს, შატილურში **ამ-ავ** დაბოლოება ახალია, ის ჯერ კიდევ არ გავრცელებულა მთელს ხევსურულში.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

1. სალიტ. ქართ. **ი**, ხევს. **ავ** (**ავის**): სალიტერატურო ქართულში **ი** მოსდევს ან უთემისნიშნო ფუძეს (მიუც-ი-ა), ან თემისნიშნიანს, თუ ზმნა **ებ**-იანია (აუშენ-ებ-ია). ამ ტიპის ზმნებს სხვა თემის ნიშნები პირველ თურმეობითში არ გადაჰყვება (ა. შანიძე, 1953, 447-448). ხევსურულში **ებ**-ის გარდა, პირველ თურმეობითში გვხვდება სხვა თემის ნიშნებიც: **ობ, ემ**.

ა) უთემისნიშნო ზმნები:[1] უპოცავ აზნაურები, ხევს. პოეზ. 6,4; აუტანავ, იქვე, 13,3; სისხლ... უღვრავ, იქვე, 52,13; შაუყრავ... ლაშქარი, იქვე, 81,3; მიგიღავ, იქვე, 330,1; უპოვნავ, იქვე, 517,19...

ბ) **ებ**-იანი ზმნები: მაუტყუებავ, გაბ. 157,11; თავ დამინებებავ, იქვე, 135,20; დაუბარებავ, ხევს. პოეზ. 674,3; შაგიშინებავ, იქვე, 388,9...

გ) **ობ**-იანი ზმნები: ცუდ კაც არ უშობავ გზაზე, გაბ. 174,11; დედისერთა არ უშობავის თარეშში, ჭინჭ. 372,7 (სალიტ. ქართ. უშვია, გაუშვია); უანბობავ ეშმას, გაბ. 157,1; უამბობავ, იქვე, 175,31; 185,15 (სალიტ. ქ. უამბია). ზოგი **ობ**-იანი ზმნა პირველ თურმეობითში **ებ**-ს გვიჩვენებს, რადგან მყოფადის ფუძეს იყენებს და არა აწმყოსას.[2] ამ იონეურს ძალიან უუკადროებავ, გაბ. 186,1. უკადროობს, მაგრამ იუკადროებს, იქვე, 188,13.

დ) **ემ** თემისნიშნიანი: ახალ ქართულში **ემ** პირველ თურმეობითში აღარ გადაჰყვება. ხევსურულში პარალელური ფორმები გვაქვს: **ემ**-იანი და **ემ** სუფიქსის გარეშე: მიუცემავ, გაბ. 158,4; 164,16; მიუცავ, იქვე, 176,5; მიგიცავ, ხევს. პოეზ. 588,12. ორივენაირი ფორმა ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით გვხვდება: შენდ მაუცავის უფალსა, ხევს. პოეზ. 617,2 და შენდ მაუცემავ უფალსა, იქვე, 617,10. პარალელური ფორმები სხვაც შეინიშნება, ოღონდ თემის ნიშანია **ებ**: გაუგონებავ, ხევს. პოეზ. 106,9; 536,15; 610,2; გამიგონავ, იქვე, 334,5; გაგიგონავა, იქვე, 160,2...

ე) მოსალოდნელი **ავ** თემის ნიშნის მაგიერ ზოგჯერ გვხვდება **ებ**: შაუკაზმებავ, ხევს. პოეზ. 607,4 (შეუკაზმავს); გაუმართებავ სიათი, იქვე, 38,15; 38,8 (გაუმართავს); შაუხენებავ, გაბ. 158,26 (შეუხედავს).

ვ) ახალი ქართულის უთემისნიშნო ფორმათა ნაცვლად იხმარება **ებ**-იანი ფორმები: ჩაუგდებავ, ჭინჭ. 352,6 (ჩაუგდია); უომებავ, გაბ. 203,22 (უომია);

---

[1] იგულისხმება ის, რომ თემის ნიშანი არ აქვთ პირველ თურმეობითში, საერთოდ შეიძლება ჰქონდეთ.

[2] როგორც საერთოდ გვაქვს მედიოაქტიეში.

უვნებავ, იქვე, 156,12 (უვნია); დაუდებავ, ქართ. დიალ. 24,32 (დაუდვია); უფიქრებავ, გაბ. 176,9 (უფიქრია) და სხვა.

2. **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები:

ა) **ავ**-იანი ზმნები: **ავ**-იან ზმნებს პირველ თურმეობითში მე-3 სუბ. პირის ნიშანი **ს** ეკარგებათ. ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზია აღნიშნულ ფორმათა დამთხვევა სასხვისო ქცევის აწმყო-მყოფადთან: (უკლავს) დაუკლავს მეზობელი სტუმარს ქათამს და დაუკლავს მეზობელს ქათამი სტუმრისთვის (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 108-109; გრ. იმნაიშვილი, 1974, 210-211; ზ. ჭუმბურიძე, 1976, 32).

მსგავსი მოვლენა შენიშნულია ბარის კილოებშიც: ქართლურში (გრ. იმნაიშვილი, 1974, 210-211), კახურში (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 108-109), აგრეთვე მთიულურსა (ა. ჩიქობავა, 1937, 53) და თიანურში (გ. ცოცანიძე, 1970, 188) და იგივე კვალიფიკაცია ეძლევა. მაგ., კახური დიალექტის შესახებ გამოკვლევაში ავტორები წერენ: „კახურში, როგორც ქართლურსა და ზოგიერთ სხვა აღმოსავლურ კილოში, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი **ს** არა აქვს ზოგჯერ **ავ** და **ამ** თემისნიშნიან ზმნებს პირველ თურმეობითში და ამ სახით განემსგავსებიან ამავე თემატური ნიშნების მქონე აწმყოს თუ მყოფადის ზმნებს“ (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 108).

ხევსურულში ეს წესი მკაცრად არის გატარებული.

მაგალითები: **ავ:** უნახავ, ხევს. პოეზ. 33,1; მაუკლავ, იქვე, 49,30; შეუკრავ, იქვე, 103,6; თორმეტ პატრონა დაუწვავ, იქვე, 216,24; ვის გაუწირავ მკვდარია? იქვე, 224,45; დაუკრავ თოფი, გაბ. 174,20...

ავის: ეს დაბოლოება საერთოდ ცოტაა, ამ ტიპის ზმნებთან კი ექვსიოდე მაგალითიდან ხუთი ერთ სიტყვაზე მოდის: გაუბედავის, გაბ. 158,13; ხევს. პოეზ. 475,3 და სხვ. მეორეა გამიკილავის, იქვე, 670,19.

ბ) **ამ**-იანი ზმნები: გვაქვს **ამ, ამის, ამავ** დაბოლოებანი:

ამ: იარაღები აუსხამ, ხევს. პოეზ. 49,5; სისხლ უსვამ, იქვე, 95,3; დაუდგამ (დაუდგამს), იქვე, 215,2; მაუსხამ... ჯარ, იქვე, 158,6; შაურტყამ ჰმალ, იქვე, 160,28...

თუ ფუძე ბოლოვდება **უ** → **ვ**-თი, ის თემის ნიშნის **ა**-სთან ერთად გვაძლევს **ო**-ს: **ვ** + **ამ** → **ომ**. მაგ.: ჩაუცომ, გაბ. 204,7 (← ჩაუცვ-ამ);

უთქომ, იქვე, 159,35 (← უთქვ-ამ); გვხვდება ნარევი ფორმაც, **ვ**-თი[1]: უთქვომ, გაბ. 183,19.

ამ-ის ძალზე იშვიათია; უთქვამის, ჭინჭ. 330,23; ხევს. პოეზ. 223,5; იქვე, 265,14; შეგიბამის, იქვე, 163,2. სულ ოთხიოდე მაგალითია.

ამ-ავ: უნიფორმაციის პროცესი მე-3 პირში ენას ბოლომდე მიჰყავს, როცა **ამ**-იან ზმნებსაც ურთავს **ავ**-ს. მაშასადამე, ჯერ **ი-ა** დაბოლოებიანი ზმნები დაემსგავსა **ავ, ამ**-იანებს და გაიჩინა **ავ**, ხოლო შემდეგ იწყება **ამ**-იან ზმნათა დამსგავსება ყველა დანარჩენთან იმით, რომ მასაც გაუჩნდა **ავ** დაბოლოება. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, დასრულებული არ არის.

---

[1] უთქვამ, უთქომ → უთქვომ, (შდრ. ა. ჭინჭარაული, 1960, 20).

მაგალითები: უთქმავ, ქართ. დიალ. 15,33; მაუსხმავ, იქვე, 15,9; გამაურთმავ, იქვე, 14,3 (← გამაურთვ-ამ-ავ); დაუდგმავ, ჭინჭ. 351,19; დაუსმავ, იქვე, 430,13 (დაუსვამს)...

ამ + ავ + ის ერთ სიტყვაში გვხვდება: უთქმავის, ქართ. დიალ. 14,12; უთქომავის, ჭინჭ. 353,5 (← უთქვ-ამ-ავ-ის, ფუძე აქ არ იკუმშება). ეს ფორმა სულ ახალი ჩანს, ის არ გვხვდება „ხევსურულ პოეზიასა" და ბ. გაბურის ხევსურულ მასალებში.

3. **ი-ა დაბოლოება:**

ა) სალიტ. ქართულის **ი** სუფიქსიან ფორმებში არც თუ იშვიათად ხევსურულშიც **ი** გვხვდება: გვიბრუნებია, ხევს. პოეზ. 479,15; გამაუვლია, ქართ. დიალ. 23,42; გიქნია, წაგიტანია, მოგიტანია, მოგიყვანია, აგიტანია, ხევს. პოეზ. 273,1-5; ჩაგიბრუნებია, იქვე, 746,24; შაუცდენია, იქვე, 541,28; წაუკაფიაებია, იქვე, 162,33 და სხვა.[1]

ბ) **ი-ა** სუფიქსებივე დაერთვის ზოგჯერ სალიტ. ქართულის **ავ, ამ**-იან ზმნებსაც: მომიკლია, ქართ. დიალ. 23,22; უჩეგრია, ხევს. პოეზ. 745,4 (უჩაგრავს); გაგითელია, იქვე, 463,11; გაგვიწირია, იქვე, 469,25; გითქმია, იქვე, 568,2.

აწმყო: 1. სტატიკური ვნებითი

როგორც აღინიშნა, პირველი თურმეობითის მსგავსი ვითარებაა სტატიკური ვნებითისა და სტატიკური შინაარსის მქონე საშუალი გვარის ზმნათა აწმყოში: სალიტ. ქართულის **ი-ა** დაბოლოებიანი სტატიკური ზმნები **ავ**-ს დაირთავენ, ხოლო **ავ**-იანები მე-3 სუბ. პირის **ს**-ს იკვეცენ იმავე მიზეზით, რითაც გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში.

ა) სალიტ. ქართ. **ი-ა**, ხევს. **ავ (ავის)**: ღბავ, ხევს. პოეზ. 545,10; გიბავ, იქვე, 378,4; მაბავ... ჰმალია, იქვე, 674,29; ღგონავ, იქვე, 135,23; ჭელ ხკიდავ, იქვე, 142,4; მიკიდავ, იქვე, 258,8; აჩნავ, გაბ. 143,27; 188,20; ხყრავ, იქვე, 243,6; უგავ (უგია), ხევს. პოეზ. 727,24; ღრევავავ (პრევიაო, ურევიაო). ჭინჭ. 354,33; ტალავარი სცვავ, ხევს. პოეზ. 209,17; შდრ. სცოვ (← სცვავ), იქვე, 403,1...

ა) სალიტ. ქართ. **ავ**, ხევს. **ავ (ავის)**: გვიჭერავ, ხევს. პოეზ. 478,5; მხურავ (მხურავს), იქვე, 187,9; მიხურავ, იქვე, 436,2; წითელ ხკრავ ჯვარია, იქვე, 135,9; თოფსავ სპილოს ძვალ უკრავავ (უკრავსო), ჭინჭ. 353,31...

გავრცელებულია ორი ზმნა — ღგულავ (აპირებს) და სტანავ (ახლავს, ურევია). ესენი მხოლოდ მთის კილოებში გვხვდება და შესაძლოა, იმთავითვე **ავ** ჰქონდათ: ღგულავ, ხევს. პოეზ. 150,2; მგულავ, იქვე, 345,27... მტანავ, გაბ. 191,21; გიტანავ, ხევს. პოეზ. 539,17...

ავ-ის საკმაოდ ხშირია: მგულავის, ხევს. პოეზ. 308,8; ხკიდავის, იქვე, 4,4; გვიწყვავის, იქვე, 2,7; ღგდავის, გაბ. 195,5; იღლიაში წალდი მჩრავის, ხევს. პოეზ. 726,3; ღგონავის, იქვე, 366,6...

[1] ნახე აგრეთვე ა. ჭინჭარაული, 1960, 129.

2. საშუალი გვარის ზმნები

მდგომარეობის გამომხატველი საშუალი გვარის ზმნების ერთი ნაწილი ფუძეს შეხორცებულ **ავ** სუფიქსს შეიცავს (ჰყავს, ჰგავს), ან **ვ** აქვს ფუძის ბოლოს (აქვ-ს). ამათ **ს** ჩამოსცილდება მე-3 პირში, ან **ოს** დაბოლოებას მიიღებენ (ხყავ, ღგავ, აქვ... ხყავის, ღგავის, აქვის...). ამით ასე თუ ისე ეს ზმნები სტატიკურ ვნებითებს ემსგავსებიან ფორმით. ზოგი ზმნა, სალიტ. ქართულში **ო-ა** დაბოლობაზე გადასული, ხევსურულში **ავ**-ს დაირთავს (აკლს → აკლია, აკლავ).

მყავ, გაბ. 191,12; გვყავ, ხევს. პოეზ. 135,9; გვყოვ, იქვე, 136,2; ღგავ, გაბ. 166,30; გიგავ, ხევს. პოეზ. 261,3; შაღგავ, იქვე, 695,1; შაუგავ, იქვე, 392,5; სძინავ, გაბ. 152,4; აქვ, იქვე, 144,10; მაქვ, ხევს. პოეზ. 128,26; გვაქვ, იქვე, 165,2; გვაქვავ (გვაქვსო), გაბ. 182,16; გოქვ, ხევს. პოეზ. 136,17; გვოქვ,[1] გაბ. 242,8...

ასევეა: გვაკლავ, ხევს. პოეზ. 337, 2; აკლავ, იქვე, 223,43; უკლავ, გაბ. 177,10; შამიძლავ, იქვე, 134,33; შაუძლავ, იქვე, 130,17...

ავ-ოს: აქვის, გაბ. 152;18; ხგავის, ხევს. პოეზ. 768,9; ღგავის, იქვე, 457,3; მყავის, იქვე, 632,6; გყავის, იქვე, 65,20...

მე-3 სუბ. პირის **ს** საშუალი გვარის ზმნებში ზოგჯერ შენარჩუნებულია, რაც, როგორც ჩანს, დაუშვებელია სტატიკურ ვნებითებსა და გარდამავალ ზმნებში.[2] მაგ.: გაქვს, ხევს. პოეზ. 38,5; აქვს, იქვე, 38,7; მყავს, იქვე, 351,10; ქართ. დიალ. 23,29 და სხვა.

ხევსურულის ზემოთ აღნიშნული ყველა თავისებურება მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია თუშურისა და ფშაურისათვის. ამ კილოებს ხევსურულისაგან განასხვავებს თითქოს მხოლოდ ის, რომ ეს თავისებურებები ბოლომდე არ არის მიყვანილი, მკაცრად არ არის გატარებული წარმოების ერთი წესი. **ავ** და **ო-ა** დაბოლოებები აქ თავისუფლად მონაცვლეობენ, რასაც ბარის კილოების გავლენით ხსნიან. აღნიშნავენ, რომ „საერთოდ ფშაური სხვა მთის კილოებთან შედარებით უფრო განიცდის ბარის (ქართლური) მეტყველების გავლენას“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961, 124). იგივე უნდა ითქვას თუშურის შესახებაც: კახურის გავლენით უნდა იყოს მასში შესული მრავალი სიახლე.

II. თუშური და ფშაური

I თურმეობითი. თურმეობითი პირველი თუშურსა და ფშაურში თითქმის თანაბრად იყენებს **ავ** და **ო-ა** დაბოლოებებს. მეორე მხრით, გაფართოებულია როგორც **ავ** (**ავის**) ხმარების არე, ისე **ო**-სა: **ავ** გვხვდება სალიტერატურო ქართულის **ო-ა** დაბოლოებიან ზმნებში და **ამ**-იან ზმნებში, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, **ო-ა** გვაქვს **ავ**, **ამ**-იან ზმნებთანაც და იქაც, სადაც მოსალოდნელი იყო სალიტერატურო ქართულის მიხედვით.

ა) სალიტ. ქართ. **ო-ა**, თუშ. და ფშაური **ავ (ავის):**

---

[1] ნარევი ფორმაა: გვაქვ. გოქვ → გვოქვ.

[2] მხოლოდ ორიოდე მაგალითი შეგვხვდა: ა) ტარ უკრავს სპილოს ძვლისაო: ხევს. პოეზ. 225,41 და ბ) მინახავს: იქვე, 345,11; უთქვამს: გაბ. 162,2; : ხევს. პოეზ. 471,32.

თუშური: გადუჭტარებავ, უთ. 41,17; უწუხებავ, იქვე, 39,2; გიჯობებავ (გიჯობებიაო), იქვე, 29,29; წუჭკიდებავ, იქვე, 26,5; მომიყვანავის, იქვე, 180,6; აუტეხავის, იქვე, 26,2 და სხვა.

ფშაური: გაუქანებავ (ლაშჩი), ქართ. დიალ. 143,10; გადმაუხედნებავ, იქვე, 141,6; ყური არ უგდავ, არც კი დაუცლავის იარაღის ჴმარება, იქვე, 132,35; მაუქსოვავ, ფშ. მილ. 21,27; გაუტაცებავ, დიალ. მას. 375,28; უფიქრებავ, იქვე, 375,41 და მისთ.

ბ) სალიტ. ქართ. **ი-ა**, თუშ. და ფშაური **ი-ა**:

თუშურში **ი-ა** დაბოლოების **ა** მოკვეცილია მახვილის გავლენით[1] (თ. უთურგაიძე, 1960, 51).

თუშური: უფიქრი, უთურგ. 24,9; დუჭწყი, იქვე, 24,14; გუჭღი, იქვე, 41,16; თოლ გამუჭთხრი, იქვე, 42,42; მიუცი, იქვე, 59,2...

ფშაური: ამიჩენია, ფშ. მილ. 27,16; შაგიმჩნევია, იქვე, 27,18; დაუჭერია, დიალ. მას. 381,20; ამიკიდია, ფშ. მილ. 16,5; გიხსენებია, რაზიკ. 199,36 და სხვა.

გ) სალიტ. ქართ. **ავ, ამ** — თუშ. **ავ (ავის), ამ (ამის)**:

თუშური: მუჭკლავ, უთურგ. 48,71; ჩუჭხედავ, იქვე, 42,21; მუჭკლავის, იქვე, 25,5; გუჭწირავის, იქვე, 24,23...

ამ-იან ზმნებს თუშურში თითქმის ყოველთვის დაერთვის **ავ (ავის)**, **ამ** არ იკუმშება, ხევსურულისაგან განსხვავებით (უთქვ-ამ-ავ, შდრ. ხევს. უთქ-მ-ავ). ჩუჭდგამავ, უთურგ. 41,26; უთქვამავ, იქვე, 45,3; უთქვამავის, იქვე, 40,10; 24,27; 24,33; შეგიბამავ, იქვე, 88,2...

ფშაური: დაუკლავ (ძროხა), ქართ. დიალ. 143,22; მაუპარავის, იქვე, 142,5; მინახავის, იქვე, 138,1; დაუქრთამავ, იქვე, 137,23; ჩაუწვავ, იქვე, 135,8; ჩაუმარხავ, იქვე, 134,2...

ამ-იან ზმნებს ფშაურში **ავ** აღარ მიერთვის. იკარგება მე-3 სუბ. პირის **ს** და **ვ + ა → ო**.

უსხამ რძე, ქართ. დიალ. 140,38; უთქვამ, იქვე, 135,26; მაგრამ: უთქომ, დიალ. მას. 375,11; ჩაგიცომ დარაიაი, დიალ ქრესტ. 165,9; გაუბამ, ფშ. მილ. 21,3; არ შამიდგამის ფეხია, იქვე, 10,26; წაურთომის, იქვე, 15,29...

დ) სალიტ. ქართ. **ავ**, თუშ., ფშაური **ი-ა**:

თუშური: მომიპარია, უთურგ. 174,3; დაგილიშნია (დაგინიშნავს), იქვე, 115,3; მეძროხეებს უნახვ, იქვე, 13,10. უნახვ ← უნახ-ვ-ი ← უნახ-ვ-ი-ა (შდრ. უნახვიხარ).

ფშაური: გამიწირია, ფშ. მილ. 53,38; დამითესია, იქვე, 46,33; გადუთელია, იქვე, 45,32; მინახია, რაზიკ. 87,21...

ასეთი ფორმები შედარებით ნაკლებია.

[1] ზოგჯერ შენარჩუნებულია ლექსებში ან და კავშირის წინ: დაგითხრია: უთ. 138,1.

აწმყო. სტატიკური ვნებითი

სტატიკური ვნებითის აწმყოს მე-3 სუბ. პირში თუშურსა და ფშაურში თანაბრად გავრცელებული ჩანს როგორც **ავ (ავის)**, ისე **ი-ა** დაბოლოება. თუშურში პირველი თურმეობითის მსგავსად **ი-ა** დაბოლოების **ა** მოკვეცილია (თ. უთურგაიძე, 1960, 52-53).

ა) **ავ (ავის)**:

ავ (ავის) თუშურსა და ფშაურში აქვთ როგორც სალიტერატურო ქართულის **ავ**-იან ფორმებს, ისე სალიტერატურო ქართულში **ი** სუფიქსით ნაწარმოებთ. მაგალითებს ამჯერად მოვიყვანთ ამ მომენტის გაურჩევლად.

თ უ შ უ რ ი: უკრავ (უკრავს, დაკრული აქვს), უთურგ. 65,2; ჩაჩქანი ხურავ, იქვე, 71,7; უჭირავ, იქვე, 117,8; გვხურავის, იქვე, 71,21; უჭერავის, იქვე, 95,5; აკრავის, იქვე, 1,14...

უყუდავ, უთურგ. 49,46; გიკიდავ, იქვე, 63,3; არტყავ, იქვე, 72,10; ხკიდავავ (ჰკიდია), იქვე, 48,96...

ფ შ აუ რ ი: გიკრავ, დიალ. მას. 378,6; უჭერავ, იქვე, 378,18; თავზე ქუდ აღარ გაკრაო, ფშ. მილ. 14,11.

მგონავ, ქართ. დიალ. 127,36; ჰკიდავ, ფშ. მილ. 21,19; ე მანდა დგდავ, დიალ. მას. 380,3 ქვ.; გვინთავის, ქართ. დიალ. 135,10; წვერიც ნუ მსხავის, დიალ. ქრესტ. 157,11...

ბ) **ი-ა** დ ა ბ ო ლ ო ე ბ ა:

თ უ შ უ რ ი: უწყვია, უთურგ. 52,8; გინთი, იქვე, 52,14; აგია, იქვე, 58,10; გიბი, იქვე, 71,4; აშვი, იქვე, 152,2; მიგდია, იქვე, 209,2; ღბია, იქვე, 46,160; სტანი, იქვე, 147,7...

ფ შ აუ რ ი: მგონია, ფშ. მილ. 20,7; წელთამც ნუ გრტყია ხმალიო, რაზიკ. 66,133; მკიდია, იქვე, 71,145; სტანია, იქვე, 52,92; უბია, იქვე, 233,204; უგდია, იქვე, 231,198; ჰგონია, იქვე, 99,71; გვიწყვია, იქვე, 133,179 და სხვა.

რაც შეეხება საშუალი გვარის ზმნებს, სავსებით ისევე იხმარება, როგორც ხევსურულში: აქვ, ჰყავ, ჰგავ... აქვის, ჰყავის, ჰგავის და სხვა. მხოლოდ ხევსურულთან შედარებით უფრო ხშირად გვხვდება სალიტ. ქართულის მსგავსი ფორმები: აქვს, ჰგავს, ჰყავს.

როგორც ცნობილი იყო სპეციალური ლიტერატურიდან და ზემოთაც ვუჩვენეთ, ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს მე-3 პირში ძირითადად გატარებულია **ავ (ავის)** სუფიქსი, რითაც ეს კილოები განსხვავდებიან ქართული ენის დანარჩენი დიალექტებისა და ქართული სალიტერატურო ენისაგანაც.[1] როგორც ჩანს, მთის კილოებში განვითარების სხვა გზა არის დაცული. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ძველია ეს მოვლენა, ადრინდელი ვითარების ნაშთია, თუ — ახალი, გვიან გაჩენილი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვფიქ-

[1] გადახვევა ამ გზიდან (ვგულისხმობთ **ი** სუფიქსის გამოყენებას აღნიშნულ ფორმებში, ასევე მე-3 სუბ. პირის **ს**-ს წარმოდგენას) განვითარების ახალი ტენდენციების მაჩვენებელია და სხვა კილოებთან დაახლოების ან, ზოგჯერ, სალიტ. ენის გავლენის შედეგია.

რობთ, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ზმნათა უღლების მთლიან სურათს გავითვალისწინებთ.

ირკვევა, რომ პირთა მიხედვით განსხვავებული ვითარებაა, კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1-ლი და მე-2 სუბიექტური პირები (გარდამავალ ზმნაში ინვერსიულად პირდაპირი ობიექტი) აღნიშნულ დიალექტებში ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავსად იწარმოება: დაირთავს **ო** სუფიქსს და მეშველ **ვარ, ხარ** ზმნას. ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფორმათა უნიფიკაცია აქაც მომხდარა: **ო** სუფიქსი მეშველი ზმნის წინ იხმარება ყოველგვარ ზმნაში, მათ შორის **ავ** და **ამ** თემისნიშნიან ზმნებშიც. მაშასადამე, ამ მხრით ქართული ენის დიალექტები განვითარების ერთ ხაზზე დგანან და უპირისპირდებიან ქართულ სალიტერატურო ენას.

პირველი და მეორე პირები გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითი

ა) სალიტ. ქართ. **ო**-ვარ/თ/, **ო**-ხარ/თ/ — ხევს., თუშ., ფშაური **ო**-ვარ/თ/, **ო**-ხარ/თ/:

ხევსურული: ოსიკას ვულექსებივარ, ნაცვალო, შენსა დედასა, ხევს. პოეზ. 579,1; ნუმც გაუზდივარ დედასა, ჰინჭ. 390,14; დედასამც ნუ გაუზდიორ, დავდგა რუსებზედ მდარეო! ხევს. პოეზ. 461,10; მალექსეს ახიელლებმა, ამაუღივარ ძირითა, იქვე, 569,1...

მე არცა გამიგონიხარ გადაჩენილი ჯარზედა, ხევს. პოეზ. 520,16; ნეტავინ თქვენსა დედასა, თქვენ დაუზდიხართ შვილადა, იქვე, 298,1.

ფშაური: ქალებს უშაირებივარ ლელასა და ხოშიასა, რაზიკ. 247,274; დავითოს ულექსებივარ, იქვე, 197,28.

ფშაურის ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი ძირითადად დაცულია ვაჟას ნაწერებში. მაგ.: თავი დაურჩავ: II ტ., გვ. 89; ბოროტების გზა გაუშვავ, იქვე, გვ. 90 და სხვა. ასევეა 1-ლ და მე-2 პირებშიც: არ ვულესივარ ქართველსა, 1,80; არც ვის უქივართ, 1,154; მე გავუშვივართ, 1,96...

ეხლა ეგრე გამიშვიხარ, საკვლოდ კი გამიფთხილდი, რაზიკ. 99,74; შენამც ნუ გამიგონიხარ უკლოჩი ჩატირებული, იქვე, 136,193.

თუშური: ნეტა შენს დედას, ქალაო, შენ უზარდიხარ ქალადავ, ცხვა საქმე არა ხქონია, შენ უწერიხარ წიგნადავ! უთურგ. 132,4-5.

ბ) სალიტ. ქართ. **ავ**-ვარ/თ/, **ავ**-ხარ/თ/ — ხევს., თუშ., ფშაური **ო**-ვარ/თ/, **ო**-ხარ/თ/:

1-ლი და მე-2 პირის ფორმები გამოქვეყნებულ ტექსტებში ძალზე იშვიათია, ამიტომ ორიოდე მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ ის გარემოება, რომ სხვაგვარი წარმოება თითქოს არ ჩანს, ამათ სასარგებლოდ მეტყველებს:[1]

ის აღარა ვარ, ბიძაო, რაც გინახივარ ძველადა, ვაჟა I,53; ის აღარა ვარ, ძმობილო, რაც გინახივარ წინადა, იქვე, 1,114.

შენდ კი უშველავ დიდს არხოტის ჯვარს, რომ არ მოუკლიხარ აჳვათ, გაბ. 185,29. შდრ. შენ იმას მოუკლიხარ, მოხ., დიალ. ქრესტ. 185,23.

[1] იგივე დაგვიდასტურეს ამ კილოებზე მოლაპარაკე გამოკითხულმა პირებმა.

სტატიკურ ზმნათა აწმყო

სალიტ. ქართ. ი-ვარ/თ/, ი-ხარ/თ/ — ხევს., თუშ., ფშაური ი-ვარ/თ/, ი-ხარ/თ/:

ხევსურული: მგონე, არ ვგონივარ მთელი, ხევს. პოეზ. 459,20; ქალის ჯელში ორავ, ქალს უჯერიორავ (უჯერივარო), გაბ. 125,5; მე თუ ყაჩაღი გგონიორთ, სად მაქვის თოფი, ჰმალია? ხევს. პოეზ. 227,8; სად ვხყრიორთ, სად? რას ვაკეთებთ აქ? ჰინჯ. 341,26; მაშ სოფელ თუ ერთუც არ შავეწიენით, რაად უსახლიორთ ერთუც, გაბ. 129,30.

მთაში ნუ ღგდიხარ, ირემო, ბარად ჩამოდი ნისლითა, ხევს. პოეზ. 31,1; მგონიხარ ნახალიზარი, იქვე, 42,7; ამინ სწერიხარ ქვასაო, იქვე, 723,8.

თუშური: მეავ ცრცქ ვიქნებივ, თუ თავსთან ვხყუდივარივ, ჯელ ნუ მოხკიდიდივ. თუ ფეჯებსთან ვხყუდივარივ ცრცმ ავადმყოფისივ, მემრ უთხრიდივ, უთურგ. 49,35-36.

ფშაური: ცასა ვკიდივარ შიბითა, რაზიკ. 18,3; წყლისა ნაკვეთსა ვკიდივარ, იქვე. 135,191; შამამხედენით, ქალებო, წითელ-ყვითელა ვყუდივარ, იქვე. 207,74; ახლა თუ კარგად ვაჩნივარ (მივაჩნივარ), ფშ. მილ. 37,11; ვუპყრივარ, ვაჟა I,244; ვყუდივარ, იქვე, 221.

ერთი მინთიხარ სანთელი, ფშ. მილ. 24,2; რად არა გდიხარ ჭკვითაო?! რაზიკ. 197,28; რატო თქვენ კერაჩი არა .ჰყრიხართ? დიალ. ქრესტ. 151,28; ჩემს წყლულს ოცნებას ზედ აკერიხარ ალმასის ღილად, ვაჟა I,162; ჩემს გულში სანთლად ანთიხართ, იქვე, 90,5...

ზემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ხევსურულსა, თუშურსა და ფშაურში ჩვენთვის საინტერესო ზმნათა უღლება ასეთია: I თურმ.: უშაირებ-ი-ვარ, უშაირებ-ი-ხარ, უშაირებ-ავ // უშაირებ-ავ-ი-ს;

მაუყვან-ი-ვარ, მაუყვან-ი-ხარ, მაუყვან-ავ // მაუყვან-ავ-ი-ს;

ასევე: მაუკლ-ი-ვარ, მაუკლ-ი-ხარ, მაუკლ-ავ // მაუკლ-ავ-ი-ს;

უნახ-ი-ვარ, უნახ-ი-ხარ, უნახ-ავ // უნახ-ავ-ი-ს.

აწმყო: ვღგონ-ი-ვარ[1], ღგონ-ი-ხარ, ღგონ-ავ- // ღგონ-ავ-ი-ს;

ვხკიდ-ი-ვარ, ხკიდ-ი-ხარ, ხკიდ-ავ // ხკიდ-ავ-ი-ს;

უჯერ-ი-ვარ, უჯერ-ი-ხარ, უჯერ-ავ // უჯერ-ავ-ი-ს და მისთ.

როგორც ვხედავთ, 1-ლ და მე-2 პირში არსად ჩანს ის **ავ**, რომელიც ასე დამახასიათებელია მე-3 პირისათვის.

ამათი ანალოგია უნდა გვქონდეს საშუალი გვარის რამდენიმე ზმნაში, როგორიცაა ჰყავს, ჰგავს, რომელთაც მე-3 პირი ერთნაირად აქვთ ნაწარმოები (ღგავ, ღგავის, ხყავ, ხყავის), 1-ლ და მე-2 პირებში კი ვარიანტებს გვიჩვენებენ: ა) ვხყევარ, ვღგევარ; ბ) ვხყევივარ, ვღგევივარ; გ) ვხყვივარ, ვღგვივარ.

[1] სუბ. მე-2 და ობიექტ. მე-3 პირის ნიშნების მიხედვით ამ კილოებში, შესაძლოა, განსხვავებული ვითარება იყოს.

მაგალითები:

ა) ფერად შავს ვღგეორთ ყორანსა, ხევს. პოეზ. 520,40; განჯას თათარსა ვყევარო, რაზიკ. 14,21; ჰყევხარ, იქვე, 49,69;

ბ) კარგას ვხყევივარ ვაქაცსა, ხევს. პოეზ. 373,3; ვყევივარ ყარაულითა, რაზიკ. 64,129; სამშობლოვ, ჩვენცა გყევივართ, ფშ. მილ. 62,3; მოტეხილ ხესა ვგევივარ, იქვე, 188,4.

გ) სმა-ჭამით ბაჭყის შევღგვივარ, ხევს. პოეზ. 628,2; იელ-ნაჭამსა ვღგვივართ თხასაო, ჭინჭ. 429,18; ქარს ღგვიხარ მაღლის მთისასა, წყალს ღგვიხარ ჩამანადენსა, ხევს. პოეზ. 366,12; შაღგვიხარ ლეგათ მყვარათა, იქვე, 563,7; ალვის ხეს ღგვიხართ, იქვე, 486,2 და სხვა.

ჰყვიხართ, ხევს. პოეზ. 589,11; ჯელს-პირსამც აბანიებ, უნცროსადამც ხყვიხარ, გაბ. 137,32...

ფუძისეული **ე** ხმოვნიანი ვარიანტი უფრო დამახასიათებელი ჩანს ფშაურისათვის ისევე, როგორც უკუმშველი ფორმები (ვყევარ... ვყევივარ). შეკუმშული ფორმები კი თითქოს მხოლოდ ხევსურულში გვხვდება და უფრო გავრცელებულია ვიდრე სხვა ვარიანტები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვხყევარ, ვღგევარ და მისთ. ფორმები **ი** სუფიქსიანი სტატიკური აწმყოს ანალოგიით არის გაჩენილი და გვიანდელია: ვღგონივარ, ღგონიხარ, ღგონავის... შდრ. ვღგევარ, ღგევიხარ, ღგავის. ასევე უნდა იყოს მიღებული **ი**-ნიანი უკუმშველი ფორმებიც: ვხყევივარ, ვღგევივარ... ეს დასკვნა ბუნებრივი გვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ზმნებმა მე-3 პირშიც სტატიკურ ვნებითებს აუბეს მხარი: ღგავ, ღგავის...

ზემოთ თქმულის მიხედვით ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმების უნიფიკაცია ორი გზით წარმართულა: 1) ყოველგვარი ზმნა სალიტერატურო ქართულის **ი** სუფიქსს იღებს 1-ლსა და მე-2 პირებში და 2) ასევე ყოველგვარი ზმნა **ავ** (**ავის**) დაბოლოებას გვიჩვენებს მე-3 პირში. ამასთან დაკავშირებით სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ **ი**-სა, რომელიც ზოგჯერ იჩენს თავს მე-3 პირში: **ავის** დაბოლოების **ი** იგივე არ არის, რაც 1-ლი და მე-2 პირების **ი**, რომელიც მეშველი ზმნის წინ ჩანს.[1] **ავის** ასე დაიშლება: **ავ** თემის ნიშანია, **ს** — სუბიექტური მე-3 პირისა, ხოლო **ი** ფორმათაგანმასხვავებელია: გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველისა და სასხვისო ქცევის აწმყო-მყოფადის გასარჩევად იხმარება ისევე, როგორც მხოლოდ **ავ** სხვა შემთხვევებში.[2] შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **ი ვს** კომპლექსის გამყარია, მაგრამ იგივე კომპლექსი იმავე კილოების აწმყო-მყოფადში არ საჭიროებს გათიშვას, ყოველთვის უცვლელად არის წარმოდგენილი (გაჭირებულს ჯელს არ გაუმართავს, გაბ. 130,7; ნადირს მაგიკლავს ჩარგალელი, ხევს. პოეზ. 749,4; ეგეც მაუჯნავს ყანასა, იქვე, 688,2 და სხვა). ფორმათაგანსხვავება უნდა იყოს მიზეზი **ამ**-იან ზმნათა პირველ თურმეობითში (resp. სტატ. ზმნათა აწმყოში)

---

[1] სხვა თვალსაზრისისათვის ნახე ი. ქავთარაძე, 1954, 124; 160-161.

[2] საყურადღებოა ამ მხრივ ის, რომ გარდამ. ზმნათა პირველ თურმეობითსა და სტატიკურთა აწმყოში ამ **ი**-ს გარეშე **ვს** კომპლექსი დაუშვებელი ჩანს (ა. ჭინჭარაული, 1960, 139). თუმცა ეს **ი** სულაც არ არის აუცილებელი: მხოლოდ **ავ** დაბოლოებაც კმარა.

ს-ს დაკარგვისა, სხვაგან ს ყოველთვის დაცულია (წყალს დაუსხამს, ხევს. პოეზ. 122,7; მაუბომს ჯარის იარაღს, იქვე, 121,4 და სხვა).

სალიტერატურო ქართულის ი-ა დაბოლოებიან ფორმებში ხევსურულსა და სხვა კილოებში გამოვლენილი ავ სუფიქსი გვიანდელი უნდა იყოს და იმთავითვე მხოლოდ მე-3 პირში უნდა გვქონოდა,[1] რადგანაც 1-ლი და მე-2 პირები ისედაც განსხვავებული იყვნენ თავისი მეშველი ზმნით: შდრ. მყოფ.: მე მოუკლავ მტერს გულს, შენ მოუკლავ მტერს გულს, ის მოუკლავს მტერს გულს და I თურმ.: მოუკლივარ მტერს, მოუკლიხარ მტერს, მოუკლავ მტერს ის.

ამასვე გვაფიქრებინებს კიდევ ერთი გარემოება: ხევსურულში მრავლობითი რიცხვის მე-3 პირიც 1-ლ და მე-2 პირებს უჯერს მხარს, ო სუფიქსით იწარმოება, მაგ., თურმ. პირველი: უჯოც-ი-ან, დაუბარებ-ი-ან, უნახ-ი-ან და სხვა. ასევეა სტატ. ვნებითის აწმყოში:[2] უჯერ-ი-ან, ხყრ-ი-ან, ღბ-ი-ან და მისთ.

მთის კილოებში ნ-არიან სახელობითში დასმულ სახელს ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს ის სინტაქსური ძალა, რომელიც მას ძველ ქართულში ჰქონდა: ასეთი სახელი ზმნაში აჩენს სათანადო სუფიქსს. გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში და სტატიკურ ზმნათა აწმყოში ეს არის ან სუფიქსი, რომელიც სუბიექტის მრავლობითობის სუფიქსია წარმოშობით. ყველაზე მტკიცედ ეს წესი დაცული ჩანს ხევსურულში, უფრო ნაკლებად — ფშაურსა და თუშურში (თ. უთურგაიძე, 1960, 37, 53).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა ძველ ქართულში სუსტი იყო: ასეთი სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებდა, როცა ობიექტი იყო, და ვერც მაშინ, როცა სუბიექტი იყო. ხევსურულში ეს წესი ნაწილობრივ დღესაც დაცულია. მიცემითში დასმული სახელი, თუ ზმნას მე-3 პირის სუბიექტად შეეწყობა, თითქმის ვერასდროს ითანხმებს მას, სულერთია, ნ-იან მრავლობითშია სახელი თუ ებ-იან მრავლობითში.[3] მაგ.: ქმოსტელთ უსწავლავ რუსული, ხევს. პოეზ. 576,1 (უსწავლიათ); ჴევსურთ უთქომ, გაბ. 159,20 (უთქვამთ); შატილიონთ მიუყრავ თოფი, ჰინჭ. 351,4...

შეთანხმება არა გვაქვს ებ-იანი მრავლობითისაც: ქისტებს უპარავ ცხენები (უპარავთ), ხევს. პოეზ. 216,1; თუშებს მაუჭრავ მარჯვენა ჴელი, წაუყრავ... ჯაჭვი, წაუღავ თოფი, გაბ. 161,19-20 და სხვა.

შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს, მაგრამ უკვე სისტემატურად არის გატარებული მე-2 პირის სუბიექტის შეთანხმება ზმნასთან: ცხვარი აგიღავთ, ხევს. პოეზ. 171,4; შილდა-საბუე გაგივლავთ, იქვე, 121,7; ლუდ თუ არ გიდუღებავისთავ, ქართ. დიალ. 11,1 და სხვა.

---

[1] ე. წ. ნ ჩართულ ფორმებში ეს ნ ავ-ის წინ არის მოქცეული, რაც საინტერესოა ამ ფორმათა ისტორიის თვალსაზრისით. მაგ.: გაქცეულ... ხამფია, დაუყვირნებავ, გაბ. 176,10; ნუმც გიზიდნავის ჴელიო, ხევს. პოეზ. 163,3; ზოგიც ი-ა სუფიქსებს დაირთავს: მე შენთვი მიტირნიაო, იქვე, 712,1; მოუმატნია წყალსაო, იქვე, 626,1.

[2] მრავლობითში თურმეობითი პირველის ო სუფიქსით წარმოება შენიშნულია სპეც. ლიტერატურაში (ა. ჭინჭარაული, 1960, 129). სტატიკურ ვნებითთა მრავლობითზე იმავე ნაშრომში არაფერია თქმული.

[3] ამ საკითხზე მსჯელობის დროს მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითი და სტატიკურ ზმნათა აწმყო.

როგორც აღინიშნა, სამაგიეროდ სახელობითში დასმული სახელი ყოველთვის ითანხმებს ზმნას, რაც ძველი ვითარების გადმონაშთი ჩანს. ასეთ შემთხვევებში თურმეობითი პირველისა და სტატიკური აწმყოს საწარმოებლად **ი**-ს გამოჩენა განსაკუთრებით საყურადღებოა. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას: სამკლავენ უკმარებიან, ხევს. პოეზ. 45,6; დაუტენიან კაბანი, იქვე, 440,2; დაუბარებიან... ჴევსურნი, გაბ. 162,3; დაუყუდებიან დროშანი, ჰინჯ. 372,11; ვაშლნი ჩამაუყრიან, ქართ. დიალ. 24,9 და სხვა.

გამონაკლისს ამ საერთო წესიდან არც **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები წარმოადგენენ: შეთანხმების შემთხვევაში ისინიც **ი** სუფიქსიან წარმოებაზე გადადიან. **ი**-ს წინ **ვ** (← **ავ**) იკარგება, **მ** (← **ამ**) შემონახულია: უნახიან... ჴევსურნი, გაბ. 159,13 (შდრ. ძვ. ქართ. უნახვან): ასევე, იქვე, 162,28; უბეგრიან ჴევსურნი, იქვე, 180,1 (ძვ. ქ. უბეგრვან); ზურაბ ერისთავს ჴშირად ულაშქრიან ჴევსურნი, იქვე, 158,3 (ულაშქრავს — ულაშქრვან); არ მილაჴიან ქვიშანი, ხევს. პოეზ. 255,1... ი დევს დაუთქმიან ი ცხრანი ძმანი, ქართ. დიალ. 24,8; შდრ. ძვ. ქართ. დაუთქმან. დაუთქმიან ი მეზობელნიცა, იქვე, 24,24; საჴნის-საკვეთელნი ჩაუსხმიან ცეცხლში, იქვე, 24,25 (ჩაუსხმან) და სხვა.

შეთანხმება მაშინაც გვაქვს, თუ სახელი მხოლობითშია, მაგრამ შინაარსით მრავალს გამოხატავს: გამაუშვიან ჩვენ ხალხი, ჰინჯ. 382,5; ზვიადი, ბაჴაი და ჯოყოლა ერთად დაუჴოციან, იქვე, 353,16; ან კიდევ, როცა სახელი **ებ**-იან მრავლობითშია: ძალიენ უზარალებიან ლეკებს თუშები, იქვე, 367,1.

რაც ზემოთ პირველი თურმეობითის შესახებ ითქვა, ძირითადად ეხება სტატიკურ ზმნათა აწმყოსაც.

1. მიცემითში დასმულ სახელს მე-3 პირისას ზმნა რიცხვში არ ეთანხმება: ქისტებს ღგონავ, გაბ. 166,1 (ჰგონიათ); იმათ ღგონავის, გაბ. 217,3; მტრის ნახვა ახალგაზრდათა კიდევ ურჩევავ ჴორწილსა, ხევს. პოეზ. 266,10 (ურჩევნიათ); არ სჭარბავ ცხენის მჭამლებს, გაბ. 170,9...

2. მიცემითში დასმული მე-2 პირთან შეწყობილი სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში: სიკვდილიმც ნუ გიწერავთავ, გაბ. 157,22 (გიწერიათო); მანდელიმც გხურავთ დიაცისაო, ხევს. პოეზ. 91,3; გსხავთ ჯაჭვ-იარაღი, იქვე, 169,7; არცა-რაი გკრავთ ჭკვისაო, იქვე, 193,1 და მისთ.

ნ-არიანი მრავლობითის სახელობითში დასმული სახელი აქაც ითანხმებს ზმნას რიცხვში და **ავ** დაბოლოებას ცვლის **ი** სუფიქსი:

სამნი გვტანიან სხვანიო, ხევს. პოეზ. 2,6 (შდრ. თუშური გვტანვან); ლეკთ უჭერიან მთანია, იქვე, 65,19; თითნი ვადაზე ხკრიანო, იქვე, 177,11; ჯარნი უღელში ღბიანა, იქვე, 206,15; საძროხეში ვირნ მიბიან, იქვე, 414,2; ზედ რო ხკიდიან ღვიანი, ჰინჯ. 409,34; ზედ ირმის რქანი ხკრიანა, იქვე, 390,19; ვისაც ჩოჴვის ძველნ სცვიანო, ხევს. პოეზ. 609,29 და მისთ.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში — ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში — სხვა კილოთაგან განსხვავებულია მხოლოდ მხოლობითი რიცხვის მე-3 პირის წარმოება, რომელსაც **ავ** სუფიქსი დაერთვის, ყველა

სხვა შემთხვევაში გვაქვს ⟨ო⟩ სუფიქსი ქართული ენის დანარჩენი კილოების მსგავსად. კერძოდ, ⟨ო⟩ სუფიქსიანია: 1) ყოველგვარი ზმნის 1-ლი და მე-2 პირი ორივე რიცხვში (აქვე შემოდის სალიტ. ქართულის **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნებიც) და 2) მე-3 პირი მრავლობითი რიცხვისა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მხოლობითი რიცხვის მე-3 პირშიც სამივე კილოში ზოგჯერ ⟨ო⟩ გვაქვს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ⟨ო⟩ სუფიქსიანი წარმოება სხვა დიალექტების მსგავსად მთის კილოებშიც გაბატონებულია.

IV. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში

1. სუბიექტური მესამე პირისა და რიცხვის გამოხატვა ძველი ქართულის ძირითადი ნორმების მიხედვით

მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის აღნიშვნის მიხედვით ძველ ქართულში რამდენადმე განსხვავებული ვითარება არის დაცული, ვიდრე ახალ ქართულში. მესამე სუბიექტური პირი მხოლობითსა და მრავლობითშიც წარმოდგენილი არის რამდენიმე აფიქსით, რომელთაგან ზოგიერთი ახალ ქართულში აღარ გადმოსულა, დაიკარგა. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშნები მხოლობითში არის: **-ს, -ნ, -დ, -ა, -ო**; მრავლობითში: **-ენ, -ან, -ნ, -ეს, -ედ** სუფიქსები.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

ს: რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს, მთ. 12,30; რომელი-იგი ჩემსა შემდგომად მოვალს, უძლიერეს არს ჩემსა, მთ. 3,11; არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, მთ. 4,4.

რომელსა ჰქონდის ღმერთი, სწავლ. 5,3.

უკუეთუ თუალი შენი მარჯუენჱ გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი, მთ. 5,29; რომელი გთხოვდეს შენ, მიეც, მთ. 5,42.

მზჱ მისი აღმოავლინის ბოროტთა ზედა და კეთილთა, მთ. 5,45; ვჰრქჳ ამას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის, მთ. 8,9.

ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას, მთ. 3,10.

მიუღებიეს სასყიდელი მათი, მთ. 6,16.

ა: მოჰვლიდა იესუ ყოველსა მას გალილეასა და ასწავებდა შესაკრებელსა შორის მათსა და ახარებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა მათ სნეულთა, მთ. 4,23.

ვითარცა იხილა იესუ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, მთ. 5,1.

ო: იწყო იესუ სიტყუად მათა იგავით, მთ. 13,3; რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისჴმა-ყო და გამოიღო ნაყოფი, მთ. 13,23.

ნ: ყოველი რომელი ითხოვნ — მოიღის, და რომელი ეძიებნ — პოის, და რომელი ირეკნ — განეღის, მთ. 7,8C.

ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, მთ. 5,16; ეგრე ნათობდინ ნათელი თქუენი, იქვე, C.

რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი, მიეცინ მას განსატევებელი, მთ. 5,31; არამედ იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰე, ჰე და არა, არა, მთ. 5,37.

დ: სადაცა-იგი ჰნთიედ, ყ'დ მუნ არნ, სინ. მრ. 122,7; პირი ზე-უმტკმიედ, სახისმეტყ. 241,7.

კილიკი ერთი მცირჱ ქუე წარუგდებიედ, შუშ. 25,11.

ენ: ცოდვილნი ამასვე ჰყოფენ, მთ. 5,46; ბრმანი აღიხილვენ, მთ. 11,5; მოწაფენი შენნი ჰამენ და სუმენ, ლ. 5,33.

ან: მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, ... მკუდარნი აღდგებიან, მთ.11,5.

ღმრთისათჳს არას ზრუნვიდიან, სწავლ. 15,14; ძაღლნიცა მოვიდოდიან და ჰლოშნიედ წუთხსა მისსა, ბოლნ. 68,23.

არცა აღანთიან სანთელი და ქუეშე შედგიან იგი ჴმირსა, მთ. 5,15.

ნ: მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, მთ. 13,43; ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა, მთ. 5,16; ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ, მთ. 5,18.

იუნჯებდით საუნჯეთა თქუენთა ცათა შინა..., სადა არცა მპარავთა დათხარონ და განიპარონ იგი, მთ. 6,20.

ეს: გარდამოჯდეს წჳმანი, და აღდგეს მდინარენი და ქროდეს ქარნი, მთ. 7,25; მოუჯდეს მოწაფენი მისნი, აღადგინეს იგი და ეტყოდეს, მთ. 8,25.

ედ: (ნათესავი ესე) მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა ზედა და მოუწოდედ მოყუასთა თჳსთა და ეტყჳედ მათ, მთ. 11,16-17.

გიყუარდედ მტერნი თქუენნი, მთ. 5,44.

მიგეტევნედ შენ ცოდვანი შენნი, ლ. 5,20C; იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ, ლ. 12,35.

როგორც ვხედავთ, მოსალოდნელი თითო აფიქსის ნაცვლად მხოლობითსა და მრავლობითში ხუთ-ხუთი აფიქსი არის გამოყენებული.

აღნიშნავენ, რომ მესამე სუბიექტური პირის გამოხატვას ზმნაში თავისებურებები ახასიათებს; მათგან ა. ჩიქობავა ცალკე გამოყოფს სამ თავისებურებას:

1. მესამე სუბიექტური პირი რამდენიმე აფიქსით აღინიშნება მაშინ, როცა პირველსა და მეორე სუბიექტურ პირებში თითო აფიქსია წარმოდგენილი: S_1 — **ვ**, S_2 — **ხ**, ან **ჲ** (ან მისი ბგერინაცვალი **ს**); ასევეა ყველა ობიექტურ პირში: O_1 — **მ**, O_2 — **გ**, O_3 — **ხ** ან **ჲ** (ან მისი ფონეტიკური სახეცვლა **ს**). აქვე ნათქვამია, რომ მესამე სუბიექტური პირის აფიქსების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევა ყოველთვის შეუძლებელია.

2. მესამე სუბიექტური პირის ნიშნები სუფიქსებია. ყველა სხვა პირი — სუბიექტისა თუ ობიექტისა — პრეფიქსებით არის აღნიშნული. „პრეფიქსაცია პირის აღნიშვნაში ქართული ზმნის უღვლილების პრინციპია, და ამ პრინციპს არღვევს მესამე სუბიექტური პირის წარმოება“ (ა. ჩიქობავა, 1940, 15).

3. მესამე პირის სუბიექტის ნიშნები ზმნას მხოლობითში აქვს, მრავლობითში კი — არა. მესამე სუბიექტური პირის აფიქსები მრავლობითში რიცხვის ნიშნებია, შემდეგ დაეკისრა მათ პირის აღნიშვნა (ა. ჩიქობავა, 1940, 15).

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ყველა სხვა პირის (სუბიექტურისა თუ ობიექტურის) ნიშანი გამოხატავს პირს, რიცხვის აღსანიშნავად სხვა აფიქსებია გამოყენებული: **ენ**, **თ** (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 27).

მესამე სუბიექტური პირის თავისებურებები ამ პირის რაობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ა. შანიძის მიხედვით, „მესამე პირი არის ფორმა ზმნისა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ისეთი ვინმეს ან ისეთი რამის მოქმედების

შესახებ, რომელიც (ან რომლებიც) არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა. მოუბარი ადამიანი უბნობის მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნის სტრუქტურაში — ის გამოსავალია პირთა გაგებისათვის: მოუბარი, რომელიც ითვლება პირველ პირად, განსაზღვრავს მეორეს, ორივენი ერთად კი არკვევენ მესამეს" (ა. შანიძე, 1973, 168).

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ჩანს ერთი ფაქტი: სუბიექტისა თუ ობიექტის პირველსა და მეორე პირებს შესაბამისი პირის ნაცვალსახელები შეეფარდება ორივე რიცხვში (მე, შენ, ჩუენ, თქუენ), მესამე პირს „თავისი" ნაცვალსახელები არ მოეპოვება და იყენებს ჩვენებით ნაცვალსახელებს: ესე, ეგე, იგი, ისი (მრავლობითში: ესენი, ეგენი, იგინი, ისინი), რომელნიც, ჩვეულებრივ, უჩვენებენ, მიუთითებენ საგანს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მესამე პირის აღსანიშნავადაც იხმარებიან. მე, შენ, ჩუენ, თქუენ ნაცვალსახელებს ა. შანიძე „ნამდვილ პირის ნაცვალსახელებს" უწოდებს, რადგანაც მათთვის ძირითადი პირის წარმოდგენაა (ა. შანიძე, 1973, 42). ამ თავისებურებას ალბათ ის განაპირობებს, რომ „საუბარი ადამიანებს შორის, ანუ პირებს შორის იმართება ჩვეულებრივ" (იქვე, 42). ამიტომ მეტყველების პროცესში, ბუნებრივია, მათ უჭირავთ ცენტრალური ადგილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თავისებურება: მესამე სუბიექტური პირისა და რიცხვის მორფემები განაწილებულია მწკრივთა მიხედვით.

ა. შანიძე წერს: „1-ლი და მე-2 პირი სუბიექტისათვის მუდმივ ერთსა და იმავე ნიშნებს გვიჩვენებს. აქ გარჩევა არ არის არც რიცხვისა და არც მწკრივის მიხედვით. ხოლო მე-3 პირის სუბიექტური ნიშანი სხვადასხვაა არა მარტო მხოლობითსა და მრავლობითში, არამედ ზოგჯერ აგრეთვე სხვადასხვა მწკრივშიც" (ა. შანიძე, 1973, 174). ნ. აგრეთვე ა. შანიძე, 1976, 63-64.

ეს თავისებურება შენიშნული აქვთ სხვა მკვლევრებსაც (ი. იმნაიშვილი, 1971, 159-160; ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 28-31; ზ. სარჯველაძე, 1997, 75-76 და სხვა).

როგორც ითქვა, მხოლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის მორფემებია: **ს, ნ, დ, ა, ო.** ამათგან ყველაზე აქტიურია ძველ ქართულში **ს** სუფიქსი.

მესამე სუბიექტური პირის მორფემათა განაწილება ასეთ სახეს იღებს:[1]

მხოლობითი რიცხვი

ს — ა) აწმყო: წერ-ს (დასწერ-ს), იმალვი-ს, ჰგონიე-ს.
ბ) უწყვეტ. ხოლმ.: წერდი-ს (დასწერდი-ს), ჰყოფდი-ს.
გ) I კავშ.: წერდე-ს (დასწერდე-ს), ჰყოფდე-ს.
დ) **ოდ**-იან ზმნათა უწყვეტ. ხოლმ. და
I კავშ.: იმალვო-დი-ს.
ე) II ხოლმ.: წერი-ს (დაწერი-ს), ყვი-ს.
ვ) II კავშ.: წერო-ს (დაწერო-ს), ყო-ს.

[1] ყველაზე სრული სახით S_3 პირის აფიქსების მწკრივთა მიხედვით განაწილება წარმოდგენილია ი. იმნაიშვილის ნაშრომში (ი. იმნაიშვილი, 1971, 159-160). ჩვენც მას ვიყენებთ.

ზ) შერეული ხოლმ. და შერეული კავშ.: წეროდი-ს (დაწეროდი-ს), ყ(ვ)ოდი-ს.

ჱ) I თურმეობითი: უწერიე-ს (დაუწერიე-ს), უყოფიე-ს.

თ) III ხოლმეობითი: ეწერი-ს (დაეწერი-ს), ეყვი-ს.

ი) III კავშირებითი: ეწერო-ს (დაეწერო-ს), ეყო-ს.

როგორც ვხედავთ, **ს** გვხვდება ყველა ხოლმეობითსა (აწმყოს ხოლმეობითის გარდა) და ყველა კავშირებითში, აგრეთვე აწმყოსა და I თურმეობითში.

ნ — ა) აწმყოს ხოლმ.: წერ-ნ (დასწერ-ნ), ჰყოფ-ნ.

ბ) I ბრძ.: წერდი-ნ (დასწერდი-ნ), ჰყოფდი-ნ.

გ) II ბრძ.: წერე-ნ (დაწერე-ნ), ყავ-ნ (მან იგი).

დ) I თურმ.: უწერიე-ნ (დაუწერიე-ნ), უყოფიე-ნ.

დ — ა) სტატ. ვნ. აწმყო: ჰნთიე-დ, ჰგიე-დ (იგი).

ბ) I თურმ.: წარუგდებიე-დ (მას იგი).

ა — ა) უწყვეტელი: წერდ-ა (დასწერდ-ა), ჰყოფდ-ა.

ბ) წყვეტილი: წერ-ა (დაწერ-ა), ქმნ-ა.

გ) II თურმეობითი: ეწერ-ა (დაეწერ-ა), ექმნ-ა.

ო — ა) წყვეტილი: ყ-ო (<ყვ-ა), აქ-ო.

ბ) II თურმ.: ეყ-ო, ექ-ო.

მრავლობითი რიცხვი

ენ, ან, ნ, ეს, ედ

ენ — აწმყო: წერ-ენ (დასწერ-ენ), ჰყოფ-ენ

ან — ა) აწმყო: იმალვი-ან, ჰგონი-ან.

ბ) უწყვეტ. ხოლმ.: წერდი-ან (დასწერდი-ან), ჰყოფდი-ან.

გ) **ოდ**-იან ზმნათა უწყვეტ. ხოლმ. და I კავშ.: იმალვოდი-ან.

დ) II ხოლმ.: წერი-ან (დაწერი-ან), ყვი-ან.

ე) შერეული ხოლმ. და კავშ.: წეროდი-ან (დაწეროდი-ან), ყოდი-ან.

ვ) I თურმ.: უწერი-ან (დაუწერი-ან), უყოფი-ან.

ზ) III ხოლმ.: ეწერნი-ან (დაეწერნი-ან), ეყვნი-ან.

ნ — ა) I კავშ.: წერდე-ნ (დასწერდე-ნ), ჰყოფდე-ნ.

ბ) II კავშ.: წეროთ-ნ (დაწეროთ-ნ), ყო-ნ.

გ) III კავშ.: ეწერნე-ნ (დაეწერნე-ნ), ეყვნე-ნ.

ეს — ა) უწყვეტ.: წერდ-ეს (დასწერდ-ეს), ჰყოფდ-ეს.

ბ) წყვეტ.: (გარდამ.) წერ-ეს (დაწერ-ეს), ყვ-ეს.
(გარდაუვ.) მივიდ-ეს, განტფ-ეს, მოკუდ-ეს
გ) II თურმ.: (გარდამ.) ეწერნ-ეს (დაეწერნ-ეს), ეყვნ-ეს.
(გარდაუვ.) დაჰმალვოდ-ეს, მისცემოდ-ეს.

ედ — ა) აწმყოს ხოლმ.: წერ-ედ (დასწერ-ედ), ჰყოფ-ედ.
ბ) I ბრძ.: წერდ-ედ (დასწერდ-ედ), ჰყოფდ-ედ.
გ) უწყვეტ. ხოლმ.: ზრუნვიდი-ედ, სცვიდი-ედ.
დ) II ბრძ.: წერ-ედ (დაწერ-ედ), ყვ-ედ.
ე) II ხოლმ.: მივიდი-ედ, შეიმოსი-ედ.

მესამე სუბიექტური პირის აღნიშვნისას გამოვლენილ ამ მრავალფეროვნებას მათი დიალექტური წარმოშობით ხსნიან (ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ფოჩხუა).

ა. ჩიქობავას ვარაუდით, „Ვ3-ისათვის სხვადასხვა ნიშნების ხმარება მერმინდელი მოვლენაა; თვით ნიშნები **-ს**, **-ა** ან სხვადასხვა ფორმაციისაა ან სხვადასხვა დიალექტური წრისა“ (ა. ჩიქობავა, 1940, 40).

იგივე აზრი გატარებულია ვ. თოფურიას ნაშრომებშიც (ვ. თოფურია, 1941, 191; ვ. თოფურია, 1942, 496).

ა. ჩიქობავას აზრით, პირის ნიშანთა **ს**, **ნ**, **დ** თანხმოვნები ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშნებს უკავშირდება (ა. ჩიქობავა, 1942, 257 და შემდეგ.; ნ. აგრეთვე ამ საკითხისადმი მიძღვნილი სხვა ნაშრომები ავტორისა).

ამ თვალსაზრისს იზიარებენ ვ. თოფურია და ბ. ფოჩხუა. ვ. თოფურია წერს: „შენიშნულია, რომ ქართულში ერთისა და იმავე მორფოლოგიური კატეგორიის გამოსახატავად ორი, სამი და მეტი ნიშანი იხმარება. საამისოდ თუნდაც III პირის ფორმები გამოდგება, სადაც III პირის გამომხატველად სამი სუფიქსი გამოდის: **-ს**, **-ა**, **-ო** — ახალ ქართულში, ძველ ქართულში კი ამათ **-ნ** ბოლოსართიც ერთოდა და გვქონდა: **-ს**, **-ნ**, **-ა**, **-ო**“ (ვ. თოფურია, 1953, 520). შემდეგ ავტორი მიუთითებს, რომ მათ გვერდით უდგას **-დ** და მიიჩნევს, რომ **-ს**, **-ნ**, **-დ** წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშნებია (იქვე, 520; ნ. აგრეთვე ბ. ფოჩხუა, 1961,60 და შემდგ.).

ბ. ფოჩხუა იმოწმებს ა. ჩიქობავას და ვ. თოფურიას ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებს და წერს: „დამტკიცებულია, რომ **ს**ანიანი აფიქსები გარკვეული დიალექტური წრის კუთვნილებაა და **ნ**არიანს უპირისპირდება“ (ბ. ფოჩხუა, 1961, 60. ნ. აგრეთვე იქვე, 61).

პირის აფიქსთა მრავალფეროვნების ასახსნელად ზოგჯერ მათში ფონეტიკურ ვარიანტებს ხედავენ. რომ სუბ. მესამე პირის აფიქსების ფონეტიკურ ვარიანტებად მიჩნევა ყოველთვის შეუძლებელია, ეს აღნიშნულია (ა. ჩიქობავა), მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც მიაჩნდათ, რომ ზოგ შემთხვევაში (გარკვეული აფიქსების მიმართ) ეს დასაშვები იყო. იგულისხმება **-ენ**, **-ან-**, **-ნ** სუფიქსები. ერთი ვარაუდის მიხედვით, „მრავლობითობის **-ნ** ბოლოსართი აშენონ, დაჭრან და მსგავს ფორმებში შეკუმშული **-ენ** ნიშანია“ (ვ. თოფურია, 1953, 520, შნშ.). **-ენ** სუფიქსისაგან მომდინარედ არის მიჩნეული დანარჩენი **ნ**არიანი ვარიანტები

სხვა ავტორთა მიერაც (ბ. ფოჩხუა, 1961, 62; ა. შანიძე, 1973, 433; გ. მაჭავარიანი, 1953, 123; გ. როგავა, 1968, 76-77).

ბ. ფოჩხუა წერს: „ჩვენი ვარაუდით, მრავლობითის **ნ**არიანი მაწარმოებლებიდან უძველესია ზმნებში წარმოდგენილი **-ენ**. დანარჩენი ნარიანი ვარიანტები მისგან მომდინარეობს: **-ან** შეიძლება ზანურის (ან ზანურის ტიპის დიალექტური წრის) კუთვნილება იყოს. კავშირებითში წარმოდგენილი **-ნ** იგივე **-ენ** სუფიქსია, გარკვეულ გარემოში რედუცირებული და შემდეგ ანალოგიით გავრცელებული“ (ბ. ფოჩხუა, 1961, 62).

სხვა ნაშრომში **-ან** სუფიქსს **-ენ**-ის დისიმილირებულ სახეობად მიიჩნევენ: **-ი-ენ** → **ი-ან** (გ. როგავა, 1968, 76-77).

გამოთქმულია ზემოთ აღნიშნულის საწინააღმდეგო თვალსაზრისიც: „**-ან** სუფიქსი არ არის **-ენ**-ის ფონეტიკური ვარიანტი, წარმოქმნილი მისი ზმნურ აფიქსად ჩამოყალიბების შემდეგ... იგი არაა ამოსავალი **-ან** და **-ნ** სუფიქსებისათვის ზმნურ ფორმებში“ (გ. გოგოლაშვილი, 1977, 218-219).

ავტორი ასაბუთებს ამ შეხედულებას და აღნიშნავს, რომ **-ნ** სუფიქსი არ არის **-ენ**-ის რედუცირებული ვარიანტი, „ხმოვანთკომპლექსთა გამარტივება მომდევნო ხმოვნის დაკარგვის გზით არაა დამახასიათებელი... ქართულისათვის“ არც ისტორიულად და არც დღეს (გ. გოგოლაშვილი, 1977, 218). შეუძლებლად არის მიჩნეული აგრეთვე **-ი**-ს მეზობლობაში დისიმილაციის გზით **-ენ** სუფიქსის **-ან** სუფიქსად ქცევა: **ეა** → **ია** „რეგრესულ გავლენაზეა დამყარებული და ხდება ფართო ხმოვნის დავიწროება, რაც კანონზომიერია, ხოლო **იე** → **ია** პროცესის დროს... გავლენა პროგრესულია და ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის გაფართოებას, რაც არაბუნებრივია ქართულისათვის“ (გ. გოგოლაშვილი, 1977, 218).

ჩვენთვის ეს დებულებები მისაღებია.

როგორც ვნახეთ, სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია ცდა, რომ მრავლობითის **ნ**არიანი მაწარმოებლები ერთ აფიქსამდე იქნეს დაყვანილი.

თუ დავუშვებთ, რომ სუბიექტური მესამე პირის გამოხატვასთან დაკავშირებულ ერთ ათეულ სუფიქსს — ყველას ერთი ფუნქცია, ერთი დანიშნულება ჰქონდა, მაშინ ბუნებრივი იქნება იმის დაშვებაც, რომ ამოსავალი ვითარება ყველა მათგანის არსებობას არ გულისხმობდა, რომ სუფიქსთა სიმრავლეს დიალექტური ან ფონეტიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა. აქედან უნდა მოდიოდეს მათი რაოდენობის „შემცირების“ მოთხოვნილება. ამის გამო ერთი და იმავე თანხმოვნის (**ნ**-ს) შემცველი სამი აფიქსი ფონეტიკურ ვარიანტებად იქნა მიჩნეული.

ჩვენი ვარაუდით, სუბიექტური მესამე პირის აფიქსებს ყველას თავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ფუნქცია უნდა ჰქონოდათ, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ერთი და იგივე პირის ნიშნები ერთი ტიპის მწკრივთა ჯგუფებში გამოვლინდება. მაგალითად, ვ. თოფურია ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ **-ნ** და **-ედ** ბრძანებითებში გვხვდება, **-ენ**, **-ან** — აწმყოსა და კავშირებითების III პირის მრავლობით რიცხვში, **-ეს** — ნამყოებში (ვ. თოფურია, 1953, 520, 527).

ბ. ფოჩხუა მიუთითებს, რომ **-ნ** კავშირებითებში იხმარება ორივე სერიაში, **-ან** — ხოლმეობითებში (უწყვეტ. ხოლმ., II ხოლმეობითი), ხოლო **-ეს** — თხრობითებში (უწყვეტ., წყვეტ.).

-ნ-ს ფუნქციის შესახებ ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ ის „არაა აწმყოს ხოლმეობითის საწარმოებელი ნიშანი, რადგანაც იგი მხოლოდ მესამე პირის ფორმაშია," ამასთანავე ის სხვა მწკრივებშიც გვხვდება. ის არც ბრძანებითის ნიშანია, რადგანაც იგი გამოყენებულია არაბრძანებითის მწკრივებშიც. „მაშასადამე, **-ნ** მხოლოდ მესამე პირის სუბიექტის ნიშანია" (ვ. თოფურია, 1953, 521).

იგივე აზრი, ბუნებრივია, მეორდება დასკვნაშიც, სადაც S_3-ის ყველა აფიქსი ივარაუდება: „ერთი მოვლენის გამოსახატავად გამოყენებული იყო ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა ნიშანი. მაშასადამე, გვქონდა ერთი შინაარსის, ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმა, მრავალფორმა" (ვ. თოფურია, 1953, 527. დაყოფა ავტორისაა).

მწკრივის საკითხთან დაკავშირებით ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ „მწკრივის საწარმოებელ ნიშნებად მიჩნეული სუფიქსები (**-ა, -ე, -ო, -ი** ...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებელი აფიქსებია" (ვ. თოფურია, 1956; ვიმოწმებთ გ. გოგოლაშვილის ნაშრომის მიხედვით, 1984, 7).

წარმოდგენილ თვალსაზრისს ეთანხმება ბ. ფოჩხუაც. ის წერს: „**-ან** ხოლმეობითებში გვხვდება, მაგრამ აუცილებლობით არაა დაკავშირებული ამ ფორმებთან, რაკი ხოლმეობითობის გამოსახატავად საგანგებო სუფიქსი უკვე არსებობს და რაკი **-ან** გვხვდება არახოლმეობითებშიც" (ბ. ფოჩხუა, 1961, 57).

შემდეგ ავტორი კავშირებითების **-ნ**-ს ეხება:

„ეგევე ითქმის **-ნ**'ს შესახებ კავშირებითებში: მართალია, **-ნ** მხოლოდ კავშირებითებში გვხვდება, მაგრამ კავშირებითობა ამ ფორმებში უკვე მოცემულია სხვა სუფიქსით" (ბ. ფოჩხუა, 1961, 57). ცოტა ქვემოთ კი ნათქვამია: „რაკი კავშირებითობის საგანგებო აფიქსი არსებობს, გაუმართლებელია საგანგებო, კავშირებითთათვის განკუთვნილი მრავლობითობის ნიშნის არსებობა" (ბ. ფოჩხუა, 1961, 61). ავტორი გულისხმობს კავშირებითის **-ე** სუფიქსს.

ჩვენი ვარაუდით, **-ა, -ე, -ო, -ი** და მისთ. დროს, კილოსა და ჯერობას არ უნდა გამოხატავდნენ. **-ე** რომ კილოზე მიუთითებდეს, ის არ უნდა გვქონდეს სხვადასხვა დროისა და კილოს ფორმებში. როგორც ცნობილია, **-ე** იხმარება არა მხოლოდ კავშირებითი კილოს ფორმებში, არამედ თხრობითისაშიც; ამასთანავე, **-ე** თხრობითი კილოს რამდენიმე მწკრივში გვხვდება ძველ ქართულში: უწყვეტელში, წყვეტილსა და II თურმეობითში. **-ი** გვხვდება როგორც ხოლმეობითებში, ისე კავშირებითში (**-ოდ**-იან ზმნათა I კავშირებითში, შერეულ კავშირებითში); თუმცა ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ კავშირებითი ხოლმეობითის ფორმებს სესხულობს: **-ოდ**-იან ზმნათა I კავშირებითი უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებს ემთხვევა, ხოლო შერეული კავშირებითი — შერეული ხოლმეობითისას.

-ა, -ე, -ო, -ი მწკრივის ნიშნებია, მწკრივის ფუძეს აწარმოებს, ამიტომ ჩვეულებრივ წარმოდგენილია მწკრივის ყველა ფორმაში, თუ ფონეტიკური მიზეზით არ არის დაკარგული.

ქართველურ ენებში პირისა და რიცხვის გამოხატვის საკითხს მიეძღვნა ა. ონიანის სპეციალური მონოგრაფია (ა. ონიანი, 1978). სუბიექტური მესამე პირისა და რიცხვის სუფიქსთა განაწილებისა და თავდაპირველი ფუნქციების შესახებ ა. ონიანი წერს: „პირის მორფემის ალომორფთა განაწილება შეპირობებულია არა ფონოლოგიურად, არამედ — მორფოლოგიურად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღნიშნულ ალომორფთა გამოვლენას განაპირობებს არა ფონოლოგიური გარემოცვა, არამედ რომელიმე მორფოლოგიური კატეგორია (მწკრივი, კილო, გვარი...)“ (ა. ონიანი, 1978, 170).

იქვე ავტორი განაგრძობს: „ფაქტობრივ ასეთივეა ვითარება ძველ ქართულშიც: S_3 მორფემის I-სI, I-აI, (I-ოI), I-ნI, I-დI ალომორფების განაწილება მორფოლოგიურ პრინციპს ემყარება“ (იქვე, 170).

სხვა ადგილას იმავე ნაშრომში ნათქვამია: „მესამე სავალდებულო პირის მორფემის გამოვლენას განაპირობებს კილო, მწკრივი, დრო, გვარი. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის სუფიქსები, რომლებიც ამჟამად S_3 მორფემაში ერთიანდებიან, ისტორიულად ზემოაღნიშნულ კატეგორიათა (ან მათი ნაწილის) მიხედვით დაპირისპირებას გამოხატავდნენ (ა. ონიანი, 1978, 171). სანიმუშოდ დასახელებულია **-ს**, რომელიც, ავტორის აზრით, „ისტორიულად კავშირებითის მორფემის შემადგენელი ელემენტი იყო, მისი S_3 მორფემის წარმომადგენლად ქცევა კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა“ (იქვე, 172).

იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორი იყო სუბიექტური მესამე პირის აფიქსთა განაწილება, ავტორი წარმოგვიდგენს ი. იმნაიშვილის მიერ მოცემულ სქემას სათანადო მითითებით.

ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ჩვენი დაკვირვებითაც, სუბიექტური მესამე პირის აფიქსთა განაწილება დაკავშირებული უნდა იყოს დროის, კილოსა და ჯერობის (გზისობის) გამოხატვასთან. ხოლო რადგანაც ეს ზმნური კატეგორიები აუცილებლად მონაწილეობენ ამა თუ იმ მწკრივის ფორმათა ჩამოყალიბებაში, პირის ნიშნების განაწილება მწკრივთა მიხედვითაც ხდება.

რაც შეეხება გვარს, ძველ ქართულში თითქოს არ ჩანს მისი მონაწილეობა ამ პროცესში. ჩვეულებრივ, მოქმედებითსა და შესაბამის ვნებითს ამა თუ იმ მწკრივში ერთი და იგივე ნიშანი აქვს: ადიდებ-ს — იდიდები-ს, განჰკურნებ-ს — განიკურნები-ს... ასევე: ადიდ-ა — იდიდ-ა, განკურნ-ა — განიკურნ-ა... **ს~ა** მონაცვლეობა, რომელიც ვნებითში გვხვდება (იდიდები-ს > იდიდებ-ა, განიკურნები-ს > განიკურნებ-ა...), გვიანდელია. ამ საკითხს ცოტა ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით.

S_3 პირის ნიშნების ფუნქციებზე მსჯელობის დროს მხოლობითისა და მრავლობითის აფიქსებს ცალ-ცალკე განიხილავენ და ლაპარაკობენ სისტემის ხარვეზებზე. მიუთითებენ, რომ **-ნ** კავშირებითებში გვხვდება (I და II კავშ.), **-ან** — ხოლმეობითებში (დასახელებულია: ნამყო უწყვეტ. ხოლმ., ნამყო ხოლმ.), **-ეს** — თხრობითებში (ნამყო უწყვეტ., ნამყო წყვეტ.), „მაგრამ ამ სისტემას რიგი ხარვეზები აქვს: აქ არ თავსდება **-ენ** სუფიქსი... **-ან** ხოლმეობითებში გვხვდება, მაგრამ აუცილებლობით არაა დაკავშირებული ამ ფორმებთან... რაკი **-ან** გვხვდება არახოლმეობითებშიც“ (ბ. ფოჩხუა, 1961, 57). იგულისხმება აწმყო და, შესაბამისად, I თურმეობითი.

მხოლობითსა და მრავლობითში გამოვლენილ პირის აფიქსებს თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ, მათი ფუნქციების მიკვლევა გაჭირდება. ეს განსაკუთრებით ითქმის მხოლობითი რიცხვის შესახებ, სადაც ერთი და იგივე **ს** აფიქსი სხვადასხვა დაჯგუფებაში მონაწილეობს და მისთვის მხოლოდ ერთი ფუნქციის დაკისრება შეუძლებელი ჩანს. საფიქრებელია, რომ მხოლობითისა და მრავლობითის აფიქსები გაგებული იყო როგორც ერთი მთლიანი ოდენობა, როგორც ეს გვხვდება სხვა პირთა გამოხატვის დროს. ამიტომ გაცილებით უფრო ნათელი იქნება ამოსავალი ვითარება იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტური მესამე პირის მხოლობითისა და მრავლობითის აფიქსებს დავაწყვილებთ მათი გამოყენების შესაბამისად. ვიღებთ ასეთ სქემას:

ს —	**ენ (ან)**	გვხვდება ა) აწმყოსა და ბ) I თურმეობითში.
ს —	**ან —**	ხოლმეობითებში (აწმყოს ხოლმეობითის გარდა): ა) უწყვეტლის ხოლმეობითში, ბ) II ხოლმეობითში, გ) შერეულ ხოლმეობითსა და დ) III ხოლმეობითში.
ს —	**ნ —**	ა) I კავშირებითში, ბ) II კავშირებითსა და გ) III კავშირებითში. გამონაკლისს წარმოადგენს **-ოდ**-იან ზმნათა I კავშირებითი, რომელიც ამავე ზმნათა უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებს იყენებს.
ა (ო) —	**ეს —**	ა) უწყვეტელში, ბ) წყვეტილსა და გ) II თურმეობითში. **-ო** ენაცვლება **-ა**-ს წყვეტილსა და II თურმეობითში; უწყვეტელში არ გვხვდება.
ნ —	**ედ —**	ა) აწმყოს ხოლმეობითში, ბ) I ბრძანებითსა და II ბრძანებითში.

ზემოთ წარმოდგენილი სქემა ასახავს ძველი ქართული ენის ნორმებს. იშვიათი ფორმების შესახებ ცალკე იქნება საუბარი.

ამ სქემის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მხოლობით-მრავლობითის თითოეული წყვილი განაწილებულია მწკრივში შემავალი კატეგორიების — პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ჯერობის მიხედვით. თითოეული წყვილი გვხვდება მწკრივთა ჯგუფებში, რომელთაც აერთიანებს **დრო**, **კილო** ან **ჯერობა**:

ს — ან ხოლმეობითებში იხმარება, **ს — ნ** — კავშირებითებში, **ა (ო) — ეს** — წარსული დროის გამომხატველ მწკრივებში, **ს — ენ (ან)** — ახლანდელი დროის ფორმებში.

აწმყო თითქოს განცალკევებით დგას. სხვა პირის ნიშანთაგან თითოეული, როგორც ვნახეთ, რამდენიმე მწკრივში გვხვდება: ხოლმეობითებში, კავშირებითებში, წარსული დროის მწკრივებში... ეს იმიტომ ხდება, რომ ახლანდელი დროის გამოსახატავად ქართულში მხოლოდ ეს ერთი მწკრივი არსებობს და, ბუნებრივია, თუ მას საკუთარი, განსხვავებული აფიქსები აქვს. აწმყოს გვერდით უდგას მხოლოდ I თურმეობითი, ისიც ნაწილობრივ, რადგან მრავლობითში მოსალოდნელი **ენ** I თურმეობითში თითქმის არ გვხვდება, მხოლოდ **ან** იხმა-

რება, თუმცა ისტორიულად ეს ორი მწკრივი ერთი და იმავე ფორმებისაგან მომდინარეობს და **ენ** სუფიქსი I თურმეობითშიც უნდა გვქონოდა.

ჩვეულებრივ, დროს, კილოსა და ჯერობის მიხედვით განსხვავებულ მწკრივთა ჯგუფებს თითო აფიქსი აქვთ მხოლობითსა და მრავლობითში. განსხვავებულია ორი წყვილი, სადაც მხოლობითსა ან მრავლობითში ერთის მაგიერ ორი ნიშანია წარმოდგენილი. ერთი მათგანი არის აწმყოს **ს — ენ (ან)**, ხოლო მეორე — წარსული დროის მწკრივთა **ა (ო) — ეს**. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევებში მეორეულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. არაპირდაპირ მათ მეორეულობაზე ისიც მიუთითებს, რომ ერთ შემთხვევაში მხოლობით რიცხვშია წარმოდგენილი ორი აფიქსი ერთის ადგილას, მეორე შემთხვევაში კი — მრავლობითში.

ახალი ქართულის მიხედვით აწმყოს მხოლობითის მესამე პირშიც გამოიყოფა ორი სუფიქსი — **ს** და **ა**, მაგრამ, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ახლანდელი დროის ფორმებში **ა** სუფიქსი ინოვაციაა და მხოლოდ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ჩანასახის სახით (ლ. ბარამიძე, 1964, 112; ა. ონიანი, 1978, 67; 175).

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ვნებითებში მწკრივთა მიხედვით S_3 პირის იგივე აფიქსები გვხვდება, რაც შესაბამის მოქმედებითშია. მაგალითად, წყვეტილის ფორმებში ასეთი სურათია:

მოქმ.	ვნებ.	მოქმ.	ვნებ.
აღჰმართა	აღემართა	აღამაღლა	აღმაღლდა
დაჰბადა	დაებადა	განაგრილა	განგრილდა
აღასრულა	აღესრულა	განამართლა	განმართლდა
განჰმზადა	განემზადა	დააბრკოლა	დაბრკოლდა
*	*	*	*
განბანა	განიბანა	გამოაცხადა	გამოცხადნა
განყიდა	განიყიდა	განადიდა	განდიდნა
დასაჯა	დაისაჯა	განალაღა	განლაღნა
აღძრა	აღიძრა	განამტკიცა	განმტკიცნა
მოკლა	მოიკლა		

გამონაკლისია უნიშნო ვნებითი, რომელსაც ცალკე შევეხებით.

როგორც ზემოთ ითქვა, **ენ / ან** სუფიქსების შესახებ ვარაუდობენ, რომ მათი გამოვლინება ფონოლოგიური პოზიციით არის შეპირობებული: **ან** გვხვდება ძირითადად **ი**-ს მომდევნო პოზიციაში.

გ. მაჭავარიანი აღნიშნავდა, რომ „ეს ფორმანტები (**ენ / ან**) ერთიმეორის ფონეტიკური ვარიანტები ჩანან“ (გ. მაჭავარიანი, 1953, 123).

გ. როგავას ვარაუდით, **ენ** > **ან**-ს წინამავალ **ი**-სთან მეზობლობაში (გ. როგავა, 1968, 76-77). ამ ახსნას იზიარებს ა. ონიანი. ჩვენი აზრით, საკითხი შეიძლება სხვაგვარად დაისვას: ხომ არ არის **-ან** გადმოსული II ხოლმეობითიდან? გავიხსენოთ ჰრქუან, იციან, უწყიან ფორმები, რომლებიც წარ-

მოშობით II ხოლმეობითია და უძველეს ძეგლებშივე გვხვდებიან აწმყოს მნიშვნელობით (ა. ჩიქობავა).

ეს ზმნები განცალკევებული არ ჩანან, მათ გვერდით უდგას ე. წ. ი თემისნიშნიანი ზმნები, რომელთა აწმყო და II ხოლმეობითი ემთხვევა ერთმანეთს და რომელთაც ეს დამთხვევა ზოგჯერ აცილებული აქვთ ფუძის კუმშვა-უკუმშველობით, თუ ფუძე კუმშვადია (ზრდის — ზარდის...) (ა. ჩიქობავა).

ძველ ქართულში ასეთი ზმნებია: გვის, გამოჰგვის; გზავნის, წარჰგზავნის; წარჰგრაგნის, განსდევნის; ზრდის, გამოზრდის; თხრის, დათხრის, მოთხრის; მოჰმარგლის; (ჰ)მკის, მო(ჰ)მკის; (ჰ)მწყსის, და(ჰ)მწყსის; განჰრყუნის, რცხის, განჰრცხის; სჯის (შჯის), განსჯის, დასჯის; ყრის, გარდაჰყრის, შთაჰყრის; განსცდის, გამოსცდის; იცოხნის, აღმოიცოხნის (ექ. დღ. 98,26); აღსცრის, ჴრის, აღჴრის, დაჴრის; განჴდის, გარდაიჴდის, მიჰჴდის (მიგუჴდიდეს, სწავლ. 28, 10), იჴსნის, განჰჴსნის, გამოიჴსნის, გარდამოჰჴსნის, დაჰჴსნის, იჴმნის...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აწმყოში **-ან** სუფიქსი გავრცელდა ამ ტიპის ფორმათა ანალოგიით.

როგორც ითქვა, წყვეტილის მხოლობითის მესამე პირშიც ერთი ფუნქციით გამოყენებული ორი აფიქსი ენაცვლება ერთმანეთს: **ა** და **ო**. მათი ისტორიული ურთიერთობისა და ფონოლოგიური პოზიციის შესახებ მრავალ ნაშრომში არის საუბარი. გამოთქმულია ორი განსხვავებული შეხედულება. მკვლევართა დიდი ნაწილის ვარაუდით, ქართული ენის აფიქსალურ მორფემათა **ო**, მათ შორის სუბიექტური მესამე პირის **ო** სუფიქსიც, მეორეულია და მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე: **უა / ვა > ო**. ასევე **უე / ვე > ო** (Н. Я. Марр, 1925, 188-189; G. Deeters, 1930, 106-107, 218, 231; ა. ჩიქობავა, 1940, 14; ა. ჩიქობავა, 1950, 53; ეკ. ოსიძე, 1963, 16-18; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 43-45; გ. გოგოლაშვილი, 1984, 41-47, 53 და შემდგ.).

ა. ონიანი აღნიშნავს, რომ „წყვეტილის მწკრივში Iა და Iო ალომორფთა განაწილებას მორფონოლოგიური საფუძველი უდევს“ (ა. ონიანი, 1978, 61).

მეორე მოსაზრების მიხედვით, „**ო** ალომორფი S_3 პირისა ფონოლოგიურად შეპირობებული არაა ძველ ქართულში“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, 80). „ძველი ქართულის დონეზე ვა / ვე უა / უე ~ ო მორფოფონემატური მონაცვლეობა გამოირიცხება. V-XI საუკუნეების ქართულ ტექსტებში ამგვარი მონაცვლეობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, 75).

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? **ა (ო) — ეს** წარსული დროის ერთგზის ფორმებთან გვხვდება მხოლოდ (ახლანდელი დროის ფორმებში **ა**-ს გამოყენება, როგორც ითქვა, მეორეულია). ასეთია უწყვეტელი, წყვეტილი და II თურმეობითი. ეს უკანასკნელი წყვეტილისაგან მომდინარეობს და ფორმალურად მას იმეორებს. მაშასადამე, ერთგზისი წარსული დროის გამოსახატავად ორი მოდელი არსებობს — უწყვეტლისა და წყვეტილისა. ამათგან უწყვეტელი მხოლოდ **ა** სუფიქსს იყენებს S_3 პირის მხოლობით რიცხვში, წყვეტილი კი — **ა**-სთან ერთად **ო** სუფიქსსაც. ჩვენი ვარაუდით, უწყვეტელში შენარჩუნებულია უძველესი ვითარება, წყვეტილში კი ფონეტიკური პროცესების შედეგად სურათი შეიცვალა. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ უწყვეტელში S_3 პირის

ა სუფიქსი ყოველთვის მოსდევს უწყვეტლის (-დ, -ოდ) სავრცობის **დ** თანხმოვანს, რამაც ხელი შეუწყო მის უცვლელად შენარჩუნებას. ეს გარემოება, ვფიქრობთ, მიუთითებს ამოსავალ ვითარებაზე — წყვეტილშიაც მხოლოდ **-ა** უნდა გვქონოდა.

-ა სუფიქსის სასარგებლოდ შეიძლება მივიჩნიოთ კიდევ ერთი გარემოება: პირდაპირი ობიექტის მრავლობითის **ენ / ნ** აფიქსიან ფორმებში S_3 პირის ნიშნად მხოლოდ **-ა** გვხვდება, რომელიც ენაცვლება მხოლობითი რიცხვის **-ო** სუფიქსსაც (ა. ჩიქობავა):

განაგ-ო	—	განაგნ-ა
აღავს-ო	—	აღავსნ-ა
შეამკ-ო	—	შეამკვნ-ა
შეიტკბო	—	შეიტკბნ-ა
განაჴმ-ო	—	განაჴმნ-ა და მისთ.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: თუ **-ო** ამოსავალში ივარაუდება, რა შეიძლება იყოს მისი **-ა** სუფიქსით შეცვლის მიზეზი? ამ კითხვის პასუხი არ ჩანს.

საყურადღებოა ისიც, რომ **-ა** „წყვეტილის მწკრივის უდიდეს ნაწილში" იხმარება (ა. ონიანი, 1978, 68). **-ო** ძირითადად გვხვდება **ობ**, **ოფ** თემისნიშნიან ზმნებში, იშვიათად **ებ** და **ავ** თემისნიშნიანებში.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს **ობ** თემისნიშნიანთაგან:

აღიმსთობს — აღიმსთო.

განჰგმობს — განგმო (= გაკიცხა).

განაგრძობს — განაგრძო (სიტყუაჲ).

განამჴნობს — განამჴნო (მ. სწ. 207,21).

განაღმრთობს — განაღმრთო (ერთმან გ ა ნ ა ღ მ რ თ ო... მეორე იგი გ ა ნ ი ღ მ რ თ ო, ი. აბულაძე, ლექსიკონი).

განაწყობს — განაწყო (გული განაწყო, O, ოვსე 12,14; ჩვეულებრივ გვხვდება: გული განიწყო).

დაავლტობს — დაავლტო (მაქმაჲ წყალსა, O, IV მეფ. 8,15).

დააღრმობს — დააღრმო (ლ. 6,48).

აშთობს, შეაშთობს — შეაშთო, შეიშთო (იგი).

შეამკობს — შეამკო, შეიმკო (იგი) და მისთ.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს რამდენიმე გარემოება, რომლებიც, ჩვენი აზრით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიუთითებენ, რომ პირველადი უნდა იყოს მესამე სუბიექტური პირის **-ა** სუფიქსი, ხოლო **-ო** მისგან მიღებული ფონეტიკურ ნიადაგზე.

A. -ა-სა და -ო-ს მონაცვლეობა ძველ ქართულში

ობ-იან ზმნებს ახალ ქართულში თითქმის ყოველთვის **-ო** სუფიქსი მოუდის წყვეტილის S_3 პირში. ძველ ქართულში **-ობ**-იან ზმნათა ერთ ნაწილს S_3

პირის აღსანიშნავად შემორჩენილი აქვს -ა სუფიქსი, რომელსაც ახ. ქართულში ჩვეულებრივ -ო ცვლის. ა~ო ზოგჯერ ძველ ქართულშივე გვხვდება. მაგალითად:

1. გარდამოიჭრობნ, O — გარდამოიჭრა, მსჯ. 5,28G.

2. აგრძნობს (ნუ აგრძნობნ მარცხენე შენი, მთ. 6,3) — აგრძნა, ლ. 23,7C; მრ. 7,24DE. შდრ.: ახ. ქართ. იგრძნო.

3. დაასობს (დაასობდეს... მანასა, რიფს. 177,4 — დაასვა (მანაჲ, მსჯ. 4,21); აღსობა — აღესვა (მას ჩნდჱ, Sin. — 8,367v). შდრ.: ახ. ქართ. ჩაესო.

4. აზმნობს (აზმნობდეს მოკლვად ჩემდა, საქმე მოც. 26,21 — აზმნა (ბაგინსაცა აზმნა (აზმნო ᲭᲦᲝ) შეგინებად, საქმე მოც. 24,6; შდრ.: აზმნო უკუე ეპისკოპოსმან, ესმა რაჲ ესე, მ. ცხ. 415r).

5. მიყრდნობა (მინდობაჲ მსგავს არს მიყრდნობასა, მ. სწ. 188,18) — მიეყრდნა ყურესა ერთსა, შუშ. II, გვ. 13. შდრ.: ახ. ქართ. მიეყრდნო.

6. უთხრობს (ნუვის უთხრობ, მთ. 8, 4) — უთხრა (მეფესა, საქმე მოც. 25,14).

7. მოთხრობაჲ (ენება მითხრობაჲ, უდაბ. 247,6-7) — მომითხრა ჩუენ მამამან ესაია, მ. ცხ. 17r; მოგუეთხრა ჴსნაჲ მათი, უდაბ. 147,7; არა თუ ვისგან ეთხრა, უდაბ. 182,32. შდრ. ახ. ქართ. მომითხრო.

8. იპყრობს (იპყრობენ ქუეყანასა, O, იგავ. სოლ. 8,16) — იპყრა კარიოთი, იერემ. 48,41 (ილ. აბულაძე, ლექსიკონი);

უპყრობს — უპყრა ჴელი მისი, მრ. 9,27;

გამოიპყრობს — გამოიპყრა, IV მეფ. 16,9;

დაიპყრობს — დაიპყრა აზოტჱ, O, ეს. 20,1;

ფერჳის დაპყრობა (= დადგომა) — ფერჳი დაიპყრა იესუ, მრ. 10,49;

მიპყრობა — მიუპყრა მათ ფასი, საქმე მოც. 8,18;

ყურის მიპყრობა — ყური მიუპყრა, O, ნეემ. 8,3;

შეპყრობა — შეიპყრა ფერჳი მათი, ფს. 9,16;

წარპყრობა — წარუპყრა ქედი თჳსი, პავლე მოც. 53,8.

9. შებრკუმობა (= დაბრკოლება; შეუბრკუმობ, რომელნი ვიდოდიან გზასა, მ. ცხ. 403r — შეუბრკუმა მას და შთამოიჭრა ქუეყანად, ლიმ. 101,28. შდრ.: უბრკუმო მონასა, უდაბ. 171,5.

10. ცნობა — ცნა იესუ, მთ. 12,25C; მრ. 2,8C; ესეღა თუმცა მეცნა, შუშ. X, გვ. 22; უკუეთუმცა გეცნა, მთ. 12,7; ლ. 19,42;

იცნობს — გიცნა, ი. 17,25; იცნა, მრ. 9,30C; ი. 1,10.

11. შობა — შობს — შვა; წარმოშობს — წარმოშვა.

თითქმის ყველა ამ ზმნას ახალ ქართულში S_3 პირის ნიშნად -ო აქვს, გამონაკლისია „შვა“, „უთხრა“, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს -ა. თუმცა „თხრობა“ ზმნის ზმნისწინიან ფორმებში -ო დამკვიდრდა უკვე: მომითხრო, მიუთხრო.

B. -ობ-იანი მოქმედებითი და — -ებ ვნებითში

როგორც ცნობილია, ქართულში დინამიკური ვნებითი წარმოშობით დაკავშირებულია მოქმედებითი გვარის ფორმებთან. მიაჩნიათ, რომ ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა (ა. შანიძე, 1973, § 346). ამიტომ ვნებითს არ გააჩნია საკუთარი ფუძე, ისეთი, რომელიც მოქმედებითისაგან განსხვავებული იქნებოდა. ვნებითში გამეორებულია იგივე თემის ნიშანი, რაც შესაბამის მოქმედებითში გვხვდება (ა. შანიძე, 1973, § 366; ლ. ბარამიძე, 1976, 79-80). ვნებითისა და მოქმედებითის თემათა ეს სიახლოვე უფრო კარგად დაცულია ძველ ქართულში. ახალ ქართულში უნიფიკაციის ტენდენციის გამო ვნებითში ზოგჯერ სურათი შეცვლილია (ლ. ბარამიძე, 1976, 79 და შემდგ.). **-ობ** თემისნიშნიანი მოქმედებითის შესაბამის ვნებითშიც ჩვეულებრივ იგივე თემატური აფიქსი იხმარება: ჰგმ-ობ-ს — იგმ-ობ-ის, დაათრ-ობ-ს — დაითრ-ობ-ის, დაალტ-ობ-ს — დაილტ-ობ-ის, შეიპყრ-ობ-ს — შეიპყრ-ობ-ის, მოგუთხრ-ობ-ს — მოგუეთხრ-ობ-ის, შეუნდ-ობ-ს — შეენდ-ობ-ის, მიაყრდნ-ობ-ს — მიეყრდნობ-ის და მისთ.

მაგრამ გვაქვს ამ წესიდან სხვადასხვანაირი გადახრაც: 1) ერთსა და იმავე სიტყვაში მოსალოდნელი **ობ** დაბოლოებიანი ვნებითის გვერდით **ებ** თემისნიშნიანიც გვხვდება. მაგალითად:

ჰგმობს:	იგმობის,	იგმების.
დაათრობს:	დაითრობის,	დაითრვების.
დაალტობს:	დაილტობის,	(და)ივლტების.
მიაყრდნობს:	მიეყრდნობის,	მიეყრდნების.

2) ხშირ შემთხვევაში (ჩვენი მასალის მიხედვით) ვნებითში მხოლოდ **ებ** გვაქვს, **ობ** თითქოს არ ჩანს:

ამკობს: იმკვების (O, ზირ. 40,3).

შეამკობს: შეიმკვების (სინ. მრ. 191,18; H — 622,8v).

მიანდობს:[1] მიენდვების (მამ. სწ. 304,27; 287,1).

შეაშთობს: შეიშთვების (ნუ შეიშთვებით, მამ. სწავ. 189,26; ასევე: იქვე, 140,11; მრ. 5,13C; ლიმ. 111,21).

მოსპობს: მოისპების (მოვისპები მე, იობ. 17,1).

შობს: იშვების (იობ. 5,7; სინ.. მრ. 31,18 და მისთ.).

წყობა (შებმა, ბრძოლა; ჯმაღ წყობათაღ, მთ. 24,6): ეწყვების (ბევრითა განზრახვითა ეწყვებოდა მათ, სინ. მრ. 117,38).

მიყრდნობა: მიეყრდნების (და კედელსა თჳნიერ ბერთაღსა არავინ მიეყრდნებოდა, ხანძთ., თ. 17, გვ. 266,5).[2]

[1] უაღრესად საინტერესოა, რომ **ებ** ამ ზმნის ვნებითში გვხვდება ილია ჭავჭავაძის ცნობილ ლექსში: „არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდები“ (<მიენდვები).

[2] ნახე აგრეთვე: ლ. ბარამიძე, 1976, 89-91.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მოყვანილ ზმნათა **ობ** მეორეულია თვით მოქმედებითში. მისი წინამორბედი უნდა იყოს **ებ**, რომელიც **ვ**-სთან ურთიერთობაში გვაძლევს **ობ**-ს“ (ლ. ბარამიძე, 1976, 91).[1]

იქვე ნათქვამია: „ვნებითის ჩვენება ამ შემთხვევაში მოქმედებითის ფორმათა ისტორიას გვითვალისწინებს; მასში უფრო ძველი ვითარებაა დაცული. **ობ**-იანი ზმნების ვნებითში **ობ**-ის გვერდით **ებ**-ის გამოყენება ამ თემის ნიშანთა უბრალო მონაცვლეობა არ უნდა იყოს და არც ვნებითში **ებ**-ი დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენციის გამოხატულება. ახალ ქართულში **ებ** ვნებითის ყველაზე გავრცელებული აფიქსია, მაგრამ **ობ**-იან ზმნებთან ის არ გვაქვს. ამასთან **ებ** გზას იკაფავს ვნებითებში არა მონაცვლეობის საშუალებით, არამედ ისე, რომ ძველ აფიქსს მიერთვის (შდრ. იპყრობებოდა)“ (ლ. ბარამიძე, 1976, 91).

ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილება თემის ნიშანში უშუალო კავშირშია S_3 პირის გამოხატვაში მომხდარ ცვლილებასთან: ორივე შემთხვევაში ერთი ტიპის ფონეტიკურ გარემოცვაში ვიღებთ **-ო**-ს; ერთ შემთხვევაში **ო** თემის ნიშნის ნაწილია, მეორე შემთხვევაში — S_3 პირის მორფემის ალომორფი. თუ თემის ნიშანში დასაშვებად მივიჩნევთ ვე > ო პროცესს, ის ასევე დასაშვები (შესაძლებელი) იქნება იმავე ფუძეში მეორე შემთხვევაშიც: ვა > ო.

C. S_3 პირის ნიშანი უნიშნო ვნებითისა და მისი შესაბამისი მოქმედებითის წყვეტილში

როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 92), წყვეტილის S_3 პირში ვნებითს იგივე პირის ნიშანი აქვს, რაც შესაბამის მოქმედებითს: თუ მოქმედებითში — **ა** სუფიქსია, ვნებითსაც **-ა** აქვს, თუ — **-ო**, ვნებითსაც **-ო** ექნება. ეს წესი დარღვეულია უნიშნო ვნებითებში, რომელთაც წყვეტილში მხოლოდ **-ა** სუფიქსი ახასიათებს; მაგ.: განტფა, დალბა, განჰკრთა, განსცხრა, დაჭნა და სხვა. უნიშნო ვნებითის შესატყვისი მოქმედებითიც თავისებურია, მოქმედებითისა და ვნებითის ფორმობრივი მიმართება არ არის ისეთი, როგორიც გვხვდება პრეფიქსიანსა და სუფიქსიანებში. ვგულისხმობთ ამ უკანასკნელ შემთხვევებში მოქმედებითისა და ვნებითის ფუძეთა თანხვედრას: როგორც ითქვა, ჩვეულებრივ ვნებითში იგივე თემის ნიშნები გვაქვს, რაც შესაბამის მოქმედებითში (ლ. ბარამიძე, 1976, 79-95).

უნიშნო ვნებითის შესატყვისი მოქმედებითი აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია: ა) ზმნათა დიდ ნაწილს მოქმედებითში **ობ** თემის ნიშანი აქვს, შესაბამისი ვნებითი კი **ებ** თემის ნიშანს გვიჩვენებს ყოველთვის. მაგ.:

დაადნობს — დადნების	მოიდნობს — მოდნების
განაჭმობს — განჭმების	დააბრმობს — დაბრმების
დაალბობს — დალბების	განაკრთობს — განჰკრთების
განატფობს — განტფების	დააღრმობს — დაღრმების
დაატკბობს — დატკბების	განაშრობს — განშრების

[1] იქვე მითითებულია, რომ „თითქმის ყველა ამ ზმნის ფუძეში თავს იჩენს **ვ**, რომელიც შეკუმშული თემის ნიშანი უნდა იყოს“ (ლ. ბარამიძე, 1976, 91)

დააცხრობს — დასცხრების	შეაცხობს — შეცხვების
გამოაცხობს — გამოცხვების	შეაგბობს — შეგბების და სხვა.

ბ) მეორე ნაწილს წარმოადგენს ფუძედრეკადი ანუ ხმოვანმონაცვლე ზმნები, რომლებიც I სერიაში ჩვეულებრივ უთემისნიშნოა, თუმცა ძველ ქართულში ზოგჯერ დაირთავენ **ებ** სუფიქსს, რომელიც, როგორც ჩანს, დიალექტური წარმოშობისა იყო და ახალ ქართულში აღარ გადმოჰყოლიათ; ვნებითში ამ შემთხვევაშიც **ებ** თემის ნიშანია. მაგალითად:

მოქმედებითი		ვნებითი
დრეკს, მისდრეკს, დასდრეკს, შესდრეკს	—	დრკების, მიდრკების, დადრკების, შედრკების.
კრებს, მოჰკრებს, შეჰკრებს, შემოჰკრებს	—	კრბების, მოკრბების, შეკრბების, შემოკრბების.
შრეტს, დაჰშრეტს	—	შრტების, დაშრტების.
წარსწყმედს	—	წარწყმდების.
დაჰყმედს (დაყმიდა)	—	დაყმების (დაყმებოდიან ვ ~ ა ძაღლნი, ფს. 58,7).
განსწმედს (განწმიდა)	—	(კეთროვანნი) განწმდებიან.
დააწვენს, მიაწვენს, შთააწვენს	—	დაწვების, მიწვების, შთაწვების.
დასწყუედს, მოსწყუედს	—	დაწყდებიან, მოწყდებიან.
აღადგენს (// აღადგინებს)	—	აღდგების.
მოაკუდენს (// მოაკუდინებს)	—	მოკუდების.
აცთენს, შეაცთენს (// აცთუნებს)	—	სცთების, შესცთების.
მოაცთენს (მოაცთუნებს)	—	მოსცთების.
დააშთენს (< დააშდენს)	—	დაშთების.

უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე ზმნათა შესაბამის პრეფიქსიანსა და სუფიქსიან ვნებითებშიც **ებ** თემის ნიშანი არის გამოყენებული, უნიშნო ვნებითი ამ მხრივ არ გამოირჩევა, ერთნაირი ვითარებაა დინამიკური ვნებითის ყველა სახეობაში.

წყვეტილში S_3 პირის აღნიშვნის თვალსაზრისით კი ზემოთ მოყვანილ ზმნათა ორ ჯგუფში სრულიად განსხვავებული ვითარებაა: პირველ ჯგუფში, სადაც მოქმედებითი **ობ** თემისნიშნიანია, S_3 პირის ნიშანი მოქმედებითში არის **-ო**, ვნებითში კი — **-ა**, ე. ი. მოქმედებითი დასცილდა ვნებითს.

მაგ.:		
	განაჴმო — განჴმა	დაატკბო — დატკბა
	დაადნო — დადნა	მოიდნო — მოდნა
	დაალბო — დალბა	დააბრმო — დაბრმა
	განატფო — განტფა	განაკრთო — განკრთა
	დააღრმო — დაღრმა	შეაცხო — შეცხვა
	დააცხრო — დასცხრა	შეაგბო — შეგბა და მისთ.

უაღრესად საგულისხმო ჩანს ის ფაქტი, რომ ზმნათა მეორე ჯგუფში მოქმედებითი და ვნებითი ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს, ისე როგორც პრეფიქსიანსა და სუფიქსიან ვნებითებში გვქონდა: მოქმედებითშიც **-ა** სუფიქსით არის აღნიშნული S_3 პირი და ვნებითშიც:

მოქმედებითი		ვნებითი
დრიკა, დადრიკა, მიდრიკა, შედრიკა	—	დადრკა, მიდრკა, შედრკა
კრიბა, მოკრიბა, შეკრიბა, შემოკრიბა	—	მოკრბა, შეკრბა, შემოკრბა
შრიტა, დაშრიტა	—	დაშრტა
წარწყმიდა	—	წარწყმდა
დაყმიდა	—	დაყმა (< დაყმდა?)
განწმიდა	—	განწმდა
დააწვინა, მიაწვინა, შთააწვინა	—	დაწვა, მიწვა, შთაწვა
დაწყჳდა, მოწყჳდა	—	დაწყდა, მოწყდა
აღადგინა	—	აღდგა
მოაკუდინა	—	მოკუდა
აცთუნა, შეაცთუნა	—	სცთა, შესცთა (მოსალოდნელი *აცდინა / *აცთინა არ გვხვდება)
მოაცთუნა	—	მოსცთა
დააშთინა	—	დაშდა / დაშთა (დაშდა იესუ მარტოდ, სინ. მრ. 98, 4-5).

აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ პირველი ჯგუფის ზმნათა მოქმედებითში **ობ** თემის ნიშანი მეორეულია; მეორეული ჩანს აგრეთვე მასთან დაკავშირებული S_3 პირის **-ო** დაბოლოება, ორივე ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა იყოს მიღებული. ამ ზმნათა წყვეტილში S_3 პირის ნიშნად **-ო** სუფიქსის დამკვიდრებას, შესაძლოა, ხელი შეუწყო იმან, რომ **-ა** სუფიქსის გამოყენების შემთხვევაში მოქმედებითსა და ვნებითს შორის მინიმალური განსხვავება გვექნებოდა:

* განაჴმა — განჴმა
* დააღნა — დაღნა
* დაალბა — დალბა
* განატფა — განტფა
* დააბრმა — დაბრმა და მისთ.

ლიტერატურაში ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ წყვეტილში **-ო** გამოვლინდება გარკვეული აგებულების ფუძეებში. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „**ო** იხმარება წყვეტილში გარკვეულ ზმნებთან, პირველ ყოვლისა ერთთანხმოვნიან ფუძეებთან, როგორიც არის: გ-ება (აღაგო), პ-ება (დააპო), ქ-ება (აქო), ღ-ება (აღაგო), ძ-ება (განაძო), წ-ება (დააწო), ხ-ება (შეახო) ... **ო** მოუდის აგრეთვე ორ-თანხმოვნიან ზმნებს, როგორიცაა: აღმოავსო, დაათრო, დაალტო, შეამკო, განატფო“... (ა. შანიძე, 1976, 63).

გ. გოგოლაშვილი „საყრდენი ფუძის“ აგებულებას უკავშირებს **-ო** და **-ა** სუფიქსების განაწილებას წყვეტილის მესამე პირში. „საყრდენ ფუძეს“ მკვლევარი ასე განსაზღვრავს: „საყრდენს ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო ესა თუ ის მაწარმოებელი“ (გ. გოგოლაშვილი, 1984, 3). მისი აზრით, წყვეტილის **-ე** სუფიქსიან ზმნებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: ა) მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები, რომლებიც II სერიაში ხმოვანს არ კარგავენ, სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა**-ს მიიღე-

ბენ, მაგ.: ავა-შენ-ე, აა-შენ-ე, აა-შენ-ა... ბ) ხოლო უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე **-ე** სუფიქსიან ზმნებს წყვეტილის S_3 პირის ნიშნად **-ო** აქვთ, მაგ.: ავა-გ-ე, აა-გ-ე, აა-გ-ო; გავა-თბ-ე, გაა-თბ-ე, გაა-თბ-ო. ავტორის აზრით, **-ე** სუფიქსი ამ ორი ჯგუფის ზმნებში სხვადასხვა წარმოშობისაა: „სადაც სუბიექტურ მესამე პირში **-ო** სუფიქსი გვაქვს, შესაბამის პირველი და მეორე პირის ფორმებში დადასტურებული **-ე** სუფიქსის პირველსახე უნდა ყოფილიყო **-ევ**. სუბიექტური მესამე პირის **-ო** ← **ვ-ა** ← **ევ-ა**“ (გ. გოგოლაშვილი, 1984, 41-43).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ძველი ქართულის დონეზე **ვა / ვე, უა / უე ~ ო** მორფოფონემატური მონაცვლეობა გამოირიცხება“, რომ „ძველ ქართულში დაცული ვითარება არქაულია და ასახავს საერთო-ქართველურ ენაში არსებულ სურათს, ე. ი. ძველი ქართული [**ო**] საერთო-ქართველური *[ო]-ს რეფლექსია, ხოლო ძველი ქართული **უა // ვა** და **უე // ვე** კომპლექსები შესაბამისად — საერთო-ქართველური **უა** და **უე** სეგმენტებისა“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, 77).

მართალია, ძველ ქართულში აღნიშნული კოპლექსების შერწყმის მაგალითები არ არის ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მაინც მოიპოვება. ლიტერატურაში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი: ეჩო < ეჩუა, ხაჭო < ხაჭუა, დედოფალი < დედაუფალი (ი. იმნაიშვილი, 1971, 137-140; ზ. სარჯველაძე, 1984, 353).[1]

ი. იმნაიშვილი განიხილავს სხვა შემთხვევებსაც: ყავ + ა > ყვ + ა > ყო; დატევება > დატეობა; მოგუება > მოგობა (ი. იმნაიშვილი, 1971, 138-140).

ამათ შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი შემთხვევა. ცნობილია, რომ „ქონება“ ზმნას I სერიაში ორი ვარიანტი აქვს: აქუს და აქუნს, რომლებიც ასეა მიღებული: ა-ქუ-ან-ს > ა-ქუ-ნ-ს > ა-ქუ-ს. **ან** უძველესი თემის ნიშანია (ლ. კიკნაძე), რომელიც **ა-** პრეფიქსიან ფორმებში ყოველთვის შეკუმშულია. უწყვეტელსა და მასზე დაყრდნობილ მწკრივებში გვხვდება როგორც **ა-** პრეფიქსიანი, ისე უპრეფიქსო ფორმები: აქუნდა, ჰქონდა. ეს უკანასკნელი **უა** კომპლექსის შერწყმის შედეგად არის მიღებული: **უა**-ს ენაცვლება **ო**. ჩვენი მასალის მიხედვით ასეთი ფორმები გვხვდება მე-9 საუკუნიდან: ჰქონდა (< ჰ-ქუ-ან-დ-ა), სინ. მრ. 276,14; ჰქონდეს (იგინი), იქვე, 137,18; მრ. 8,7C; ლ. 4,40DE; ჰქონდენ, სინ. მრ. 72,13; უდაბ. მრ. 171,7.

სინურ მრავალთავში ერთგან ამოსავალი ფორმაა შემონახული: მოაქუანდა გკრგკნი, 60,29.

უა ~ ო გვაქვს აწმყოს მრავლობითის ფორმებშიც: რომელთა მოჰქონან იგინი, სინ. მრ. 122,1; გუქონან < გუ-ქუ-ან-ან: გუქონან მოწამენი, სინ. მრ. 166,27; გუქონან ჩუენ წინაწარმეტყუელნი, იქვე, 165,7; ჰქონან < ჰ-ქუ-ან-ან: პეტრეს კლიტენი ჰქონან ცათა სასუფეველისანი, იქვე, 167,35; ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, ლ. 16,29C,DE; მჭონან < მ-ქუ-ან-ან: მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი, ლ. 7,8C; მ. 8,9DE; დაბრმობილნი გულნი გქონან, მრ. 8,17DE.

[1] მაგალითები ძველი ქართული ენის ძეგლებიდან მოყვანილია იქვე.

ასეთივე ცვლილება ივარაუდება „ქონება“ ფორმაში: ანგელოზთა თანა ფლობისა ქ ო ნ ე ბ ი თ ა შესლვად, სინ. მრ. 195,30. ადრევე გეხვდება უ ქ ო ნ ო (იგივეა, რაც „უქონელი“): გლახაკნი და უ ქ ო ნ ო ნ ი, საკ. წიგ. II, 28,21.

ძველ ქართულში გვაქვს დაამჯუებს, დაამჯუა, ახალში — დაამხობს — დაამხო. მაგ.: მერმე აღდგა და დ ა ა მ ჯ უ ა იგი, უდაბ. 254,25; ტაბლები იგი... დ ა ა მ ჯ უ ა, მთ. 21,12. საწყისია: დ ა მ ჯ უ ე ბ ა, მიმღეობა — დ ა მ ჯ უ ე ბ უ ლ ი (კაც. აგ. 169,9). ჩვენი მასალის მიხედვით *დაამჯო ძველ ქართულში არ ჩანს, მაგრამ გვხვდება დამჯობა და დამჯობილი, რომელთათვისაც ამოსავალია შესაბამისად: დამჯუება, დამჯუებული. მაგ.: მის გამო ყო დ ა მ ჯ ო ბ ა ჲ, ფლპ. მოც. 10,28. დ ა მ ჯ ო ბ ი ლ ი იგი მისი აღვაშენო, საქმე მოც. 15,16.

მოყვანილი მაგალითები იმის თქმის უფლებას მაინც გვაძლევს, რომ **უა ~ ო** პროცესი უცხო არ არის ძველი ქართულისათვის.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ **-ო** როგორც S_3 პირის ნიშანი ქართულში, მეორეული უნდა იყოს, მისთვის ამოსავალი უნდა იყოს **-ა** სუფიქსი, რასაც ქართველურ ენებში არსებული ვითარებაც უჭერს მხარს, კერძოდ კოლხური **უ / გ < ო**, რომელიც **-ა**-ს კანონზომიერი შესატყვისია.

საყურადღებოა, რომ **-ობ, -ოფ** თემის ნიშნების გვიანდელობას ავტორები თვითონვე აღიარებენ: „**-ობ, -ოფ** თემის ნიშნები ქართულ-ზანური ერთიანობის პროდუქტი არ ჩანს, მაგრამ ქართული ენის ადრეულ ეტაპზე, უდავოდ სავარაუდებელია“ (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, 1973, 82).

წინარექართული პერიოდისათვის როგორ დგას **-ო** სუფიქსის საკითხი? პასუხი ასეთია: „საერთო-ქართველურ დონეზე **-ო** სუფიქსის დაშვებას გარკვეული სიძნელეები ახლავს. მთავარია ის, რომ სვანურში მისი შესატყვისი არ მოგვეპოვება“ (იქვე, 80).

ყველაფერი ეს ერთად გვაფიქრებინებს, რომ წარსული დროის ფორმებში S_3 პირის მორფემა მხ. რიცხვში თავდაპირველად იყო **-ა**.

2. სუბიექტური მესამე პირის -ნ, -დ, -ედ ბოლოსართები

ცალკე უნდა განვიხილოთ S_3 პირის **ნ, დ, ედ** ბოლოსართები. მხოლობით-მრავლობითის **ნ — ედ** წყვილი V-X სს. ძეგლებში ძირითადად გამოყენებულია სადავო აწმყოს ხოლმეობითსა და წართქმით ბრძანებითებში (I ბრძანებითსა და II ბრძანებითში). ამათგან აწმყოს ხოლმეობითი ამ სუფიქსების მიხედვით სხვა ხოლმეობითებისაგან განცალკევებით დგას. ყველა დანარჩენი ხოლმეობითი იყენებს **ს — ან** დაბოლოებას. ეს არის ნორმა ძველი ქართულისათვის.

ბრძანებითი კილოს გამოხატვის ფორმალური მხარე გამოკვეთილი არც ძველ ქართულში არ არის: S_2 პირში პირის ნიშნის უქონლობა ხშირად ვერ არის სადიფერენციაციო საშუალება, რადგანაც სუბიექტური მეორე პირის ნიშანი მატერიალურად (ბგერობრივ) ემთხვევა მესამე ობიექტური პირის პრეფიქსს (მაგ.: „შე-ხ-ეწიე“ თხრობით კილოშიც შეიძლება გვქონდეს და ბრძანებითშიც; სწორედ ბრძანებითია ის ბოლნისის უძველეს წარწერაში). აწმყოს ხოლმეობითისა და ბრძანებითის S_3 პირის **ნ** და **ედ** თითქოს ამოვარდნილია იმ სისტემიდან, რომელიც V-X სს. სალიტერატურო ენაში მოქმედებს. მათ კავშირი

უნდა ჰქონდეთ სხვა სისტემასთან, რომელიც გადმონაშთის სახით გვხვდება ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში. **ნ** და **ედ** ამ განსხვავებულ სისტემაში ძირითადად ხოლმეობითებში (აგრეთვე ბრძანებითებში) იხმარება.

ცნობილია, რომ სუბიექტური მესამე პირის მხოლობით რიცხვში **ნ** სუფიქსთან ერთად იშვიათად გვხვდება **-დ**-ც. **-დ** სუფიქსს მრავლობით რიცხვში თავისი წყვილის ცალი არ უჩანს. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ეს იყოს ისევ **-ედ** (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 107), მაგრამ მხოლობითისა და მრავლობითის წყვილში ერთი და იგივე თანხმოვანი არ გვხვდება.

ვნახოთ, როგორია ამ სუფიქსთა განაწილება IX-XIII სს. ძეგლების მიხედვით.[1]

-დ სუფიქსი

-დ სუფიქსის S_3 პირის მხოლობით რიცხვში გამოყენების შემთხვევები ასეთია:

1. სტატიკ. ვნებითის ა წ მ ყ ო: ჰნთიე-დ, უფლიე-დ, ზე-უმტკმიე-დ და სხვა (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ი. აბულაძე, დ. გეწაძე, ზ. სარჯველაძე). მოყვანილია 40-მდე მაგალითი, ამათგან 22 მაგალითი ზ. სარჯველაძის მიკვლეულია. საერთოდ, ზოგი მაგალითი მეორდება.

2. I ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი: იტყოდე-დ, ითქუმოდე-დ, იქმნებოდე-დ (იგი). შენიშნა ზ. სარჯველაძემ.

3. I კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ემაგალითებოდე-დ (იგი). ეს ერთი მაგალითია, შენიშნა ზ. სარჯველაძემ. მწკრივის წარმოება გვიანდელია.

4. II ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი: ჰამე-დ, გამოიღე-დ, შეკერბი-დ, თქუ-დ (მან იგი). პირველად დაიმოწმა დ. გეწაძემ (9 მაგალითი), შემდეგ — ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ (7 მაგალითი), ზ. სარჯველაძემ (4 მაგალითი).

5. II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: ღმერთი არა დადუმნე-დ, განჰვდე-დ (2 მაგალითია). შენიშნა ზ. სარჯველაძემ.

6. I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: აღუპყრიე-დ (ჴორცი), ზე აღუპყრიე-დ (სამოსელი), ქუე წარუგდებიე-დ (კილიკი) და სხვა. ა. შანიძეს მოჰყავს 4 მაგალითი, ვ. თოფურიას — 1 მაგალითი, დ. გეწაძეს — 3 მაგალითი, ი. აბულაძეს — 11 მაგალითი, ზ. სარჯველაძეს — 23 მაგალითი. ამ უკანასკნელთა შორის არის „დაუმარხიე-დ“, რომელიც აშკარად გვიანდელია, შდრ. დაუმარხავს, მოსალოდნელი იყო: დაუმარხავ-დ. „დაუმარხიედ“ გვიჩვენებს, რომ **ავ**-იან ზმნას **იე** დაბოლოება მიუღია.

საყურადღებოა, რომ **-დ** ხოლმეობითებში ჯერჯერობით არ ჩანს.

---

[1] **დ. ნ. ედ** სუფიქსების შესახებ არსებული ლიტერატურა თავმოყრილია და გაანალიზებული ზ. სარჯველაძის წიგნში: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, 394-407. ჩვენი მსჯელობის დროს ძირითადად მას ვეყრდნობით. განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ა. არაბული, სპორადულად გამოვლენილ III პირის **-ნ / -დ, -ენ / -ედ** სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში: ნარკვევები იბერ.-კავკ. ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

-ნ სუფიქსი

როგორც ითქვა, ძველი ქართულის ძირითადი ნორმების მიხედვით **-ნ** სუფიქსი S3 პირის მხ. რიცხვის აღსანიშნავად იხმარება აწმყოს ხოლმეობითსა და წართქმით ბრძანებითებში, რომელთა ფორმები ზემოთ იყო მოყვანილი.

ამათ გარდა **-ნ** გვხვდება სხვა მწკრივებშიც:

1. II ხოლმეობითი: მოიღი-ნ, დაშრტი-ნ (იმოწმებს ა. ჩიქობავა) და ითქჳ-ნ, იყვი-ნ (იმოწმებს ზ. სარჯველაძე).

ზ. სარჯველაძის აზრით, „ამგვარი ფორმები მიუთითებენ, რომ მესამე სუბიექტ. პირის **ნ** ნიშანი ენაში, საზოგადოდ, იშლება“ (ზ. სარჯველაძე, 1984, 406).

2. I თურმეობითი: განმიბნევიე-ნ (იმოწმებს ა. ჩიქობავა), შეგირაცხიე-ნ, უხილავ-ნ, შეუპყრიე-ნ (იგი) და სხვა. ი. აბულაძე იმოწმებს 7 მაგალითს, ამათგან სამი ა. შანიძეს გადაუცია. ზ. სარჯველაძეს მოჰყავს ოცამდე მაგალითი.

მოყვანილ შემთხვევებში **-ნ** ბოლოსართი შეესატყვისება სახელის მხოლობით რიცხვს: შეუპყრიე-ნ (გული), უხილავ-ნ (ხატი), წარუწყმედიე-ნ (სირცხჳლი) და მისთ.

-ნ სუფიქსს აწმყოსა და I თურმეობითში ზ. სარჯველაძე გამოყოფს მრავლობითის ფორმებშიც, რომლებიც ფორმალურად (ბგერობრივ) არ განსხვავდება მხოლობითის **-ნ** სუფიქსიანი ფორმებისაგან. მაგალითად, **აწმყო:** უპყრიენ (საყდარნი), გიპყრიენ (ყოველნი). **I თურმეობითი:** წარუმართებიენ (ათასეულნი), შეურაცხიენ (თავნი), დამიწერიენ (იგინი). ეს ფორმები პირველად არის შენიშნული ზ. სარჯველაძის მიერ. აქამდე ისინი ცნობილი არ ყოფილა. ზ. სარჯველაძის ვარაუდით, სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებში „**-ე-ნ** დაბოლოება **-ან**-ის ნაცვლად პარადიგმის გასწორების შედეგად მივიღეთ“. „მხოლობითის ანალოგით **ე** ისეთ ფორმებშიც გადავიდა, რომელთაც სუბიექტური პირი მრავლობითში შეეწყობათ“ (ზ. სარჯველაძე, 1984, 404). იგულისხმება, რომ „მიპყრიეს“ ფორმის ანალოგიით გაკეთდა „მიპყრიენ“.

იგივე აზრი აქვს გამოთქმული ავტორს I თურმეობითის მიმართაც: „ვფიქრობთ, ანალოგიით უნდა აიხსნას **-ოე-ნ** დაბოლოება I თურმეობითში მოსალოდნელი **-ოან**-ის ნაცვლად: შემირაცხიეს მე იგი (მაგრამ: შემირაცხიან მე იგინი) ... მხოლობითის ფორმებიდან I თურმეობითის ნიშნისეული **ე** გადავიდა მრავლობითში და მივიღეთ: შემირაცხიენ მე იგინი“ (ზ. სარჯველაძე, 1984, 404).

ჩვენი ვარაუდით, მრავლობითი რიცხვის ფორმებში შესაძლოა შემონახული იყოს არა **ნ**, არამედ **ენ** ბოლოსართი: **შემირაცხი-ენ** მე იგინი. **ენ** დაბოლოება აწმყოს მიხედვით მოსალოდნელია I თურმეობითშიც, მაგრამ არ დასტურდება, რადგანაც I თურმეობითშიც, როგორც ჩანს, **ო-ენ** > **ო-ან**-ს. საფიქრებელია, რომ **ენ** სუფიქსიანი ფორმები იშვიათი მაგალითების სახით შემოგვენახა მხოლობითი რიცხვის **ნ** ბოლოსართიან ფორმებთან დამთხვევის გამო.

-ედ სუფიქსი

როგორც ითქვა, **-ედ** მრავლობითის ბოლოსართია და ნორმის სახით გვხვდება აწმყოს ხოლმეობითსა და ბრძანებითებში.

გადმონაშთის სახით **-ედ** შემონახულია კიდევ რამდენიმე მწკრივში:

1. უწყვეტ. ხოლმეობითი: ზრუნვიდი-ედ, ეტყოდი-ედ, ჴუმილვიდი-ედ, სცვიდი-ედ და მისთ. პირველად შენიშნა ი. აბულაძემ, იმოწმებს 4 მაგალითს. ი. ქავთარაძეს მოჰყავს 3 მაგალითი, ზ. სარჯველაძეს — 30 ზმნური ფორმა (რომელთაგან ზოგი მეორდება).

2. II ხოლმეობითი: მივიდი-ედ, დასხდი-ედ, დაშური-ედ და სხვ. ი. აბულაძე იმოწმებს 11 მაგალითს, ზ. სარჯველაძე — 10 ფორმას.

3. II კავშირებითი: მხოლოდ ზ. სარჯველაძეს აქვს შენიშნული: რომელნი ველსა იყვნ-ედ; რაჲთა... ნუგეშინის-ცემულ იქმნ-ედ.

4. I თურმეობითი: ზ. სარჯველაძე იმოწმებს რამდენიმე მაგალითს, რომლებშიც S_3 პირის მრავლობით რიცხვში **ან** სუფიქსის ნაცვლად იხმარება **ედ**: უქმნი-ედ, მიუვლინები-ედ, შეუსხმ-ედ და სხვ. სულ დამოწმებულია ექვსი მაგალითი. მათ შორისაა „მოუცუმანედ", რომელსაც „ჰიპერურბანულს" უწოდებს ზ. სარჯველაძე და აღნიშნავს, რომ ის მეორეულია.

იქვე ნათქვამია, რომ **დ**, **ნ**, **ედ** სუფიქსებიანი თავისებური ფორმები ყველა ერთნაირად არ შეიძლება შეფასდეს — ზოგს აქვს ენობრივი საფუძველი (მაგ., ხოლმეობითებში), ზოგი მცდარია, ნაწილი კიდევ გვიანდელი უნდა იყოს (ზ. სარჯველაძე, 1984, 402-403).

* * *

როგორც ვნახეთ, **დ** გამოყენებული იყო აწმყოსა და I თურმეობითში, აგრეთვე ბრძანებითებსა და კავშირებითებში.

ნ იხმარებოდა: აწმყოს ხოლმეობითსა და I თურმეობითში (ხოლმეობითის მნიშვნელობით), ბრძანებითებსა და II ხოლმეობითში.

ედ გვხვდება: აწმყოს ხოლმეობითსა და I თურმეობითში (ხოლმეობითის მნიშვნელობით), უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითში (აგრეთვე II კავშირებითში, 2 მაგალითია სულ).

ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ **დ**, **ნ**, **ედ** პარალელურ სისტემას ქმნიდნენ ძველი ქართულისათვის ძირითად სისტემასთან:

1. აწმყოსა და I თურმეობითში ა) ძირითადია: **ს — ენ (ან)**, ბ) დამატებითია **ნ (დ) — ედ**.

2. უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, შერეულ ხოლმეობითსა და III ხოლმეობითში ა) ძირითადია: **ს — ან**, ბ) დამატებითი: **ნ — ედ**.

3. ბრძანებითებში ა) ძირითადია: **ნ — ედ**, ბ) დამატებითი: **დ — (?)**.

4. კავშირებითში ა) ძირითადია: **ს — ნ**, დამატებითი: **დ — ედ (?)**.

ამის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი სხვადასხვა სისტემას წარმოადგენდნენ. ძველი ქართულის ძირითადი სისტემის პარალელური სისტემა, შესაძლოა, მართლაც დიალექტური წარმოშობისა იყოს (ვ. თოფურია, ბ. ფოჩხუა, ზ. სარჯველაძე).

ამ პარალელური სისტემიდან უნდა იყოს ნასესხები **ნ** და **ედ** აწმყოს ხოლმეობითსა და ბრძანებითებში. შესაძლებელია, ძირითად სისტემაში ბრძანებითებს არც ჰქონოდათ საგანგებო პირის ნიშნები, რადგანაც ბრძანებითი ისედაც გამორჩეულია ინტონაციით, რაც ახალ ქართულში მათი გამოკვეთის საშუალებაა.

V. სუბიექტური მესამე პირისა და რიცხვის აფიქსები ახალ ქართულში (ძველ ქართულთან შედარებით)

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ახალ ქართულში. სუბიექტური III პირის გამოხატვის ძველი ქართულის სისტემას თუ ახალ ქართულს შევუდარებთ, ვნახავთ, რომ ამ სისტემამ დაკარგა მწყობრი ხასიათი და S_3 პირის მორფემის ალომორფთა განაწილების მოტივაცია თანდათან დაიჩრდილა. ზოგიერთი აფიქსი საერთოდ დაიკარგა, მაგ., **-ნ** (მხ. რ.) და **-ედ** (მრ. რ.).

სუბიექტური III პირის გამოხატვის სისტემაში ცვლილებების ერთი ნაწილი მომხდარი უნდა იყოს ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლების შექმნამდე დიდი ხნით ადრე. ასეთია **ა ~ ო**, რომელიც კომბინატორული ხასიათისაა და გვხვდება წყვეტილის (აგრეთვე II თურმეობითის) გარკვეულ ფორმებში. ასევე ადრეულია **-ან** სუფიქსის შეკრა აწმყოს ფორმებში.

საკუთრივ ძველ ქართულში იწყება აწმყოსა და I თურმეობითის მხოლობითი რიცხვის S_3 პირში **ს ~ ა** მონაცვლეობა, რომელიც ძველ ქართულში ჩანასახის სახით გვხვდება. **-ა**, რომელიც მხოლოდ წარსული დროის ფორმებში გვხვდებოდა მანამდე, ამ ცვლილების შედეგად ახლანდელი დროის ფორმებშიც მოგვევლინა. ჩვენი ვარაუდით, ამ მოვლენის სათავე უნდა ვეძიოთ I თურმეობითში, სადაც საანალოგიო მასალად გამოდგებოდა შედგენილი შემასმენლის მიმღეობიანი ფორმები, რომლებსაც ხან ერთპირიან ზმნათა III სერიის პარადიგმატული შინაარსი ჰქონდათ, ხან კიდევ — შედგენილი შემასმენლის ფუნქცია. ფორმალური განსხვავება მათ შორის არ არსებობდა (შდრ. ახალი ქართულის „მოსულა" და: „მოსულია"; ძველ ქართულში ორივე შემთხვევაში იყო „მოსრულ არს").

როგორც ცნობილია, შედგენილ შემასმენელში მეშველი „არს" ზმნის გამარტივების შემთხვევები უკვე ხანმეტ ტექსტებში გვხვდება (**იგია**, რომელმან იჴსნეს ისრაჱლი, ხანმ. ლექც., ლ. 24, 21 . საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ლ. ბარამიძე, 1964, 109-112).

-ა სუფიქსმა აწმყოში მხოლოდ ვნებითი გვარის ფორმებში დაიმკვიდრა ადგილი — როგორც სტატიკურ ვნებითებში, ისე დინამიკურში. **-ს** ფორმანტის **-ა**-თი ჩანაცვლება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ტიპის ვნებითებში სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა. სტატიკურ ვნებითებში **-ა** IX საუკუნიდან გვხვდება (პირველად 864 წლის სინურ მრავალთავში იჩენს თავს: და შენ რაჲსათჳს გიპყრია, 70,7), ხოლო დინამიკურ ვნებითებში **-ს** გაბატონებულია საშუალი. ქართულის თითქმის ბოლო ხანებამდე (ლ. ბარამიძე, 1964, 109-112). მაგ., გავიხსენოთ დ. გურამიშვილის ლექსი: „ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი, მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი" და სხვა.

-ს ~ -ა მონაცვლეობა ვნებითების ფორმალური გამოცალკევების საშუალებად იქცა აწმყოში. თუმცა აწმყოში **-ა** სუფიქსი მოქმედებითში არ იხმარება, **-ს** არის შენარჩუნებული, მაგრამ აწმყოს გარკვეულ ფორმათა ინვერსიის გზით

მიღებულ I თურმ-ში **-ა** გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნებშიც: დაუწერიე-ს > დაუწერი-ა, შეუპყრიე-ს > შეუ-პყრი-ა.

ყველაზე გვიან განხორციელდა S_3 პირის გამოხატვაში კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი, ცვლილება, რომელიც საშუალ ქართულში დაიწყო და დასრულდა კიდეც. ძველ ქართულში წარსული დროის გამომხატველ მწკრივებში (უწყვეტელში, წყვეტილსა და II თურმეობითში) სუბიექტური III პირის მრავლობით რიცხვში გამოყენებული იყო **-ეს** სუფიქსი, რომელიც იხმარებოდა ყოველგვარ ზმნაში გარდამავლობისა და გვარის გაურჩევლად. ახალ ქართულში **-ეს** სუფიქსის ადგილი დაიჭირა **-ნენ** დაბოლოებამ, მაგრამ უკვე გვართან მიმართებაში შერჩევით, თანაც ისე, რომ მწკრივთა მიხედვით განსხვავებული ვითარებაა: წყვეტილში **-ნენ** გარდაუვალ ზმნებში გავრცელდა, ხოლო გარდამავალში ამ მხრივ ძველისძველი ვითარებაა შენარჩუნებული, კვლავ **-ეს** დაბოლოებას გვიჩვენებს. შდრ., გარდამ.: ააშენეს, ჰკითხეს, დათესეს... გარდაუვ.: გაიზარდნენ, დაემალნენ, გამრავლდნენ, მოვიდნენ...

გარდაუვალ ზმნათაგან გამონაკლისია ე. წ. საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც წყვეტილის III პირი **-ეს** სუფიქსით ეწარმოებათ, რადგანაც, როგორც ცნობილია, მათ ეს მწკრივები შევსებული აქვთ შესაბამისი მოქმედებითისაგან ნასესხები ფორმებით: იცხოვრეს, იმუშავეს...

აშკარაა, რომ წყვეტილში გვარის მიხედვით ხდება ფორმათა დაპირისპირება, რაც სიახლეა.

როგორც ცნობილია, **-ნენ** როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი აფიქსი, ძველ ქართულში არ არსებობს, მაგრამ **-ნ-ე-ნ** მიმდევრობა გარკვეულ შემთხვევებში ძველ ქართულშივე იჩენს თავს. ვგულისხმობთ II კავშირებითის (აგრეთვე მისგან მომდინარე III კავშირებითის) ფორმებს. ასეთი დაბოლოება II კავშირებითს მაშინ აქვს, როცა პირდაპირი ობიექტი **ნ**-იან მრავლობითში შეეწყობა ზმნას: თქუ-ნ-ე-ნ, მისც-ნ-ე-ნ, მოკლ-ნ-ე-ნ... **-ნ-ე-ნ** მიმდევრობა ამგვარ ფორმებში სამი სხვადასხვა აფიქსისაგან შედგება: პირველი **-ნ** პირდ. ობიექტის მრავლობითობას გამოხატავს, მეორე **-ნ** სუბ. III პირის სუფიქსია მრავლ. რიცხვში, ხოლო **-ე** მწკრივის ნიშანია კავშირებითში. **-ნ-ე-ნ** დაბოლოება, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებითი გვარის ზმნებს ახასიათებს, მაგრამ მისი დამოუკიდებელ აფიქსად ქცევა უშუალოდ ამ ფორმებს არ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ შესაბამის პრეფიქსიან ვნებითს, სადაც ის გვხვდება სუბიექტის მრავლობითის III პირში: რაჲთა დაიმალნენ, ევედრნენ...

ამ ფორმებში კონვერსიის დროს მოქმედებითიდან გადმოყოლილი პირდ. ობიექტის მრავლობითის **-ნ** და ბოლოკიდური **-ნ** ფაქტობრივ ერთსა და იმავე სახელს მიემართება, რომელიც მოქმედებითში პირდ. ობიექტია, ხოლო ვნებითში — სუბიექტი. ამ გარემოების გამო ისტორიულად სამი სხვადასხვა დანიშნულების სუფიქსი გაერთიანდა და დამოუკიდებელი აფიქსი წარმოიშვა სწორედ ვნებითში: **-ნენ**.

პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის გავლენით **-ნენ** გავრცელდა სხვა გარდაუვალ ზმნათა II კავშირებითშიც (რომ გათბნენ, გამრავლდნენ, მოვიდნენ...), აგრეთვე საზოგადოდ გარდაუვალ ზმნათა წყვეტილსა და I სერიის სავრცობიან მწკრივებში. მაგრამ მოვლენათა განვითარება, როგორც ჩანს, არ ყო-

ფილა ასე სწორხაზოვანი. ირკვევა, რომ **-ნენ** სუფიქსის გვერდით საშუალ ქართულში მოქმედებს **-ენ** ბოლოსართიც (ე. ნიკოლაიშვილი, 1978, 96 და შემდგ.). როგორც გარკვეულია, მერყეობა **-ეს** ფორმანტის გამოყენებაში გვხვდება XV საუკუნის ბოლოდან (ე. ნიკოლაიშვილი, 1978, 96). XVI-XVIII საუკუნეებში სხვადასხვა შეფარდებით ერთმანეთს ენაცვლება **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** სუფიქსები, რომელთაგან საბოლოოდ იმარჯვებს **-ნენ**. პროცესი დასრულებული ჩანს XVIII საუკუნეში (ე. ნიკოლაიშვილი, 1978, 107).

საიდან მომდინარეობს თვით **-ენ** სუფიქსი? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ **-ენ** ჩვენთვის კარგად ცნობილი, აწმყოში S_3 პირის მრავლ. რიცხვში გამოყენებული ფორმანტი კი არ არის, არამედ **-ე-ნ** დაბოლოება, რომელიც ძველ ქართულში ყოველთვის გვქონდა **-დ** სავრცობიან ზმნათა I კავშირებითში (იგინი წერდ-ე-ნ, ადიდებდ-ე-ნ, აქებდ-ე-ნ...), ხოლო II კავშირებითში მაშინ გვაქვს, როცა მწკრივის ნიშანი არის **-ე** (მათ მისც-ე-ნ, იგინი წარჯდ-ე-ნ, მოწყდ-ე-ნ...).

ამ ვარაუდის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, სუფიქსთა მონაცვლეობა კი არ გვაქვს, არამედ ანალოგიის გზით ფორმათა დამსგავსება ხდება.

-ნენ ბოლოსართი II კავშირებითიდან გავრცელდა თხრობითი კილოს ფორმებში; **-ე-ნ** დაბოლოებაც კავშირებითის მწკრივებიდან ხომ არ მომდინარეობს? თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კავშირებითის ფორმათა ანალოგიით **-ენ** დაბოლოება გაუჩნდა უწყვეტლის მრავლობითის III პირსაც, მაგრამ შემდეგ **-ენ**-ს შეენაცვლა **-ნენ**.

ახალ ქართულში **-ნენ** გამოყენებულია როგორც I სერიაში, ისე მეორეში. ორივე სერიაში **-ნენ** გვხვდება კავშირებითებსა (აწმყოს კავშ., მყოფ. კავშ., II კავშირებითში) და თხრობითი კილოს მწკრივებში (უწყვეტელსა და მისგან წარმომდგარ I ხოლმეობითში და აგრეთვე წყვეტილში). წყვეტილში **-ნენ** გარდაუვალ ზმნათათვის დამახასიათებელი აფიქსია (ჩვეულებრივ ვნებითში გვხვდება), რასაც ვერ ვიტყვით უწყვეტელსა და, საზოგადოდ, სავრცობიან მწკრივებზე, სადაც **-ნენ** ყოველგვარ ზმნაში იხმარება. ასე რომ, გვარის მიხედვით დაპირისპირება ამ შემთხვევაშიც ნაწილობრივ იჩენს თავს.

VI. სუბიექტური მესამე პირის -ა სუფიქსით აღნიშვნისათვის ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში

ქართულ სალიტერატურო ენაში ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე სუბიექტური მესამე პირის ნიშნად წარსული დროის მწკრივებში (კერძოდ, წყვეტილსა და II თურმეობითში) ორი სუფიქსი გვხვდება, ესენია -ა და -ო. -ა გამოყენებულია ზმნათა უდიდეს ნაწილში, ხოლო -ო გვაქვს ზმნათა ერთ, შედარებით მცირე, ჯგუფში: დაწერა, ააშენა, დათესა... აიღო, გაიგო, გაათბო...

ძირითადად ასეთივე ვითარებაა დიალექტების დიდ ნაწილშიც. ამ მხრივ თავისებურებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები (ხევსურული, მოხეური, იშვიათად ფშაური) და ბარის კილოთაგან ინგილოური (სპორადულად კახური, გურული, აჭარული). ეს იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნულ დიალექტებში სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ჩვეულებრივ არის -ა, თითქმის არ გვხვდება -ო. -ა იხმარება იქაც, სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელია -ო.

ეს ფაქტი ლიტერატურაში ცნობილია და მას სათანადო ყურადღება ექცევა (გრ. იმნაიშვილი, 1954, 159-161; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 94-95; ა. ჭინჭარაული, 1960, 103-106; ი. ქავთარაძე, 1985, 51; ბ. ჯორბენაძე, 1989, 233, 269, 354-355, 529, 558).

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კილოთა ერთ ნაწილში S_3 პირის ნიშანი (მხ. რ.) ხშირად დაკარგულია, რაც ლიტერატურაში აგრეთვე შენიშნულია (დამატებით ამის შესახებ იხ.: თ. უთურგაიძე, 1960, 21; გ. ცოცანიძე, 1978, 20, 32). სადაც პირის ნიშანი დაკარგულია, ძნელია ამტკიცო, რა გვქონდა — -ა თუ -ო; სალიტერატურო ქართულთან შედარება ყოველთვის არ გამოდგება (ხევსურულის მაგალითებს მოვიყვანთ ქართული დიალექტოლოგიიდან: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961): გაიგ, გვ. 9; დაუწყ, დაიწყ, გვ. 16; მაივლ, ამაიღ, გვ. 15... შდრ.: გაჰრ, გაიჰსნ, გვ. 20; (ადუამ) დააყენ, მოარჩინ, მისც, იქვე; უთხრ, მახვდ, გვ. 15...

ხევსურულის მსგავსი ვითარებაა თუშურში. აქაც აბსოლუტურ ბოლოში -ა დაკარგულია: შეხყარ, ქართ. დიალ. 107,5; უბრძან, 107,9; ნახ, უთხრ, 108,15... ეშვ, 115,29; ეომ, 106,4...

ენკლიტიკიანი ფორმა პირის ნიშანს ინარჩუნებს: ჴელ დამცავ, 118,9; ღუნდ ესვა-დ' ეჭამ, 120,14; მეწკლა-დ'... ერთი ლეკიც მიეყოლ, 115,22...

განსხვავებული ვითარება აღმოჩნდა პოეტურ ტექსტებში: S_3 პირის ნიშანი ჩვეულებრივ შემონახულია, იშვიათად იკარგება და ჩანს, რომ ხევსურულში თითქმის ყოველთვის -ა სუფიქსი გამოხატავს მესამე სუბ. პირს. როგორც ცნობილია, ამ კილოში -ა იხმარება იქაც, სადაც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმეტეს ნაწილში -ო არის გამოყენებული. მაგ., (მაგალითები დალაგებულია ფუძეთა მიხედვით, ყველა მაგალითი ა. შანიძის გამოცემიდანაა: ა. შანიძე, 1931): გ-ება: ძირს გეგა (= გეგო) ნარი, 415,2; ამო-გ-ება (ჯავრის ამოყრა): მტრის ჯავრი თუ ამაიგა, 114,10; გა-გ-ება: მზემა გაიგა, 103,4;

ასევე: 62,26; 62,2; 155,16... გა-გდ-ება: მარტუა მარტომ გ ა ი გ დ ა, 114,6; და-გდ-ება: დ ა გ ა გ დ ა სისხლ-ტიგრიანი, 43,9; (ჭელთ) მო-გდ-ება: კურდღელა სადამ მ ა ი გ დ ა, 114,9; (თვალის) შე-გდ-ება: თვალ მენადირეთ შ ა ა გ დ ა, 107,4;

გრძნ-ობა: ზურაბმ ვერ ი გ რ ძ ნ ა ღალატი, 22,3;
მო-ვლ-ება: მ ა ი ვ ლ ა (= მოივლო) სანგლადა, 78,3;
შე-ვლ-ება: სრუ შ ა მ ა ა ვ ლ ა (= შემოავლო) თვალიო, 143,11;
ა-ვს-ება: ა ი ვ ს ა მთელი არხვატი, 460,34; კალთა ა მ ი ვ ს ა ჭელითა 75,6;
და-თმ-ობა: თავი ვერ დ ა ს თ მ ა ძმისაო, 128,15; ასევე: 126,7;
და-თრ-ობა: მიაც ძალიან დ ა მ ა თ ვ რ ა, 345,29;
ა-კლ-ება: ა ი კ ლ ა თერგის ობლესტი, 604,6;
მბ-ობა: მთელსა მინდიას უ ა მ ბ ა, 103,13;
რგ-ება: რა გ ა რ გ ა... ჰვნა-თესვამა, 451,8;
და-სწრ-ება: ცემა დ ა გ ა ს წ ვ რ ა, 182,14;
ა-ღ-ება: ალბად ა ი ღ ა ჭელია, 329,4;]
გა-ღ-ება: 1. კარი გ ა ა ღ ა ცამაო, 345,28; ასევე: 65,12;
2. ტანი გ ა ი ღ ა ლერწამი, 65,24;
3. (ფანდურის) ლარმა გ ა ი ღ ა ძგრიალი, 391,2;
გარდა-ღ-ება: ფეჩი გ ა რ დ ი ღ ა მგლისაო, 174,13;
და-ღ-ება: დ ა ა ღ ა შკაფის კარები, 401,26;
მო-ღ-ება: ჭეხა მ ა ი ღ ა ცისაო, 63,12; ასევე: 51,6; 12,10...
შე-ღ-ება: შ ა ა ღ ა სუდის კარია, 204,15;
ჩა-ღ-ება: ტყეში ჩ ა ი ღ ა ქუჩუმიანი ფარიო, 3,3;
ცნ-ობა: ქალმ ი ც ნ ა, 143,14; თუ ეცნა, 107,7;
ცხ-ება: სისხლ ე ც ხ ა (= ეცხო) ანაფორასა, 562,2;
და-წყ-ება: თოფმა დ ა ი წ ყ ა ტყრიალი, 148,4.

აქვე ზოგჯერ მსგავს შემთხვევებში გვხვდება **-ო**, რაც სალიტერატურო ენის ან სხვა კილოების გავლენით უნდა აიხსნებოდეს. მაგ.: გაიგო 140,4; ჩააგო 146,25; აივსო 146,17; აიღო 62,10; წაიღო 102,10; დაიწყო 140,11...

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულის **-ო**-ს ნაცვლად S_3 პირის ნიშნად **-ა** იხმარება მოხეურშიც (ი. ქავთარაძე, 1985, 51; ბ. ჯორბენაძე, 1989, 269). მაგალითებს მოვიყვანთ ქართული დიალექტოლოგიიდან (მითითებულია გვერდი, ზოგჯერ სტრიქონიც): გაუგა 41; ჩააგა 42; გადმაიგდა 46; აივსა 44; გიამბა 27; აიღა 43; ამაიღა 47,33; წაუღა 45,6; ვერ შეეძლა 48,16; ვისაც კი შეეძლა 48,30; დაიწყა ფიქრი 34; 36; 44... გეეგა (= გაეგო) 27; შეერთა 45,26; ეეღა (= აეღო) 32...

მოხეურში **-ო** სუფიქსი, ჩვეულებრივ, მაშინ გვხვდება, თუ **-ვა** კომპლექსისაგან არის მიღებული (ბ. ჯორბენაძე, 1989, 269). ესენი გვიანდელი, ახალწარმოქმნილი ფორმებია: თქო (= თქვა), 36; ქვა უსო (= უსვა), 34; მეცო (= მეცვა), 50; შარცხო (= შერცხვა) 37; გეეშო (= გაეშვა), 38...

მოხეურისა და ხევსურულის მსგავსი ვითარებაა ინგილოურში. ინგილოურის ორივე კილოკავში — კაკურსა და ალიაბათურში — S_3 პირის ნიშანი (წყვეტილისა და II თურმეობითის მხ. რ.) არის, ჩვეულებრივ, **-ა**. **-ა** იხმარება

სალიტერატურო ქართულის **-ო**-ს ადგილასაც (გრ. იმნაიშვილი, 1954, 157-158; 1966, 118-119; ბ. ჯორბენაძე, 1989, 354-355). მაგალითები, **კაკური:** თეთრ აადღა, ... წაადღა (იმნ. 17); დეკაცმა გაადგა, გააღა კარებ, ყონაღ გააგდა (იმნ. 26); თოლ გამაადღა (= თვალი ამოუღო), (იმნ. 34); დააგდა ტუმარაჲ (ქართ. დიალ. 239, 23)... იმათ ნალაპარიკ გეეგა (იმნ. 34)...

ალიაბათური: ფალასი დოუგა (იმნ. 39); ამ კაცმა ვერ გაადგა; ამაადღა ჟიბით დანა; ჴელში ჩაადგდა დანა (იმნ. 48); აადღა; თევზ მაადღა; ჩამაადღა; ჰაჩაჩამ ამააგდა; ყურ უგდა; ამ დღეში ჩამაგდა (იმნ. 49)...

ამავე კილოში იშვიათად S_3 პირის ნიშნად **-ო**-ც გვხვდება სალიტერატურო ქართულის მსგავსად. მაგ.: მოუღო კარაქ; გამაჲზრო ჴმალ (იმნ., კაკ. 15); კარებ გააღა წყალმა, აჲვსო სახლ წყლით (იქვე, 31); სრუ აავსო (იმნ., ალ. 47); ამ დედაკაცმა დაჲწყო ყურილი.. დაჲწყო ტირილი (იქვე, 49); ხურჟინში ჩააწყო (იქვე, 50)...

ამ ზმნებში **-ო** ძველ ქართულშივე გვქონდა, მათ ახალწარმოქმნილად ვერ მივიჩნევთ (შდრ. გრ. იმნაიშვილი, 1966, 118, შნშ. 5).

ამათ გარდა, ფუძისეული ვ + ა → ო, რომელიც ახალგაჩენილია, მაგ.: წაართო (იმნ., კაკ. 16); თოლებზე გაჲსო (= გაისვა, იქვე, 34); თქო (= თქვა, იმნ., ალიაბათ. 44)...

როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დიალექტთა ერთ ნაწილში (ხევსურული, მოხეური, ინგილოური) S_3 პირის **-ა** სუფიქსი გაბატონებულია, ყოველგვარ ზმნაში გვხვდება, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, სადაც ძველი ქართულიდანვე სალიტერატურო ენაში **-ო** არის გამოყენებული? ეს არქაიზმია თუ უნიფიკაციის პროცესის შედეგი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, როცა გათვალისწინებული იქნება **-ა**-სა და **-ო**-ს განაწილების წესი.

ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილია წესი: „ნამყო ძირითადში სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის არსებობისათვის ორი პირობაა აუცილებელი: ა) საყრდენი მორფემა (ამ შემთხვევაში მარტივი ფუძე) უნდა იყოს უმარცვლო და ბ) ნამყო ძირითადის მაწარმოებელი — **-ე** სუფიქსი... თუ ამ პირობათაგან ერთ-ერთი არ არის დაცული, მაშინ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ა** სუფიქსი იქნება წარმოდგენილი“ (გ. გოგოლაშვილი, 1984, 53; 1999, 50).

ავტორი თვლის, რომ წესი უგამონაკლისოა როგორც თანამედროვე, ისე ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის და ქართული ენის დიალექტებისათვის (გ. გოგოლაშვილი, 1999, 50).

ჩვენთვისაც ამოსავალია ის დებულება, რომ წარსული დროის მწკრივებში (უწყვეტელში, წყვეტილსა და II თურმეობითში) სუბ. მესამე პირის ფორმანტები ყოველგვარ ზმნაში თავდაპირველად იყო მხ. რ. **-ა**, მრავლობითში **-ეს** სუფიქსები (ლ. ბარამიძე, 2003, 18-19). უწყვეტლის მხ. რ. მესამე პირში დღემდე დაცულია უძველესი ვითარება — პირის ნიშნად გამოყენებულია ერთადერთი ფორმანტი **-ა** როგორც ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულში, ისე დიალექტებში. პირის ნიშნის დაკარგვას აქ არ ვიღებთ მხედველობაში.

წყვეტილში (და შესაბამისად II თურმ-ში) კი ვითარება შეიცვალა: **-ა**-ს შეენაცვლა **-ო** ფონეტიკურ ნიადაგზე. ვარაუდობენ, რომ ცვლილება მოხდა **-ევ**

სუფიქსიან ზმნებში: -ევ + ა → ვ-ა → ო (გ. დეეტერსი, 1930, 106-107; 218, 231; ა. ჩიქობავა, 1940, 14; 1950, 53; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 43; გ. გოგოლაშვილი, 1984, 41-47, 53; ლ. ბარამიძე, 2003, 18-19).

როგორც აღინიშნა, **-ო** სუფიქსიან ფორმებში წყვეტილის ნიშანი უნდა იყოს **-ე**. წყვეტილის **-ე**-ს შესახებ არსებობს ორი ვარაუდი: ა) წყვეტილის **-ე** მომდინარეობს **-ევ** სუფიქსისაგან (გ. როგავა, 1945, 98) და ბ) **-ე** მიჩნეულია ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნად, რაც გამორიცხავსო **-ევ** სუფიქსისაგან მომდინარეობას, რადგანაც **-ევ** არ გვაქვსო ნამყოს სხვა მწკრივებში — უწყვეტელში, თურმეობითში (ვ. თოფურია, 1955, 459).

გამოსავალი მოიძებნა იმით, რომ ისტორიულად წყვეტილში დაშვებულია ორგვარი **-ე**-ს არსებობა: ერთი გვაქვს ვნახ-ე, ვწერ-ე... ტიპის ზმნებში და დამოუკიდებელი აფიქსი ჩანს, ხოლო მეორე წარმოშობით **-ევ** სუფიქსთან უნდა იყოს დაკავშირებული: ავაგ-ევ → ავაგ-ე, ავიღ-ევ → ავიღ-ე... (გ. გოგოლაშვილი, 1984, 43). ეს უკანასკნელი სწორედ ის ზმნებია, რომლებშიც S_3 პირი **-ო** ფორმანტით აღინიშნება სალიტერატურო ენასა და დიალექტთა ერთ ჯგუფში. მათ წყვეტილის I და II პირში თითქმის ყოველთვის აქვთ **-ე**.

რა ვითარებაა დიალექტთა მეორე ჯგუფში, სადაც S_3 პირის ნიშნად (I ჯგუფის ზმნათა **-ო**-ს ნაცვლად) წარმოდგენილია **-ა** სუფიქსი, როგორია მათი წყვეტილი? სხვადასხვა კილოში განსხვავებული ვითარებაა.

ხევსურულში ორივე ტიპის ზმნებს მხ. რ. I და II პირში **-ი** სუფიქსი აქვთ, მრავლობითში „ვნახე" ტიპის ზმნებში **-ე** აღდგება, ხოლო „ავაგე" ტიპის ზმნებში **-ი** საერთოა მხოლობითთან. „ვნახე" ტიპის ზმნათა მხ. რიცხვში ეს **-ი** შეიძლება არც გვქონდეს, რადგანაც მწკრივის ნიშანი ბოლოკიდურ პოზიციაში იკარგება (ა. ჭინჭარაული, 1960, 44; 103-105).

მოხეური ამ მხრივ არ განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან: მწკრივის ნიშანი უმარცვლო ფუძიან ზმნებშიც არის **-ე**. მიუხედავად ამისა, S_3 პირში ჩვეულებრივ არ ჩანს **-ო** ფორმანტი (მაგალითებს მოვიყვანთ ქართ. დიალექტოლოგიიდან); მაგ.: ა ი ღ ე თ ქვაო, 40,31 და: ა ი ღ ა ქვა და... დასცა, 41,16; ერთი გუდა გ ა მ ი ვ ს ე თ ო ტყუპია-წამლითაო, 45,21; შდრ.: გ ა ი ვ ს ა გუდა, აიკიდა, 45,23; რაისაც ღნახამ, სრუ სახლჩი შემოგაჭუ, გ ა დ ა ა გ დ ე! 47, შნშ. 1. შდრ.: ბესომ გ ა დ მ ა ი გ დ ა თოფი ჴელზედ, 46,8. სხვა მაგალითები: დავიგე 50,9; გავიგე 50,10; წამოვიღე 50,11; წამოვიღეთ, 50,13; ავანთეთ 37,25; დავანთე ცეცხლი, 50,11...

ინგილოურის კაკურ კილოკავში, ხევსურულის მსგავსად, მხ. რიცხვში **-ე** მოკვეცილია და ყველა ზმნა უნიშნოდ ან მრავლობითში **-ი** სუფიქსით არის წარმოდგენილი: მოდღ; ერთ მე ოდღ, ქართ. დიალ. 238,31; ეს მე ვერ გავაგდ, იმნ. 26; წადყონით, მენაჯში ნრჩზზე გადააგდითავ, ქართ. დიალ. 242,2; ააშენით, იმნ. 30.

ალიაბათურში „**-ე** გვაქვს იმ ზმნებშიც, რომლებსაც საერთოდ არ ახასიათებდა ნამყო წყვეტილის საწარმოებელი ნიშანი" (გრ. იმნაიშვილი, 1954, 159. მაგ.: მოჯანე, ქენე, მითხარე, დაკალე... მაგრამ არც **-ი** სუფიქსია უცხო ამ კილოკავისათვის: მადგი, იმნ., 47; მადგით, ქართ. დიალ. 248,28; მადღი, იქვე,

248,17... **-ე** ფუძეზე გავლენას ვერ ახდენს (მოჯანე...), რადგან ესეც უფუნქციოა.

ორივე კილოკავში ძლიერია უნიფორმაციის ტენდენცია (გრ. იმნაიშვილი, 1954, 161; ვ. თოფურია, 1955, 458-459).

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, როგორც კაკურში, ისე ალიაბათურში S_3 პირის ნიშანი ყოველგვარ ზმნაში, როგორც ვნახეთ, არის **-ა**.

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ წყვეტილის ფორმათა ჩამოყალიბება უმარცვლო ფუძის მქონე იმ ზმნებში, რომელთაც S_3 პირში **-ო** გაუჩნდათ ენის განვითარების უძველეს საფეხურზე?

-ევ სუფიქსი ზმნური ფუძის მაწარმოებელი ფორმანტია და მხოლოდ წყვეტილისათვის არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988). ის თავს იჩენს II სერიის სხვა მწკრივებშიც. წყვეტილში **-ევ** სუფიქსიანი ფორმები შედიოდა ე. წ. „უნიშნოთა" ჯგუფში და მათი S_3 პირის ნიშანი, წესით, უნდა ყოფილიყო **-ა**, რადგან „უნიშნო" წარმოების ზმნებში სხვა ფორმანტი არც ძველ ქართულში გვქონია და არც ახალ ქართულშია.

-ევ, როგორც ჩანს, თავდაპირველად მოქმედებითი გვარის უმარცვლო ან კუმშვად ფუძეებს მოუდიოდა და ხმოვნის დაკარგვას იწვევდა. ის თვითონაც იკუმშებოდა მომდევნო ხმოვნის დართვის გამო. წყვეტილის I და II პირში ფუძის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული **ვ** ვერ ძლებს და გარკვეული დროიდან იკარგება: *გავიგევ → გავიგე, *გაიგევ → გაიგე. ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილში **ვ** ძველ ქართულში უკვე აღარ ჩანს (აღვიღე, აღვაგე...), მაგრამ მის ოდინდელ არსებობას გვავარაუდებინებს მესამე სუბ. პირში **-ო**-ს გამოყენება პირის ნიშნად (**-ევ** სუფიქსის **-ვ**-ს დაკარგვისა და ამ ფორმათა შემდგომი ცვლილების შესახებ იხ. გ. გოგოლაშვილი, 1999, 50-52; 1981, 93-100).

ზმნათა მეორე ნაწილში **-ვ**-მ „თავი გადაირჩინა" ფუძეში გადანაცვლებით. მაგალითად:

შეტყობა: შევატყევ → შევატყვე (ვეფხ. 64,2; შე-ვით-ვატყევ, იქვე, 1076,4; შეატყო, იქვე, 894,1);

განფრთხობა: განიფრთხევ → განიფრთხვე (ძილისაგან), ბალ. 149,6;

შემკობა: შევამკევ → შევამკვე (შეამკვის, მთ. 6,3C) → შევამკე;

შენდობა: შეუნდევ → შეუნდვე (ზირ. O 3,15) → შეუნდე;

დაწყობა: დავაწყევ → დავაწყვე და სხვა.

ზოგან **ვ**-ს დაკარგვას ხელი შეუწყო ბაგისმიერ ბგერასთან მეზობლობამ: *განვატფევ → *განვატფვე → განვატფე, შდრ. განატფო.

-ვ-ს გადასმა ამ ზმნებში ხშირად ძველ ქართულშივე ხდება, როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს. შემდეგ **ვ** აქაც იკარგება უმეტეს შემთხვევაში (ი. იმნაიშვილი, 1967; ფ. ერთელიშვილი, 1970, 271-274). **ვ**-ს გაუჩინარებით (ან მეტათეზისით) მიღებული ფორმები აღარ განსხვავდებიან წყვეტილის **-ე** სუფიქსიანი სხვა ფორმებისაგან, რომ არა **-ო**-ს ქონება S_3 პირში. ეს ცვლილება ხდება ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე (გ. გოგოლაშვილი, 1999, 51).

წყვეტილის წარმოების მიხედვით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხევსურული და ინგილოური. ხევსურულსა და ინგილოურის კაკურ კილოკავში **-ე** სუფიქსი, თუ ის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშია მოქცეული ან იკარგება, ან ვიწროვდება და **-ი**-ს იძლევა. ხევსურულის „ვნახე" ტიპის ზმნებში **-ე** ყველგან აღდგება, როცა მას რაიმე მორფემა (მრ. რ. **-თ** ან რომელიმე ნაწილაკი) მიერთვის და ბოლო პოზიციას კარგავს; ინგილოურის კაკურ კილოკავში **-ე**-ს აღდგენა არ ხდება (ა. ჭინჭარაული, 1960, 103-104; გრ. იმნაიშვილი, 1954, 159-160). „ავაგე" ტიპის ზმნებში ხევსურულში **-ე** საერთოდ არ ჩანს — არც მხოლობითში, არც მრავლობითში. ამის გამო ფიქრობენ, რომ ის (**-ე**, resp. **-ევ**) ამ ტიპის ზმნებს არც უნდა ჰქონოდათ (ა. ჭინჭარაული, 1960, 105-106).

საკითხი ასე დგას: გვქონდა თუ არა **-ევ** სუფიქსი აღნიშნულ ზმნებში და, თუ გვქონდა, ტოვებდა თუ არა ის რაიმე კვალს? საფიქრებელია, რომ **-ევ** გამოყენებული იყო ხევსურულშიც (აღმოს. საქ. სხვა კილოების მსგავსად), მაგრამ ის S_3 პირშიც დაიკარგა, როგორც წყვეტილის I და II პირში. **-ევ** → **-ე** ხევსურულშიც, მაგრამ შემდგომ ეს **-ე** შეცვალა **-ი** სუფიქსმა „ვნახე" ტიპის ზმნათა მსგავსად და იმავე მიზეზით. განსხვავება ის არის, რომ „ავაგე" ტიპის ზმნებში უნიფორმაციის გამო **-ი** მრავლობითშიც არის გადასული და **-ევ**-ის კვალი გაქრა. თუ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება, სუბ. მესამე პირში **-ევ** + **-ა**-ს შეკუმშვის შედეგად უნდა მოეცა ან **-ო**, ან **-ვ-ა** კომპლექსი. **-ო** არ გვაქვს, რადგანაც ხევსურულში ამ მხრივ თავისებური ვითარებაა, **-ვა** → **ო** პროცესი ხდება, მაგრამ შეზღუდულად, თანაც ხევსურულის კილოკავებს შორის განსხვავებაა. **-ვ-ა** კომპლექსში **-ვ** ჩვეულებრივ დაკარგულია, მაგრამ იშვიათად ის შემონახულია სრული სახით, რაც ამოსავალი ვითარების მაჩვენებელია. აღნიშნავენ, რომ ხევსურულში „იყო" არ გვხვდება, მის ნაცვლად არის „იყვა" (ა. ჭინჭარაული, 1960, 17), რომელშიც ზოგჯერ **-ა** მოკვეცილია. მაგ., ხან იყვა შუადღისაო (ხევს. პოეზ. 107,4). შდრ.: მოწყენით როგორ არ ვიყვა, იქვე, 211,15; ნაქნარ ჩვენ უყვათ (= უყოთ), იქვე, 95,12...

ამ ტიპის მაგალითები სხვაც შეგვხვდა:

გოთლაის ჩალის ფერამა ნაცხვრევზე იწყვა (= იწყო) ფხვრიალი, ხევს. პოეზ. 84,6; ჭრელამ შაუტყვა (= შეუტყო) ღალატი, იქვე, 11,8; ეგ ბალთის არე-მარეი აივსვა (= აივსო) ცხენოსნითაო, იქვე, 223,25; ვაკე აივსვა მკვდრითაო, იქვე, 223,20; (ჯიხვმა) შაგიტყვა (= შეგიტყო), მენადირეო, იქვე, 514,10; დაგემჭვა (= დაგემხო) სამეფო ეშმაკისაო, იქვე, 479,5; ზელიმ-ხანს უყვა თვალია, იქვე, 227,2; ძმამა ძმა არვინ დაინდვა, იქვე, 465,3...

იმის გამო, რომ „ავაგე" ტიპის ზმნებში **-ვ** + **ა** კომპლექსი არ გვაძლევს **ო**-ს, არც პირის ნიშანია შეცვლილი, ძველებურად **-ა** არის გამოყენებული.

„ავაგე" ტიპის ზმნებში სუბ. მესამე პირის ნიშანი **-ა** სპორადულად შემონახულია, დასახელებულთა გარდა, სხვა კილოებშიც, კერძოდ, ფშაურში, კახურში, გურულში, აჭარულში... (ამ უკანასკნელთა შესახებ იხ.: ბ. ჯორბენაძე, 1989, 529, 558). ფშაურშიც ზოგჯერ სიტყვის ბოლოს **-ვ-ა** კომპლექსი გვხვდება სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მოსალოდნელი **-ო**-ს ნაცვლად: იყვა,

შაატყვა (= შეატყო), დაატყვა (= დაატყო), ამააძვრა (ვ გადასმულია) მაუზერი, უყვა (= უყო), (გ. ცოცანიძე, 1978, 31-32, 61).

რამდენიმე მაგალითი ჩვენც შეგეხვდა: წყალმ გარა არ დ ა ა რ ჩ ვ ა, ქართ. დიალ. 140,20; ფარაზე კი იტყვიან: დოლი დ ა ი წ ყ ვ ა ო, იქვე, 128,33. შდრ. მოხეური: დაიწყვეს იქ ცხოვრებაი, იქვე, 41,26; გაგვიგო აღაის ცოლმა, დ ა გ ვ ი ც ხ ვ ა (= დაგვიცხო) ქადის კვერები, ქრესტ. 154,40.

როგორც ცნობილია, კახურშიც სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელ **-ო**-ს იშვიათად **-ა** სუფიქსი ცვლის: უამბა, მორთა, ცოლათ შაირთა (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, 94).

ერთი მაგალითი აქაც შეგეხვდა, სადაც **ო**-ს ადგილას **-ვ-ა** კომპლექსია წარმოდგენილი: ამას უნდა მიმათხუოო. მამამაც ნება დ ა რ თ ვ ა (= დართო), ქართ. დიალ. 206,36.

ზემოთ მოყვანილი იშვიათი მაგალითების სახით შემონახულია უძველესი ფორმები, რომლებშიც დაცულია ამოსავალი ვითარება. ჩანს, **-ევ** სუფიქსი გამოყენებული იყო დიალექტთა ორივე ჯგუფში, რომლებიც გარკვეული დროიდან ერთმანეთს უპირისპირდებიან S_3 პირის გამოხატვის მიხედვით: ერთ ნაწილში (და სალიტერატურო ენაშიც) პირის ნიშანი არის **-ო**, მეორე ნაწილში — **-ა**, რომელიც ძველისძველი წარმოშობისა უნდა იყოს. ხევსურულში, მოხეურსა და ინგილოურში „ავაგე" ტიპის ზმნებში **-ა**-ს გამოყენებას სისტემური ხასიათი აქვს. საუკუნეების განმავლობაში წყვეტილის წარმოების ტიპები ამ კილოებში განიცდის ცვალებადობას, ხდება უნიფორმაცია: მოხეურში უნიშნო წარმოებას **-ე** სუფიქსიანი შეენაცვლა (**-ე** ← **-ევ**); ხევსურულსა და ინგილოურში, გარკვეული ფაქტორების გავლენით, **-ე** გვაძლევს **-ი**-ს, ან იკარგება; ინგილოურშივე (ალიაბათურ კილოკავში) უნიფიკაციის ტენდენცია **-ე**-ს გაბატონებისაკენ არის მიმართული, მაგრამ სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ძველებურად არის **-ა** სუფიქსი.

რა მოხდება შემდგომ, მიიღებს თუ არა დიალექტების ეს ჯგუფი სხვა კილოების მიხედვით შემუშავებულ მოდელს, ამას დრო გვიჩვენებს. არის ცდები, რომ აქაც **-ა**-ს გვერდით დაუდგეს **-ო** სუფიქსი, რომელიც ან სალიტერატურო ენის გავლენის შედეგია (აგვსო, დაეწყო...), ან შედარებით ახალწარმოქმნილი -უა-ვა → ო პროცესისა (წაართვა → წაართო, თქვა → თქო...).

როგორ უნდა აიხსნას „ავაგე" ტიპის ზმნებში **-ა**-ს გამოვლინება ფშაურში, კახურში, გურულსა და აჭარულში? ყველა კილოში ეს არქაიზმია. ფშაურისათვის განვლილი საფეხური ჩანს ის, რაც ხევსურულში ახლა ხდება, მან უფრო ადრე განიცადა სალიტერატურო ენის გავლენა და მასთან დაკავშირებული ნიველირება. სხვა კილოებში კი ეს ფორმები „ენობრივ მეხსიერებაში" შემორჩენილი ფორმებია, ან ენობრივი ალღოს გამოვლინება.

ენის განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურზე დიალექტთა იმ ჯგუფში, სადაც **-ა**-ს ხმარებას სისტემური ხასიათი აქვს „ავაგე" ტიპის ზმნებშიც, საფიქრებელია, **-ვა** კომპლექსს არ ენაცვლებოდა **-ო**, ყოველ შემთხვევაში, ის არ უნდა გვქონოდა „ავაგე" ტიპის ზმნებში, რასაც გვიდასტურებს გადმონაშთის სახით შემორჩენილი ფორმები, რომლებიც ზემოთ არის მოყვანილი.

ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა მსჯელობა, მაგრამ ყურადღებას იპყრობს თუშურში არსებული ვითარებაც. თუშურსა და ხევსურულში ამ ფორმათა წარმოებაში არის ზოგიერთი თანხვდენა: ა) იკარგება S_3 პირის **-ა** წყვეტილსა და II თურმეობითში; ბ) იკარგება წყვეტილის **-ე** სუფიქსიც: ავიღ (= ავიღე), ცრჱღ (= აიღე)... (თ. უთურგაიძე, 1960, 21) და სხვა.

სუბ. მესამე პირის სუფიქსად „ავაგე" ტიპის ზმნებში ტექსტების ზოგ გამოცემაში წარმოდგენილია **-რ**: დრჱწყრ (= დაიწყო), 3,12; ცრჱღრ (= აიღო), 11,10... (თ. უთურგაიძე, 1960). ზოგჯერ მის ადგილას არის **უ**: ვინ ცრჱღუ (= აიღო), ქართ. დიალ. 105; გრჱგუ (= გაიგო), იქვე, 107,1...

აქ ერთი და იგივე ბგერა იგულისხმება, რომელიც უფრო **უ**-ს უახლოვდება, **-რ** მიგვანიშნებს, რომ ეს ბგერა **-ო**-ს დავიწროებით არის მიღებული. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუშურში ამოსავალია **-უ-ა** (**-ვ-ა**), რომელშიც S_3 პირის ნიშანი **-ა** დაკარგულია აბსოლუტურ ბოლოში? შდრ.: დეჱდუ (= დაედვა), იქვე, 105,7, მაგრამ: დადვავ, იქვე, 105,11.

დამაბრკოლებელი იქნებოდა ლექსებში **-ო**-ს გამოყენება, მაგ.: გაიღო, უთურგ. 51,6; დაიწყო, იქვე, 51,7; გაიგო, იქვე, 56,2... შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მათი ხშირი გადაადგილების („ხეტიალის") გამო ლექსებში **-ო** სალიტერატურო ქართულის გავლენით გაჩნდა (ამ გავლენის შესახებ იხ. თ. უთურგაიძე, 1960, 07).

დამაფიქრებელია ისიც, რომ S_3 პირის **-ო**-ს დავიწროება და მის ადგილას **-უ**-ს გაჩენა, რითაც ეს კილო განცალკევებით დგას, სხვა კილოებში თითქოს არ გვხვდება. შედეგად კი მივიღეთ ისეთი ფორმები, რომლებიც ამოსავალ ვითარებასთან ძალზე ახლოსაა, ვგულისხმობთ: **-უა**, **-ვა** → **უ**, **ვ**, (**-ა**-ს დაკარგვით).

მეორე ნაწილი

გვარის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში

VII. ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში

ცნობილია, რომ გრამატიკული გვარი ქართულში შედარებით გვიან ჩამოყალიბებული კატეგორიაა. ამიტომ ზოგ ცვლილებას, რომლებიც ამ მხრივ მოხდა ენაში, შეიძლება თვალი გავადევნოთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან წერილობით ძეგლებში. განსაკუთრებით შეიძლება ეს ითქვას ვნებითის შესახებ, რომელიც ქართულში მდიდარია ფორმებით.

ვნებითი გვარის შესახებ არაერთი გამოკვლევა დაწერილა, რომლებშიც განხილულია მასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი. ამჟამად გვინდა შევეხოთ ვნებითის I სერიის თემის ჩამოყალიბების საკითხს. ვგულისხმობთ დინამიკურ ვნებითს.

ვნებითი ქართულში მჭიდრო კავშირშია მოქმედებითი გვარის ფორმებთან. „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა. თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოეპოვება“ (ა. შანიძე, 1953, § 346). ამის გამო მიაჩნიათ, რომ ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა (ა. შანიძე, 1953, § 346). აქედან გამომდინარეობს ის სიახლოვე, რომელიც ამ ორი გვარის თემათა შორის გვაქვს. მსგავსება მეტია ძველ ქართულში, სადაც ისტორიული კავშირი მოქმედებითსა და ვნებითს შორის უფრო ნათელია, ვიდრე ახალ ქართულში. ძველ ქართულში დაიწყო და დღემდე გრძელდება პროცესი, რომელიც მიმართულია ვნებითი გვარის ფორმათა უნიფიკაციისაკენ, რაც იმავე დროს იწვევს ვნებითის სხვა გვარის ფორმებთან დაპირისპირებულობის ზრდას.

I სერიის თემის ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებული, განმასხვავებელი საშუალება არის თემის ნიშანი. ხშირ შემთხვევაში თემის ნიშანი არის ზმნის სხვადასხვა გვარის ფორმათა დაპირისპირების საშუალებაც. ვნებითს არ გააჩნია საკუთარი თემის ნიშანი, ე. ი. ისეთი, რომ მოქმედებითში არ იხმარებოდეს (ა. შანიძე, 1953, § 466). მაშასადამე, ვნებითში უნდა გექონდეს (მოსალოდნელია, გექონდეს) იგივე თემის ნიშანი, რაც შესაბამის მოქმედებითშია, რადგანაც ვნებითისათვის მოქმედებითი გვარის ფორმებია ამოსავალი.[1] ძველ ქართულში ძირითადად ეს ასეც არის, რამდენადაც ამის საშუალებას ენა იძლევა. წესი დარღვეულია მხოლოდ მაშინ, როცა მისი დაცვა ფორმათა დამთხვევას, არევას გამოიწვევდა. მაგრამ ამასთან ერთად ძველ ქართულშივე არის ჩასახული ის

[1] იგულისხმება პრეფიქსიანი ვნებითი, სუფიქსიანი ვნებითის მიმართება შესაბამის მოქმედებითთან სხვაგვარი უნდა იყოს (ა. შანიძე, 1959, 37; გ. მაჭავარიანი, 1973).

ცვლილებები თემის ნიშანთა თვალსაზრისით, რომლებიც ახალ ქართულში გვაქვს.

მოქმედებითი გვარის ზმნათა I სერიის თემა, რომელსაც ვნებითი ეყრდნობა, უთემისნიშნოა, ან თემის ნიშანი დაერთვის. უთემისნიშნო, ანუ მარტივთემიან ზმნებში გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1. ერთთემიანი ზმნები და 2. ხმოვანმონაცვლე, ანუ ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები, თემის ნიშნებად კი, როგორც ცნობილია, გვხვდება **ი**, **ავ**, **ამ**, **ემ**, **ებ**, **ობ**, **ოფ**, **ევ** აფიქსები.

ვნებითში მეორდება, გადადის ყველა თემის ნიშანი, გარდა **ი**-ნისა, რომელსაც **ებ** ენაცვლება. ამასთან **ებ** თემის ნიშანივე უჩნდებათ მარტივთემიან ზმნებს, ყველას — ერთთემიანებსაც და ხმოვანმონაცვლეებსაც. რატომ არ გადაჰყვა **ი** ვნებითში, როგორც თემის ნიშანი და რატომ შეიცვალა ზმნის თემა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საერთოდ? მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ვნებითის აწმყოს ფორმები ამ შემთხვევაში დაემთხვეოდა მოქმედებითის II სერიის ზოგიერთ ფორმას. საქმე ისაა, რომ დინამიკურ ვნებითს აწმყოში ფუძის ბოლოს ახასიათებს **ი** ხმოვანი (ითხოვებ-**ი**-ს, იმალე-**ი**-ს, ითქუმ-**ი**-ს და მისთ.) და მარტივ ფუძეზე ამ **ი**-ს მირთვით მიღებული ფორმა სავსებით დაემსგავსებოდა სათავისო ქცევიან II ხოლმეობითს: შეიმოსს (იგი მას), შეიმოს-**ი**-ს (მან იგი) და შეიმოს-**ი**-ს (იგი).

ვნებითის ფორმის, აგებულების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა საყურადღებოა არა მხოლოდ თვით ვნებითის ისტორიის გასარკვევად; ბევრჯერ აქ თავს იჩენს მოქმედებითი გვარის ფორმათა განვითარების გზებიც. ამდენად, ორივე გვარის ფორმები ურთიერთსაკონტროლო საშუალებად გამოგვადგება.

ძველ ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედებითის თემის ნიშნები ჩვეულებრივ დაცულია ვნებითში, მაგრამ ძველადვე შეინიშნება უნიფიკაციის ტენდენცია, რომელიც გამოიხატება **ებ** თემის ნიშნის გამოყენების არის გაფართოებაში.

ძველი ქართულის ვითარების გასაცნობად ვნებითი გვარის ზმნებს განვიხილავთ თემათა მიხედვით და, რამდენადაც საშუალება გვექნება, მათ დავუპირისპირებთ მოქმედებითის შესაბამის ფორმებს.[1]

პრეფიქსიანი ვნებითი

1. ერთთემიანი და ხმოვანმონაცვლე ზმნები

ჩვენს ხელთ არსებული მასალა ძირითადად ერთთემიანი ზმნებია. ორიოდე ზმნაა ხმოვანმონაცვლეთაგან. რადგან ორივე ჯგუფი ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებს, მათ ერთად განვიხილავთ.

ამ ტიპის ზმნებს, როგორც ითქვა, მოქმედებითში თემის ნიშანი არ აქვთ. ვნებითში კი მათ დაერთვის **ებ**, რომელსაც მოსდევს **ი**. ეს **ი**, რომელიც დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა ბოლოში გვაქვს, ამჟამად გაგებულია როგორც

[1] მოქმედებითის ფორმა მოცემული ვნებითის სრული შესატყვისი შეიძლება ყოველთვის არ იყოს. მაგ., პირიანობის ან ქცევის მიხედვით, მაგრამ ასეთი რამ დასაშვებად მივიჩნიეთ, რადგან თემის ნიშნები ერთია.

მწკრივის ნიშანი (ა. შანიძე, 1953, § 467), თუმცა ისტორიულად, როგორც ცნობილია, მას სხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ბანს:[1] და დაჰბანდა[2] ცრემლითა, ბოლნ. 13,10; რომელი იგი იბანებინ, სინ. 186,31; განიბანების იგი, სწავ. 54,29; ყოველი ერი... განიბანებოდეს, მოქც. 109,4.

ჰგუემს: ნუ მგუემ მე, მრ. 5,7C; ბოროტად ვიგუემები, ევსტ. 40,40; იგუემების ეშმაკისაგან, ხანძთ. 292,4.

ითხოვს: არა ითხოვს იგი ნიჭთა, სწავ. 173,23; ითხოვების ჩემგან, ექუს. 133,21; რომელი უფროჲსად მეთხოვების, სწავ. 288,19.

დაჰკეცს: დაიკეცებინ იგი ზურგსა ზედა წულისასა, კაც. აგ. 146,11.

მოჰკუეთს: ნუცაღა წარჰკუეთნ სასოებასა, ისტ. ქრ. II,19,28. მოიკუეთების ყოველი ნებაჲ, ჯავ. აღწ. 79,22; განიკუეთების იგი, გამოცხ. 15,2თ; მოეკუეთების თავი წინაწარმეტყუელსა მას, სინ. 210,19; თავი წარმეკუეთების, ევსტ. 44,30.

დაჰლეწს: დაჰლეწდეს ბრძოლისა მახჯლითა, ბოლნ. 40,6; ძუალნი ჩემნი დაილეწებიედ, ისტ. ქრ. II,83,6; დაილეწებოდიან შიშისაგან, სწავ. 124,16.

შეიმოსს: შევიმოს ჴელით წერილსა შენსა, ლიმ. 75,3; იმოსები ძოწეულითა, ბოლნ. 69,5; ძაძითა იმოსებინ, სწავ. 72,21; შეიმოსების, ექუს. 46,38.

შეჰრაცხს: თქუენთა თანა შევჰრაცხ, კოსტ. 172,22. ყოველივე... შეირაცხების, ეფრ. მც. 96,14; ექუს. 76,3; შევირაცხებით, ფს. 43,23; ნუმცა ლოცვაჲ შენი ცოდვად შეგერაცხების, სწავ. 10,24; შეერაცხების, ლიმ. 70,17; სინ. 37,5; იქვე, 37,9.

იშვიათად ამ ზმნის მოქმედებითს ძველ ქართულშივე დაერთვის თემატური სუფიქსები, ესენია **ავ, ებ**: ნუ შემრაცხ მე ცოდვილთა თანა, ფს. 27,3C; ნუ შემრაცხებ, იქვე, C. შდრ. შემრაცხ, იქვე, E. ეს აისახა ვნებითშიაც: ლოცვად შეგერაცხვის, ჯავ. 124,4 ქვ.

ჰრეკს: კბილნი ერეკებიედ, სინ. 119,6; მუჴლნი მისნი ერეკებოდეს ერთმანერთსა, ისტ. ქრ. II,91,24.

მიჰფენს: მიჰფენს, ეფრ. 87,1; განჰფენს, ბოლნ. 8,21; ჰეშმარიტებაჲ ყოველსა სოფელსა მიეფინების, სინ. 234,28; ასევე: ხანძთ. 317,27; მიეფინებოდა, მოქც. 155,16; მოეფინების, ბოლნ. 65,1 ქვ.; ზარზმ. 320,6.

ქსოვს: რომელი იქსოვების სულისაგან, ბოლნ. 39,16; მოიქსოების, იქვე, 46,20.

დასწერტს: დავიწერტებოდით აქავე შურითა მათითა, სწავ. 31,6.

დასწნეხს: იგი დასწნეხს საწნეხელსა მას, გამოცხ. 19,15. სადა სიწმიდისა ტევანი არა დაიწნიხებინ, ბოლნ. 35,8.

---

[1] ამა თუ იმ ფუძეს, ჩვეულებრივ, რამდენიმე ზმნისწინი დაერთვის, ყველას მითითება აქ არ მოხერხდება.

[2] ქვემოთ ყველგან ჯერ მოქმედებითს მოვიყვანთ, შემდეგ — ვნებითის ფორმებს, ოღონდ სიმოკლისათვის არ მივუთითებთ. ვნებითი, სადაც ორივე მოგვეპოვება, ჯერ ი-ნიანი იქნება მოყვანილი, შემდეგ — ე-ნიანი.

აღსწონს: აღსწონდა... საქმეთა თჯსთა, ბოლნ. 10,25; ყოველი სასწორითა იწონებოდა, ხანძთ. 277,11. ახალ ქართულში მოქმედებითის ფორმას **ი** დაერთვის: წონის.

ჰამს: ყოველი საჭმელი, რომელი იჰამების, ლევიტ. 11,34; შეეიჰამებით ურთიერთას, სწავ. 266,27.

განხერხს: განიხერხებოდეს გულითა მათითა, საქმე 7,54.

ხუეტს: გუერდნი მათნი... იხუეტებოდეს, სინ. 258,10.

მოჰხუეჭს: უსამართლოდ მოჰხუეჭენ მრავალთა, სწავ. 307,30; მონაგები მათი მიიხუეჭების, იქვე, 134,21.

აღჰკოცს: აჰკოცა ჰრომთა ერსა? სინ. 252,4; აღმოვჰკოც, ლიმ. 17,17; სარწმუნოებითა აღიკოცებიან ცოდვანი, სწავ. 55,2.

მარტივი უნდა ყოფილიყო **თეს** ფუძეც, მაგრამ მას ძველსავე ქართულში აქვს დართული **ავ**, რომელიც ვნებითშიც იჩენს თავს: ნუ დასთესავ, სინ. 48,21; რომელი ითესვის, ლევიტ. 11,37; დაითესვის, ბოლნ. 18,5. ახალ ქართულში კი სხვა **ავ**-იანთა მსგავსად ამასაც **ებ** დაემატა: ითესება.

ერთთემიანთა უმრავლესობას ახალ ქართულში დაერთო სუფიქსი **ავ** (ა. შანიძე, 1953, § 451); თიბ-ავ-ს, კაფ-ავ-ს, კეც-ავ-ს, ლეწ-ავ-ს, შემოს-ავ-ს, აღრიცხ-ავ-ს, ჭედ-ავ-ს, ხერხ-ავ-ს, ამოხოც-ავ-ს და მისთ. შესაბამისად შეიცვალა მათი საწყისიც: თიბვა, კაფვა, დაკეცვა, გალეწვა, შემოსვა, აღრიცხვა, ჭედვა, ხერხვა და სხვა. ვნებითში ეს ცვლილებები არ ასახულა, ის ძველებურად **ებ** აფიქსიანია: შემოს-ავ-ს, — შემოს-ვ-ა, მაგრამ: შეიმოს-ებ-ა; თიბ-ავ-ს, — თიბ-ვ-ა, მაგრამ: ითიბ-ებ-ა...

ავ სუფიქსი დაერთო ზოგიერთ ხმოვანმონაცვლე ზმნასაც, მაგრამ აქ ის ისე გავრცელებული არაა, თანაც მათ გვერდით იხმარება ძველი ფორმებიც (ა. შანიძე, 1953, § 452). ვნებითში ისევ **ებ** გვაქვს: დაშრეტს (ევაგრ. 224,24), შდრ. ახ. ქ. დაშრეტს — დაშრიტავს, მაგრამ: დაიშრიტება.

2. **ი** თემისნიშნიანი ზმნები

როგორც აღინიშნა, თემის ნიშანი **ი** ვნებითში არ გადაჰყვება, მის ადგილას ვნებითი გვარის ფორმებში გაჩენილია **ებ** (ა. შანიძე, 1953, § 467).

წარჰგზავნ-ი-ს: წარიგზავნებოდა იერუსალჳმდ, ლ. 13,22.

სდევნ-ი-ს: წარსდევნის მჯურვალებასა მისსა, ევაგრ. 224,24; სდევნიდეს, აბო 76,5; აწ ამის იუდაჲსგან ვიდევნები, სინ. 242,31; იდევნები, ზედ. 210,19; იდევნების, სინ. 204,24.

ზრდ-ი-ს: მზრდის ჩუენ ღმერთი, სწავ. 145,11; მწუანვილიცა იზარდების, კაც. აგ. 176,13; იზარდები, სწავ. 25,5; იზარდებიან, ექუს. 112,9.

დასთხრ-ი-ს: კედელი დაითხარებოდა, სინ. 223,14.

ჰმწყს-ი-ს: რომელი ჰმწყსი ისრაელსა, ფს. 79,2. ასპიტნიცა ნელითა სიტყჳთა დაიმწყსებიან, სინ. 214,14.

განჰრყუნ-ი-ს: შუენიერებაჲ განირყუნების, სწავ. 91,23; განირყუნებინ, ფს. 56, სათ.

დასჯ-ი-ს: მე არა ვსჯი მას, ი. 12,47C; სასოებისათჳს... მე ვისაჯები, საქმე 23,26; შენ ისაჯები, ბოლნ. 43,6; დავისაჯებით, სწავ. 95,1; იშვიათად ფუძე შეკუმშულია: გარე ისჯებოდიან ჴორცითა, გარეკ. 234,9.

აღფხურ-ი-ს: იფხურიდეს თმათა, ისტ. ქრ. II,69,28; ბჳენი ქალაქისანი აღიფხურებოდეს, ბოლნ. 85,11.

შლ-ი-ს: სპეც. ლიტერატურაში მითითებულია შლის და შალავს (ი. იმნაიშვილი, 1963, 204; ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 49; ი. აბულაძე, 1973). მართლაც, ერთი მხრით, გვაქვს: ნუვის უშალავთ, სიგ. მღ. (ქრესტ. 95,24); მეორე მხრით: ნუვინ ჴელჰყოფთ შლასა (იქვე, 94,26; 96,15), რომელიც ამოსავლად გულისხმობს შლის. ფორმას. ენებითი ჩვენი მასალის მიხედვით **ებ**-იანია: შეთხზულებაჲ ესე ცხორებისა ჩუენისაჲ დღითი-დღედ დაიშალების, სწავ. 252,24. სავარაუდოა, რომ **ავ**-იანი ფორმა შედარებით გვიანდელია.

სჭრ-ი-ს: დაჰშჭრიდეს, ისტ. ქრ. II,103,6.; განიჭრებოდა ტკივილისა სიმძაფრითა, ზარზმ. 343,3; დაიჭრებოდეს, ხანძთ. 261,11; რომელთა-იგი ასონი მოეჭრებიედ მახჳლითა, სწავ. 68,23.

მიჰჴდ-ი-ს: აწ წინდსა მიმჴდია? სინ. 27,8; სასჯელი მიგეჴადების, ლიმ. 59,13; მიეჴადებოდა, სინ. 12,7; სიტყუაჲ მიგუეჴადებოდის, სწავ. 15,22.

ასევეა: ქენჯნის — იქენჯნებოდეს, იობ. 5,4; ღულარჭნის — იღულარჭნებოდეს, ისტ. ქრ. II,91,25; მიაყრის — მიეყრებოდა, მოქც. 148,4; განხრწნის, ფს. 57, სათ. — განიჴრწნების, სწავ. 158,25; ლიმ. 96,25; გამომცდით, მ. 22,18 — გამოიცადების, სწავ. 275,24; განიცადებოდა, ბოლნ. 19,6 ქვ.; აღჰსნით, მრ. 11,5; დაჰსნიან, სწავ. 243,9 — ივსნების, სწავ. 81,30; განიჴსნების, სინ. 74,20, დაიჴსნების, ექუს. 107,25...

ამ ტიპის ზმნათა ერთ ნაწილს გარკვეული თავისებურება ახასიათებს ძველ ქართულში: მათი საერთოდ კუმშვადი ფუძეები ენებითში უკუმშველად იხმარება (ი. იმნაიშვილი, 1963, 204; ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 48). შეკუმშულია ხოლმე მოქმედებითი, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ I სერიაში: ზრდის, სჯის, დათხრის და მისთ (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 48). ზემოთ წარმოდგენილ მასალაში ასეთია: იზარდების (შდრ. ახ. ჭ. იზრდება), დაითხარების, დაისაჯების, დაიშალების, გამოიცადების, გარდაიჴადების.

3. ავ-იანი ზმნები

ყველა **ავ**-იანი ზმნის ენებითი ახალ ქართულში **ებ-ი** დაბოლოებაზე გადავიდა და მივიღეთ ასეთი დაპირისპირება: მოქმედებითში **ავ** თემის ნიშანი გვაქვს, ენებითში — **ებ**. **ებ** დაერთო არა უთემისნიშნო, არამედ **ავ**-იან ფუძეს. ეს **ავ** შეკუმშული სახით ზოგჯერ შემონახულია ფუძეში: დაიხვნება, დაიკვლება, დაიწვნება (შდრ. დაწნავს). მოყვანილ ფორმებში **ავ** გადასმულია, მაგრამ ეს ხდება არა ყოველგვარ ფუძეში, არამედ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, შდრ. რგ-ავ-ს — ირგ-ვ-ება. მაშასადამე, აქ სუფიქსთა მონაცვლეობა კი არა გვაქვს, არამედ ფუძის ახალი სუფიქსით გართულება ხდება.

ძველ ქართულში **ავ**-იანი მოქმედებითის შესაბამისი ენებითი ძირითადად აგრეთვე **ავ**-იანია. ოღონდ **ავ** შეკუმშულია: ავ → ვ. მას მოსდევს დინამიკური

ვნებითისათვის საერთოდ დამახასიათებელი ბოლოკიდური **ი**: შესთხზ-ავ-ს — შეითხზ-ვ-ის, დაჰკლ-ავ-ს — დაიკლ-ვ-ის, განიკითხ-ავ-ს — განიკითხ-ვ-ის, შეჰკრ-ავ-ს — შეიკრ-ვ-ის, მალ-ავ-ს — იმალ-ვ-ის, ფარ-ავ-ს — იფარ-ვ-ის...

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ძველ ქართულშივე საკმაოდ ხშირად გვხვდება **ებ** დართული ფორმებიც: იკითხვის — იკითხვების, მოიკითხვის — მოიკითხვების, აღმოიკითხვის — აღმოიკითხვების, დაიმალვის — დაიმალების, გამოისახვის — გამოისახების, დაიწუვის — დაიწუების, იხილვის — იხილვების...

ზოგიერთ შემთხვევაში **ებ**-იანი ფორმა ვნებითში ჩვეულებრივია, ამოსავალი **ავ**-იანი ფორმა კი ან იშვიათია, ან კიდევ თითქოს არ ჩანს. ასეთებია: იხილავს — იხილვების, ლოცავს — ილოცვების, ელოცვების, სტანჯავს — იტანჯვების, ზრახავს — იზრახების...

ენის განვითარების გარკვეულ დონეზე თემატური აფიქსების გამოყენების არე განსაზღვრულია. ისტორიულად კი ის ცვალებადია. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ვითარება შეიძლება გვქონდეს დიალექტებშიც. განვითარების სხვადასხვა დონეთა მონაცემების შერევასთან უნდა გვქონდეს საქმე, როცა ერთსა და იმავე ზმნას დაერთვის ხან ერთი, ხან მეორე აფიქსი. დასაშვებია აგრეთვე, რომ ეს ფაქტი დიალექტური წარმომავლობისა იყოს. ძველ ქართულში გვხვდება საწყისები წინამიგებვად, ურჰ. 323,30 და: მიგებებად, სინ. 149,8; ი. 12,13. ვნებითში **ავ** იჩენს თავს, **ებ** თითქოს არა გვაქვს: მიეგებვის. მსგავსი ვითარებაა ზემოთ მოყვანილ შლა — შალვა და იშალების ფორმებში. ასეთ შემთხვევებში ვნებითის მონაცემებს, ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს.

მოგვყავს საილუსტრაციო მასალა:

მიგებ-ვ-ად: ესე ნათესავი არავის მიეგებვის, ჯავ. აღწ. 239,18; მიეგებვიან, სინ. 145,25; მიეგებვოდა, საქმე 10,25; გამოეგებვოდა, მ. 8,34C; მრ. 5,2C.

მოზღუდ-ავ-ს: სიტყჳთა მით... მოიზღუდვოდა, სინ. 22,24.

დასთეს-ავ-ს: გულის-სიტყუანი კეთილნი დაეთესვოდეს, ისტ. ქრ. II,108,36.

მიითუალ-ავ-ს: ითუალავნ წელთა მისთა, სწავ. 141,25; მიგითუალავ, მოქც. 11,8; არცა ვედრებად მიითუალვის, სწავ. 281,12. ახალ ქართულში **ავ**-ის ნაცვლად **ო** თემის ნიშანი გვაქვს ამ ზმნაში: თვლის, მიითვლის. ფუძეც შეკუმშულია.

დაჰკლ-ავ-ს: დაჰკლვიდეს, მრ. 14,12; რომელი დაიკლვის, ბოლნ. 40,13; 41,4. შდრ. ჩუენთჳს დაიკლა, აბო, 53,1.

მოჰკლ-ავ-ს: მოიკლავს თავსა, ი. 8,22. ყოველნი მოიკლვიან, სინ. 214,7; რომელნი... მოიკლვიან, გობრ. 183,7; მოიკლვოდეს, ისტ. ქრ. II,71,11. შდრ. მოიკლა მეფჱ იგი, ევსტ. 37,34. ახალ ქართულში ამ ზმნას ვნებითი არ უკეთდება, გამოყენებულია სხვა ფუძე: მოკვდება.

განიკითხ-ავ-ს, სწავ. 82,25: ვდგა და განვიკითხვი, საქმე, 26,6; განიკითხვის, იქვე, 25,8C; სინ. 72,12; უკუეთუ ჩუენ განვიკითხვით, საქმე, 4,9; განიკითხვიან, ჯავ. 196,35; განიკითხვოდა, აბო, 78,17.

იკითხ-ავ-ს: ვიკითხავთცა, სინ. 239,26; აღმოიკითხავს, მ. 12,5C; სამარადისოდ იკითხვოდინ, ჯავ. 130,15 ქვ.; რომელი -ესე აღმოიკითხვის, იქვე, 242,20; რომელნი წარიკითხვიან, ბოლნ. 6,9.

ამათ გვერდით გვხვდება **ებ** დართული ფორმებიც: ჯუარი... იკითხვების, სინ. 233,17; ჯავ. 1,34; რაჟამს აღმოიკითხვებოდის სახარებაჲ, სინ. 11,24; საქმენი... აღმოიკითხვებოდიან, სწავ. 123,9; იქვე, 125,29; სინ. 156,5; მოიკითხავთ, ლ. 10,4; მოიკითხვების სახელი მეუღლისაჲ, სინ. 38,9.

შეჰკრ-ავ-ს: საკრველითა შეჰკრავს, სწავ. 145,7; შეიკრვის ენაჲ ჩემი, ბოლნ. 38,13; ჯავ. 133,3; შეიკრვიან ეშმაკნი, სინ. 259,1; სწავ. 150,29; ექუს. 114,1.

ჰკრძალ-ავ-ს: თაესა ჰკრძალავს, ვეფხ. 397,4; კრძალვაჲ, მ. 16,12; განკრძალვად, ლიმ. 105,21; ნურარას იკრძალვი, ნუცა ირიდები მათდა, ხრონ. 229,28; შდრ. ნ. ბარათაშვილის იკრძალვის („სული ობოლი"). მთაჲ ყოველი... ეკრძალვოდა, იოვ. და ეფთ. 92,21; არ მეკრძალოდა, ვეფხ. 38,1.

აქტივი **ებ** თემის ნიშნითაც გვაქვს: განაკრძალებს, ეფრ. 95,3; გამოცხ. 3,11 თ. ძვ. ქართულში ჩვეულებრივია სწორედ ამისი პასივი: ეკრძალების, სინ. 214,22; მრ. 6,20C.

ულოც-ავ-ს: ულოცვიდეს, ხანძთ. 260,28. ელოცვის არ შეგეხვედრია. ხანძთას შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა, ხანძთ. 260,23.

დაჰმალ-ავ-ს: დავჰმალავ, სინ. 174,1. პეტრე... ივლტოდა და იმალვოდა, სინ. 266,10; ასევე ისტ. ქრ. II,77,26; დაიმალვოდა, ფს. 56 სათ.

ებ სუფიქსიანი: რომელნი ივლტოდეს და დაიმალებოდეს, ისტ. ქრ. II,101,34.

დაჰმარხ-ავ-ს: დაჰმარხვიდა, ლ. 2,19; დაიმარხვის, ექუს. 40,32.

ასევე: გამოჰკუერავს — გამოიკუერვის, იობ. 28,2; დაჰნერგავს, სინ. 246,31 — დაენერგვის, ბოლნ. 18,6; შეჰრთავს — შეერთვი, სწავ. 150,28; მოერთვინ — კაც. აგ. 168,27; შთაერთვიან, ექუს. 102,28; შეჰმუსრავს, ჯავ. 105,15 ქვ. — შეიმუსრვინ, სწავ. 117,14; სინ. 52,28; შეჰმსჭუალავს — შეიმსჭუალვინ, სინ. 119,7; გან-, მოიპარავს — განიპარვის, სწავ. 153,3; მოიპარვიან, ჯავ. 233,5; გამოიპარვიან, იქვე, 233,6; რწყავს, ისტ. ქრ. II,17,36 — ირწყვოდა, ხანძთ. 273,11; იქვე, 282,11; დაჰფარავს, სინ. 173,36 — მეფარვი, იობ. 13,24; დაეფარვის, სწავ. 111,14; ლიმ. 100,13; დაჰფლავს, სწავ. 255,1 — დაეფლვი, სინ. 88,33; გამოსახავს, გამოცხ. 6,3 — გამოისახვის, ბოლნ. 31,7; იქვე, 60,3 ქვ.; მოსრავს, ფს. 77,34 — მოისრვოდეს, სინ. 252,1; ბოლნ. 85,9-10; განსტჯნავს, საქმე 7,59 — განიტჯნვოდეს, სწავ. 129,22; დაჰფარავს, სინ. 173,36 — დაიფარვის, სწავ. 9,19; იფარვიან, სინ. 192,10; შეძერწავს — შეიძერწვის, შეიძერწვიან, ჯავ. 105,15 ქვ.; განსძარცუავს, სწავ. 180,22; განეძარცუვოდა, სინ. 258,7; მოეძარცუვის, იქვე, 75,24; აღსძრავს, სინ. 38,3 — იძრვის, კაც. აგ. 150,8; ლევიტ. 11,14; აღიძრვის, სწავ. 164,25; შეიძრვი, ლიმ. 91,28; შეიწირავს, სწავ. 100,5 — შეიწირვის, სწავ. 83,3; ხანძთ. 290,39; დასწუავს, სწავ. 184,31 — დაიწუვინ, იქვე, 140,28; დაიწუვიედ, იქვე, 68,24; შესწუავს, ხაძთ. 269,8 — შეიწუვინ, ფს.

9,23; იობ. 30,17; სწყლავს, ეფრ. 88,11 — იწყლვოდეს, სინ. 135,26; მოვიწყლვოდით, სწავ. 76,3; შესჭურავს — შეიჭურვოდა, ტირიჭ. 187,38; აღიჭურვოდა, ზედ. 209,10; გამოჰხატავს, სინ. 116,1 — გამოიხატვის, ბოლნ. 31,7; დაჰჭშავს, გამოცხ. 3,7თ — დაიჭშვის, იქვე, 3,8თ; დაიჭშვიედ, სწავ. 60,11.

ავ-იან ზმნათა ერთი ნაწილის **ებ** დართული ვარიანტები იქვე მოვიყვანეთ. ასეთი ფორმები მოეპოვებათ სხვა ზმნებსაც. მაგალითად: დაეფარების, სწავ. 135,30; ირწყვებიან, ზარზმ. 320,4; გარეჯ. 239,21; ირწყვებოდა, ილ. ქართვ. 10,33; ირწყვებოდეს, ზარზმ. 335,26; 334,29; გამოისახების, ბოლნ. 64,6; იტჯრთების, სინ. 175,2; იწუების, ჯავ. 133,10; დაიწუები, სწავ. 73,12; დაიწუების, ექუს. 50,18; ჯავ. 192,3; სწავ. 246,7; დაიწუებოდა, ლიმ. 120,31; დაიწუებოდეს, სწავ. 14,26; დაიწუებოდის, სწავ. 93,26; ისტ. ქრ. II,96,14; დავიწუებოდით, მამ. სწ. 79,17; შეიწუების, იობ. 16,17; გამ. 3,2; შეიწუებოდა, სინ. 219,32; იოვ. და ეფთ. 96,11; სინ. 204,26; შეიწუებოდეს, დაბ. 43,30; ისტ. ქრ. II,43,19; შეიწუვებოდეს, ევაგრ. 223,30.

ზოგიერთი ზმნის ახალი (**ებ**-ით გართულებული) ფორმები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ძველი. მაგ., ირწყვების, იწუების... ზოგჯერ კი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ახალი ფორმები აღმოგვაჩნდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ძველი ფორმა ტექსტებში არსად იქნება შემონახული, მაგრამ იმას კი მიუთითებს, რომ ახალი ფორმები გაბატონებულია. ერთი ასეთი ზმნაა სტანჯავს, ეფრ. 85,21. ვნებითის ფორმები საკმაოდ ხშირია და **ებ** აფიქსიანია ყოველთვის: ვიტანჯები, ლ. 16,24DE; იტანჯები, იობ. 15,11; იტანჯების, ბოლნ. 36,1; ვიტანჯებით, სწავ. 95,3; 95,8; იტანჯებიან, იქვე, 51,6; იტანჯებოდა, იქვე, 146,2; 145,5; იტანჯებოდეს, ხანძთ. 229,12 და სხვა.

იხილავს ზმნის ვნებითის მოსალოდნელი **ავ**-იანი ფორმა მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა: ოდეს იხილვის სიზრქე მწუერვალთა მისთაჲ, ექუს. 83,4; **ებ**-იანი ფორმები კი ჩვეულებრივია. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ **ავ** II სერიაშიც გადაჰყვა ვნებითის ფორმებს, რომ მოქმედებითს არ დამთხვეოდა: იხილვა, სინ. 75,31; ხაძთ. 292,43; იქვე, 267,33; შდრ. მოქმ. იხილა. მაგალითები: იხილვების, ხაძთ. 312,19; სინ. 195,2; სწავ. 148,16; კაც. აგ. 160,3; იქვე, 150,16; იხილვებიან, ხაძთ. 313,17; ექუს, 60,3; ზარზმ. 325,15; იხილვებოდეს, ხაძთ. 299,35 და მისთ.

ასევეა: ზრახავს — იზრახების, სწავ. 76,27; იზრახებოდეს, სინ. 116,40; იზრახებოდენ, ჯავ. 94,16; ლოცავს — ილოცვების, ჯავ. 114,2 ქვ.; მამლავს — იმამლების, შდრ. იმამლვის; შინაჲცა ქათამი მარადის იმამლებიან,[1] ექუს. 112,20; აღმოსწყავს — აღმოიწყვებიან (თუალნი), სწავ. 93,28.

ახალ ქართულში რამდენიმე **ავ**-იანი ზმნა ძველი ფორმითაც იხმარება. ერთი მათგანია იწვის (ასევეა ეწვის, იძვრის, ერთვის და სხვა); მაგრამ მისი გამოყენება შემოიფარგლება მხოლოდ აწმყოს წრით, მყოფადის მწკრივებში (ე. ი. სრული ასპექტის შემთხვევაში) უკვე **ებ**-ის დართვა არის აუცილებელი (ა. შა-

[1] ასეა. უნდა იყოს ან: ქათამი იმამლებინ, ან ქათამნი... იმამლებიან.

ნიძე, 1953, 457): იწვის, იწვოდა, იწვოდეს, მაგრამ: დაიწვება, დაიწვებოდა, დაიწვებოდეს.[1]

როგორც ცნობილია, თემის ნიშანთაგან ახალ ქართულში „სიცოცხლის უნარი მხოლოდ სამს შესწევს. ესენია: **ავ, ებ, ობ**“ (ა. შანიძე, 1953, 432). ახალ-ახალი სახელის ფუძეებისაგან რომ ზმნა ვაწარმოოთ, რომელიმე ამ სუფიქსთაგანი უნდა გამოვიყენოთ. თუ აქტივი **ა — ებ** აფიქსებით იწარმოება, მისი ვნებითი სუფიქსიანია (ა. შანიძე, 1953, 292) და, მაშასადამე, **ებ** ექნება პასივსაც: ა-ნიავ-ებ-ს — ნიავ-დ-ებ-ა, ა-ლამაზ-ებ-ს — ლამაზ-დ-ებ-ა...

თუ მოქმედებითი გვარის ზმნა **ავ**-ით კეთდება, მისი ვნებითი პრეფიქსიანია (ა. შანიძე, 1953, 292), სუფიქსად კი **ავ**-ის ნაცვლად ახალ ქართულში ისევ **ებ** გვაქვს: დაღ-ავ-ს — იდაღ-ებ-ა, ცელ-ავ-ს — იცელ-ებ-ა...

ამის მიხედვით კარგად ჩანს, თუ როგორ ფართოვდება **ებ** თემის ნიშნის გამოყენების არე ვნებითი გვარის ზმნებში.

4. ამ-იანი ზმნები

ამ-იან ზმნათა რიცხვი საერთოდ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება მათი ვნებითის ფორმები. ვნებითში **ამ** სუფიქსი გადაჰყვება, ოღონდ ის შეკუმშულია: ამ → მ.

დასდგ-ამ-ს: დასდგმიდეს ცხედრებითა, საქმე 5,15; დაიდგმოდეს სავარძელნი, იობ. 29,7; დავადგამთ, გამოცხ. 9,9თ; გჳრგჳნი დაედგმოდა მას, სინ. 80,6.

თქუ-მ-ა: ბეთანია „სახლ მშჯდობის“ ითქუმის, სინ. 126,11; ასევე: ხანძთ. 290,40; სინ. 38,8; იქვე, 34,7; კაც. აგ. 150,17 და სხვა. XI ს. ერთ ხელნაწერში გვხვდება **ებ** დართული ფორმა: ითქუმების (ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, 1970, 104), ასევეა უფრო ადრინდელ ძეგლშიაც: ცხორებაჲ აღეთქუმებოდა, ისტ. ქრ. II, 42,20.

აღმოსთქუ-ამ-ს: რაოდენი აღმოითქუმოდის ჩუენ მიერ, ეფრ. 85,27; განსთქუ-ამ-თ, სინ. 125,20; სარწმუნოებაჲ თქუენი განითქუმის, ლიმ. 93,32; განითქუმოდა მისი იგი საკჳრველებაჲ, სინ. 144,12; მიმოსთქუ-ამ-ს: და მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი, ლ. 1,65.

დანთქ-ამ-ს: ნუ დამთქამნ მე, ფს. 68,16; წისქჳლი... მეყსა შინა დაინთქმის, გამოცხ. 18,22თ; რომელნიმე... დაინთქმიედ ღელვათა სიმძაფრითა, სწავ. 117,14; დაინთქმოდეს იგინი, ლ. 5,7; დაინთქმოდის უკეთურებაჲ, სწავ. 14,7.

რჭუ-მ-ა: რომელსა დარიალან ერჭუმის, აბო 58,5; ასევე: ი. 19,17C; აბო 54,1.

განასხ-ამ-ს, სწავ. 148,7: ჰურიათა იგი კრებული განისხმის, სინ. 92,17; მიისხმოდიან ვითარცა საცხოვარნი, სწავ. 16,23; წარისხმოდიან იგინი, იქვე, 123,2.

---

[1] სტილისტური მიზნით გამოიყენება ზოგჯერ ახ. ქართულში **ავ**-იანი ფორმები: იუღვლის, იბრუნვის... შდრ. იუღლება, იბრუნება... მოქმედებითია აუღლებს, აბრუნებს, **ავ**-იანი ვარიანტი თითქოს არ ჩანს.

დასხ-მ-ა: ხოლო თქუენ რასაღა... დამესხმით, კოსტ. 169,23; დაესხმით კაცთა ზედა, ფს. 61,47Ქ; ზედაცა დაესხმიედ მას, მრ. 3,10C.

ჯუარს-აცუ-ამ-ს: კუალად ჯუარს-ეცუმია, უფალო, სინ. 246,22; ჯუარს-ეცუმოდა, სინ. 82,8.

გარდააცუ-ამ-ს: მშჯლდსა მისსა გარდაუცუამს, ფს. 7,13; რომელიცა იგი გარდაეცუმის... საწუთროსა, ეფრ. 88,11.

განუხუ-ამ-ს მათ ბჭეთა, ეფრ. 95,8; წიგნნი იგი მატიანთანი განეხუმოდიან, სწავ. 123,8.

საერთო ვითარების მიხედვით სუამს ზმნის ვნებითი უნდა იყოს ისუმის. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთადერთი ფორმა, რომელიც **ებ** სუფიქსიანია უკვე; ყოველი საშმელი, რომელი იჭამების... და ყოველი სასუმელი, რომელი ისუმების, ლევიტ. 11,34; როგორც აქედანაც ჩანს, **ებ** დაერთვის **ამ** თემის ნიშნიან ფორმას: ისუ-მ-ებ-ის. შდრ. ითქუ-მ-ებ-ის.

ამ-იანი ზმნები სხვაცა გვაქვს:[1] გამოაბამს, სინ. 134,29; მოართუამს, მ. 4,24; გარე-შეირტყამს, სინ. 9,1; შეარწყამს, სინ. 49,34; დაასხამს (ნელ-საცხებელსა ძუალთა), სინ. 258,39; გარდაასხამს, შთაასხამს (ღელვათა ნავსა), მრ. 4,37; წინა-დაუსხამს (ასოთა), სინ. 173,34; განუსხამს (ეკალთა), დააცუამს (თავთა ძელსა), ისტ. ქრ. II,103,10; შთაიცუამს, სინ. 108,3. სავარაუდოა, რომ ამათი ვნებითის უძველესი ფორმები ზემოთ მოყვანილთა მსგავსად იქნებოდა აგებული: გამოებმის, მოერთუმის, განესხმის...

5. ემ თემისნიშნიანი ზმნები

ცნობილია, რომ **ემ** აფიქსი აქვს ერთდაერთ ფუძეს (ცემ), რომელსაც ზმნისწინთა დართვით რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს მიღებული (ა. შანიძე, 1953, 407). ეს ზმნები ძირითადად სამპირიანია და, მაშასადამე, **ე**-ნიანი ვნებითი შეესაბამება. **ემ** თემის ნიშანი ჩვეულებრივ ვნებითშიც გადაჰყვება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკმარისია, მას აღარაფერი ემატება არც ძველს, არც ახალ ქართულში.

სც-ემ-ს: საიდუმლოჲ მეცემის ყურთა ჩემთა, ბოლნ. 41,8; ყოველთა მათ ეცემინ სისურნელე, ზედ. 214,2; ეცემოდა, სინ. 60,18.

აღმოსც-ემ-ს: ერთისგან... წყაროჲსა... აღმოეცემის მადლი იგი, სინ. 17,31; აღმოეცემიან, ექუს. 68,11. შდრ. წყალი აღმოეცა, სინ. 10,14; მთათა ჩემთა გამოეცემოდა სძჱ, იობ. 29,6; ზღუაჲ იგი დასავალისაჲ... ოდესმე აღემატის და გარდაეცემინ, და ოდესმე დამდაბლდის, ექუს. 93,30; მდინარე, რომელსა ჰრქჳან ფასის, გარდამოეცემის მწუერვალთაგან კავკასიისათა, ექუს. 46,19; გარდამოეცემოდეს... წყალნი, ფს. 77,16.

ასევე: დასცემს, მ. 26,31 — დაეცემის, ექუს. 54,16; სინ. 75,28; ფს. 81,7; მისცემს, სწავ. 104,9-10 — მიეცემის, ხაძთ. 282,35; მრ. 14,21; იობ. 21,30 და სხვა. ეგევე ფუძე გვაქვს რთულ ზმნაში: თაყუანს სცემს, ნუგეშინის-სცემს, გარეჯ. 239,14; სადაც პირდ. ობიექტური პირი რთულ ზმნაში შედის და ამიტომაც ფორმა მთლიანად ორპირიანად არის ქცეული. მიუხედავად ამისა,

[1] ეს სია, რა თქმა უნდა, სრული არაა.

გვხვდება მათი ი-ნიანი ვნებითიც და ე-ნიანიც: დიდად ნუგეშინის-მეცემის, ჯავ. 130,18 ქვ.; მოიკვნებენ და ნუგეშინის-ეცემის, სწავ. 141,1. ი-ნიანი ფორმები მხოლოდ ძველ ქართულში გვხვდებოდა და ჩვენი მასალის მიხედვით ებ-საც ირთავს: რომლისა მიერ ნუგეშინის-იცემებოდის, ზედ. 208,32; თაყუანის-იცემების ძწ, სინ. 16,8; იქვე, 134,33; იქვე, 53,4; ბოლნ. 16,7 ქვ.; ზედ. 196,12; ეშმაკი თაყუანის-იცემებოდა, სინ. 234,2; 82,4; ბოლნ. 28,4 ქვ.

ძველად გვქონდა: სცემს — სცა (მან მას კუერთხი); ზმნა სამპირიანი იყო და ი-ნიანი ვნებითი თითქოს არ უნდა ჰქონოდა. როგორც ჩანს, ერთი პირი ზმნას ძვ. ქართულშივე ეკარგებოდა ზოგჯერ, რასაც გვიჩვენებს ვნებითის ფორმა: ჴელნი, რომელნი მან დაჰბადნა, მათგან იცემა, სწავ. 151,15. მოსალოდნელი იყო: იცა, მაგრამ თემის ნიშანი ადრევე შეხორცებული ჩანს ფუძესთან.

ამ ზმნათა ერთი ნაწილი დაიკარგა, აღარ იხმარება, მეორე ნაწილი ისევ გვხვდება და მათ ძველი წარმოება აქვთ შენარჩუნებული.

6. ებ-იანი ზმნები

ებ თემის ნიშანი ძლიერ გავრცელებულია მოქმედებითში, აქედან კი — შესაბამის ვნებითში. ვნებითის ორივე პრეფიქსი თანაბრად ხშირად გამოიყენება. აქ ვნებითი უკეთდება თითქმის ყოველგვარ ზმნას. ახალ ქართულში ამ ფორმათა ერთი ნაწილი აღარ გვხვდება.

აბრალებ, სწავ. 148,11 — ვიბრალები, საქმე 26,7; ვიბრალებოდით, სწავ. 41,12; ბრძანებს — იბრძანებოდა, სინ. 34,28; მოიგებს — მოიგების, ევაგრ. 225,32; სწავ. 6,25; აგინებნ, ბოლნ. 50,18 — იგინების, სწავ. 29,28; შეიგინების, ბოლნ. 38,12; ჰგულებს — იგულების, სწავ. 175,8; დავსდებ, ი. 10,15 — დაიდების, სინ. 210,22; გარდაიდების, ბოლნ. 70,3; შთაიდებოდა, ი. 12,6; ადიდებს — იდიდების, სინ. 15,32; აბო 51,25; შეაერთებს — შეიერთების, ეფრ. 81,38; იქვე, 82,13; დაივიწყებს — დაივიწყების, სწავ. 91,24; სინ. 265,21; განაზოგებს, კაც. აგ. 160,16 — განიზოგების, იქვე, 164,5; იკადრებს(?) — იკადრებოდა, ხანძთ. 266,18; შდრ. ჰკადრებს. განჰკურნებს[1], სინ. 11,33 — განიკურნების, სინ. 4,26; სწავ. 108,30; ჰმსახურებს, სწავ. 175,6 — იმსახურების, საქმე 17,25; სინ. 233,5; მოინადირებს — მოინადირების, ექუს. 130,26; ანათებს — ინათებინ, სწავ. 182,16; ინატრებს — ინატრებიან, სინ. 92,18; განაპებს, დაიპებს:[2] დაიპებდეს, ისტ. ქრ. II,44,22; განპებად, იქვე, 38,6 — განიპების, ექუს. 54,1; ჰპოვებ, ლ. 23,14; შდრ. ახ. ქ. ვიპოვი[3] — იპოვების, ლიმ. 39,12; ექუს. 132,23; იობ. 28,13; გასწავებს, სინ. 167,1 — ისწავების, იქვე, 195,2; მიიყვანებს, მ. 7,14; შდრ. ახ. ქ. მიიყვანს — მიიყვანებოდის, სწავ. 180,9; შეიყუარებს — შეიყუარების, ჯავ. 85,21; აჩინებს, ჯავ. 41,16 ქვ. — იჩინების, სინ. 234,30 და მისთ.

---

[1] ახ. ქართულში ჰგ-იანია: განკურნავს, ვნებითსა და საწყისს ძველი წარმოება შემორჩათ: განკურნება, განიკურნება.

[2] ახ. ქართულში ამ ზმნას ობ აფიქსი აქვს აქტივშიაც და პასივშიაც: გააპობს — გაიპობა.

[3] ზმნისწინიანს ისევ ებ აქვს: მოიპოვებს.

ე-ნიანი ფორმები: დაჰბადებს[1] — დაებადების, სინ. 31,18;[2] შევჰვედრებ, ფს. 30,6 — ევედრების, კაც. აგ. 156,16; განჰზავებს — განეზავების, სწავ. 63,4; შეეზავებიან, სინ. 212,5; მიჰმადლებდა, ლ. 7,21 — მიემადლების, ეფრ. 89,1; მიემადლებოდა, შუშ. 22,24; აღჰმართებს, ისტ. ქრ. II,103,11[3] — აღემართების, სინ. 202,32; სწავ. 110,6; წარჰმართებენ, ფს. 67,18 — წარემართების, ფს. 36,23; ჰპოვებს[4] — ეპოვების, სწავ. 127,20; ევსტ. 34,18; აპკურებს, სწავ. 65,11 — ეპკურების, გობრ. 181,34 და სხვა.

7. ობ-იანი ზმნები

ახალ ქართულში **ობ**-იან ზმნებს ჩვეულებრივ ვნებითშიც **ობ** აქვთ, თუ პასივი პრეფიქსიანია. **ობ**-იან ზმნათა ერთი ნაწილის ფარდია ე. წ. უნიშნო ვნებითი, რომელსაც მხოლოდ **ებ** ახასიათებს: ალპობს — ლპება, ათბობს — თბება, აცხობს — ცხვება... საყურადღებო ვითარებაა ძველ ქართულში: გვხვდება მოსალოდნელი **ობ**-იანი ფორმებიც, მაგრამ საკმაოდ ხშირად პრეფიქსიანი ვნებითი **ობ**-იანი ზმნებისა **ებ**-ს გვიჩვენებს ამ **ობ**-ის ადგილას.

განბეჭ-ობ-ს: სიკეთე იგი დაბადებისათჳს განიბეჭობვის, ექუს. 61,10.

ჰგმ-ობ-ს, მ. 9,3: იგმობის სახელი ღმრთისა ჩუენისაჲ, ჯავ. 227,15; მაგრამ: ღმერთიცა იგმებოდა, სწავ. 137,9; რომელი-იგი... იგმებოდა, ლიმ. 74,8.

დაათრ-ობ-ს: ნუ დაითრობით ღჳნითა, ზედ. 203,35Ⴝ. ვარიანტებია: დაითრვობით, Ⴒ (შდრ. დაითრვნიან, ი. 2,10) და: დაითრობვით, რომელიც სქოლიოშია ჩატანილი.[5] შდრ. ნუ დაითრვები ღჳნითა, ბოლნ. 82,4 ქვ.

დაალტ-ობ-ს, ევაგრ. 218,19: ცრემლითა ილტობვოდეს, იოვ. და ეფთ. 91,17. ვარიანტები: ილტობოდეს (რამდენიმე ხელნაწერში), ივლტებოდეს (ერთ ნუსხაში). როგორც ჩანს, ამ ზმნის ფუძეშიც გვქონდა **ვ**, რომლის ადგილი **ლტ**-ს შემდეგ იყო: ფერჳნი მათნი არა დაილტვნეს, ევსტ. 40,8; დაილტვნიან, სინ. 64,15.

შეამკ-ობ-ს, სინ. 116,1: დღეს თაბორი... შეიმკების ღრუბლითა ნათლისაჲთა, სინ. 191,18.

აღიმსთ-ობ-ს, ფს. 62,2:[6] მოიქცევიედ და აღიმსთობიედ, ფს. 77,34.

შეიპყრ-ობ-ს: ნუ შეიპყრობინ გონებაჲ შენი, ისტ. ქრ. II,14,29. შდრ. სამსა მას დღესა... ჯოჯოხეთისაგან იპყრობებოდა, სინ. 82,11. აქედანაც ჩანს, რომ **ებ** სხვა თემის ნიშნებს კი არ ენაცვლება, არამედ მიერთვის მათ, ართულებს ფუძეს.

---

[1] ე-ნიანი ზმნების ერთი ნაწილი შინაარსით ერთპირიანია. ესენია ცნობილი „დაჰბადა" ტიპის ზმნები.

[2] იშვიათად ამ ზმნას შენარჩუნებული აქვს ორივე პირის გაგება: შვილი არა მებადების (= მიჩნდება, ისტ. ქრ. II,86,3).

[3] შდრ. ახ. ქ. აღმართავს.

[4] სამპირიანი არ ჩანს ტექსტებში.

[5] ხელნაწერი, რომელშიც გვხვდება ეს უკანასკნელი, საფუძვლად უძევს Ⴒ რედაქციას. არ ჩანს, დაითრვობით ფორმა ⊂ ნუსხაში გვაქვს, თუ გამომცემლის შესწორებაა.

[6] ზმნა უობიექტოა. სუბიექტი მოთხრობითში შეეწყობა.

მოსპ-ობ-ს, სწავ. 180,14: მოვისპები მე სულითა მიმოტაცებულითა, იობ. 17,1.

შ-ობ-ს: კაცი იშვების სალმობად, იობ. 5,7; ასევე: სინ. 31,18; სწავ. 31,5 და სხვა.

შეაშთ-ობ-ს, მ. 18,28: კაცი იგი იშთვებინ, სწავ. 140,11; ეშმაკისაგან იშთვებოდა, ლიმ. 111,21; დაიშთვებოდეს ზღუასა შინა, მრ. 5,13C.

მოუთხრ-ობ-ს, ფს. 9,12: დღეს... განცხადებულად მოგუეთხრობის ჩუენ, სინ. 3,30; რომლითა მოგუეთხრობვის ღმერთი, კაც. აგ. 167,21.

დაამჯ-ობ-ს: მთავრობაჲ მისი დაემჯობვის, პალ. ალბ. 208,19; ადრე დაემჯობვის მეფობაჲ მისი, იქვე, 208,29.[1]

მიანდ-ობ-ს: ნუ მიენდვები თავსა შენსა, სწავ. 287,1; იქვე, 304,27.

შეუნდ-ობ-ს, სწავ. 40,1: არა შეენდობის მათ, იქვე, 40,2; შეენდობოდა ბრძოლად, იქვე, 309,29; შეენდობვოდა შესლვად, ხრონ. 138,26.

მიაყრდნ-ობ-ს: კედელსა არავინ მიეყრდნობინ, იოვ. და ეფთ. 70,8; შდრ. კედელსა... არავინ მიეყრდნებოდა, ხანძთ. 266,5.

წყ-ობ-აჲ: მარხვითა გუეწყობის, ისტ. ქრ. II,40,21. უფრო ხშირია **ებ**-იანი ფორმები: სიმდაბლესა ეწყვების ამპარტავნებაჲ, სწავ. 70,19; ჰბრძავნ და ეწყვებინ, იქვე, 18,30; 108,1; ეწყვებიან, იქვე, 108,26; წინა-გუეწყვების, ზედ. 205,8; ეწყვებოდა, აბო, 60,10; სინ. 117,38; გუეწყვებიან, კაც. აგ. 153,23.

მოყვანილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ ვნებითში **ობ**-ის მონაცვლედ თითქმის ყოველთვის გვაქვს **ებ**: იგმობის — იგმების, დაითრობის — დაითრვების, ილტობვის — ივლტების, ეწყობის — ეწყვების... ზოგი ზმნის **ობ**-იანი ფორმა ჩვენი მასალის მიხედვით არ ჩანს, არის მხოლოდ **ებ**-იანი ფორმები: შეიმკვების, მოისპების, იშვების, იშთვების. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ზმნის ფუძეში თავს იჩენს **ვ**, რომელიც შეკუმშული თემის ნიშანი უნდა იყოს: დაითრვები, შეიმკვების, იშთვების, მიენდვები...

ამ ვითარებაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოყვანილ ზმნათა **ობ** მეორეულია თვით მოქმედებითში. მისი წინამორბედი უნდა იყოს **ებ**, რომელიც **ვ**-ინთან ურთიერთობაში გვაძლევს **ობ**-ს. ეს ვარაუდი სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია (G. Deeters, 1930, 126; ე. ოსიძე, 1963, 13, 16). წარმოდგენილი მასალაც მას უჭერს მხარს.

იგივე **ვ** ანალოგიის გზით გადასულა **ობ**-იან ვნებითშიც, ოღონდ გადასმულია, რადგან **ო**-ს წინ იყო მოქცეული. ზოგ შემთხვევაში კი **ვ** იკარგება, როგორც მოსალოდნელი იყო: განიბჳობვის ← განიბჳვობის, დაითრობვით ← დაითრვობით, ილტობვოდეს ← ილტვობოდეს, მოგუეთხრობვის ← მოგუეთხრვობის, დაემჯობვის ← დაემჯვობის, შეენდობვის ← შეენდვობის...

მაშასადამე, ვნებითის ჩვენება ამ შემთხვევაში მოქმედებითის ფორმათა ისტორიას გვითვალისწინებს; მასში უფრო ძველი ვითარებაა დაცული. **ობ**-იანი ზმნების ვნებითში **ობ**-ის გვერდით **ებ**-ის გამოყენება ამ თემის ნიშანთა უბრა-

[1] ხელნაწერი გვიან გადაწერილია (1661 წ.). მაგრამ მაინც შესაძლებლად მივიჩნიეთ მისი დამოწმება, რადგან თვით ეს ფორმებია ძალზე საყურადღებო.

ლო მონაცვლეობა არ უნდა იყოს და არც ვნებითში **ებ**-ი დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენციის გამოხატულება. ახალ ქართულში **ებ** ვნებითის ყველაზე გავრცელებული აფიქსია, მაგრამ **ობ**-იან ზმნებთან ის არ გვაქვს. ამასთან **ებ** გზას იკაფავს ვნებითებში არა მონაცვლეობის საშუალებით, არამედ ისე, რომ ძველ აფიქსს მიერთვის (შდრ. იპყრობებოდა).

8. ოფ-იანი ზმნები

ოფ აფიქსიც ერთ ფუძეს აქვს: **ყოფ.** ახალ ქართულში ეს ფუძე მხოლოდ ზმნისწინთან ერთად გვხვდება, ძველად უზმნისწინო ფორმებიც ჰქონდა: ჰყოფს, განჰყოფს... აქვს პრეფიქსიანი ვნებითი. **ი**-ნიანი ფორმები ან აქტივის მსგავსად **ოფ**-ს გვიჩვენებს, ან ამასთან ერთად ერთვის **ებ**-იც. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი და საერთო ტენდენციის გამომხატველია: იყოფის → იყოფების; განიყოფის → განიყოფების... იყოფების ფორმა ახალ ქართულში იმყოფება-მ შეცვალა, რომელშიც **მ** გაჩენილი უნდა იყოს მყოფი მიმღეობის გავლენით.

ე პრეფიქსიანი პასივი მოქმედებითის ფუძეს იმეორებს, **ებ** აქ არ ჩანს.

ჰყ-ოფ-ს: ვიყოფვი, ლიმ. 120,21; იყოფვის, სინ. 229,4; იყოფვით, ფს. 31,9; იყოფით, მ. 6,16; **ვ** შენარჩუნებულია უწვეტელშიც, **ო**-ს წინ: იყოფვოდა, აბო, 66,8; ლ. 21,37; იყოფვოდეს, კოლ. 184,41.

ვ, რომელიც მოქმედებითიდან მოდის, ამ ზმნაშიც გადასმულია (იყვოფის → იყოფვის), ან იკარგება **ო**-ს წინ, აგრეთვე **ებ**-ის დართვის შემთხვევაში.

ებ დართული ფორმები არაიშვიათია: იყოფების, სწავ. 20,9; იქვე, 76,28; იყოფებოდა, ლიმ. 132,32; იყოფებოდეს, გარეჯ. 231,25; გულისხმა-იყოფების, ჯავ. 634,8.

უყ-ოფ-ს: სარგებელ ეყოფვის, სინ. 276,23; გეყოფის, ხანძთ. 319,2; ეყოფინ, იქვე, 289,35; ეყოფვოდა, ლიმ. 47,13 და სხვა.

განჰყ-ოფ-ს: სული არა განიყოფვის, სინ. 186,16; ექუს. 84,10; კაც. აგ. 164,5; განიყოფების, ეფრ. 81,39; განიყოფებიან, იქვე, 98,37... განუყ-ოფ-ს: განეყოფვის, სინ. 17,29; განეყოფის, სინ. 9,4; განეყოფვოდეს, ისტ. ქრ. II,104,14. შეჰყ-ოფ-ს: შეეყოფვის იგი ჰაერსა, ექუს. 60,20; კაც. აგ. 166,23.

9. ევ-იანი ზმნები

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში **ევ**-იან ზმნათა ვნებითში მეორდება მოქმედებითის ფუძე, მათი სახით დღესაც შემონახულია ვნებითის ძველი წარმოება. ამ მხრივ **ევ**-იანი ზმნები განსხვავდებიან სხვა ხმოვანმონაცვლეებისაგან, რომელთაც **ებ** აფიქსიც დაერთვის ვნებითში.

განაბნევს, მ. 12,30 — განიბნევის, ბოლნ. 18,3; განსთხევს, სწავ. 176,25 — დაითხევის, ექუს. 58,4; მიითხევის, იქვე, 58,3; აკურთხევს, აბო, 47,12 — იკურთხევის, სწავ. 19,11; განჰლევს, სწავ. 135,12 — განილევის, სინ. 191,12; აღამრღუევს — აღიმრღუეოდეს, მოქც. 127,30Ղ; დაარღუევს, მრ. 15,29 — დაირღუევოდა, საქმე 27,41Ⴑ; არყევს — ირყევიან, აბო 50,12; განარჩევს — განირჩევიან, ეფრ. მც. 92,23; აქცევს, სწავ. 117,16 — იქცევის, ლიმ. 91,19; დააქ-

ცევს, ისტ. ქრ. II,40,24 — დაიქცევის, სწავ. 44,5; იძევს, იოვ. და ეფთ. 79,7 — გამოიძევის, ჯავ. 26,28.

გარდამოსთხევს, სწავ. 275,16 — გარდამოეთხეოდეს, ფს. 17,9C; მივემთხუევი, იობ. 17,1, შეემთხუევის, კაც. აგ. 145,6; აღჰრევს — აღერევი, ლიმ. 125,3; გარდაჰრევს — გარდაგერეოდის, ფს. 61,11C; დასტევს — დაეტევის, ი. 8,37E; შესწევს, სწავ. 175,18 — შეეწევის, სინ. 11,36; მოახუევს — მოეხუევის, ბოლნ. 50,15 და სხვა.

სუფიქსიანი ვნებითი

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ვნებითს ორი სუფიქსი ახასიათებს: **ნ** (← **ენ**), **დ**. მათ ფუძეები, ასე ვთქვათ, განაწილებული აქვთ: ნარნარა ბგერებით დასრულებულ ზმნებში **დ** გვხვდება, დანარჩენებში — **ნ** (ა. შანიძე, 1959, 37).

როგორც უნდა იყოს სუფიქსიანი ვნებითი ნაწარმოები, მის აწმყოს (და საერთოდ I სერიის) ფუძეს ყოველთვის ექნება **ებ** აფიქსი ძველ ქართულშიც, ახალშიც, აქ ესაა ერთადერთი, დამახასიათებელი თემის ნიშანი. **ებ** თემისნიშნიანია ძირითადად შესაბამისი მოქმედებითიც.

განადიდებს — განდიდნების, საქმე, 19,17; დააღუმებს — დაღუმნების, ხანძთ. 286,30; განალაღებს — განლაღნების, სინ. 189,20; განამტკიცებს — განმტკიცნების, სინ. 99,7; დაამშჯდებს — დამშჯდნების, ფს. 82,2C; დაამწიფებს — დამწიფნების, ექუს. 73,22; განარისხებს — განრისხნების, ხანძთ. 288,39; აღაშფოთებს — აღშფოთნების, ლიმ. 125,27 და მისთ.

განაახლებს — განახლდების, სინ. 3,10; დააბრკოლებს — დაბრკოლდების, სინ. 100,2; გამოაბრწყინებს — გამობრწყინდების, ექუს. 95,1; დააკლებს — დაკლდების, ბოლნ. 36,8; მოაკლდების, იობ. 14,11; დააკვრებს — დაუკვრდების, აბო 78,6; აღამცირებს — აღმცირდების, სინ. 105,5; მოაუძლურებს — მოუძლურდების, ექუს. 91,22; აღაფრინვებს — აღფრინდების, სინ. 3,10; განაქარვებს — განქარდების, სინ. 19,9; აწყმებს — წყმდების, სინ. 221,23 და სხვა.

გამონაკლისია რამდენიმე ზმნა: განსწმედს — განწმიდნების, სინ. 74,20; განჰკაფს — განკფდების, სწავ. 60,30; მოჰკაფს — მოჰკფდების, სინ. 223,15; განხეთქს — განსთქდების, საქმე, 7,54; აღტეხს — აღტყდების, გამ. 24,17; ესაია 10,16; განტყდების, სინ. 119,5; მისტყდების, მოქც. 148,4C; დაჰკნის — დაჰკნდების, ი. 7,23C. ამათგან ზოგს პრეფიქსიანი ვნებითიც უკეთდება: განიწმიდების (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 51), მოიკაფოს, სინ. 157,28, განიკაფნეს (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 39), განიტეხე, იქვე; განეკნა, დაიკნეს, იქვე, 41; რაც ბუნებრივია, რადგანაც ეს ზმნები ერთთემიანი ან ხმოვანმონაცვლეა და პრეფიქსიანი ვნებითი იყო სწორედ მოსალოდნელი.

უნიშნო ვნებითი

უნიშნო ვნებითი ზმნათა უძველესი ჯგუფია (ა. შანიძე, 1953, 239). ვარაუდობენ, რომ მისი წარმოქმნა წინ უსწრებს საერთოდ გვარის ჩამოყალიბებას ქართულში (ქ. ლომთათიძე, 1953, 77; გ. მაჭავარიანი, 1959, 109). ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის თავისებურებები, რომელთაც უნიშნო ვნებითი

იჩენს სათანადო მოქმედებითთან მიმართებით. ისტორიულად ამ ტიპის ზმნათა ურთიერთობა შესაბამის მოქმედებითთან სხვაგვარია, ვიდრე სხვა ჯგუფების ვნებითებისა (გ. მაჭავარიანი, 1959, 128-129). ცნობილია, რომ უნიშნობას ერთგვარად „ანაზღაურებს“ ის, რომ მათ ახასიათებთ **ებ-ი** დაბოლოება აწმყოში (ა. შანიძე, 1953, 229, 423); ესაა, ასე ვთქვათ, მეორეული ნიშანი მათთვის (გ. მაჭავარიანი, 1959, 101). სრულიად სხვა ვითარებაა მოქმედებითში. **ებ** თემის ნიშანი აქ თითქოს მხოლოდ ერთ ზმნას აქვს: განაძღებს, იოვ. და ეფთ. 78,26, შდრ. განძღების, ბოლნ. 36,1. უნიშნო ვნებითის ერთ ნაწილს ფუძედრეკადი ზმნები შეესაბამება (წარსწყმედს, შეჰკრებს, მისდრეკს, დაშრეტს... შდრ. წარწყმდების, მრ. 4,38; შეკრბების, ექუს. 91,34; მიდრკების, ისტ. ქრ. II,102,24; დაშრტების, მ. 25,8...); მეორე ჯგუფს მოქმედებითში **ობ** თემის ნიშანი აქვს: დაადნობს, სწავ. 176,24 — დადნების, იქვე, 140,12; აკრთობს, სინ. 33,32 — ჰკრთების, სინ. 29,24; ატფობს, აბო, 55,2 — ტფების, ექუს. 99,26; განაცხრობს, ლიმ. 1,11 — განსცხრების, ჯავ. 228,9; დააჭნობს, ილ. ქართ. 11,15 — დაჭნების, სწავ. 10,17 და სხვა.

უნიშნო ვნებითის მესამე ნაწილს მოქმედებითში ან კაუზატივის სხვადასხვა აფიქსებით წარმოქმნილი ფორმები უპირისპირდება, ან მოქმედებითი არ ჩანს. მაგ.: აღდგების, ლ. 7,22 — აღადგინებს, სინ. 105,25; მოკუდების, შუშ. 21,23 — მოაკუდინებს, ზედ. 205,21... სცთების, ესაია 21,4 — აცთუნებს, ესაია 9,16... არის სხვაგვარი ზმნებიც. მაგრამ ესეც საკმარისია.

როგორც ვხედავთ, უნიშნო ვნებითის შესაბამის მოქმედებითში საკმაოდ ჭრელი სურათია, ვნებითი კი ცალკე დგას და თემის ნიშნების მიხედვით ერთგვაროვანია. ვარაუდობენ, რომ **ებ** სუფიქსი უნიშნო ვნებითში გვიანდელია, პირველადი ვნებითიდან გადასული დინამიკურ უგვარო ზმნებში (გ. როგავა, 1954, 93).

ამგვარად, პრეფიქსიანი და სუფიქსიანი ვნებითი თემის თვალსაზრისით ძირითადად შესაბამის მოქმედებითს მიჰყვება. განსხვავება თავს იჩენს მაშინ, როცა მოქმედებითი უთემისნიშნოა (ერთთემიანი და ფუძედრეკადი ზმნები), ან **ი** თემის ნიშანი აქვს. სუფიქსიან ვნებითებში ამ მხრივ გამონაკლისი თითქმის არ შეინიშნება — **ებ** აფიქსიანია მოქმედებითიც და ვნებითიც.

პრეფიქსიანი ვნებითის ფარდი აქტივი, თემის ნიშნების მიხედვით, შედარებით მრავალფეროვანია. აქ გვხვდება, აღნიშნულთა გარდა, **ავ**, **ამ**, **ემ**, **ებ**, **ობ**, **ოფ**, **ევ** თემისნიშნიანი ზმნები, როგორც ვნახეთ, ყველა ეს აფიქსი დასტურდება ვნებითშიც.

ახალ ქართულში მოქმედი უნიფიკაციის ძლიერი ტენდენციის გამო პრეფიქსიან ვნებითში თანდათან ვრცელდება **ებ** დაბოლოება. ამ დაბოლოებაზე თითქმის მთლიანად გადავიდნენ **ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები. **ებ** ჯერ-ჯერობით არ სჩირდება **ემ**, **ობ**, **ოფ**[1] და **ევ**-იან ზმნებს. მათ შეინარჩუნეს ძველი წარმოება. მაგრამ ესენი შედარებით მცირერიცხოვანია. ზოგიერთ დიალექტში ძველი ფორმები დღესაც შემორჩენილია. ასეთია, მაგალითად, ე. წ. მთის კილო-

[1] ზოგჯერ აქაც იჩენს თავს: გაყოფს — გაიყოფა, მაგრამ: განიყოფება.

ები. ფშაურიდან ეს ფორმები შესულია ვაჟას ნაწერებში და, მაშასადამე, სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს (ი. იმნაიშვილი, 1968, ბ, 122-130).

როგორც გაირკვა, ვნებითს თითქმის ყველა თემის ნიშანი აქვს, რაც კი საერთოდ არსებობს. მაშინ რამ განაპირობა არჩევანის შეჩერება მაინცდამაინც **ებ** აფიქსზე? **ებ** აფიქსი ყველაზე გავრცელებულია არა მარტო ახალ ქართულში, არამედ ძველშიაც. ვნებითში, კერძოდ, **ებ** აქვთ სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებს მთლიანად. **ებ**-იანი ზმნები ყველაზე მრავალრიცხოვანია პრეფიქსიან პასივშიც. აქ ის გვხვდება არა მხოლოდ იმ ზმნებში, რომელთაც აქტივიც **ებ**-ით ეწარმოებათ, არამედ უთემისნიშნო და **ო**-ნიანი მოქმედებითის შესაბამისადაც.

VIII. ვნებითის სხვადასხვა წარმოების მონაცვლეობისათვის ქართულში

გვარის ფორმათაგან ქართულში თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ვნებითი. მას ახასიათებს როგორც პრეფიქსიანი, ისე სუფიქსიანი წარმოება, რომელთაგან თითოეულს თავისი გამოხატვის საშუალებები აქვს. პრეფიქსები **ი** და **ე** პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს დაერთვის, **ი** — ერთპირიანებს, **ე** — ორპირიანებს, სუფიქსები — **ენ (ნ)**, **დ** კი მოუდის როგორც ერთპირიან, ისე ორპირიან ვნებითებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ქცევის მიხედვით განსხვავდებიან: ერთპირიანი სუფიქსიანი ვნებითის ფორმა საარვისო ქცევისაა, ორპირიანი — სასხვისოსი.

ურთიერთობა ვნებითის პრეფიქსიან და სუფიქსიან ფორმებს შორის, მათი გენეზისი დიდი ხანია იქცევს სპეციალისტების ყურადღებას (ა. შანიძე, 1973, 280-313, 443-463; მისივე, 1919-1920; ვ. თოფურია, 1940, 534-536; მისივე, 1942; ლ. ნოზაძე, 1958, 129-134; მისივე, 1961, 63-72; ფ. ერთელიშვილი, 1960, 77-91; ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 27-54; გ. მაჭავარიანი, 1973; ბ. ჯორბენაძე, 1975; თ. უთურგაიძე, 1976; კ. დანელია, 1976; მ. სუხიშვილი, 1980).

„პრეფიქსიანი ვნებითი საზოგადოდ პირველად ზმნებს ახასიათებს“ (ა. შანიძე, 1973, 289), თუმცა ნასახელარ ზმნასაც შეიძლება ჰქონდეს. სუფიქსიანი ვნებითი დამახასიათებელია ნასახელარი ზმნისთვის, მაგრამ პირველად ზმნებშიაც შეიძლება შეგვხვდეს (ა. შანიძე, 1973, 289).

ვნებითის პრეფიქსიანი და სუფიქსიანი წარმოება, როგორც ითქვა, ძირითადად ზმნათა სხვადასხვა ჯგუფებს ახასიათებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ შორის მონაცვლეობას. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართულის პრეფიქსიან წარმოებას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სუფიქსიანი ფორმები ცვლის (და-ი-მარილა — დამარილ-დ-ა, შე-ი-ერთა — შეერთ-დ-ა, შე-ი-მზადა — შემზად-დ-ა... აღ-ე-შფნა — აშენ-დ-ა, და-ე-მკვდრა — დამკვიდრ-დ-ა, აღ-ე-სრულა — ასრულ-დ-ა...) (ლ. ნოზაძე, 1961, 64).

მიუთითებენ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად ზოგჯერ ვნებითის პრეფიქსიანი ფორმები მოიპოვება საშუალ ქართულსა (XII-XVIII ს.ს. ძეგლებში) და ქართული ენის დიალექტებში. საამისოდ საინტერესო მაგალითებია მოყვანილი საშუალი ქართულიდან: გა-ე-კვირვა — გაუკვირ-დ-ა, და-ე-ბერა — დაუბერ-დ-ა, და-ე-ჭირა — დასჭირ-დ-ა, შე-ე-ძაგა — შესძაგ-დ-ა, და-ე-ღონა — დაღონ-დ-ა და სხვა (ლ. ნოზაძე, იქვე, 66-68). მოყვანილ მაგალითებში წყვილის მეორე ცალი ახალი სალიტერატურო ქართულის ფორმებია.).

დიალექტებიდან ასეთი ფორმებია: ჩა-ი-შაქრა (კახ.) — ჩაშაქრ-დ-ა, და-ე-ჭირა (ხევს.) — დასჭირ-დ-ა, ჩა-ე-ბარა (ქიზ., ფშავ.) — ჩაბარ-დ-ა, გა-ე-თხოვა (იმერხ., გურ.) — გათხოვ-დ-ა, გა-ე-ბრაზა (კახ.) — გაბრაზ-დ-ა, გა-ე-ჭენა (აჭარ.) — გაჭენ-დ-ა და სხვა (ლ. ნოზაძე, იქვე, 67-68).

ამ მონაცემთა საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ისტორიულად ვნებითის პრეფიქსიანი წარმოება უფრო ძველია, ვიდრე სუფიქსიანი. სუფიქსიანი ვნებითი თანდათან იკაფავს გზას, ახალ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებსო სუფიქსიანი ვნებითის გაბატონების ტენდენცია (ლ. ნოზაძე, იქვე, 68).

ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ მონაცვლეობა ვნებითის წარმოების ამ ორ ტიპს შორის თვით ძველ ქართულშიც იჩენს თავს. ი. იმნაიშვილი წერს: „ძველ ქართულში ერთდროულად გვაქვს: აღმოეცენა და აღმოსცენდა; მოიოჯრა და აღოჯრდა; განიკაფნეს და განკფდეს; განიტეხა და განტყდა; დაიმწიფა და მომწიფნა; იდიდა და განდიდნა; განიღმრთო და განღმრთნა; განიშიშულა და განშიშულდა; აღესრულა და განსრულდა; აღეშენა და აშენდა... განმტკიცნა, განემტკიცა და განიმტკიცა; განცხადნა, განცხადდა, განეცხადა და განიცხადა და სხვა“ (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 41). ცოტა ქვემოთ მკვლევარი შენიშნავს, „ყველაფერი ეს გვაქვს ძველ ქართულში, კარგ ხელნაწერებში, ამასთან არა ერთჯერ და ორჯერ, არამედ ხშირად“ (ი. იმნაიშვილი, იქვე, 41).

რით უნდა აიხსნას ვნებითის ფორმათა წარმოების მრავალგვარობა? ვარაუდობენ, რომ „ვნებითის წარმოებაში ისტორიულად გამოხატულებას უნდა პოულობდეს ორი სხვადასხვა დიალექტური წრე, ერთს ვნებითის საწარმოებლად მხოლოდ პრეფიქსები ახასიათებდა, მეორე ამ ფუნქციით სუფიქსურ წარმოებას იყენებდა. მათგან პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება ჩანს, ეს ფენა აკავშირებს ქართულს სხვა ქართველურ ენებთან, სუფიქსები შედარებით ახალი ფორმაციისა უნდა იყოს“ (ლ. ნოზაძე, 1961, 70-71).

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის შესახებ მსჯელობის დროს ავტორი ეყრდნობა სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით ამ ენებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევა პრეფიქსული წარმოება და დაასკვნის, რომ „**-ენ**, **-ედ** ვნებითის მაწარმოებელი ნიშნებით ქართული სხვა ქართველური ენებისაგან განცალკევებით დგას“ (ლ. ნოზაძე, იქვე, 69).

მკვლევართა მიერ ეს თვალსაზრისი გაზიარებულია; ვნებითის წარმოების მიხედვით ვარაუდობენ სულ ცოტა სამი ფენის არსებობას, „რომელთაგან ერთს, ძირითადს, პრეფიქსიანი ფორმები ეკუთვნის, მეორეს — **ენ** სუფიქსიანი, ხოლო მესამეს — **დონიანი**“ (ი. იმნაიშვილი, 1968, 41-42, ავტორი მას მხოლოდ ვარაუდს უწოდებს, რომელსაც „გამოწვლილვით შესწავლა და დასაბუთება ესაჭიროება“, იქვე, 42).

მონაცვლე ფორმებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ამოსავალი ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ერთი გარემოება: ვნებითის სხვადასხვა წარმოების მონაცვლეობა მხოლოდ გარკვეული ყალიბის ფორმებით შემოიფარგლება. პრეფიქსიანი ვნებითის თემა, როგორც ცნობილია, ისტორიულად ემთხვევა შესაბამისი მოქმედებითისას (ა. შანიძე, 1973, 409, § 466). მოქმედებითი გვარის ზმნათა I სერიის თემას მრავალფეროვნება ახასიათებს: გვაქვს ერთ-თემიანი, ხმოვან-მონაცვლე და **ი**, **ავ**, **ამ**, **ემ**, **ებ**, **ობ**, **ოფ**, **ევ** თემის ნიშნიანი ზმნები. მათგან წარმოქმნილ ვნებითში გადადის ყველა ეს თემის ნიშანი, გარდა **ი**-სა, რომელსაც ვნებითში **ებ** ენაცვლება; **ებ** არის აგრეთვე ერთთემიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებში. მაშასადამე, ამ

მხრივ ვნებითიც მდიდარია ფორმებით, მაგალითად: შემოსს — შეიმოსების, აღპოცს — აღიპოცების... ზრდის — იზარდების, დასთხრის — დაითხარების... განიკითხავს — განიკითხვის (→ განიკითხება), დაჰმალავს — დაიმალვის (→ დაიმალება)... შეაბამს — შეიბმის (→ შეიბმება), დასდგამს — დაიდგმის (→ დაიდგმება)... მისცემს — მიეცემის (→ მიეცემა)... განჰკურნებს — განიკურნების, დასდებს — დაიდების... მოუთხრობს — მოეთხრობის, შეუნდობს — შეენდობის... განჰყოფს — განიყოფის... განაბნევს — განიბნევის, განჰლევს — განილევის და სხვა.

ამათგან მონაცვლეობა ახასიათებს მხოლოდ **ებ** თემის ნიშნიან ზმნებს; ამასთან, მონაცვლე ზმნებს სათანადო აქტივიც **ებ** თემის ნიშნით ეწარმოებათ ჩვეულებრივ. მონაცვლეობა, როგორც ითქვა, შენიშნულია თვით ძველ ქართულშიც და, ამასთან ერთად, საშუალსა და ახალ ქართულში (აგრეთვე დიალექტებში). ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ძველი ქართულის პრეფიქსიან ფორმებს საშუალსა და ახალ ქართულში ენაცვლება ვნებითის სუფიქსიანი წარმოება. საინტერესოა, რომ თითქოს უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება პირიქითაც: ძველი ქართულის სუფიქსიანი ფორმების ნაცვლად საშუალსა და ახალ ქართულში (აგრეთვე დიალექტებში) პრეფიქსიანი ფორმები გვაქვს (ლ. ნოზაძე, 1961, 65-66, შნშ. 6). ვნებითის ფორმათა გენეზისის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უფრო საყურადღებოა მონაცვლეობის ფაქტები ძველსავე ქართულში, განვითარების ტენდენციები შემდგომ შეიძლებოდა შეცვლილიყო. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში მონაცვლე ფორმათა ყალიბი ერთნაირია. ამას ნათლად გვიჩვენებს ვნებითის ფორმათა გვერდით სათანადო მოქმედებითის მოყვანა.

მოქმედებითი:	ვნებითი:[1]
აქორწინებს, დააქორწინებს	იქორწინების — დაქორწინდება.
დაამარილებს	დაიმარილების — დამარილდება.
დაასაჭურისებს, გამოასაჭურისებს	გამოისაჭურისების, დასაჭურისდება.
შეაერთებს, შეუერთებს	შეიერთების, შეეერთების — შეერთდება, შეუერთდება.
შეამზადებს	შეიმზადების — შემზადდება.
შეაზავებს	შეიზავების — შეზავდება.
დაამეგობრებს, დაუმეგობრებს	დაიმეგობრებიან, დაემეგობრებიან — დამეგობრდებიან, დაუმეგობრდებიან.
დაამოყვრებს, დაუმოყვრებს	იმოყურებიან, ემოყურებიან — დამოყვრდებიან, დაუმოყვრდებიან.
(გან) ადიდებს	იდიდების — განდიდნების.
განათოვებს (გაათოვებს)[2]	განითოვნების — განთოვლდების.

[1] ვნებითის ფორმები ძირითადად მოგვყავს ლ. ნოზაძისა და ი. იმნაიშვილის დასახელებული ნაშრომებიდან ზოგიერთი ცვლილებით. თუ მონაცვლეობა ძველ ქართულშიც არის დადასტურებული, ვნებითის ორივე ფორმა — პრეფიქსიანიც და სუფიქსიანიც მოგვყავს როგორც ძველი, ისე ახალი დაბოლოებით, თუ არა — მხოლოდ ახალი (**ება**) დაბოლოებით.

[2] თავისებური სემანტიკის გამო „განათოვება"-ს არ უჩანს მოქმედებითი, ვნებითი ნაწარმოებია საერთო ყალიბის მიხედვით.

დააკნინებს	დაიკნინების — დაკნინდება.
დაამტკიცებს, დაუმტკიცებს	დაიმტკიცების, დაემტკიცების — დამტკიცნების, დამტკიცდება, დაუმტკიცდება.
განამტკიცებს	განემტკიცების — განმტკიცნების, განუმტკიცნების, განმტკიცდება, განუმტკიცდება.
დაამწიფებს, მოამწიფებს	დაიმწიფების — მომწიფნების, დამწიფდება, მომწიფდება.
დაანაწილებს	დაინაწილების — დანაწილნების (ასეა, ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 30), დანაწილდება.
ააოხრებს, მოაოხრებს	აღიოჯრების, მოიოჯრების — აღოჯრდების, მოოჯრდების, აოხრდება.
დაასველებს, შეასველებს	შეისოვლების — დასველდება.
გააღმერთებს	განიღმრთობის — განღმრთნების, გაღმერთდება.
გააშიშვლებს	განიშიშულების — გაშიშვლდება.
გააცხადებს, გამოაცხადებს	განიცხადების, განეცხადების — განცხადნების, გამოუცხადდების.
აღმოაცენებს	აღმოეცენების — აღმოცენდება.
ააშენებს, აუშენებს	აღეშენების — აშენდება, აუშენდება.
დაამკვიდრებს	დაემკჯდრების — დამკვიდრდება.
დააწესებს, განაწესებს	დაეწესების, განეწესების — დაწესდება.
აასრულებს, აუსრულებს	აღესრულების — ასრულდება, აუსრულდება.
დაასრულებს	დაესრულების — დასრულდება.
გაამზადებს, გაუმზადებს	განემზადების — გამზადდება, გაუმზადდება.
განაშორებს	განეშორების — განშორდება.
დაასახლებს	დაესახლების — დასახლდება.
მოახსენებს, გაახსენებს	მოეჴსენების — გაახსენდება.
მოაგონებს	მოეგონების — მოაგონდება.
მოაწყურებს	მოეწყურების — მოსწყურდება.
შეანაწევრებს, შეუნაწევრებს	შეენაწევრების — შენაწევრდება, შეუნაწევრდება.

ზემოაღნიშნულის მსგავსი ვითარებაა საშუალ ქართულსა და დიალექტებში: მონაცვლე ფორმები **ებ** სუფიქსიანია, **ებ** სუფიქსიანია მათი შესაბამისი მოქმედებითიც.

მაგალითები საშუალი ქართულიდან:

მოქმედებითი:	ვნებითი:[1]
გააკვირვებს[2]	გაეკვირვების — განკჯრდების, დაუკჯრდების, გაუკვირდება.
დააღონებს	დაეღონების — დაღონდება.
დააყოვნებს	დაეყოვნების — დაყოვნდების[3], დაყოვნდება.
დააჭირვებს[4]	დაეჭირვების — დაშჭირდების, დასჭირდება.
დააჩემებს[5]	დაეჩემების — დასჩემდება.
გააოცებს	გაეოცების[6] — გაოცდება.
დაუპირისპირებს	დაეპირისპირების — დაუპირისპირდება.
დააცქირებს (თვალებს)[7]	დაეცქირების — დააცქერდება.
დააბერებს, დაუბერებს	დაებერების (დაებერა) — დაბერდება, დაუბერდება.
გაამწარებს, გაუმწარებს	გაემწარების — გამწარდება, გაუმწარდება.
შეაძაგებს	შეეძაგების (შეეძაგა) — შესძაგდება (შესძაგდა).

შეეპირა — შეჰპირდა აქტივში შეაპირებს ფორმას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ თითქოს არ ჩანს.

მაგალითები დიალექტებიდან:

მოქმედებითი:	ვნებითი:
ჩააშაქრებს	ჩაიშაქრება (ჩაიშაქრა, კახ.) — ჩაშაქრდება.
ჩააბარებს	ჩაებარება (ქიზ., ფშავ.) — ჩაბარდება.
გაათხოვებს	გაეთხოვება (გაეთხოვა, იმერხ., გურ.) — გათხოვდება.
დააფეთებს	დაეფეთება (დაეფეთა, პ. უმიკ.) — დაფეთდება.
გააჭენებს	გაეჭენება (გაეჭენა, აჭარ.) — გაჭენდება.
გააჯავრებს	გაეჯავრება (გაეჯავრა, ქიზ., თუშ., გლოლ.) — გაჯავრდება.
გააბრაზებს[8]	გაებრაზება (გაებრაზა, კახ.) — გაბრაზდება.

ლიტერატურაში დამოწმებულია აგრეთვე პრეფიქსიან და სუფიქსიან ფორმათა შენაცვლება XIX-XX სს. მწერლობიდან (ლ. ნოზაძე, 1961, 67). მოქმედებითში (ასევე ვნებითშიც) კვლავ **ებ** გვაქვს:

---

[1] ვნებითის ფორმები ძირითადად მოყვანილია ლ. ნოზაძის დასახელებული ნაშრომიდან, 66.

[2] ზმნა წარმოშობით სამპირიანი უნდა იყოს.

[3] სიმრავლე იგი ერისაჲ დაყოვნდებოდა (სინ. 80,12).

[4] შდრ. ღმერთმა ნუ დაგაჭირვოს.

[5] შდრ. დამაჩემა: „დამაჩემა, თუ გიყვარვარ“ (ა. წერეთელი, „გამზრდელი“).

[6] „ეოცების“ ძვ. ქართულშივე გვაქვს: სასმენელთა ეოცებოდა (გობრ. 177,6).

[7] დაცქერა — თვალის მიპყრობა (საბა); დააცქირებს → დაეცქირების. „დასცქერის“ ვერ მოგვცემს „დაეცქირების“ ფორმას.

[8] „დაეჯანგა (ხევს.) — დაუჯანგდა“ შესაძლოა სხვადასხვაგვარ ფორმებს გულისხმობდეს ამოსაველად: დაუჯანგავს — დაეჯანგა, დააჯანგებს — დაჯანგდება. შდრ. შხამავს — იშხამება; აშხამებს — შხამდება. ბ. ჯორბენაძე, 1975, 40. ასევე სხვადასხვა უნდა იყოს ამოსავალი ფორმები მოემშა, შეემშა (აჭარ.) და მოშივდა ფორმებისათვის: მოამშევს — მოემშა, მოიმშა, მოაში(ვ)ებს — მოშივდა, დაეჭირა, დაეცქირა ნახე ზემოთ.

(ააფოფხებს) აეფოფხა — აფოფხდა.
(ჩაუნაოჭებს) ჩაენაოჭა — ჩაუნაოჭდა.
დაუგუბებს, მოუგუბებს) დაეგუბა, მოეგუბა — დაუგუბდა.
(შეუსისხლხორცებს) შეესისხლხორცა — შეუსისხლხორცდა.
(დაუძმობილებს) დაეძმობილა — დაუძმობილდა.[1]

ზემოთ მოყვანილ მასალას ორიოდე სხვა მაგალითიც შეიძლება დაემატოს. **აიმაღლების — ამაღლდების** (მოქმ. აამაღლებს): ვინმცა მცნა მე ფრთენი... ტრედისანი, აღ-მცა-ვფრინდი, ავიმაღლე, განვეშორე... და განვისუენე მე უდაბნოს, ფს. 54,7ᲩᲫ; აღვიმაღლე, ზედ. 201,29; აღფრინდა, აღიმაღლა იგი ფრთეთა ზედა ქართასა, ფს. 17,11Ჩ. შდრ. ნუ ცადმდე აჰმაღლდები, ლ. 10,15; მ. 11,23; ნუ აჰმაღლდები ქებითა, მამ. სწ. 10,2; ნუ ამაღლდებინ თავით თჳსით, ფს. 65,7.

დაემორჩილების — დაჰმორჩილდების (მოქმ. დაამორჩილებს): ვითარღამცა შჯულის-მდებელი ვინმე იყო, ეგრე დაემორჩილების, სინ. 80,29; არა დავემორჩილებით ძმათა, მამ. სწ. 38,6; შდრ. ნუ დაჰმორჩილდები მას, მამ. სწ. 74,28.

დაეწუნარების — დასწუნარდების (მოქმ. დააწუნარებს): სამყაროჲ ცისაჲ, რომელი არა დადგების, არცა დაეწუნარების დგომით, კაც. აგ. 144,7; შდრ. არა დასწუნარდეს სენაკსა შინა თჳსსა, მამ. ცხ. 78v;[2] დონიანი ფორმები გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: ავთანდილცა არ დაწუნარდა, 1339,1; ახლოს მიდგა, დაუწუნარდა, 87,3.

შეიშინების — შეშინდების (მოქმ. შეაშინებს): არა შეიშინეა ღმრთისაგან, ლიმ. 40,6; შეიშინეს და ვერ იკადრეს შეხებად ჯორცთა, სინ. 108,18; ესე მოყუასნი ჩემნი არიან, ამათგან-ღა შევიშინო, ევსტ. 31,11; შდრ. ნუ შეშინდებინ, არამედ შეინანენ, სინ. 227,15; რომელნი შეშინდებოდეს სატანჯველთაგან, ისტ. ქრესტ. II,102,19.

დაივიწყების // დაევიწყების — დაავიწყდების, დაჰვიწყდების (მოქმ. დაავიწყებს): დიდებაჲ ამის სოფლისაჲ... ვითარცა სიზმარი დაივიწყების, მამ. სწ. 91,24; და სახელი მისი ნუმცა დაივიწყების თქუენ შორის, სინ. 265,21; შდრ. დამავიწყდა კეთილი, გოდ. იერ. 3,171; დაავიწყდა პურისა მოღებაჲ, მ. 16,5.

გვხვდება დონიანი ვნებითის უპრეფიქსო ფორმაც: დავიწყდეს II დაჰვიწყდეს. რომელი იტყოდის ცრუსა, არავინ დავიწყდეს, სიბრძ. სოლ. 1,8 ოშკ. ბ.; შდრ. დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვეფხ. 1196,2.

ერთი და იმავე ფუძისაგან სხვადასხვაგვარად ნაწარმოები ფორმები სხვაც გვხვდება, მაგრამ აშკარაა შინაარსობრივი სხვაობა მათ შორის: ემართლების, ხანცთ. 309, 24-25; მამ. სწ. 39,22 და: განმართლდების, მ. 12,37; საქმე, 13,39; ეყუარების, მამ. სწ. 304,31; ბოლნ. 75,15 და: შეუყუარდების, მრ. 10,21; იბრალებისა, საქმე, 26,7; მამ. სწ. 41,11 და ახ. ქართ. ბრალდება და სხვა. მონაცვლეო-

[1] გაემკლავა — გაუმკლავდა-ს აქტივი თითქოს არ უნდა ჰქონდეს.

[2] მაგალითი მოგვყავს ი. აბულაძის ძველი ქართ. ენის ლექსიკონიდან, 1973. საყურადღებოა, რომ ენიანი ვნებითის გვერდით მოიპოვება ს პრეფიქსიანი დონიანი ვნებითის ფორმა (დაეწუნარების — დასწუნარდეს), მოქმედებითი სამპირიანი უნდა გვქონოდა.

ბად არ ჩაითვლება სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმების არსებობაც, რადგან ხშირად მათაც განსხვავებული შინაარსი აქვთ, მაგალითად, ძვ. ქართ. მოინადირების, ახ. ქართ. განადირდება.

ზემოთ მონაცვლე ფორმათა შესაბამისი მოქმედებითი მითითებულია ახალი ქართულის მიხედვით. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვნებითის ამგვარ განსხვავებულ ფორმებს ძველ ქართულში მოქმედებითის თავ-თავისი ფორმები ჰქონდათ, რომლებიც ახალი ქართულისაგან განსხვავებული იყო? ზოგჯერ ძველი ქართულის მოქმედებითის ფორმები ერთგვარ განსხვავებას მართლაც იჩენს, მაგალითად:

(ძვ. ქ.) გან(ჰ)ზავებს — (ახ. ქ.) გააზავებს: განზავებენ ღჳნოსა წყლითა (ეს. 1,22);

(ძვ. ქ.) შე(ჰ)ზავებს — (ახ. ქ.) შეაზავებს: შეზავა გუამი იგი (1 კორ. 12,24);

ასევე:

გან(ჰ)მზადებს — გაამზადებს: განმზადეთ გზაჲ უფლისაჲ (მ. 3,3C);

და(ჰ)მზადებს — დაამზადებს: დამზადეს საკუმეველი (ლ. 23,56);

მო(ჰ)მზადებს — მოამზადებს: მომზადეს პასქაჲ (ლ. 22,13);

გან(ჰ)ქორწინებს —განაქორწინებს: განჰქორწინებდეს (მ. 24,38).

ამგვარი ფორმები განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას, რადგან, როგორც ცნობილია, **დ**ონიანი ვნებითის შესატყვისი მოქმედებითი ყოველთვის **ა — ებ** კონფიქსიანია (თ. უთურგაიძე, 1976, 191), ხოლო **ფუძე + ებ** ყალიბის მოქმედებითს პრეფიქსიანი ვნებითი უკეთდება (ბ. ჯორბენაძე, 1975, 125). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოქმედებითის ძველმა წარმოებამ (ა-პრეფიქსის უქონელმა) პრეფიქსიანი ვნებითი მოგვცა, ხოლო ახალმა (**ა — ებ** კონფიქსიანმა) — სუფიქსიანი; მაგრამ მოქმედებითის ორნაირი წარმოებიდან ამოსავალი უნდა იყოს სწორედ **ა** პრეფიქსიანი; დაჰკუეთა — დააკუეთა, დასდგა — დაადგა, დასცვითა — დააცვითა ფორმათაგან „უხმოვნო მიმართება ირიბი ობიექტისადმი მიღებული უნდა იყოს ხმოვნის ამოღების ნიადაგზე, ე. ი. „სათანაო" საერთოდ საზედაოსაგან უნდა მომდინარეობდეს. ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ძველად „დასდვა" იხმარებოდა, ეხლა კი — „დაადგა". ხმოვნის ამოღება, როგორც ჩანს, კილოებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით ჩატარებულა და სალიტერატურო ენას შემოუკრებია ნარევი ფორმები: ზოგი ურედუქციო და ზოგი ნარედუქციალი (ა. შანიძე, 1973, 378-379. ასეთივე თვალსაზრისია გატარებული ა. ჩიქობავას ნაშრომში, 1959, 151-168).

ზემოთ მოყვანილი პასივის მონაცვლე ფორმათა შესატყვის აქტიურ ფორმებს ჩვეულებრივ **ა — ებ** კონფიქსი აღმოაჩნდათ ძველ ქართულშივე. ბუნებრივია, რომ გარკვეულ შემთხვევაში მათ აგრეთვე აწარმოებს **უ — ებ**. მაგალითად:[1]

აღმაღლება: ღრუბლითა აღამაღლებდა, სინ. 179,14;

აღმოცმნება: რომელი მუცელმან არა აღმოაცმნა, სინ. 26,34; ეკალთა და კუროჲსთავთა აღმოგიცმნებდეს შენ, სინ. 21,6;

[1] ფორმები დალაგებულია ანბანის რიგზე.

აღოჳრება: აღაოჳრნეს ზღუდენი იერუსალჷმისანი, 1 ეზრა, 1,55; იყო შემდგომად აღოჳრებისა იერუსალჷმისა, გოდ. იერ. 1,0;

აღსრულება: კურნებასა აღვასრულებ, ლ. 13,32; აღმისრულოს ღმერთმან, სინ. 243,17;

აღშჷნება: სიყუარული აღაშჷნებს, 1 კორ. 8,1; შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ, ლ. 7,5;

გამოცხადება: გამოაცხადა დიდებაჲ თჳსი, ი. 2,11; ჩუენ გამოგჳცხადებ თავსა შენსა, ი. 14,22;

განთოვ(ლ)ება[1]

განმზადება[2]

გამოსაჭურისება: ერთი მაგალითია ცნობილი, რომელიც სათავისო ქცევისაა: არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი, მ. 19,1. სავარაუდოა „გამოასაჭურისებს“ ფორმაც.

განმტკიცება: განამტკიცნე ძმანი შენნი, ლ. 22,32; ჴმამან უფლისამან განამტკიცნის ირემნი, სინ. 77,26;

განლმრთობა: ერთმან ორთა ამათგანმან განაღმრთო და მეორე განიმღრთო (ი. აბულაძე, 1973). მოქმედებითში „განაღმრთობს“, ვნებითში „განიღმრთობის“ გვაქვს. ამოსავალი უნდა იყოს **ება** სუფიქსიანი ფორმა: *განაღმრთვებს → განალმრთობს (ეკ. ოსიძე, 1963 16; ლ. ბარამიძე, 1976, 89-91). ნასახელარი ზმნების მოდელი ყოველთვის **ა — ება** კონფიქსიანია, ამასვე მიუთითებს „განღმრთნების“ ფორმის არსებობა ძველსავე ქართულში (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 31) და ახ. ქართ. გაღმერთდება ← გააღმერთებს.

განშიშულება: განაშიშულნეს ჴორცნი შეგინებად, ივდ. 9,3;

განშორება: ნუ განმაშორებ მამათა ჩემთაგან, სინ. 268,22; კაცი ნუ განაშორებნ, მ. 19,6; მრ. 10,9;

განცხადება: ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა, ქ. ცხ. სიმფ., გვ. 49; რაჲთა განვაცხადო იგი, კოლ. 4,4; ყოველსა კაცსა ნუ განუცხადებ გულსა შენსა, ზირ. 8,22;

დავიწყება: აღმოგვაჩნდა მხოლოდ სათავისო ქცევის ფორმა: დაივიწყებენ და არღარა იჴსენებენ, მამ. სწ. 269,25;

დაკნინება: დავაკნინეთ იგი ჯუარითა მით, სინ. 255,19;

დამარილება, შემარილება: რაჲთა იქმნე მარილ და შეამარილო სული შენი, მამ. სწ. 136,4;

დამეგობრება: აქაც სათავისო ქცევის ფორმა აღმოგვაჩნდა: დაიმეგობრნეს (მათ) თურქნი, ქ. ცხ. სიმფ., გვ. 57; უნდა გვქონოდა სამპირიანი ფორმაც: დაამეგობრებს: შდრ. (ოვსნი) დაემეგობრნეს ქართველთა, ქ. ცხ. სიმფ., გვ. 57;

[1] ნ. ზემოთ, გვ. 136, შნშ. 2.

[2] ნ. ზემოთ. გვ. 137.

დამკვდრება: ავაზაკი დაამკვდრა მას შინა, სინ. 205,16; სასოებით დამამკვდრე მე, ფს. 4,9; დაუმკვდრა მათ ქუეყანაჲ იგი, საქმე, 13,19;

დამორჩილება: ამან მშჳდობამან დაგამორჩილნეს თქუენ მბრძოლნი, სინ. 173,18; ყოველივე დაამორჩილა, 1 კორ. 15,27; შდრ. დაიმორჩილებდეს მათ სასტიკად, გამ. 1,14;

დამტკიცება: დაამტკიცებდა და იტყოდა, ლ. 22,59; იგი დაამტკიცებდა, ვითარმედ, საქმე 12,15ქ;

დამოყურება: დაამოყურნა თრდატ და მირიან, ქ. ცხ. სიმფ., გვ. 58;

დამწიფება[1]

დანაწილება[1]

დახახლება[1]

დახოვლება[1]

დასრულება: დაასრულა იესუ ბრძანებაჲ ესე, მ. 11,1С;

დაწესება: ადგილსა მას... დააწესენ (იგინი), სინ. 176,11; კლდესა მყარსა დავაწესე იგი, ეზეკ. 24,7; დაწესებული, საქმე 13,48;

დაწუნარება: უფალმან წუალი... დააწუნარის, სინ. 77,27;

დიდება: ადიდებს სული ჩემი უფალსა, ლ. 1,46;

მოგონება: მოაგონებს ქმნად, მამ. ცხ. 280v;[2]

მომშევა: ნ. მოში(ვ)ება.

მოოჯრება: მოაოჯრეს (მათ) სომხითი, ქ. ცხ. სიმფ., გვ. 130;

მოში(ვ)ება: მომშევა, შემშევა, ამოსავლად ვარაუდობს ამშევს, შეამშევს ფორმებს, რომელთა ვნებითის მეორე სერიის ფორმებია მოემშა, შეემშა. მეორე მხრივ, გვაქვს (მოაში(ვ)ებს — მოში(ვ)ება (თ. უთურგაიძე, 1976, 196), რომლის ვნებითია მოშივდა. ამიტომ მოემშა — მოშივდა მონაცვლე ფორმებად ვერ მიიჩნევა.

მოწყურება[1]

მოჯსენება: მოგუაჯსენებდეს სიკუდილსა, ბალ. 94,36; მოაჯსენებდა წერილთაგან წამებასა, სინ. 147,16;

შეერთება[1]

შეზავება[3]

შემზადება[3]

შემშევა ნ. მოში(ვ)ება.

შენაწევრება[1]

შეშინება: ვერცა რამან შეაშინა, ვეფხ. 1130,3; შემაშინებელად სულისა ჩემისა, მამ. სწ. 230,31; შეშინებული, მრ. 9,6; მოყვანილი ფორმები „შეაშინებს" ფორმას გვავარაუდებინებს.

შეშურება: გაშურებ თქუენ ღმრთისა შურსა, ფს. 77,58.

მაგალითები საშუალი ქართულიდან.

---

[1] მოქმედებითის ფორმები არ აღმოგვაჩნდა.

[2] მოგვყავს ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან.

[3] ნ. ზემოთ, გვ. 136.

გაკვირვება: გააკვირნა, ვეფხ. 821,3. შდრ. ძვ. ქ. განაკჯრვებდა ნათესავსა სამარიტელთასა, საქმე 8,9. **დ**-ონიანი ვნებითი ჩვეულებრივია ძველსავე ქართულში: განკჯრდენ, სიბრძ. სოლ. 5,2; განუკჯრდებოდა, მრ. 5,42DE.

გამწარება: მოშორვება გაამწარებს, ვეფხ. 116,3; ასევეა ძველ ქართულშიც: განგამწარეს შენ, უფალო, ფს. 5,11.

დაბერება: ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, ვეფხ. 508,1;

დალონება: ლახვარნი ეგე ვით დაგაღონებენ, ვეფხ. 365,1;

დაყოვნება: დაყოვნება, ვეფხ. 263,4; შდრ. ძვ. ქ. ნუ დაიყოვნებ კეთილისა ყოფასა, იგავ. სოლ. 3,27; მოქმედებითში სავარაუდოა *დაჰყოვნებს → დაჰყოვნებს.

დაჩემება[1]

დაცქირება ნ. ზემოთ, გვ. 138, შნშ. 7.

დაჭირვება: მცირისათჳს დიდი დაგაჭირვოს, იოვ. და ეფთ. 42,34; ასევეა ძვ. ქართულში: დავაჭირო მათ, რაჲთა ემხილოს, იერემ. 10,18. სუფიქსიანი ფორმები ძველადვე გვხვდება: დაგჭირდეს ფასიცა და კაცნიცა, ლიმ. 56,18.

შეპირება[1]

შეძაგება: ძაგება — ბოროტად ჴსენება, საბა; ვისიც სიტყვა იამება, შენცა უქო, თვარა უძაგო, არ ეძაგება და შენცა გაცრუვდე, სიბრძ. სიცრ. (ლ. ნოზაძე, 1961, 66.). ამათ მიხედვით მოქმედებითში უნდა გვქონდეს აძაგებს, უძაგებს, რომლებიც ახალ ქართულში ჩვეულებრივია.

მოყვანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ვნებითის ე. წ. მონაცვლე ფორმებს მოქმედებითში ა — ებ მორფემიანი ფორმები შეესატყვისება. გამონაკლისია ამ მხრივ ორიოდე ზმნა: აღჰჴსნის (დაჰჴსნის, განჰჴსნის), ერთი მხრივ, და განჰკაფს (მოჰკაფს), მეორე მხრივ. მათაც მოეპოვებათ როგორც პრეფიქსიანი, ისე სუფიქსიანი ვნებითის ფორმები. მაგალითად: **დაჰჴსნ-დ-ებოს**, ი. 7,23C; **განჰჴსნ-დ-ა** კრულებაჲ ენისა მისისაჲ, მრ. 7,35DE. შდრ. სიკუდილისაგან **ი-ჴსნების** ჴეშმარიტისა, მამ. სწ. 82,30. **გან-ი-ჴსნებოს** კრულებისაგან ადამ, სინ. 74,20; **და-ი-ჴსნებოს** კუალად სიტყუაჲ იგი მათი, ექ. დღ. 107.25; **გან-ეჴსნა** კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ, მრ. 7,35C. ასევეა: **განკფ-დ-ებოს**, მამ. სწ. 60,30; **მოჰკფ-დ-ების**, სინ. 223,15. შდრ. **გან-ი-კაფნეს**, Опис. 129,3 (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 39), **მო-ი-კაფოს**, სინ. 157,28.

აღჴსნა, განჴსნა, დაჴსნა ზმნებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სუფიქსიანი ფორმებისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ***ჰაჴსნებს** რეკონსტრუირებული ფორმა, რომელიც თვით **ჴსნის** ფორმისაგან ნაწარმოებ კაუზატივად არის მიჩნეული: „ჴსნის (2-პირიანი აქტივი) → *ჰ-ა-ჴსნ-ებ-ს (3-პირიანი კაუზატივი) → და-ჰ-ჴსნ-დ-ა (სამპირიანი კაუზატივის შესაბამისი დ-ონიანი ვნებითი) (თ. უთურგაიძე, 1976, 39).

განჰკაფს, მოჰკაფს ფორმათა შესახებ კი ჯერჯერობით პირს რაიმეს თქმა.

---

[1] მოქმედებითის ფორმა არ აღმოგვაჩნდა.

მოქმედებითი გვარის ყველა ის ზმნა, რომლებიც კონვერსიის გზით ჩვენთვის საინტერესო ვნებითის სხვადასხვაგვარ წარმოებას გვაძლევს, ერთიანდება ერთ მოდელში. ეს მოდელი, როგორც უკვე ითქვა, ა — **ებ** წყვეტილი მორფემით ხასიათდება. მხოლოდ **ებ** მორფემა საკმარისი არ არის, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ა პრეფიქსს. გავიხსენოთ, რომ მოქმედებითის მოდელი **ფუძე + ებ**[1] ვნებითის სხვა ყალიბს იძლევა — პრეფიქსიანს (ბ. ჯორბენაძე, 1975, 125); ჰპოვებს — იპოვების, განჰკურნებს — განიკურნების, დაჰბადებს — დაებადების... ა + **ფუძე** + სხვა თემის ნიშანიც (მაგ., ავ) არ გვაძლევს იმავე შედეგს, ა-ს დართვით ვნებითის ტიპი არ იცვლება: ხატ-ავ-ს — ი-ხატება, ა-ხატ-ავ-ს — ე-ხატება.

ა + **ფუძე** + **ებ** მოდელის მქონე აქტივი პასივად მოქცევისას პრეფიქსიან ფორმებსაც იკეთებს და სუფიქსიანსაც, რაც სხვა შემთხვევებში არ ხდება; მოქმედებითის ყველა სხვა მოდელი პრეფიქსიან ვნებითს გვაძლევს. ზემოთ ითქვა, რომ ყველა სუფიქსიანი ვნებითი მოქმედებითში ამ მოდელს გულისხმობს, თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იგივე მოდელი კონვერსიულად პრეფიქსიან ვნებითსაც აწარმოებს, რაც ახსნას მოითხოვს. ამ ზმნათა ერთი ნაწილი მხოლოდ სუფიქსიან ვნებითს იკეთებს, მეორე — პრეფიქსიანს, მესამე ჯგუფი კი — ორივეს ერთდროულად.

იმის გასარკვევად, თუ რატომ გვაქვს ასეთი ვითარება, ა პრეფიქსის ფუნქციებს უნდა მიექცეს ყურადღება. ა პრეფიქსი, როგორც ცნობილია, გვაქვს პირველადს ზმნებშიც და ე. წ. მეორეულ ზმნებშიაც. „ეს ა გარდაუვალ ზმნებთან ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია“ (ა. შანიძე, 1973, 376), მაგ., ჩა-კვდა და ჩა-ა-კვდა. „იმ პირველადს გარდამავალ ზმნებშიც, რომელთა საარვისო ქცევის ფორმას ნიშანი არ უნდა, ა პრეფიქსი აგრეთვე ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია“ (ა. შანიძე, იქვე, 376). მაგ., და-წერს და და-ა-წერს... ხოლო ფუნქციით ეს ფორმები მითითებულ სიტუაციას გამოხატავს.

მეორეული ზმნები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. სახელისაგან ნაწარმოები, ნასახელარი ზმნები და 2. ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები ახალი, განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ზმნები. ნასახელარი ზმნები ენაში ძლიერ გავრცელებულია, ზმნური ფუძეებისაგან ნაწარმოები ფუძეებიც არ არის ცოტა, წარმოების ეს ტიპი აგრეთვე დამახასიათებელი ჩანს ქართულისათვის. ა. შანიძე შენიშნავს, რომ „პირველადი ზმნების ფუძეებისაგან ხელმეორედ ნაწარმოებ ზმნათა რიცხვი მრავალია“ (ა. შანიძე, იქვე, 40). ასეთია, მაგალითად: დუმ-ს — ა-დუმ-ებ-ს, დუღ-ს — ა-დუღ-ებ-ს, ჰ-კვირ-ს, უ-კვირ-ს — ა-კვირ-ვ-ებ-ს, უ-ყვარ-ს — ა-ყვარ-ებ-ს, ს-ძაგ-ს — ა-ძაგ-ებ-ს, წუხ-ს — ა-წუხ-ებ-ს, ხურ-ს — ა-ხურ-ებ-ს,... ტირ-ი-ს — ა-ტირ-ებ-ს, ტყუ-ი-ს — ა-ტყუ-ებ-ს, ყვირ-ი-ს — ა-ყვირ-ებ-ს, ი-ცინ-ი-ს — ა-ცი-ნ-ებ-ს,... ს-ძინ-ავ-ს — ა-ძინ-ებ-ს, ს-ძულ-ს — ა-ძულ-ებ-ს და მისთ.

ორივე შემთხვევაში გარდაქმნასთან, გარდაქცევასთან გვაქვს საქმე (ქართველურ ნასახელარ ზმნებში გარდაქცევითობის ფუნქციის შესახებ ნახე ა. შა-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ **ფუძე + ებ** მოდელის აქტიური ზმნები მცირე ჯგუფს წარმოადგენს მაშინ, როცა ა — **ებ** მორფემიანი უამრავია.

ნიძე, 1957, 35, 37; ბ. ჯორბენაძე, 1975, 81, 139-143.), ამიტომ ორივე შემთხვევაში ერთი ყალიბი გამოიყენება **ა — ება** კონფიქსიანი. ა ასეთ ფორმებში კვლავ ობიექტის შეყვანას გულისხმობს ზმნაში, ოღონდ ეს არის უკვე პირდაპირი ობიექტი. თავის მხრივ პირდაპირი ობიექტის ქონება განსაზღვრავს ზმნის აქტიურ ხასიათს, ამიტომაც ა. შანიძე ა-ს „მააქტივებელ ა-ს“ უწოდებს. ის წერს: „ა პრეფიქსი ყოველთვის არ მიგვითითებს ირიბ ობიექტზე, მეორეულ ზმნებში ის გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელია საარვისო ქცევით: ა-წითლებს, ა-გორებს...“ (ა. შანიძე, 1973, 376).

ორივე ტიპის ზმნების გაერთიანების საფუძველს ქმნის არა მხოლოდ ფორმობრივი მსგავსება (ერთნაირი წარმოება), არამედ სიღრმის სტრუქტურის ერთგვაროვნებაც; მიუთითებენ, რომ „როდესაც სახელიდან აქტივი იწარმოება, ეს ყოველთვის მედიუმზე დაყრდნობით ხდება, მიუხედავად იმისა, მედიუმს გავიაზრებთ თუ არა. არსებობს ზოგადი მოდელი, რომელიც ავტომატურად იძლევა აქტივს მედიუმის ინტუიტური გათვალისწინებით“, მაგ., აფთრობს ის (მედიუმი) — ა-აფთრ-ებ-ს ის მას (აქტივი) (თ. უთურგაიძე, 1976, 197).

საფიქრებელია, რომ ყველა **ა — ება** კონფიქსიანი აქტიური ზმნა ამგვარი წარმოშობისაა:[1] ან პირველ ჯგუფს განეკუთვნება, ე. ი. ნასახელარია, ან მეორეს (ისტორიულად ზმნისგან არის ნაწარმოები, მეორეულია)[2].

საუკუნეთა სიღრმეში ამოსავალი ფუძეები ზოგჯერ ძლიერ შეცვლილია, ცალკე აღარც არსებობს და ყოველთვის არ ხერხდება მათი აღდგენა, რეკონსტრუირება. განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. გამონაკლისების, ანუ ისეთი ზმნების წარმოშობა, რომელთაც კონვერსიულად პრეფიქსიანი ვნებითი შეესატყვისება. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. ზოგ მათგანს თითქოს ეძებნება საწარმოებელი ფუძე. მაგალითად:

1. **ა-გ-ებ-ს — ი-გ-ებ-ა:** აგება — შექმნა, შედგენა (ი. აბულაძე, 1973, 12), ე. ი. გაჩენა, არსებობის მინიჭება. აგებულობა — შექმნილობა (საბა). ამოსავალია **ჰ-გ-იე-ს** — არის, არსებობს. საინტერესოა ამ მხრივ „გადაგება“, ნიშნავს: გადაშენება, ამოწყვეტა, მოსპობა: გადაეგოს მაგისი ჯილაგი (გურ.); **გარდაგება** — დაიკარგოს სადმე (საბა). ნ. აგრეთვე ქეგლი, გადაგება, 3 — გადაშენება.

2. **ა-ნან-ებ-ს — ე-ნან-ებ-ა:** ა-ნან-ებ-ს ← ი-ნან-ი-ს. შდრ. ი-ცინ-ი-ს ← ა-ცინ-ებ-ს.

3. **ა-ხ-ებ-ს — ე-ხ-ებ-ა:** ა-ხ-ებ-ს ← ა-ხ-ს (ი. ქავთარაძე, 1954, 194, 279).

4. **ა-ჩუ-ენ-ებ-ს — ე-ჩუ-ენ-ებ-ის** (ე-ჩუ-ენ-ა) ჩ-ან-ს, ა-ჩ-ენ-ს (გამო-ა-ჩ-ენ-ს — გამო-ა-ჩ-ინ-ა), ა-ჩუ-ენ-ებ-ს ერთი ძირისაგან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი ლაბიალიზაციის შედეგად არის მიღებული (ს. ჟღენტი, 1941, 84; ი. ქავთარაძე, 1954, 165).

---

[1] რა თქმა უნდა, აქ არ შემოვა შუალობითის **ა — ება** მორფემიანი ფორმები, თუმცა ისინი სემანტიკურად ახლოა ზემოთ აღნიშნულ ზმნებთან იმ აზრით, რომ გარდაქმნა იქაც ხდება.

[2] ხომ არ შეიძლება ვიქიფროთ, რომ **ა — ება** თავდაპირველად მხოლოდ ნასახელარ ზმნებს მოუდიოდა და შემდგომ გადავიდა პირველად ფუძეებში?

5. **მო-ა-გონ-ებ-ს — მო-ე-გონ-ებ-ა:** ამოსავალია **გონ**, რომელიც გვხვდება გონ-იერ-ი, ჰ-გონ-ებ-ს (ჰ-გონ-ა), ჰ-გონ-იე-ს ფუძეებში. ერთი მხრით, გვაქვს: ჰ-გონ-ებ-ს, მეორე მხრით, ა-გონ-ებ-ს, რაც მნიშვნელობათა დიფერენციაციას იწვევს.

6. **მო-ა-ვს-ენ-ებ-ს — მო-ე-ვს-ენ-ა:** მოქმედებითი აქაც გარდაუვალი ზმნისაგან უნდა მომდინარეობდეს: ა-ვს-ოვ-ს → ა-ვს-ენ-ებ-ს (შდრ. დგ-ა-ს — ა-დგ-ენ-ს, წევ-ს .— ა-წვ-ენ-ს...). აქტივი ხელმეორედ არის გართულებული **ებ** სუფიქსით. სუფიქსების მონაცვლეობისათვის შეიძლება მოვიგონოთ ს-ძინ-ავ-ს — ა-ძინ-ებ-ს, ცურ-ავ-ს — ა-ცურ-ებ-ს.[1]

ზემოაღნიშნულის გამო შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ, რომ **ა — ებ** მორფემიან ყველა ზმნას თავდაპირველად ახასიათებდა ვნებითის ორგვარი წარმოება: პრეფიქსიანი და სუფიქსიანი, რომელთაც, თავის მხრით, განსხვავებული ფუნქციები ჰქონდათ, ერთი (სუფიქსიანი) გარდაქცევითობას გამოხატავდა, მეორე (პრეფიქსიანი) — საკუთრივ ვნებითის შინაარსს (ვნებითის სხვადასხვა წარმოების ფუნქციური დიფერენციაციის შესახებ ნახე ბ. ჯორბენაძე, 1975, 81, 138-143; თ. უთურგაიძე, 1976, 192-193.). ენის აბსტრაქტულობისაკენ მიმართული ტენდენციების გამო კონკრეტული ფუნქციები ქრება და შემდგომ შინაარსით ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან. იქმნება ისეთი ვითარება, თითქოს ეს სხვადასხვა ფორმები ერთი შინაარსით იყო გამოყენებული ისტორიულადაც.

როგორც ითქვა, ძველი ქართულის დონეზე აღნიშნული ტიპის ზოგი ზმნა მხოლოდ ერთ-ერთ წარმოებას მიმართავს ვნებითში (ან პრეფიქსიანს, ან სუფიქსიანს),[2] ზოგს ორივე ყალიბი შენარჩუნებული აქვს და ეს უკანასკნელი სხვადასხვა ფორმათა მონაცვლეობად აღიქმება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ე. წ. მონაცვლეობა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ერთი ტიპის ზმნებში გვხვდება. განვითარების მომდევნო საფეხურზე ენაში ჩნდება ბუნებრივი ტენდენცია, რომ პასივის ამ ფორმათაგან შეინარჩუნოს მხოლოდ ერთ-ერთი და არჩევანი ჩერდება სუფიქსიან ვნებითზე, რადგან სუფიქსიანს აქტივის მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მოდელი შეესაბამება, პრეფიქსიანს კი ამ მხრივ მრავალფეროვნება ახასიათებს. პასივის „მონაცვლე" ფორმათაგან სწორედ სუფიქსიანმა გაიმარჯვა.

უძველესი ვითარების გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ **ა — ებ** კონფიქსიანი აქტივის შესატყვისად პრეფიქსიანი წარმოების შენარჩუნება დღევანდელ ქართულში (ავსებს — ივსება...).

რა შეიძლება ითქვას ვნებითის სხვადასხვა წარმოების დიალექტური წარმოშობის შესახებ? შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ რომელიმე კილოს (ან კილოთა ჯგუფს) ისტორიულად ახასიათებდა მხოლოდ ერთი წარმოება (ვთქვათ, პრეფიქსიანი), მეორეს — მეორე წარმოება (სუფიქსიანი)? ამის თქმის უფლებას, ყოველ შემთხვევაში, ვნებითის ე. წ. მონაცვლე ფორმები არ იძლევა თავისებური ხასიათისა და შეზღუდულობის გამო.

---

[1] ა-ცხ-ებ-ს — ე-ცხ-ებ-ა ფორმებს გვერდით უდგას ს-ცხ-ებ-ს. სცხებს — აცხებს ისეთივე ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც წერს — ა-წერს, დებს — ა-დებს. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვნებითი პრეფიქსიანია.

[2] როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშთის სახით ასეა ახალ ქართულშიც.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის, რომ სუფიქსიანი ვნებითი **ა — ებ** მორფემიანი მოქმედებითის კონვერსიული ფორმა უნდა იყოს (თ. უთურგაიძე, 1976, 197-205.). არც ის არის ინტერესს მოკლებული, რომ სუფიქსიანი წარმოება ძველი ჩანს კოლხურში (კ. დანელია, 1976, 165-175.).

მონაცვლეობა სხვადასხვა ტიპის ვნებითებს შორის ძნელია განისაზღვროს ამ ფორმათა დიალექტური წარმოშობით, რადგან:

1. სხვადასხვაა ის მასალა, რომელსაც ეყრდნობა თითოეული მათგანი. ეს ორი სხვადასხვა სფეროა და არ არის მოსალოდნელი, რომ რომელიმე დიალექტი მხოლოდ ერთ-ერთ წარმოებას მიმართავდა.

2. თუ ვნებითის წარმოების მიხედვით დიალექტთა სხვადასხვა ჯგუფების არსებობას დავუშვებთ, რა მოუვიდათ მათ შემდგომ, როგორ მოხდა, რომ ვნებითის წარმოების მიხედვით დიალექტთა შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება?

3. მონაცვლეობა ერთნაირად დამახასიათებელი უნდა იყოს როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის, რაც კარგად ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში მოყვანილი მასალის მიხედვითაც (ლ. ნოზაძე, 1961, 67-68).

IX. სტატიკური ვნებითი ძველ ქართულში

1. სტატიკურ ზმნათა რაობისათვის

ვნებითი გვარის ზმნებში შინაარსის მიხედვით გამოყოფენ ორ ჯგუფს: დინამიკურსა და სტატიკურს (ა. შანიძე). დინამიკურია ზმნა, რომელიც აღნიშნავს მოქმედების მიმდინარეობას, პროცესს, სტატიკური კი ზმნით აღნიშნული მოქმედების ერთ მომენტს წარმოგვიდგენს.

დინამიკური ვნებითია: ებმის (ებმების), ებურვის (> ებურების), ედგმის (> ედგმების), (და)ემარხვის, ენთების, ერტყმის (> ერტყმების), ეღვძების, ეწერების, დაეფლვის და მისთ.

შესაბამისი სტატიკური ვნებითი იქნება: აბს/უბს, ჰბურავს, ადგს / უდგს, ჰმარხავს, ჰნთიეს, არტყს (> არტყიეს), ჰღვძავს, სწერიეს, ფლავს / უფლავს და სხვა.

დინამიკურ ვნებითს სტატიკური უპირისპირდება ფუნქციითაც და გრამატიკული ფორმითაც.

დინამიკურ ვნებითს თავდაპირველად „მდინარეობითი" ეწოდა, სტატიკურს — „მდგომარეობითი" (ა. შანიძე, 1930, 115-116). დინამიკა მოქმედება, მოძრაობაა და დინამიკური ზმნა მოქმედების მიმდინარეობას ასახავს. სტატიკური ზმნები კი უჩვენებს მოქმედების შედეგს ანუ მდგომარეობას. ამავე შინაარსის გამოხატვა შეიძლება აღწერილობითი ფორმით, რომელშიც შედის ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობა და მეშველი ზმნა: ჰნთიეს — ანთებულია, ჰმოსიეს — შემოსილია, ჰკიდავს — დაკიდებულია, ჰმარხავს — დამარხულია...

სტატიკური ვნებითი არ დაირთავს ზმნისწინს, რადგანაც სტატიკა არის „მოქმედება" უძრავ მდგომარეობაში" (ა. შანიძე, 1973, 313) და მიმართულების ჩვენება არ სჭირდება. ამ ჯგუფის ზმნათა ფორმები წარმოშობით ორპირიანია, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ერთი პირი დაკარგული აქვს, თუმცა ძველ ქართულში ფორმით ორპირიანობას ინარჩუნებს (ჰ-გიე-ს, ს-წერიე-ს...).

აგებულების მიხედვით სტატიკურ ვნებითებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ა) **იე** დაბოლოებიანი ფორმები: ჰგ-იე-ს, უგბ-იე-ს,, ჰგონ-იე-ს, უვს-იე-ს, ჰმოს-იე-ს, უმტკმ-იე-ს, ჰნთ-იე-ს, უპყრ-იე-ს, ასმ-იე-ს, ასუენ-იე-ს, სტევ-იე-ს, სტენ-იე-ს, უფლ-იე-ს, სჩრ-იე-ს, სწერ-იე-ს, ახუევ-იე-ს და სხვა.

ბ) **ავ** თემისნიშნიანები: ჰბურ-ავ-ს, სთრ-ავ-ს, ჰკიდ-ავ-ს, უკრ-ავ-ს (გამოკრული აქვს), ჰმარხ-ავ-ს, ჰმტერ-ავ-ს, ჰრგ-ავ-ს, უტკრთ-ავ-ს, ჰფლ-ავ-ს (უფლ-ავ-ს), ჰღვძ-ავ-ს, ჰშორ-ავ-ს, სძინ-ავ-ს, ჰხილ-ავ-ს (უხილ-ავ-ს) და მისთ.

გ) მარტივფუძიანი ზმნები, რომელთაც არც **იე** დაბოლოება აქვთ და არც თემის ნიშანი: აბს, უბს, არტყს, ადგს, უდგს, ასხს...

სტატიკური ვნებითის ცალკე გამოყოფა ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული. შინაარსის მიხედვით მასთან ახლოს დგას საშუალი გვარის ზმნები, განსაკუთრებით ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც ახალ ქართულში მედიოპასივის

სახელით არის ცნობილი. ამის გამო სტატიკური ვნებითი და საშუალი გვარის ზმნები სტატიკურობის ნიშნის მიხედვით ერთად განიხილება და მათ უპირისპირდება დინამიკური ზმნები — გარდამავალი თუ გარდაუვალი (ა. ჩიქობავა, 1948, 107-108; ა. ჩიქობავა, 1950, 051; მ. სუხიშვილი, 1976, 8-10 და შემდგ.). სტატიკური ვნებითის ცალკე გამოყოფა მიზანშეუწონლად არის მიჩნეული.

ცნობილია, რომ „ზმნის გვარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზმნის უღვლილების სისტემაზე, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ უღვლილების ტიპები ქართულში სწორედ გვარის მიხედვითაა განაწილებული“ (ბ. ჯორბენაძე, 1975, 3). სტატიკური ვნებითის გამოყოფის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ის არის, რომ ამ ზმნათა უღლება ცალკე დგას, განსხვავებულია მდგომარეობის გამომხატველი სხვა ზმნებისაგან. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „ძნელია ზღვარის გავლება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის“, რომ „გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არ არის არავითარი განსხვავება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის“, მაგრამ სტატიკური ზმნების საშუალ გვართან ერთ ჯგუფში მოქცევა მაინც შეუძლებლად მიაჩნია, რადგან „მაშინ საშუალ გვარში გაერთიანდებოდა სულ სხვადასხვა ტიპის ზმნები, რომლებიც სხვადასხვაგვარად იკეთებენ მწკრივის ფორმებს“ (ა. შანიძე, 1973, 320). აქვე ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმაზე, რომ სტატიკური ზმნები ჩვეულებრივ ორპირიანია, ხოლო საშუალი გვარის ზმნებში მრავლად გვხვდება ერთპირიანებიც (ა. შანიძე, 1973, 321).

საშუალი გვარის ზმნებსაც და სტატიკურ ვნებითებსაც მწკრივნაკლი უღლება ახასიათებს, მაგრამ განსხვავება მათ შორის დიდია. საშუალი გვარის ზმნათა უმრავლესობას I სერიის ყველა მწკრივი აქვს ძველ ქართულში, სტატიკურ ვნებითებს კი საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოში (და აწმყოს ხოლმეობითში) მოეპოვებათ; საშუალი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი ახალ ქართულში დანაკლის მწკრივებს ივსებს მოქმედებითისგან ნასესხები ფორმებით, მეორე ნაწილი — ვნებითს მიმართავს. ძველ ქართულში ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისი გვაქვს, შევსებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა. სტატიკური ვნებითიც ივსებს დანაკლის მწკრივებს ნასესხები ფორმებით, კერძოდ, II სერიის მწკრივებს იკეთებს დინამიკური ვნებითის საშუალებით. სტატიკურ ზმნებში ფორმათა შევსებას ძველსავე ქართულში რეგულარული ხასიათი აქვს, თანაც შევსება ხდება, საშუალი გვარის ზმნათაგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ ე-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებით.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გვიჩვენებს, რომ სტატიკური ვნებითი მსგავსი შინაარსის მქონე სხვა ზმნათაგან განცალკევებით დგას. შენიშნულია, რომ სტატიკური ვნებითი და გარდამავალ ზმნათა III სერია საერთო წარმოშობისაა. მოქმედებითი გვარის III სერიის ფორმებისათვის, როგორც ცნობილია, ამოსავალია სტატიკური ვნებითი. III სერიაში თითქმის უცვლელად გამეორებულია ის მოდელები, რაც ახასიათებს სტატიკურ ზმნათა ერთ გარკვეულ ჯგუფს, რომელიც სტატიკური ვნებითის სახელითაა ცნობილი. სტატიკური შინაარსის მქონე ზმნათა მეორე ჯგუფი (იგივე საშუალი გვარის ზმნები), როგორც ითქვა, მწკრივთა წარმოების სულ სხვა მოდელს ქმნის მოგვიანო ქართულში. ეს გარემოება მიუთითებს აგრეთვე იმაზეც, რომ ზმნათა ეს ჯგუფი (ე. ი. სტატი-

კური ვნებითი) უძველესი წარმოშობისაა, უძველესია მწკრივთა წარმოების ის მოდელიც, რომელსაც ის იყენებს, რასაც ვერ ვიტყვით საშუალი გვარის ზმნათა ნასესხებ ფორმებზე.

2. სტატიკური ვნებითის უღლება

I სერია

როგორც ითქვა, ძველ ქართულში აგებულების მიხედვით გამოიყოფა სტატიკურ ზმნათა რამდენიმე ჯგუფი: ა) **იე** დაბოლოებიანი; ბ) **ავ** თემისნიშნიანი და გ) მარტივფუძიანი. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. საშუალ ქართულში სტატიკური ვნებითის აწმყოს პირველსა და მეორე პირს ორსავე რიცხვში დაერთო მეშველი ზმნა (ვარ, ხარ, ვართ, ხართ). ძველ ქართულში მეშველი ზმნები საჭირო არ იყო ამ ფორმებში. სტატიკურ ვნებითებს საკუთარი ფორმები აქვს მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში, I სერიის სხვა მწკრივები მათ არ გააჩნიათ.

აწმყო

ა) იე დაბოლოებიანი ზმნები

იე ამ ფორმებში არის სტატიკურ ზმნათა აწმყოს ნიშანი, რომელსაც მრავლობითის მესამე პირში **ე** ჩამოეკვეცება **ან** სუფიქსის დართვის გამო. თუ ზმნას ერთი პირის შინაარსი აქვს შემორჩენილი, აწმყოში ექნება მხოლოდ ექვსი ფორმა სუბიექტური პირებისათვის (სამი მხოლობითში, სამი მრავლობითში). ასეთია, მაგალითად, ჰგიეს (არის, არსებობს), სწერიეს (დაწერილია)... თუ ზმნა ორპირიანია, შეიძლება იცვალოს ობიექტური პირებიც და სუბიექტურთან ერთად ე. წ. ობიექტური წყობაც ექნება.

შენიშვნა: თუ ზმნის ფუძე კუმშვადია, **იე** ბოლოსართის დართვისას ის შეიკუმშება. მაგ.: შევი-პყარ, მაგრამ: უ-პყრ-იე (მე მას).

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	უ-პყრ-იე	ვ-ჰ-გონ-იე	ვ-ჰ-გ-იე	—
	2.3	უ-პყრ-იე	ჰ-გონ-იე	ჰ-გ-იე	—
	3.3	უ-პყრ-იე-ს	ჰ-გონ-იე-ს	ჰ-გ-იე-ს	ჰ-მოს-იე-ს
მრ.	1.3	უ-პყრ-იე-თ	ვ-ჰ-გონ-იე-თ	ვ-ჰ-გ-იე-თ	—
	2.3	უ-პყრ-იე-თ	ჰ-გონ-იე-თ	ჰ-გ-იე-თ	—
	3.3	უ-პყრ-ი-ან	ჰ-გონ-ი-ან	ჰ-გ-ი-ან	ჰ-მოს-ი-ან

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-ი-პყრ-იე-ს	მ-გონ-იე-ს	მ-მოს-იე-ს იგი
	3.2	გ-ი-პყრ-იე-ს	გ-გონ-იე-ს	გ-მოს-იე-ს
	3.3	უ-პყრ-იე-ს	ჰ-გონ-იე-ს	ჰ-მოს-იე-ს
მრ.	ინკ.	გუ-ი-პყრ-იე-ს (გჯპყრიეს)	გუ-გონ-იე-ს	გუ-მოს-იე-ს
	ექსკ.	მ-ი-პყრ-იე-ს	მ-გონ-იე-ს	მ-მოს-იე-ს
	3.2	გ-ი-პყრ-იე-ს	გ-გონ-იე-ს	გ-მოს-იე-ს
	3.3	უ-პყრ-იე-ს	ჰ-გონ-იე-ს	ჰ-მოს-იე-ს

მხ.	3.1	მ-ი-პყრ-ი-ან	მ-გონ-ი-ან	მ-მოს-ი-ან იგინი
	3.2	გ-ი-პყრ-ი-ან	გ-გონ-ი-ან	გ-მოს-ი-ან
	3.3	უ-პყრ-ი-ან	ჰ-გონ-ი-ან	ჰ-მოს-ი-ან
მრ.	ინკ.	გუ-ი-პყრ-ი-ან (გჯპყრიან)	გუ-გონ-ი-ან	გუ-მოს-ი-ან
	ექსკ.	მ-ი-პყრ-ი-ან	მ-გონ-ი-ან	მ-მოს-ი-ან
	3.2	გ-ი-პყრ-ი-ან	გ-გონ-ი-ან	გ-მოს-ი-ან
	3.3	უ-პყრ-ი-ან	ჰ-გონ-ი-ან	ჰ-მოს-ი-ან

ზოგიერთი ზმნა თავისებური შინაარსის გამო პირნაკლია, აქვს მხოლოდ მესამე სუბიექტური პირი, ობიექტურ პირთა ცვლით მიღებული პარადიგმა კი სრულია. ეს ზმნები ჩვეულებრივ ობიექტური წყობით გვხვდება. ასეთია, როგორც ვნახეთ, „ჰმოსიეს“. მსგავსად იუღლება „ასმიეს“: მასმიეს, გასმიეს, ასმიეს... ზოგჯერ ამ ფორმას განიხილავენ როგორც I თურმეობითს, რაც შეუძლებელია, რადგან ორპირიან გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითის მოდელი **ა** თავსართს არ შეიცავს (შდრ. დაჰმალვიეს, შეჰვედრებიეს და მისთ.).

ბ) ავ თემისნიშნიანები

იე დაბოლოებიანი ზმნები სტატიკურ ვნებითთა საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს ძველ ქართულში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ მეტოქეობას უწევს გავრცელებულობის მიხედვით **ავ** თემისნიშნიანები. ახალ ქართულში **იე** > **ი** დაბოლოება სტატიკურ ზმნებში გაბატონებულია. ამ ბოლოსართს დაირთავს ძველი ქართულის **ავ**-იან ზმნათა უმეტესი ნაწილი, აგრეთვე მარტივფუძიანები (აბს > აბია, არტყს > არტყია). **იე** > **ი** ბოლოსართი გაუჩნდა ანალოგიით საშუალი გვარის ზმნათა ერთ ნაწილსაც (ა. შანიძე, 1973, 391, 392; ლ. ბარამიძე, 1965, 100-104).

შენიშვნა: ავ თემის ნიშანი ფუძეს კუმშავს, თუ ის საზოგადოდ კუმშვადია: და-ვ-ფალ, მაგრამ: ვ-ფლ-ავ (დაფლული ვარ).

ავ-იან ზმნებს აწმყოში მწკრივის ნიშანი არ აქვთ.

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	ვ-ჰ-კიდ-ავ (ახ. ქართ. ვჰკიდივარ)	ვ-ჰ-მტერ-ავ	უ-ტჯრთ-ავ
	2.3	ჰ-კიდ-ავ	ჰ-მტერ-ავ	უ-ტჯრთ-ავ
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ს	ჰ-მტერ-ავ-ს	უ-ტჯრთ-ავ-ს
მრ.	1.3	ვ-ჰ-კიდ-ავ-თ	ვ-ჰ-მტერ-ავ-თ	უ-ტჯრთ-ავ-თ
	2.3	ჰ-კიდ-ავ-თ	ჰ-მტერ-ავ-თ	უ-ტჯრთ-ავ-თ
	3.3	ჰ-კიდ-ვ-ან	ჰ-მტერ-ვ-ან	უ-ტჯრთ-ვ-ან

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-კიდ-ავ-ს	მ-მტერ-ავ-ს	მ-ი-ტჯრთ-ავ-ს იგი
	3.2	გ-კიდ-ავ-ს	გ-მტერ-ავ-ს	გი-ტჯრთ-ავ-ს
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ს	ჰ-მტერ-ავ-ს	უ-ტჯრთ-ავ-ს
მრ.	ინკ.	გუ-კიდ-ავ-ს	გუ-მტერ-ავ-ს	გუ-ი-ტჯრთ-ავ-ს (გჯტჯრთავს)

	ექსკ.	მ-კიდ-ავ-ს	მ-მტერ-ავ-ს	მ-ი-ტკრთ-ავ-ს
	3.2	გ-კიდ-ავ-ს	გ-მტერ-ავ-ს	გ-ი-ტკრთ-ავ-ს
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ს	ჰ-მტერ-ავ-ს	უ-ტკრთ-ავ-ს
მხ.	3.1	მ-კიდ-ვ-ან	მ-მტერ-ვ-ან	მ-ი-ტკრთ-ვ-ან იგინი
	3.2	გ-კიდ-ვ-ან	გ-მტერ-ვ-ან	გ-ი-ტკრთ-ვ-ან
	3.3	ჰ-კიდ-ვ-ან	ჰ-მტერ-ვ-ან	უ-ტკრთ-ვ-ან
მრ.	ინკ.	გუ-კიდ-ვ-ან	გუ-მტერ-ვ-ან	გუ-ი-ტკრთ-ვ-ან (გკტკრთვან)
	ექსკ.	მ-კიდ-ვ-ან	მ-მტერ-ვ-ან	მ-ი-ტკრთ-ვ-ან
	3.2	გ-კიდ-ვ-ან	გ-მტერ-ვ-ან	გ-ი-ტკრთ-ვ-ან
	3.3	ჰ-კიდ-ვ-ან	ჰ-მტერ-ვ-ან	უ-ტკრთ-ვ-ან

ავ-იანი წარმოება, როგორც ჩანს, ისეთივე ძველია სტატიკური ვნებითისათვის, როგორც **ოე** ბოლოსართიანი, რასაც გვაფიქრებინებს გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მოდელი: აქაც, ისევე როგორც სტატიკური ვნებითის აწმყოში, გვაქვს ნიშნიანი (**ოე** სუფიქსიანი) და უნიშნო ფორმები. აწმყო და, შესაბამისად, I თურმეობითიც უნიშნოა **ავ** და **ამ**-იან ზმნებში. როგორც ზემოთ ითქვა, **ოე** სუფიქსიანი და **ავ**, **ამ** თემისნიშნიანი წარმოება სტატიკური ვნებითისათვის თანაბრად უძველეს ფორმებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ავ-იან ზმნათა **ოე** დაბოლოებაზე გადასვლა ძველსავე ქართულში იწყება. ერთმანეთის გვერდით გვხვდება ორივენაირი ფორმები: ჰკიდავს — ჰკიდია, ჰმარხავს — ჰმარხია...

მდგომარეობის გამომხატველ **ავ** თემისნიშნიან ზმნათა ერთ ნაწილს საშუალ გვარს აკუთვნებდნენ. ასეთია: (ჰ)შორავს, სძინავს, ჰღუძავს... საშუალი გვარის ზმნათა იმ ჯგუფიდან, რომელთაც ახალ ქართულში მედიოპასივს უწოდებენ, ძველ ქართულში ერთპირიანები უღლების სულ სხვა მოდელს გვიჩვენებდნენ, ორპირიანები — სხვას. კერძოდ, ერთპირიანებს I სერიაში აქვთ მხოლოდ აწმყო (და აწმყოს ხოლმეობითი): ზის, დგას, წევს..., ორპირიანებს კი — I სერიის ყველა მწკრივი (უყუარს, სძულს, ჰგავს, აქუნს / აქუს...). ერთპირიანები სხვა თავისებურებასაც იჩენენ: ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძველ ქართულში მათ აქვთ საკუთარი II სერია (ჯდა, დგა, წვა...), მაშინ როცა ორპირიანებს II სერიის ფორმები არ ჰქონიათ და შემდეგაც არ გასჩენიათ. განსხვავებულად „იქცევა“ რამდენიმე **ავ** თემისნიშნიანი ზმნა, რომლებიც ადრე საშუალი გვარის ფორმებში იყო გაერთიანებული, შემდგომ კი — სტატიკურ ვნებითში (ა. შანიძე). ვგულისხმობთ ზემოთ დასახელებულ „სძინავს“, ჰღუძავს“ ტიპის ზმნებს.

ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს ამ ზმნათა უღლების ტიპს. საკუთარი აწმყო (და აწმყოს ხოლმეობითი) და **ე**-პრეფიქსიანი ვნებითისაგან ნასესხები II სერია არის ის მოდელი, რომელიც სტატიკურ ვნებითს ახასიათებს. როგორც ითქვა, მედიოპასივი ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, მაშინ როცა ზემოთ აღნიშნული ზმნების უღლება სავსებით განსაზღვრულია, ისინი გვერდით უდგანან სტატიკურ ვნებითებს. ზმნები, რომელთაც სტატიკურ შინაარსთან ერთად სტატიკური ვნებითის მსგავსი უღლება ახასიათებს

ძველ ქართულში, სტატიკურ ვნებითად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ზმნებია **ავ**-იან-თაგან: სთრავს — ეთრო, ჰნებავს — ენება, ჰრთავს — ერთო, ჰრგავს — ერგო, სძინავს — ეძინა, ჰღჯავს — ეღჯა, ჰშორავს — ეშორა, უძლავს — ეძლო. გან-სხვავებით მედიოპასივისაგან, ამ ზმნებს მტკიცედ ჩამოყალიბებული უღლების მოდელი აქვთ უკვე ძველ ქართულში.

საფიქრებელია, რომ ფორმათა წარმოება დაედვა საფუძვლად იმას, რომ ა. შანიძემ თავის ძველი ქართული ენის გრამატიკაში ისინი სტატიკურ ვნები-თებში მოაქცია: სძინავს — ეძინა, ჰღჯავს — ეღჯა (ა. შანიძე, 1976, 78).

გ) მარტივფუძიანი სტატიკური ზმნები

მარტივფუძიანებია აბს, უბს, არტყს... ეს ზმნები **ამ** თემისნიშნიანია. მო-სალოდნელი იყო, რომ **ამ** თემის ნიშანი გადმოჰყვებოდათ სტატიკურ ვნებითში-აც **ავ**-ის მსგავსად. სტატიკურ ზმნათა აწმყოში **ავ** და **ამ** უკვე გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მიხედვითაც შეიძლება ვიგულისხმოთ. როგორც ჩანს, **ამ** თემის ნიშანი აწმყოში არა გვაქვს იმიტომ, რომ ასეთი ფორმა დაემთხვეოდა გარდამავალ ზმნათა ფორმებს: აბამს, არტყამს. ეს უნდა იყოს მარტივი ფუძის გამოყენების მიზეზი. შემდეგ ეს ზმნებიც **იე > ი** დაბოლოებაზე გადავიდა: აბიეს (> აბია), არტყიეს (> არტყია).

სტატიკურ ვნებითთა შორის უნდა მოვაქციოთ კიდევ რამდენიმე მარტივ-ფუძიანი ზმნა: ადგს, უდგს — ედგა, ასხს — ესხა, უვის — ესუა, ესხნეს. ეს ზმნები უღლების მიხედვით სტატიკურ ვნებითს მიჰყვება ძველსავე ქართულში. ადგს, უდგს, ასხს, ესხა, ესხნეს **ამ** თემისნიშნიანია და, ზემოთ მოყვანილი მარ-ტივი სტატიკური ზმნების მსგავსად, იყენებს არა **ამ** თემისნიშნიან ფუძეს, არა-მედ მარტივ ფუძეს. მიზეზი ამ შემთხვევაშიც მოქმედებითთან დამთხვევა უნდა იყოს (ადგამს; ხილს ისხამს, ხილი ასხს > ასხია). **ამ** თემისნიშნიანია „ესუა“ ზმნაც (სუმა), რომელსაც აწმყო სხვა ფუძით აქვს შევსებული.

უღლების ნიმუშები:

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	ვ-ა-ბ	ვ-ა-დგ	ვ-ა-რტყ
	2.3	ა-ბ	ა-დგ	ა-რტყ
	3.3	ა-ბ-ს	ა-დგ-ს	ა-რტყ-ს
მრ.	1.3	ვ-ა-ბ-თ	ვ-ა-დგ-თ	ვ-ა-რტყ-თ
	2.3	ა-ბ-თ	ა-დგ-თ	ა-რტყ-თ
	3.3	ა-ბ-ან	ა-დგ-ან	ა-რტყ-ან

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-ა-ბ-ს	მ-ა-დგ-ს	მ-ა-რტყ-ს იგი
	3.2	გ-ა-ბ-ს	გ-ა-დგ-ს	გ-ა-რტყ-ს
	3.3	ა-ბ-ს	ა-დგ-ს	ა-რტყ-ს
მრ.	ინკ.	გუ-ა-ბ-ს	გუ-ა-დგ-ს	გუ-ა-რტყ-ს
	ექსკ.	მ-ა-ბ-ს	მ-ა-დგ-ს	მ-ა-რტყ-ს
	3.2	გ-ა-ბ-ს	გ-ა-დგ-ს	გ-ა-რტყ-ს

	3.3	ა-ბ-ს	ა-დგ-ს	ა-რტყ-ს
მხ.	3.1	მ-ა-ბ-ან	მ-ა-დგ-ან	მ-ა-რტყ-ან იგინი
	3.2	გ-ა-ბ-ან	გ-ა-დგ-ან	გ-ა-რტყ-ან
	3.3	ა-ბ-ან	ა-დგ-ან	ა-რტყ-ან
მრ.	ინკ.	გუ-ა-ბ-ან	გუ-ა-დგ-ან	გუ-ა-რტყ-ან
	ექსკ.	მ-ა-ბ-ან	მ-ა-დგ-ან	მ-ა-რტყ-ან
	3.2	გ-ა-ბ-ან	გ-ა-დგ-ან	გ-ა-რტყ-ან
	3.3	ა-ბ-ან	ა-დგ-ან	ა-რტყ-ან

აწყოს ხოლმეობითი

ა) იე დაბოლოებიანი ზმნები

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	—	—	—	—
	2.3	—	—	—	—
	3.3	უ-პყრ-იე-ნ	ჰ-გონ-იე-ნ	ჰ-გ-იე-ნ	ჰ-მოს-იე-ნ
მრ.	1.3	—	—	—	—
	2.3	—	—	—	—
	3.3	უ-პყრ-ი-ედ	ჰ-გონ-ი-ედ	ჰ-გ-ი-ედ	ჰ-მოს-ი-ედ

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-ი-პყრ-იე-ნ	მ-გონ-იე-ნ	მ-მოს-იე-ნ იგი
	3.2	გ-ი-პყრ-იე-ნ	გ-გონ-იე-ნ	გ-მოს-იე-ნ
	3.3	უ-პყრ-იე-ნ	ჰ-გონ-იე-ნ	ჰ-მოს-იე-ნ
მრ.	ინკ.	გუ-ი-პყრ-იე-ნ	გუ-გონ-იე-ნ	გუ-მოს-იე-ნ
	ექსკ.	მ-ი-პყრ-იე-ნ	მ-გონ-იე-ნ	მ-მოს-იე-ნ
	3.2	გ-ი-პყრ-იე-ნ	გ-გონ-იე-ნ	გ-მოს-იე-ნ
	3.3	უ-პყრ-იე-ნ	ჰ-გონ-იე-ნ	ჰ-მოს-იე-ნ

შენიშვნა: „ჰგიეს“ ერთპირიანი გახდა, ამიტომ ობიექტურ პირთა ცვლა არ შეუძლია.

მხ.	3.1	მ-ი-პყრ-ი-ედ	მ-გონ-ი-ედ	მ-მოს-ი-ედ იგინი
	3.2	გ-ი-პყრ-ი-ედ	გ-გონ-ი-ედ	გ-მოს-ი-ედ
	3.3	უ-პყრ-ი-ედ	ჰ-გონ-ი-ედ	ჰ-მოს-ი-ედ
მრ.	ინკ.	გუ-ი-პყრ-ი-ედ (გჯპყრიედ)	გუ-გონ-ი-ედ	გუ-მოს-ი-ედ
	ექსკ.	მ-ი-პყრ-ი-ედ	მ-გონ-ი-ედ	მ-მოს-ი-ედ
	3.2	გ-ი-პყრ-ი-ედ	გ-გონ-ი-ედ	გ-მოს-ი-ედ
	3.3	უ-პყრ-ი-ედ	ჰ-გონ-ი-ედ	ჰ-მოს-ი-ედ

ბ) ავ თემისნიშნიანები

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	—	—	—
	2.3	—	—	—
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ნ	ჰ-მტერ-ავ-ნ	უ-ტჯრთ-ავ-ნ
მრ.	1.3	—	—	—
	2.3	—	—	—
	3.3	ჰ-კიდ-ვ-ედ	ჰ-მტერ-ვ-ედ	უ-ტჯრთ-ვ-ედ

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-კიდ-ავ-ნ	მ-მტერ-ავ-ნ	მ-ი-ტჯრთ-ავ-ნ იგი
	3.2	გ-კიდ-ავ-ნ	გ-მტერ-ავ-ნ	გ-ი-ტჯრთ-ავ-ნ
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ნ	ჰ-მტერ-ავ-ნ	უ-ტჯრთ-ავ-ნ
მრ.	ინკ.	გუ-კიდ-ავ-ნ	გუ-მტერ-ავ-ნ	გუ-ი-ტჯრთ-ავ-ნ (გჯტჯრთავნ)
	ექსკ.	მ-კიდ-ავ-ნ	მ-მტერ-ავ-ნ	მ-ი-ტჯრთ-ავ-ნ
	3.2	გ-კიდ-ავ-ნ	გ-მტერ-ავ-ნ	გ-ი-ტჯრთ-ავ-ნ
	3.3	ჰ-კიდ-ავ-ნ	ჰ-მტერ-ავ-ნ	უ-ტჯრთ-ავ-ნ

გ) მარტივფუძიანი ზმნები

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	—	—	—
	2.3	—	—	—
	3.3	ა-ბ-ნ, უ-ბ-ნ	ა-დგ-ნ, უ-დგ-ნ	ა-რტყ-ნ
მრ.	1.3	—	—	—
	2.3	—	—	—
	3.3	ა-ბ-ედ, უ-ბ-ედ	ა-დგ-ედ, უ-დგ-ედ	ა-რტყ-ედ

ობიექტური წყობით

მხ.	3.1	მ-ა-ბ-ნ, მ-ი-ბ-ნ	მ-ა-დგ-ნ, მ-ი-დგ-ნ	მ-ა-რტყ-ნ
	3.2	გ-ა-ბ-ნ, გ-ი-ბ-ნ	გ-ა-დგ-ნ, გ-ი-დგ-ნ	გ-ა-რტყ-ნ
	3.3	ა-ბ-ნ, უ-ბ-ნ	ა-დგ-ნ, უ-დგ-ნ	ა-რტყ-ნ
მრ.	ინკ.	გუ-ა-ბ-ნ, გუ-ი-ბ-ნ	გუ-ა-დგ-ნ, გუ-ი-დგ-ნ	გუ-ა-რტყ-ნ
	ექსკ.	მ-ა-ბ-ნ, მ-ი-ბ-ნ	მ-ა-დგ-ნ, მ-ი-დგ-ნ	მ-ა-რტყ-ნ
	3.2	გ-ა-ბ-ნ, გ-ი-ბ-ნ	გ-ა-დგ-ნ, გ-ი-დგ-ნ	გ-ა-რტყ-ნ
	3.3	ა-ბ-ნ, უ-ბ-ნ	ა-დგ-ნ, უ-დგ-ნ	ა-რტყ-ნ

II სერია

სტატიკურ ვნებითს მეორე სერიის ფორმები აკლია. დანაკლისს ყველა ერთნაირად ივსებს — იყენებს იმავე ზმნის **ე**- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს. ამიტომ II სერიაში სამივე ჯგუფის ზმნათა უღლებას ერთად წარმოვადგენთ.

წყვეტილი

ა) წყვეტილის ფორმები უნიშნოა, ან აქვთ მწკრივის ნიშანი **ე**. ბ) II სერიის მწკრივთა მრავლობითის ფორმებში თავს იჩენს **ენ, ნ** ინფიქსი, რომელიც წარმოშობით პირდაპირი ობოექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანია და შესაბამისი მოქმედებითიდან არის გადმოყოლილი პრეფიქსიან ვნებითში. როგორც პრეფიქსიანებში, ისე სტატიკურ ვნებითში **ენ, ნ** უფუნქციოა. გ) მრავლობითის I და II პირის ფორმებში უძველეს ძეგლებში **ენ** სუფიქსს უშუალოდ მოსდევს მრავლობითი რიცხვის **თ** (**ენ-თ**), მოგვიანებით ანალოგიის გზით მათ შუა გაჩნდა ნართაული **ი** (**ენ-ი-თ**).

უღლების ნიმუშები:

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	ვ-ე-პყარ	ვ-ე-გონ-ე	ვ-ე-გ-ე	—
	2.3	ე-პყარ	ე-გონ-ე	ე-გ-ე	—
	3.3	ე-პყრ-ა	ე-გონ-ა	ე-გ-ო	ე-მოს-ა
მრ.	1.3	ვ-ე-პყრ-ენ-(ი)-თ	ვ-ე-გონ-ენ-(ი)-თ	ვ-ე-გ-ენ-(ი)-თ	—
	2.3	ე-პყრ-ენ-(ი)-თ	ე-გონ-ენ-(ი)-თ	ე-გ-ენ-(ი)-თ	—
	3.3	ე-პყრ-ნ-ეს	ე-გონ-ნ-ეს	ე-გ-ნ-ეს	ე-მოს-ნ-ეს

მხ.	1.3	ვ-ე-მტერ-ე	ვ-ე-კიდ-ე	ვ-ე-ტჯრთ-ე
	2.3	ე-მტერ-ე	ე-კიდ-ე	ე-ტჯრთ-ე
	3.3	ე-მტერ-ა	ე-კიდ-ა	ე-ტჯრთ-ა
მრ.	1.3	ვ-ე-მტერ-ენ-(ი)-თ	ვ-ე-კიდ-ენ-(ი)-თ	ვ-ე-ტჯრთ-ენ-(ი)-თ
	2.3	ე-მტერ-ენ-(ი)-თ	ე-კიდ-ენ-(ი)-თ	ე-ტჯრთ-ენ-(ი)-თ
	3.3	ე-მტერ-ნ-ეს	ე-კიდ-ნ-ეს	ე-ტჯრთ-ნ-ეს

მხ.	1.3	ვ-ე-ბ-(ი)	ვ-ე-დგ	—
	2.3	ე-ბ-(ი)	ე-დგ	—
	3.3	ე-ბ-ა	ე-დგ-ა	ე-რტყ-ა
მრ.	1.3	ვ-ე-ბ-ენ-(ი)-თ	ვ-ე-დგ-ენ-(ი)-თ	—
	2.3	ე-ბ-ენ-(ი)-თ	ე-დგ-ენ-(ი)-თ	—
	3.3	ე-ბ-ნ-ეს	ე-დგ-ნ-ეს	ე-რტყ-ნ-ეს

ობიექტური წყობით

მხ.	1.3	მ-ე-პყრ-ა	მ-ე-გონ-ა	მ-ე-მოს-ა იგი
	2.3	გ-ე-პყრ-ა	გ-ე-გონ-ა	გ-ე-მოს-ა
	3.3	ე-პყრ-ა	ე-გონ-ა	ე-მოს-ა
მრ.	ინკ.	გუ-ე-პყრ-ა	გუ-ე-გონ-ა	გუ-ე-მოს-ა
	ექსკ.	მ-ე-პყრ-ა	მ-ე-გონ-ა	მ-ე-მოს-ა
	3.2	გ-ე-პყრ-ა	გ-ე-გონ-ა	გ-ე-მოს-ა
	3.3	ე-პყრ-ა	ე-გონ-ა	ე-მოს-ა

მხ.	1.3	მ-ე-მტერ-ა	მ-ე-კიდ-ა	მ-ე-ტკრთ-ა იგი
	2.3	გ-ე-მტერ-ა	გ-ე-კიდ-ა	გ-ე-ტკრთ-ა
	3.3	ე-მტერ-ა	ე-კიდ-ა	ე-ტკრთ-ა
მრ.	ინკ.	გუ-ე-მტერ-ა	გუ-ე-კიდ-ა	გუ-ე-ტკრთ-ა
	ექსკ.	მ-ე-მტერ-ა	მ-ე-კიდ-ა	მ-ე-ტკრთ-ა
	2.3	გ-ე-მტერ-ა	გ-ე-კიდ-ა	გ-ე-ტკრთ-ა
	3.3	ე-მტერ-ა	ე-კიდ-ა	ე-ტკრთ-ა

მხ.	1.3	მ-ე-ბ-ა	მ-ე-დგ-ა	მ-ე-რტყ-ა იგი
	2.3	გ-ე-ბ-ა	გ-ე-დგ-ა	გ-ე-რტყ-ა
	3.3	ე-ბ-ა	ე-დგ-ა	ე-რტყ-ა
მრ.	ინკ.	გუ-ე-ბ-ა	გუ-ე-დგ-ა	გუ-ე-რტყ-ა
	ექსკ.	მ-ე-ბ-ა	მ-ე-დგ-ა	მ-ე-რტყ-ა
	3.2	გ-ე-ბ-ა	გ-ე-დგ-ა	გ-ე-რტყ-ა
	3.3	ე-ბ-ა	ე-დგ-ა	ე-რტყ-ა

მხ.	1.3	მ-ე-პყრ-ნ-ეს	მ-ე-გონ-ნ-ეს	მ-ე-მოს-ნ-ეს იგინი
	2.3	გ-ე-პყრ-ნ-ეს	გ-ე-გონ-ნ-ეს	გ-ე-მოს-ნ-ეს
	3.3	ე-პყრ-ნ-ეს	ე-გონ-ნ-ეს	ე-მოს-ნ-ეს
მრ.	ინკ.	გუ-ე-პყრ-ნ-ეს	გუ-ე-გონ-ნ-ეს	გუ-ე-მოს-ნ-ეს
	ექსკ.	მ-ე-პყრ-ნ-ეს	მ-ე-გონ-ნ-ეს	მ-ე-მოს-ნ-ეს
	2.3	გ-ე-პყრ-ნ-ეს	გ-ე-გონ-ნ-ეს	გ-ე-მოს-ნ-ეს
	3.3	ე-პყრ-ნ-ეს	ე-გონ-ნ-ეს	ე-მოს-ნ-ეს

მხ.	1.3	მ-ე-ბ-ნ-ეს	მ-ე-დგ-ნ-ეს	მ-ე-რტყ-ნ-ეს იგინი
	2.3	გ-ე-ბ-ნ-ეს	გ-ე-დგ-ნ-ეს	გ-ე-რტყ-ნ-ეს
	3.3	ე-ბ-ნ-ეს	ე-დგ-ნ-ეს	ე-რტყ-ნ-ეს
მრ.	ინკ.	გუ-ე-ბ-ნ-ეს	გუ-ე-დგ-ნ-ეს	გუ-ე-რტყ-ნ-ეს
	ექსკ.	მ-ე-ბ-ნ-ეს	მ-ე-დგ-ნ-ეს	მ-ე-რტყ-ნ-ეს
	3.2	გ-ე-ბ-ნ-ეს	გ-ე-დგ-ნ-ეს	გ-ე-რტყ-ნ-ეს
	3.3	ე-ბ-ნ-ეს	ე-დგ-ნ-ეს	ე-რტყ-ნ-ეს

II ბრძანებითი

მხ.	1.3	—	—	—	—
	2.3	ე-გ-ე	ე-პყარ	ე-გონ-ე	—
	3.3	ე-გ-ე-ნ	ე-პყარ-ნ	ე-გონ-ე-ნ	ე-მოს-ე-ნ
მრ.	1.3	—	—	—	—
	2.3	ე-გ-ენ-(ი)-თ	ე-პყრ-ენ-(ი)-თ	ე-გონ-ენ-(ი)-თ	—
	3.3	ე-გ-ნ-ედ	ე-პყრ-ნ-ედ	ე-გონ-ნ-ედ	ე-მოს-ნ-ედ

მხ.	1.3	—	—	—
	2.3	ე-მტერ-ე	ე-კიდ-ე	ე-ტკრთ-ე
	3.3	ე-მტერ-ე-ნ	ე-კიდ-ე-ნ	ე-ტკრთ-ე-ნ

მრ.	1.3	—	—	—
	2.3	ე-მტერ-ენ-(ი)-თ	ე-კიდ-ენ-(ი)-თ	ე-ტკრთ-ენ-(ი)-თ
	3.3	ე-მტერ-ნ-ედ	ე-კიდ-ნ-ედ	ე-ტკრთ-ნ-ედ
მხ.	1.3	—	—	—
	2.3	ე-ბ-(ი)	ე-დგ	—
	3.3	ე-ბ-ი-ნ	ე-დგ-ი-ნ	ე-რტყ-ი-ნ
მრ.	1.3	—	—	—
	2.3	ე-ბ-ენ-(ი)-თ	ე-დგ-ენ-(ი)-თ	—
	3.3	ე-ბ-ნ-ედ	ე-დგ-ნ-ედ	ე-რტყ-ნ-ედ

II ხოლმეობითი

სუბიექტური წყობით

მხ.	1.3	ვ-ე-გ-ი	ვ-ე-პყრ-ი	ვ-ე-გონ-ი	—
	2.3	ე-გ-ი	ე-პყრ-ი	ე-გონ-ი	—
	3.3	ე-გ-ი-ს	ე-პყრ-ი-ს	ე-გონ-ი-ს	ე-მოს-ი-ს
მრ.	1.3	ვ-ე-გ-ნ-ი-თ	ვ-ე-პყრ-ნ-ი-თ	ვ-ე-გონ-ნ-ი-თ	—
	2.3	ე-გ-ნ-ი-თ	ე-პყრ-ნ-ი-თ	ე-გონ-ნ-ი-თ	—
	3.3	ე-გ-ნ-ი-ან	ე-პყრ-ნ-ი-ან	ე-გონ-ნ-ი-ან	ე-მოს-ნ-ი-ან

მხ.	1.3	ვ-ე-მტერ-ი	ვ-ე-კიდ-ი	ვ-ე-ტკრთ-ი
	2.3	ე-მტერ-ი	ე-კიდ-ი	ე-ტკრთ-ი
	3.3	ე-მტერ-ი-ს	ე-კიდ-ი-ს	ე-ტკრთ-ი-ს
მრ.	1.3	ვ-ე-მტერ-ნ-ი-თ	ვ-ე-კიდ-ნ-ი-თ	ვ-ე-ტკრთ-ნ-ი-თ
	2.3	ე-მტერ-ნ-ი-თ	ე-კიდ-ნ-ი-თ	ე-ტკრთ-ნ-ით
	3.3	ე-მტერ-ნ-ი-ან	ე-კიდ-ნ-ი-ან	ე-ტკრთ-ნ-ი-ან

მხ.	1.3	ვ-ე-ბ-ი	ვ-ე-დგ-ი	—
	2.3	ე-ბ-ი	ე-დგ-ი	—
	3.3	ე-ბ-ი-ს	ე-დგ-ი-ს	ე-რტყ-ი-ს
მრ.	1.3	ვ-ე-ბ-ნ-ი-თ	ვ-ე-დგ-ნ-ი-თ	—
	2.3	ე-ბ-ნ-ი-თ	ე-დგ-ნ-ი-თ	—
	3.3	ე-ბ-ნ-ი-ან	ე-დგ-ნ-ი-ან	ე-რტყ-ნ-ი-ან

ობიექტური წყობით

მხ.	1.3	მ-ე-პყრ-ი-ს	მ-ე-გონ-ი-ს	მ-ე-მოს-ი-ს
	2.3	გ-ე-პყრ-ი-ს	გ-ე-გონ-ი-ს	გ-ე-მოს-ი-ს
	3.3	ე-პყრ-ი-ს	ე-გონ-ი-ს	ე-მოს-ი-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-პყრ-ი-ს	გუ-ე-გონ-ი-ს	გუ-ე-მოს-ი-ს
	ექსკ.	მ-ე-პყრ-ი-ს	მ-ე-გონ-ი-ს	მ-ე-მოს-ი-ს
	3.2	გ-ე-პყრ-ი-ს	გ-ე-გონ-ი-ს	გ-ე-მოს-ი-ს
	3.3	ე-პყრ-ი-ს	ე-გონ-ი-ს	ე-მოს-ი-ს

მხ.	1.3	მ-ე-მტერ-ი-ს	მ-ე-კიდ-ი-ს	მ-ე-ტკრთ-ი-ს
	2.3	გ-ე-მტერ-ი-ს	გ-ე-კიდ-ი-ს	გ-ე-ტკრთ-ი-ს
	3.3	ე-მტერ-ი-ს	ე-კიდ-ი-ს	ე-ტკრთ-ი-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-მტერ-ი-ს	გუ-ე-კიდ-ი-ს	გუ-ე-ტკრთ-ი-ს
	ექსკ.	მ-ე-მტერ-ი-ს	მ-ე-კიდ-ი-ს	მ-ე-ტკრთ-ი-ს
	3.2	გ-ე-მტერ-ი-ს	გ-ე-კიდ-ი-ს	გ-ე-ტკრთ-ი-ს
	3.3	ე-მტერ-ი-ს	ე-კიდ-ი-ს	ე-ტკრთ-ი-ს

მხ.	1.3	მ-ე-ბ-ი-ს	მ-ე-დგ-ი-ს	მ-ე-რტყ-ი-ს
	2.3	გ-ე-ბ-ი-ს	გ-ე-დგ-ი-ს	გ-ე-რტყ-ი-ს
	3.3	ე-ბ-ი-ს	ე-დგ-ი-ს	ე-რტყ-ი-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-ბ-ი-ს	გუ-ე-დგ-ი-ს	გუ-ე-რტყ-ი-ს
	ექსკ.	მ-ე-ბ-ი-ს	მ-ე-დგ-ი-ს	მ-ე-რტყ-ი-ს
	3.2	გ-ე-ბ-ი-ს	გ-ე-დგ-ი-ს	გ-ე-რტყ-ი-ს
	3.3	ე-ბ-ი-ს	ე-დგ-ი-ს	ე-რტყ-ი-ს

II კავშირებითი

სუბიექტური წყობით

II კავშირებითის ნიშნებია **ა, ო** და **ე**. მრავლობით რიცხვში ა-სა და **ო**-ს ენაცვლება **ე**.

მხ.	1.3	ვ-ე-გ-ო	ვ-ე-პყრ-ა	ვ-ე-გონ-ო	—
	2.3	ე-გ-ო	ე-პყრ-ა	ე-გონ-ო	—
	3.3	ე-გ-ო-ს	ე-პყრ-ა-ს	ე-გონ-ო-ს	ე-მოს-ო-ს
მრ.	1.3	ვ-ე-გ-ნ-ე-თ	ვ-ე-პყრ-ნ-ე-თ	ვ-ე-გონ-ნ-ე-თ	—
	2.3	ე-გ-ნ-ე-თ	ე-პყრ-ნ-ე-თ	ე-გონ-ნ-ე-თ	—
	3.3	ე-გ-ნ-ე-ნ	ე-პყრ-ნ-ე-ნ	ე-გონ-ნ-ე-ნ	ე-მოს-ნ-ე-ნ

მხ.	1.3	ვ-ე-მტერ-ო	ვ-ე-კიდ-ო	ვ-ე-ტკრთ-ო
	2.3	ე-მტერ-ო	ე-კიდ-ო	ე-ტკრთ-ო
	3.3	ე-მტერ-ო-ს	ე-კიდ-ო-ს	ე-ტკრთ-ო-ს
მრ.	1.3	ვ-ე-მტერ-ნ-ე-თ	ვ-ე-კიდ-ნ-ე-თ	ვ-ე-ტკრთ-ნ-ე-თ
	2.3	ე-მტერ-ნ-ე-თ	ე-კიდ-ნ-ე-თ	ე-ტკრთ-ნ-ე-თ
	3.3	ე-მტერ-ნ-ე-ნ	ე-კიდ-ნ-ე-ნ	ე-ტკრთ-ნ-ე-ნ

მხ.	1.3	ვ-ე-ბ-ა	ვ-ე-დგ-ა	—
	2.3	ე-ბ-ა	ე-დგ-ა	—
	3.3	ე-ბ-ა-ს	ე-დგ-ა-ს	ე-რტყ-ა-ს
მრ.	1.3	ვ-ე-ბ-ნ-ე-თ	ვ-ე-დგ-ნ-ე-თ	—
	2.3	ე-ბ-ნ-ე-თ	ე-დგ-ნ-ე-თ	—
	3.3	ე-ბ-ნ-ე-ნ	ე-დგ-ნ-ე-ნ	ე-რტყ-ნ-ე-ნ

ობიექტური წყობით

მხ.	1.3	მ-ე-პყრ-ა-ს	მ-ე-გონ-ო-ს	მ-ე-მოს-ო-ს იგი
	2.3	გ-ე-პყრ-ა-ს	გ-ე-გონ-ო-ს	გ-ე-მოს-ო-ს
	3.3	ე-პყრ-ა-ს	ე-გონ-ო-ს	ე-მოს-ო-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-პყრ-ა-ს	გუ-ე-გონ-ო-ს	გუ-ე-მოს-ო-ს
	ექსკ.	მ-ე-პყრ-ა-ს	მ-ე-გონ-ო-ს	მ-ე-მოს-ო-ს
	3.2	გ-ე-პყრ-ა-ს	გ-ე-გონ-ო-ს	გ-ე-მოს-ო-ს
	3.3	ე-პყრ-ა-ს	ე-გონ-ო-ს	ე-მოს-ო-ს

მხ.	1.3	მ-ე-მტერ-ო-ს	მ-ე-კიდ-ო-ს	მ-ე-ტჯრთ-ო-ს იგი
	2.3	გ-ე-მტერ-ო-ს	გ-ე-კიდ-ო-ს	გ-ე-ტჯრთ-ო-ს
	3.3	ე-მტერ-ო-ს	ე-კიდ-ო-ს	ე-ტჯრთ-ო-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-მტერ-ო-ს	გუ-ე-კიდ-ო-ს	გუ-ე-ტჯრთ-ო-ს
	ექსკ.	მ-ე-მტერ-ო-ს	მ-ე-კიდ-ო-ს	მ-ე-ტჯრთ-ო-ს
	3.2	გ-ე-მტერ-ო-ს	გ-ე-კიდ-ო-ს	გ-ე-ტჯრთ-ო-ს
	3.3	ე-მტერ-ო-ს	ე-კიდ-ო-ს	ე-ტჯრთ-ო-ს

მხ.	1.3	მ-ე-ბ-ა-ს	მ-ე-დგ-ა-ს	მ-ე-რტყ-ა-ს იგი
	2.3	გ-ე-ბ-ა-ს	გ-ე-დგ-ა-ს	გ-ე-რტყ-ა-ს
	3.3	ე-ბ-ა-ს	ე-დგ-ა-ს	ე-რტყ-ა-ს
მრ.	ინკ.	გუ-ე-ბ-ა-ს	გუ-ე-დგ-ა-ს	გუ-ე-რტყ-ა-ს
	ექსკ.	მ-ე-ბ-ა-ს	მ-ე-დგ-ა-ს	მ-ე-რტყ-ა-ს
	3.2	გ-ე-ბ-ა-ს	გ-ე-დგ-ა-ს	გ-ე-რტყ-ა-ს
	3.3	ე-ბ-ა-ს	ე-დგ-ა-ს	ე-რტყ-ა-ს

მხ.	1.3	მ-ე-პყრ-ნ-ე-ნ	მ-ე-გონ-ნ-ე-ნ	მ-ე-მოს-ნ-ე-ნ იგინი
	2.3	გ-ე-პყრ-ნ-ე-ნ	გ-ე-გონ-ნ-ე-ნ	გ-ე-მოს-ნ-ე-ნ
	3.3	ე-პყრ-ნ-ე-ნ	ე-გონ-ნ-ე-ნ	ე-მოს-ნ-ე-ნ
მრ.	ინკ.	გუ-ე-პყრ-ნ-ე-ნ	გუ-ე-გონ-ნ-ე-ნ	გუ-ე-მოს-ნ-ე-ნ
	ექსკ.	მ-ე-პყრ-ნ-ე-ნ	მ-ე-გონ-ნ-ე-ნ	მ-ე-მოს-ნ-ე-ნ
	3.2	გ-ე-პყრ-ნ-ე-ნ	გ-ე-გონ-ნ-ე-ნ	გ-ე-მოს-ნ-ე-ნ
	3.3	ე-პყრ-ნ-ე-ნ	ე-გონ-ნ-ე-ნ	ე-მოს-ნ-ე-ნ

ასევე იუღლება დანარჩენი ზმნებიც.

3. იე-ს (> ი-ა) დაბოლოებაზე გადასვლა ავ თემისნიშნიანებსა და მარტივფუძიანებში

ძველსავე ქართულში უნიფორმაციის ტენდენციის შედეგად **იე**-ს (> **ი-ა**) დაბოლოება გზას იკაფავს დანარჩენ სტატიკურ ვნებითშიც. ეს პროცესი მოგვიანებით უფრო ძლიერდება (ლ. ბარამიძე, 1964, 121).

აბს > აბიეს: არა ცუდად ჯრმალ აბიეს, ჰრომ. 13,4AB. მხოლოდ **ი-ა** (**ი-ან**) დაბოლოება გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“: გაბია, 897,1; გვაბია, 422,3; მაბიან, 837,2; გვაბიან, 440,4; უბია, 1607,1.

ადგს > ადგიეს: მოვედ... და ჰპოო მუნ მონაზონი, რომელსა ადგიეს კუნკული, მამ. ცხ. 223,11; შინაგან ადგია მას გჳრგჳნი სულიერი, კიმ. I, 206,17.

ჰკიდავს > ჰკიდია: ჰკიდავს, ვეფხ. 1493,3; მაგრამ: გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, იქვე, 848,1; ზურგს მკიდია მძიმე ტვირთი, შვიდი მთ. 1193,2; სამახარობლო შენზე ჰკიდიაო, რუსუდ. 233,4...

ჰმარხავს > ჰმარხია: ტრაპეზში სამი წმინდა მარხია, საბა, I, 156,4 ქვ.

არტყს > არტყია: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა, ვეფხ. 1194,3; ჯრმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა, ჴელმწ. კარის გარიგ. 4,2.

იშვიათად ხდება პირიქითაც, **ია**-ს დაბოლოებიანი ზმნა **ავ** თემის ნიშანს დაირთავს: ვის უპყრავს ცანი, პალ. ალბ. 284,2 (XVIII ს.); მეცხრეს ვეშაპის ტყავი მოსავს, კ. კეკელიძე, ეტ. II, 155, VI (XVII ს.).

ამ ტენდენციის შემდგომი განვითარების შედეგი გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში, სადაც სუბიექტური მესამე პირი მხოლოდ **ავ**-იანია.

4. ია-ს > ოა სტატიკურ ზმნებში

ძველი ქართულის **ია**-ს დაბოლოება სტატიკურ ზმნათა აწმყოში (და I თურმეობითშიც) შემდეგ **ოა** ბოლოსართმა შეცვალა (ლ. ბარამიძე, 1964, 104-105, 109-112). **ია**-ს > **ოა** ჯერ კიდევ ძველ ქართულში ისახება და ახალი ქართულისათვის, როგორც ცნობილია, **ოა** უკვე ნორმაა, აი, ზოგიერთი ნიმუში ძველი ქართული ენის ძეგლებიდან:

ვინაჲ არს შესამოსელი ესე, რომელ გმოსია, ბალავ. 84,11Ⴑ; რომელსა ჰმოსია მზე იგი სიმართლისაჲ, გამოცხ. თარგმ. 12,1C; (ეკლესიაჲ) ჩუენი არსო და შენ რაჲსათჳს გიპყრია, სინ. მრ. 70,7; უპყრია სიმდიდრე, ეკლეს. 103,4; ასევე: ფს. 72,12Ⴑ; ჰგია თუითეული თუისსა არსებასა, ჯავახ. აღწ. 105,17 ქვ.; ნთია სანთელი, ათონ. კრებ. 221,11; ვითარცა სწერია დიდსა სჯნაჲსარსა, იქვე, 316,4; ვითა ზემოჲთ სწერია, გამოცხ. 131,15 და სხვა.

ოა ბოლოსართის **ი- ია**-ს გამარტივების შედეგად არის მიღებული:

ია-ს > **ოა**, ა-ს დართვის გამო **ე** მოეკვეცა. ა კი გადმოსული უნდა იყოს ერთპირიან ზმნათა I თურმეობითის (resp. შედგენილი შემასმენლის) ფორმებიდან, სადაც მეშველი ზმნის გამარტივება ადრევე არის დაწყებული (არს > ა). „წარსრულ არს" ორი მნიშვნელობის მქონეა ძველ ქართულში: ა) „წარვიდა" ზმნის I თურმეობითია (= ახ. ქ. წასულა) და ბ) შედგენილი შემასმენელია (= ახ. ქ. წასულია). წარსრულ არს > წარსრულა ტიპის ფორმები ძველ ქართულში ხშირია:

ფესუედითა ოქრეანითა შემკულ-ა და შემოსილ, ფს. 44,14; რომელ დაწერილ-ა ღმრთისა მიერ, სინ. მრ. 48,4; თავი მოკუეთილ-ა პავლჱსა, იქვე, 252,33; რომელი მოსრულ-ა სოფლად, ი. 6,14 და მისთ.

ამათი გავლენით უნდა იყოს ა გაჩენილი ორპირიან ზმნათა I თურმეობითში, საიდანაც ანალოგიით სტატიკურ ვნებითშიც გავრცელებულა. ერთპირი-

ან ზმნათა I თურმეობითის ფორმები საანალოგიო წყარო უნდა იყოს ორპირიანთა იმავე მწკრივისათვის.

5. სტატიკური ზმნების უღლების ნიმუშები ძველი ქართული ენის ძეგლებიდან

ძველი ქართული ენის ძეგლებში სტატიკური ვნებითი სანთლით საძებნელია, ამიტომ ამ სიას სისრულის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მაინც საყურადღებოა აღნიშნულ ფორმათა თავმოყრა. ზმნები დალაგებულია ანბანის რიგის მიხედვით.

1. ა-ბ-ს, უ-ბ-ს, ე-ბ-ა: არა ცუდად ჯრმალ აბს (აბიეს AB), ჰრომ. 13,4ᒣCD; პირი ჩუენი განღებულ არს და არა აბს კარ, და არცა საცო, ჯავახ. აღწ. 233,3; ამათ ძირი არა უბნ, ლ. 8,13DE; მუნ ება (ცხენი), Q-240,164 (იმოწმებს ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენ. ლექსიკ.); იყვნეს... სენაკნი ორნი... და კარნი ხოლო ებნეს, ცხ. ილარ. 212,15; კარაული, უკუეთუ ებას ქუე მუტრუკი მისი, აქა და იქი მიმოვარდების, მამ. ცხ. 200v (იმოწმებს ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენ. ლექსიკ.)

2. უ-ბლარდნ-იე-ს, ე-ბლარდნ-ა: მოიჴსნა ძონძი იგი, რომელი ებლარდნა წელთა მისთა, ბალავ. 122,1C; კოტორი ნაძუელავთაგან დაკერული ებლარდნა მას ზედა, იქვე, 85,23C.

3. ჰ-ბურ-ავ-ს, ე-ბურ-ა: არს მუნ შინა დედაკაცი, რომელსა ჰბურავს თავსა ძონძი ძუელი, კიმ. I,206,17; ჰბურავს გიშრისა ჭერითა, ვეფხ. 1009,4; აღსაპყრობელი იგი, რომელი ებურა საკურთხეველსა... აღმაღლდა თავით თჳსით, ლიმ. 67,25; ერთი ოდენ ფსიათი აქუნდა, ნახევარი ეგო ქუეშეთ და ნახევარი ებურა ზედაჲთ, მამ. ცხ. 205r, ხელნ. A-1105 (იმოწმებს ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენ. ლექსიკ.); ებურნეს მოშლით რიდენი, ვეფხ. 123,2.

4. ჰ-გ-იე-ს, ე-გ-ო: ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა, ი. 15,10DE; შენ ქალწულებასავე ჰგიე, უდაბნ. 120,29; რომელი-ესე აწ ჰგიეს, შატ. 68,16; მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, 1 იოვ. 4,13; ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ი. 15,10DE; მთანი იგი მუნვე ჰგიან, მოქც. ქართლ., შატ. 777,10; შეუცთომელად ჰგიედ სავსე ყოვლითა საქმითა კეთილითა, მამ. სწ. 237,10; ნაყოფი იგი თქუენი ეგენ, ი. 15,16C; მტკიცედ ეგენით სიყუარულსა მას ჩემსა, ი. 15,9; ეგის ბუნებაჲ წესსა ზედა თჳსსა დადგრომილი, შატ. 87,29; ვიდრემდის ეგოს შუენიერებასა მას ზედა ძირისასა, კაც. აგ. 87,7; შემდგომად წოდებისაცა ესევითარსა უკეთურებასა ზედა ვეგნეთ, იოვ. განმარტ. 77,14.

5. უ-გ-იე-ს, ე-გ-ო: ერთი ოდენ ფსიათი აქუნდა, ნახევარი ეგო ქუეშეთ და ნახევარი ებურა ზედაჲთ, მამ. ცხ. A-1105, 205r.

6. წინა-უ-გ-იე-ს, წინა-ე-გ-ო: დაუდვის მის წინაშე პური და სხუაჲ, რომელი წინა-უგიეს მას, კიმ. II,195,27.

7. თუალ-უ-გ-იე-ს, თუალ-ე-გ-ო: თუალ-უგიან (უგია B) და განჩჳბრებული ხედავს კაცსა ვისმე ერთსა უცხოსა, თეკ. 95,31.

8. უ-გბ-იე-ს, ე-გბ-ო: შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საშმელი კორკოტისაჲ მომართუ. და მაშინ არა ეგბო, შევაგბე (= მოვხარშე) და მივართჳ(!), ხანძთ. 318,32.

9. უ-გდ-იე-ს, ე-გდ-ო (საგდული ჰქონდა, დაკეტილი იყო): მივიდა და იხილვიდა ბეჭედსა მას, რამეთუ ეგდო კართა მათ და ეგნეს, ვითარცა პირველ, მოც. აპოკრიფ. 16,26; ხამს, ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ თქვენი ნატერფალია, ვეფხ. 1554,4.

10. ჰ-გონ-იე-ს, ე-გონ-ა: თქუენ ვინ გგონიე მე, ლ. 9,20; ვინ ვჰგონიე ერსა ამას, ლ. 9,18; რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, ლ. 8,18; ეგრეცა თქუენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა მართალ, მ. 23,28DE; მგონიეს, მჴსნელისა მისთჳს თქუა პავლემან, სახისმეტყ., შატ. 179,1; და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, შუშ. 24,25; რომელთა-იგი მცირედ ვხედავთ, ჩუენ ყოველთა საწუნელ გუგონიეს, მამ. სწ. 248,2; შორს მათგან წარვიდის და ჰგონიენ სირცხჳლეული, მამ. ცხ. 32,2; რომელმან არა იცინ, ჰგონიედ, ვითარმედ უდაბნო არს ყოვლად მიუვალი, სინ. მრ. 269,18; მას ეგონა, ვითარმედ მემტილმ იგი არს, ი. 20,15; რაჲთა არა ეგონოს ვისმე, შატ. 67,30.

11. ა-დგ-ს (> ადგიეს), **უ-დგ-ს, ე-დგ-ა:** პირ ადგს (ათქს Ქ) და არა იტყჳან, ფს. 113,13; მივედ... და ჰპოო მუნ მონაზონი, რომელსა ადგიეს კუნკული, მამ. ცხ. 223,11; დედალსა მას, რამეთუ არა ადგნ მუცელი, შატ. 181,5.

ნუუკუე სახლებ არა გიდგს ჴამად, I კორ. 11,22; სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, ი. 10,16; ედგა სარწყული მჯარსა მისსა, შესაქმ. 24,15; ედგა (= ჰქონდა) ეკლისა გჳრგჳნი, ი. 19,5; რომელსა-იგი ჴელი განჴმელ ედგა, საკ. წიგ. II,100,21; ედგა (= ჰყავდა) მათ ვირი, რომლითა მოიღიან წყალი იორდანით, მამ. ცხ. 315,8; რომელსა ედგას (= ჰყავდეს) ცხოვარი ერთი, მ. 12,11; რომელსა ედგნეს თავნი შჯდნი, გამოცხ. 12,3; ამას ნავნი ედგნეს ექუსნი თჳსნი, საკ. წიგ., II,130,13.

12. გულს-უ-დგ-ს, გულს-ე-დგ-ა: ჰეროდიას გულს-ედგა (= მისი ჯავრი სჯირდა, გულში ჰქონდა) ავი განზრახვა, მრ. 6,19.

13. უ-ვ-ი-ს, ე-სუ-ა: დასასრულს მჴეცთავე შეჴმად უვი, ლიმ. 136,30; ერთი მივის მამაჲ, უდაბნ. 123,2; არა გივის ქმარი, ი. 4,17; არავინ უვის, გარნა დედაჲ ხოლო მარტოჲ, მამ. ცხ. 288,38; მამაჲ გჯვის ჩუენ აბრაჰამი, მ. 3,9; რაჟამს ძმ ერთი უვინ კაცსა, იოვ. განმარტ. 21,16.

არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად, მ. 14,4; ესუა ამას ცოლი მორწმუნმ, ხოლო შვილი მას არა ესუა, საკ. წიგ. II,119,28; უკუეთუ კუალად სხუაჲცა (ძმ) ესჯს, იოვ. განმარტ. 21,18; არღარავინ გესუას მზრუნველი, მამ. ცხ. 306,15; ნაშობი არა ესუას მას, ლევიტ. 22,13.

14. ჰ-ვედ-იე-ს (ჰვედრიეს), **ე-ვედრ-ა:** თავის ძველი ქართული ენის გრამატიკაში (1976) ა. შანიძე წერს: „ვედ ფუძისაგან ნაწარმოებია სტატიკური ზმნა მვედიეს (იგი მე), გვედიეს (იგი შენ), ჰვედიეს (იგი მას), მვედიან (იგინი მე). მვედიეს — ჩაბარებული მაქვს, მყავს, გვედიეს — ჩაბარებული გაქვს, გყავს", გვ. 122. „ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ვედრი („ჩანაბარები") და ამისაგან — ვედრებაჲ", იქვე.

ეს ზმნა იშვიათი ხმარებისაა, შეგვიძლია დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი: მჩხრეკალი ამისი იოვანე ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედია, ჯავახ. აღწ. 58,15; იქვე, 58,16; ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედია სული ჩემი, იქვე, 58,20; გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა მე, ფრიად ცოდვილი იოვანე და მიქაელ, სინ. მრ. 282,10; ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან, შვილო, რომელთა გულს-მოდგინედ მსახურებაჲ ჩემი თავს-იდვეს, ხანძთ. 278,22; იგულეთ, გვედიან ყრმაჲ იგი ჩემი აბესალომ, II მეფ. 18,12 (მოსალოდნელი იყო „გვედიეს“).

საშუალ ქართულში გვხვდება (ჰ)ვედრია: შენ შვილი ჩემი გვედრია (ჩაბარებული გყავს, გაბარია), ამირან-დარეჯ. 99,17; მყინვარას... გასტეხს... ჰიქასა შიგან ჩასდებს, იგიცა საღვინის მოლარეს ვედრია, ჯელმწ. კარის გარიგ. 20,6.

15. უ-ვს-იე-ს, ე-ვს-ო: ესე თხიერები, რომელ ღუნითა გუევსო, ახლები იყო, ისო ნავ. 9,13BDS.

16. ს-თრ-ავ-ს, ე-თრ-ო: არა ვითარ-იგი თქუენ ჰგონებთ, ვითარმედ ამათ სთრავს და რამეთუ გუთრავს ჩუენ, სინ. მრ. 188,29; რომელსამე სთრავნ, I კორ. 11,21; რაჟამს დაბნელებულ არნ გონებაჲ შენი და სთრავნ, იოვ. განმარტ. 41,9. წარსულ დროს იკეთებს ნასესხები ფორმით ეთრო. გვაქვს ერთი მაგალითი გვიანდელი ძეგლიდან: თაყას ეთრო და ვერა შეიტყო, ისტ. დოკ. 15,16 (1443-66 წლ., იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 315). ასეთი ფორმები ძველი ქართულისათვის ჩვენს მასალაში არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ გვხვდება უწყვეტელი: სთროდა, სინ. მრ. 188,23. არ არის მოულოდნელი, რომ ძველსავე ქართულში იყოს „ეთრო“ ტიპის ფორმებიც. თუ არა, მაშინ ამ ზმნის სტატიკურ ვნებითად მიჩნევა გაჭირდება.

17. ჰ-კიდ-ავ-ს, ე-კიდ-ა: რაჲ არს ძუალები ეგე, რომელ გკიდავს, ბალავ. 94,32Ქ; ჰკიდავს მას ძუელი მახალაკი, ასურ. მამ. ცხ. 180,4Ⴑ; ამისთჳს გუკიდავს ძუალები ესე, ბალავ. 94,35Ქ; წარჰცა მძივი იგი, რომელი ჰკიდავნ ყელსა მეფისასა, მამ. სწ. 294,3; ეკიდა მას თჳთ ჯუარი თჳსი, ი. 19,7; თითუეულსა (!) თჳსი ტჯრთი ეკიდოს, მამ. ცხ. 311,29; ყოველთა ეკიდნენ საქმენი მათნი თითოეულად, მამ. სწ. 93,21; ასევე: იქვე, 209,20.

„ვეფხისტყაოსანში“ არის როგორც ძველი, ისე ახლებური ფორმები: ჰკიდავს 1493,3 და: ჰკიდიან 848,1.

18. უ-კრ-ავ-ს (გამოკრული აქვს), **ე-კრ-ა:** ამის ხუცისა ოდესმე წარმოსცა ანბა ივლიანოს მესუეტემან მჩუარი, რომელსა შინა ეკრნეს სამნი ნაკუერცხალნი ცეცხლისანი დაუშრეტელად, ლიმ. 11,27. შდრ.: შეუკრა მჩუარსა მას წყალი და წარსცა ბერისა, იქვე, 11,29. საყურადღებოა აწმყოს ფორმა საშუალი ქართულის ძეგლიდან: ჯებირი უკრავს, შაჰნავაზ 689,2; ნაზვრევს... ერთის დღის მიწა აკრავს, საქ. სიძვ. II,365,11 ქვ.

19. ჰ-მართ-იე-ს (აღმართულია), **ე-მართ-ა:** რადღა ჰმართიხარ ზე, მთაო, ვეფხ. 1592,4. მოგვიანებით: ტანო, ზე ნუღარ მართიხარ, თეიმ. I, 132,55,3; გვანდა: შავი მთა მართია, შაჰნამე I,1611,3.

20. ჰმარხ-ავ-ს (დამარხულია), **ე-მარხ-ა:** ჰრქუა ლომსა მას: აქა ჰმარხავს მამაჲ ჩუენი, მამ. ცხ. 316,5. მოგვიანებით მას ენაცვლება „მარხია“: ტრა-

პეზში სამი წმინდა მარხია, საბა, I,156,4 ქვ.; მის ახლო საყდარს მამა ემარხა, დავითიანი, 240,12.

21. ჰ-მოს-იე-ს, ე-მოს-ა: ესე რომელ მმოსიეს, ამითურთ დამფალთ მე, ცხ. ილარ. 221,13; შენ გმოსიეს სტავრაჲ და ხაზდი, მამ. სწ. 85,22; რომელსა-იგი ჰმოსიეს დიდებაჲ მამისაჲ, უდაბნ. 118,37; აჰა ესერა გუმოსია გჳრგჳნი, მამ. ცხ. 293,31; ოდეს შეიმოსიან, ვითარცა მოძღურებაჲ მისი, ეგრე ჰმოსიედ, უდაბნ. 100,19.

მოხუედ აქა, რომელსა სამოსელიცა არა გემოსა, საკ. წიგ. II,118,31; რამეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა, შუშ. 25,30.

22. ჰ-მტერ-ავ-ს (გადამტერებულია), **ე-მტერ-ა:** ჰმტერავს ხესა მას გუელი დიდი, სახისმეტყ., შატ. 189,5; ხოლო ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვაჲ მისი, მრ. 6,19; მოიძულნეს წესნი წარმართთანი და სიმღერაჲ და განცხრომაჲ, და არავის ემტეროს ყოლადვე, მამ. სწ. 208,23 (გამოცემაშია: ემტროს); ყოველნი დაბადებულნი ემტერნენ მას, იქვე, 168,38.

23. უ-მტკმ-იე-ს (პირი გაღებული აქვს), **ე-მტკმ-ა:** რაჟამს დაიძინის კორკოდინოს ხჳთქმან, პირი ზე უმტკმიედ, სახისმეტყ., შატ. 188,18. შდრ.: აღუმტკმებიედ პირი და შეხედვედ მას, 1 ეზრა, 436r, 1 სვ.; ასევე შევადაროთ: ამისთჳს გული არა განუწყრა მეფესა, არამედ პირი აემტკმო და შეხედვიდა მას, იქვე, 436v, 2 სვ.

24. ჰ-ნებ-ავ-ს, ე-ნებ-ა: და ჰრქუა: მნებავს, განწმიდნი, მრ. 1,41; მთხოვე, რაჲცა გნებავს, მრ. 6,22; რომელსა-იგი ჰნებავს სასმენელ ყოფად ჴმაჲ თჳსი, სინ. მრ. 226,31; მენება აღშენებაჲ ტაძრისა, ლიმ. 43,28; ხოლო წმიდასა მას ენება, რაჲთამცა ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშენა ეკლესიაჲ, ზარზ. 334,7; უკუეთუ გენებოს, რაჲთამცა სცან, კაც. აგ., შატ. 120,8; ეყოს მას, რაჲცა ენებოს, უდაბნ. 117,9.

იშვიათად ანალოგიით გაჩენილი უწყვეტლის ფორმაც შეიძლება შეგვხვდეს: რომელი-მე ქუეყანაჲ უფროჲს უყუარდა და ჰნებვიდა ლოთს, მამ. სწ. 197,21.

25. ჰ-ნთ-იე-ს, ე-ნთ-ა: სადაცა-იგი ჰნთიენ, ყოვლად მუნ არს, სინ. მრ. 122,7; ღამე მოუკლებელად ნთია სანთელი, ათონ. კრებ. 221,11.

1920 წელს ა. შანიძე იმოწმებს „ჰნთიედ“ ფორმას, თუალთაჲ 30,25 (ა. შანიძე, 1957, 174).

26. უ-პყრ-იე-ს, ე-პყრ-ა: ოთხ არიან, რომელთა უპყრიე მე, აპოკრ. 17,21; ეკლესიასა უპყრიე შენ ვითარცა ზღუდეჲ, მოდრეკ. 153r,10; ხეთა რტოჲ მიპყრიეს, მრავ. 281,8; მივედ ადგილსა თჳსსა და ნუ ეგევითარი გონებაჲ გიპყრიეს, შუშ. 15,17; ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს, აბო, ჰაგ. ლიტ. ძეგ. 61,13; შენ..., რომელსა გიპყრიან დაბადებულნი, სინ. მრ. 174,35; ჴელთა შინა მისთა უპყრიენ წმიდაჲ ევანგელჱ დღე და ღამე, საკ. წიგ. II,119,11; მოაჩჩჳს მუცელი და ჴსნილად უპყრიედ, თუალთ., შატ. 129,19.

წყალსა ზედა ზე ვეპყარ, რაჲთა არა მოვირჩო, მამ. ცხ. 192,25; ნუთუ მოციქულად არა ეპყარ შენ, უდაბნ. 187,24; ეპყრა ტიკიცა იგი ღჳნითა

სავსᲂ, საკ. წიგ. II,98,3; დაეშენენით ქალაქთა თქუენთა, რომელ გეპყრნეს, იერ. 40,10 IO.

27. ჰ-რგ-ავ-ს (დარგულია), **ე-რგ-ო:** რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო, ვეფხ. 599,3. მოგვიანებით: რაც ხილია, ეგ სუყველა ჩვენს ბაღში რგავს, დავითიანი, 61,244,3.

28. ა-რგ-იე-ს, ე-რგ-ო: აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, შუშ. 20,3; ყოველნი კიდენი ქუეყანისანი არად მერგნენ ჩუენ ჟამსა მას, მამ. სწ, 209,16.

29. ჰ-რთ-ავ-ს (ურევია), **ე-რთ-ო:** არარაჲ საწადელი ჰრთავს ესევითარსა ცხორებასა, ბალავ. 152,12C; უფალო, არა კეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა! აწ ვინაჲ ჰრთავს ღუარძლი ესე, მ. 13,27C; იგი ხოლო გურთავს ჩუენ შორის მოწამედ, სინ. მრ. 66,30; არასადა ვერთე შეკრებასა მას მათსა, სინ. მრ. 240,6; არა ერთო იგი გოლიათთა და ამისთჳს მოიკლა იგი ყმაწურილისა მიერ, ქ. ცხ. I,154,10; არა ერთნეს ძენი იერიქონისნი კაცთა მათ ბეთსამელთა, რაჟამს იხილეს კიდობანი შჯულისა უფლისაჲ, I მეფ. 6,19 (ხელნ. 10r); უმჯობეს არს მცირედი სიმართლე, რომელსა არა ერთოს ცოდვაჲ, ბალავ. 152,12C; ასევე: მამ. სწ. 154,30.

30. ა-რტყ-ს (> არტყია), **ე-რტყ-ა:** ეს ზმნა **ამ** თემისნიშნიანია (შერტყმა), ამიტომ აწმყოში უნდა გვქონდეს არტყს (შდრ.: შებმა, აბს); **ი-ა** დაბოლოებაზე შემდგომ არის გადასული. მაგალითები: შერტყმული სარტყლითა ოქროჲსაჲთა არა წელთა ზედა, ვითარცა-იგი სხუათა კაცთა არტყია..., არამედ მკერდსა ზედა ერტყა ძუძუთა თანა, თარგმ. გამოცხ. 1,13; მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა, ვეფხ. 1194,3.

სარტყელი ტყავისაჲ ერტყა წელთა მისთა, მ. 3,4; მრ. 1,6; შეიჯსნა საბელი, რომელი ერტყა სარტყლად, მამ. ცხ. 297,27; მერტყას მე ჩემი ხრმალია, ვეფხ. 565,4.

31. ჰ-რქუ-ი-ან (ჰრქჳან), **ე-რქუ-ა:** „ჰრქჳან" რქუმა ზმნის II ხოლმეობითის მრავლ. III პირის ფორმაა წარმოშობით, მაგრამ ძველ ქართულში ის საკმაოდ ხშირად გვხვდება სტატიკური აწმყოს მნიშვნელობით (ა. შანიძე, 1957, 121, შნშ. 1; ა. ჩიქობავა, 1948, 70-72). ამ ზმნამ დაკარგა სუბიექტური პირი, პირდაპირი ობიექტი გაგებულ იქნა სუბიექტად, ხოლო II სერიას ე-ნიანი ვნებითის ფორმით ივსებს სტატიკური ვნებითის ანალოგიით. მაგალითად: რომელსამე კაცთაგანსა პეტრე ჰრქჳან, და რომელსამე — პავლე და იოვანე, და არა არიან იგინი ვითარცა პეტრე და პავლე და იოვანე... ვითარცა-ესე მე იოვანე მრქჳან და არა ვარ ვითარცა იოვანე, მამ. სწ. 82,6-8.

მოყვანილი მაგალითები სტატიკური შინაარსის ორპირიანი ზმნებია: (სახელი) მქვია, ჰქვია. სხვა მაგალითები: მოვიდა დაბასა, რომელსა ჰრქჳან ცურტავ, შუშ. 12,14; და ესრᲂთ წარმოვედით ჩუენ მონასტერსავე ჩუენსა, რომელსა ჰრქჳან სპანოდრიონ, საკ. წიგ. II,110,5; დიდებულ იქმნა ადგილი იგი, რომელსა-იგი წინაჲთ ერქუა სპანოდრიონ, იქვე, 106,33; სახელი ერქუა მას კორნელიოს, საქმე, 10,1.

ასეთივე ვითარებაა „ვეფხისტყაოსანში“: მე ასმათ მქვიან, 260,3; მოშაირე არა ჰქვიან, 15,1; მიჯნური შმაგსა გვიქვიან, 22,1; სარიდან ერქვა სახელად, 312,2.

ასეთი შინაარსი ზმნას ძირითადად მაშინ აქვს, როცა სახელის წოდებაზეა საუბარი.

32. ა-რჭუ-ობ-ს (> არქჯა), **ე-რჭუ-ა** (ახურავს, ეხურა; შდრ.: სარქუელი): და გკრგკნი ათორმეტთა მათ მოციქულთა სწავლისაჲ არქჯა თავსა ზედა მისსა, თარგმ. გამოცხ. 12,1 (იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 316). შდრ.: კეისარმან... დაარქუა გკრგკნი იგი ვახტანგს, ქ. ცხ. I,168,6.

33. უ-რჩევ-ნ-ობ-ს, ე-რჩი-ა: სიცოცხლისაგან ათასჯერ შენ ურჩევნიხარ, ვისრ. 58,2; მე თუ შვილნი მირჩევნიან, ვეფხ. 1161,4; ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა, იქვე, 30,4; ღამე მერჩია, მეწადა არა-გათენება დილისა, იქვე, 399,4.

34. ა-რჳუ-ობ-ს (არჳჯს, არჳჯა), **უ-რჳუ-ობ-ს, ე-რჳ-ო:** გულსა 100 000 ისარი მარჳვია, ვისრ. 56,15 (იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 316); აწ თქვენა ხედავთ თვალითა, რაც ჯიღა თავთა გვირჳვია, დავითიანი, 102,541,3.

35. ა-სვ-ობ-ს (> ასვია), **ე-სვ-ა:** არ გასვია გულსა ნარი, ვეფხ. 393,3; ვისი მესვა გულსა დანა, იქვე, 392,2.

36. ა-სმ-ობ-ს (> ასმია), **ე-სმ-ა:** მასმიეს პავლჱს მოციქულისაგან, შუშ. 14,10; მოთმინებაჲ იობისი მასმიეს, იაკ. 5,11; გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ, მ. 5,21; 5,27; 5,33; საუკუნითგან არავის ასმიეს, ი. 9,32; იგი ხოლო გესმაა მისგან, მ მღდელნო, ანუ სხუაჲცა რაჲ გასმიეს, უდაბნ. 220,12; ყოველივე, რაჲ-იგი მესმა მამისაგან, იოვ. განმარტ. 8,30; არასადა გუესმა სიტყჳ-გებაჲ მისი ვის თანამე, ლიმ. 87,34.

სხვადასხვა ხელნაწერის ერთსა და იმავე წინადადებაში ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება „გუასმიეს“ და „გუესმა“: გუასმიეს, რამეთუ განაჴმო უფალმან ღმერთმან ზღუაჲ იგი ერუთრაჲსა, ისო ნავ. 2,10BDS; შდრ.: გუესმა, ვითარმედ განაჴმო ღმერთმან ზღუაჲ მეწამული, იქვე, G.

წარსული დროის ფორმას ეს ზმნა ზოგჯერ უწყვეტლით იკეთებს, რაც ანალოგიით უნდა აიხსნას. ასეთი ფორმები მოგვიანო ხელნაწერებში გვხვდება: რომელთა ასმიოდა იგი, გულისხმა-ყონ, იოვ. განმარტ. 66,22; ასევე: იოვ. და ეფთ. 33,1. აქ ისეთივე ვითარება უნდა გვქონდეს, როგორიც ახალ ქართულში: სძინავს — ეძინა, მაგრამ: სძინავდა. ასევე: ღვიძავდა; ჰქვია — ერქვა, მაგრამ ქვიოდა (დას. კილოებში).

ესუა ნ. უვის.

37. ა-სუენ-ობ-ს, ე-სუენ-ა: ყოველი იგი ნაწილი აღორძინებულ იყო და გამოეღო თავწარსხმული იფქლისაჲ ჴურჭელსა მას შინა, რომელსა ესუენა (წმიდაჲ ნაწილი), ლიმ. 42,16. აწმყოს ფორმა გვიანდელი ხელნაწერისაა: სადა ძელი ცხოვრებისა ასვენია, ჴელმწ. კარის გარიგ. 4,2; იქ ერთი ჯვარცმა ასვენია, საბა, I,198,13 ქვ.

38. (ფურცელი) **ა-სხ-ს, ე-სხ-ა** (კრებით სახელთან): (ზეთისხილს) ფურცელი ასხს მარადის, სინ. მრ. 232,25; ზამთარი იყო და ფურცელი იგი ესხა,

უდაბნ. 169,1; საყური ოქროსაჲ ესხა, მსაჯ. 8,24; მიჩუენეს ჩუენ ხეები მრავალ-სახჱ, რომელსა ესხა ნაყოფი ფრიად, ცხ. ილარ. 212,19.

39. ა-სხ-ენ, ე-სხ-ნ-ეს (ქონება) იგინი: ეს ზმნაც **ამ** თემისნიშნიანია (სხმა), ამიტომ მარტივფუძიანია აწმყოში. ა თავსართიანი ფორმა (ასხენ) ქონებას აღნიშნავს, **ო/უ** თავსართიანი კი — ყოლას. მაგალითები:

კაცი ვარ და არაწმიდანი ბაგენი მასხენ, იოვ. განმარტ. 99,24; თუალ გასხენ და არა ჰხედავთ, ყურ გასხენ და არა გესმის, მრ. 8,18; ყოველთა შორის მფრინველთა მას ხოლო ასხენ კბილნი, ექ. დღ. 118,16; რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ, მ. 11,15; გინამცა ესხნეს. რქანი და ფუცხოვანნი ფრჩხილნი, შატ. 76,38; რაჲთა ესხნენ სანდალნი, მრ. 6,9.

40. უ-სხ-ენ, ე-სხ-ნ-ეს (ყოლა) იგინი: მისხენ ხუთნი ძმანი, ლ. 16,28; იესუს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ, ი. 4,1; ხუთ ქმარ გესხნეს, ი. 4,18; ესხნეს მას ორ ძე, საქმე 7,29; მრავალ შვილ ესხნეს, სახისმეტყ., შატ. 180,32; რომელთა ესხნენ ცოლ, ვითარცა არა ესხნენ, საკ. წიგ. II,120,18.

41. ს-ტევ-ოე-ს, ე-ტო-ა: მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა თჳსსა, მატ. ქართ., ქ. ცხ. I,310,10; მივიდეს, ნახეს: რამაზის ლაშქარი ძლივღა ეტია, ვეფხ. 1617,3 (ორივეს იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 317); მცირედ გა-რე-აფართეთ საფლავი ეგე, რაჲთა ორნი ეტინენ მას შინა, ლიმ. 45,10.

42. ს-ტენ-ოე-ს (> სტენია), **ე-ტენ-ა:** ყორნის ფრთა ბროლსა სტენია, ვეფხ. 1622,4.

43. უ-ტჯრთ-ავ-ს, ე-ტჯრთ-ა: არა თუ შენ ძირი იგი გიტჯრთავს, არამედ ძირსა მას — შენ (Не ты корень держишь, но корень – тебя), ჰრომ. 11,18; ექუსნი მჴეცნი ექუს — ექუს ფრთენი, რომელი ოთხთა უტჯრთავს, ფრინვენ და გმსახურებენ, სინ. მრ. 241,29; ქალწულმან შვა და მკლავთა ზედა იტჯრთა, რომელსა სიტყჳთა ყოველი დაბადებული უტჯრთავს, იქვე, 15,25; ფერჴთა უტჯრთავს გუამი..., თუალნი... უძღჳან ფერჴთა, მამ. სწავ. 176,8; ჰურ იქმნენით სულისა წმიდისა, მამანო, და გეტჯრთა თქუენ სიმდიდრეჲ მოუკლებელი საუნჯეთა მათგან სამებისათა, სას. პოეზ., რლმ 21. ჯრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წიაღნი აღსავსედ ეტჯრთნეს, ცხ. აღმაშენ. 173,7; დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდემთა... წიგნები ეტჯრთის სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა, იქვე, 201,5; ყოველთა ეკიდნენ საქმენი მათნი თითოეულად... და ცოდვილთა ეტჯრთნენ ცოდვანი მათნი ბეჭთა მათთა ზედა, მამ. სწ. 93,22.

44. ა-ფარ-ოე-ს (?), **ე-ფარ-ა:** გარ ეფარა სამოსელი მრავალკეცი, ვეფხ. 625,2.

45. ჰ-ფლ-ავ-ს (დაფლულია), **უ-ფლ-ავ-ს, ე-ფლ-ა:** აქა ფლავს, წამებაჲ ვაროზისი, ხელნ. H-341, გვ. 814 (იმოწმებს ი. აბულაძე, 1973); და სადა-მე გიფლავს? ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ, უდაბნ. 217,6; სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, ქ. ცხ. I, გვ. 199,7 (იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 317). „ფლავს" საშუალ ქართულშიც ამ ფორმით შეიძლება შეგვხვდეს: ვინ სოფელსა მიენდობის, ფლავს ჯურღმულსა, ვითა ვირი, შვიდი მთ. 352,4.

46. უ-ფლ-იე-ს, ე-ფლ-ო: მიფლიეს გუამი ჩემი დადებად, მიფლიეს მერმე აღებად იგი, სახისმეტყ., შატ. 179,24-25; არა უწყია, ვის წინაშე დგა (!), ვითარ გიფლიეს მაგის სიტყჳსა თქუმად, Sin-62, 41v, 7-10b (იმოწმებს ზ. სარჯველაძე, 1984, 383); თუ მფრინველსა უფლიეს მოკლვად გუამისა თჳსისა, სახისმეტყ., შატ. 179,37; ნუვის უფლიენ პირველ სულიერისა საზრდელისა მუცლისა გემოჲსა შეტევებად, ცხ. ილარ. 208,35; ხოლო სხუასა ნუვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად, შუშ. 16,22.

47. ჰ-ღჳძ-ავ-ს, ე-ღჳძ-ა: მივედ მამისა და ისმინე, ჰსძინავს-ძი ანუ ჰღჳძავს, ხანძთ. 294,15; უკუეთუ გეძინოს, გინა გეღჳძოს, ღამე სრბასა მისსა არა დააცადებს, მამ. სწ. 257,20.

48. ჰ-ყრ-იე-ს, ე-ყარ-ა: შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები, ვეფხ. 1146,2; შდრ. გვიანდელი: მკუდარი ყრია, რიყე ვითა, შაჰნამე I,84,4; ალვისა მგზავსი ხელ-ფეხი უძრავად უყრია, რუსუდ. 167,3.

49. უ-ყრ-იე-ს (გაყრილი აქვს), **ე-ყარ-ა:** ფერჴთა გაუჴსნელი ემუდა მიყრია (გაყრილი მაქვს), ვისრ. 56,15 (იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 31).

50. ჰ-შორ-ავ-ს (დაშორებულია), **ე-შორ-ა:** და მე მიცნობიეს, უფალო, რამეთუ არა მშორავ მე, აპოკრ. 36,7-8 ქვ.; მახლობელ ხარ პირსა მათსა და ჰშორავ თირკუმელთა მათთა, იერ. 12,2; რომელი ხშორავს იერუსალჱმსა ას სამეოც უტევან, ხანმ. ლექც. ლ. 24,13; ხოლო უწყალოებაჲ და შეურაცხებაჲ ძმისაჲ შორვან წესსა ქრისტეანობისასა, მამ. სწ. 175,33; რავდენ უკუე გეშორა დღენდელი ესე დღე, მამ. სწ. 256,29; ეშორა იორდანჱ ლავრასა მას ვითარ მილიონ ერთ, მამ. ცხ. 315,9; ვიდრე ეშორვნიან ურთიერთას, არასადა აღედვის ცეცხლი (ქვასა), სახისმეტყ., შატ. 177,5; რაჲთა ეშოროს მონაზონი ხილვად პირსა დედათასა, მამ. სწ. 182,6.

51. ა-შუენ-ი-ა (> აშუნია), **ე-შუენ-ა:** ეს ფორმა „ვისრამიანში" გვხვდება რამდენჯერმე: ხორასანს წავიდეს, იგი წყალი და ჰაერი უფრო აშუენია, ვისრ. 134,8 ქვ.; ვისცა ვისი არა აშუენია, მასა სიკუდილი შეეძინების, იქვე, 206,20; მას გაზაფხულისა წუიმა და ნამი აშუნიაო, იქვე, 301,13.

52. ს-ჩრ-იე-ს (> სჩრია), **ე-ჩარ-ა:** ნაზორევი კბილთა გჩრია, Jer-13, 132v, 6-8 (იმოწმებს ზ. სარჯველაძე, 1984, 415). რუსუდანიანში: კბილში ყმაწვილი სჩრიაო დაბნედილი, 509,20; ასევე: საბა, I, 97,18.

53. ა-ცუ-ს → ა-ცუ-იე-ს (აცუს), **ე-ცუ-ა:** არ მაცვია თუცა ფლასი, ვეფხ. 1205,3; ვეფხისა ტყავი აცვია, იქვე, 690,3; მჯარსა საგდებელი აცვია, ჴელმწ. კარის გარიგ. 31,8; ასევე: იქვე, 14,8; 14,10; 16,7 და სხვა. ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროსაჲ, მოქც. ქართ. 119,15; არავის კაცსა, ვითარმცა ერთი კუართი ეცუა და გაუქლეშრად პორცნი მისნი დაუმარხნა, საკ. წიგ. II,107,20.

54. ს-ძინ-ავ-ს, ე-ძინ-ა: და ჰრჭუა მათ: რაჲსა გძინავს, ლ. 22,46; არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ სძინავს, მ. 9,24; წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა, მ. 28,13; უდაბნ. 219,25; ხოლო თავადსა ეძინა, მ. 8,24; მამ. ცხ. 298,41; უკუეთუ გეძინოს, გინა გეღჳძოს, მამ. სწ. 257,20.

55. უ-ძლ-ავ-ს, ე-ძლ-ო: საქმედ არა მიძლავს, თხოვად მრცხუენის, ლ. 16,3C; ასევე: ისო ნავე 14,10-11; გიძლავს შესუმად სასუმელისა მის,

მ. 20,23; ყოველსა რომელსა უძლავს, და შეეწიენით მათ, ისო ნავე, 1,14BDS; ვერცა უძლავნ აღგზებად, კაც. აგ., შატ. 89,21; ვერ ეძლო გამოთრევად მისა, ი. 21,6; ასევე მრ. 5,4; ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა, მოქც. ქართლ. 81,12; ასევე: მსაჯ. 1,31BDS; ცხ. ილარ. 219,5; და ღათუ ვერ ეძლოს აღდგომად, ლ. 11,8.

56. ს-წერ-ოე-ს (> სწერია), **ე-წერ-ა:** ვითა ზემოჲთ სწერია, გამოცხ., ანდერძი (X ს.), 131,15; რაჲ მაგას შინა სწერია, ხანმ. ლექც., მინაწერი (X ს.), 016,3-7 ქვ.; ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა, ათონ, კრებ., 316,4; წარიკითხა წიგნი იგი, რომელსა ეწერა ლოცვაჲ იგი საფლავსა ზედა ძმისასა, ლიმ. 76,28.

57. ა-წყვ-ოე-ს (აწყვია), **ე-წყ-ო:** მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად, ვეფხ. 445,4.

58. (თუალი) **ჰ-ხილ-ავ-ს, უ-ხილ-ავ-ს, ე-ხილ-ა:** ვითარცა ძოწეული, ბნობის ფერ შავად ჰხილავნ თუალი იგი საფირონი, თუალთ., შატ. 132,32; ცეცხლის ფერად აღატყდებინ ფერი მისი და სპეტაკის ფერადცა ჰხილავნ და მსგავსადცა ღუნისა, რომელ არს წყლის ფერ, იქვე, 157,20 (იმოწმებს ბ. გიგინეიშვილი, 1979, 62, 21-28); (ლომსა) რაჟამს სძინავნ, მღჳძარე არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზე უხილველად (ახელილი აქვს ხოლმე), სახისმეტყ., შატ. 176,11; თუალნი ზე ეხილნეს (ეხილვნეს ქც) და ჰხედვიდა არარას, საქმე 9,8ᲒᲥ; ევანგელჱ იგი ედვა მკერდსა ზედა მისსა, და თუალნი მისნი ზე ეხილნეს, საკ. წიგ. II,140,24.

„ჰხილავნ" ფორმით ორპირიანია: ჰ-ხილავ-ნ, შინაარსით კი ერთპირიანი (ხილულია, ჩანს).

59. ა-ხლ-ავ-ს, ე-ახლ-ა (ახლოსაა, ახლოს იყო): ესრეთ ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, ვითარმცა ახლავ და გახლავს, და რამეთუ გუახლავს ჴეშმარიტად, მ. ცხ. 291r (ი. აბულაძე, 1973, 27); სხუაჲ გულის-თქუმაჲ არს მისა, რომელი ეშოროს მიზეზთა გულის-სათქუმელთა, და სხუაჲ გულის-თქუმაჲ არს, რომელი ეახლოს, რამეთუ ახლოს ყოფაჲ... განაღჳძებს საცთურთა, მამ. სწ. 182,13; მივედით ადგილსა რასმე..., რომელსა ეახლა ქალაქი ლასიაჲ, საქმე 27,8.

60. ა-ხუევ-ოე-ს (> ახუევია), **ე-ხუ-ა** (ეხჯა, ეხვია): მოიძარცუა ძონძი იგი, რომელი ეხჯა წელთა მისთა, ბალავ. 122,2Ქ; პირ-ოქრო რიდე ეხვია, ვეფხ. 72,3; იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, იქვე, 479,2; მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს, იქვე, 123,4.

61. უ-ხუთ-ავ-ს, ე-ხუთ-ა: გული მისი ეშმაკსა ეხუთა და თუალნი მისნი ვისის კუბოსაკენ დარჩომილ იყვნეს, ვისრ. 62,8-9 (იმოწმებს ა. შანიძე, 1973, 318).

დამატება

6. სტატიკური ვნებითის მაგალითები საშუალი ქართულის ძეგლებიდან

როგორც ცნობილია, სტატიკური ვნებითი იშვიათია ძველი ქართული ენის ძეგლებში. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისეთი ფუძეების

დამოწმება საშუალი ქართულის ძეგლებიდან, რომლებიც ჩვენი მასალის მიხედვით ძველ ქართულში არ ჩანს.

1. ა-ბარ-ი-ა, ე-ბარ-ა: რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საჴელო აბარია, არცა იმას წაუღებთ, ქრონიკ. II,370,16 (1527-1532 წლ. სიგელი); ჩემსა ძმასა სალიმს ხვარის ქვეყანა აბარია, შაჰნამე 409,5 ქვ.; ასევე: რუსუდ. 532,23; საქ. სიძვ. I, 167,7 ქვ.; იქვე, 184,4 და სხვა.

2. გდ-ი-ა, ა-გდ-ი-ა, ე-გდ-ო: აქა ვგდივარ და აქაც არავინ მეხსნება, საქ. სიძვ. III,316,13 ქვ.; მე აქ მიწაზე ვაგდივარ, რუსუდ. 537,28-29; მან იხილა, რომე ბარამ გდია სისხლით გაბასრული, შვიდი მთ. 111,3; ასევე: იქვე, 167,1; 457,3; საბა, I,73,15.

3. ა-ვლ-ი-ა (მოვლებული აქვს), **ე-ვლ-ო:** წინ რაც ღობე ვლებია, ან დღეს ავლია, საქ. სიძვ. II,300,9; ალიკორნას გარ სრულ ზღვა ავლია, საბა I,222,7; ასევე: შაჰნამე I,847,3; შაჰნავაზ. 200,1.

4. ა-კერ-ი-ა, ე-კერ-ა: ოთხი მურასას ჯვარი აკერია ზედან, საეკლ. საბუთ. I,50,19 (1616-1639 წლ.); ერთს ექვსი ვეცხლის ღილი აკერია, ქართ.-კახ. მონასტრ. ისტ. საბ. 55,9 ქვ. (1712 წ.); ასევე: საბა, I,233,8; საქ. სიძვ. I,60,5 ქვ. და სხვა.

5. ა-კრ-ავ-ს, უ-კრ-ავ-ს (შემოკრული აქვს), **ე-კრ-ა:** ტანზედა ჴორცი არ გაკრავს, დავითიანი, 166,4,2; მაგ სახლს... პატარა ოთახი აკრავს, ქართ.-კახ. მონ. ისტ. საბ. 134,1 ქვ. (1777 წ.); ჯებირი უკრავს, მუქრობენ, შაჰნავაზ. 689,2.

6. უ-რევ-ი-ა, ე-რი-ა: მე იმის საქმეში არც არას ურევივარ და არცა რა ვიცი, საქ. სიძვ. III,463,18 (1751 წ.); ბევრი მთის განჩინებაც ურევია, საქ. სიძვ. I,195,1 (1782 წ.).

7. რთ-ავ-ს (დართულია), **ე-რთ-ო:** „ჰრთავს" ძველ ქართულშიც გვხვდება, მაგრამ არა ამ მნიშვნელობით, ძვ. ქ. „ჰრთავს" = ურევია.

სიგლებისა თავსა სწერია: ნებითა ღ˜თისათა, დავით და დავით და ჴელიცა ორთავესი რთავს, ქ. ცხ. II,227,1 (XIV ს.); თქვენი და მათი ნება რთავს, საქ. სიძვ. II,293,16 (1707-1709 წლ.).

8. ა-საფლავ-ი-ა (დასაფლავებულია), **უ-საფლავ-ი-ა, ე-საფლავ-ა:** მარჯვნივ... პეტრე მოციქულის ასული ასაფლავია, საბა, I,162,5-6 ქვ.; ასევე: იქვე, 162,4 ქვ.; მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან, საბა, I,132,5 ქვ.

9. ა-სხ-ი-ა (მოსხმული აქვს), **ე-სხ-ა:** მასხია ცივი ნაბადი, დავითიანი 74,342,3.

10. ს-ტან-ი-ა (დატანებული აქვს), **ე-ტან-ა:** ცალს მხარეს პეტრე... ქვაზე ეჩოქა, ის მუხლები ზედ აჩნია, ქვები ეტანა, საბა, I,193,11.

11. შენ-ი-ა (აშენებულია), **ე-შენ-ა:** დასაბამს აქეთ შენია ის ქვეყანა და არც ვისგან მას რამ დაკლებია, რუსუდ. 248,34.

12. ა-შორ-ავ-ს (დაშორებულია), **ე-შორ-ა:** ეს ზმნა ძველ ქართულშიც გვხვდება. საშუალ ქართულში ყურადღება მიიქცია ა პრეფიქსიანმა ფორმებმა, რომელიც ძველში თითქოს არ უნდა იხმარებოდეს.

ვირე რამინსა ვაშორავ, ვერცა ნათელსა ვჰნახავ, ვისრ. 302,2 ქვ.; რაზომცა აწ მაშორავ, ეგრეცა სიცოცლისა ჩემისა მიზეზი... შენ ხარ, იქვე,

213,8; თქუენთა მოყუარეთა გუერდით შტოთა ზედა სხედთ, არ ჩემებრ აშორავთ, იქვე, 53,18.

13. (ა)-ჩოქ-ი-ა (დაჩოქილია), **ე-ჩოქ-ა:** ცალს მხარეს პეტრე... ქვაზე ეჩოქა, ის მუხლები ზედ აჩნია, საბა, I, 193,10.

14. უ-ცოცხლ-ი-ა, ე-ცოცხლ-ა: გივი იტყვის: სულთა ნაცვლად მიცოცხლია ერთი შვილი, შაჰნამე, II, 4462,1.

15. ა-წყვ-ი-ა (დაწყობილია), **ე-წყ-ო:** ამაში არა აწყვია რა-მეთქი, რუსუდ. 452,25; ამათი წიგნები ერთს პარკში აწყვიაო, საქ. სიძვ. I,167,8 ქვ.; ასევე: საბა, I,156,16; ქალებმა უთხრეს: მზათა გვიწყვია, დავითიანი 227,323,1.

16. უ-ჭირ-ავ-ს, უ-ჭერ-ი-ა, ე-ჭირ-ა: ხელთ უჭირავარ ორთავე, თეიმ. I,9,49,2; ცელი ჴელთა უჭერია, დავითიანი, 170,3,2; მრავალ ანგელოსს, ზოგს ეჭირათ, ზოგი გარ ეხვია, საბა, I,234,22.

ძველი და საშუალი ქართულის ძეგლებიდან ზემოთ მოყვანილი მასალა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილია იმ დროს არსებულისა. შემდგომი დაკვირვების შედეგად ეს მასალა შეიძლება კიდევ უფრო შეივსოს. სტატიკური ვნებითის ფორმაწარმოების მოდელი დიდი ხანია არსებობს და საჭიროების შემთხვევაში ხდება ამგვარ ფორმათა რეალიზება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გარეკახურში გამოყენებული ერთი ფორმა, რომელიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფიქსირებული არ უნდა იყოს: ლელი იქ არ არი, ლია წევს და მარტო დიანა სკუპია; მარტო შენ სკუპიხარ, არა? ასეთივეა „მიხუჭია“: არ მძინავს, თვალები მიხუჭია (ქართლ.); წყვეტილში: მეხუჭა. არც ეს არის ფიქსირებული. სკუპია (დასკუპებულია), მიხუჭია (დახუჭული მაქვს) ცოცხალი მეტყველების ფორმებია და ასე შეიძლება თითქმის ნებისმიერი ფუძისაგან ვაწარმოოთ სტატიკური ვნებითი, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სიძველის მიუხედავად, ეს ფორმები დღესაც აქტიურად არის ჩართული ენის სისტემაში და სიცოცხლისუნარიანია.

მესამე ნაწილი

X. საწყისი ძველ ქართულში

„ზმნა შეიძლება იყოს პირიანი და უპირო, ანუ უღლებადი და უუღლებელი“ (ა. შანიძე, 1953, § 569). ქართულში უპირო ზმნებია საწყისი და მიმღეობა, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში ერთი სახელწოდება — სახელზმნა აერთიანებს. ზოგ ენაში, ამათ გარდა, არის სხვა უუღლებელი ზმნური ფორმებიც, როგორიცაა, მაგ., ინფინიტივი, აბსოლუტივი, გერუნდივი...

ქართულის უუღლებელი ზმნური ფორმები ფორმაცვალებადი სიტყვებია: იცვლებიან ბრუნვის მიხედვით, იბრუნვიან. ამით ისინი გვერდით უდგანან სახელებს,[1] მაგრამ მათ აქვთ ზმნური თვისებებიც. სახელზმნა ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვაა, ამიტომ მისი ფუძე და ლექსიკური შინაარსი საერთოა ზმნასთან. ზმნისა არის სახელზმნაში გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი (ა. შანიძე, 1953, § 576). აგრეთვე ზოგი სინტაქსური ფუნქცია.

საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირისა, დროისა, კილოსი და სხვათა) (ა. შანიძე, 1953, § 570). წარმოების მიხედვით საწყისს რამდენადმე შეესაბამება ნაზმნარი არსებითი სახელები, ანუ მოქმედების სახელები რუსულში (Отглагольное существительное: умывание, чтение...) ორივე ზმნისაგან იწარმოება, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით. რუსულში ნაზმნარი არსებითი სახელი ძლიერ დასცილდა ზმნას, თითქმის აღარაფერი აქვს მასთან საერთო (А. Н. Гвоздев, 1958, § 480). ქართულში კი საწყისი უფრო მჭიდრო კავშირშია პირიელ ზმნასთან. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველი ქართულის შესახებ, სადაც საწყისის ფორმები გარკვეულ შემთხვევებში ზმნური მართვის ძალას იჩენს: ვითარებითში დასმული საწყისი შეიწყობს პირდაპირ (ან ირიბ) ობიექტს. ამის გამო საწყისის ასეთი ფორმები სპეციალურ ლიტერატურაში ცალკე გამოყვეს და „ინფინიტივი“ ან „მასდარი-ინფინიტივი“ უწოდეს (ა. ჩიქობავა, 1942, 217, შნშ. 2; ა. მარტიროსოვი, 1955, 45-60; დ. ჩხუბიანიშვილი, 1965, 200-229). ოღონდ აღნიშნავენ, რომ ესაა თავისებური ინფინიტივი (ა. მარტიროსოვი, 1955, 45). საწყისი ქართულისა თითქოს აერთიანებს სხვა ენათა ნაზმნარი მოქმედების სახელისა და ინფინიტივის ფუნქციებს. რა თქმა უნდა, განსხვავება და თავისებურებანიც დიდია. რაც შეეხება ზმნური მართვის ძალას, ძველ ქართულში, საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმის გარდა, ასეთი რამ გვაქვს სახელობითში დასმულ საწყისთანაც და მიმღეობის ზოგიერთ ფორმასთან.

როგორც აღვნიშნეთ, საწყისი ზმნისაგან იწარმოება, ამის გამო ის შეიძლება გამოხატავდეს მოქმედებას ან მდგომარეობას ისევე, როგორც შესაბამისი პირიანი ზმნა.

---

[1] სახელებთან მათ ხშირად აერთიანებს ფუნქციაც.

ძველი ქართულის საწყისის წარმოება და ფუნქციები სპეციალურ ლიტერატურაში მრავალჯერ ყოფილა განხილვის საგანი; ეხებოდნენ მათ ძველი ქართველი გრამატიკოსებიც. საკითხის ისტორია ძველი გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით დაწვრილებით აქვს მოცემული დ. ჩხუბიანიშვილს (დ. ჩხუბიანიშვილი, 1965, 200-210). ამიტომ აქ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით. თანამედროვეთაგან ქართულის საწყისთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ ა. შანიძე (ა. შანიძე, 1953), გ. დეეტერსი (გ. დეეტერსი, 1930), ა. ჩიქობავა (ა. ჩიქობავა, 1942, 1956, 1958), ლ. კიკნაძე (ლ. კიკნაძე, 1946, 1947), ა. მარტიროსოვი (ა. მარტიროსოვი, 1955, 1959), ი. იმნაიშვილი (ი. იმნაიშვილი, 1957), დ. ჩხუბიანიშვილი (დ. ჩხუბიანიშვილი, 1961, 1965), ბ. გიგინეიშვილი (ბ. გიგინეიშვილი, 1955) და სხვ. აღნიშნულ ავტორებს შესწავლილი აქვთ ძველი ქართულის საწყისთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი, ან საკითხთა წყება, დებულებები გამოყენებულ იქნება თავ-თავის ადგილას.

საწყისი ქართულში ამოსავლად იყენებს ზმნის აწმყოს ფუძეს (ან ახ. ქართულში, მყოფადისასაც). ეს არის იგივე პირველი სერიის თემა. მას დაერთვის საწყისის მაწარმოებელი აფიქსები. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში საწყისის ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოიყოფა რამდენიმე აფიქსი: **ა**, **ს — ა**, **სი — ა**, **სა — ა**, **სი — ილ**, **სი — ულ**, **ილ**. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული ნიშანი არის **ა**. ამ მხრივ ძველი ქართული ახლისაგან არ განსხვავდება.

საწყისი ქართულში ორგვარად იწარმოება: სუფიქსით და პრეფიქს-სუფიქსით. სუფიქსებია **ა** და **ილ**, პრეფიქს-სუფიქსებია: **ს — ა**, **სი — ა**, **სა — ა**, **სი — ილ**, **სი — ულ**. როგორც ვხედავთ, თავსართ-ბოლოსართიანი წარმოების დროს სუფიქსი იგივეა, რაც მხოლოდ სუფიქსიან ფორმებში. გამონაკლისია **ულ**, რომლის შესახებაც ცალკე გვექნება მსჯელობა.

1. სუფიქსიანი წარმოება

საწყისის ნიშანია ა

შობ-ს: ხოლო იესუ ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო, მ. 1,18;

ჰ-გმობ-ს: აჰა ესერა გესმა გმობაჲ მაგისი, მ. 26,65DE;

ჰ-ბასრობ-ს: ეგერა აწ გესმა ბასრობაჲ იგი მისი, იქვე, C;

ბრძანებ-ს: ყოველთავე ბრძანებაჲ გჯუარს, სწავლ. 266,29;

ა-ქებ-ს: მიცემაჲ განირყუნების, უკუეთუ ქებაჲ შეერიოს, სწავლ. 277,20-21;

მი-ს-ცემ-ს: მიცემაჲ განირყუნების..., იქვე;

და-ე-ცემ-ი-ს: მოიჯსენეთ თქუენ დაცემაჲ იგი კაენ მოშურნისაჲ, სწავლ. 272,14;

ს-თხოვ-ს: პილატე განაჩინა აღსრულებად თხოვაჲ[1] იგი მათი, ლ. 23,24C;

ჰამ-ს: უბანელითა ჴელითა ჰამაჲ არა შეაგინებს კაცსა, მ. 15,20;

---

[1] ფუძისეული **ჳ** შეიძლება დაიკარგოს: ისმინოს შენი ყოველსა ჟამსა თხოისა შენისასა, სწავლ. 306,5.

გან-ს-წმედ-ს: ძალ-გიც განწმედაჲ ჩემი, მ. 8,2.

მაგალითებიდან ჩანს, რომ საწყისის მაწარმოებელი ხმოვანი სუფიქსი **ა** ფუძეზე დართვისას რაიმე ცვლილებას არ იწვევს მასში. ასეა როგორც თემისნიშნიან, ისე უთემისნიშნო ფუძეებში. გამონაკლისს შეადგენენ **ი, ავ** და **ამ** თემისნიშნიანი ზმნები. საწყისის წარმოების დროს **ი** იკვეცება, ხოლო **ავ** და **ამ** თემის ნიშნები იკუმშება და გვრჩება მხოლოდ **ვ, მ** (ა. შანიძე, 1953, § 572). ამ მხრივ ძველსა და ახალ ქართულში ერთნაირი ვითარებაა.

ი-ნიანი ზმნები

აღზრდ-ი-ს: სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო? მოქც. 105,8;

გამოზრდ-ი-ს: წინაწარმეტყუელისა ყორნისა მიერ გამოზრდაჲ (= გამოკვება), სინ. 128,9;

გამო-ი-ჳსნ-ი-ს: მოწევნულ არს გამოჳსნაჲ თქუენი, ლ. 21,28.

(ჱ)-მკ-ი-ს: რამეთუ მოიწია მკაჲ, მრ. 4,29;

(ჱ)-მწყს-ი-ს: განვიდიან... განცხრომად ანუ მწყსად მათა, ტირიჭ. 187,34;

ჰ-შუელ-ი-ს: ვხედევდი სიკუდილსა შვილისა ჩემისასა და ვერ შეუძლე შუელად მისა, სინ. 240,14;

მი-ჰ-ჳდ-ი-ს: არა სტირ... სასყიდელისა მის[1] აღთქუმასა და მიჰდასა, სინ. 209,35;

გარდა-ყრ-ი-ს: ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყრასა, სწავლ. 75,5.

ავ-იანი ზმნები

ი-პარ-ავ-ს: ასწავეს ყოველი ფერი უკეთურებაჲ... და ღამით პარვაჲ, სწავლ. 291,34;

ნათლ-ავ-ს: ნათელ-სცა და განიშორა ნათლვაჲ მათი, მოქც. 89,24;

შთა-ჰ-ბერ-ავ-ს: ყოველთავე... ცხოვრებისა სულისა იგი შთაბერვაჲ მოიღეს, სინ. 166,7;

და-(ჰ)-ფარ-ავ-ს: რაჟამს გულისჴმა-ყოს შეწევნაჲ და დაცვაჲ და დაფარვაჲ, სწავლ. 297,16;

შე-ი-კრძალ-ავ-ს: შეკრძალვაჲ თუალთაჲ, რაჲთა არა იხილონ შუენიერებაჲ სხჳსა, სწავლ. 245,16.

ამ-იანი ზმნები

შთა-ი-ცუ-ამ-ს: საჭურველისა შთაცუმაჲ უბრძანა, სინ. 261,5;

გან-ა-სხ-ამ-ს: ვითარ ჴელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განსხმაჲ, მრ. 3,23.

ახალ ქართულში თუ ავ-ს უძღვის ფუძისეული **ნ, რ, ლ** ბგერები, **ვ** ტოვებს თავის ადგილს და გადადის ფუძეში, მაგ., კლ-ავ-ს — კვლ-ა, ხნ-ავ-ს — ხვნ-ა... (ა. შანიძე, 1953, § 572). მაგრამ ეს წესი ყველა ამგვარ შემთხვევაში არ არის დაცული, მაგალითად: ი-პარ-ავ-ს, მაგრამ: პარ-ვ-ა, დაფარ-ავ-ს —

[1] გამოცემაშია: მას.

დაფარ-ვ-ა, აკრძალ-ავ-ს — აკრძალ-ვ-ა, ბარ-ავ-ს — ბარ-ვ-ა... როგორც ჩანს, საჭიროა ფუძე იკუმშებოდეს, რომ გადასმა მოხდეს. თუ ფუძე სახელისაგან არის ნაწარმოები, ეს სახელი უნდა იკუმშებოდეს: დაფლ-ავ-ს — დაფვლ-ა, დაჰკრ-ავ-ს — დაკვრ-ა, ნათელი — ნათლ-ავ-ს — ნათვლ-ა, წამალი — წამლავს — წამვლ-ა.

ძველ ქართულში ეს წესი ჯერ კიდევ არ მოქმედებს. **ვ**-ს ის ადგილი უჭირავს, სადაც უნდა იყოს:

და-ჰ-ფლ-ავ-ს: ბრძანა მეფემან დ ა ფ ლ ვ ა ე მათი, ქრესტ. II,61,37;

და-ჰ-კრ-ავ-ს: თავს-ვიდებთ ჩუენ ურმის თუალისა დ ა კ რ ვ ა ს ა, სინ. 118,30;

აღ-(ს)-ძრ-ავ-ს: უკუეთუ გბრძოს თქუენ ა ღ ძ რ ვ ი თ ა გულის წყრომისაჲთა, სწავლ. 272,8;

მო-(ჰ)-კლ-ავ-ს: იზრახეს მ ო კ ლ ვ ა ე მისი, სინ. 65,4;

მო-(ჰ)-სრ-ავ-ს: ბრძანა მ ო ს რ ვ ა ე მათი ყოველთაჲ, ქრესტ. II,61,22.

ა-ნიანი საწყისის თავისებური ფორმები

თავისებური ამ ფორმებს პირობით შეიძლება ვუწოდოთ. წარმოების მიხედვით ისინი ზემოთ აღნიშნულთაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ახალ ქართულში იმავე ფუძეთა შესაბამისი საწყისი სხვა აგებულებისაა. განსხვავებულია ამოსავალი ფუძე და, მაშასადამე, პირიელი ზმნის, შესაბამისი ფორმაც ძველსა და ახალ ქართულში.

ცალკე უნდა გამოვყოთ აგრეთვე ის შემთხვევები, როცა ცნობილი ტიპის საწყისებში თავს იჩენს პირიელ ზმნათაგან განსხვავებული ბოლოსართები, როგორიცაა **ნ**, **ოლ**, **ომ**. განსაკუთრებით საყურადღებოა **ოლ**, **ომ**, რომლებიც ერთნაირად ახასიათებს როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის ზოგი საწყისის ფორმებს, თავისებური აქ ის არის, რომ შესატყვის პირიელ ზმნაში ეს ბოლოსართები არ გვაქვს. ისინი შემონახულია მხოლოდ სახელზმნაში — საწყისსა და მიმღეობაში. **ოლ**, **ომ**-ს საწყისის მაწარმოებლად ვერ ჩავთვლით თუნდაც იმიტომ, რომ ისინი სისტემატურად გვაქვს მიმღეობაშიც.

1. პირველ რიგში განვიხილავთ ისეთ საწყისებს, რომლებშიც ახალ ქართულთან შედარებით ან „მეტი" თემის ნიშნები გვხვდება, ან განსხვავებული. ამას გარდა, საწყისის საწარმოებლად მათში ხშირად აწმყოს ფუძე კი არაა გამოყენებული, არამედ II სერიისა.

ა) რამდენიმე ზმნას ძველ ქართულში I სერიის თემა გართულებული აქვს **ებ** სუფიქსით, რომელიც ახალ ქართულში არ გვაქვს. ძირითადად ასეთია ხმოვანმონაცვლე ზმნები, **ენ**-სუფიქსიანები ან მარტივთემიანები. მაგ., აღადგინ-ებ-ს (ახ. ქ. აღადგენ-ს), მოითმინ-ებ-ს (ახ. ქ. მოითმენ-ს), გამოაჩინ-ებ-ს (ახ. ქ. გამოაჩენ-ს) და სხვ.

ეს თავისებურება კანონზომიერად გადმოსულია შესაბამის საწყისშიც.

აღ-ა-დგინ-ებ-ს: რაჲ არს დაცემაჲ იგი და ა ღ დ გ ი ნ ე ბ ა ჲ? სინ. 92,16; რომელსა უნდა სიტყჳსა ა დ გ ი ნ ე ბ ა ჲ მონათა თჳსთა თანა, მ. 18,23C; **და-ა-დგინ-ებ-ს:** რომელი განვიდა განთიად დ ა დ გ ი ნ ე ბ ა დ მუშაკთა, მ. 20,1 (შდრ. გონებაჲ განაზოგებს თითოეულსა მათსა და დ ა ა დ გ ე ნ ს ადგილთა საცნაურ-

თა, კაც. აგებ. 160,16). **წარ-ა-დგინ-ებ-ს:** შემძლებელ ხარ ესევითარისა მსხუერპლისა წარდგინებად წინაშე ღმრთისა, გობრ. 183,12.

გამო-ა-ვლინ-ებ-ს: უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად..., მე მოვკლა ძმ შენი პირმშოჲ, გამ. 4,23;

აღ-ა-ზრზინ-ებ-ს: ვითარ იხილა ქალწულმან მან აღძრვაჲ იგი და აღზრზინებაჲ ჰაბუკისაჲ მის, მიავლინა და მოუწოდა, ლიმ. 131,33; შდრ. უკუეთუ ვიდრე არღა ზრზენადი იგი გულის თქუმათაჲ მათ ბრძოლილ იყო, სინ. 101,34;

მო-ი-თმინ-ებ-ს: ამისთჳს, მ კაცო, გიყუარდინ მოთმინებაჲ, სწავლ. 12,15; მოთმინებამან ყვის გამოცდილებაჲ, იქვე, 12,20; ასევე: ჯავ. აღწ. 59,2 ქვ.

(მო)-უ-ლხინ-ებს: მიერითგან იყო ლხინებაჲ ჩემი, მოქც. 117,29C; მაშინღა იქმნა მოლხინებაჲ ჩემი, იქვე, 117,30Ზ;

ა-მხილ-ებ-ს: სამ გზის რჩულ-დებულ არს ჩუენდა ურწმუნოთა მხილებაჲ, კოსტანტ. 169,10;

გან-ა-მხილ-ებ-ს: არა უნდა განმხილებაჲ მისი, მ. 1,19.

ძველ ქართულში ძირითადად ისმენს და სმენა გვხვდება. მაგ.: საქმე 15,7; იქვე, 12,13; იქვე, 9,7; გამ. 16,28; შუშ. 26,28; I მეფ. 15,22. ასევე შესმენა: ლიმ. 100,17; ი. 18,29DE და სხვ. ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“, მაგრამ ამის გვერდით აქ ზემოაღნიშნულთა მსგავსი ფორმებიც იხმარება. მაგ., ავთანდილს მიჰხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა, 12,1; მაგრამ: რა ქალსა მიჰხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება, 248,1; ასევე: 366,1. შდრ. ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, 51,1. ასევე, ჩვეულებრივია მიფენა: არა მოვედ მიფენად მშჯობისა, მ. 10,34 (შდრ. მიაფენს); ხოლო მიფენაჲ ესე მდიდრად აჩუენა, ეგრევე მიფენაჲ იგი მადლისაჲ მის, სინ. 189,10-11. მაგრამ გვხვდება მოფინება-ც: მთავრე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოფინება, ვეფხ. 263,3.

გან-ა-ჩინ-ებ-ს: უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაჲ ჩემი მისგან, შუშ. 16,1; აჰა ესერა განჩინებაჲ ქმნული წმიდისა ღმრთისმშობელისა მარიამისი, სინ. 45,3;

გამო-ა-ჩინ-ებ-ს: პატიოსანთა მარგალიტთა... გუნებავს ცხადად გამოჩინებაჲ, ზედ. 192,11; გამოჩინებაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, ლ. 24,23DE;

წარმო-ა-ჩინ-ებ-ს: იგი სამარადისო არს, ხოლო შენ წარმოჩინებით მიიღებ მადლსა მას, სინ. 89,22;

მო-ი-წყინ-ებ-ს: მოწყინებაჲ განსდევნის შიშსა ღმრთისასა, სწავლ. 316,2; იქვე, 74,23 და სხვ.

ფრენა ზმნა აგრეთვე **ენ**-სუფიქსიანია, მაგრამ **ავ** სუფიქსსაც დაირთავს.

ფრინ-ავ-ს: ერთი წინა ფრინავნ ჟამ რაოდენმე, ექ.დღ. 114,18. ასეა ახალ ქართულშიც, ოღონდ ეს არ აისახება საწყისში: ფრენ-ა გვაქვს და არა ფრინვ-ა. ძველ ქართულში საწყისი **ავ** სუფიქსიან თემას ეყრდნობა: ესე წესი იხილო ფრინვასა შინა მათსა, ექ. დღ. 114,17; რაჲთა განძლიერდეს ფრინვისათჳს, იქვე, 115,12; შიშით და ძრწოლით იწყონ ფრინვით მიგებებად

მისა, სწავლ. 125,2. იგივე ფუძეა გამოყენებული მიმღეობაშიც: მ-ფრინ-ვ-ელ-ი, ექ. დღ. 117,5; მ-ფრინ-ვ-ალ-ე, იქვე, 117,6.

ამათთან არის რამდენიმე სხვა სახის ხმოვანმონაცვლე ზმნაც, რომელთაც დაერთვის როგორც **ებ**, ისე **ავ** სუფიქსი:

შე-ი-ჭირ-ებ-ს: გუელი ჯურელსა იწროსა შევალს და განიძარცუავს სიბერესა და სიძუელ შეჭირებითა მით იწროებისაჲთა განიყარის, სინ. 86,28.

ამასთან დაკავშირებით მოგვაგონდება დიალექტური (გურ.) მოუჭირებს-მოჭირება (ქამრის მოჭირება, თოკის მოჭირება). შდრ. ახ. ქართულის მოჭერა.

აღ-ი-ხილ-ავ-ს: მიემადლებოდა... სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა ახილვაჲ, შუშ. 22,27. შდრ. ახ. ქ. (თვალს) აახელს — (თვალის) ახელა; გაახელს — გახელა.

ახალი ქართულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი ვითარებაა დაიჭერ-ს, დაიჭირ-ავ-ს — დაჭერ-ა, და-ჭირ-ვ-ა ფორმებშიც, მაგრამ ეს ზმნა **ავ**-იანი უნდა ყოფილიყო იმთავითვე: დამჭირ-ვ-ა. მას **ი**-ანი ჩამოსცილდა და ხმოვან-მონაცვლეებში გადავიდა (ა. შანიძე, 1953, § 464).

ვერ შემძლებელ იყო დაჭირვად თავისა თჳსისა მწარისაგან ტირილისა, სინ. 276,11; დაღაცათუმცა უნდა დაჭირვად ჴელი თჳსი, ვერვემცა შეუძლო, ექ. დღ. 87,32.

მოთმინება, მოვლინება და მისთანათა გვერდით ძველსავე ქართულში გვხვდება საწყისის „მარტივი" ფორმებიც: თმენა, მოვლენა, ფრენა... ზოგი მათგანი ზემოთ დავასახელეთ.

და-დგენ-ა-ჲ: ხოლო მოგჳთხრობს ამას შინა... დადგენასა მატათიაჲსა იუდაჲს წილ განმცემელისა, საქმე, გვ. 215,22.

(მო)-თმენ-ა: დაჴდა თჳსაგან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებაჲ თმენისაჲ, ზედ. 197,1; მოღუაწენი იგი განბრწყინდებოდეს თმენითა, ქრესტ. II,50,11; შრომითა და მოთმენითა დღითი-დღე წარემატებოდა, ზედ. 197,6;

და-თმენ-ა-ჲ: სიქადულ მონაზონისა არს დათმენაჲ ჭირსა შინა მისსა, ქრესტ. II,19,10; ყოველთავე სატანჯველთა განმზადებულ ვართ დათმენად, სინ. 118,31; უძლურ იქმნა ტანჯვისა დათმენად, იქვე, 120,26; განმზადებულ ვარ ყოვლისა სატანჯველისა დათმენად, ქრესტ. II,52,2. შდრ. სახელსა მისსა ვერ უთმობს სმენად სული ჩემი, იქვე, 17,31. მოსალოდნელი იყო დათმობაჲ და ასეც გვაქვს სხვაგან.

მო-ვლენ-ა-ჲ: იკადრა სულისა წმიდისა დაბადებულთა შორის შერთვა და მადლით მოვლენა თჳთმფლობელისა მის სულისა წმიდისა, ზედ. 195,40; შდრ. მე მომივლენიან იგინი შენდა, საქმე, 10,20C; მომივლინებიან, იქვე, ᲧᲒ.

მი-ვლენ-ა-ჲ: პეტრეს და იოანეს მათდა მიმართ მივლენისა და მოსლვისათჳს მათ ზედა სულისა წმიდისა, საქმე, გვ. 219,17;

წარ-ვლენ-ა-ჲ: წარვლენაჲ ბარნაბაჲსი ანტიოქიას, საქმე, გვ. 219,2 ქვ. შდრ. წარვლინებაჲ ბარნაბაჲსი, იქვე, გვ. 220,7.

ა-ფრენ-ა-ჲ: ვითარცა ორბმან მან ვერ შეუძლის აფრენად სიმაღლესა მას აერთასა, ქრესტ. II,14,10.

ახალ სალიტერატურო ქართულში **ენ-** სუფიქსიან ზმნებში **ებ** აღარა გვაქვს, მაგრამ საწყისმა რამდენიმე შემთხვევაში შეინარჩუნა ძველი ფორმაც (ზოგჯერ განსხვავებული შინაარსით); მაგ., მივლინება, მოთმინება (მოთმინება იქონიეთ, ამხანაგო!).

ხმოვანმონაცვლე ზმნათა საწყისის ზემოთ აღნიშნული ფორმები თავისებურია არა მხოლოდ იმით, რომ „ზედმეტი" სუფიქსები (**ებ**, **ავ**) აქვთ, არამედ თვითონ ფუძითაც, რომელსაც ეს სუფიქსები დაერთვის. როგორც აღვნიშნეთ, ორივე ეს თავისებურება შესაბამისი პირიელი ზმნისაგან მომდინარეობს. ცნობილია, რომ გარკვეული ტიპის ზმნებს ე. წ. ფუნქციონალური ხმოვანმონაცვლეობა ახასიათებს ქართველურ ენებში. ქართულში მონაცვლე ხმოვნებია **ე** და **ი**. ისტორიულად ეს მონაცვლეობა ფონეტიკური ხასიათისაა, რედუქციის შედეგია, მაგრამ ძველი ქართულისათვის მას უკვე მორფოლოგიური ფუნქცია აქვს: განასხვავებს I და II სერიის ფორმათა თემებს, **ე** I სერიის თემას ახასიათებს, **ი** — მეორისას. ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში ეს კანონზომიერება დარღვეულია: **ი** I სერიის ფორმებშიც გადმოსულა, თემათა განსხვავება კი სუფიქსებს (**ებ**, **ავ**) აკისრია. რა არის ამის მიზეზი? შეცდომა იქნებოდა, რომ ახსნა ფონეტიკური გარემოცვით გვეცადა: **ებ**, **ავ** ხმოვნიანი სუფიქსებია და ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორიც თავის დროზე II სერიის მწკრივთა საწარმოებელმა აფიქსებმა მოგვცესო. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ფორმები თუმცა გავრცელებულია ძველ ქართულში, მაგრამ არაა ერთადერთი: მათ გვერდით გვხვდება ურედუქციო, **ე**-ნიანი ფორმებიც. ახალმა სალიტერატურო ქართულმა კი ისინი განდევნა ხმარებიდან და აღადგინა **ე**-ნიანი წარმოება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველ ქართულში ეს ფორმები დიალექტური წარმომავლობისაა. მათი წარმოშობა აიხსნება ენის მიდრეკილებით უნიფიკაციისადმი. ზმნათა დიდი უმრავლესობის თემის გარჩევა ეყრდნობა თემის ნიშნების ქონება-უქონლობას. ხმოვანმონაცვლე ზმნებში ეს პრინციპი დარღვეულია: მ ო წ უ ი ნ ე ბ ა, გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ა და მისთ. არის ცდა, ერთი პრინციპი დაედოს საფუძვლად ფორმათა წარმოებას. ამოსავლად ფორმათა ორივე ჯგუფისათვის აღებულია მეორე სერიის თემა, რომელსაც I სერიის თემის საწარმოებლად ერთვის თემის ნიშნები. სალიტერატურო ენის ნორმები წინააღმდეგობას უწევს მას და ხელს უშლის ამგვარი ფორმების გავრცელებას. პირიელ ფორმებში მომხდარი ცვლილებები აისახა საწყისშიაც: მოთმენა — მოთმინება. უნიფიკაციის ტენდენცია გვაქვს ახალ ქართულშიც, ოღონდ არა **ენ**-სუფიქსიანებში, არამედ დანარჩენ ხმოვან-მონაცვლეებში. თემის ნიშანთაგან ჩვეულებრივ გამოყენებულია **ავ**: ვგრეხ — ვგრიხ-ავ, ვსრეს — ვსრის-ავ, ვწმენდ — ვწმინდ-ავ... (ა. შანიძე, 1953, § 452); რაც შეეხება საწყისებს, ახალ წარმოებას ის ჯერ საკუთარი არა აქვს. უფრო სწორად, აქვს, მაგრამ არაბუნებრივის, ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს. დიალექტებში არსებობს გრიხვა, წმინდვა და მისთ. ფორმები, მაგრამ უფრო გავრცელებულია და ბუნებრივი, იმავე კილოზე მოსაუბრეთა თვალსაზრისით, გრეხა, წმენდა...

II სერიის თემაზე დაყრდნობილი ამგვარი აწმყოს ფორმა იშვიათად ახალ სალიტერატურო ქართულშიც შემოჭრილა და გაბატონებულა: ფრინ-ავ-ს ჩვეუ-

ლებრივია, ფრენს ნაკლებადღა იხმარება; მაგრამ საწყისი ამ უკანასკნელს ეყრდნობა: ფ რ ე ნ ა და არა ფ რ ი ნ ვ ა.

ეს საფეხური გაველილი უნდა ჰქონდეს მეგრულ-ჭანურსაც. მეგრულის იმავე ტიპის ზმნებში უნიფიკაციის გამო II სერიის, ნარედუქციევი, ფუძე არის გაბატონებული ორსავე სერიაში, თემათა განსასხვავებლად კი სათანადო აფიქსი დაერთვის ნამყოს ფუძეს ისე, როგორც ქართულში. მეგრულ-ჭანურში აღარ შემონახულა ქართულის **ე** ხმოვნიანი ვარიანტის შესატყვისი: მეგრ. დირ-იკ-უნ-ს — ქართ. დრეკს, დირ-იკ-უ — (მო)დრიკ-ა. დრეკ-ს ტიპი შემონახულია მეგრულის საწყისსა და მიმღეობაში. ოღონდ „ერთგვარი მედიალური შინაარსით": დირ-აკ-ა „დრეკა, ღუნვა", დირ-აკ-ილ-ი „მოღუნული" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 192), ახალმა აწმყომ კი შესაბამისი საწყისი განივითარა გარდამავალი შინაარსით: დირ-იკ-უ-ა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 192).

ბ) ძველ ქართულში ყ ვ ა ნ ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმებს აწმყოში აგრეთვე ყოველთვის აქვს **ებ** სუფიქსი (ლ. კიკნაძე, 1947, 137-140), რომელიც ახალ ქართულში აღარ გვხვდება. ეს ფუძეა დაცული საწყისშიც:

აღ-ი-ყვან-ებ-ს: აჰა შენ მეტყჳ აღ ყ ვ ა ნ ე ბ ა ს ა მას ერისასა, გამ. 33,12;

აღმო-ი-ყვან-ებ-ს: ვერ შემძლებელ იყვნეს წყლისა აღ მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა დ, ზედ. 211,38Ⴑ;

მო-ი-ყვან-ებ-ს: ესე არსა ძმაჲ იგი თქუენი მრწემი, რომლისა სთქუთ ჩემდა მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა ჲ? დაბ. 43,29;

გამო-ი-ყვან-ებ-ს: რომელთა-იგი ჰრქუა ღმერთმან გ ა მ ო ყ ვ ა ნ ე ბ ა ჲ ძეთა ისრაჱლისათაჲ ეგჳპტით, გამ. 6,26; იქვე, 12,42;

შე-ი-ყვან-ებ-ს: შ ე ყ ვ ა ნ ე ბ ა დ შჯდ-შჯდი წმიდათაგანი და ორ-ორი არაწმიდათაჲ, გობრ. 179,29;

წარ-ი-ყვან-ებ-ს: ესრჱთვე იყოს წ ა რ ყ ვ ა ნ ე ბ ა ჲ შენი, მოქც. 115,24Ⴑ.

ეს ფორმები შესაბამისი გარდამავალი ზმნების საწყისისაგან ნაწარმოებად მიაჩნიათ სპეციალურ ლიტერატურაში. საამისოდ გარდაუვალი ზმნის საწყისს ერთვისო **ა — ებ** აფიქსები (ლ. კიკნაძე, 1947, 133-140). ახალ ფორმას კი, თავის მხრივ, ახალი საწყისი გაუჩნდა. ამ ვარაუდს თითქოს ხელს უშლის ის გარემოება, რომ **ებ** ახალ ქართულში აღარაა საჭირო ამ ზმნებში. მააქტივებელი აფიქსები კი არ უნდა იკარგებოდეს. შესაძლებელია, ეს ფორმები ზემოთ განხილულთა ანალოგიით იყოს გაჩენილი.

გ) ახალ ქართულში გვაქვს ჰ-ბაძ-ავ-ს ზმნა და აქედან ბ ა ძ-ვ-ა. შეიძლება დაერთოს ზმნისწინიც: მ ი-ბ ა ძ-ვ-ა... ამის გვერდით ძველ ქართულში გვხვდება **ებ** დართული ფორმები: მი-ბაძ-ვ-ებ-ა-ჲ: წინაშე მათსა წარმოვიხუნეთ საქმენი მათნი და აღვძრნეთ მ ი ბ ა ძ ვ ე ბ ა დ, სინ 116,6; შდრ. მეცა... ვინებე მ ი ბ ა ძ ვ ა დ პირველთა მათ, კოსტანტ. 165,17. აღ-ბაძ-ვ-ებ-ა-ჲ: წარმოადგინებს ამას კუალად წიგნი დუმილითა და ა ღ ბ ა ძ ვ ე ბ ა ს ა უჩუენებს, სინ. 116,4. მაშასადამე, ჰ-ბაძ-ავ-ს (ჰ-ბაძ-ვ-ენ, ვეფხ. 21,4) ფორმის გვერდით გვქონია აღ-ჰ-ბაძ-ვ-ებ-ს, მი-ჰ-ბაძ-ვ-ებ-ს. ძველსავე ქართულში გვხვდება მარტივი, უთემისნიშნო ფუძეც: ქვითა განვტჯნნეთ იგინი, რაჲთა არა სხუანი ა ჰ ბ ა ძ დ ე ნ და ქრისტეანე იქმნენ, კოლ. 185,16.

2. ე. წ. ერთთემიანი ზმნები მარტივფუძიანებია, უაფიქსო (თუ აქვთ აფიქსები, ფუძეს შეხორცებულია). ისინი არ განასხვავებენ თემებს სერიების მიხედვით. ასეთებია: შე-მოს-ს — შე-მოს-ა, ს-წყევ-ს — წყევ-ა, ლეწ-ს — ლეწ-ა, აღ-რაცხ-ს — აღ-რაცხ-ა, რეკ-ს — რეკ-ა, ი-ყნოს-ს — ყნოს-ა, რეცხ-ს — რეცხ-ა, ღებ-ს — ღებ-ა და სხვ. ახალ ქართულში, საერთო ტენდენციის თანახმად, რომელიც ფორმათა ერთ ყალიბში მოქცევას გულისხმობს, ამათაც გაიჩინეს თემის ნიშნები, ძირითადად **ავ** (ა. შანიძე, 1953, § 451, 464): შემოს-ავ-ს, აღრიცხ-ავ-ს, რეკ-ავ-ს... ამის მიხედვით შეიქმნა ახალი საწყისი, რომელშიაც ეს ახალი, გართულებული ფუძე აისახა: შემოს-ვ-ა, რეკ-ვ-ა, რეცხ-ვ-ა...

ძველ ქართულში ეს ზმნები ჩვეულებრივ მარტივია, მაგრამ ფუძის გართულების ტენდენციას აქაც უჩენია თავი.

(შე)-მოს-ს: ყოველთა სამოსლისა კეთილისა მ ო ს ა ე გუნებავს, ჯავ. აღწ. 228,24; სამკუდროჲსა შ ე მ ო ს ი ს ა ჩემისათჳს მიყო მე, მ. 26,12C; ნუცა შ ე მ ო ს ა დ ორი სამოსელი, მრ. 6,9DE;

აღ-რაცხ-ს: ხოლო სასწაულნი..., რომელნი ქმნნა... ვერვინ შემძლებელ არს ა ღ რ ა ც ხ ა დ მათა, ქრესტ. II,73,10;

რეკ-ს: მეჯურღმულესა არა ესმა რ ე კ ა ე, ლიმ. 91,22; არა მესმა რ ე კ ა ე, იქვე, 91,26;

რეცხ-ს: ჲ დედანო, რაჟამს დასხდეთ რ ც ხ ა დ სთულისა მის თქუენისა, ექ. დღ. 121,7;

ეს ზმნა ძველ ქართულში იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ იკუმშება, შდრ. ახ. ქ. რ ე ც ხ-ვ-ა.

ი-ყნოს-ს: გემოჲს-ხილვაჲ, ყ ნ ო ს ა ჲ და შეხებაჲ, თითოველი მათგანი მიიწევის მრავალთა ზედა საქმეთა ურთიერთისა წინააღმდგომთა, კაც. აგებ. 161,19; იქვე, 164,4; განამხიარულებს გონებასა ყ ნ ო ს ა ჲ მისი, ლიმ. 1,14;

ს-წყევ-ს: დაჴსნილ არს პირველი იგი ჩუენი წ ყ ე ვ ა ჲ, სინ. 21,6 (შდრ. ახ. ქ. წყევ-ლ-ი-ს — წყევ-ლ-ა).

როგორც აღვნიშნეთ, **ავ** სუფიქსი უკვე ძველ ქართულში ჩანს ამ ტიპის ზმნებში:

ლეწ-ვ-ა-ჲ: ხუთნი წელნი სხუანი-ღა ყოფად არიან, რომელთა არა იყოს ჴნვა, არცა ლ ე წ ვ ა, დაბ. 45,6 (← ლეწ-ავ-ს).

ღებ-ვ-ა-ჲ: რომელსა-იგი ვერვინ მ ღ ე ბ ვ ა რ თ ა გ ა ნ მ ა ნ შეუძლო ღ ე ბ ვ ა დ, იქვე, 105,10.

ამასვე გვავარაუდებინებს მიმღეობის ფორმა მ რ ა ც ხ-ვ-ე ლ-ი: არავინ ვარსკულავთ-მრაცხველთაგანმან... ასწავა ესე გრძღაბსა, იქვე, 103,26.

3. რამდენიმე ზმნა სხვა თემის ნიშანს გვიჩვენებს ახალ ქართულთან შედარებით. საწყისიც ამის მიხედვით განსხვავებულია:

და-(ჲ)-ყინ-ებ-ს: დ ა ყ ი ნ ე ბ ი ს ა მისგან მყარ ქმნილ იყო (ტბაჲ), სინ. 119,18 (შდრ. ახ. ქ. გა-ყინ-ავ-ს — გა-ყინ-ვ-ა).

შე-(ჲ)-ყინ-ებ-ს: მცირედ-მცირედ შ ე ყ ი ნ ე ბ ი თ ა მით სიკუდილი შეუვალნ, სინ.119,13; ასევე იქვე, 119,5 (შდრ. ახ. ქ. მო-ყინ-ავ-ს — მო-ყინ-ვ-ა). აქედანვეა მიმღეობაც: გან-ყინ-ებ-ულ-ი, ექ. დღ. 92,3; იქვე, 106,14.

ახალ ქართულში ამ ზმნაში **ავ** გვაქვს და ამის მიხედვითაა შექმნილი ყველა სხვა ფორმა: ყინ-ავ-ს, ყინ-ვ-ა, ყინ-ულ-ი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძველ ქართულში **ავ** ამ ფუძეში არ გვქონია, მაგრამ ეჭვს იწვევს მ-ყინ-ვ-არი: დაეცა მას ზედა მ ყ ი ნ ვ ა რ ი დიდძალი, იქმნა იგი სხუად ფერად, ექ. დღ. 68,22; დაშავდა იგი მ ყ ი ნ ვ ა რ ი ს ა გ ა ნ, იქვე, 68,21. თუ **ავ** იმთავითვე იყო ამ ზმნაში, მაშინ ის დაკარგულა **ებ**-ის დართვის გამო: შე-ა-ყინ-ვ-ებ-ს → შე-ა-ყინ-ებ-ს.

ნასახელარი ზმნა თვლა ძველად ავ-ს დაირთავდა, რომელიც ფუძეს არ კუმშავდა:

ი-თუალ-ავ-ს: დაღაცათუ ერთიცა არა იყოს კეთილის მოქმედი, ჯერ-არს ჩუენდა თ უ ა ლ ვ ა ჲ მათი, სწავლ. 52,9 (შდრ. ახ. ქ. თვლ-ი-ს — თვლ-ა);

გარდა-ი-თუალ-ავ-ს: ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყრასა და გ ა რ დ ა თ უ ა ლ ვ ა ს ა ოდენ, სწავლ. 21,11.

გან-(ჰ)-კურნ-ებ-ს: მიჰსცა მათ ძალი და ჴელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ ა ჲ, სინ. 11,33. შდრ. არა თუ წამლითა ჰ კ უ რ ნ ე ბ ს, არამედ წამის-ყოფითა კაცთ-მოყუარებისაჲთა ყოველთავე გ ა ნ ჰ კ უ რ ნ ე ბ ს, იქვე, 11,33.

ახალ ქართულში ზმნა **ავ** სუფიქსიანია: გან-კურნ-ავ-ს, საწყისი და მიმღეობა კი ძველი წარმოებისა შემორჩა: განკურნ-ებ-ა, გან-კურნ-ებ-ულ-ი (და არა: განკურნვა, განკურნული).

ალ-ჰ-მართ-ებ-ს: რომელსა-იგი ჟამსა წარწყმიდა, მასვე ჟამსა ა ღ მ ა რ თ ე ბ ა ჲ იგი იქმნა, სინ. 159,25; კიბისა ა ღ მ ა რ თ ე ბ ა ჲ, იქვე, 195,27. შდრ. ახ. ქ. აღმართ-ავ-ს — აღმართ-ვ-ა.

გან-ა-პ-ებ-ს: ამისთჳს არს გ ა ნ პ ე ბ ა ჲ და ჴდომაჲ შორის მონაზონთა, სწავლ. 264,13; ოდეს იხილო... თჳნიერ ჴელისა გ ა ნ პ ე ბ ა ჲ იგი კრეთსაბმელისაჲ მის, სინ. 92,30. შდრ. ახ. ქ. გა-პ-ობ-ა, რომელსაც მნიშვნელობა დაუვიწროვდა.

(შე)-ს-ცვალ-ებ-ს: აწ იხილე საშინელი იგი... ც ვ ა ლ ე ბ ა ჲ, სინ. 44,8; რავდენი შ ე ც ვ ა ლ ე ბ ა ჲ ყო კაცთა ნათესავსა შორის, სინ. 234,14. შდრ. ახ. ქ. ცვლ-ი-ს — ცვლ-ა, შე-ცვლ-ი-ს — შე-ცვლ-ა. ძველი ქართულის თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ ფუძე უკუმშველია: ცვალ-ებ-ა-ჲ.

4. საწყისში სათანადო ზმნური ფუძეა დაცული. ამიტომ ხშირად ის ძვირფას მასალას გვაწვდის შესაბამის პირიან ზმნათა შესასწავლად. არის შემთხვევები, როცა პირიანი ფორმები არ ჩანს, ნაკლებად იხმარება, საწყისი კი გვხვდება.[1] მისი საშუალებით შეიძლება აღვადგინოთ უღლებადი ფორმები. აქ წარმოვადგენთ რამდენიმე ასეთ საწყისს.

ნეფხ-ვ-ა-ჲ: და ღამჱ ეგევითარი გამოირჩია, რომელსა ნ ე ფ ხ ვ ა ჲ იგი ბოროტი ყოფად იყო, სინ. 118,38; ტბაჲ იყო... რომელი-იგი ვითარცა ველი ცხენთ სარბიელი იყო, დაყინებისა მისგან მყარ ქმნულ იყო, ნ ე ფ ხ ვ ი ს ა მისგან ვითარცა ჴმელი ქუეყანაჲ სავალ იყო, სინ. 119,18; ბრძანა მათ ყოველთაჲ შიშუ-

[1] უძველეს ძეგლთა სიმფონიების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით მტკიცება ამისა: შესაძლებელია, პირიანი ფორმაც იყოს სადმე შემონახული.

ელთაჲ აერსა ქუეშე შორის ქალაქსა ნეფხვითა მოსიკუდილი, იქვე, 118,40; იყო ჟამი ზამთრისაჲ და ღამჱ ნეფხვისაჲ, კოლ. 184,28.

ამის მიხედვით პირიანი ფორმა იქნება ნეფხ-ავ-ს, რომელიც თითქოს არ ჩანს ძეგლებში. ალბათ ნაკლებად იხმარებოდა ძველი ლიტერატურის სპეციფიკური ხასიათის გამო. მნიშვნელობა ამ სიტყვას იგივე აქვს, რაც ყინავს ზმნას. საბას თავის ლექსიკონში მოჰყავს საწყისი ორი ფორმით: ნეფხუა და ნეფხვა და ასე განმარტავს: „ჴმელი ყინვა ძნელი“.

საინტერესოა მიმღეობის ფორმები სა-ნეფხ-ავ-ი და შე-ნეფხ-ულ-ი: იხილა ბუნებაჲ იგი ჟამისაჲ მის და ადგილისაჲ, რამეთუ სანეფხავ არს და ზამთარი იგი წლისაჲ — ბოროტ, სინ. 118,37; დაუთმენელად შეეგონებინ შენეფხულთა ვნებაჲ იგი, იქვე, 119,9. შე-ნეფხ-ვ-ა იგივეა, რაც შე-ყინ-ებ-ა. ამის გამო ყინვა სიტყვას ცვლიდა ნეფხვა.

შე-შჭუმ-ა-ჲ: ნოტიაობაჲ იგი აღისწრაფინ თავად და აპკად, და ფრიად იწროვებისა მისგან... განსცის იგი განსავალთაგან თუალად შეშჭუმითა და მოზიდვითა წარბთაჲთა, კაც. აგებ. 165,17 (ლაპარაკია ცრემლების შესახებ). მნიშვნელობა კარგად ჩანს მის გვერდით მოცემული სინონიმის მოზიდვის მიხედვითაც: შეშჭუმა არის წარბების შეყრა, შეჭმუხვნა. ამავე მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება შერჭმა: მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით გამწყრალი, გარისხებული, 522,4. უეჭველია, რომ ეს ორი სიტყვა წარმოშობით ერთია: შე-სჭ-მ-ა → შე-შჭუ-მ-ა → შე-რჭუ-მ-ა. ისეთივე ვითარებაა, როგორიც გვაქვს სჯ-ულ-ი → შჯ-ულ-ი → რჯ-ულ-ი ფორმებში, ან კიდევ აქ: სამსჭუალი → სამშჭუალი → სამრჭუალი (ა. შანიძე, 1959, 314). ახალი ქართულის შეჭმუხვნა ← შეჭმუხვა და ამჟამად ძირად გამოიყოფა ჭმუხ. შ აქ ძირეული არ უნდა იყოს. საბასთან გვაქვს შე-ჭუხ-ვ-ილ-ი, რომელიც ასეა განმარტებული: „ჴმუხვა აჩნდეს“. ჳ აქ თემის ნიშნისეულია, მისი ფუძეში გადასმით და მანად ქცევით კი მიღებული უნდა იყოს შეჭმუხვა, რომელსაც ავ თემის ნიშანი ხელახლა დაჰრთვია. შდრ. (ა. შანიძე, 1966, 211). ვფიქრობთ, რომ შეჭუხ-ვ-ა ← შე-წუხ-ვ-ა და, მაშასადამე, კავშირი აქვს შე-წუხ-ებ-ა, და-წუხ-ვ-ა (= დახუჭვა) ფორმებთან. ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს შევიწროება, შეკუმშვა, შეწურვა (ი. ქავთარაძე, 1954, 83). ამ მხრით საინტერესოა სიხარულისა და მწუხარების პროცესების აღწერა გრიგოლი ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“ თხზულებაში. „ნესტუნი იგი განსავალნი განემარტნიან და შეკრბიან მოწევნასა მწუხარებისა და სიხარულისასა... ხოლო რაჟამს შეიწრდის ჴურჭერი იგი და განსავალი, რომელსა შინა არნ სული, და იწროვებისა მისგან ოდესმე გამოვიდის მწრაფლ გამოჴენებითა ბუნებისაჲთა და განივრცის ადგილთა შინა ვრცელთა. და ესე არს მიზეზი მწუხარებისაჲ, და ეწოდების სულთქუმა“. ხოლო „კაცსა, რაჟამს ესმის საქმჱ რაჲმე სიხარულისაჲ, განვრცნიან განსავალნი გუამისანი განცხრომისაგან და სიხარულისა“, გვ. 164-165 (ილ. აბულაძის გამოცემა). მაშასადამე, მწუხარება იწვევს შევიწროებას, „განსავალნი იგი წულილნი შეიწრდიან და შეიოჴნიან ასონი“, მას ახასიათებს „შეჴულემაჲ გულისაჲ“, იქვე, გვ. 165. აქედან უნდა მოდიოდეს მისი სახელწოდებაც: შე-წუხ-ებ-ა,

წუხ-ილ-ი. საინტერესოა ჰმუხვა სიტყვის საბასეული განმარტება: „ურვეული ანუ ტკივნეული არა კუნესოდეს, არამედ წარბისა ხრითა შეეტყობოდეს“. თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს დაცული ძვ. ქართულის დაწუხვა (= თვალის დახურვა, დახუჭვა), მაგ.: დაწუხვაჲ თუალთაჲ არნ დამძიმებისაგან წამწამთაჲსა მის ზედა, კაც. აგებ. 169,27), მწუხარე (= თვალდახურული, ბრმა) სიტყვებში. საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში იშვიათად და-წუხვა → და-ჰუხ-ვ-ა (დახურვა) (ზ. სარჯველაძე, 1968, 19), ხოლო აქედან ბგერათა გადასმით მიღებულია ახ. ქართულის დახუჭვა.

შესჰუმა მხოლოდ შინაარსობრივად არის ამ სიტყვებთან კავშირში.

და-წებ-ვ-ა-ჲ: ხოლო ახუმაჲ ბაგეთაჲ და დაწებვაჲ მსგავს არს ძრვასა მას თითთასა ჯურელთა ზედა სტჯრთასა, კაც. აგებ. 159,12. დაწებვას ამ მნიშვნელობით არ იცნობს ახალი ქართული. ამავე მნიშვნელობით გურულში იხმარება დამუწვა (დამუწა პირი და აღარაფერი არ თქვა).

წჯმ-ა-ჲ: ვითარცა იწყო წჯმად, და აღდგეს ნაღუარევნი, სინ. 196,11; აღმოავლინენ ღრუბელნი შენნი და უბრძანე წჯმად, სწავლ. 64,15.

წჯმს მარტივ-ფუძიანი ნასახელარი ზმნაა, ამიტომ სახელი და მისგან წარმოქმნილი ზმნა ემთხვევა ერთმანეთს: წჯმა — წჯმს. საწყისის ფორმა ბგერობრივ იმავე სახელს ჰგავს და ამიტომ ძნელია მათი გარჩევა. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სპეციფიკური გამოთქმები გვაქვს და ეჭვი არაა, რომ საწყისი უნდა ვიგულისხმოთ. წევს, ჯდა და მისთ. ზმნების მსგავსად II სერიის ფორმები ამასაც უპრეფიქსო აქვს და გარეგნულად იგივეა, რაც სახელი ან საწყისი: არავე ენება, რაჲთამცა წჯმა ქუეყანასა, სინ. 129,11.

ჴელტ-ობ-ა-ჲ: ვაჴრობასა შინა არნ ჴელტობაჲ და ცილობაჲ, სწავლ. 274,14.

ეს სიტყვა ლექსიკონებში არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ საბასთან და დ. ჩუბინაშვილთან, ოღონდ შეცვლილი ფორმით (ჴელტვა) და წყაროს მიუთითებლად. დ. ჩუბინაშვილზე მითითებით არის შეტანილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ, 1964, 1239). ჴელტვა საბასთან: „ესე არს კაცი რა საქმეს ხალისიან და ზედაზედ იქმოდეს“: დ. ჩუბინაშვილთან: „თავდადებით ცდილობა“. მაგრამ არ ჩანს, სწორი იყოს. ჩვენს შემთხვევაში ჴელტობაჲ ცილობა-ს სინონიმი ჩანს (შდრ. ჴელჭობაჲ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის ლექსიკონში ა. შანიძის გამოცემის მიხედვით).

ჰჳრ-ობ-ა-ჲ: როკვიდა მახიობრებლ სეფექალი იგი, რომელ-იგი ჰჳრობადცა არა ჯერ-იყო დედათაჲ. რომლისაჲ-იგი არა ჯერ-იყო ხილვად პირი მამათაჲ, სინ. 208,27. პირიან ფორმად მოსალოდნელია *უ-ჰჳრ-ობ-ს. „ვეფხისტყაოსნიდან“ ცნობილია ჰვირს, მჰვირს, ჰვირი. ჰვირი — „რაშიმე გამოტანებული სხივი“, ჰვირს — „ასხივებს, ანათებს“ ა. შანიძე, 1957).

ახალი ქართულის ჰვრეტა-ში ამათთან შეპირისპირებით გამოყოფილია **ეტ** აფიქსი (ა. შანიძე, 1953, 401),[1] რასაც ჰჯრ-ობ-ა ფორმაც უჭერს მხარს.

[1] **ეტ** აფიქსს ამ ზმნაში გამოყოფს ვ. თოფურიაც, მაგრამ არა ჰვირს ზმნასთან შეპირისპირებით, 1936, 232.

საბა სამივე სიტყვას იცნობს: ჰვირი — შეხედვა, ჰვირს — გამოსჰვრეტს, ჰვირობა — ჰვრეტა; იმოწმებს ეზეკიელს 41,16. ჰვრეტის მნიშვნელობა აქვს ჰჯრობა-ს ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითშიც. აქ მისი სინონიმია ხილვა.

შე-ჰულ-ემ-ა-ი: შეჰულემაი იგი გულისაი, რომელი საგონებელ არს მისთჳს, არა გულისაი არს, კაც. აგებ. 165,3.

იქვე გვხვდება შესაბამისი პირიანი ფორმაც: ოდეს გარდაეხჯის ნავღელი განმამწარებელი სტომაქისაი და ფრიად შეჰულიმის იგი, იქვე, 165,5. ნიშნავს მოჭერას, შევიწროებას. ამავე მნიშვნელობისაა ახალი ქართულის ჰულეტა ამათი შეპირისპირებით ირკვევა, რომ **ემ** და **ეტ** აფიქსებია: ჰულ-ემ-ა, ჰულ-ეტ-ა. შდრ. (ა. შანიძე, 1953, 401; ვ. თოფურია, 1936). ჰულემა-ც ფუძედრეკადი ზმნაა: შეჰულ-ემ-ს, შეჰულ-იმ-ა.

საინტერესო ფორმები საწყისისა სხვაც გვაქვს ხელთ, მაგ., სხუერტა, დაბღალვა (სისხლისა), დასოვლება, ხდა (ამოღების მნიშვნელობით): ჰნებავნ ხდად ჴმაი თჳსი, კაც. აგებ. 158,32), გამოშობა (ბოროტისა) და სხვ., მაგრამ ახლა ამათზე ვერ შევჩერდებით.

5. ნ ინფიქსიანი საწყისი

ა სუფიქსით ნაწარმოებ საწყისის ფუძეს ზოგი სხვა თავისებურებაც ახასიათებს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზოგჯერ ფუძესა და საწყისის ა-ს შორის მოიპოვება ინფიქსი **ნ**, რომელიც განსაკუთრებით ვინით დაბოლოებულ (**ოვ, ევ**-იან) ფუძეებში იჩენს თავს (ა. შანიძე, 1953, § 573). ეს **ნ** ფუძეში არაა მოსალოდნელი, უმეტეს შემთხვევაში პირიან ფორმებში არა გვაქვს, გვხვდება მხოლოდ საწყისში. ახალი ქართულიდან შეიძლება დავასახელოთ ხსოვ-ნ-ა, ძოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, დევ-ნ-ა, ყოფ-ნ-ა, ძებ-ნ-ა და სხვა (იქვე).

ამგვარი **ნ** საწყისის ფორმებში ძველ ქართულშიაც გვაქვს, მაგრამ განსხვავებული მდგომარეობაა ფუძეთა მიხედვით: ერთსა და იმავე ფუძეში ინფიქსი **ნ** შეიძლება ძველ ქართულში არ გვხვდებოდეს და ახალში იჩენდეს თავს, ზოგჯერ კი — პირიქით. ოღონდ ეს უკანასკნელი გაცილებით იშვიათია.

მაგალითები: **ნ** ინფიქსიანი:

დევ-ნ-ა-ი: არა არს ჟამი დევნისაი ცხადად... ჟამი არს ფარულად წყობისაი, სინ. 260,34; რომელთამე... ჟამსა დევნისასა თჳსითა სისხლითა ნათელ-იღონ, სინ. 87,35; იწყო დევნად ხუცესმან და პოვნა იგინი შორს, ლიმ. 112,5; ასევე: სწავლ. 61,6; იქვე, 276,24 და სხვ.

ასეთივე ვითარებაა ზმნისწინიან ფორმებშიაც:

გან-დევ-ნ-ა-ი: ეშმაკთა შემძლებელ არს განდევნად, სინ. 108,40;

მი-დევ-ნ-ებ-ა-ი: არავინ უტევა მიდევნებად მის თანა, მრ. 5,37; რაჲსა ვერ ძალ-მიც მიდევნებად შენდა? ი. 13,37DE. ნ გადაყოლილია მიმღეობაშიც, მაგრამ არა ყოველთვის: დევნული, მ. 5,10; შდრ. **მდევარი:** მერცხლის-მდევარი, ექ. დღ. 111,5.

დაბოლოს, **ნ** გვაქვს პირიან ფორმებშიც:

გდევნით, სინ. 253,38; ჰსდევნიდეს, ი. 5,16; სდევნიდეთ, მ. 23,34; მდევნეს, ი. 15,20; დევნა მტერმან სულ ჩემი, ქრესტ. II,19,33; იდევნებინ, ლ. 8,29.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ნ** იმთავითვე გვქონდა ფუძეში, მაგრამ გვხვდება პარალელური უ-**ნ**-არო პირიანი ფორმები. ამასთან, **ნ** პირიანი ფორმებიდან უფრო მეტად უზმნისწინოებში არის.

„ვეფხისტყაოსანში" უზმნისწინო ფორმებში **ნ** არა გვაქვს, მაგრამ არის საწყისში: ქორის დევნა მომნდომოდა, 602,2. შდრ. ნუ სდევ წადილთა ნებასა, 880,3; ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, 908,4; ასევე: 915,1; 930,3. ვინცა მდევდის, ვერ შემომხვდის, 607,4.

მსგავსი ვითარებაა სხვაგანაც: წმიდაჲ იოვანე სდევნიდა მას, სწავლ. 292,35.

„ვეფხისტყაოსანში" **ნ** არ არის არც მიმღეობებში: მდევარი (მოვიდა მისი მდევარი, 1202,1). მდეველი (შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანა მდეველად, 96,4). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ შეიძლება რითმის დაცვის საჭიროება იყოს მიზეზი: სარითმო სიტყვები ამათი ტიპისაა, **ნ** დისონანსს შეიტანდა.

არა გვაქვს **ნ**, როგორც ვთქვით, ზმნისწინიან ფორმებშიაც: მისდევდ, ი. 10,4; მიჰსდევდა, მრ. 1,36; მიგდევდე, მ. 8,19; და სხვ. მომდევენ, ი. 10,27; მოსდევდა, მ. 8,1, 19,2C; მომდევდ, მრ. 2,14C.

ძნელი სათქმელია, სად გაჩნდა პირველად **ნ**: საწყისში თუ პირიან ზმნაში.

თოვ-ნ-ა-ჲ: მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნა, ვარდსა ნამა, ვეფხ. 686,3; აჰა მიჰხვდა ავთანდილსა ღაწვთა ცრემლით არ-დათოვნა, იქვე, 211; ეს უკანასკნელი სარითმოა და **ნ** აუცილებელია რითმის სრულყოფისათვის. ამავე მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული **ნ** პირიან ზმნაში: ცრემლითა ნუ ითოვნების, იქვე, 259,4. შდრ. ახალმან ფიფქმან დათოვა, იქვე, 179,1; მთოველი, იქვე, 857,2 და მთოვარე. ახალ ქართულში **ნ** აღარაა ამ ფუძეში.

და-ლევ-ნ-ა-ჲ: მოიწია ჟამი დღისა დალევნისა და მზისა ჩემისა დავსებისაჲ, მოქც. 102,10. ასევეა აქაც: დაულევნელი, სწავლ. 48,22. შდრ. და დაუწყოს ლექსმან ლევა, ვეფხ. 13,4; მიზეზი ლხინთა ლევისა, იქვე, 98,4; ადრე დალევს გზასა გრძელსა, იქვე, 977,1; ანუ ეგრე რამ დაგლია, იქვე, 599,2; დაილევის, იქვე, 126,2; ისარნი დამელეოდეს, იქვე, 606,4; სულ-დალეული, იქვე, 1463,4.

პოვ-ნ-ა-ჲ: პოვნაჲ წმიდათაჲ, ქრესტ. II,84,1; არა თუ შეუძლებელ იყო პოვნად, სინ. 133,27; მოეც, უფალო, პოვნად წყალობაჲ შენი, იქვე, 281,7. უზმნისწინო საწყისი ყველგან **ნ**-არიანია.

პირიან ფორმებში **ნ** არ არის: ვჰპოვებ (ვპოებ), ლ. 23,4,14; პოვა, მ. 18,28; მარტოჲ იპოვა მუნ, მ. 14,23C; გამონაკლისია I თურმეობითი: მიპოვნიეს, მ. 8,10C; I თურმეობითში „ვეფხისტყაოსანში" ყოველთვის გვაქვს **ნ**: მიპოვნიხარ, 236,3; მიპოვნია 250,4 და სხვ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აწმყოს ფუძე სხვა მხრივაც განსხვავებულია საწყისის ფუძისაგან: ვჰ-პოვ-ებ — პოვ-ნ-ა. მოსალოდნელი

იყო პოვება, რომელიც ზმნისწინიან ფორმებში გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელობით. განსხვავებულია ფუძე მიმღეობაშიაც: უპოველი, მპოველი, ვეფხ. 681,3. როგორც ჩანს, პირიანი ზმნა მარტივი ფუძითაც გვქონდა. სწორედ ეს მარტივფუძიანებია, რომ ნაირ-ნაირი აფიქსებით ირთულებენ ფუძეს; სხვებთან ერთად ასეთია **ნ** სუფიქსიც, რომელიც პირველ რიგში **ი**-ნიან ზმნათა ფუძეს უნდა დამატებოდა ამ **ი**-ს წინ: ს-ჯობ-ნ-ის (შდრ. ს-ჯობ-ს), ჰ-კოც-ნ-ი-ს (შდრ. ა-კოც-ებ-ს) და მისთ.

მო-პოვ-ნ-ებ-ა-ი: რავდენ არა უფროჲს შემდგომად გულის თქუმათა მათ წეს-არს მოპოვნებად, სინ. 101,36; რომელი შემძლებელ იქმნა ყოლადვე მოპოვნებად ცრემლთა, სწავლ. 281,37. მოპოვნება გვაქვს „ვეფხისტყაოსანშიც“:

სიცოცხლისა მოპოვნება, 1631,4; ვიწყე ჭირთა მოპოვნებად, 516,4.

პირიან ფორმებში არც აქ არის **ნ**: რომელმან მოიპოვოს თავი თჳსი, მ. 10,39; მოიპოვნეთ სულნი თქუენნი, ლ. 21,19.

განსაკუთრებული მნიშვნელობით მოპოვნება შეიძლება უზმნისწინოც იყოს; **პოვ-ნ-ებ-ა-ი:** მოიძულოთ... რამეთუ პოვნებაჲ არს ეშმაკისა მის უკეთურისა, სინ 210,6 (= ხერხი, ღონისძიება); შდრ. პოვა ესე მოპოვნებაჲ, ქრესტ. II,27,17 (მნიშვნელობა იგივეა).

სხვა მნიშვნელობა აქვს **შე** ზმნისწინიან ფორმებსაც: შეპოება — რიდის ქონება (საბა).

შე-პოვ-ნ-ებ-ა-ი: განკითხვად ხარ მისთჳს, უკუეთუ გიყოფიეს შეპოვნებით გინა ქრთამითა, ლიმ. 66,11; ამას ოდენ მოვახსენებ მუდარით და შეპოვნებით, ვეფხ. 1490,1.

პირიან ფორმებში არც აქაა **ნ**: შევეპოე, ვეფხ. 505,4; შემეპოვა, იქვე, 630,3.

მო-რევ-ნ-ა: ავად ჰშვენოდა მორევნა, ვეფხ. 295,4; 1605,3; 206,3; შდრ. უფრო გვიანდელი: ნუცა ეს გგონია, რომ... ჩემთა მტერთა მორევნა არ შემეძლოს, რუს. 9,9.

პირიან ფორმებში **ნ** არ გვხვდება: ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა, ვეფხ. 1191,2; მოერევის, იქვე, 1046,3; ასევეა მიმღეობაშიც: მოურევარი, იქვე, 559,3. ახ. ქართულში ჩვეულებრივ უნარო ფორმები იხმარება: იშვიათად **ნ**-არიანიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., ვაჟა-ფშაველასთან (ნახე ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი, ტ. V, 1958).

(გარდა)-რევ-ნ-ა-ი: ვერ თავს-იდებენ კაცთა ჴელისა რევნასა, ექ. დღ., 112,11; შდრ. ქუეყანაჲ... შეერევის წყალსა, იქვე, 60,3; არა-მე კმა-იყოა ესოდენი ესე სირცხჳლისა გარდარევნაჲ? სინ. 208,23. შდრ. გარდარეული: გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, ხანძთ. 296,37;

გარდაერევის, ლ. 15,17 (= ჰმატს), მაგრამ: შეურევნელი, ექ. დღ. 98,21; იქვე, 44,13.

და-ტევ-ნ-ა-ი, და-ტევ-ა-ი: რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ, მ. 19,12; ვითარცა ძალ-ედვა თითოეულსა დატევნად, სინ. 46,27; მრავალი მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ ვერ ძალ-გიც დატევნად აწუე, სინ.

185,22; ასევე: იქვე, 47,4. **ნ** არის მიმღეობაშიც, დაუტევნელი, ჯავ. აღწ. 149,26; აქედან: დაუტევნელობაჲ, ექ. დღ. 133,10.

შდრ. ვერ შეუძლოთ დატევად აწვე, ი. 16,12. პირიან ზმნებში **ნ** არ არის: დაიტია, ი. 21,25; დაიტიონ, მ. 19,11; დაიტევის, ი. 8,37D და სხვ.

დატევა გვაქვს ახ. ქართულშიც.

ძოვ-ნ-ა-ჲ: ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა ძოვნად ღორთა, ლ. 15,15; ასევე: ექ. დღ. 131,20. შდრ. ს-ძოვ-ს (ძოვენ, ექ. დღ. 131,23; თხა და მგელი ერთად სძოვდეს, ვეფხ. 1664,4), საძოვარი, ი. 10,9; ვეფხ. 196,1; მძოვარი, მ. 8,3; მძოველი, ვეფხ. 1561,4.

წევ-ნ-ა-ჲ: წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მდევარი, ვეფხ. 559,2;

მი-წევ-ნ-ა-ჲ: შეჰრაცხა თავი თჳსი დიდსა საქმესა მიწევნად, სწავლ. 314,24; მიწევნად ხარ ქუეყანასა უცხოსა, მოქც. 120,21; ასევე: სინ. 202,4; იქვე, 45,5.

ნ არის მიმღეობაშიც: მოწევნული, მ. 12,28C, მაგრამ არ არის პირიან ფორმებში: მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა ზეთის ხილთაჲსა, ლ. 19,37; სარგებელი იგი მისი ჩუენდავე მოიწევის, ექ. დღ. 64,7.

მიწევნა მეორე მნიშვნელობითაც გვხვდება და აქაც მხოლოდ საწყისში გვიჩვენებს **ნ**-ს: მან მდევართა მიწევნამდის არ უჭვრიტნა, ვეფხ. 95,2 (= დაწევას). შდრ. მივეწევი, ვეფხ. 216,3; მონა მივსწივე, ვეფხ. 594,3; მისაწეველად, იქვე, 96,1.

მოწევნა-ც ორი მნიშვნელობით გვხვდება: მოღწევა და დაწევა. აქაც **ნ** პირიან ფორმებში არ არის. საგულისხმოა, რომ საბა მხოლოდ უ-**ნ**-არო ფორმებს ასახელებს: მიწევა, მოწევა.

ახალ ქართულში ძირითადი აგრეთვე უ-**ნ**-არო ფორმებია, თუმცა შეიძლება შეგვხვდეს **ნ**-არიანიც (აღმოს. საქართველოდან გამოსულ მწერლებთან).

შე-წევ-ნ-ა-ჲ: ვპოვე შეწევნაჲ უფლისამიერი, მოქც. 100,36; ასევე: სწავლ. 284,17; სინ. 32,23; ლიმ. 14,12 და სხვ. შდრ. შემეწია ჩუენ, მრ. 9,22; შეგუეწია ჩუენ, მრ. 9,22. **ნ**-არიანი და უ-**ნ**-არო ფორმები ერთმანეთის გვერდითაც გვხვდება: დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუნდო წმიდამან, აბუს. ტბ. VIII,75; შეწევნითავე წმიდისაჲთა, იქვე, XII,94. შდრ. და შემდგომად... არღარა იკადრა შეწევად კაცთად, იქვე, VIII,77; და ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა... გამოცხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწევისაჲთა, იქვე, X,82.

საბასთან შეწევნა გვაქვს და ახ. ქართულშიაც უმეტესად ეს ფორმა იხმარება, თუმცა შეწევა-ც დასაშვებია.

ზოგჯერ **ნ** იჩენს თავს ხეთქა ზმნაშიაც: გვხვდება მხოლოდ უზმნისწინო ფორმებში, როგორც უპიროში, ისე პირიანში.

ხეთქ-ნ-ებ-ა-ჲ: აღიპყრა ლახუარი თჳსი ხეთქნებად ჩემდა და მოკლვად, ლიმ. 8,2; მიეახლნეს, რაჲთა აღიპყრნენ მახჳლნი მათნი ხეთქნებად მისა, ლიმ. 7,15. შდრ. აღიღო ძელი იგი... და უხეთქნა, თავსა მის მართლი-

სასა, ისტ. ქრესტ. I,28,14; სინ. 276,25;. რომელსამე მჯარსა ეხეთქნა და ორად განეპო, სინ. 276,7.

მაგრამ **ნ** არ გვხვდება ზმნისწინიან გარდამავალ თუ გარდაუვალ ფორმებში: განხეთქის, მრ. 5,14; განეხეთქა, მრ. 5,4C; განსთქდა, ი. 21,11; განხეთქილი, მრ. 2,21C.

რამდენიმე ზმნის საწყისიცა და პირიანი ფორმებიც ძველ ქართულში **ნ**-ს არ გვიჩვენებს, ახალში საწყისის **ნ**-ჩართული ფორმები თითქმის გაბატონებულია. ასეთია: თხოვ-ა, ტყორც-ებ-ა, ყოფ-ა, ძიებ-ა. შდრ. ახ. ქართულის თხოვ-ნ-ა, ტყორც-ნ-ა, ყოფ-ნ-ა, ძებ-ნ-ა.

თხოვ-ა-დ: უკუეთუ თხოვად იგი სახელ-ძჯრ გიჩს, სინ. 139,3; ასევე, იქვე, 139,4; თხოვისა შენისა წადიერებად გულისჴმა-ვყავ, 192,15; ჰგონებ დამცირებასა ძისასა მამისა მიმართ თხოისა მისთჳს, სინ. 138,35. შდრ. ითხოვს, სინ. მრ. 139,5; სთხოვს, იქვე, 139,9; მთხოველი, ი. 9,8; სათხოველი, ვეფხ. 681,4.

და-თხოვ-ნ-ა გვაქვს ერთგან „ვეფხისტყაოსანში“ (728,0), თუ ეს გვიანდელი ჩასწორების შედეგი არაა. შდრ. იქვე, დავსთხოვე (206,1), დასათხოველი (1561,2).

ტყორც-ებ-ა-დ: რომელმან-იგი ერთისა ქვისა ტყორცებითა დასცა გოლიათი, სწავლ. 13,30; პირიანი ფორმაა სტყორცებს. ახ. ქ. ტყორც-ნ-ა, ტყორც-ნ-ი-ს.

ყოფა-დ: არავინ იცოდა ყოფად მისი მას შინა, ქრესტ. II,95,5; კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად, მრ. 9,5.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება როგორც ყოფა (ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად, 154,2), ისე ყოფნა (საწუთრო და სოფელს ყოფნა, 698,3; ასევე: 945,4).

ახალ ქართულში ყოფა შემოგვრჩა ზმნისწინიან ფორმებში: გაყოფა, ჩაყოფა და მისთ. (ა. შანიძე, 1953, § 573).

ძი-ებ-ა-დ: მოვიდა მარიამ ძიებად, სინ. 160,17. მას შეესაბამებოდა ეძიებს.

უკვე „ვეფხისტყაოსანში“ ამ მნიშვნელობით ყველგან ძებნა გვაქვს, სათანადო პირიანი ფორმებია ვეძებ (187,2) და ვძებ-ნ-ი (859,3). **ნ** ამ სიტყვაში, როგორც ჩანს, უფრო ადრეც გვქონდა: ნუ ეძიებ გამოუძებნელსა, მოქც. 149,30Ქ. ძიება დავიწროებული მნიშვნელობით ახლაც იხმარება (კვლევა-ძიება).

მოყვანილი მაგალითების მიხედვით ირკვევა, რომ **ნ** ზოგჯერ ჩნდება ისეთ საწყისებში, სადაც ის თითქოს მოსალოდნელი არ იყო, აქედან კი გადადის პირიან ფორმებში. **ნ** ამ შემთხვევებში იმ ზმნათა ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი, რომლებიც ძირისეულ ან აფიქსისეულ **ნ** თანხმოვანზე ბოლოვდებიან. ასეთი ზმნები კი ქართულში საკმაო რაოდენობით გვაქვს.

ომ, ოლ სუფიქსიანი საწყისი

გარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილს როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში საწყისის ფორმებში აქვთ **ომ** ან **ოლ**. საწყისის მაწარმოებელი ამ შემთხვევებშიც არის **ა**, რომელიც მოსდევს **ოლ**, **ომ**-ს. რაოდენობით ასეთი საწყისები ცოტაა. ძველი ქართულის ფორმები ტრადიციულად გადმოეცა ახალ ქართულსაც. ასეთი საწყისების ცალკე გამოყოფის მიზეზი ისაა, რომ **ომ**, **ოლ**, რომლებიც საწყისის ფორმებში გვაქვს, პირიან ფორმებში არ ჩანს. თუ ზმნა ვნებითი გვარისაა, მაშინ **ოლ**, **ომ** არ არის არც მიმღეობაში. მაგ., ტყდ-ომ-ა, ტყდება, გამტყდარი. სხვა შემთხვევებში კი საწყისი და მიმღეობა ამოსავლად ერთსა და იმავე ოდენობას გვიჩვენებს: **ოლ**, **ომ** აფიქსები მიმღეობაშიცაა დაცული: ჯდ-ომ-ა, მჯდ-ომ-არე, დგ-ომ-ა, მდგ-ომ-არე; წ-ოლ-ა, მ-წ-ოლ-არე და მისთ.

როგორც აღვნიშნეთ, **ოლ**, **ომ**-იანი საწყისები გაქვავებული ფორმებია: ერთი და იგივე სიტყვებია ძველსა და ახალ ქართულში ამ ფორმით შემორჩენილი. მაინც, ვფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება დამოწმებული მასალის წარმოდგენა.

ა. ომ-იანი საწყისი

დგ-ომ-ა-ჲ: საზარო დგომაჲ ვიხილე, მოქც. 119,18C;

ზე-დგ-ომ-ა-ჲ: დასდვა ჴელი ტრაპეზსა, რამეთუ ვერ ეძლო ზე დგომად, ლიმ. 102,3;

აღ-დგ-ომ-ა-ჲ, ა-დგ-ომ-ა-ჲ: არა აგრძნა დაწოლაჲ მისი და აღდგომაჲ, დაბ. 19,35; ჯუარი აღდგომასა და დაჯდომასა... თუალთა წინაშე-მცა გაქუს, სინ. 53,23; ვერ ძალ-მიც აღდგომად, დაბ. 31,35; მკუდართა ადგომისათჳს არა აღმოგიკითხავსა, მ. 22,31C;

გან-დგ-ომ-ა-ჲ: რაჲსა მაიძულებ ჩუენ... განდგომად ღმრთისაგან ცხოველისა, სინ. 118,2. შდრ. განდგომ-ილ-ი, სწავლ. 260,2;

და-დგ-ომ-ა-ჲ: ძალი არა უც დადგომად წინაშე შენსა, ქრესტ. II,9,39; ვერ უძლოს სახლმან მან დადგომად, მრ. 3,25C; ასევე: ქრესტ. II,28,32; მსაჯ. 20,4.

წინა-და-დგ-ომ-ა-ჲ: მისა მიმართ ჯერ-არს მჴნედ წინა-დადგომაჲ, ქრესტ. II,40,26 (= წინააღმდეგობა).

მი-დგ-ომ-ა-ჲ (= დაორსულება): რომელმან უფლისა შობაჲ და შენი მიდგომაჲ ახარა, სინ. 29,33; მეექუსესა თუესა მიდგომასა ელისაბედისსა ნაზარეთა მივიდა გაბრიელ, სინ. 28,3. შდრ. მიდგომილი, მ. 1,18;

შე-დგ-ომ-ა-ჲ: ყოველი სოფელი მივიდა შედგომად მისა, ი. 12,19DE; ასევე: ექ. დღ. 35,5; შდრ. შედგომილი, გამოცხ. 73,4თ;

შემო-დგ-ომ-ა-ჲ: რომელთა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, ლ. 9,23;

წარ-დგ-ომ-ა-ჲ: წარვიდეს წარდგომად წინაშე მსაჯულისა, სწავლ. 282,34; წეს-არს... შიშით წარდგომაჲ ლოცვასა შინა, ქრესტ. II,19,3; ასევე: სწავლ. 267,29; იობ. 1,6;

წარმო-დგ-ომ-ა-ი: ბრძანა ყოველთა ჰურიათაჲ... წ ა რ მ ო დ გ ო მ ა დ წინაშე მისა, სინ. 238,28. შდრ. წ ა რ მ ო დ გ ო მ - ი ლ - ი (ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოდა, გამ. 9,31).

და-დგრ-ომ-ა-ი: რომელ-იგი თქუა რტოთა ხისათა დ ა დ გ რ ო მ ა ჲ, ესე იგი არს საფარველი ჯუარისაჲ, სინ. 226,16; ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დ ა დ გ რ ო მ ა დ, ლ. 19,7; შევიდეს იგინი ფუნდუკსა ერთსა დ ა დ გ რ ო მ ა დ მას შინა, ლიმ. 13,13.

ვლდ-ომ-ა-ი, ხლდ-ომ-ა-ი: როგორც გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, ვ ლ დ ო მ ა → *ხ ვ ლ დ ო მ ა-ს ხ-ს განვითარების შედეგად, აქედან ვ-ს ჩავარდნით → ხ ლ დ ო მ ა → ხ დ ო მ ა → ხ ტ ო მ ა (ლ. კიკნაძე, 1942, 125-126; 1946, 176). ახალ ქართულში ამათგან მხოლოდ ხტომა შემოგვრჩა, ძველად ვლდომა და ხლდომა ერთმანეთის გვერდით გვხვდება, ერთსა და იმავე თხზულებებშიაც კი. მაგ., სინური მრავალთავის ერთ საკითხავში — ზაქარიაჲს დადუმებისათჳს (გვ. 24-30). საყურადღებოა, რომ ხ გვაქვს პირიან ფორმაშიაც: ხ ლ დ ე ბ ო დ ა და ბუნებისა საზღვარსა მწრაფლ თანა-წარსრბაჲ იწყო, სინ. 24,20.

ვლდ-ომ-ა-ი: ფერჴთა ყრმისათა, დაბმულთა მუცელსა შინა, ვ ლ დ ო მ ა ჲ და სიმღერაჲ მიჰმადლა, სინ. 13,14; ვ ლ დ ო მ ი თ იტყოდა, სინ. 29,9; ასევე: იქვე, 29,37; მოხუცებულნი მორბიოდეს კუერთხებითა თჳსითა, მკელობელნი ვ ლ დ ო მ ი თ, ჰაბუკნი სრბით, აბო, 74,4 (ვარიანტია ხ ლ დ ო მ ი თ. ასეა დაბეჭდილი ეს ადგილი ისტ. ქრესტომათიაშიც: ი. იმნაიშვილი, 1953, 197,17).

(შე)-ხლდ-ომ-ა-ი: ხოლო იოვანე ხ ლ დ ო მ ი თ გუახარებდა, რამეთუ მოვიდა, სინ. 24,15; ესე იოვანჱს ხ ლ დ ო მ ა ნ ი უფროჲსღა სიტყუანი, რამეთუ სიტყუანი იყვნეს არღა შობილისა მის ჟამისა და ხ ლ დ ო მ ა ნ ი, იქვე, 25,10-11; ასევე: ლევიტ. 11,21; მრავალნი ძაღლთაგანნი მჴურვალედ შ ე ხ ლ დ ო მ ი ს ა მათისათჳს იქმნნეს მომასწავებელ კაცის მკლველთა მათ, ეჭ. დღ. 130,17.

და-ვრდ-ომ-ა-ი (= დავარდნა): უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრე-ღა შჯულისაგან ერთი მოხატული დ ა ვ რ დ ო მ ა დ, ლ. 16,17. შდრ. დ ა ვ რ დ ო მ ი ლ ვიყავ მე აჩრდილსა მის ხისასა, ლიმ. 137,13;

გან-ვრდ-ომ-ა-ი: აწ უკუე ჰურიათა გ ა ნ ვ რ დ ო მ ა ჲ და წარმართთა შეწირულებაჲ ადვილად გუაუწყა, სინ. 14,24; რომლისა მიერცა გ ა ნ ვ რ დ ო მ ა ჲ იქმნა, მის მიერცა — კუალად შემოსლვაჲ, სინ. 188,8; ასევე: საქმე, გვ. 218,14;

გარდამო-ვრდ-ომ-ა-ი (= გადმოვარდნა): საწყისის ფორმა ჩვენს მასალაში არ აღმოჩნდა. ის შეიძლება გავითვალისწინოთ მიმღეობის მიხედვით: ეხედევდ მე ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გ ა რ დ ა მ ო ვ რ დ ო მ ი ლ ს ა, ლ. 10,18;

მი-ვრდ-ომ-ა-ი: ვირჩიე მე მ ი ვ რ დ ო მ ა დ სახლსა ღმრთისასა, ფსალმ. 83,11Ⴑ; ვარიანტი: მივრდომაჲ, Ⴇ;

შე-ვრდ-ომ-ა-ი (= ჩავარდნა): საშინელ არს შ ე ვ რ დ ო მ ა ჲ ჴელთა ღმრთისა ცხოველისათა, სინ. 197,21; განსაცდელთა შ ე ვ რ დ ო მ ა ჲ, სწავლ. 297,13; სატანჯველთა ღირს ვართ შ ე ვ რ დ ო მ ა დ, სწავლ. 37,33; ასევე: იქვე, 49,5; შდრ. შ ე ვ რ დ ო მ ი ლ ი, სწავლ. 35,9; ასევე: იობ. 18,8;

შთა-ვრდ-ომ-ა-ი (= ჩავარდნა): არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შ თ ა ვ რ დ ო მ ა ჲ, ლ. 8,31; შ თ ა ვ რ დ ო მ ა ჲ ცეცხლსა საუკუნესა, მ. 18,8Ⴑ; არა ყოვე-

ლი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა, მ. 5,30D. შდრ. შთავრდომილი, ლ. 17,2;

გან-ზრქ-ომ-ა-ი (= გასქელება; გადატ. გაქვავება, გახევება). საწყისის ფორმა მიმღეობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ: ვიცი მე გული შენი განზრქომილი, სინ. 174,14;

კრთ-ომ-ა-ი: ვერ დაითმინა ელისაბეტ შვილისა თჳსისა კრთომაი, სინ. 29,12; თჳსსა დედასა კრთომისა მისგან აუწყებდა, იქვე, 29,10;

გან-კრთ-ომ-ა-ი: ძალნი ცათანი განკჳრდებიან და განკრთომით იტყჳან, სინ. 202,23; განკრთომით ხედვიდა უფალსა მას ბუნებათასა, სინ. 12,22. შდრ. განკრთომილი, ქრესტ. II,28,30;

შე-კრთ-ომ-ა-ი: რაჲთა შეკრთომითა მით გუერდისაჲთა ივლტოდის, სინ. 128,20;

ნდ-ომ-ა-ი: ჩემი ყოლა ნურა გინდა, სიყვარული, ნუცა ნდომა, ვეფხ. 545,1; გულსა ნდომა შეუვიდა, იქვე, 1082,1;

შე-ნდ-ომ-ა (= სიამე, საამურობა): წამებაჲ იგი ღმრთისაჲ კეთილისათჳს არა თუ თუალთა მიხედვისა შენდომისათჳს ოდენ არს, არამედ სარგებელისათჳს, ექ. დღ. 38,11;

გან-რ-ომ-ა-ი (= გადარჩენა): შურდა განრომაჲ იგი ყრმათაჲ, ტირიფ. 187,40; ჯერ-არს განრომაჲ საფრჴეთა მტერისათა, სწავლ. 74,17; ვითარ-მე გესვიდეთ განრომასა, სწავლ. 76,4. მოქმედებითს თავისი საწყისი აქვს: განრინება.

და-სხდ-ომ-ა-ი: უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თივასა ზედა, მ. 14,19; იქვე, მრ. 6,39DE; მრ. 8,6DE; უბრძანა მათ ინაჳთ-დასხდომაჲ ყოველთაჲ, მრ. 6,39C; მრ. 8,6C;

და-შთ-ომ-ა-ი, და-რჩ-ომ-ა-ი: იქმნის იგი ძალ მისა დაშთომად შეცვალებისა წინააღმდგომთა მიმართ, კაც. აგ. 169,12. შდრ. მოჰამა ყოველი... ნაყოფი ხეთაჲ, რომელღა-იგი დაშთომილ იყო სეტყჳსაგან, გამ. 10,15; ასევე: ესაია 10,14; იქვე, 7,22.

საშუალ ქართულში დაშთომა → დარჩომა: არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა, ისტ. და აზმ. 65,10; სიზმრად მგონია, დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია, ვეფხ. 381,4; ასევე: ისტ. აზმ. 97,2. შდრ. დარჩომილი: არცა სტირნ წარმავალთა, არცა სწყალობს დარჩომილთა, ბალავ. 8,9C.

შრ-ომ-ა-ი (← შურ-ომ-ა): რაჲთა... აღეწერო შრომაჲ შენი, შუშ. 14,4; ნუ შრომასა შეამთხუევთ მას, მრ. 14,6DE; განმზადებულ ხარ მარადის განსლვად და შრომად ყანასა შენსა, სწავლ. 13,2;

და-შურ-ომ-ა-ი: ვერღარას შემძლებელ იყო ყოფად რაჲსმე... ღამე ყოველ დაშურომითა, ფსალმუნებითა და გალობითა, შუშ. 24,33; ღაღად-ვყავ ვიდრე დაშურომადმდე გულისა ჩემისა, ფსალმ. 60,3. შდრ. ამისთჳს ნუმცა დაგუაშრობენ ჩუენ, ექ. დღ. 43,10;

ცთ-ომ-ა-ი: აღიღე რჩული ჩუენი და უვარ-ყავ[1] ცთომაი იგი შენი, კოსტანტ., 168,15; ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე, მოქც. 118,14; შენ მარტოსა ცთომისა დაჴსნაი მოგიღებიეს, სინ. 28,25; სავსე ცთომითა ეშმაკისაითა, მოქც. 157,30C. შეიძლება ზმნისწინიც ჰქონდეს: შეცთომა; შეცთომილი, ლიმ. 130,8.

გან-ცხრ-ომ-ა-ი (= ლხინი): ვითარ განცხრომით წარჴდეს დღენი ჩემნი, ქრესტ. II,5,34; იქვე, 3,39; იწყეს განცხრომად, ლ. 15,24; განსრულ იყო ისაკ განცხრომად, დაბ. 24,63; ასევე: ექ. დღ. 119,24; იქვე, 112,16; იქვე, 66,2.

და-ცხრ-ომ-ა-ი (= დაწყნარება): უბრძანე ბრძოლასა დაყუდებაი და მახჯლსა დაცხრომაი, სწავლ. 66,9; ვერ ჴელ-ეწიფების დაცხრომად სულსა ჩემსა, იობ. 6,7; ხოლო დაცხრომაი თქუენგან არა არს, იქვე, 21,34.შდრ. და ნეტარ მკუდარი, უქმი, დაცხრომილი ბოროტთაგან, ვითარცა იყავ დაცხრომილი კეთილისა საქმესა, სწავლ. 258,28-29.

გან-ძღ-ომ-ა-ი: ახალ ქართულში გარდამავალსაც და გარდაუვალსაც ერთი საწყისი აქვთ: გაძღომა (გააძღებს, გაძღება), რომელიც გარდაუვალიდან მოდის. ძველ ქართულში გარდამავალსაც თავისი საწყისი ჰქონდა — განძღება (განაძღებს). მაგ., ვინაი ძალ-გჳც აქა განძღებად პურითა ესოდენი ერი, მრ. 8,4; მინდა განძღებად შიმშილი მისი, ზედ. 192,34; ასევე: საქმე, 14,17; მაგრამ განძღება-განძღომა ფუნქციით მკვეთრად გამიჯნული არ უნდა ყოფილიყო ერთმანეთისაგან, ოთხთავის რედაქციებში ისინი ერთსა და იმავე კონტექსტში ერთმანეთს ენაცვლებიან: გული ეტყოდა განძღებად ნაბიჭვისა მისგან, ლ. 16,21DE. შდრ. სწადინ განძღომად ნაბიჭვისა მისგან, იქვე, C. გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობით ნახმარი გვგონია განძღება ამ მაგალითში: არამედ ესე იყავნ საზრდელ სასადილო, რაჲთა არა ფრიად განძღებითა (= განძღომითა) მოგეწყინოს სამწუხროჲ იგი საზრდელი, ექ. დღ. 122,21.

სხვა მაგალითები: აცადე პირველად განძღომად შვილთა, მრ. 7,27C; უკუეთუ მიუშუა განძღომად, სწავლ. 305,14; ასევე: საქმე, გვ. 214,9.

წინა-ძღ-ომ-ა-ი: მაშინ წინა-ძღომით სხუათა მიერ შევიდა პავლე დამასკედ, სწავლ. 87,15. შდრ. წინა-ძღოლა, წინა-ძღუანვა. ასევეა მოგვიანო ქართულში: გამომართულთა მოეწია ყოველი თურქმანობაჲ გელაქუნისაჲ წინაძღომითა შამელთა დიდებულთა, ისტ. და აზმ., 84,1; მაგას ამდენის ქვეყნის... წინ გაძღომა... არ შეუძლიაო, რუს, 512,34. შდრ. წინაწარმოძღომილი, აბუს. ტბ. VIII,68; წინამძღომელი, დავით. 198,1.

ძურ-ომ-ა-ი: საწყისის ფორმა ჩვენს მასალებში არ აღმოჩნდა, მაგრამ მის არსებობას ძველ ქართულში გვავარაუდებინებს მიმღეობა: რომელ არს უძჯრეს ყოველთა ქუემძრომელთა, ექ. დღ. 104,7. ასევე: ჩაძრომილი, ვეფხ. 97,3; ასაძრომელი, იქვე, 1242,3.

მი-წუდ-ომ-ა-ი, მი-წდ-ომ-ა-ი: კურნებასა რომელსა მე ვჰკურნებ, ვერვინ მკურნალთაგანი შემძლებელ არს მას მიწუდომად, ქრესტ. II,55,1; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, აბო

[1] გამოცემაში: უვარ-ჰყავ; ფორმა ბრძანებითია.

52,15; ასევე: სწავლ. 286,4; კაც. აგ. 140,24; იქვე, 141,11; ექ. დღ. 84,22 და სხვ.

წყრ-ომ-ა-ი: რისხვაი გულის წყრომისა მისისაი, კოსტ. 169,4; აღივსნეს ყოველნი გულის წყრომითა, ლ. 4,28.

შე-ხუდ-ომ-ა-ი: ეძიებნ ჟამსა მარჯუესა მარტოდ მის ზედა და იშუებნ შეხუდომასა სხჯასა, ექ. დღ. 100,3. შდრ. დახუდომილი, აბუს. ტბ. VIII,70.

ჴდ-ომა-ა-ი: აჰა ესერა არს... შური და ჴდომაი, სინ. 261,21; უკუეთუ შურმან და ჴდომამან ხესა ნედლსა ესრეთ უყო, სწავლ. 71,3; აღასრულეს სიცრუვ# ჴდომითა მათითა, დაბ. 49,5; ასევე: სწავლ. 243,14; იქვე, 243,15.

ზმნისწინიან ფორმებს სხვა მნიშვნელობა აქვს (მიჴდომა = მისვლა მასთან...), მაგრამ საწყისის ფორმით არ შეგვხვედრია.

ჯდ-ომ-ა-ი: საყდართა ზედა ჯერ-არს ჯდომაი შენი, ქრესტ. II,82,30. რომელთა ჰნებავს... ზემოჯდომაი კრებულსა შორის და პირველ ინაჯითჯდომაი პურის ჭამასა, მრ. 12,39DE.

აღ-ჯდ-ომ-ა-ი: არღარა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა... და არცა მჴედარი აღჯდომად ცხენსა, გობრ. 179,13;

და-ჯდ-ომ-ა-ი: უნდა მას დაჯდომაი ფერჴთა თანა საყდრისათა, ქრესტ. II,82,28; ჯერ-იჩინა კიცუსა დაჯდომაი, სინ. 139,31.

ბ. ოლ-ოანი საწყისი

აქვე მოვიყვანთ ოლ აფიქსიან საწყისებს, რადგან ორივე აფიქსს — **ომ**-საც და **ოლ**-საც ერთი დანიშნულება უნდა ჰქონდეთ.

ბრძ-ოლ-ა-ი: რაჟამს გესმოდის თქუენ ბრძოლაი და ჴმაი წყობისაი, ნუ აღტყდებით, მრ. 13,7C; დაადგრა ბრძოლაი ესე მის ზედა, ლიმ. 113,28; მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა, შუშ. 19,3.

საყურადღებოა ამ ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობის იშვიათი ფორმა: ბრძოლ-ილ-ი: უკუეთუ ვიდრე არღა ზრზენადი იგი გულის თქუმათაი მათ ბრძოლილ იყო... რავდენ არა უფროჲს შემდგომად გულის თქუმათა მათ წეს-არს მოპოვნებად, სინ. 101,34. მასში დაცულია **ოლ** სუფიქსიც. ეს ფორმა იმგვარივეა, როგორიც ვლტოლ-ილ-ი → ლტოლვ-ილ-ი, და-წოლ-ილ-ი.

(მი)ვლტ-ოლ-ა-ი (= გაქცევა): შეიწყნარა იგი უცხოებისათჳს და ვლტოლისათჳს მტერთა მისთაჲსა, ქრესტ. I,186,16; ქალაქი ესე ახლოს არს მივლტოლვად[1] ჩემდა მუნ, დაბ. 19,20.

ამავე ფუძიდან **სი** პრეფიქსიანი ფორმაც გვაქვს: სი-ვლტ-ოლ-ა, რომელსაც პრეფიქსიანებთან ერთად განვიხილავთ.

ვლტოლა → ლტოლვა ახალ ქართულში და მნიშვნელობაც შეცვლილი აქვს, ნიშნავს მისწრაფება-ს (ვინმესკენ, რამესკენ).

კუს-ოლ-ა-ი:[2] და იხილა იგი მკუსოლარე, მრ. 14,67.

---

[1] ასეა.

[2] უნდა გვქონოდა კუმ-ოლ-ა ფორმაც, რასაც გვავარაუდებინებს აღკუმოლებს: რომელი შეაძრწუნებს ქუეყანასა, შეახებს მთათა და აღკუმოლებს, ისტ. და აზმ. 101,27.

რბ-ოლ-ა-ი: რბ ძირს ძველ ქართულში რამდენიმე საწყისი შეესაბამება: რბ-ენ-ა, სი-რბ-ილ-ი, ს-რბ-ა, რბ-ოლ-ა, რბ-ევ-ა (ლ. კიკნაძე, 1946, 169-171). ამათგან ყველაზე გავრცელებული იყო ძველად სრბა. რბოლა არ შეგხვდრია, მაგრამ ხშირია მიმღეობა წინა-მსრბოლი (წინა-მსრბოლმან მან გუაუწყა, სინ. 25,13), რომელიც ს-რბოლა-ს გვავარაუდებინებს და მიღებული უნდა იყოს ს-რბ-ა და რბ-ოლ-ა ფორმათა კონტამინაციით. სრბოლა არის საბასთანაც: სრბოლა — რბენა-ო, — განმარტავს საბა.

მოგვიანო ძეგლებიდან რბოლა ჩვეულებრივია „ვეფხისტყაოსანში“: გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა, 585,3; ასევე: იქვე, 721,3; იქვე, 1252,4 და სხვ.

ჭრ-ოლ-ა-ი: იწყო ჭროლად მის თანა ჭარმან მან ბორბალმან, საქმე 27,14Ქ.

ღუწ-ოლ-ა-ი, ღწ-ოლ-ა-ი, ღუწ-ა-ი: ჴელთა ასწავის გლახაკთა ღუწოლაი, სინ. 113,17; ანუ რად არა ყოველსა ღუწოლასა ურგებსა განვიშორებთ ჩუენგან, ქრესტ. II,22,38.

იქვე, მეორე სტრიქონზე უ-უნ-ო ფორმა გვხვდება: ანუ რად არა... თავთა თჳსთა აღვიმცირებთ სიმძიმისაგან და ღწოლისა ქუეყანისაჲსა? 22,39.

გვხვდება ღუწა-ც, რომელიც გვიანდელი უნდა იყოს უკვე იღუწის ფუძისაგან (უფალო, არას იღუწი, ლ. 10,40). შვილითი შვილადმდე თანა-გუაც თქუენი ღუწაი, ხანძთ. 260,10.

ყ-ოლ-ა-ი: ყოლა მხოლოდ მოგვიანო ძეგლებში შეგხვდა: ანუმცა ვისი გუნებაჲ მისწუდა... ათაბაგის ძისა და შარვანშას ყმად ყოლასა, ისტ. და აზმ. 108,28; სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა, ვეფხ. 768,4.

ყრ-ოლ-ა-ი: რამეთუ ჩუენ ყროლასა მას კუამლისასა შესუარულსა წინაშე კერპთა არა შევწირავთ, ქრესტ. II,105,34. შდრ. დაყროლდენ მდინარენი, გამ. 7,18.

გზა-ყ-ოლ-ა-ი (= მი-ყოლა, გა-ყოლა): ვისგან შეეშინა მათ პატიჟის-ყოფასა, თუმცა არა ძალ-სცემოდეს იგინი მათდა, ვიდრემდის ერთიცა მათგანი არა დარჩა გზა-ყოლისა მათისაგან, ექ. დღ. 114,33. შდრ. თანა-წარჰყავან მათ ყუავები, რომელ არს ქუეყანასა ჩუენსა, და გზა-ჰყვიან იგინი მათ, იქვე, 114,24; (= გააცილებენ, მიჰყვებიან).

ძრწ-ოლ-ა-ი: დაეცა შიში და ძრწოლაი მათ ყოველთა ზედა, ქრესტ. II,75,8; შეიძლება **რ** დაიკარგოს: ძწოლაი შეედვა, სწავლ. 293,1·1; შეიპყრა იგი ძრწოლამან, ლიმ. 42,17; მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას, ლ. 8,47; ამას... განიზრახვიდა ძრწოლით, სინ. 26,24; იწყო ძრწოლად ვითარცა ლერწამმან, ქრესტ. II,91,24. **ოლ** აქვს მიმღეობასაც: მუჯლი მრგუალ არს და მსხლეტარე და დაჴსნილ და მძრწოლარე, ექ. დღ. 132,10.

წ-ოლ-ა-ი, და-წ-ოლ-ა-ი, მი-წ-ოლ-ა-ი: ესე არს... მარხვაი ენისაი და ჯამადთაი, ქუეყანასა წოლაი, სიმდაბლჱ და ყუდროებაი, ჯავ. აღწ. 230,12; ასევე: ვეფხ. 585,2; იქვე, 768,1; არა აგრძნეს დაწოლაი იგი ძილისა მათისაი, ქრესტ. II,107,10; არა ცნა დაწოლაი მისი და აღდგომაი ლოთ, დაბ. 19,33; შემოვიდა ჩემდა დაწოლად ჩემ თანა, დაბ. 39,14; მიწოლით მიიძინო ვითარცა ლომმან, დაბ. 49,9.

ცალკე უნდა განვიხილოთ რამდენიმე ისეთი ფორმა, რომლებშიაც **ოლ** გვაქვს, მაგრამ მას მოსდევს **ვ**, რომელიც **ავ** სუფიქსისეული უნდა იყოს. ასეთებია: დამჯ-ოლ-ვ-ა, მოსპ-ოლ-ვ-ა, გბ-ოლ-ვ-ა, დალპ-ოლ-ვ-ა, ასპ-ოლ-ვ-ა, წთ-ოლ-ვ-ა, მი-წდ-ოლ-ვ-ა. შდრ. (ლ. კიკნაძე, 1946, 174; ვ. თოფურია, 1942, 492;).

და-ლპ-ოლ-ვ-ა-ნ: რომელი არს უძნელჱს: კაცისა დაფლულისა ქუეყანით აღდგომაჲ, ანუ კაცისა მუცელსა ვეშაპისასა... შესლვაჲ და არა დალპოლვაჲ? სინ. 163,28. **ოლ**, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცულია მიმღეობაშიც: ქმენ კიდობანი წამებისაჲ ძელთაგან ულპოლველთა, გამ. 25,9. შდრ. რავდენცა დაყოვნინ გესლი იგი ჴორცთა მათ შინა, ეგოდენცა შეილპობნ მათ, ჯავ. აღწ. 62,4.

ა(ღ)-სპ-ოლ-ვ-ა-ნ: ღირსცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, მოქც. 158,12; ბრძანებულ იქმნა... ღმრთისა მიერ აღსპოლვად ამალეკისა, ხრონ. 75,4.

მო-სპ-ოლ-ვ-ა-ნ: არა კმა-ეყო მიღებად სამკჳდრებელისა მათისა, არამედ სრულიად უნდა მოსპოლვაჲ მათი, ტირიჭ. 186,34; მოხედვა-ყო მოსპოლვად ყუელრებაჲ ჩემი კაცთა შორის, ლ. 1,25DE.

საინტერესოა, რომ მოსპოლვა-ს იყენებს დ. გურამიშვილიც: თქუენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა, დავით. 41,1.

შესაბამის პირიან ფორმებში **ოლ** ჩვეულებრივ არ გვაქვს ხოლმე (თუ პირიანი ფორმა საწყისისაგან არაა ნაწარმოები) (ლ. კიკნაძე, 1947, 131). აქ მის მაგიერ ძველ ქართულში **ობ** სუფიქსია.

პარალელურად **ობ** ზოგჯერ გვაქვს საწყისშიაც: უნდა დამჯობაჲ მისი, სინ. 108,13; ამან მას ზედა ზღუაჲ მოადგინის და მან ამას ზედა ესეთი დამჯობაჲ მოაწია, მოქც. 132,29Ლ. შდრ. დამჯოლვაჲ. ამ მხრივ საინტერესოა ზმნა მოსპოლვა: კერპთ-მსახურნიცა რომელნი წუთღა ცოცხალ იყვნეს, მოსპოლნა, ხრონ. 116,25; ამისა შემდგომად მძლე ექმნნეს მას და სრულებით მოსპოლეს იგი, იქვე, 71,9; რომელი მოსპოვლავს მოწყინებასა, ესე არს ლმობიერად დადგრომაჲ ვედრებასა ღმრთისა მიმართ, სწავლ. 286,20. **ლ**-ს წინ **ვ** გაჩენილი ჩანს. შდრ. აჰა ესერა კრავი ღმრთისაჲ, რომელი მოსპოლავს ცოდვათა სოფლისათა, სინ. 207,25.

ეს ფორმები იმითაც საინტერესოა, რომ **ოლ** სუფიქსი გარდამავალ ზმნათა საწყისსაც აღმოაჩნდა. შდრ. სრ-ოლ-ა.

მიწდოლვა ნახე ქვემოთ.

წთ-ოლ-ვ-ა-ნ: აჰა სინანული და ცრემლი მწთოლვარტ, სინ. 79,28.

ობ, **ოლ** აფიქსებიანი საწყისები ბევრჯერ ყოფილა მსჯელობის საგანი. უკანასკნელად ისინი სპეციალურად განიხილა ლ. კიკნაძემ სტატიაში — ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, **-ან**, **-ენ**, **-უნ**, **-ოლ**, **-ობ** სუფიქსებიანი გარდაუვალი ზმნები (ლ. კიკნაძე, 1946). აქვე განხილულია სპეციალურ ლიტერატურაში მანამდე გამოთქმული ვარაუდები[1] და სავსებით დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ **ოლ**, **ობ** მთლიანი, ცალკე აფიქსებია ზმნური ფუძისა ისეთივე, როგორიცაა **-ან**, **-ენ**, **-უნ**... და ამჟამად უფრო გავრცელებული **ებ**, **ობ**, **ავ**... ეს

[1] ლიტერატურაც მითითებულია იქვე.

აფიქსები მიჩნეულია I სერიის მწკრივთა დამახასიათებელ ნიშნებად.[1] ამ ვარაუდს ხელს ვერ შეუშლის მათი შესაძლო ფონეტიკური წარმოშობა.

„იმაში, რომ **-ან**, **-ენ**, **-უნ**, **-ოლ**, **-ომ** თანაბარი ღირებულების სუფიქსებია, ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ პარალელურ ფორმებს, რომლებშიც ერთმანეთის მონაცვლედ გამოდიან ეს სუფიქსები", — აღნიშნავს ლ. კიკნაძე (1946, 170-171) და მოჰყავს ნიმუშებად ბრძ-ოლ-ა || ბრძ-ან-ა, ყ-ოლ-ა || ყვ-ან-ა, ძღ-ოლ-ა || ძღვ-ან-ა და მისთ. ფორმები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ზოგი ახლად მიკვლეული ფორმა. აღნიშნულ სტატიაში მოცემულია **ოლ** სუფიქსის **ან**, **ენ**, **უნ** სუფიქსებთან და **ომ**-ის იმავე სუფიქსებთან მონაცვლეობის ნიმუშები. ირკვევა, რომ თვით **ოლ** და **ომ** სუფიქსებიც ენაცვლებიან ერთმანეთს (ა. ჩიქობავა, 1956, 516). **ოლ** || **ომ** || **ან**: **ოლ**-იანი ფორმები ჩვეულებრივია და აღარ დავასახელებთ. რომელსა მოგუთა თაყუანის-სცეს ვარსკულავთა წინა-ძღომითა, სინ. 203,35; მაშინ წინა-ძღომით სხუათა მიერ შევიდა პავლე დამასკედ, სწავლ. 87,15. შდრ. მეყსეულად გამოუქმნა ხატი იგი ჯუარისაჲ, ნიში, რომელი-იგი იხილა და უბრძანა წინა-ძღუანვაჲ ბრძოლასა, სინ. 237,24; ასევე: გამ. 18,23; ექ. დღ. 114,18; იქვე, 114,20. **მი-წუდ-ომ-ა** || **მი-წდ-ოლ-ვ-ა**: მიწუდომა-ს მაგალითები ზემოთ მოვიყვანეთ (სხვა **ომ**-იან ფორმებთან). სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მიც მიწდოლვად, სინ. 33,5. მიწუდოლვა = მიწუდომა-ს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოყვანილია წდოლა ორი სხვა მნიშვნელობით. ეყრდნობიან საბას და დ. ჩუბინაშვილს.

ჩვეულებრივია ბრკ-ოლ-ა, აქედან: დაბრკ-ოლ-ებ-ა. რომელსა ჰნებავს დაბრკოლებაჲ ჩემი გზისა მისგან, კოსტანტ., 168,7; ვერ შეუძლე დაბრკოლებად მისა, სწავლ. 311,11. გვაქვს მიმღეობაც: დამაბრკოლებელი, მ. 16,23C. იხ. აგრეთვე: ლ. 17,2; მ. 26,31; ი. 6,61; მ. 18,6. ამის გვერდით გვხვდება ბრკუმა: უმჯობეს არს შენდა, რაჲთა გიბრკუმეს ფერჯთა და დაეცე ქუეყანასა, ვიდრე არა ბრკუმაჲ ენისაჲ, სწავლ. 9,6. პირიანი ფორმა არის ოთხთავშიც: უკუეთუ ვინმე ვიდოდის დღისი, არა უბრკუმეს, ი. 11,9; უკუეთუ ვინმე ვიდოდის ღამესა, უბრკუმეს მას, ი. 11,10; ასევე: ფსალმ. 36,24C. ცოტა განსხვავებულია ეს ზმნა „ვეფხისტყაოსანში": ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს, 18,1. ლექსიკონში (ა. შანიძე, 1957) ა. შანიძე მას ასე განმარტავს: ბრკმობა — დაბრკოლება. აბრკმობდეს ← ა-ბრკ-ომ-ობ-დ-ე-ს (|| ა-ბრკ-ომ-ებ-დ-ე-ს?). ბრკუმა-ში **უ** ძირისეული არ არის: ბორკ → ბრკ, აფიქსად კი **უმ** არ გვხვდება, შდრ. (ი. ქავთარაძე, 1954, 288). მაშასადამე, ბრკუმა ← ბრკ-ომ-ა, რედუქციით.

ბრკ-ომ-ა, ბრკ-ოლ-ა ფორმათა მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევა გვხვდება ფსალმუნის სხვადასხვა რედაქციებში: იჴსენ... ფერჴნი ჩემნი ბრკომისაგან, 55,14CQ და: ბრკოლისაგან, Q.

[1] ალბათ, მათი დიდი სიძველეა მიზეზი იმისა, რომ იშვიათად ისინი მეორე სერიაშიც იჩენენ თავს. მაგ.: მოსპოლეს.

კრთ-ომ-ა || კრთ-ოლ-ა: კრთომა ფორმა ნ. აქვე, **ომ**-იან ფორმებთან. „ვეფხისტყაოსანში“ ამასთან ერთად გვხვდება კრთოლა-ც: არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კ რ თ ო ლ ა ს ა, 1100,3. შდრ. გ ა ნ კ რ თ ო მ ი თ, იქვე, 1179,4.

ომ ენაცვლება ობ სუფიქსსაც:

ვითარ... გ ა ნ ც ხ რ ო მ ი თ წარჯდეს დღენი ჩემნი, ქრესტ. II,5,34. შდრ. ღაღადებდ ლოცვასა შინა და გ ა ნ ს ც ხ რ ე ბ ო დ ე გალობით, სწავლ. 13,10; გ ა ნ ა ც ხ რ ო ბ ნ თუალთა ხილვაჲ ყუავილთა მისთა სიმეწამულისაჲ, ლიმ. 1,11; ასევე: ექ. დღ. 52,2. გ ა ნ ც ხ რ ო მ ა არის საწყისი ორიევსთვის. მიზეზი **ომ**-ისა და **ობ**-ის მონაცვლეობა უნდა იყოს.

ა-ჭ ნ-ო ბ-ს ზმნას დ ა-ჭ ნ-ო ბ-ა აქვს საწყისად: არა სამართალ არს... დ ა ჭ ნ ო ბ ა ჲ ჰასაკთა თქუენთაჲ, ქრესტ. II.106.1; ისწრაფდეს დედანიცა დ ა ჭ ნ ო ბ ა დ სიკეთესა თჯსსა, იქვე, 35,26; ყუავილი არს მწუხრი დ ა ჭ ნ ო ბ ა დ ი, სწავლ. 258,34. აქედან მიმღეობად მოსალოდნელია დაუჭნ-ობ-ელ-ი (შდრ. ახ. ქ. დაუჭკნ-ობ-ელ-ი), მაგრამ ჩვეულებრივ გვაქვს დ ა-უ-ჭ ნ-ო მ-ე ლ-ი: პირი ცრემლითა დაბანილი კეთილ არს და დ ა უ ჭ ნ ო მ ე ლ, ქრესტ. II,12,35; ძალი მოსცის და გჯრგჯნი დ ა უ ჭ ნ ო მ ე ლ ი, იქვე, 17,22; მოვიღოთ დ ა უ ჭ ნ ო მ ე ლ ი გჯრგჯნი, იქვე, 106,18; ასევე სინ. 203,20. იშვიათად **ობ**-იანი მიმღეობაც იჩენს თავს: გურგუნი დ ა უ ჭ ნ ო ბ ე ლ ი, ჯავ. სინ. აღწ. 169,35; ასევე: ხანძთ. 267,21.

გან-კრთ-ომ-ა || გან-კრთ-ობ-ა: ჩვეულებრივია სახელზმნის **ომ**-იანი ფორმები. მაგალითები ზემოთ არის მოყვანილი. გვხვდება **ობ** სუფიქსიანიც: ცხოველი ესე დიდ არს და მაღალ... და გ ა ნ ს ა კ რ თ ო ბ ე ლ სახილველად, ექ. დღ. 131,27; ასევე: ვეფხ. 1432,2.

ამ შემთხვევაში **ობ**-იან ფორმას განსხვავებული შინაარსი მიუღია:

აკრთობს, ვეფხ. 682,3 — კრთობა, იქვე, 870,3, ჰკრთების — კრთომა, კრთოლა, იქვე, 1100,3.

ამათ გვერდით შეიძლება შემთხვევითი არ იყოს დ ა დ გ რ ო ბ ა ფორმა დადგრომა-ს მნიშვნელობით: ეგედრე დღესა ერთსა დ ა დ გ რ ო ბ ა დ შენ თანა, სწავლ. 257,1. მაგრამ ეს მაგალითი შემოწმებას მოითხოვს.

შე-წყდ-ომ-ა || შე-წყდ-ობ-ა: ხელთა გვაქვს მიმღეობის ფორმები: საპყრობილესა შინა შ ე წ ყ დ ო მ ი ლ ნ ი... მყის განარინნა, ქრესტ. II,73,12. შდრ. დარწყულ არს ქუეყანასა ზედა საბელი მისი და შ ე ს ა წ ყ დ ო ბ ე ლ ი მისი ალაგთა ზედა, იობ. 18,10.

ომ-ისა და **ობ**-ის მონაცვლეობა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: შ ე მ ო ჭ დ ო მ ა 546,4, მაგრამ: შ ე ჭ დ ო ბ ა (დიდხანს იდგეს შეჭდობილნი, 949,4), გ ა რ დ ა ჭ დ ო ბ ა (დგანან ყელ-გარდაჭდობილნი, 1422,1; ასევე: 1335,3). შ რ ო მ ა-ს შესაბამისი მიმღეობაა დ ა უ შ რ ო მ ე ლ ი (მკლავი დაუშრომელი, ვეფხ. 75,4; ენა დაუშრომელი, იქვე, 1669,2). მაგრამ მოქმედებითი გვარის მიმღეობაში **ობ** იჩენს თავს ცუდნი და ცუდთა ადგილთა თავისა დ ა მ ა შ რ ო ბ ე ლ ნ ი, იქვე, 642,2. მართალია, სიტყვა სარითმოა და **ობ** არის საჭირო, მაგრამ ასეთი მონაცვლეობა ბუნებრივი ჩანს (შდრ. შ ე უ შ რ ო ბ ე ლ ი, ვეფხ. 642,2 და ცრემლ-შ ე უ შ რ ო მ ე ლ ი, იქვე, 1669,4).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის ერთ თხზულებაში დაცული ასეთი ფორმაც: ჩემი სიბერის მ ი ს ა ყ რ დ ო მ ად ისღა მშთენია („ქართვლის დედა“). შდრ. მ ი ყ რ დ ნ ო ბ ა.

შემდგომი დაკვირვება ალბათ ამგვარი მონაცვლეობის სხვა ფაქტებსაც გამოავლენს. ცხადია, **ოლ**, **ომ** აწმყოს ფუძის ისეთივე მაწარმოებელია, როგორც **ობ**, **ოვ**, **ოფ** და სხვა.

ომ-იან საწყისთან დაკავშირებით ერთი საკითხი ჩნდება: რომელი გვარის ზმნათა საწყისია ამჟამად **ომ**-იანი საწყისები? ლიტერატურაში მითითებულია, რომ **ომ**-იანი ზმნები ყველა გარდაუვალია, საშუალი ან ვნებითი (ა. შანიძე, 1953, § 574).

ცნობილია, რომ საწყისი ქართულში აქვს მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნებს, ვნებითს საკუთარი საწყისი არ აქვს, მოქმედებითისას იყენებს (ა. შანიძე, 1953, § 571). ასევეა მიმღეობაც: ვნებითი გვარის მიმღეობა მოქმედებითი გვარის ზმნისაგან იწარმოება. ამ მხრივ ცალკე დგას ე. წ. უნიშნო ვნებითი, რომელიც ზმნათა უძველეს ჯგუფადაა მიჩნეული ქართულში. უნიშნო ვნებითს მიმღეობა საკუთარი ეწარმოება (თბება — გამთბარი), საწყისი კი თითქოს საზიარო აქვს საშუალი გვარის ზმნებთან: დგომა — ვდგავარ, მაგრამ: ა-დგომა-ავდგები, და-დგომა-დავდგები; კრთომა-კრთის, მაგრამ: შე-კრთომა-შევკრთები. ამ ტიპის საშუალი გვარის ზმნებს ზმნისწინი არ დაერთვის, ამიტომ ზმნისწინიანი **ომ**-იანი საწყისი მხოლოდ და მხოლოდ უნიშნო ვნებითისა შეიძლება იყოს. ზმნისწინიანი **ომ**-იანი საწყისი საკმაოდ გავრცელებული და მრავალფეროვანია მთელს ქართულში. საწყისის მიხედვით ჩანს, რომ ზმნისწინის დართვა ამ ზმნებთან ჩვეულებრივია. არც ერთი მათგანი არ არის უზმნისწინო. შ რ ო მ ა ახ. ქართულშია უზმნისწინო, ძველში ამასაც რამდენიმე ზმნისწინი დაერთვის: და-შურების — და-შურომა, მო-შურების — მო-შურომა. სხვა ზმნისწინიანი ფორმები ზემოთაა მოყვანილი.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **ომ**-იან საწყისებს ძნელად ეძებნებათ შესაბამისი საშუალი გვარის პირიელი ზმნა. ორი მათგანი ზემოთ დავასახელეთ: დგას, კრთის. თითქოს სხვა არც ჩანს.

ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ომ**-იანი საწყისი მნიშვნელობით ამჟამად უნიშნო ვნებითს შეესაბამება. იშვიათ შემთხვევაში მას იყენებს საშუალიც. რაც შეეხება წარმოებას, ფუძის მიხედვით **ომ**, **ოლ**-იანი საწყისები გარდამავალ ზმნებს უნდა უკავშირდებოდნენ. მაგრამ ამ საკითხს ცალკე კვლევა სჭირდება.

ილ სუფიქსიანი საწყისი

ილ გავრცელების მიხედვით ვერ შეედრება **ა**-ს. როგორც ვნახეთ, **ა** გამოყენებულია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში; **ილ** ბოლოსართი კი მხოლოდ გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს საწყისს. ესაა ძველი, უპროდუქციო წარმოება, რომელიც ტრადიციით გადმოეცა ახალ ქართულსაც.

დუმ-ს, დუმ-ი-ს — დუმ-ილ-ი: ხოლო მე დაუტევე ყოველი სოფელი, რაჲთა ვისწაო დ უ მ ი ლ ი, ლიმ. 86,17; სიქადულ მონაზონისა არს ყუდროებაჲ და დ უ მ ი ლ ი, ქრესტ. II,19,14; სახესა მას შობისასა პატივის-ცემაჲ მისწავიეს

დუმილით, სინ. 32,31; იქვე, 32,38; დუმილითა და მარხვითა მოაუძლურებდა იგი პორცთა მათ სიჭაბუკისა თჳსისათა, აბო, 60,10.

გარდამავალი ზმნისათვის სხვა საწყისი არის: ა-დუმ-ებ-ს — და-დუმ-ებ-ა-ჲ: არა ეგების უტყუთა ჴმობაჲ და პირ-მეტყუელთა უმანკოთა დადუმებაჲ, სინ. 149,15.

ი-ზახ-ს — ზახ-იელ-ი: ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა, ვეფხ. 1021,3; მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლჱ ზახილთაჲ და მახჳლთაჲ, მოქც. 140,7Ⴑ.

ჲივ-ი-ს — ჲივ-იელ-ი: და იყო ყრმათა ჩჩჳლთა ჲივილი, ვიდრემდის მთანიცა ჴმა-სცემდეს, მოქც. 151,24Ⴑ; აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და შეიქმნა ზარი და ჲივილი, კლვაჲ, იქვე, 140,3.

პირველ მაგალითს Ⴒ რედაქციაში შეესაბამება ჳრინვაჲ: ტირილი და ჳრინვაჲ მიიწეოდა ცამდე, იქვე, 151,25. მეორე მაგალითში კი ჲივილი უკვე Ⴒ რედაქციაშია და ზრინვა — Ⴑ-ში: მეყსეულად შეიქმნეს ზარის აღსაჴდელნი ზრინვანი და ყივილნი, იქვე, 140,3.

მაშასადამე, გვჭონია ორგვარი პირიელი ზმნა: ჲივ-ი-ს, რომლის საწყისი იყო ჲივ-ილ-ი, და ჳრინ-ავ-ს (|| ზრინავს), რომლისაგან გვაქვს საწყისი ჳრინვაჲ || ზრინვაჲ. ორივე ზმნა გარდაუვალია.

ჲღავ-ი-ს — ჲღავ-ილ-ი: იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ჲივილს. ორივე ზმნა ხმაბაძვითია.

იხილა ჲღავილი და მტირალი და მჴჯობარნი ფრიად, მრ. 5,38DE; მოვიდიან მფრინველნი ცისანი... და მოწლედ ჩემდამი ღაღადებედ. გარე მომადგიან ჲღავილით და ჴმობედ ჩემდა მომართ მრავალფერად, მოქც. 123,28.

ჲღავილი, ისევე როგორც ჲივილი, შეშინებული ადამიანის ხმიანობაა ან ფრინველთა ჲივ-ჲავი. ჲღავილი — შეშინებული ჴმანიო, — განმარტავს საბა, ჲივილი — მრავალთ ყრმათ ტირილი (საბა).

ჰ-სურ-ს, ჰ-სურ-ი-ს — სურ-ვ-ილ-ი: აწ უკუე განმიმარტე სურვილი ჩემი, ჯავ. აღწ. 174,28; ასევე: ექ. დღ. 71,14. დედაჲ თქუენი იერუსალემი სურვილით გეტყჳს თქუენ, ქრესტ. II,23,5.

ტირ-ს, ტირ-ი-ს — ტირ-ილ-ი: მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ, მ. 8,12; მაშინღა ტირილითა და გოდებითა სთქუა, ქრესტ. II,9,5; მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ, მოქც. 107,17; ჰგონებდეს, ვითარმედ საფლავად მივალს ტირიდ მისა, ი. 11,31.

ს-ტკივ-ი-ს — ტკივ-ილ-ი: არა შეაწევს გულად ტკივილი მუსმრისაჲ, ვითარ-იგი შეაწევს ტკივილი შურისაჲ, სწავლ. 8,30; თუალთა ტკივილი შემედვა, ლიმ. 37,19; ვერ ეძლო ფერჴთა მისთა ზედა დგომად ტკივილისა მისგან, ქრესტ. II,93,12.

ტყუვ-ი-ს — ტყუვ-ილ-ი (|| ტყუილი): განიშორე შენგან ტყუილი, სწავლ. 9,24; არარაჲ არს მას შინა ტყუვილი, ლიმ. 82,17; ტყუვილით რეცა თუ სასწაულსა... რასმე განსთქუმედ ერსა შორის, აბო, 72,2; აგონეთ ნათელი ბნელ ყოფად და ჴეშმარიტებაჲ ტყუვილად, სინ. 238,33.

ილ-სუფიქსიან საწყისს ზმნისწინი ჩვეულებრივ არ აქვს. იშვიათად აქაც შეიძლება შეგვხვდეს ზმინსწინიანი ფორმა:

მაგით სახით ეგულებოდა შეტყუვილი შენი, შუშ. 24,22; ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნენს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, აბო, 50,7.

***ქავ-ი-ს — ქავ-ილ-ი:** ორი მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში: 1. ფხანის ავარდნა (საბა), 2. აზვირთება, აღელვება, ხმაური წყლისა. ვნახოთ მაგალითები:

1. გულის თქუმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებდენ მოძღურებასა ქავილითა ყურთაჲთა, აბო, 49,26 (ციტ. 2 ტიმოთე 4,3).

2. გიხილეს შენ წყალთა, ღმერთო, გიხილეს შენ წყალთა და შეეშინა, შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდძალითა ქავილითა წყლისაჲთა, ფსალმ. 76,18Ⴑ. Ⴒ რედაქციაში გვაქვს: გიხილეს შენ წყალთა და შეეშინა, შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდძალითა ოხრითა წყალთაჲთა, იქვე.

ფსალმუნშივე გვხვდება მეორე მნიშვნელობის მქონე პირიანი ზმნა: ამისთჳს არა მეშინოდის მე ძრწოლასა ქუეყანისასა, ცვალებასა მთათასა და გულსა ზღუათასა. აქავდეს და შეძრწუნდეს წყალნი მათნი, შეძრწუნდეს მთანი ძლიერებითა მისითა, 45,4Ⴑ. ასევეა Ⴒ რედაქციაში. Ⴒ რედაქცია აქაც განსხვავებულ წაკითხვას გვაძლევს, ოღონდ ზემოთ დამოწმებული ადგილის მსგავსს: ოხრიდეს და შეძრწუნდეს წყალნი მათნი, იქვე.

კონტექსტი ორივეგან ერთია. ამის მიხედვით ქავილი და ოხრაჲ (წყლისაჲ) სინონიმური მნიშვნელობისაა.

ქავილის მეორე მნიშვნელობა უცნობია საბასთვის,[1] ჩუბინაშვილებისათვის, არა გვაქვს ის ქართულის ენის განმარტებით ლექსიკონშიაც.

ა-ქავ-დ-ებ-ი-ს — ა-ქავ-დ-ეს, რა თქმა უნდა, არაა ამოსავალი ქავილი ფორმისათვის. ამისი საწყისი იქნება აქავება.

ქუხ-ს — ქუხ-ილ-ი: განირთხა მოსე ჴელი თჳსი ზეცად და უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყუაჲ, გამ. 9,23; ასევე: ი. 12,29; მრ. 3,17; ჯავ. აღწ. 231,26; იობ. 26,14; ესაია, 29,6 და სხვ.

უ-ღიმ-ი-ს — ღიმ-ილ-ი: მოწლედ მოიკითხნა და ამბორს-უყო ღიმილით, მოქც. 85,9Ⴒ.

ჰ-ღჳძ-ავ-ს — ღჳძ-ილ-ი: ამ ფორმის ადგილას ან ღჳძება გვაქვს, ან მღჳძარება; ღჳძილი არ შეგეხვედრია.

სიმონ გძინავსა? და ვერ უძლე ჟამ ერთ ღჳძებად, მრ. 14,37C; ვერ უძლეთ ჟამ ერთ ღჳძებად ჩემ თანა, მ. 26,40C. შდრ. ვერ ძალ-გიც ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა, იქვე, DE.

ყივ-ი-ს — ყივ-ილ-ი: არა უწყით, ოდეს უფალი იგი სახლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი ანუ შუაღამეს ანუ ქათმის ყივილს ანუ განთიად, მრ. 13,35C; ვიდრე ქათმის ყივილამდე სამ გზის უვარ-მყო მე, მ. 26,75C; ვიდრე ქათმისა ორ გზის ყივიდმდე სამ გზის უვარ-მყო მე, მრ. 14,30C; ასევე: მ. 26,34C; მეყსეულად შეიქმნეს ზარის აღსაჴდელნი ზრინვანი და ყივილნი და კლვაჲ ერისაჲ, მოქც. 140,4Ⴑ.

[1] ოღონდ საბა იცნობს პირიან ფორმას: აქავდეს — ესე ითქმის ოხრიდენ.

შეყვილი გვავარაუდებინებს, რომ ამ საწყისსაც შეიძლება დაერთოს ზმნისწინი.[1]

ყჳრ-ი-ს — ყჳრ-იელ-ი: ყჯრიელ-ყვის ჴმითა ღაღადებისაჲთა და ყჯრიელ-სა მას მისსა გამოსცის სული საკუმეველთაჲ პირსა მისსა, ქრესტ. I,284,14; ყჯროდა ყჯრიელითა დიდითა ვნებისა მისგან და ტკივილისა, ქრესტ. II,95,22.

ს-წად-ი-ს — წად-იელ-ი: ძელისა მისთჳს ჯუარისა აღესრულა ჩემი წადიელი, სინ. 243,15; დიდითა სიხარულითა და წადიელითა წარავლინა დედაჲ თჳსი აღმოსავალად კერძო, იქვე, 238,16; ასევე: შუშ. 27,30.

წუხ-ს — წუხ-იელ-ი: უფალო, ღმერთო, შენ უწყი წუხილი ესე ჩემი, ლიმ. 116,18; ვინაჲ წარივლტოდა სალმობაჲ, წუხილი და სულ-თქუმაჲ, ქრესტ. II,6,17; რომელსა-იგი წუხილით შობაჲ ესმა შვილთა თჳსთაჲ, სინ. 25,1.

გარდამავალს თავისი საწყისი აქვს: ა-წუხ-ებ-ს — შე-წუხ-ებ-ა-ჲ:

არა ინება შეწუხებაჲ ქალისაჲ მის, მრ. 6,26DE. ასევე: სწავლ. 5,3; იქვე. 40,33.

ს-წყურ-ი-ს — წყურ-იელ-ი: დასცხრა წყურილი იგი ჩუენგან, ლიმ. 137,25; მივიდენ მერმესა მას საუკუნესა შიმშილსა და წყურილსა, სწავლ. 48,22; პატივისა ჩემისა იზრახეს განშორებაჲ და რბიოდეს წყურილსა მათსა, ფსალმ. 61,5C; წყურილისათჳს იწოდე და შენ ღჳნოსა ჰსუამ, ქრესტ. II,2,16; მერმე იწყო ელიაცა შეურვებად წყურილითა, სინ. 128,1.

ჰივ-ი-ს — ჰივ-იელ-ი: რაჲ არს განცხრომაჲ იგი ჰივჰივისაჲ? და ვითარ შუვადღესა უმაღლეს არს ჴმაჲ მისი, რაჟამს იყნოსის მან ჰაერი სიცხისაჲ და აღმოუტევის მკრდისაგან თჳსისა ჰივილი იგი, ექ.დღ. 119,26.

ფრინველსაც სახელი ამის მიხედვით ჰქვია: ჰივჰივი (= ჰივჰავი). საბა: ჰივჰავი ჰავჰავი-ო, ჰივჰივი ჰავჰავივეო. ალბათ გვექნებოდა ჰავ-ილ-ი-ც (← ჰავ-ი-ს). შდრ. ჴყავ-ი-ს — ჴყავ-ილ-ი, ჴყივ-ი-ს — ჴყივ-ილ-ი.

ჰუვ-ი-ს — ჰუვ-ილ-ი (= წუხილი): დღეს ჰუვილი იგი და გლოვაჲ... ევაჲსი სიხარულად გარდაიქცევის, სინ. 203,1; ამას თჳთ მოციქული ზრუნვით და ჰუვილით იტყჳს, სინ. 103,37.

ამ სიტყვის სხვა ფორმები, პირიანი თუ უპირო, განხილულია სპეციალურ ლიტერატურაში (ა. შანიძე, 1966, 209-211), ამიტომ ჩვენ აქ აღარაფერს ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰუვ ძირი დაცულია აგრეთვე მიმღეობის ძველ ფორმებში: თანა-მ-ჰუ-ან-ი, თანა-მ-ჰუვ-არ-ი, რომლებიც ფსალმუნში შეგხვდა. ველოდე მე თანა-მჰუანსა, არავინ იყო ნუგეშინის-მცემელ ჩემდა, ფსალმ. 68,21C. ვარიანტები: თანა-მჰუვარს Ქ, თანა-მჰუვარსა Ქ.

ჴ-ხად-ი-ს — ხად-ილ-ი: (წოდება,დარქმევა სახელისა): ხად ძირის ორი მნიშვნელობაა აღნიშნული ლიტერატურაში: 1. მოწოდება, მოხმობა, მოწვევა, დაძახება. 2. წოდება, დარქმევა (სახელისა) (ი. იმნაიშვილი, 1948-1949; 1953, 541). ეს მნიშვნელობები ახლოსაა ერთმანეთთან და ერთი წარმოშობისა ჩანს. საწყისიც შესაბამისად ორნაირია: პირველისათვის — ხად-ა, მეორისათვის — ესეც და საკუთარი — ხადილი.

---

[1] გვხვდება XV ს. ერთ საბუთში: საქ. სიძვ. I,5,13.

მაგ., მოვიდეს ძმანი მისნი და დედაჲ მისი და დადგეს გარე და შეავლინეს ხადად მისა, მრ. 3,31C (= დასაძახებლად, მოსახმობად).

მეორე მნიშვნელობით ჩვეულებრივია ხადილი:

რომლისაძი ხადილითა განიკურნოს განრღუეული იგი, ჯერ-არს, რაჲთა მისი ღმერთი გურწმენეს, ქრესტ. II,58,1; ხოლო ჩუენ აწ... გუცონის ხადილდ სახელსა მისსა, ქრესტ. II,1,21; უკუეთუ ვინმე თავი თჳსი მოიმედგროს და სცონოდის აღებად პირისა მისისა და ხადიდ (← ხადილ-დ) მადღსა მას, იქვე, 11,9; ასევე: ესაია 8,4; ჯავ. აღწ. 47,11 ქვ.; 93,2 ქვ.

იშვიათად ამავე მნიშვნელობით ხადა-ც გვხვდება, რომელიც ზოგჯერ შეკუმშულია: არა დავსცხრე ვედრებად და ხდად სახელსა წმიდასა მისსა, ლიმ. 140,2; ნუთუ ვერ შემძლებელ ვარ ხადად უფალსა ჩემსა იესუ ქრისტესა? კიმ. I,142,10. შდრ. აწ ღირს ვარა ხადიდ სახელსა ღმრთისა შენისასა? მოქც. 136,39Ⴑ.

მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ტიპის საწყისში აფიქსად **ლ**-ს მიიჩნევს, **ი**-ს კი ფუძისეულად თვლის (ა. ჩიქობავა, 1942, 64, 222, 229; ი. ქავთარაძე, 1954, 25). აწმყოში შესაბამის პირიელ ზმნათა ნაწილი მართლაც **ო** სუფიქსიანია (უკრ-ი-ს, ტყუვ-ი-ს, სწყურ-ი-ს და მისთ.), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სწორედ ეს **ი** შედის საწყისის **ილ** სუფიქსში. ლიტერატურაში (ლ. კიკნაძე, 1947, 124, 140-142) სამართლიანად არის მითითებული, რომ გარდაუვალ ზმნათა აწმყოს **ო** სუფიქსი იკარგება საწყისის **ა**-ს დართვის გამო (გარდამავალ ზმნათა თემატური **ი**-ს დაკარგვის მაგალითები ნახე ზემოთ, გვ. 175) და სუბიექტური III პირის **ა**-ს ხმარების დროსაც (წვებ-ი-ს — წვებ-ა ← წვებ-ი-ა). ასევე უნდა გვქონდეს აქაც: საწყისის **ილ** სუფიქსის დართვა იწვევს აწმყოს ფუძისეული **ი**-ს დაკარგვას, სადაც ასეთი გვაქვს, თუ არა და პირდაპირ მიერთვის ფუძეს: ჰ-ხად-ი-ს — ხად-ი-ა → ხაღ-ა, მეორე მხრივ, იგივე ჰ-ხად-ი-ს — ხად-ი-ილ-ი → ხად-ილ-ი; შდრ. ქუხ-ს — ქუხ-ილ-ი, წუხ-ს — წუხ-ილ-ი და მისთ.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოებაც. ა. ჩიქობავას ზემოთ დასახელებულ ნაშრომში საწყისის მაწარმოებელი აფიქსები განხილულია სახელთა უძველეს აფიქსებთან ერთად. სახელთა უძველეს სუფიქსებად გამოყოფილია **ალ**, **ელ**, **ულ**, **ილ**, **ოლ**, **ლ**, **ა**, **ე** და სხვ. ავტორი ვარაუდობს, რომ მხოლოდ თანხმოვნით ან მხოლოდ ხმოვნით წარმოდგენილი აფიქსები მიღებულია ხმოვნის და, შესაბამისად, თანხმოვნის დაკარგვის გზით (მაგ.: ლ ← ალ..., ა ← ან...) (ა. ჩიქობავა, 1942, 57-58).

სახელთა ეს უძველესი აფიქსები არის მიკვლეული სახელზმნაშიც: საწყისსა და მიმღეობაში. „ეს აფიქსები პირველადია სახელებისათვის, მეორეული — მიმღეობისათვის“ (იქვე, 112). საწყისის **ილ** სუფიქსი გვაქვს მიმღეობაში და არსებითსა და ზედსართავ სახელებშიაც. როგორც საწყისის მაწარმოებელი, ის დაშლილადაა წარმოდგენილი (**ი-ლ**), დანარჩენებში კი ეს არ ხერხდება, რადგან გაურკვეველი რჩება **ი**-ს ფუნქცია (იქვე, 65). სანამ არ გაირკვევა ფრცხ-ილ..., ჩჩუ-ილ..., აღდგომ-ილ და მისთ. **ილ**-ის რაობა, მანამ ვერ გადაწყდება საწყისის **ილ**-ის საკითხიც.

ამასთან, სხვა შემთხვევებში აღნიშნული აფიქსები სრული სახისაა (ე. ი. შედგება ხმოვნისა და თანხმოვნისაგან), სადაც ასეთი ფაქტიურად არ გვხვდება, აღდგენილია სრული საფეხური; რატომ დადგა მხოლოდ **ილ** სუფიქსის დაშლის საკითხი?

II. პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება

როგორც აღვნიშნეთ, საწყისის ძირითადი მაწარმოებელი ქართულში არის სუფიქსი **ა**; სუფიქსად გვხვდება **ილ**-იც. ამათ გვერდით ძველ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს თავსართ-ბოლოსართიანი წარმოებაც. გვაქვს რამდენიმე სახეობა: **ს — ა, ხი — ა, სა — ა, სი — ილ, სი — ულ**. ამათგან პირველ სამ შემთხვევაში სუფიქსად იგივე **ა** გვაქვს, ოღონდ ის გართულებულია პრეფიქსებით **ს-, ხი-, სა-**.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში ზოგჯერ საწყისის მნიშვნელობა აქვს საქმე ფორმასაც, რომელიც მიღებულია საქმელ-ისაგან (ა. ჩიქობავა, 1953, 33-48), გამოყოფილია **სა — ელ** აფიქსები, რომლებიც მიმღეობის აფიქსებს ემთხვევა. ამგვარი მიმღეობის არც მნიშვნელობა არის უცხო საქმე ფორმისათვის. მსგავსი ვითარება სხვა შემთხვევებშიც გვაქვს. ამის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა საწყისისა და მიმღეობის ისტორიული გაუდიფერენცირებლობის შესახებ[1]. ეს კი საკითხის სხვა სიბრტყეზე კვლევას გულისხმობს. ამიტომ საქმე ფორმას საწყისის სხვა ფორმათა თვალსაზრისით ვერ განვიხილავთ.

1. ს — ა:

ს — ა აფიქსებით ხუთიოდე ზმნის საწყისი იწარმოება.

ვალ-ს — ს-ლვ-ა-ი (← ს-ვლ-ა-ი): რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვაი, მრ. 12,38;

აღ-ს-ლვ-ა-ი: ჯერ-არს მისი იერუსალჱმს აღსლვაი, მ. 16,21;

გან-ს-ლვ-ა-ი: მოწევნულ არს განსლვაი მისი ამიერ სოფლით, ლიმ. 74,23;

გარდამო-ს-ლვ-ა-ი: გარდამოსლვასა მას მათსა მიერ მთით ამცნო მათ, მრ. 9,9C;

მი-ს-ლვ-ა-ი: შეეშინა მუნ მისლვად, მ. 2,22;

მო-ს-ლვ-ა-ი: ეგრეთ იყოს მოსლვაი ძისა კაცისაი, მ. 24,27;

შე-ს-ლვ-ა-ი: აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა, მ. 14,22DE;

წარ-ს-ლვ-ა-ი: ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვის, ი. 6,67;

წარმო-ს-ლვ-ა-ი: რამეთუ მიერ წარმოსლვად იყო, ლ. 19,4;

წიაღ-ს-ლვ-ა-ი: უბრძანა წიაღ-სლვაი მიერ კერძო, მ. 8,18DE;

წიაღმო-ს-ლვ-ა-ი: უბრძანა მათ წიაღმოსლვაი წიაღ ზღუასა, იქვე, C.

ძირია ვალ, ს-ლვ-ა ფორმაში **ვ** გადასმულია **ავ**-იან ზმნათა ანალოგიით, რომელთაც **ავ**-ის **ვ** უშუალოდ საწყისის **ა**-ს წინ მოუდიოდათ (ჴნ-ავ-ს — ჴნ-ვ-ა) (ლ. კიკნაძე, 1946, 176; ა. შანიძე, 1959, 311). ზოგჯერ ეს ფუძისეული **ვ** თა-

[1] დაწვრილებით იხილეთ მითითებულ სტატიაში.

ვის ადგილას გვხვდება, მაგრამ უკვე უმარცვლო **უ**-დ ქცეულ-ი: ს-ულ-ა. მაგ., ძნელ არს ფასიერთა შ ე ს უ ლ ა ჲ სასუფეველსა ღმრთისასა, მრ. 10,23C. შედარებით ხშირია ასეთი ფორმები „სინურ მრავალთავში“ (ა. შანიძე, იქვე). ახალ ქართულში აღდგა სწორი ფორმა: ს-ვლ-ა.

ს საწყისის ფორმებიდან გადასულა მიმღეობაშიც: აღ-ს-რ-ულ-ი ← აღ-ს-ლ-ულ-ი ← აღ-ს-ლვ-ულ-ი ← აღ-ს-ვლ-ულ-ი ← აღ-ს-ვალ-ულ-ი. სხვა მაგალითები: განსრული, მრ. 7,30; გარდამოსრული, ი. 6,50C; მისრული, ი. 4,45C; მოსლული, მრ. 9,1C; შესლული, ი. 4,8C; შესრული, ლ. 8,30.

ახალ ქართულში აქედან მივიღეთ გა-ს-ული, გადმო-ს-ულ-ი, მი-ს-ულ-ი, მო-ს-ულ-ი და სხვ., სადაც ფუძისეული აღარაფერი დარჩა. აქედან **ს** გადასულია III სერიაში: მო-ს-ულ-ა, მო-მ-ს-ვლ-ი-ა.

რბ-ი-ს — ს-რბ-ა-ჲ: ვითარ-იგი აღასრულა იოვანე ს რ ბ ა ჲ თჯსი, სინ. 212,22; სადაცა შენ სათნო-იყო ს რ ბ ა ჲ მისი, მოქც. 114,8; რომელთა ს რ ბ ი თ მიაქუნდა სულნელები იგი, აბო 74,6. ასევე: ექ. დღ. 78,16; ჯავ.აღწ. 217,7; ტირიპ. 191,2 და სხვ.

თანა-წარ-ს-რბ-ა-ჲ: ხლდებოდა და ბუნებისა საზღვარსა მწრაფლ თ ა ნ ა წ ა რ ს რ ბ ა ჲ იწყო, სინ. 24,21.

როგორც აღვნიშნეთ (გვ. 195), **ს** აქაც გადასულია მიმღეობაში: წინა-მ-ს-რბოლი, სინ. 25,12. შდრ. წინა-მო-რბედი.

ს-უფ-ევ-ს — ს-უფ-ევ-ა-ჲ: მოვედინ ს უ ფ ე ვ ა ჲ შენი, მ. 6,10; ს უ ფ ე ვ ი ს ა მისისა არა იყოს დასასრულ, ლ. 1,33DE;

ძირია უფ, რომელიც მე-უფ-ე და უფ-ალ სიტყვებშიაც გვაქვს. **ს** აქაც გადასულია პირიან ფორმაში: ს-უფ-ევ-ს (ა. ჩიქობავა, 1942, 225).

უიდ-ი-ს — ს-უიდ-ა-ჲ: მიჴხუეჭდეს სავაჭროსა ს უ ი დ ა ს ა მათსა და განვაჭრებასა, ქრესტ. II. 66,16; მოვედით პირველად ს უ ი დ ა დ საზრდელისა, დაბ. 43,20;

გან-ს-უიდ-ა-ჲ: კაცსა მას აქუნდა ორი ტყავი და უნდა გ ა ნ ს უ ი დ ა ჲ მათი, ქრესტ. II,80,22; შესაძლებელ იყო გ ა ნ ს უ ი დ ა დ ესე, მ. 26,9;

მი-ს-უიდ-ა-ჲ: ნათესავსა უცხოსა ვერ ჴელ-ეწიფების მ ი ს უ ი დ ა დ მისა, გამ. 21,8.

ს აქაც იჩენს თავს მიმღეობაში: მოუჴდა მ ს უ ი დ ე ლ თ ა მათ პურისათა სუიდად მათგან, ქრესტ. II, 111,35; იწყო გამოსხმად გ ა ნ მ ს უ ი დ ე ლ თ ა და მ ო მ ს უ ი დ ე ლ თ ა მიერ ტაძრით, მრ. 11,15; არა მისცა მან ღმერთსა საჴსარი თავისა თჯსისაჲ, არცა ს ა ს უ ი დ ე ლ ი საჴსრად სულისა თჯსისა, ფსალმ. 48,9. წარმოშობით მიმღეობაა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელი და გვარი: ნასყიდა და ნასყიდაშვილი.

იშვიათად **ს** პირიან ფორმებშიც გვხვდება: გ ა ნ ი ს უ ი დ ე ბ ი ს, ლ. 12,6 (ა. შანიძე, 1953, § 576).

აქვე გვინდა განვიხილოთ ორი სიტყვა: წ რ ა ფ ა || სწრაფა და სწავლა. **ს** ძირისეული არ არის ამ სიტყვებში, ის განვითარებულად მიაჩნიათ (იქვე, § 477, 529, გვ. 561). სწავლა-ში **ს** ყოველთვის გვაქვს, როგორც პირიან ისე

უპირო ფორმებში. ხოლო ს-წრაფ-ა პირიან ფორმებში **ს**-ანს იშვიათად გვიჩვენებს. თვით საწყისის ფორმაშიც **ს** ყოველთვის არ გვაქვს:

ს-წავლ-ა-ი: დაგიტევებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს სწავლაჲ კაცთაჲ, მრ. 7,8C; წარიძრა მიერ სწავლად და ქადაგებად ქალაქებსა მათსა, მ. 11,1.

ს-წრაფ-ა-ჲ || წრაფ-ა-ი: რაჲთა... იყოს სწრაფაჲ ჩუენი ჟამისა მისთჳს მომავალისა, ექ. დღ. 127,14; აქუნდა მას დიდი გულს-მოდგინებაჲ და სწრაფაჲ, ქრესტ. II,54,3; რბიოდა სწრაფით, სწავლ. 158,28; სივლტოლად იწყო სწრაფით, შუშ. 20,16; ასევე: მოქც. 112,1; იქვე, 112,5-7; იქვე, 159,20; ქრესტ. II,34,19; იქვე, 81,19.

მისი წრაფაჲ არსვე ესე, ქრესტ. II,8,28; წრაფასა მას თქუენსა სინანულად მიმართ, იქვე, 23,20; წრაფითა... დიდითა მას მხოლოსა ვჰმადლობდეთ, იქვე, 24,8; ასევე: მოქც. 112,30C. Ქ რედაქციაში სწრაფით გვაქვს.

პირიან ფორმაში ხანდახან გამოჩნდება **ს**: იწრაფა და გარდამოჯდა, ლ. 19,6DE; ისწრაფა, იქვე, C; ზაქე, იწრაფე და გარდამოჯედ, ლ. 19,5. შდრ. ისწრაფე, იქვე, C.

იქნებ ამ ფორმებში **ს ს-ყიდ-ა** და მისთანების ანალოგიით იყოს გაჩენილი? საწყისის **ს** იქაც გადასულია მიმღეობასა და პირიან ფორმებში.

2. სი — ა:

ამგვარი წარმოების საწყისებიც თითო-ოროლაა.

ივლტ-ი-ს — სი-ვლტოლ-ა-ჲ (= გაქცევა): ვითარცა ჟამ-სცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მიდამომალვაჲ იყო ყოვლისა კაცისაჲ, მოქც. 118,25; მერვესა წელსა იყო სივლტოლაჲ ჩუენი საბერძნეთით, იქვე, 114,37; სივლტოლაჲ მისი ვითარცა კაცისაჲ ხოლო იქმნებოდა, სინ. 107,20; ყოველნი შეიძრნეს სივლტოლით შეწევნად მათა, მოქც. 126,22C; შეეშინა და იწრაფა სივლტოლად, ტირიჭ. 188,24. პარალელურად იმავე მნიშვნელობით გვხვდება ვლტოლა (მაგალითები ზემოთ, გვ. 194).

ე-კიცხ-ევ-ს — სი-კიცხევ-ა-ჲ (= დაცინვა, გაკიცხვა): ხოლო იგინი ეკიცხევდეს მათ და იტყოდეს, ვითარმედ: ტკბილითა განსავსე არიან ესე. ჭეშმარიტსა ღათუ იტყოდეს, არამედ სიკიცხევად დგეს, სინ. 188,16; შემოვიდა ჩემდა მონაჲ ესე ებრაელი, რომელი შემოიყვანე სიკიცხევად ჩემდა, დაბ. 39,17.

ჩვეულებრივი და გავრცელებული ძველ ქართულში არის კიცხევა. საინტერესოა, რომ დაბადების სიკიცხევა-ს გვერდით იქვე, ზემოთ, კიცხევა გვაქვს: შემომგუარა მე მონაჲ ებრაელი კიცხევად ჩემდა, დაბ. 39,14.

სხვა მაგალითები: ჰბასრობდეს მათ როსპიკნი კიცხევით, სინ. 259,13; მოუჯდეს ქრისტესა ზედა და იწყეს ცემად და კიცხევად მისა, ევსტ. 41,8; სამოსელი კიცხევისაჲ შეიმოსა მძლემან მან, სინ. 258,8.

ო-მღერ-ს — სი-მღერ-ა-ჲ (= თამაშობა): დავსხედით მე და იგი სიმღერად ვაშლითა, რამეთუ ვესროდით(!) ურთიერთას, ლიმ. 111,17; ფერჴთა ყრმისათა, დაბმულთა მუცელსა შინა, ვლდომაჲ და სიმღერაჲ მიჰმადლა, სინ.

13,14; უკუეთუ ყოველნივე მხიარულნი ტიროდეს..., ვისმცა უკუე ყოვლადვე სიმღერაჲ გულსა მოუვდა, ქრესტ. II,35,20; ასევე: წარტყ. ნა, 3.

ამ სიტყვას ადრევე მიუღია ის მნიშვნელობა, რაც ახალ ქართულში აქვს: რომელთამე არა აქუს განცხრომაჲ და არცა სიმღერაჲ, ექ. დღ. 112,16.

სიმღერა არც ისე იშვიათია, მაგრამ, აქაც გვხვდება იმავე მნიშვნელობის უპრეფიქსო ფორმა: შეკრბიან ყრმანი ქრისტეანეთანი და წარმართთანი მღერად, კოლ. 184,3. „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ეს უკანასკნელი არის გაბატონებული, პრეფიქსით ეს სიტყვა სამიოდეჯერ გვხვდება (ა. შანიძე, 1956).

ი-სრ-ევ-ს — სი-სრ-ა-ჲ: (= სროლა): ესეც იშვიათი ჩანს. შეგვხვდა მხოლოდ რთულ ზმნაში: სისრა-უყო, ლიტერატურაშიც ამგვარი სახითაა დამოწმებული (ა. ჩიქობავა, 1942, 226; ი. ჭავთარაძე, 1954, 64).

რაჲთამცა სტყორცეს ბნელსა შინა ფარულად გულითა წრფელთა; მყის სისრა-უყო მათ, და არა შეიშინეს, ფსალმ. 63,5; ვარიანტებია: სისრა-უყვეს, Ქ; სისრა-უყონ, Ქ; მყის სისრა-მყოფი მტერთა და მჴეცთაჲ, ისტ. და აზმ. 56,30.

ამავე მნიშვნელობით იხმარება სრ-ოლ-ა, სრ-ევ-ა.

ი-ტყვ-ს — სი-ტყუ-ა-ჲ: ახალ ქართულში „სიტყვა“ არსებით სახელადღა გამოიყენება. ასეთი მნიშვნელობა ძველშიც აქვს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ზმნური გაგებაც აქვს შემორჩენილი.

რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, მ. 1,22D; ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, შუშ. 22,8; იწყო იონა ფრიად მიზეზობად და სიტყუად, ქრესტ. II,48,14; გამო-რაჲ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათა, ლ. 1,22DE და სხვა.

***ი-ღოდ-ს — სი-ღოდ-ა-ჲ** (= სიმღერა): ლიტერატურაში განხილულია ამ სიტყვის ფორმა და დადგენილია მნიშვნელობა. იქვე, არის დამოწმებული სათანადო ნიმუშებიც (მ. შანიძე, 1964). მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს.

აწ მოვიდენ ყოველნი[1] თჳსნი მისნი წმიდანი თითოეულად სიძისა მის საწევნელად და მიართუმიდეს[1] ყოველნი: აბრაჰამი — ჴბოსა, ... იოსებ — იფქლსა, მოსე — სანთელსა, ესაია — სიღოდასა, დავით — როკვასა, სინ. 230,31.

სპეციალურ ლიტერატურაში საწყისად მიჩნეულია სი-ძვ-ა ფორმაც და აღდგენილია პირიანი *ი-ძვ-ი-ს (ა. ჩიქობავა, 1942, 226). მაგალითები: პირველ ჯუარისა კაცნი ცოდვასა ქუეშე იყვნეს და სიძვასა, სინ. 234,4; უკეთურებაჲ სიძვისაჲ წარდევნა, სინ. 235,3; ასევე: ლიმ. 119,11; იქვე, 97,30; მ. 19,9 და სხვ.

3. ხა — ა:

რამდენიმე საწყისი **ხა — ა** აფიქსებს გვიჩვენებს მაწარმოებლად.

აღ-ი-არ-ებ-ს, აღ-უ-არ-ებ-ს — აღ-ხა-არ-ებ-ა-ჲ (= აღიარება): არწმუნა ყოველთა აღსაარებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, მოქც. 98,35Ⴑ;

[1] ან უნდა იყოს: მოვიდეს ყოველნი... და მიართუმიდეს, ან კიდევ: მოვიდენ ყოველნი... და მიართუმიდენ. უფრო — პირველი.

რაჲთა... ავაზაკისა მის აღსაარებაჲ ყოველსა ქუეყანასა განეფინოს, სინ. 93,3; ასევე: იქვე, 107,19; ლიმ. 87,24; ავაზაკი ცხოვნდა აღსაარებითა ცოდვათა თჳსთაჲთა, სწავლ. 296,17; ასევე: იქვე, 296,15; დავარდა იგი პირსა ზედა თჳსსა წინაშე მათ დათასა და იწყო აღსაარებად, ლიმ. 134,6; ასევე: ქრესტ. II,1,14.

ორი ა-ს შეხვედრის გამო ერთი იკარგება: მივილტოდით წინაშე წმიდასა პირსა მისსა აღსარებითა ცოდვათა ჩუენთაჲთა, სწავლ. 296,27; მოვედი აღთქუმისა მის აღსარებად თქუენდა, სინ. 171,4.

პრეფიქსი (**სა-**) აქაც იჩენს თავს მიმღეობაში:

აწ ესერა მოხუცებულთა მისი იგი აღსაარებული არა ჰრწამს, სინ. 145,24; ასევე: აღმსაარებელი (ა. შანიძე, 1953, § 567).[1] აცხოვნნა მარჯუენით აღმსაარებელნი და დასცნა მარცხენით უარისმყოფელნი, ჯავ. აღწ. 159,13.

ი-არ-ებ-ი-ს — სა-არ-ებ-ა-ჲ (=ტანჯვა): **არ** ძირი აქვს მეორე ზმნასაც: ი-არ-ებ-ი-ს = იტანჯება (ი. იმნაიშვილი, 1948-49, 770; ა. შანიძე, 1953 567); ვიარები ალსა მას შინა, ლ. 16,24C. ასევე: ლ. 16,25C. მისი საწყისი ისეთივეა, როგორიც აღიარებს, აღუარებს ზმნებისა, მხოლოდ ამათ საწყისს ყოველთვის აღ ზმნისწინით ვხვდებით მისი სპეციფიკური შინაარსის გამო, იარების ზმნის საწყისს კი ზმნისწინი არ დაერთვის: სა-არ-ებ-ა-ჲ; უზმნისწინოა მიმღეობაც: სა-არ-ებ-ულ-ი.

შეგვხვდა ერთი მაგალითი, სადაც დაპირისპირებულია ერთმანეთს საიქიო და სააქაო. მნიშვნელობა რომ კარგად გამოჩნდეს, კონტექსტს შედარებით სრულად მოვიყვანთ: აქა შენდობაჲ, ხოლო მუნ გამოძიებაჲ; ... აქა უკუმოგებაჲ კეთილთაჲ, ხოლო მუნ — სატანჯველისაჲ; აქა მოხუეჭაჲ, ხოლო მუნ საარებაჲ; აქა სიცილი, ხოლო მუნ ტირილი; აქა განცხრომაჲ, ხოლო მუნ ტანჯვაჲ, ისტ. ქრესტ. II, გვ. 215,33.[2]

მნიშვნელობა ნათელია: საარება ტანჯვის სინონიმია. მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი ამისთჳს, რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარებათა, ხანძთ. 256,14; საწყისის **სა** პრეფიქსი მიმღეობაშიც გვხვდება: იხილნა იგინი საარებულნი ღელვისა მისგან ნავისა, მრ. 6,48C; მადლისა მისგან შვილობისა საარებული მიხილა მოსე უდაბნოსა გზასა, ჯავ. სინ. აღწ. 157,2; ასევე: ბოლნ. 68,5 ქვ.; იქვე, 70,11.

ა-ლმ-ობ-ს — სა-ლმ-ობ-ა-ჲ (=ტკივილი): კუალად უფროჲსღა განძჯნდა სალმობაჲ იგი ბერისაჲ, ლიმ. 2,35; რაოდენთა აქუნდა სალმობაჲ და... განიკურნებოდეს, მრ. 3,10DE; აღადგინებს და განარისხებს სალმობასა სულთასა, სინ. 105,25; ესე ყოველი დასაბამი სალმობათაჲ არს, მ. 24,8.

გვხვდება უპრეფიქსო ვარიანტიც: აღიძრა მყის ლმობად და განაგდო თავისა თჳსისაგან სამოსელი მწუხარებისაჲ, ექ.დღ. 65,3.

სა-ლმ-ობ-ა ფორმისთვის ე-ლმ-ი-ს ვერ იქნება ამოსავალი (ა. ჩიქობავა, 1942, 228). ასეთად უნდა ვივარაუდოთ ა-ლმ-ობ-ს (ი. ქავთარაძე, 1954, 302).

---

[1] ა. შანიძეს ფუძედ **ჰარ** მიაჩნია.

[2] მაგალითი მოყვანილია ქრესტომათიას დართულ გამოკვლევაში. ის ამოღებულია ხელნაწერიდან.

ა-ხარ-ებ-ს — სა-ხარ-ებ-ა-ჲ: იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა, მ. 24,14; ასევე: მ. 26,13; მრ. 16,5DE; მოჰვლიდა იესუ ყოველსა მას გალილეასა... და ახარებდა სახარებასა სასუფეველისასა, მ. 4,23DE; ასევე: მ. 9,35; რომელმან წარწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს, მან განარინოს იგი, მრ. 8,35C.

აქაც ჩვეულებრივია უპრეფიქსო ფორმები:

მოვალს ხარებად, რომელნი მოელიან მას, ქრესტ. II,8,34; წარვიდა მთეულთა ხარებად პირუტყუთ-სახეთა მათ კაცთა და შემუსრვად კერპთა მათ, მოქც. 152,8; მე ვარ გაბრიელ... და მოვივლინე სიტყუად შენდა ხარებად ამას, ლ. 1,19.

აღნიშნული ტიპის წარმოების მიმოხილვის დროს გზადაგზა ყოველთვის მივუთითებდით, რომ საწყისის პრეფიქსი ხშირად გადასულია მიმღეობაში და პირიან ფორმებშიც კი: ს-ლვ-ა-ჲ — აღ-ს-ლ-ულ-ი, ს-რბ-ა-ჲ — წინა-მ-ს-რბოლ-ი, ს-ყიდ-ა-ჲ — მ-ს-ყიდ-ელ-ი, სა-ს-ყიდ-ელ-ი, გან-ი-ს-ყიდ-ებ-ი-ს და მისთ. გავრცელებულია პრეფიქსიანის გვერდით ამ თავსართის ჩამოცილების გზით მიღებული ფორმები: სი-კიცხ-ევ-ა-ჲ — კიცხ-ევ-ა-ჲ, სი-ვლტოლ-ა-ჲ — ვლტოლ-ა-ჲ, სი-მღერ-ა-ჲ — მღერ-ა-ჲ და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება უკვე ძველ ქართულში დრომოჭმულია (ა. ჩიქობავა, 1942, 230). განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ფორმებზე, რომელთაც სუფიქსად ა აქვთ. ეს ა სრულიად საკმარისი ჩანს ამ დროისათვის საწყისის საწარმოებლად და პრეფიქსი უმტკივნეულოდ შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს.

4. სი — ილ:

ზმნათა ერთი ჯგუფი სუფიქსებად **ილ**-სა და **ულ**-ს გვიჩვენებს.

ბორგ-ი-ს — სი-ბორგ-ილ-ი (სიგიჟე, სიცოფე): ყოველთა... დაკჳრვება ჩემ თანა: იოვანჱსი განცხადებაჲ და ჰეროდჱსი დამცირებაჲ და უღმრთოთა დედათა მჴეცებრ სიბორგილი, სინ. 212,29; ხოლო მაქსიმიანოს... განკრძალულ იყო სიბორგილსა ზედა, ქრესტ. II,50,14; ჰრცხუენოდის უგუნურად სიბორგილისა მათისათჳს, რომელთა ქრისტე უვარ-ყვეს, აბო, 76,4; ეშმაკ არს შორის ორთა მათ ძუალთა ჴრელთა, აღმაგზებელი ამის სიბორგილისაჲ, ექ. დღ. 122,3.

მიუთითებენ სიბორგილე ფორმასაც (ს.ს. ორბელიანი, 1948; ა. ჩიქობავა, 1942, 228; ი. იმნაიშვილი, 1953, 502). ჩვენ ასეთი რამ არ შეგვხვედრია. ნათესაობითი ბრუნვის მიხედვით, რა თქმა უნდა, ვერ გავარჩევთ, რასთან გვაქვს საქმე: აქ ორივე — სიბორგილი-ც და სიბორგილე-ც მოგვცემს სიბორგილ-ისა ფორმას. ისე კი დაბოლოება მოულოდნელი არ უნდა იყოს; ამ ტიპის საწყისები არსებით სახელად არის გაგებული ხშირად და შინაარსით სწორედ აბსტრაქტულ სახელებს უდგას გვერდით.

კუდებ-ი-ს — სი-კუდ-ილ-ი: მოახლებულ არს სიკუდილი ჩემი, ლიმ. 4,10; მაშინ ყოველთა დასაჯეს იგი თანა-მდებად სიკუდილისა, მრ. 14,64; სიკუდილად განჩინებული ჴელ-პყრობით მოჰყვანდეს წინაშე ერთა ურიცხუთა, გობრ. 180,11; ნუ გჳტევებ ჩუენ სიკუდიდ თჳნიერ ზიარებისა, ლიმ. 95,33.

იშვიათად შეიძლება **მო** ზმნისწინი დაერთოს:

მაშინ ბრძანა მათ ყოველთაჲ შიშუელთაჲ აერსა ქუეშე შორის ქალაქსა ნეფხვითა მ ო ს ი კ უ დ ი ლ ი, სინ. 118,40; ჴელმწიფებაჲ აქუს განცხოველებად, ვითარცა-იგი მ ო ს ი კ უ დ ი დ, კოსტ. 168,30; ნუ დამიტევებთ მ ო ს ი კ უ დ ი დ ჰურიაებასა შინა, ლიმ. 69,16; უფალო, მოვედ პირველ მ ო ს ი კ უ დ ი დ მ დ ე ყრმისა მის, ი. 4,49.

გარდამავალს თავისი საწყისი აქვს: მო-კუდინ-ებ-ა-ჲ.

უკუეთუ არა მოიჴსენოს კაცმან სიკუდილი, ვერ შემძლებელ არს მ ო კ უ დ ი ნ ებ ად ყოველთა კაცთაგან, სწავლ. 317,26; სიკუდილმან ვერ შეუძლის მას მ ო კ უ დ ი ნ ებ ად, ქრესტ. II,15,32. მო-ა-კუდ-ენ-ს — მო-ა-კუდ-ინ-ა ძველში ებ-ს დაირთავს: მო-ა-კუდ-ინ-ებ-ს, რომელსაც საწყისად მო-კუდ-ინ-ებ-ა-ჲ აქვს.

ჰ-შ-ი-ი-ს — სი-შ-ილ-ი (→ ში-შ-ილ-ი): დამყნის... ს ი მ შ ი ლ ს ა შინა ნაყროვანებაჲ, ჯავ. აღწ. 234,1; მინდა განძღებად შ ი მ შ ი ლ ი მისი, ზედ. 192,34; მივიდენ მერმესა მას საუკუნესა შ ი მ შ ი ლ ს ა და წუურილსა, სწავლ. 48,22.

ორძ-ი-ს — სი-ორძ-ილ-ი: საშუალი გვარის ფორმები ამ ზმნისა იშვიათია (ორძინ, ეკ. დღ. 226,32). მოქმედებითი (აღაორძინებს) და ვნებითი (აღორძნდების) უფრო მეტად გვხვდება. ო რ ძ ი ს ზმნის საწყისია ს ი ო რ ძ ი ლ ი, მოქმედებითისა (და ვნებითისა) კი — ა ღ ო რ ძ ი ნ ებ ა ჲ, ეკ. დღ. 69,2; იქვე, 97,17. ამ ზმნას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: 1) ზრდა, 2) მოძრაობა, რომლებიც შინაარსით ახლოა ერთმანეთთან.

1. **სიორძილი** (= ზრდა): საზრდელისა მისგან არნ ფურცელი და მწუერვალნი და რტონი, და მისცის ს ი ო რ ძ ი ლ ი ნაყოფსა, ეკ. დღ. 74,5; ცხორებამან ჴორციელებრმან პირველად უსწრო ს ი ო რ ძ ი ლ ს ა შინა სულთა წყლისათასა, იქვე, 108,4; დასაბამად ს ი ო რ ძ ი ლ ი ს ა არნ აღმოცენებაჲ, იქვე, 63,11; რაჟამს განდიდნის, იქმნის იგი თივა განსრულებითა ს ი ო რ ძ ი ლ ი ს ა ჲ თ ა, იქვე, 63,13.

ამავე მნიშვნელობით გვხვდება ა ღ ზ რ დ ა-ც: პირველად გამოღებაჲ არს და მერმე — მწუანვილი, და მერმე — ა ღ ზ რ დ ა ჲ თივისაჲ, ეკ. დღ. 64,13.

2. **სიორძილი** (= მოძრაობა): ისწაოს მათგან სიმრავლე წჳმათაჲ... და ს ი ო რ ძ ი ლ ი ქართაჲ ფიცხელთაჲ, ეკ. დღ. 82,11 (= აღძრვაჲ) (ი. აბულაძე, 1964); ხოლო ზღუაჲ იგი დასავალისაჲ ს ი ო რ ძ ი ლ ს ა წყალთა მისთასა ოდესმე აღემატის და გარდაეცემინ, იქვე, 93,29; ესე განყოფაჲ ჟამისაჲ შეუდგს ს ი ო რ ძ ი ლ ს ა მზისასა, იქვე, 89,24 (=მზის მოძრაობა); ასევე: იქვე, 83,21; იქვე, 88,20; რომელნი-იგი სცნობენ ს ი ო რ ძ ი ლ ს ა ჰაერისასა აღმოსლვითა ვარსკულავთაჲთა, იქვე, 103,28 (=„აღძრვასა ჰაერისასა“) (ი. აბულაძე, 1964); კუალად იქცის წყალი იგი ს ი ო რ ძ ი ლ ი ს ა ე ბ რ თჳსისა, იქვე, 93,28 (= წყლის მიმოქცევა) (იქვე).

რბ-ი-ს — სი-რბ-ილ-ი: ამ ძირთან დაკავშირებული რამდენიმე საწყისი გვხვდება: რბ-ენ-ა, რბ-ევ-ა, ს-რბ-ა, რბ-ოლ-ა, სი-რბ-ილ-ი (ლ. კიკნაძე, 1946, 169). ამათგან პირველი ორი გარდამავალი ზმნისაა (ა-რბ-ენ-ს, ა-რბ-ევ-ს), დანარჩენები — გარდაუვალისა. რ ბ ი ს ფორმისაგან უნდა მოდიოდეს სრბა და სირბილი, ხოლო რბ-ოლ-ა ფორმისათვის სხვა ამოსავალი არის საძიებელი.

გულისხმა-ყავ ქართაჲ იგი სირბილი, სინ. 133,19; სირბილით წარვიდეს იგინი მწრაფლ, ქრესტ. II,81,26.

სი-რცხუ-ილ-ი: ჰ-რცხუ-ენ-ი-ს ვერ იქნება სირცხჯლი-ს შესაბამისი პირიანი ფორმა, სხვა კი ძველ ტექსტებში თითქოს არა ჩანს. ამ მხრივ საინტერესოა უ-რცხუ-ი (ურცხჯ), რომელიც საბასთან გვაქვს და ახ. ქართულშიაც იხმარება.

შეიმოსონ სირცხჯლი და კდემაჲ, ქრესტ. II,57,16; არა ჯერ-არს შენდა სირცხჯლი ამას ზედა, ლიმ. 58,26; რომელი სირცხჯლი და მწუხარებაჲ დაეცეს მათ ზედა, სწავლ. 16,14.

სი-ყმ-ილ-ი (= შიმშილი): შესაბამისი აწმყოს ფორმა არც ამისთჳს ჩანს. გარდამავალია ა-ყმობს, გარდაუვალი — და-ყმ-ებ-ი-ს (← და-ყმდ-ებ-ი-ს). ამათ დაყმედა აქვთ საწყისად. ლიტერატურაში აღადგენენ *ი-ყმ-ი-ს ფორმას, რომლისაგანაც უნდა იყოს ნაწარმოები სიყმილი (ა. ჩიქობავა, 1942, 228). ცნობილია მიმღეობა მო-მ-ყმ-არ-ი, რომელიც საბასთან გვხვდება (= „მეტად მომშეულიˮ).

ხოლო ხუთ წელღა სიყმილი ყოფად არს, დაბ. 45,11; იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა ზედა, ლ. 4,25; ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი, შუშ. 21,15; იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილდადგილდ, მ. 24,7; ასევე: რუთ. 1,1.

სი-შთვ-ილ-ი (→ ში-შთვ-ილ-ი) = დახრჩობა: აწმყოს ფორმა ცნობილი არაა, აღადგენენ *ი-შდვ-ი-ს ფორმას (ა. ჩიქობავა, 1942, 228). **სი** აფიქსი იშვიათად არის დაცული (იქვე, 228). უმეტესად ასიმილირებული ფორმები გვხვდება (სი-შთვ-ილ-ი → ში-შთვ-ილ-ი). საბას ეს უკანასკნელი აქვს განმარტებული: შიშთვილი არის სარჩობელიო. იმოწმებს მ. 27,5-ს.

განმსყიდელსა მას განსყიდაჲ იგი შიშთვილ ექმნა, სინ. 82,5; შიშთვილ-იბა და მოკუდა, მ. 27,5DE; ვარიანტი: შიშუდილ-იბა, C.

ცბ-ი-ს — სი-ცბ-ილ-ი: ნუ იყოფინ ესე ჩუენდა, რაჲთამცა მოვაქციეთ სიცბილსა მას და სილირწესა, ლიმ. 117,27; რომელნი ეროდეს სიცბილითა მოწყდეს, სინ. 32,6; მსგავს ხარ შენ ხატითა კაცსა და დიდებითა მეფესა, ხოლო სახითა და სიცბილითა მელსა, რომელი ცბინ კუდითა და ძმაცავნ, ჯავ., სინ. აღწ. 181,19; ყოველნი სიცბილნი მათნი დაუტევნეს, სწავლ. 42,35.

სიცბილ-ს ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს:

1. სიგიჟე, სიცოფე; 2. ცბიერება. ორი მნიშვნელობით იხმარება პირიანი ზმნაც: 1. ეშმაკეულ არს და ცბის, ი. 10,28; 2. მსგავს ხარ შენ ხატითა კაცსა... ხოლო სახითა და სიცბილითა მელსა, რომელი ცბინ კუდითა და ძმაცავნ, ჯავ., სინ. აღწ. 181,19. აქ ცბინ სინონიმია ძმაცავნ ფორმისა, რომელიც ეშმაკობას, ვერაგობას ნიშნავს. საბას ლექსიკონში მხოლოდ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა არის მოცემული: ცბა — მოცთუნება, ცბის — მაცთუნებს, ცბოლა — მაცთენელობა, სიცბილი — ცბის ქონება. ახალ ქართულში სიცბილი არცერთი მნიშვნელობით არა გვაქვს, არა გვაქვს არც ცბის, მაგრამ შემოგვრჩა ცბიერი და ცბიერება.

ი-ცინ-ი-ს — სი-ცინ-ილ-ი → სიცილი: ხოლო შენ ესე დაუტევე და სიცილსა შინა ხარ, ქრესტ. II, 12,40; ასევე: ჯავ. აღწ. 230,17.

ს-ცონ-ი-ს — სი-ცონ-ილ-ი (= დაზარება, სიზარმაცე): არა გჯიერს სიცონილი ხილვისათჳს, გინა სმენისათჳს, სიტყუათა სულისა წმიდისათა, ექ. დღ. 53,23; მოაწიის კაცსა ზედა სიცონილი და მოწყინებაჲ, სწავლ. 19,32; განსუენებაჲ პორცთაჲ ნიადაგი[1] აღსძრავს სიცონილსა, კაც. აგებ. 169,10; თავი წარწყმედისაჲ არს ძლევაჲ იგი სიცონილისაჲ, ქრესტ. II,7,23.

ს-ძულ-ს — სი-ძულ-ილ-ი: ყოველი სოფელი განწმიდა და საცთური და სიძულილი წარდევნა, სინ. 146,32; მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ და სიძულილი — სიყუარულისა წილ ჩემისა, ქრესტ. II,57,14; სიძულილი მოყუსისაჲ სიძულილი არს თავისა თჳსისაჲ, ზედ. 216,4Ⴑ; პოვნილ იყო იგი... სიძულილსა კაცთასა, ლიმ. 72,20.

5. სი — ულ:

რამდენიმე საწყისში სუფიქსად **ულ** გვაქვს: ასეთი საწყისი, ჩვეულებრივ, გარდაუვალ ზმნებს ახასიათებს.

სი-არ-ულ-ი (= შფოთვა, მოუსვენრობა): არ ძირის შესახებ ზემოთ გვჭონდა საუბარი აღსაარება და საარება ფორმებთან დაკავშირებით (გვ. 207-208). განსხვავებული მნიშვნელობისა ჩანს სი-არ-ულ-ი: ვიდრე არა დამდაბლდეს გული, არა დასცხრების სიარულისაგან, სწავლ. 297,27. კონტექსტის მიხედვით სიარული უნდა ნიშნავდეს შფოთვას, მოუსვენრობას. იქვე, ზემოთ ნათქვამია: არავინ უღონოჲ და მთხოველი ჰპოვო მზუაობარი, არამედ მდაბალი და გულით შემუსრვილი, 297,25.

ახალ ქართულში სიარული ვიარები (= დავდივარ) ზმნის საწყისია. ამ მნიშვნელობით გვაქვს ის „ვეფხისტყაოსანში“: მისგან ფიცხლად სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა, 672,4; ასევე: იქვე, 650,1. ეს მნიშვნელობა მეორეული უნდა იყოს და შესაძლოა ზემოთ აღნიშნულისაგან მომდინარეობდეს.

ი-ნან-ი-ს — სი-ნან-ულ-ი: ჯერ-არს და უღირს ყოველსა კაცსა სინანული ცოდვილსა და მართალსა, სწავლ. 298,33; ნუმცა ვალოდინებთ სინანულსა ჩუენსა ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა, იქვე, 296,26; რომელნი განერნეს სინანულითა, იქვე, 293,26; განვიღჳძოთ სინანულად, იქვე, 296,30.

ი-ქად-ი-ს — სი-ქად-ულ-ი (სიამაყე, ქება თავისი თავისა): რომელი... სიქადულ და სიხარულ პორცთა მექმნების მე, აბო 47,14; სიქადული ძალისა მათისაჲ შენ ხარ, ფსალმ. 88,18; ჩუენი სიქადული იყავნ ჯუარითა ქრისტჱსითა, სინ. 236,16; ასევე: ქრესტ. II,19,10; იქვე, 15,20; ჯავ. აღწ. 192,11.

უ-უარ-ს — სი-უარ-ულ-ი: განმრავლებითა უშჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ, მ. 24,12; ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა, აბო, 61,21.

გარდამავალს თავისი საწყისი აქვს: შე-ი-ყუარ-ებ-ს — შე-ყუარ-ებ-ა-ჲ: ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ ეგრე შეყუარებად თქუენდა, ქრესტ. II,37,28.

უ-ხარ-ი-ს — სი-ხარ-ულ-ი: იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება, ლ. 1,14; სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს, შუშ. 13,1 ქვ.-14,1; შეეყედ

[1] ასეა.

სიხარულსა უფლისა შენისასა, მ. 25,21; განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, მ. 2,10.

როგორც ვხედავთ, სულ ხუთიოდე ზმნას აქვს **ულ** სუფიქსიანი საწყისი, ამათ დაემატება სი-ბრალ-ულ-ი. ამ საწყისებთან დაკავშირებით მოგვგონდება **ულ** სუფიქსიანი მიმღეობა ვნებითი გვარისა: დამალ-ულ-ი, მოპარ-ულ-ი..., სადაც **ულ** იმ ზმნებს მოუდის, რომელთა თემის ნიშანს ბაგისმიერი ბგერა ახლავს; დამალ-ვ-ა — დამალ-ულ-ი (ა. შანიძე, 1953, § 591). ასეთი ზმნები საკმაო რაოდენობით გვაქვს. სადაც ბაგისმიერი არ არის, მაგრამ **ულ** მაინც არის წარმოდგენილი, საფიქრებელია, პირველთა ანალოგია გვქონდეს. **ულ** სუფიქსიან საწყისში ფუძის ბოლოს ბაგისმიერი ბგერა არ გვხვდება. ხომ არ არის ეს ფორმები გაჩენილი აღნიშნული ტიპის მიმღეობის ანალოგიით? საყურადღებოა ის გარემოება, რომ **ულ** თავს იჩენს ამ ზმნათა მიმღეობაშიც: სა-ქად-ულ-ი, სა-ხარ-ულ-ი (ა. შანიძე, 1953, 600), მოყვარ-ულ-ი. სახარული „ვეფხისტყაოსანში“ სამჯერ გვხვდება და სამივეჯერ ზედსართაული მნიშვნელობა აქვს: ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული, 729,2. განსხვავებული შინაარსისაა საქადული: და ჩუენ, პურის-მთხოველნი, საქადულითა სავსე ვართ, სწავლ. 70,6.

თავსართ-ბოლოსართიანი წარმოების დროს, როგორც აღინიშნა, ბოლოსართად იგივე აფიქსები მეორდება, რაც მხოლოდ სუფიქსიან ფორმებში გვაქვს (ა, **ილ**). **ულ** ამ მხრივ ცალკე დგას: ის დამოუკიდებელ მაწარმოებლად საწყისში არ გვევლინება. ამიტომ საეჭვოა, რომ ის თავდაპირველი იყოს.

ისე, როგორც **ილ** სუფიქსიან საწყისებში, **ი — ილ** და **ი — ულ** აფიქსებიან ფორმებშიც სუფიქსად მიიჩნიათ მხოლოდ **ლ**, ხმოვნები კი (ი, უ) ფუძის კუთვნილებაად.[1] ამის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც იგივე ვითარებაა, რაც **ილ** სუფიქსიანებში. იმავე ფუძეებისაგან, საწყისების გარდა, მიმღეობებიც იწარმოება, სადაც არასოდეს ჩანს ფუძის **ი** ბოლოსართი: დუმ-ს, დუმ-ი-ს — დუმ-ილ-ი, მაგრამ: მდუმ-არე, ექ. დღ. 112,14; ს-წად-ი-ს — წად-ილ-ი, მაგრამ: სა-წად-ელ-ი, ექ. დღ. 106,17; წად-იერ-ში **ი** არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, მას აწმყოს სუფიქსად ვერ ჩავთვლით. ტირ-ი-ს — ტირ-ილ-ი და: მ-ტირ-ალ-ი, ჯავ., სინ. აღწ. 156,9, სა-ტირ-ელ-ი, სწავლ. 79,9; ტყუვ-ი-ს — ტყუვ-ილ-ი და: მ-ტყუვ-არ-ი, იქვე, 156,15; ასევე: სი-ყმ-ილ-ი — მო-მ-ყმ-არ-ი, სი—შთვ-ილ-ი — მ-შთვ-არ-ი...

სადაც **ი** აწმყოში არ ჩანს, იქ, მით უმეტეს, არც მიმღეობაშია მოსალოდნელი: დუღს —დუღ-ილ-ი, მ-დუღ-არ-ი, ჯავ., სინ. აღწ. 168,25; წუხ-ს — წუხ-ილ-ი, მ-წუხ-არე, სწავლ. 147,12.

როგორც წად-იერ, სურ-ვ-იელ ფორმებში დაიკარგა ორი მოსალოდნელი **ი**-საგან ერთი, როგორც მიმღეობის ფორმებში გაქრა უკვალოდ იგივე **ი**, ასევე უნდა მომხდარიყო საწყისებშიც.

ილ სუფიქსი მიმღეობაშიც გვაქვს. ის იმავე დანიშნულების აფიქსად არის მიჩნეული, როგორც საწყისისა და სახელთა **ილ**. საწყისის **ილ** სუფიქსის გამო მასაც რთულ აფიქსად მიიჩნევენ (ა. ჩიქობავა, 1942, 65).

---

[1] ლიტერატურა იხილეთ ზემოთ, გვ. 203.

როგორც აღვნიშნეთ, საეჭვოა, რომ საწყისის **ილ** რთული იყოს და იშლებოდეს **ი** და **ლ**-დ, მიმღეობაში კი უფრო ნაკლებად უნდა იყოს ეს შესაძლებელი. **ილ** სუფიქსი მიმღეობაში ნაირ-ნაირ ფუძეებს მოუდის, მათგან **ი** ფუძის ბოლოს მცირე ჯგუფს აქვს. **ილ**-იანი მიმღეობა კი უამრავია: და-წერ-ს — და-წერ-ილ-ი, და-ბან-ს — და-ბან-ილ-ი, გრეხ-ს — და-გრეხ-ილ-ი, აპობ-ს — გა-პობ-ილ-ი და მისთ. მათს ფუძეში **ი**-ს აღდგენისათვის საფუძველი არ ჩანს.

პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებაში, როგორც ვნახეთ, რამდენიმე პრეფიქსი მონაწილეობს: **ხ, სი, სა**, რომლებშიაც თანხმოვანი მეორდება. ძველი ქართულისთვის ისინი სუფიქსებთან ერთად საწყისის მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უკვე ძველ ქართულში საწყისის წარმოების მთელი სიმძიმე სუფიქსზეა გადატანილი.

დასკვნები:

1. საწყისის საწარმოებლად ძველ ქართულში გამოყენებულია რამდენიმე აფიქსი: **ა, ილ, ს — ა, სი — ა, სა — ა, სი —ილ, სი — ულ**.

მაშასადამე, გვაქვს როგორც მხოლოდ სუფიქსიანი, ისე პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება.

2. პრეფიქს-სუფიქსიან ფორმებში სუფიქსი იგივეა, რაც მხოლოდ სუფიქსიან ფორმებში.

3. საწყისის აფიქსთაგან უკვე ძველ ქართულში ყველაზე გავრცელებულია **ა** ბოლოსართი, რომელიც ნაირ-ნაირ ზმნებს მოუდის, როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს, პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებას, აგრეთვე **ილ** ბოლოსართიანს ძირითადად გარდაუვალი ზმნები გვიჩვენებს.

4. პრეფიქსთა ფუნქცია, როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაბნელებულია, რასაც გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ საწყისის პრეფიქსი სხვა ფორმებშიც არის გადასული (მიმღეობაში, პირიან ზმნაში), ან კიდევ დაკარგულია და მხოლოდ სუფიქსი გამხდარა საკმარისი.

XI. საწყისის ზმნური კატეგორიები ძველ ქართულში

საწყისი ზმნის უუღლებელი ფორმაა, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მქონეა უღლების კატეგორიათაგან განყენებულად (პირისა, დროისა, კილოსი...) — ა. შანიძე. საწყისი პირიანი ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვაა, ნაზმნარი სახელია, ამიტომ მისი ფუძე და ლექსიკური შინაარსი საერთოა ზმნასთან. ზმნისაგან მას გადმოჰყვა ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის უნარიც, როგორიცაა გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, გვარი, აგრეთვე ზოგი სინტაქსური ფუნქცია. საწყისი მჭიდრო კავშირშია პირიან ზმნასთან. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველი ქართულის შესახებ, სადაც საწყისის ფორმები, გარკვეულ შემთხვევებში, ზმნური მართვის ძალას იჩენს: ვითარებითში დასმული საწყისი შეიწყობს პირდაპირ ობიექტს. მაგ., უბრძანა დადებად ჯაჭჯ ქედსა მისსა, შუშ., 20,10. საწყისის ასეთი ფორმები სპეციალურ ლიტერატურაში ცალკე გამოყვეს და ინფინიტივი ან მასდარი-ინფინიტივი უწოდეს (ა. ჩიქობავა, 1942, 217; ა. მარტიროსოვი, 1955, 45-60; დ. ჩხუბიანიშვილი, 1965, 200-229). ოღონდ აღნიშნავენ, რომ ეს არის თავისებური ინფინიტივი.

როგორც აღინიშნა, საწყისი ზმნისაგან იწარმოება, ამის გამო ის შეიძლება გამოხატავდეს მოქმედებას ან მდგომარეობას, როგორც შესაბამისი პირიანი ზმნა. საწყისის შესახებ ა. შანიძე წერს: „საწყისი იბრუნვის, წინადადებაში გამოყენებულია სუბიექტად ან ობიექტად, მაშასადამე, შეიძლება ვინმემ დაასკვნას, მასდარი სახელიაო. მაგრამ ეგრე მარტივი როდია საქმე; საწყისს ახლავს მთელი რიგი მორფოლოგიურისა და სინტაქსური ნიშნებისა, რომელთა მიხედვით ის ზმნის სისტემიდან გამოსულად და სახელებში გადარიცხულად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება... და თუ სადმე აქვს მას ადგილი, უპირველესად ზმნებში“ (ა. შანიძე, 1973, 013).

საწყისი, როგორც ითქვა, არ იუღლება, ამიტომ ზმნისა მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წარმოქმნის კატეგორიები, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ ნაწილი. საწყისის წარმოების დროს ზმნის პირიან ფორმას ჩამოსცილდება პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები, აგრეთვე ქცევის, სიტუაციისა და, უმეტეს წილად, გვარის საწარმოებელი აფიქსები.

საწყისის პირიან ზმნასთან სიახლოვეს ყველაზე მეტად გვიჩვენებს ზმნისწინი და მასთან დაკავშირებული გრამატიკული კატეგორიების გამოხატვის უნარი. იგივე შეიძლება ითქვას ზმნის თემის მაწარმოებელი აფიქსების — თემის ნიშნების შესახებ, რომლებიც საწყისს (და მიმღეობასაც) აშორებს სახელისაგან და აკავშირებს ზმნასთან. არსებობს აზრი, რომ, რაც დრო გადის, საწყისი თანდათან შორდება თავის წარმომშობ პირიანი ზმნის ფორმებს, იძენს სახელის თვისებებს და უერთდება სახელს. ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასეა: ზოგი ზმნური თვისება საწყისმა უკვე დაკარგა (მაგ., ვერ შეიწყობს პირდაპირ ობიექტს), მაგრამ მიუხედავად ამისა, საწყისის პირიან ფორმებთან კავშირი არ შესუსტებულა. საწყისი იცვლება პირიან ზმნებთან ერთად და იძენს ზოგი ზმნური კატეგორიის გამოხატვის უნარს. პირიან ზმნებში მომხდარი ცვლილებები აისახება ნაზმნარ სახელებშიც. მაგალითად,

საწყისს ძველი სისტემის მიხედვით არ შეეძლო ასპექტის წარმოება, მაგრამ მას შემდეგ, რაც სრული ასპექტის შინაარსის გადმოცემა ზმნისწინს დაეკისრა, ეს კატეგორია გაუჩნდა სახელზმნასაც. იგივე შეიძლება ითქვას კონტაქტის შესახებ. შუალობითი კონტაქტის ფორმები ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. ახალში შუალობითი კონტაქტის წარმოება ჩვეულებრივი გახდა პირიან ზმნებშიც და უპიროშიც (დათესვა — დათესვინება, გადახდა — გადახდევინება...).

1. გეზი და ორიენტაცია

როგორც ცნობილია, ზმნისწინს ქართულში რამდენიმე ფუნქცია აქვს: 1) გამოხატავს გეზსა და 2) ორიენტაციას; 3) აწარმოებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს და — 4) ასპექტს. პირველი სამი ფუნქცია ყველაზე ძველი და დამახასიათებელია როგორც პირიანი ზმნის, ისე უპიროსთვის. ამ მხრივ საწყისი არაფრით ჩამოუვარდება პირიან ზმნებს. ამ ზმნური კატეგორიების გადმოცემა ჩვეულებრივ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ლექსიკურ ერთეულს მოძრაობის, სივრცეში გადაადგილების სემანტიკა აქვს. ასეთ შემთხვევაში ის უაღრესად მდიდარია ფორმებით: ერთსა და იმავე ზმნურ ფუძეს ყველა ზმნისწინი შეიძლება დაერთოს. მაგალითად, თუ ავიღებთ ვალ ფუძეს, მიუმართავი გეზისაა უზმნისწინო ფორმა — *ვლა, უფრო ზუსტად: სლვა; მიმართული (სხვადასხვა პუნქტისაკენ გეზის მქონე) ფორმებია: აღსლვაჲ (მთ. 16,21; სინ. მრ. 166,24); განსლვაჲ (ლ. 11,14; საქმე, 16,18); გარდასლვაჲ (სწავლ. 232,4; 299,9); დასლვაჲ (ლ. 4,40; გამ. 22,26); მისლვაჲ (მთ. 8,21; საკ. წიგ. II,115,38); შესლვაჲ (მრ. 10,24; მთ. 14,22); შთასლვაჲ (ეს. 30,2; დაბ. 46,3); წარსლვაჲ (ი. 6,67; საქმე, 16,39); თანა-წარსლვაჲ (ი. 4,4C; მრ. 6,48); წიაღსლვაჲ (მთ. 8,18DE) და სხვა.

ყველა ეს ფორმა გეზის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისაა, მოქმედება სხვადასხვა მხარეს არის მიმართული. საწყისი მრავალფეროვნებით პირიან ზმნას უდგას გვერდით.

როგორც ითქვა, ზმნისწინი აწარმოებს ორიენტაციასაც, რომელიც ორი სახისაა: საიქეთო და სააქეთო, ანუ მაშორებელი და მაახლოებელი. თუ მოქმედება მიმართულია მოუბრის, ანუ პირველი პირისაკენ, ორიენტაცია სააქეთოა (მაახლოებელია) და მას აწარმოებს მარტივი **მო-** ზმნისწინი ან რთული ზმნისწინები, რომლებშიც **მო-** შედის. საიქეთოა ორიენტაცია, რომელიც მიმართულია იმ პუნქტისაკენ, სადაც მოუბარი არ იმყოფება. საიქეთო ორიენტაციას გამოხატავს ყველა მარტივი ზმნისწინი **მო-**ს გარდა (ა. შანიძე).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სააქეთო (მაახლოებელი) ორიენტაციის გამომხატველია მხოლოდ და მხოლოდ **მო-** ზმნისწინი (დამოუკიდებლად ხმარებული, თუ მარტივ ზმნისწინებთან კომბინირებული), საიქეთო (მაშორებელი) ორიენტაციისა კი — **მი-** ზმნისწინი და მარტივ ზმნისწინთა შემცველ ფორმებში **მო-**ს უქონლობა. თვით მარტივ ზმნისწინებს (**მი-** და **მო-** ზმნისწინთა გარდა) ორიენტაციის გამოხატვასთან არაფერი აქვთ საერთო“ (ა. ონიანი, 2001, 102).

ზემოთ მოყვანილი „ვალ“ ზმნის საწყისის ზმნისწინიანი ფორმები — ყველა საიქეთო ორიენტაციისაა. სააქეთოა ამავე საწყისის შემდეგი ფორმები: აღმოსლვაჲ (მსაჯ. 121,28; 19,25); გამოსლვაჲ (ლიმ. 124,29; სწავლ. 58,27); გარდამოსლვაჲ (აბო, 117,20; მრ. 9,9C); მოსლვაჲ (მრ. 10,14; საქმე, 9,38); მიმოსლვაჲ (ჯავ. აღწ. 70,2; სწავლ. 174,11); შემოსლვაჲ (სინ. მრ. 135,12; ლიმ. 133,15); წარმოსლვაჲ (ლ. 19,4); წიაღმოსლვაჲ (იქვე, C).

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, სხვა ზმნათა საწყისების მოყვანაც, მაგრამ ეს ახალს არაფერს მოგვცემდა.

შენიშვნა 1. თუ ზმნის პირიან თუ უპირო ფორმას ზმნისწინი არ დაერთვის, აღნიშნული კატეგორიები არ ექნება.

შენიშვნა 2. არის მოძრაობის აღმნიშვნელი საშუალი გვარის ზმნების ერთი ჯგუფი, რომელთაც ძირითადად სამი ზმნისწინი დაერთვის: **მი-, მო-, და-**. მაგ., ცურავს, მიცურავს, მოცურავს, დაცურავს; გორავს, მიგორავს, მოგორავს, დაგორავს... საწყისი მხოლოდ უზმნისწინო ფორმას აქვს (ცურვა, გორვა...), ზმნისწინიანებს — არა; ამიტომ სახელზმნას ამ შემთხვევაში არ შეუძლია გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა.

2. ასპექტი

ასპექტის გამოხატვის სისტემა ძველად სრულიად სხვაგვარი იყო. ასპექტი უღლების კატეგორია იყო და I და II სერიის მიხედვით ხდებოდა ფორმათა გარჩევა. ზმნისწინს ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. I სერიის ფორმები — ზმნისწინიანიც და უზმნისწინოც — ყველა უსრული ასპექტისა იყო, II სერიის ფორმები — სრული ასპექტისა, ზმნისწინის ქონების (ან უქონლობის) მიუხედავად (ა. შანიძე, 1973, 266-267). რადგანაც საწყისი პირიანი ზმნის აწმყოს თემისაგან იწარმოებოდა, მას სრული ასპექტის მნიშვნელობა ვერ ექნებოდა. ასპექტის გამოხატვის ახალი სისტემა კი სულ სხვა პრინციპზეა დამყარებული. ზმნისწინიანი ფორმები, ჩვეულებრივ, სრული ასპექტისაა, უზმნისწინო — უსრულისა, თუ ზმნას ზმნისწინის დართვის უნარი აქვს (წერს და: დაწერს, აშენებს — ააშენებს...). თუ ზმნას ზმნისწინი საზოგადოდ არ სჭირდება (ე. ი. უზმნისწინოა), მას ახალი სისტემით ასპექტი არ ეწარმოება.

როგორც ცნობილია, ახალ სისტემაზე გადასვლა ენაში ადრევე დაიწყო. „ეს პროცესი ჯერ კიდევ ხანმეტ ტექსტებში იჩენს თავს“ (ზ. სარჯველაძე, 1997, 89). პირველი მაგალითები დადასტურებულია აგრეთვე ჰაემეტ ტექსტებსა (ზ. სარჯველაძე, 1971, 17) და სინურ მრავალთავში (ზ. სარჯველაძე, 1984, 492-504). ამგვარ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები ლიტერატურაში ფართოდ არის წარმოდგენილი (ა. შანიძე,1942; 1953, 276-277; 1973; ზ. ჭუმბურიძე, 1968; 1986, 53-60).

სრული ასპექტის გამომხატველი ახალი ფორმები წარმოშობით აწმყოა. მათ შეიცვალეს დრო, ახლანდელ დროს მყოფადი შეენაცვლა და სრული ასპექტის შინაარსი შეიძინეს. სრული ასპექტის შინაარსის მქონე ახალი სისტემა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ახლებური ფორმები

მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან; ორივე ცვლილება ერთდროულად ხდება. ძველი ქართული ენის ძეგლებში თუ აწმყოს ზმნისწინიანი ფორმა თხრობითი კილოს მომავალ დროს გამოხატავს, ამავე ფორმაში ასპექტის წარმოებაც ახლებურია. თხრობითი კილოს მომავალ დროს გაუჩნდა საკუთარი წარმოება ზმნისწინიანი აწმყოს სახით. მანამდე ამ ფუნქციით ძირითადად I და II კავშირებითი იყო გამოყენებული.

ასპექტის წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლას მრავალი ცვლილება და ფორმათა გადაჯგუფება მოჰყვა ენაში (ა. შანიძე, 1973, 270-276). ერთი მათგანი არის ის, რომ ასპექტის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები გაუჩნდა სახელზმნასაც, რისთვისაც გამოყენებულია იგივე საშუალება, რაც პირიან ზმნაში: ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისა გახდა, უზმნისწინო — უსრულისა. სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებაც ძველ ქართულშივე იყოს ჩასახული. ამას გვაფიქრებინებს საწყისის ზოგიერთი ფუნქცია.

თხრობითი კილოს მომავალი დრო ძველ ქართულში, კავშირებითების გარდა, სხვა საშუალებითაც გადმოიცემოდა, კერძოდ, გამოყენებული იყო ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელსაც დაერთვოდა მეშველი ზმნა ვარ, ხარ, არს... რელატიურ ფორმებში მეშველ ზმნად გვხვდება მიც, გიც, უც (მხ. რ), მისხენ, გისხენ, უსხენ (მრ. რ) (ი. იმნაიშვილი, 1963, 183, 205-206; ა. მარტიროსოვი, 1955, 56; ნ. ნათაძე, 1962, 126-127; ზ. სარჯველაძე, 1984, 504; ზ. ჭუმბურიძე, 1986, 49-51).

მოვიყვანთ მასდარული კონსტრუქციის რამდენიმე მაგალითს:

ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ყოფად ვარ (= ვიქნები), მრ. 14,7DE; მე აქა არღარა მოქცევად ვარ (= მოვიქცევი, დავბრუნდები), ევსტ. 34,31; რომელი მოსლვად ხარ (= მოხვალ) სოფლად, ი. 11,27C; შიშუველიცა გამოხუედ დედის მუცლით, შიშუველიცა წარსლვად ხარ (= წახვალ), სინ. მრ. 221,8; დილითი განშორებად ხარ (= განშორდები) მისგან, ქრესტ. II,3,24; არა უწყით, თუ ხვალემდე ცოცხალ ყოფად ხარ (= იქნები), სწავლ. 3,17; არცა იყო, არცა არს, არცა ყოფად არს (= იქნება), სინ. მრ. 43,3; არა უწყი შენ, რაჲ ყოფად არს (= იქნება) ხვალესა, სწავლ. 43,27; სამ დღე-ღა და ნინევი დაქცევად არს (= დაიქცევა), იქვე, 42,30.

სიძესა მას ნათლისასა მიგებებად ვართ (= მივეგებებით), სინ. მრ. 78,21; მე და შენ... განკითხვად ვართ (= განვიკითხებით, გავსამართლდებით), ლიმ. 123,12-13; აღწერად ხართ (= აღიწერებით) თქუენ ერისა კაცად დიდისა მეუფისა, სინ. მრ. 84,13; შესულად ხართ (= შეხვალთ) კუალად განსაცდელსა, ქრესტ. II,77,21; მოსლვად არიან (= მოვლენ) შენდა ვედრებად, იქვე, 76,6; რომელნი-იგი... ბანად არიან (= განიბანებიან) და განწმედად არიან (= განიწმინდებიან), სინ. მრ. 83,4; შთასლვად არიან (= ჩავლენ) ჯოჯოხეთსა, ქრესტ. II,38,14...

როგორც ვხედავთ, მეშველი ზმნა აწმყოს ყველა პირისა და ორივე რიცხვის ფორმით იხმარება, მასდარულ კონსტრუქციებს კი აქვთ დღევანდელი მყოფადის მნიშვნელობა, ოღონდ ჩვეულებრივი მყოფადისაგან განსხვავდება

იმით, რომ ახლავს აუცილებლობის ნიუანსი (ამის შესახებ იხ. ზემოთ დასახელ. ლიტერატურაში).

მასდარულ კონსტრუქციებში მეშველი ზმნა წარსული დროის, კერძოდ, წყვეტილის ფორმითაც გვხვდება და გადმოსცემს ახალი ქართულის I ხოლმეობითის შინაარსს. მაგალითები: იწყო მათა თხრობად მერმისა, რომელი შემთხუევად იყო (= შეემთხვეოდა) მისა, მრ. 10,32; ესე არს, რომელი მოსლვად იყო (= მოვიდოდა, უნდა მოსულიყო) სოფლად, ი. 6,14C; ესე ყოველნი წიგნნი ამისთჳს წამებდეს, ვითარმედ შეცვალებად იყო (= შეიცვლებოდა, უნდა შეცვლილიყო) სჯული, და სჯულის მდებელი მოსლვად იყო (= მოვიდოდა) ქუეყანად (მოქც. 103,26-27); ამას დავით ეუედრებოდა, რომელი-იგი მისგან აღმოცჱნებად იყო (= აღმოცენდებოდა, უნდა აღმოცენებულიყო) კუერთხი და ნაყოფ-შუენიერი ყუავილი, სინ. მრ. 6,36.

სიმოკლისათვის მოვიყვანთ მხოლოდ აღწერით ფორმებს: მოწევნად იყო (= მოიწეოდა), იქვე, 97,24; მიმოდაფენად იყო (= მიმოეფინებოდა), იქვე, 136,3; შობად იყო (= იშვებოდა), იქვე, 227,3; შემთხუევად იყო (= შეემთხვეოდა), იქვე, 247,11; ვერ განრინებად იყავ (= გადაურჩებოდი), ქრესტ. II,30,8; დაქცევად იყო (= დაიქცეოდა), იქვე, 44,7; დაფლვად იყვნეს (= დაიფვლებოდნენ, დაიმარხებოდნენ), იქვე, 36,7.

აუცილებლობის, კატეგორიულობის ნიუანსი ამ ფორმებსაც აქვს. იგულისხმება, რომ ესა თუ ის მოქმედება აუცილებლად მოხდება მომავალში.

ჩვეულებრივ, ამგვარი აღწერითი ფორმების შინაარსი „უნდა“ ნაწილაკითაც გადმოიცემა: რომელი-იგი აღდგომად იყო (= უნდა ამდგარიყო), სინ. მრ. 161,30; ჰაბუკნი, რომელნი ქორწინებად იყვნეს (= უნდა დაქორწინებულიყვნენ), მეყსეულად სიკუდილსა მოელოდეს, ქრესტ. II,33,16.

შინაარსით ამგვარ კონსტრუქციებს ახალ ქართულში შეიძლება შეეუნაცვლოთ მომავლის მიმღეობიანი ფორმები: დასაქორწინებელი იყვნენ.

როგორც აღინიშნა, რელატიური შინაარსის გადმოსაცემად მეშველ ზმნად მასდარულ კონსტრუქციაში გამოყენებულია მიც, გიც, უც, მისხენ, გისხენ, უსხენ. მაგალითად: დამკჳდრებად გიც (= დაიმკვიდრებთ), სწავლ. 232,29; ტჯრთვად გიც (= იტვირთავ), სინ. მრ. 9,6 (გაბრიელმა ახარა მარიამს, რაც მოელოდა, რაც მოხდებოდა); გამონახვად უც (= მონახავენ), იქვე, 277,9; დაპყრობად უც (= დაიპყრობენ, მიიღებენ), ქრესტ. II,76,8...

ამგვარი კონსტრუქციის შინაარსი „უნდა“ ნაწილაკიანი კავშირებითითაც შეიძლება გადმოიცეს. მაგალითად: ანუ რაჲ სიტყუაჲ მიცემად გჯც, არა უწყი, სწავლ. 247,29 (= რა პასუხი უნდა მივსცეთ, რას ვუპასუხებთ); ასევე: რაჲ უკუე ყოფად გჯც, ოდეს-იგი გარდამოჴდეს, სწავლ. 14,30-31 (= რა უნდა ვქნათ, რას ვიზამთ).

რა აძლევს ამ ტიპის მასდარულ კონსტრუქციებს მომავლის შინაარსს? მეშველი ზმნა ახლანდელი ან წარსული დროისაა და მომავალი დრო მასთან ვერ იქნება დაკავშირებული. მაშასადამე, მომავალი დროის გაგებას,

როგორც ჩანს, შეიცავს თვით საწყისის მოცემული ფორმა (ვითარებითი ბრუნვისა). ამასვე გვაფიქრებინებს საწყისის იმავე ბრუნვის საშუალებით ნაწარმოები ზედსართაული მნიშვნელობის მქონე ფორმები, როგორიცაა: დაჭნობადი, სწავლ. 258,34; მოწევნადი, კაც. აგებ. 172,26; განქარვებადი, სინ. მრ. 194,23; დაჯსნადი, სწავლ. 259,8; განჯრწნადი, სინ. მრ. 120,4; დავიწყებადი, სწავლ. 259,1; დაშდომადი, დაცჯნებადი, სინ. მრ. 118,6; შობადი, სწავლ. 15,16; განრყუნადი, სინ. მრ. 248,28; ყოფადი, ქრესტ. II,114,35; დაძუელებადი, სინ. მრ. 133,15; კლვადი, მოქც. 157,32 და მისთ.

აშკარაა, რომ ამგვარი ფორმები გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მომავალში აუცილებლად მოხდება (ნახე აგრეთვე: ი. იმნაიშვილი, 1957, 755; ნ. ნათაძე, 1962, 127). დაჭნობადი არის ის, რაც დაჭკნება; განქარვებადი არის ის, რაც გაქრება; დავიწყებადია, რაც დავიწყებას მიეცემა; ყოფადია, რაც მოხდება; დაძუელებადია, რაც დაძველდება...

საფიქრებელია, რომ სრული ასპექტის შინაარსი საწყისმა თავდაპირველად ე. წ. მასდარულ კონსტრუქციებში შეიძინა, რომლებიც ზმნისწინიანიც იყო და უზმნისწინოც, მაგრამ მოგვიანებით ეს ფუნქცია ზმნისწინიანებს დაუკავშირდა.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ვითარებითში დასმულ საწყისს მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, მიზნის გარემოების ფუნქციით ძველ ქართულში, მომავალი დროის მიმღეობასთან ერთად, გამოყენებული იყო საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმა. მაგალითად: ეძიებდეს მას წარწყმედად, ლ. 19,47; მოხუედ... ტანჯვად (გუემად, C) ჩუენდა, მთ. 8,29DE; წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა, ლ. 9,2; შეიპყრნეს კაცნი... განწმედად ადგილისა მის და აღშენებად წყეული იგი... მიძგითად, ლიმ. 100,29-30; რაჲსა გამოხუედით... ხილვად, ლ. 7,24 და სხვა.

აღნიშნავენ, რომ ძველ ქართულში მასდარულ კონსტრუქციებს II კავშირებითი ენაცვლება და, რომ ხანდახან ორივე ერთმანეთის გვერდითაც გვხვდება (ი. ქავთარაძე, 1960, 199; ზ. სარჯველაძე, 1984, 504; ზ. ჭუმბურიძე, 1986, 49-51). მაგალითად: ელია მოსლვად არს (მოვიდეს DE), მთ. 17,11C; ოდეს ყოფად არს ესე (იყოს DE), მთ. 24,3C; ძჳ კაცისაჲ მიცემად არს (მიეცეს DE), მთ. 26,2C; დაბრკოლებად ხართ (დაჰბრკოლდეთ C), მრ. 14,27DE და სხვა.

II კავშირებითის მსგავსად სრული ასპექტის გაგება უნდა ჰქონოდათ აღწერით ფორმებსაც.

ზოგჯერ მასდარულ კონსტრუქციებს ენაცვლება აგრეთვე ზმნისწინიანი აწმყო მყოფადის მნიშვნელობით. კავშირებითსა (კერძოდ, II კავშირებითსა) და აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ვარაუდობენ, რომ მათი მონაცვლე მასდარული კონსტრუქციაც სრულ ასპექტს უნდა გამოხატავდეს, მით უფრო, რომ აუცილებლად შესასრულებელი მოქმედების შინაარსი აქვთ (ზ. სარჯველაძე, 1984, 504).

3. კონტაქტი

კონტაქტის მიხედვით ოპოზიცია ახალი ქართულის პირიან ზმნაში და უპიროშიც კარგად არის გამოკვეთილი: წერს და აწერინებს, აშენებს და აშენებინებს, თესავს და ათესვინებს... ასევე: წერა — (და)წერინება, აშენება — აშენებინება, (და)თესვა — (და)თესვინება...

შუალობითი კონტაქტის ფორმები ახალ ქართულში ძირითადად იწარმოება ორი აფიქსით. ესენია მარტივი **-ინ** და რთული **-ევინ**. რამდენიმე ზმნაში შემორჩენილია **-ევ**.

ძველ ქართულში კონტაქტი უფრო პირიანი ზმნისათვის არის დამახასიათებელი და მას ახალი ქართულისაგან განსხვავებული საწარმოებელი აფიქსები დაერთვის. ა. შანიძე შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლად ძველ ქართულში გამოყოფს „მარტივ **-ევ** და რთულ **ი(ვ)** — **ებ** სუფიქსებს“ (ა. შანიძე, 1976, 83-84). **ი(ვ)** (< **ევ**) გვხვდება, ჩვეულებრივ, II სერიაში ხმოვნის წინ **ვ**-ს დაკარგვით. აი, ეს **ი(ვ)** შესაძლოა I სერიაშიც იყოს გადმოსული, ოღონდ ის გართულებულია **ებ** სუფიქსით.

ზ. სარჯველაძის მიხედვით, „შუალობით კონტაქტს აწარმოებს **ა-** — **-ი** კონფიქსი (თაყუანის-**ა**-ცემ-**ი**-ა, და-**ა**-წერ-**ი**-ა...) ან **ა-** — **-ევ/ა-** — **-ი** (**ა**-თქუმ-**ევ**-ს / **ა**-თქუმ-**ი**-ა, **ა**-ჴნ-**ევ**-ს / **ა**-ჴნ-ვ-**ი**-ა“ (ზ. სარჯველაძე, 1997, 93). მოსალოდნელი იყო: ა-ჴნ-ვ-ევ-ს, სადაც პირველი **ვ** შეკუმშული თემის ნიშანია.

ზოგჯერ შუალობითი კონტაქტის დამოუკიდებელ მაწარმოებლად მიჩნეულია **ა-** პრეფიქსიც: მოახილვა, შეაწყნარა... (ე. გეურქოვა, 1971, 104; ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 461-463).

ა. შანიძეს ახალი ქართულის მიმართ გარკვეული აქვს, რომ კონტაქტის მაწარმოებლები განაწილებულია ფუძეთა მიხედვით:

„**1.** მარტივი **ინ** მოუდის ყველა ჯგუფის ზმნებს, გარდა ამიანებისა, სახელდობრ:

ა) ერთ-თემიანებს: ვ-**წერ**, **წერ**-ა, ვა-**წერ-ინ**-ებ.

ბ) ხმოვან-მონაცვლეებს: ვ-**გრეხ**, **გრეხ**-ა, ვა-**გრეხ-ინ**-ებ.

გ) **ი**ნიანებს, რომელთაც ხმოვანი აქვთ I სერიის ფორმებში: ვ-**თოხნ**-ი, **თოხნ**-ა, ვა-**თოხნ-ინ**-ებ...

დ) **ავ**იანებს, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ საწყისში: ვ-**მალავ**, **მალავ**-ა, ვა-**მალავ-ინ**-ებ...

ე) **ევ**იანებს: ვა-**ქცევ**, **ქცევ**-ა, ვა-**ქცევ-ინ**-ებ...

ვ) **ემ**იანებს: მივს-**ცემ**, მი-**ცემ**-ა, მივა-**ცემ-ინ**-ებ.

ზ) **ებ**იანებს: ვა-**შენებ**, **შენებ**-ა, ვა-**შენებ-ინ**-ებ...

თ) **ობ**იანებს: ვა-**მკობ**, **მკობ**-ა, ვა-**მკობ-ინ**-ებ.

2. ევინ მოუდის ზოგიერთ **ი**ნიანს, **ავ**იანს და ყველა **ამ**იანს, სახელდობრ: ა) **ი**ნიანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: (გა)ვ-**შალ**-ე, ვ-**შლ**-ი, **შლ**-ა, ვა-**შლ-ევ-ინ**-ებ...

ბ) **ავ**იანთაგანაც იმათ, რომელთაც I სერიაში და, მაშასადამე, საწყისშიც ფუძე ეკუმშებათ: (და)ვ-**კალ**, ვ-**კლავ**, (**კლვ**-ა >) **კვლ**-ა (ვინის გადასმით), ვა-**კვლ-ევ-ინ**-ებ...

გ) **ამ**იან ზმნებს თემის ნიშნის ხმოვანი, შეკუმშვის გამო, ეკარგებათ: ვა-**ბამ**, **ბმ**-ა, ვა-**ბმ-ევ-ინ**-ებ...“ (ა. შანიძე, 1973, 407-408, § 463).

იგივე წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძველი ქართულის მიმართაც. ძველ ქართულში შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელია **-ი** (< **ივ**) და **-ევ/-ი** (< **ივ**) სუფიქსები.[1] მათი განაწილება კი ასეთია:

1. ი(ვ) დაერთვის ყველა ჯგუფის ზმნას, გარდა **ამ**იანებისა და ზოგი გამონაკლისისა, კერძოდ:

ა) ერთთემიანებს: (და)ვაწერ-**ი**-ებ, (და)ვაწერ-**ი**-ე; შევამოს-**ი**-ებ, შევამოს-**ი**-ე...

ბ) ხმოვანმონაცვლეებს: მოვადრეკ-**ი**-ებ, მოვადრეკ-**ი**-ე, განვაბნევ-**ი**-ებ, განვაბნევ-**ი**-ე...

გ) **ი**ნიანებს, რომელთაც ფუძეში ხმოვანი აქვთ I სერიაში (ე. ი. უკუმშველებს): გავაგზავნ-**ი**-ებ, გავაგზავნ-**ი**-ე...

დ) **ავ**იანებს, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ საწყისში: დავაბეჭდ-**ი**-ებ, დავაბეჭდ-**ი**-ე.

ე) **ევ**იანებს: ვაკურთხევ-**ი**-ებ, ვაკურთხევ-**ი**-ე.

ვ) **ემ**იანებს: თაყუანის-ვაცემ-**ი**-ებ, თაყუანის-ვაცემ-**ი**-ე; მივაცემ-**ი**-ებ, მივაცემ-**ი**-ე.

ზ) **ებ**იანებს: დავამტკიცებ-**ი**-ებ, დავამტკიცებ-**ი**-ე.

თ) **ობ**იანებს: შევამკობ-**ი**-ებ, შევამკობ-**ი**-ე; შევაპყრობ-**ი**-ებ, შევაპყრობ-**ი**-ე.

თ) **ოფ**იანებს: უარს-ვაყოფ-**ი**-ებ, უარს-ვაყოფ-**ი**-ე.

2. -ევ (I სერიაში) / **ი** (II სერიაში) სუფიქსი დაერთვის:

ა) **ამ**იან ზმნებს: ვათქუმ-**ევ**, ვათქუმ-**ი**-ე; შევასუმ-**ევ**, შევასუმ-**ი**-ე...

ბ) **ავ**იანთაგან იმათ, რომელთაც I სერიაში (აგრეთვე საწყისში) ფუძე ეკუმშებათ: მოვაკლვ-**ევ** (= მოვაკვლევინებ), მოვაკლვ-**ი**-ე; ვაჴნვ-**ევ**, ვაჴნვ-**ი**-ე.

გ) **ი**ნიანთაგან იმათ, რომელთაც ფუძე ეკუმშებათ I სერიასა (და საწყისში): გარდავაჴდ-**ევ** (= გადავახდევინებ, ვაზღვევინებ), გარდავაჴდ-**ი**-ე; გამოვაჴსნ-**ევ** (= გამოვახსნევინებ), გამოვაჴსნ-**ი**-ე.

თავისებურებას იჩენს „ქმნა“ ზმნა, რომელიც კუმშვადია, მაგრამ მეორე ჯგუფის ზმნებში თითქოს არ შედის („იქმს“) და მაინც **ევ** / **ი(ვ)** სუფიქსს დაირთავს: ვაქმნ-**ევ** (= ვაკეთებინებ), ვაქმნ-**ი**-ე.

შუალობითი კონტაქტის ფორმები (ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით) დამოწმებულია ლიტერატურაში (ვ. იმნაიშვილი, 1970, 118; 1975, 430-431; ე. გეურჩოვა, 1971, 104; ა. შანიძე, 1973, 360-361; ა. თაყაიშვილი, 1974, 10-11, 21-22; ზ. სარჯველაძე, 1984, 470-474; ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 461-468).

შუალობითი კონტაქტის ძველი ქართულის მსგავსი წარმოება დღემდე არის შემონახული ქართული ენის ხევსურულსა და გურულ დიალექტებში (ა. შანიძე, 1973, 360-361; ლ. კიკნაძე, 1977, 233-244).

[1] შუალობითის პრეფიქსად მიჩნეული **ა**-ს შესახებ ცალკე იქნება საუბარი.

ირკვევა, რომ კონტაქტის კატეგორიის გამოხატვა ძველ ქართულში შეუძლია უპირო ზმნასაც — კერძოდ, საწყისს (იშვიათად მიმღეობასაც) (ზ. სარჯველაძე, 1984, 472-473). საწყისში გარჩეულია როგორც უშუალო, ისე შუალობითი კონტაქტის ფორმები და გვაქვს: სუმა და სუმევა, შესუმა — შესუმევა, თქუმა — თქუმევა, აღმოთქუმა — აღმოთქუმევა, ქმნა — ქმნევა (შდრ. მაქმნეველი, შატ. 75,23; კაც. აგებ. 171,22)...

მოვიყვანთ მაგალითებს: ძმრისა და ნავღლისაცა სუმევაჲ, A — 162 (XI ს.), A — 129 (XII-XIII ს.ს.). მოგვყავს ზ. სარჯველაძის ლექსიკონიდან (1995, 195); უბრძანა შესუმევაჲ წყლისაჲ, გელ. ბიბლია, 110r, 17-20 (XII ს.); ძლით შეუძლეს სიტყჳსა აღმოთქუმევად მისა, დან. მესუეტე, 254,25; იძულებით ქმნევაჲ კეთილისაჲ, A — 129; ალიზისა ქმნევითა სტანჯვიდა, A — 445,347r (1066წ.), 2-3 (ზ. სარჯველაძე, 1995, 224).

შუალობითი კონტაქტის ძველებური წარმოების რამდენიმე მაგალითი შემონახულია „ვეფხისტყაოსანში“. თქმევა: არ ეგების აწ ამისი ასრე თქმევა, 243,1; ავთანდილ უთხრა: ვლამოდი მართ მაგისისა თქმევასა, 897,1 (შდრ. პირიან ზმნათა ფორმები: ვათქმევ, 310,2; უთქმევია, 375,2,4); გახსნევა (უშუალოა გახსნა): მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა, 362,3. ამავე ზმნის პირიანი ფორმა ახლებურია: გაახსნევინა, 1079,1.

პირიან ფორმებში შუალობითის წარმოება „ვეფხისტყაოსანში“, ჩვეულებრივ, ახალია, ძველის ნიმუშები იშვიათია. ასეთია, მაგალითად: გაქმნევ, 1375,3; ვაქმნევ, 608,4; აწვევ (= აწვევინებ), 1522,3; შეგაქმნევ, 542,2; შეაქმნევს, 1197,2; მოვალხენიე, 1271,2; მომასმენიე, 1271,1.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი ფორმების სიჭარბე გვიანდელი ჩასწორების შედეგია. ასეთი ვარაუდის დაშვება უფრო შესაძლებელია მაშინ, როცა შუალობითის ახალი ფორმები სტროფის ოთხივე ტაეპში სარითმო ერთეულად არის წარმოდგენილი. მაგალითად: ავაღებინე (1), ვალაღებინე (2), შევაღებინე (3), გავაღებინე, 455-ე სტროფი. ძველი ქართულით მოსალოდნელი — ავაღებიე, ვალაღებიე, შევაღებიე, გავაღებიე „უმტკივნეულოდ“ შეიძლებოდა შეცვლილიყო ახალი ფორმებით, მაგრამ **ევ** სუფიქსიან ფორმებში ეს შეუძლებელი იქნებოდა; მაგალითად: მოაკლვევინე (1), მოაზღვევინე (2), რა გაქმნევინე (3), დააშლევინე, 578-ე სტროფი. შესაბამისი ძველი ფორმები (მოაკლვიე, მოაზღვიე, რა გაქმნიე, დააშლიე) ერთი მარცვლით ნაკლებია ახალ ფორმებზე.

ახალი ფორმების ჩანაცვლება არც მაშინ არის საფიქრებელი, როცა სარითმო დაბოლოებებად სხვადასხვაგვარი ერთეულებია გამოყენებული. მაგ., 987-ე სტროფში სარითმოა: წინა (1), ვინ ა (2), მოესმინა (3), აფრქვევინა (4).

ევ-იან შუალობითში ახალი წარმოება ძველ ქართულშივე არის შენიშნული და გულისხმობს ორივე აფიქსის გაერთიანებას (**ევ** + **ო**). მაგ., რაჟამს-ესე ვერ გუაქმნევიან, Ier. — 96,11v, 21-22; ვერცა სხუაჲ მაქმნევიო, Ier. — 37,142v (ზ. სარჯველაძე, 1984, 473). ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მსგავსი ფორმები მოხშირებულია. ვა-

რაუდობენ, რომ ზემოთ აღნიშნული „პირიანი ფორმები... შუალობითი კონტაქტის ზმნის საწყისიდან იწარმოება“ და „რომ სწორედ ამ ტიპის ფორმები გახდა საფუძველი **ა- — -ევ-ი(ნ)** კონტამინირებული წარმოებისათვის: მაქმნევინა, მათქმევინა და სხვა“ (ზ. სარჯველაძე, 1984, 473).

საყურადღებოა, რომ ახალ ფორმათა შესატყვისი საწყისები შ. რუსთველის პოემაში არ გვხვდება, არ გვაქვს: თქმევინება, ქმნევინება, მოკლევევინება, დაშლევინება... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც შუალობითი კონტაქტის გამომხატველი საწყისების ძველი ფორმებია ხშირი ძველ ქართულში.

შუალობითი კონტაქტის ფორმები ნაწარმოებია უშუალო კონტაქტის ზმნის საწყისისაგან (ა. შანიძე, 1973, § 463, გვ. 407; ლ. კიკნაძე, 1977, 234). შუალობითი კონტაქტის ზმნებს, თავის მხრივ, უჩნდება ახალი, უშუალოსაგან განსხვავებული, საწყისები, რომლებიც ფორმით და სემანტიკურადაც ცალკე ჯგუფს ქმნიან. **ევ**-იანი საწყისის ფორმები ზემოთ დავიმოწმეთ. მეორე ჯგუფს აწმყოში **ო (ვ)-ებ** დაბოლოება აქვს (დააწერ-ი-ებ-ს, დააბეჭდვ-ი-ებ-ს, მიაღებ-ი-ებ-ს...). შესაბამისი საწყისები იქნება: დაწერ-ი-ება, დაბეჭდვ-ი-ება, მიღებ-ი-ება..., რომლებიც ჩემს მასალაში არ აღმოჩნდა იშვიათი გამოყენების გამო, მაგრამ რეალურად უნდა არსებულიყო ენაში და რომელიმე ძეგლში აუცილებლად იჩენს თავს. ძველსავე ქართულში უნდა გვქონოდა აგრეთვე ე. წ. კონტამინირებული შუალობითის შესაბამისი საწყისებიც, როგორიცაა ქმნ-ევ-ი-ება (შდრ. ქმნ-ევ-ა), მოკლვ-ევ-ი-ება (შდრ. მოკლვ-ევ-ა), დაშლ-ევ-ი-ება (შდრ. დაშლ-ევ-ა) და მისთ.

როგორც ითქვა, ახალ ქართულში შუალობითს **ინ** სუფიქსი აწარმოებს ზმნათა დიდ ნაწილში. შენიშნულია, რომ **ინ** საკუთრივ ძველ ქართულში (V-X ს.ს.) არ გვხვდება, რომ „**ა- — -ინ** კონფიქსი გარდამავალ ზმნებთან XI-XII საუკუნეებიდან იჩენს თავს (მოაღებინა ნაგევთაგან სკორᲒ მყრალი, ბალავ. 43,7“; ზ. სარჯველაძე, 1984, 473).

ვარაუდობენ, რომ „**ინ** და **ოვ** (შესაბამისად) **ენ** და **ევ** სუფიქსთა ხმოვან-შეცვლილი ვარიანტებია: ად-ენ-ს — ად-ინ-ა, დააბნ-ევ-ს — დააბნ-ივ-ა“ (ა. შანიძე, 1973, 361, § 423). უხერხულობას ქმნის ის, რომ **ევ / ოვ** — ორივე გვხვდება შუალობითის მაწარმოებლად, რასაც ვერ ვიტყვით **ენ / ინ**-ის შესახებ (განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ლ. კიკნაძე, 1977, 243-244).

საწყისის (აგრეთვე მიმღეობის) შუალობითის ფორმათა მიხედვით კარგად ჩანს, რომ **ა-** პრეფიქსს „კავშირი არ აქვს[1] შუალობითი გზის ფორმათა წარმოებასთან: გახსნევა, თქმევა...“ (ა. შანიძე, 1973, 361). „**ა-** პრეფიქსი... არ შეიძლება მივიჩნიოთ კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) მაწარმოებლად“, შდრ.: ათრევს — ათრევინებს (ბ. ჯორბენაძე, 1983, 49).

„**ა-** გარდაუვალ ზმნებთან ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია... იმ პირველადს გარდამავალ ზმნებშიც, რომელთა საარვისო ქცევის ფორმას ნიშანი არ უნდა, **ა-** აგრეთვე ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშანია“ (ა. შანი-

[1] გამოცემაში გაპარულია კორექტურული შეცდომა, გამორჩენილია „არ“ ნაწილაკი; ასევეა: 1980, 361.

ძე, 1973, 376). „ა- პრეფიქსის ფუნქციაა ირიბ (მიცემითბრუნვიან) ობიექტზე მითითება (ბ. ჯორბენაძე, 1983, 84. იხ. აგრეთვე იქვე, 61, 225).

* * *

შუალობითი კონტაქტის შინაარსის გადმოსაცემად ძველ ქართულში ორგანულის გვერდით გამოყენებულია აღწერითი წარმოებაც, რომელიც უშუალოდ საწყისს ეყრდნობა: საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმას დაერთვის „ცემა“ ზმნის პირიანი ფორმები სხვადასხვა მწკრივში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მაშინ დადგმად სცა (= დაადგმევინა) იუდა ცხედარი იგი, სინ. მრ. 242,22; დაადგინა იგი და აღმოსავალით აღპყრობად სცნა (= აღაპყრობინა) ჯელნი მისნი, მოქც. 134,16Ⴑ; შეიპყრა ხუასრო მეფჱ და მოღებად სცა (მოაღებინა, Ⴇ) ძელი ცხორებისაჲ, მოქც. 96,12Ⴑ; მათ აღსარებად მცეს (= აღსარება მათქმევინეს)... და მიმცეს განკითხვად, ლიმ. 113,16; აღვადგინო სხუაჲ მეფჱ, რომელმან უვარ-ყოფად გცეს (უარს-გაყოფინებს) ჯუარ-ცუმული, სინ. მრ. 242,32 და სხვა.

ვარაუდობენ, რომ ამგვარი წარმოება ბერძნულის გავლენით გაჩნდა ქართულში, საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ქართულში, მაგრამ შემდეგ უკვალოდ გაქრა (ზ. სარჯველაძე, 1984, 474).

აღწერითი წარმოების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილე: ვ. იმნაიშვილი, 1970; მისივე, 1975, 429-432; ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 468-472.

XII. საწყისი და — გვარის კატეგორია ძველ ქართულში

საწყისში გვარის კატეგორიის გამოხატვის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „საწყისი საზოგადოდ ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის. იგი ერთია ორივე გვარისათვის, ე. ი. იგი თანაბრად განეკუთვნება ორივე გვარის პირიან ფორმებს; მაგალითად, სახლის შ ე ნ ე ბ ა“ ნიშნავს როგორც იმას, რომ სახლს ა შ ე ნ ე ბ ე ნ, ისე იმასაც, რომ სახლი შ ე ნ დ ე ბ ა“ (ა. შანიძე, 1973, 559). „განსხვავება მოქმედებითსა და ვნებითს შორის თითო-ოროლა ზმნის საწყისში გამოჩნდება გამონაკლისის სახით; ასეთებია, მაგალითად:

მოქმედებითი	ვნებითი
ტეხა	ტყდომა
წყვეტა	წყდომა
ხეთქა	სკდომა“ (იქვე).

იგივე აზრია გატარებული ა. შანიძის ძველი ქართული ენის გრამატიკაშიც (1976, 137), მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „**ა** სუფიქსი აწარმოებს საწყისებს გარდამავალი ზმნებისაგან, მათვე ემატება **ნ**-არიანი საწყისი, ხოლო დანარჩენი აფიქსები (**ომ, ოლ, ილ, ს** და **სი** გარდაუვალი ზმნების საწყისის მაწარმოებლებია“ (იქვე).

ა. ჩიქობავას მიხედვითაც, „მასდარი არ განასხვავებს ქცევებს... არც გვარებს: ვნებითი მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაშია გარჩეული: მოქმედ. ტეხა — ვნებ. ტყდომა, მოქმედ. წყვეტა — ვნებ. წყდომა, მოქმედ. ხეთქა — ვნებ. სკდომა“ (ქეგლ, 1950, 075).

ავტორის სიტყვით, „უჩვეულოა და ახსნას მოითხოვს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: (ტეხა და) ტყდომა, (ხეთქა და) სკდომა...“ (ა. ჩიქობავა, 1956, 514).

მართლაც ასახსნელია ვნებითის **-დ** სუფიქსის გამოვლინება აღნიშნულ ფუძეებში. ტეხა და ხეთქა ერთთემიანი ზმნებია და, საერთო წესის მიხედვით, ვნებითში მათ **ი-** პრეფიქსიანი ფორმები უნდა ჰქონდეთ: განიტეხების, განიხეთქების. **-დ** ბოლოსართიანი ვნებითი ამ ფუძეებისათვის მოსალოდნელი არ არის, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი ფორმები უძველეს ძეგლებშივე გვხვდება (განსთქდა, ი. 21,11... ნუ აღტყდებით, მთ. 24,6C...). საინტერესოა, რომ **ი-** პრეფიქსიანი ფორმაც არის დადასტურებული: განიტეხე (ი. იმნაიშვილი, 1968, ა, 39).

ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გარდაუვალ ზმნათა საწყისის ფორმებში დაცული **-ოლ, -ომ** ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული და დამოუკიდებელი აფიქსები არ არის. დასმულია კითხვა: „შეიძლება თუ არა მასდარის **-ოლ, -ომ** მივიჩნიოთ ვნებითობის (ანდა მედიოპასიობის ანდა გარდაუვალობის) სუფიქსად? (ა. ჩიქობავა, 1956, 514).

იქვე ნათქვამია, რომ **-ოლ** და **-ომ** „საწარმოებელი ზმნური ფუძისაა“, რომ ენამ ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი (ყვანა II ყოლა...) აღჰურვა

განსხვავებული მორფოლოგიური ფუნქციით (დაყოფა ავტორისაა) (გვ. 516-517).

რა ფუნქციაა ეს? როგორც მსჯელობის მიხედვით ჩანს, იგულისხმება გვარი, თუმცა იქვე საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ **-ოლ**, **-ომ** ვნებითი გვარის მაწარმოებელი ამ ფორმებში არ არის.

რომელ ზმნათა საწარმოებელ ფუძეს ეკუთვნის ეს სუფიქსები? არის ვარაუდი, რომ „**-ომ**-იანი ფორმები მასდარისა, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ე. წ. უნიშნო ვნებითი გვარის ზმნების მასდარად, სწორედ უგვარო დინამიკური ზმნებისაგან ნაწარმოებ მოქმედებითი გვარის ზმნათა მასდარებს უნდა წარმოადგენდნენ“ (ე. ოსიძე, 1963, 17). „**-ომ**-იანი ფორმები მასდარისა გარდამავალი ზმნებისაა, რომლებიც იწარმოებოდნენ ფუძეში **ვ** ელემენტის მქონე უგვარო დინამიკური ზმნებისაგან **ა-** პრეფიქსით და **-ემ || -ამ** აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსით: აცხრ-ომ-ს ← *აცხრვ-ემ-ს, აკრთ-ომ-ს ← *აკრთვ-ემ-ს... (იქვე, 17).

აქვე ნათქვამია, რომ იმავე უგვარო დინამიკური ზმნებისაგან **ვ** ელემენტის მონაწილეობით ნაწარმოებია **-ობ** სუფიქსიანი მოქმედებითი გვარის ზმნებიც: „აცხობს ← *აცხვებს, აშრობს ← *აშრვებს, აკრთობს ← *აკრთვებს“... (ე. ოსიძე, 1963, 16).

გამოდის, რომ ერთსა და იმავე ფუძეებს ორგვარი მოქმედებითი უნდა ჰქონოდა: ერთი **-ობ** (← *უ-ება) სუფიქსით, მეორე **-ომ**-ით (← *უ-ემ). მიჩნეულია, რომ აქედან არის ის გადასული პირველად ვნებითში და შემდეგ უნიშნო ვნებითში. ვნებითში უჩვეულოა მათი განაწილება: **-ება** პირიან ზმნაში დამკვიდრებულა, **-ემ** (→ ომ) — უპირო ფორმებში, საწყისსა და მიმღეობაში. ბუნდოვანია ამოსავალი ვითარებაც: აღნიშნულ ფუძეებს ძველ ქართულში პირველადი ვნებითი არ ეწარმოება. ახალ ქართულში, მართალია, ზოგ მათგანს პირველადი ვნებითი ენაცვლება (იშრიტება, იდრიკება, იკრიბება...), მაგრამ ის მეორეულია.

რა ურთიერთობაა რეალურად არსებულ აკრთობს, აცხრობს, აშრობს... და აღდგენილ *აკრთომს, *აცხრომს ფორმებს შორის, ორივე რისთვისაა საჭირო, რა დანიშნულება ჰქონდათ?

ძველი ქართულის საწყისის ფორმებში გვარის გარჩევის შესახებ საუბარია ი. და ვ. იმნაიშვილების ნაშრომში (1996, 568-576), სადაც ერთმანეთის გვერდით მოყვანილია საწყისის მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები. ესენია: დადგინება — დადგომა (სხვადასხვა ზმნისწინით), დადგრინება — დადგრომა, დრეკა — დრკომა, განვრცობა — განვრცომა, განკრთობა — განკრთომა, მოკუდინება — (მო)სიკუდილი, რგება — რგომა, განრინება — განრომა, (განˈ)ტეხა — (განˈ)ტყდომა, დაშთინება — დაშთომა, დაშრეტა — დაშრტომა, დაშურობა — დაშრომა, ცთუნება — ცთომა, დაცხრობა — დაცხრომა, განძლება — განძლომა, (წარ)ძლუანება / წარძლუანვა — (წარ)ძლომა, დაწვენა — დაწოლა (მოქმედებითი მოცემულია „შთაწვენილი“-ს მიხედვით), (მი)წოდა / მიწუდენა — მიწდომა, მოწყუედა — მოწყდომა, დაჭნობა — დაჭნომა, განხეთქა — განსთქდომა, განჯდა — განჯდომა.

ზ. სარჯველაძეს ძველი ქართულისათვის მოჰყავს გვარის მიხედვით დაპირისპირებული რამდენიმე ფორმა: წყუედა — წყდომა, აღდგინება — აღდგომა, განრინება — განრომა, განვრცობა — განვრცომა, რგება — რგომა, განძღება — განძღომა (1997, 154, § 215).

საწყისში გარდამავლობისა და გვარის გარჩევის შესახებ საუბარია ერთ ჩვენს ადრინდელ ნაშრომშიც (ლ. ბარამიძე, 1976, ა, 55-75). გავიმეორებთ მხოლოდ ძირითად დებულებას: **-ომ**-იანი საწყისი მნიშვნელობით უნიშნო ვნებითს შეესაბამება. უზმნისწინო ფორმებში იშვიათად მას შეიძლება გვერდით დავუყენოთ საშუალი გვარის ზმნები. ჩვენთვის ცნობილია ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევა: კრთის, კრთების — კრთომა; დგას, დგების — დგომა. შდრ. აღდგების — აღდგომა, შეკრთების —შეკრთომა.

-ოლ სუფიქსიანი საწყისების შესაბამისი პირიანი ფორმები ძირითადად საშუალი გვარისაა: ჰბრძავს — ბრძოლა, თრთის — თრთოლა, რბის — რბოლა / სრბოლა, ქრის — ქროლა, ჰყავს — ყოლა, ყარს — ყროლა, ძრწის — ძრწოლა, წევს — წოლა.

-ილ ბოლოსართიც საშუალი გვარის ზმნათაგან აწარმოებს საწყისს: დუმს — დუმილი, იზახს — ზახილი, ჟივის — ჟივილი, ჟღავის — ჟღავილი, ჰსურს — სურვილი, ტირს — ტირილი, სტკივის — ტკივილი, ტყუის — ტყუვილი (II ტყუილი), *ქავის — ქავილი, ქუხს — ქუხილი, უღიმის — ღიმილი, ყივის — ყივილი, ყჯრის — ყჯრილი, სწადის — წადილი, წუხს — წუხილი, სწყურის — წყურილი, ჰივის — ჰივილი (ჰუვის — ჰუვილი), ჰხადის — ხადილი.[1]

ენაში ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის არსებობის შესახებ საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გვაქვს გრამატიკული შინაარსი, რომელსაც მოეპოვება გამოხატვის საკუთარი ფორმა, მოდელი. ზოგიერთი გრამატიკული კატეგორია საზიაროა სახელისა და ზმნისათვის. ასეთია, მაგალითად, რიცხვი. როგორც ცნობილია, გრამატიკული კატეგორიების ერთი ნაწილი ერთნაირად დამახასიათებელია როგორც პირიანი ზმნის, ისე ნაზმნარ სახელთათვის. სახელისა და ზმნის საზიარო გრამატიკული კატეგორიები ხშირად ერთი და იმავე საშუალებით იწარმოება (მაგ., გეზი და ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი...). განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობის წარმოსადგენად პირიანსა და უპირო ზმნებში, როგორც მათ უწოდებენ, მატერიალურად ერთი და იგივე მარკერებია გამოყენებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის ასე არ ხდება. ვგულისხმობთ გვარის კატეგორიას. ნაზმნარ ზედსართავ სახელში ანუ მიმღეობაში გვარის კატეგორია მთელი თავისი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი. სპეციალისტები არც იმაზე დაობენ, აქვს თუ არა გვარი მიმღეობას. გამოყოფენ სამივე გვარის ფორმებს — მოქმედებითს, ვნებითსა და საშუალს.

საწყისის მიმართ კი, როგორც ითქვა, სხვა დამოკიდებულებაა: „მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნები აწარმოებენ მასდარს, ვნებითი — არა“ (ა. ჩიქობავა, 1956, 513-514). მიუთითებენ, რომ საწყისს გვარის გამოხატვა არ შეუძლია, რომ მას გარჩეული არ აქვს ვნებითის ფორმები. საწყისში ჩვეულებ-

[1] მაგალითები აქაც და ზემოთაც მოგვყავს ჩვენი ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან, სადაც ისინი დოკუმენტურად არის დამოწმებული.

რივ მართლაც არ გვხვდება ვნებითის მაწარმოებელი აფიქსები (**ი-**, **ე-**, **-ნ** (← ენ)), ხოლო სადაც ასეთი გვაქვს (იგულისხმება ტყდომა, სკდომა...), მიიჩნევა, რომ „უჩვეულოა და ახსნას მოითხოვს“ (ა. ჩიქობავა, 1956, 514). თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მკვლევართა ნაწილისათვის საშუალი გვარის გამოყოფა სადავოა, მაშინ ნაზმნარ არსებით სახელში გვარის არსებობაზე საუბარი გაჭირდება.

აუცილებელია, თუ არა, რომ ვნებითის მარკერები (**ი-**, **ე-**, **-ნ** (← ენ), **-დ** (← ედ)) ნაზმნარ სახელშიც იყოს წარმოდგენილი ამ უკანასკნელში გვარის კატეგორიის გამოსახატავად? ვნებითის მორფემათაგან **ი-**, **ე-** პრეფიქსები სახელზმნაში არ ჩანს და არც არის მოსალოდნელი, რადგანაც ისინი წარმოშობით სულ სხვა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. მიმღეობის ფორმებში გვარის არცერთი მაწარმოებელი არ არის მოცემული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის გვარის ფორმათა გარჩევას. რა გზით მიიღწევა ეს? მიმღეობის გვარის მარკერები ან მათი ელემენტები სხვადასხვა გვარში შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად: **მ-** თავსართი მოქმედებითშიც არის (და-მ-წერი, გა-მ-ტეხი...), ვნებითშიც (გან-მ-ტფარი, და-მ-ჭნარი) და საშუალშიც (მ-ტირალი...), მაგრამ ეს არ უშლის ხელს მათ გარჩევას. ამ მიზნით გამოყენებულია საწარმოებელი ზმნის ფუძე, რომელიც გვარის მიხედვით თითქმის ყოველთვის გამიჯნულია. ფორმის გამოკვეთას ემსახურება აგრეთვე სუფიქსები, რომლებიც პრეფიქსთან ერთად ხშირად ასრულებს გვარის გამოხატვის ფუნქციას ნაზმნარ ზედსართავ სახელში.

გვარის წარმოება პირიან ზმნებშიც თავისებურია ქართულში: გვარის ორ უძველეს ფორმას — მოქმედებითსა და საშუალს ამ კატეგორიის გამოსახატავად სპეციალური მორფემები არ მოეპოვებათ, ხოლო ვნებითში გვარის რამდენიმე მარკერი გამოიყოფა — პრეფიქსები და სუფიქსები: **ი-**, **ე-**, **-ნ** (← ენ), **-დ** (← ედ).

აღნიშნავენ, რომ ფორმობრივ მოქმედებითი და საშუალი ახლოა ერთმანეთთან: საშუალს „ფორმა უმეტესად მოქმედებითისა აქვს“ (ა. შანიძე, 1973, 303); ან კიდევ: „რა აქვს საერთო მედიუმს აქტივთან? — ის, რომ გარეგნულად მასაც ისეთივე სახე აქვს, როგორც მოქმედებითს“... „ამას გარდა, თემის ნიშნებად საშუალსაც შეიძლება ჰქონდეს **ი**, **ავ**, **ებ**, **ობ**... ყველაფერი ეს საშუალი გვარის ზმნას მოქმედებითთან აახლოებს“ (იქვე, 304); იხ. აგრეთვე ბ. ჯორბენაძე: „ქართულში კი აღიარებული ფაქტია, რომ უმეტეს შემთხვევაში საშუალ და მოქმედებით გვარს ფორმა იდენტური აქვს“ (1975, 22).

მიუხედავად ამისა, ეს ორი გვარი ქართულში ყოველთვის განსხვავებულია, რადგან კონკრეტულ ფუძეებში მათ, ჩვეულებრივ, სხვადასხვა აგებულება აქვთ, მაგ., აბრუნებს — ბრუნავს, აგორებს — გორავს...

კიდევ უფრო ახლოა ერთმანეთთან მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები. დინამიკური ვნებითი მოქმედებითის კონვერსიული სახეა და თემის მიხედვით ემთხვევიან ერთმანეთს. როგორც ცნობილია, ვნებითში იგივე თემის ნიშნები გვხვდება, რაც შესაბამის მოქმედებითში (ა. შანიძე, 1973, § 466; ლ. ბარამიძე, 1976, ბ, 79). ასე იყო ისტორიულად, ხოლო შემდგომ ვნებითში ხდება ფორმათა უნიფიკაცია, რომელიც მიმართულია **-ებ** თემის ნიშნის გაბატონები-

საკენ, რაც იმავე დროს გულისხმობს მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა გამიჯვნას.

საწყისი ზმნის აწმყოს თემას იყენებს და ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო მასში ჰირს ვნებითი გვარის გამოხატვა. გამონაკლისია ერთთემიანი, ხმოვანმონაცვლე და **-ი** თემის ნიშნიანი ზმნები, რომელთა ვნებითში ძველ ქართულშივე გვხვდება მოქმედებითისაგან განმასხვავებელი **-ებ** თემის ნიშანი: წერს — იწერების, შეიმოსს — შეიმოსების, აღჯოცს — აღიჯოცების... მიჰფენს — მიეფინების, დასწნეხს — დაიწნიხების... ზრდის — იზარდების, დასთხრის — დაითხარების, განპრყუნის — განირყუნების...

მაგრამ საწყისში მოქმედებითის აწმყოს თემა აისახება და არა ვნებითისა: წერა, შემოსა, აღჯოცა... მიფენა, დაწნეხა... ზრდა, დათხრა, განრყუნა... არ გვაქვს ვნებითის აწმყოს თემის შესატყვისი ფორმები: *წერება, *შემოსება... *ზარდება, *დათხარება... ვნებითმა ვერ განივითარა საკუთარი ფორმები საწყისში. როცა ამას ვამბობთ, ვგულისხმობთ იმას, რომ გვარის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა წარმოებას საწყისში სისტემატური ხასიათი არ აქვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ძველი ქართულის საწყისში მაინც არსებობს გვარის მიხედვით ოპოზიცია, სადაც ერთმანეთს გვერდით უდგას მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები. ქვემოთ სწორედ ამ ფორმათა შესახებ იქნება საუბარი. ჯერ მოვიყვანთ მოქმედებითის პირიანსა და უპირო ფორმებს, შემდეგ — ვნებითისას.

1. აბრკმობს / უბრკუმობს, შეუბრკუმობს — ბრკმობა, შებრკმობა;

ებრკუმების, შეუბრკუმების — ბრკომა / ბრკუმა, შებრკომა, ბრკოლა.

ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს (ვეფხ. 18,1); შეუბრკუმობ, რომელნი ვიდოდიან გზასა (ი. აბულაძე, 1973, 472); რომელსა არა უბრკუმა ენითა (O, ზირ. 14,1).

ამოსავალია „ბორკ"; *შებრკუმება / შებრკუმობა = შეფერხება, დაბრკოლება. **ჲ** (← ამ?) წარმოშობით თემის ნიშანი უნდა იყოს, მაგრამ უკვე ფუძეს არის შეხორცებული. შდრ. უბრკუმა. ასახსნელია **უ**, რომელიც გვხვდება „ბრკუ" სიტყვაშიც: ბრკუ არს ენითა (ბალავ. 74,31).

შდრ.: შეუბრკუმებოდა და დაეცემოდეს (ქრესტ. II,102,20; მაშინ ებრკუმა მას (ლიმ. 77,15).

ბრკუმაჲ ენისაჲ (ბალავ. 9,6); ბრკუმაჲ ფერჯითა (ზირ. 20,20); იჴსენ... ფერჯნი ჩუენნი ბრკომისაგან (სინ. მრ. 281,10); იჴსენ... ფერჯნი ჩემნი ბრკომისაგან (ბრკოლისაგან, Ქ), ფს. 55,14Ⴑ; დაამდაბლნეს ბრკოლითა (ფს. 104,18)...

2. აღდგენს / აღადგინებს, დაადგენს / დაადგინებს — აღდგენა / აღდგინება, დადგენა / დადგინება;

დგების, აღდგების... — დგომა, აღდგომა (გან-, და-, მი-, მო-, შე-, შემო-, წარ-, წარმო-...).

აღდგენა (ზ. სარჯ. 1995, 5); აღდგინება (ლ. 3,8; შუშ. 24,16); დაადგენს (კაც. აგებ. 160,16) — დადგენაჲ (საქმე, გვ. 215), დადგინება (სინ. მრ. 250,34).

დგომაჲ (1 კორ. 10,12); ელისწსსა მკუდრისა აღდგინებასა იტყჳთ და მაცხოვრისა ჩუენისასა აცილობთ აღდგომასა (სინ. მრ. 162,16-17); დაწოლაჲ და აღდგომაჲ (მამ. სწ. 210,30); განდგომაჲ (უდაბ. 88,4); დადგომაჲ (მსაჯ. 20,4); შედგომაჲ (სინ. მრ. 56,2); შემოდგომაჲ (ლ. 9,23); წარდგომაჲ (ლიმ. 40,8); წარმოდგომაჲ (სინ. მრ. 238,28)...

3. *დაადგრენს / *დაადგრინებს — *დადგრენა / *დადგრინება; დაადგრების — დადგრომა.

დადგრომაჲ (სინ. მრ. 19,28; კაც. აგებ. 166,12; ლ. 19,7...).

4. ვლის, განვლის, მოვლის (წარ-) — ვლა, განვლა, მოვლა, წარვლა; ვლდების, აღვლდების (აღმო-, გარდა-, გარდამო-) — ვლდომა, აღვლდომა (აღმო-, გარდა-, გარდამო-).

მოჰვლინ მათ ყოველთა (საკ. წიგ. II,21,9); მინდორთა მოვლა (ვეფხ. 906,4); წარვლაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ (ბას. კეს. სწავ. 16,16).

ყრმანი... ვლდებოდიან (ეზრ. სუთ., დ, 21); ვლდა ძელისა მისგან (შატბ. 262,31); აღვლდა (იქვე, 262,30-31). აღმოვლდა (იქვე, 262,32); გარდამოვლდა ზეცით (იქვე, 262,30)...

ვლდომაჲ (აბო 74,4; სინ. მრ. 13,14); გარდავლდომაჲ (შატბ. 262,26 = ქება 2,8-9); გარდამოვლდომაჲ (შატბ. 262,35).

იხილე კიდევ: ხლდომა.

5. განაგდებს (და-, შე-, შთა-...) — განგდება (და-, შე-, შთა-...); ვარდების (გან-, გარდამო-, და-, მი-, შე-, შთა-) — განვრდომა (გარდამო-, და-, მი-, შე-, შთა-).

განგდებაჲ (მამ. სწ. 52,15); შთაგდებაჲ (სინ. მრ. 241,18); ჩამოგდებაჲ (ზედ. 209,9)...

ჰურიათა განვრდომაჲ, სინ. მრ. 14,24; გარდამოვრდომაჲ, ფილექტ. 145,1; დავრდომაჲ, ლ. 16,17; მივრდომაჲ, უდაბ. 90,26; შევრდომაჲ, საკ. წიგ. II,60,7; შთავრდომაჲ, მ. 18,9; იქვე, 5,29DE: შდრ.: შთავარდებინ, მ. 5,29C.

6. ავრცობს, განავრცობს — განვრცობა; განვრცნების / განივრცების (/ განივრცობის) — განვრცომა.

განავრცობს სიტყუათა ამათ ძალსა, თარგ. ეკლ. 39,8; განვრცობაჲ სიტყუათაჲ, თარგ. ეკლ. 2,25; 2,29; ჯერ-არს განვრცობად სამთავროჲ მეფეთაჲ, კიმ. II,106,204.

განვრცნა იგი, ქრესტ. II,101,13; განივრცის ადგილთა შინა ვრცელთა, კაც. აგებ. 165,1; ასევე: ქრესტ. II,19,28. წიაღ-კერძო აფრიკეთისა განვრცომაჲ, დიდი სჯ. 363,17; ჟამიერითა განვრცომითა გარეშეიცვიან და შეიწერებიან, თარგ. ეკლ. 34,31; ასევე: იქვე, 61,4; შდრ.: არცა უმეტესისა მიმართ განვრცომილი და არცა უნაკლულესისა შემცირებული, თარგ. ეკლ. 15,6...

7. განაზრქებს — განზრქებაჲ; განზრქების — განზრქომაჲ.

უზომოებითა მით სიმაძღრისაჲთა უმეტესად განაზრქებ შენ ზედა მტანჯველსა მას მატლსა, ბას. კეს. სწავ. 9,17.

სიმრავლითა ჰამადთაჲთა განზრქებაჲ თავთა მათთაჲ, ბას. კეს. სწავ. 12,18.

განზრქა (განზრქნა C) გული ერისაჲ ამის, მ. 13,15.

შენ განპოხებისაგან და განზრქომისა პორცთა შენთაჲსა არა დასცხრები, ბას. კეს. სწავ. 9,2; განიპოხებოდენ (!) რაჲ... იგინი, უფროჲსღა განზრქომაჲ... მიაქუს ნებასა... მათსა, თარგ. ეკლ. 27,18. შდრ. განზრქომილი, უდაბ. 268,8.

8. ათრევს, გამოათრევს — თრევა, გამოთრევა; ითრევის (→ ითრევების) — *თრომა.

თრევით წარგიყვანოს შენ, შუშ. 15,26; ასევე: იქვე, 28,1; ქრესტ. II,103,34...; ვერღარა ეძლო გამოთრევად მისა, ი. 21,6DE.

უბაწნი იგი ქალაქისანი მომედგრდებოდეს თრევითა ასოთა წმიდათაჲსა, რომელნი ითრევებოდეს მათ ზედა, ქრესტ. II,103,35. ითრევის → ითრევების. ხელთა გვაქვს გაარსებითებული მიმღეობა ვნებითი გვარისა: სათრომელი (ესე ბადე გრძელი და შორს მოსაყარი სათევზედ, — განმარტავს საბა), რომელიც ხუთჯერ გვხვდება ოთხთავის უძველეს რედაქციებში: ი. 21,6C; მ. 13,47 და სხვა. არის სინურ მრავალთავშიც (189,34). ამის მიხედვით სავარაუდოა საწყისი *თრომა.

9. *ათქრობს, *ათქერებს (შე-, წარ-) — *თქრობა; თქერება (საბა).

თქრების (შე-, წარ-) — თქრომა, შეთქრომა, წართქრომა.

ცხენნი... თქრებოდეს (ი. აბ., 1973, 185); (ლომნი) შესთქრეს მას ორკერძოჲთვე (იქვე, 475); ურთიერთას წარსთქრებოდეს, ტირიჭ. 188,8; ერთი იგი მოწაფჱ წინა წაჰთქრა, ი. 20,4C; მთქრჱ ასპარეზსა ზედა (ი. აბ. 1973, 241).

იშვიათი ხმარების სიტყვაა. შეგვხვდა მხოლოდ მიმღეობა: წართქრომილი: სიყრმითვე ყოველთა წართქრომილ, შატბ. 263,6. ამის მიხედვით საწყისი იქნებოდა: თქრომა, წართქრომა.

შინაარსს სხვადასხვანაირად განმარტავენ: თქრომა, იერემ. 9,10 — მიფრენა, შეჯიდება; შეთქრომა, ამოს. 9,3 — მიფრენასავით (საბა); წათქრომა — გაქცევა, გარბენა, გაფრენა (ი. იმნაიშვილი, 1986, 741); წართქრომა — გასწრება (ზ. სარჯველაძე, 1995, 258); თქრომა, იერემ. 9,10 — მოძრაობით გამოწვეული ხმაური, თქრიალი (კ. დანელია, 1992, 230); თქერება — ცხენის თამაშობა (საბა).

სიტყვა ხმაბაძვითია და მნიშვნელობით იგივეა, რაც თქარათქური, თქარათქურით მისვლა ან ჩავლა; ამოსავალში გულისხმობს ცხენის მოძრაობას. აქედან ჩანს განვითარებული მეორე, გადატანითი მნიშვნელობა: გასწრება, რაც სავსებით ბუნებრივია. ნახე კიდევ: ფ. ერთელიშვილი, 1970, 164.

10. აკრთობს (გან-, შე-...) — კრთობა, განკრთობა; ჰკრთებისა, განჰკრთებისა (შე-) — კრთომა, განკრთომა.

განმაკრთობს მე საკჳრველებაჲ ესე, სინ. მრ. 33,32; აკრთობს, ვეფხ. 682,3; ჰლამის სიტყვითა კრთობასა, იქვე, 870,3; განსაკრთობელი, ექ. დღ. 131,27; განმაკრთობელი, სიბრძ. სოლ. 17,18.

ნუ განჰკრთებით, მრ. 16,6; უფროჲს ბუნებისა ჰკრთებოდა, სინ. მრ. 29,24. ვერ დაითმინა ელისაბეტ შვილისა თჳსისა კრთომაჲ, იქვე, 29,12; კრთომაჲ სულისაჲ, ბას. კეს. სწავ. 34,31; განკრთომით განჰკრთენ, ეზეკ. 26,16; განკრთომათა შეუპყრიე მე, ქრესტ. II,113,33; შეკრთომაჲ, უდაბ. 155,6; სინ მრ. 128,20.

გვხვდება **ოლ** სუფიქსიანი ფორმაც: კრთოლაჲ (← კრთის?).

11. *მოაკუდენს — *მოკუდენა, მოაკუდინებს — მოკუდინება; მოკუდების — მოკუდომა.

არა მოგუაკუდინებს (ქრესტ. II,37,20): შეაშთვეს იგი ეკალთა და მოაკუდინეს, ბალავ. 35,27-28. მოკუდინებაჲ (ზ. სარჯველაძე, 1995, 133).

შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, შუშ. 21,23-24. მოკუდებოდა, ლ. 8,42; რომელთა ეცნა სულითა, ვითარმედ მოკუდომად არიან, მამ. ცხ. 301,3; კვდომა, ვეფხ. 27,3; ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა, იქვე, 545,3.

12. ნ-დ-ომ-ა-ი, შენდომაჲ. მოქმედებითი არ ჩანს. გულსა ნდომა შეუვიდა, ვეფხ. 1082,1; ასევე: იქვე, 545,1. წამებაჲ იგი ღმრთისაჲ კეთილისათჳს არა თუ თუალთა მიხედვისა შენდომისათჳს ოდენ არს, არამედ სარგებელისათჳს, ექ. დღ. 38,11.

ძირია **ნ, დ** უწყვეტლის სავრცობად არის მიჩნეული (ა. შანიძე, 1953, 1973, § 285; § 567, გვ. 540). მი-ნ-ან → მი-ნ-ა, უწყვეტელი: მი-ნ-დ-ა (ი. ქავთარაძე, 1954, 165). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზმნისწინიან ფორმებში **-დ** წარმოშობით ვნებითის ნიშანია (შდრ. ი. ქავთარაძე, 1954, 165): უ-ნ-დ-ების, შე-უ-ნ-დ-ების (შენდომა)?

13. არგებს — რგება; ერგების — რგომა.

არას არგებს, მ. 27,24; ირგებენ, ბალავ. 46,15; ვერ შემძლებელ არიან რგებად გინა თუ ვნებად, ბალავ. 145,2C; ასევე: იქვე, 145,9C; მამ. სწ. 98,10....

არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი, შუშ. 20,3. უკუეთუ ვისმე არა უნდეს რგომის, ბალავ. 46,20; ვერ რგომითა თავსა თჳსსა, ბალავ. 57C.

14. განარენს — განრენა, განარინებს — განრინება; განერების — განრომა.

მისგანვე მოელის განრენასა, ბას. კეს. სწავ. 106,22; ნუუკუე შეუძლო... განრენად თქუენდა, იქვე, 206,8. ჩვეულებრივია განრინება, გამ. 3,8; დაბ. 19,19; სინ. მრ. 105,38; ლიმ. 125,6...

არავინაჲ არს ჩემდა განრომაჲ, მამ. სწ. 201,7; ასევე: იქვე, 76,4; 74,17; 97,31; შურდა განრომაჲ იგი ყრმათაჲ, ტირიჯ. 187,40; ასევე: ფსევდომაკარი 330,33...

15. დასხამს (მრავალს) — დასხმაჲ; დასხდებიან — დასხდომაჲ.

უბრძანა ქრისტემან ერისა მის დასხმაჲ ქუეყანასა ზედა (ევსტ. 39,36); უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, შუშ. 28,9...

უბრძანა დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა, მრ. 8,6; ასევე: მ. 14,19; მ. 15,35; მრ. 6,39...

16. დააშდენს → დააშთენს → დაარჩენს — დაშდენა → დაშთენა → დარჩენა; დაშდების (მ. 23,38C) → დაშთების → დარჩების — დაშდომა → დაშთომა → დარჩომა.

აქტივის ფორმებისათვის იხილე: არ დაარჩენს ცალიერსა (ვეფხ. 55,4).

ჩვეულებრივ ფუძე გართულებულია **-უნ**, **-ებ** სუფიქსებით: დააშთინებდა (ი. აბ., 1973, 131); ქალწულნი დააშდუნნეს უქმროდ (იქვე, 1973, 131).

ამათი საწყისი იქნება: დაშთინება, დაშდუნება (→ დაშთუნება).

ვნებითში ჩვეულებრივია დაშთომა: რომელნი დაშთომად არიან, სინ. მრ. 154,29; ასევე: კაც. აგებ. 169,12; მარი, აღწ. 10,6 ქვ...

იგივე ფუძე დაცულია მიმღეობაში: დაშთომილი, ეს. 10,14; გამ. 10,15...

დაშდომა: ფასი მომცე აქა დაშდომადი, სინ. მრ. 118,6.

დარჩომა ძველ ქართულშივე უნდა გვქონოდა: საჴმართა მოგუცემ აქაჳე დარჩომადთა, ბას. კეს. სწავ. 173,17. ნახე აგრეთვე დარჩომილი, ბალავ. 8,3C; მამ. სწავ. 37,7; 195,4... ის გავრცელებულია საშუალი ქართულის ადრინდელ ძეგლებში, ვეფხ. 381,4; 501,4; ვისრ. 17,11 ქვ..., დამრჩომია, ვისრ. 209,2, 211,14... დაჰრჩომოდა, ვეფხ. 1045,3 და სხვა.

17. (და)აშრობს — (და)შრობა; (და)შურების — (და)შურომა.

აქტივისათვის შეგვიძლია დავიმოწმოთ პირიანი ფორმები: რაჲსათჳს აშრობთ თავთა თქუენთა, ბალავ. 159,1C; ნუ დააშრობ მოძღუარსა, ლ. 8,49; ასევე: ბალავ. 67,37C. დაგუაშრობენ, ეკ. დღ. 43,10. ეს ფორმა ემთხვევა მეორე ზმნისას — დაშრობა წყლისა, ვეფხ. 1248,3. ალბათ ამის გამოა, რომ ძირეულ ზმნას ადრევე ენაცვლება ნასახელარი (საწყისისაგან ნაწარმოები): რაჲსა-ღა მოაშრომებ მოძღუარსა, მრ. 5,35.

პასივი: შრომაჲ, შუშ. 14,4; სინ. მრ. 4,24; დაშრომაჲ: მრავლითა დაშრომითა, შატბ. 266,37; ცხორებაჲ დაშრომითი, სინ. მრ. 102,4; მოშრომაჲ, ბალავ. 91,18C.

18. (შე)აცთენს — (შე)ცთენა, (შე)აცთუნებს — (შე)ცთუნება; (შე)სცთების — (შე)ცთომა.

აცთუნებს ერსა, ი. 7,12; ცთუნებაჲ, მ. 24,24. შდრ.: მაცთუნებელი, მ. 27,63C; საცთუნებელი, მრ. 13,22C...

ცთომაჲ სჯმეონ მოგჯსაჲ, ქრესტ. II,89,30; ასევე: აბო, 55,14; სინ. მრ. 60,6...; შეცთომაჲ: შეცთომით შეიცთუნა ერი ესე, უდაბ. 162,20. შდრ.: შეცთომილი, იობ. 19,4; ეს. 21,15...

საყურადღებოა, რომ **-უნ, -ებ** სუფიქსებიან ფორმებს თავისი ვნებითი აღმოაჩნდა: შეაცთუნებს — შეიცთუნების, შეიცთუნა, უდაბ. 162,20.

19. დაცთენა, დაცთუნება; დასცთებიან — დაცთომა.

სკამნი... კედელსა დააცთუნნა, ვეფხ. 760,2. შდრ. ახ. ქ. დაცდენა, აცდენა.

დასცთებიან, ვეფხ. 1300,3; დაცთომა: არ დასცთომია ერთიცა, იქვე, 81,3.

რამდენადმე სემანტიკური გადახრა გვაქვს **შთა-** ზმნისწინიან ფორმაში: შთაუცთა ფერჯი იგი ვნებული აქლემსა განპებულსა მას, ქრესტ. II,95,21. მოსალოდნელია შესაბამისი **-ომ** სუფიქსიანი საწყისის არსებობაც: შთაცთომაჲ.

20. (და)აცხობს (მზც) — (და)ცხობა (პურისა); დასცხებრს — დაცხომა.

აცხობნ კუერცხთა, ფიზ. XXI,9; ასევე: O, იობ. 39,14; აცხობდენ... პურსა, ლევიტ. 26,26; ცხობილი, I, ეზეკ. 46,7; ცხობილითა ალიზითა, ქრესტ. II,85,13.

დაცხომაჲ მზისაჲ, ლატ. ლექც. 166v (ზ. სარჯ., 1995, 73).

ქეგლ-ში „დაცხომა" არ არის შეტანილი. პირიანი ზმნებია: 1. დაცხება (დაცხა), 2. დასცხება. ამ უკანასკნელის უღლების ფორმებში გამოჩნდა საწყისი (დასცხა, დასცხომია), გვ. 998.

ამავე ფუძესთან არის დაკავშირებული: გამომცხვარი (!) ცეცხლითა, მ. ცხ. 352v (ი. აბ., 1973, 43); უმცხუარი (!) დაშთეს, მამ. სწავ. 309,35; მცხინვარება, ოქროპ. ცხ. 78,5-6...

21. განაცხრობს — განცხრობა; განსცხრების — განცხრომა.

განაცხრობნ თუალთა ხილვაჲ ყუავილთა მისთა სიმეწამულისაჲ, ლიმ. 1,11; ასევე: ექ. დღ. 52,2.

განსცხრებით, ლ. 12,29. ა) განცხრომაჲ (= შვება, სიხარული), ლ. 15,24; დაბ. 24,63; ბ) განცხრომაჲ (= თამაში), ოქროპ. ცხ. 32,15.

22. დააცხრობს — დაცხრობა (დამშვიდება, დაწყნარება); დასცხრების — დაცხრომა.

დაცხრობაჲ: დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან, ფს. 33,14; ძნიად დააცხრვეს ერი იგი, საქმე, 17,18.

დაცხრომაჲ: ვამცნებ დაცხრომად, უდაბ. 100,1; შემდგომად დაცხრომისა მის შფოთისა, საქმე, 20,1.

23. *მოაცხრობს — *მოცხრობა; მოსცხრების (?) — მოცხრომა.

მოცხრომაჲ (= დაცინვა): მოხუედ აქა მოცხრომად ჩემდა სიტყჳთა მაგით, საკ. წიგნ. II,133,17; არა იყოს მას შინა მოცხრომაჲ მტერთაჲ, ბალავ. 130,33-34; მოსაცხრომელ მტერთა ვიქმნე, იქვე, 128,23.

24. *განაძურენს — *განძურენა; განძურების, შეძურების — განძ(უ)რომა, შეძ(უ)რომა...

ქუე ძურებოდა, ლ. 16,20; შეძურეს ქუაბებსა, I, იერემ. 4,29; გუელი იგი მიუძურებინ, მამ. ცხ. 15,17-18; წარძურა იგი კლდით კერძო, დან. მესვეტ. 267,8;

ძრომაჲ: ჰაერთა თანა ძრომასა, ვეფხ. 1304,2. შდრ.: ქუემძრომელი, ექ. დღ. 104,7; ჩაძრომილი, ვეფხ. 97,3; ასაძრომელი, იქვე, 1242,3.

25. განაძღებს — განძღება; განძღების — განძღომა.

განძღებაჲ: გული ეტყოდა განძღებად, ლ. 15,16DE; ასევე: აბო, 51,7-8; საქმე, 14,17; მრ. 7,27DE...

განძღომაჲ: გული უთქუამნ განძღომად, მამ. სწ. 181,31; ასევე: მრ. 7,27C; ლ. 16,21C...

26. მიუძღუანებს (მო-, წარ-) — მიძღუანება, მოძღუანება, (წინა) წარძღუანება; (წინა) წარუძღუების — წარძღომა, წინაძღომა.

მიუძღუანებნ, მამ. სწ. 242,3; წარგიძღუანებს, მ. 5,41; მიძღუანებაჲ, საქმე, 25,27.

რომელნი ქმნეს (მათ)... წარძღომითა ჯუარისაჲთა, ქ. ცხ. I,160,18; მაშინ წინა-ძღომით სხუათა მიერ შევიდა პავლე დამასკედ, მამ. სწ. 87,15. ასევე: გაძღომაჲ (= გაძღოლა), რუსულ. 512,34; წინა-ძღომაჲ, რუსულ. 483,38...

27. მისწუადებს (წყვეტ. მისწუადა) — მიწუადება; მისწუდების (/ მისწუთების) — მიწუდომა (/ მიწუთომა). შდრ. ახ. ქ. მიწვდენა — მიწვდომა.

არა მისწუადნენ მწუერვალნი მათნი შორის ღრუბელთა, I, ეზეკ. 11,14; მისწუადნა რქანი მისნი ზღუამდე, ფს. 79,12.

მისწუდების, სიბრძ. სოლ. 8,1; ვერვინ... შემძლებელ არს მას მიწუდომად, ქრესტ. II,54,38-55,1; ასევე: უდაბ. 57,22-23; აბო, 52,15; შდრ.: მიწუდომილი, ბალავ. 30,22, მიწუთომილი, იქვე, 30,27-28; მისაწდომელი, იქვე, 46,35.

28. *აწყრობს (?); გული უწყრების — გულის წყრომა.

ჩემდა გული გიწყრების, ი. 7,23C; ამისთჳს გული არა განუწყრა მეფესა, O, I ეზრა 4,31; განუწყრა და წარავლინნა ერისთავნი მისნი, ქ. ცხ. I,42,14.

გულის-წყრომაჲ გულის-წყრომასა დასძინეს, უდაბ. 162,25; ასევე: ლ. 4,28; მამ. სწ. 155,3...; წყრომა ვერ ვუგრძენითა, ვეფხ. 1159,2; ჰქმნეთ გაწყრომისა კმანია, იქვე, 1506,2.

29. მიაწყუდევს — მიწყუდევა, შეაწყუდევს — შეწყუდევა; მიეწყუდევის (მიიწყუდევის) — მიწყ(უ)დომა, შეეწყუდევის (შეიწყუდევის) — შეწყ(უ)დომა.

შეუწყუდევივარ ესრეთსა ადგილსა, ბალავ. 20,28; შეაწყუდია თავი თჳსი სენაკსა შინა (ი. აბ., 1973, 498); შემოაწყუდია უფალმან მტერი შენი ჴელთა შენთა, O, I მეფ. 26,8; დაწყუდევაჲ (ზ. სარჯველაძე, 1995, 74); ყრმამან მან გულისჴმა-ყო იჳჯთ შეწყუდევაჲ მისი, ბალავ. 19,9; მრავალი შრომაჲ დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევაჲ, იოვ. და ეფთ. 52,30.

იწროებისა მისგან და მიწყდომისა ადგილსა მას... აღუთქუეს მეფესა ესე ყოფად, ოქროპ. ცხ. 110,35-111,1.

განსხვავებულია პასივის მიმღეობებიც: ა) (შე)-წყუდეული: წყუდეულ არიან საპყრობილეს (ი. აბულაძე, 1973, 555); შეწყუდეულ იქმნის სიტყჳსა მისთჳს, ოქროპ. ცხ. 110,33...

ბ) იყვნეს... მახეთა მისთა შეწყდომილ, ოქროპ. ცხ. 47,10-11; საპყრობილესა შეწყდომილ, სიბრძ. სოლ. 17,15C; ასევე: ქრესტ. II,73,12...

30. (მო)აჭდობს, შემოაჭდობს — მოჭდობა, შემოჭდობა; მოეჭდობის, შემოეჭდობის — შემოჭდომა.

ჴელნი მუჴლთა მოუჭდობიან, ბას. კეს. სწავ. 111,8. გამოცემაშია: ჴელი, შდრ. იქვე, გვ. 058. მოჭდობითა ჴელთაჲთა და შეუღლვითა ფერჴთაჲთა მოიღონებენ (ზ. სარჯველაძე, 1995, 147); დგიან ჴელმოჭდობით და მოწიწებით, იოვ. და ეფთ. 34,9.

მოვიდეს, ყელსა მოეჭდვნეს, ვეფხ. 1624,4. სამწუხაროდ, სიმფონიაში გაპარულა კორექტურული შეცდომა: მოეჴვნეს. შდრ. იქვე, გვ. 037). მწადდა, მაგრა ვერ შევჰმართე შემოჭდომა, შემოხვევა, ვეფხ. 546,4.

31. ხლდების, გამოხლდების, შეხლდების — ხლდომა, გამოხლდომა, შეხლდომა. ნახე კიდევ: ვლა — ვლდომა.

ვითარცა კრავნი, ხლდებოდეს, სიბრძ. სოლ., ით, 9; ასევე: სინ. მრ. 24,20; გამოხლდნა, ქრესტ. II,18,9.

იოვანე ხლდომით გუახარებდა, სინ. მრ. 24,15; ხლდომით ვიდოდა, ვითარცა ქურციკი, დავ. გარეჯ. 236,2; ხლდომაჲ საცხოვართაჲ, სიბრძ. სოლ., იზ, 18; შეხლდომაჲ, ექ. დღ. 130,17.

აქტივი ამ ფორმისათვის იგივეა, რაც „ვლდომა“ ზმნისთვის. ვარაუდობენ, რომ ხლდომა ← ვლდომა (← ვალ-ედ-ომ-ა). „ხ განვითარებულია ვ-ს წინ... შემდეგ ვ დაკარგულა“: ვლდომა → ხვლდომა → ხლდომა, რომლისაგანაც მივიღეთ „ხტომა“: ხლდომა → ხდომა → ხტომა (ლ. კიკნაძე, 1946, 176).

32. (და)ახუედრებს, შეახუედრებს — დახუედრება, შეხუედრება; დახუედების, შეხუედების — დახუდომა, შეხუდომა.

ნუ შრომასა მახუედრებ მე, ლ. 11,7; შრომასა შემახუედრებს მე, ლ. 18,5; დაიხუედრა... სიტყჳს-ყოფად მის თანა, ბალავ. 27,30.

სული მხუედა მე კეთილი, სიბრძ. სოლ. 8,19; არა დახუდეს ამას საქმესა, ოქროპ. ცხ. 13,34; ვითარცა მიხუდებინ, იოვ. და ეფთ. 38,1; მოჰხუდეს, ბალავ. 17,35; შემხუდა, მ. 27,19C.

თანა-დახუდომაჲ (= დასწრება; შესწრება): ღირსცა იქმნა... თანა-დახუდომად, ოქროპ. ცხ. 108,9; დახუდომილი (= დამსწრე), იქვე, 134,20;

შეხუდომა (= შეხვედრა): იყო დაწყებაჲ შეხუდომისა მათისაჲ ნატრაჲ მათი, შატბ. 110,24; ასევე: იქვე, 112,5; ექ. დღ. 100,3.

33. განჰვდის, გარდამოჰვდის, გარე-წარჰვდის, შთაჰვდის — განვდაჲ (= გაყვანა, გაძევება), გარდამოვდაჲ, გარე-წარვდაჲ (= აცილება), შთავდაჲ;

განვდების, გარდამოვდების, გარე-წარჰვდების, შთავდების — განვდომაჲ, გარდამოვდომაჲ, გარე-წარვდომაჲ, შთავდომაჲ.

განვადეთ ბნელსა მას, მ. 25,30; განვადე ეგე სახლისა შენისაგან, ბას. კეს. თხზ. 238,38; გარდამოვადა ადამ, ქრესტ. II,29,37; ესე სიტყუაჲ გარე-წარვივადოთ ვითარცა სიზმარი, ექ. დღ. 51,6; სიბერე მისი შთავვადო (= ჩავიყვან) სალმობით ჯოჯოხეთა, ტობ., გ, 10.

აქტივის ფუძეა ვად, პასივისა — ვედ.

აქტივის საწყისი: ვერ უძლეთ მას განვდად, მრ. 9,28; ასევე: მ. 17,19C; ლ. 13,16C...

პასივი: მოუვდების, ოქროპ. ცხ. 52,34; აღვდა საფსალმუნეთა ზედა, იქვე, 92,22; განვდა ჰამბავი, მრ. 1,28; გარდამოვვედ ზეცით, ი. 6,38; რაჲთამცა გარე-წარჰვდა მას ჟამი იგი, მრ. 14,25C; სხუაჲ უადრჱს ჩემსა შთავდის, ი. 5,7C.

საწყისი: რომელთა უყუარნ ურთიერთას წარვდომაჲ (= წასწრება) მთრვალობითა, ბას. კეს. სწავ. 186,4-5; არა თჳთ სოფლისა წარვდომასა იტყჳს (ზ. სარჯველაძე, 1995, 264); გარდამოვდომა-ს გვავარაუდებინებს გარდამოვდომილი, უდაბ. 143,27; ხოლო მოვდომა-ს — მოვდომილი (ზ. სარჯველაძე, 1995, 147); „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება გარდახდომა: უხარის მათ გარდახდომა ჰირისა (1450,2). ვ არ გვხვდება არა მხოლოდ ამ გამოცემაში, არამედ იშვიათია ვახტანგ VI-ის პირველ ნაბეჭდ ტექსტშიც (იხ. ვახტ. ჩუმ); ასევეა: წარხდომა კაცისა, ვითა დევისა (98,2; ვახტ. უთ); ბოლოდ მისი არ-წახდომა (1544,4; ვახტ. ჩფლგ, 4). ამის შესახებ იხ. ვეფხ., ვახტ., 1975, 344-345.

ვედ სვლის აღმნიშვნელი უძველესი ფუძეა. ის დაცულია სვანურშიც იმავე მნიშვნელობით: ლიჟედ. მისი პირიანი ფორმები ხშირია ძველ ძეგლებში, მაგრამ საწყისი (და მიმღეობაც) იშვიათად გვხვდება; ლექსიკონებშიც ასეთივე ვითარებაა: სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია შესაბამისი **-ომ**-იანი საწყისი, მაგრამ ისინი დოკუმენტურად დამოწმებული ჩვეულებრივ არ არის. ამ მხრივ გამონაკლისია უზმნისწინო „ჴდომა“, რომელიც საძებნელი არ არის და რომლის გადატანითი მნიშვნელობაა „მტრულად მისვლა“: წინააღმდეგობა, ბრძოლა; დავა, კამათი. ჰვდებით ურთიერთას, მრ. 9,16C; ამას ჴდომით ჰყოფდა, უდაბ. 154,24; ასევე: დაბ. 49,5; სინ. მრ. 128,2; 72,5; ლ. 2,34C; საქმე, 15,22; და სხვა.

სამაგიეროდ უფრო ხშირი და გავრცელებულია „ვალ“ ფუძის საწყისი, რომელსაც დაერთვის ყველა ზმნისწინი: სლვაჲ, მისლვაჲ, მოსლვაჲ, აღსლვაჲ, განსლვაჲ და სხვა.

ფორმით ერთმანეთთან ახლოა „ვედ“ და „ხუედ“ ფუძის ზმნები: დაჰვდების — დახუდების, დაჲდომა (მზისა = ჩასვლა) და: დახუდომა (= შეხვედრა,

დასწრება); მიჴდომა (= მისვლა) — მიხ(უ)დომა (= შეხვდომა): წყევაჲ არა მიუჴდეს (= არ მიუვა); ოდეს მიხუდის ცვაჲ, ვითარცა მიხუდებინ (= როცა შეხვდება); მოჴდომა (= მოსვლა, მოახლოება): ვინაჲთ მოჴდა ესე აქა? შდრ.: ყველაი თქუენ მოგჴდომია; სამართლისა შენ მოხდომა (= შეხვდომა, წილად რგება) და სხვა.

ჴ-სა და **ხ**-ს აღრევის შემდეგ, აგრეთვე **უ** (/ **ვ**)-ს დაკარგვის შემთხვევაში მათი გარჩევა ძნელია, რამაც, როგორც ჩანს, განაპირობა სალიტერატურო ენაში „ჴედ“ ფუძის დაკარგვა.

34. აჴენს (← *აჴდენს) / აჲენს, დააჴენს (← *დააჴდენს) — დაჴენა, / დაჲენა;

ჴდების, აღჴდების, დაჴდების — ჴდომა, აღჴდომა, დაჴდომა.

აქტივის ფორმები ძველ ქართულში არ ჩანს. აჴენს / აჲენს, დააჴენს / დააჲენს — დაჴენა / დაჲენა ჩვეულებრივია დასავლურ დიალექტებში, კერძოდ, გურულში: როდის დააჴენ სტუმრებს; დააჴინე (/ დააჲინე) სტუმარი... (იხ. კიდევ: ვ. თოფურია, 1940, 534 = ვ. თოფურია, 1979, 74; შდრ. ა-წვ-ენ-ს — (და)-ა-წვ-ინ-ა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, 276).

პასივის საწყისის ფორმებია: შინა ჴდომისათჳს უძლურ, უდაბ. 102,20; არცა მჴედარი აღჴდომად ცხენსა, გობრ. 179,13; ჴერ-იჩინა დაჴდომაჲ, სინ. მრ. 132,10; ზემოჴდომაჲ, მრ. 12,39DE; წინაჴდომაჲ, მ. 23,6D...

რომელი ვნებითის საწყისია **-ომ** სუფიქსიანი ფორმები? ამ ზმნათა უმეტესი ნაწილი ე. წ. უნიშნო ვნებითებია. არსებობს ვარაუდი, რომ ზოგიერთი მათგანის ფუძეში არსებული **-დ** (< ედ) წარმოშობით ვნებითის მაწარმოებელი სუფიქსია. კერძოდ, გამოყოფილია ზმნები: ჴდების, სხდებიან, მისწუდების, ჰხუდების (ჰხუედა), კუდების, ჴდების, ხლდების, ცთების (← ცედ-ების), შთების (← შედ-ების). მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ზმნათა ფუძეში არსებული, „ამჟამად ძირისეულად გამოცხადებული **-დ** (← -ედ) ისტორიულად ვნებითის ფორმანტი უნდა იყოს“ (ვ. თოფურია, 1940, 534-536; 1979, 74-76). აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ედ** ზმნურ ფუძეებთან იყო დაკავშირებული უპირატესად: „ვნებითის საწარმოებლად -(ე)'**ნ** ბოლოსართთან ერთად -(ე)'**დ**-იც იყო გამოყენებული ძველ ქართულში, -(ე)'**ნ** გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო — (ე)'**დ** ზმნის ფუძეებთან. უკანასკნელი ადრიდანვე ძირისეულადაა ქცეული: ჴედ, სხედ, წუედ და სხვ.“ (იქვე, 76; იხილეთ აგრეთვე: არნ. ჩიქობავა, 1942, 122).

ამათ მიემატება აგრეთვე აღ-ვლ-დ-ების, უნ-დ-ების(?)... ლ. კიკნაძის აზრით, იქნებ „ვრდომ-ის ძირი **ვარ-** და ვლდომი-ის **ვალ** ერთი და იგივე იყოს წარმოშობით. განსხვავებას ქმნის ის, რომ პირველშია **-რ-**, მეორეში — **-ლ**. ეს ფონეტიკური განსხვავებაა და მის ნიადაგზე მომხდარი შინაარსობლივი დიფერენციაცია მეორეული მოვლენა უნდა იყოს“ (ლ. კიკნაძე, 1946, 176).

რამდენიმე ზმნა **ე-** პრეფიქსიანია: ებრკუმების (/ უბრკუმების), ერგების, განერების, შეეწყუდევის (შდრ. ახ. ქ. მოემწყვდა), მოეუდობის.

ერთი ზმნა **ი-** პრეფიქსითაც გვხვდება და **-ნ** სუფიქსითაც: განივრცობის / განვრცნების.

საკუთრივ უნიშნო ვნებითებია: შეუბრკუმების, აღდგების, დაადგრების, განვარდების (?), განზრქების, წარსთქრების, განჰკრთების, დაშურების, დასცხეების, განსცხრების, დასცხრების, მოსცხრების, განძურების, განძღების, უძღუების, უწყრების.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ **-ომ** სხვადასხვა ტიპის ვნებითების საწყისში გვხვდება. ის წარმოშობით უნდა იყოს I სერიის მწკრივთა თემის საწარმოებელი ისეთივე სუფიქსი, როგორიც არის -ებ, -ობ, -ავ, -ამ და მისთ. (ვ. თოფურია, 1936, 228; ლ. კიკნაძე, 1946, 171). ეს სუფიქსი ძველ ქართულში გვხვდება ძირითადად გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოებ ნაზმნარ სახელებში — საწყისსა და მიმღეობაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ამ სახელებში გვარის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს. ასეთ გაგებას თითქოს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ **-ომ** სუფიქსი საწყისთან ერთად მიმღეობაშიც იხმარება, ამ უკანასკნელში კი გვარზე მიუთითებს თვით ამ ნაზმნარი ზედსართავი სახელის მაწარმოებელი აფიქსები (დასხდომ-ილ-ი, აღდგომ-ილ-ი, დაჯდომ-ილ-ი...). ნიშანდობლივია, რომ ახალ ქართულში ამ ტიპის ზმნათა მიმღეობები სხვა სახის წარმოებაზე არიან გადასული: ამდგარი, დამსხდარი, დამჯდარი...

ყურადღებას იქცევს საწყისისა და მიმღეობის ფორმობრივი მსგავსება. მათ მრავლად აქვთ საერთო ელემენტები: თემის ნიშნები, ფუძე, თავსართები თუ ბოლოსართები. საერთოა ზოგიერთი მაწარმოებელიც (მაგ., -ილ, -ულ სუფიქსები...).

საიდან იწარმოება საწყისი და მიმღეობა? ივარაუდება, რომ მათთვის ამოსავალია პირიანი ზმნა და რომ საერთო ელემენტებიც პირიან ზმნასთან არის დაკავშირებული. მაგრამ საწყისისა და მიმღეობის ფორმებში არის ზოგიერთი ისეთი სეგმენტი, რაც მათ აშორებს (განასხვავებს) პირიანი ზმნისაგან. უპირველეს ყოვლისა, ესენია საწყისისა და მიმღეობის მაწარმოებლები. ამ უკანასკნელთა მიხედვით ისინი ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ერთი მათგანის (კერძოდ, საწყისის) მაწარმოებელი მეორეშიც (მიმღეობაში) იჩენს თავს. მხედველობაში გვაქვს საწყისის თავსართები, როგორიცაა **ს-, სა-**, რომლებიც მიმღეობაშიც გვხვდება. მაგალითად: ს-ლვა და: გან-ს-რული, გარდამო-ს-რული, მი-ს-რული... ამათგან **ს-** გადასულია მესამე სერიის პირიან ფორმებში: მოსულა, მომსვლია...

ს- თავსართი მიმღეობაში გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: ს-რბაჲ, მო-ს-რბაჲ, წარ-ს-რბაჲ და: წინა-მ-ს-რბოლი. შდრ. წინა-მორბედი. ს-ყიდაჲ, გან-ს-ყიდაჲ, მი-ს-ყიდაჲ, მო-ს-ყიდაჲ და: მ-ს-ყიდელი, გან-მ-ს-ყიდელი, მო-მ-ს-ყიდელი, სა-ს-ყიდელი...

ასეთივე ვითარებაა **სა-** პრეფიქსის გამოყენების დროსაც: სა-არებაჲ (= ტანჯვა. შდრ. ვიარები ცეცხლის ალსა) და: სა-არებული; აღ-სა-არება (/ აღ-სა-რება) და: აღ-მ-სა-არებელი, აღ-სა-არებული (იხ. კიდევ: ლ. ბარამიძე, 1976, ა, 67-68; 70-71).

როგორ შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა? **ს-, სა-** ზემოთ აღნიშნულ ფორმებში მიმღეობის მაწარმოებლად ვერ ჩაითვლება, რადგანაც **ს-, სა-** ელემენტებ-

თან ერთად იქვე, მოცემულია მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებიც (თავსართები, ბოლოსართები თუ ორივე ერთად). მაგალითად: **მ**-ს-ყიდ-**ელ**-ი, **სა**-სყიდ-**ელ**-ი, ს-ყიდ-**ულ**-ი...

საფიქრებელია, რომ მიმღეობისათვის განსაზღვრულ შემთხვევებში ამოსავალია საწყისი, მიმღეობა საწყისის ფუძეს იყენებს (და არა შესაბამისი პირიანი ზმნისას). ამ ფუძეს მიმღეობის საწარმოებლად დაერთვის სხვადასხვა აფიქსი, რომლებიც განსხვავებულია გვარის მიხედვით. საწყისისაგან მიმღეობის წარმოება ქართულისათვის უჩვეულო არ არის. ასეთია, მაგალითად, ე. წ. მომავლის მიმღეობები: მოწევნადი, განქარვებადი, დავიწყებადი, განრყუნადი და მისთ. საზოგადოდაც სავარაუდოა, რომ აზროვნების განვითარების თვალსაზრისით სახელთაგან უფრო ძველია საგნის აღმნიშვნელი ლექსემები და მათი მსგავსი დატვირთვის მქონე მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები.

მაშასადამე, **-ომ** მიმღეობაში საწყისიდან უნდა იყოს გადასული და მას ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ფუნქცია აღარ გააჩნია; საწყისშიც მას ძველი ფუნქცია დიდი ხანია დაკარგული აქვს, რადგანაც შესაბამის პირიან ფორმებში ის აღარ გვხვდება: აღდგების — აღდგომა, დაჯდების — დაჯდომა... ასეთ შემთხვევებში აფიქსი ან იკარგება, ან ფუნქციას იცვლის. აშკარაა, რომ **-ომ**, **-ოლ** სუფიქსები გარდაუვალ ზმნებთან არის დაკავშირებული, ამასთან განსხვავებული გვარის ფორმებში იხმარებიან (**-ოლ** საშუალი გვარის ზმნებში, **-ომ** — ვნებითში) და ქმნიან ოპოზიციურ წყვილებს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე კრთომა — კრთოლა, ბრკომა — ბრკოლა ფორმების არსებობა: კრთის — კრთოლა, შეკრთების — შეკრთომა. ბრკოლა-ს შესატყვისი საშუალი გვარის პირიანი ფორმა აღარ ჩანს, ამიტომ ის უკვე ძველ ქართულშივე ან გამოყენებულია ბრკომა-ს პარალელურად, ან კიდევ როგორც მთლიანი ფუძე ახალ ფორმათა საწარმოებლად: დააბრკოლებს — დაბრკოლდა.

-ომ, **-ოლ** აფიქსებმა, როგორც ჩანს, განივითარეს ახალი ფუნქცია და ეს არის გვარის გამოხატვა. ეს ფუნქცია მათ უძველეს ძეგლებშივე აქვთ, სადაც აღნიშნული აფიქსები ძირითადად ნაზმნარ სახელებში იხმარება, ისევე როგორც ახალ ქართულში. ამაზე მინიშნება არსებობს ლიტერატურაში, როგორც ზემოთაც იყო მითითებული (ა. ჩიქობავა, 1956, 513-514; 516-517). ახალი ქართულის ტყდომა, სკდომა-ში **-დ** წარმოშობით ვნებითის მარკერია, შდრ. განტყდების, *განხთქდების (→ განჰთქდების → განსთქდების → გასკდება). მაგრამ ვნებითის საწყისის ფორმებში არც ტეხ ფუძე ჩანს და არც ხეთქ, იმდენად არის ფონეტიკურად სახეცვლილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ხეთქ ფუძის შესახებ. ვნებითის ტყდ და სკდ უკვე აღარ იშლება და **-დ** მხოლოდ ისტორიულად არის გვარის მარკერი ამ ფუძეებში. რაც შეეხება წყვეტა — წყდომა-ს, ძველ ქართულში გვქონდა წყუედა — წყდომა, სადაც ვნებითი სწორედ **-ომ** სუფიქსით გამოირჩევა. ახალ ქართულში ამას კიდევ დაემატა ერთი განმასხვავებელი ნიშანი: მოქმედებითის ფუძეა წყუეტ, რომელიც ფონეტიკური ცვლილების შედეგია, რამაც გვარის მიხედვით დაპირისპირება უფრო გამოკვეთა. მოსალოდნელი იყო, რომ ფონეტიკური ცვლილება ვნებითის ფორ-

მაში მოხდებოდა: წყდ → წყტ. ალბათ ფორმათა დაპირისპირების საჭიროებამ განსაზღვრა ეს ცვლილება მოქმედებითში.

იგივე უნდა ითქვას იმ ფუძეებზე, რომლებშიც ვნებითის ისტორიული მარკერი **დ** (← ედ) ფუძეშია გადარიცხული. მათი მოქმედებითისა და ვნებითის საწყისებს შორის ოპოზიცია სწორედ **-ომ** სუფიქსს უკავშირდება.

XIII. ვნებითი გვარის რამდენიმე საწყისის საკითხისათვის ძველ ქართულში

სპეციალურ ლიტერატურაში ზმნათა ერთი მცირე ჯგუფის მოქმედებითის საწყისებთან ერთად ხშირად იმოწმებენ ვნებითის შესაბამის **-ომ** სუფიქსიან ფორმებს. ესენია 1. **დრეკა (გან-, და-, მი-, მო-, შე-...) — დრკომა** (ზმნისწინები აქაც და ქვემოთაც ორივე გვარის ფორმებს ჩვეულებრივ ერთნაირი აქვთ, ამიტომ ვნებითში აღარ გავიმეორებთ); 2. **ტეხა (აღ-, გან-, მი-, მო-...) — ტყდომა**; 3. **შრეტა (აღმო-, და-...) — შრტომა** (→ შტომა); 4. **წუუედა (აღ-, აღმო-, გან-, და-, მი-, მო-...) — წყდომა**; 5. **ხეთქა (გან-, და-, მი-, მო-...) — ხთქდომა**.

ეს ფორმები მოჰყავთ როგორც საწყისში აქტივისა და პასივის დაპირისპირების ნიმუშები (ი. და ვ. იმნაიშვილები, 1996, 568-576), მაგრამ ძველი ქართული ენის ძეგლებიდან არც ერთი მათგანი არ არის დამოწმებული. ძველი ქართული ენის ლექსიკონებშიც, სადაც სალექსიკონო ერთეულად საწყისია გამოტანილი, ჩვეულებრივია ზემოაღნიშნული **-ომ** სუფიქსიანი ფორმები, მაგრამ ყველგან ლაპარაკია პირიან ზმნებზე, დოკუმენტურად დამოწმებული საწყისი კი არ ჩანს. ყურადღებას იქცევს ავტორთა არათანმიმდევრულობა აღნიშნული საწყისების სალექსიკონო ერთეულებად გამოყენების დროს.

ილ. აბულაძეს (1973 წ.) ვნებითის პირიანი ფორმები ხან მოქმედებითის საწყისთან მოჰყავს, ხან — ცალკე და ამ უკანასკნელ შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულებად მოცემულია აღნიშნული **-ომ** სუფიქსიანი ფორმები. მაგალითად, ცალკეა მოცემული: ა ღ ტ ყ დ ო მ ა (// ატყდომა / აღდყდომა), მ ო ტ ყ დ ო მ ა და მოყვანილია ვნებითის მხოლოდ პირიანი ფორმები (აღტყდებით..., მოსტყდა...), სხვაგან კი მოქმედებითის საწყისთან არის მოყვანილი აქტივიც და პასივიც (განტეხა: განტეხოს და განტყდა; გარდატეხა: გარდასტეხენით და გარდასტყდეს...).

ასევეა სხვა შემთხვევაშიც. ერთი მხრივ, მოცემულია: წ ყ უ ე დ ა (ამო-, გან-, გარდა-, და-, მო-), მეორე მხრივ, წ ყ დ ო მ ა / წ ყ უ დ ო მ ა (გან-, და-, მო-), მაგრამ საწყისები მოყვანილია მხოლოდ აქტივისათვის, **-ომ** სუფიქსიანი არ ჩანს, არამედ მხოლოდ პირიანი ფორმებია დამოწმებული: „გაწყდომა" — გაწყდეს (= გადაწყვეტა); ცალკეა გამოტანილი „გაწყდომა" (არა გასწყდებოდა შეკრებად = შეწყვეტა?); „დაწყდომა" (წყალი დასწყდეს); „მოწყდომა (მახვლითაცა მოწყდენ). საწყისი აქაც არ ჩანს, არ არის დამოწმებული.

საყურადღებოა, რომ „დრეკა" (გან-, გარდა-, და-, მი-, მო-, შე-), „ხეთქა" (გან-, და-, მი-, მო-) და „შრეტა" საწყისებთან თავმოყრილია როგორც აქტივის, ისე პასივის პირიანი ფორმები.

ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში (ი. იმნაიშვილი, 1986) არ არის ცალკე გამოტანილი მიდრკომა, დაშრტომა, განსთქდომა, არამედ ვნებითის პირიანი ფორმები მოქმედებითის საწყისთან არის მოცემული შესაბამისად: მიდრეკა, დაშრეტა, განხეთქა. გამონაკლისია „აღტყდომა" (ნუ აღტყდებით) და „მოწყდომა" (მოწყდეს ყოველნი). საწყისი კი არ გვაქვს.

ზ. სარჯველაძის ლექსიკონშიც (1995 წ.) არ არის ცალკე გამოყოფილი „დრკომა“, „სთქდომა“, „წყდომა“, მაგრამ აქაც გამონაკლისია: „მიტყდომა“ (მისტყდებოდა ერი იგი) და „დაშტომა“ (სანთელნი ჩუენნი დაშტებიან(!)), თუმცა ძეგლებიდან არც ერთი მათგანი არ არის დამოწმებული.

„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაშიც ასეთივე ვითარებაა. უზმინისწინო „დრეკა“ პოემაში არ არის, პასივის პირიანი ფორმისთვის მოცემულია „დრკომა“ (მკლავი არ უდრკებოდა, 1042,4); „დადრეკა“-სთან მოყვანილია დასდრეკდა და დადრკა; ასევეა „მოდრეკა“ (მოდრიკა და მოდრკა), მაგრამ ცალკეა გამოტანილი სალექსიკონო ერთეულად მიდრკომა (მზე მიგვიდრკა) და შედრკომა (არ შეუდრკების), რომელთა აქტივის ფორმები პოემაში არ გვხვდება, არ არის პოემის ტექსტში არც მითითებული **-ომ**-იანი საწყისები.

ტეხა პოემაში არ გვხვდება, არის ზმნისწინიანი ფორმები: ატეხა, გატეხა, მოტეხა. გატეხა-სთან მოყვანილია გასტეხს და: გატყდების, გამიტყდა; მაგრამ ცალ-ცალკეა ატეხა (ატეხილ-თან) და ატყდომა (და მთათა ატყდეს ღვარია). ასევეა: მოტეხა (მოსტეხა, ყელ-მოტეხით) და: მოტყდომა (მოსტყდეს ფრთენია; მოატყდა მჭვრეტელი); დატეხა არ გვხვდება, გარდაუვალი ფორმისთვის კი მოცემულია დატყდომა (დამტყდეს ცანი).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლექსიკონში **-ომ** სუფიქსიანი საწყისი ცალკე ერთეულად მაშინ არის მოცემული, როცა პოემაში მხოლოდ პასივის ფორმები გვხვდებაო, მაგრამ არის ამ წესიდან გადახვევაც.

ცალ-ცალკეა მოცემული აქტივის დაშრეტა (ვერ დამშრეტ) და პასივის დაშრტომა (და-ცა-შრტების).

ასეთივე ვითარებაა წყვედ (← წყუედ) ფუძესთან დაკავშირებითაც: გარდაწყვედა (გარდასწყვედს) — გარდაწყდომა (იმედი გარდამიწყდების); ამოწყვედა (ნუ ამოგვწყვედ) — ამოწყდომა (ამოწყდა მათი ყველაი); მოწყვედა (ვერ მოსწყვიდნა თუალნი) — მოწყდომა (არ მოსწყდების), უკმოწყდომა (უკმო-რე-სწყდა).

ზემოთ დასახელებული **-ომ**-იანი საწყისები (დრკომა, ტყდომა, შრტომა, წყდომა) პოემის ტექსტში არ გვხვდება. ისინი არც ძველ ქართულში არ უნდა გვქონოდა. მათი არსებობის შესახებ (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია) ვერ ვილაპარაკებთ ვერც ძეგლებისა და ვერც სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. ამათ ემატება *ხთქდომა / *სთქდომა. საფიქრებელია, რომ ისინი შემუშავებულია მოგვიანებით სხვა **-ომ**-იანი საწყისების ანალოგიით. ამ მხრივ საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში სალექსიკონო ერთეულებად გამოტანილი გამოძრწომა (გამოძრწა და გამომელდა; შდრ. ძრწის — ძრწოლა) და დაცვთომა (ხრმალი ჩემი დააცვთების), რომლებიც ძველ ქართულში აგრეთვე არ ჩანს.

როგორც ჩანს, საწყისის ფორმაში ვნებითობის გაგება **-ომ** სუფიქსს უკავშირდება. მისი მონაწილეობით არის შექმნილი ვნებითის საწყისის მოდელი და, როცა საწყისში ვნებითი გვარის გამოხატვის საჭიროება არსებობს, ამ მოდელს მიმართავს ენა. ვფიქრობთ, ეს მოდელი ძველ ქართულში-

ვე არის შემუშავებული. შესაძლოა, რომ მას ძირითადად იყენებდნენ ზმნის ფუძიდან წარმოქმნილი ვნებითების საწყისის საწარმოებლად. შდრ. ნასახელარი „გამომელდა“, რომელიც შინაარსით ახლოსაა „გამოძრწა“-სთან, მაგრამ მისი საწყისი სხვაგვარად არის გაკეთებული: გამომელება.

დაისმის კითხვა: რა დროიდან შემოდის ხმარებაში ვნებითის ზემოაღნიშნული **-ომ**-იანი საწყისები (დრკომა, ტყდომა, შრტომა, წყდომა, სთქდომა / სკდომა)? შეიძლება არ იყოს შემთხვევითი ის გარემოება, რომ სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ს. იორდანიშვილისეულ 1949 წლის გამოცემაში ზემოაღნიშნულ ფუძეთა მხოლოდ აქტივის შესაბამისი საწყისები გვხვდება (დრეკა, შდრ. დრეკილი, დადრკა, მიდრკა... ატეხა, განტეხა, დატეხა, მოტეხა, გარდატეხა... შრეტა, დაშრეტა, შდრ. დასაშრეტი... განწყუშტა, მოწყუშდა, მოწყუშტა... ხეთქა, განხეთქა, დახეთქილი....). ვნებითის შესატყვისი **-ომ**-იანი საწყისები თითქოს არ ჩანს. საინტერესოა, რომ მოსალოდნელი „დაშრტომის“ ნაცვლად ცალკე მოცემულია პირიანი ფორმა: დაშრტენ; ასევე „გასთქდომის“ მაგიერაც გამოტანილი არის პირიანი ფორმა: განსთქდა (საქმე, 1,18).

ვნებითის სხვა ფუძეთა **-ომ**-იანი საწყისის ფორმები კი ჩვეულებრივია საბას ლექსიკონში. ასეთია, მაგალითად: აღდგომა, დადგომა, ვლდომა, განვრდომა, განვრცომა, დაშთომა, თქრომა, დაშრომა, გამოკრთომა და სხვანი.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი. საბას ლექსიკონში მითითებულია ერთი, არცთუ მთლად ჩვეულებრივი, **-ომ**-იანი ფორმა: დაღრომა. დაღრომა — მცირედ მოწყენა; დაღრეჯა — დიდად მოწყენაო — ამბობს საბა.

„დაღრომა“ / „დაღრობა“ დღეს დიალექტური ერთეულია და „დაჭკნობა“-ს ნიშნავს. საბას წიგნში კი ის უნდა იყოს იგივე, რაც „დაღვრემა“, „დაღვრემილი“.

ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების სიმფონიების უქონლობის პირობებში მაინც ძნელია იმის მტკიცება, რომ „დრკომა“ და მისთ. მართლაც არ იყო ძველ ქართულში, თუმცა დაეჭვების საფუძველი, როგორც ვნახეთ, არსებობს.

მეოთხე ნაწილი

სხვადასხვა

XIV. ნაწევრისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება საშუალ ქართულში

როგორც ცნობილია, ჩვენებით ნაცვალსახელებს ესე, ეგე, იგი-ს ძველ ქართულში აქვს რამდენიმე ფუნქცია: 1) საკუთრივ ჩვენებითია, 2) ნაწევარია, 3) პირის ნაცვალსახელია[1] ან 4) დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს იმავე მნიშვნელობით, როგორიც აქვს ცა ნაწილაკს. პირველსა და მეორე შემთხვევაში ის სახელთან იხმარება, სახელს ახლავს და მის განსაზღვრებას წარმოადგენს. ჩვენებითი ნაცვალსახელი მიუთითებს, უჩვენებს არსებითი სახელით აღნიშნულ საგანს, ნაწევარი კი საზოგადო არსებით სახელს დაერთვის ჩვეულებრივ და მრავალ ერთნაირ საგანთაგან, რომელთაც ეს სახელი აღნიშნავს, გამოარჩევს ერთ-ერთს ან მიუთითებს უკვე ნაცნობ საგანს. ასეთი სახელი გარკვეულია, განსაზღვრულია.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ესე, ეგე, იგი (ისი), თუ ისინი ნაწილაკის ფუნქციით არ არიან გამოყენებული, იბრუნვიან. ძველ ქართულში მათი ბრუნების თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს, ცალკეა აღებული ჩვენებითი (პირის) ნაცვალსახელი, თუ სახელს ახლავს. მაგალითად: ესე, ამან, ამას, ამის, ამით; ეგე, მაგან, მაგას, მაგის, მაგით; იგი, მან, მას, მის, მით და სხვა. ეს ნაცვალსახელები სახელს შეიძლება უძღოდეს (ჩვენებითია ან ნაწევარი), ან კიდევ მოსდევდეს (ნაწევარი). ბრუნებაზე ესეც ვერ ახდენს გავლენას. მაგ.:

კაცი ესე და ესე კაცი
კაცმან ამან, ამან კაცმან
კაცსა ამას, ამას კაცსა
კაცისა ამის, ამის კაცისა
კაცითა ამით, ამით კაცითა და სხვ.

ცნობილია, რომ ასეთივე ვითარება გვაქვს ძველ ქართულში მსაზღვრელი სახელების ბრუნების დროს, კერძოდ ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად ერთნაირია. ამ შემთხვევაშიც წინ დასმული და მომდევნო მსაზღვრელი ორივე სრულად იბრუნვის. მაგ.: სათნოჲ, სათნომან, სათნოსა, სათნოჲსა... და: კაცი სათნოჲ, კაცმან სათნომან, კაცსა სათნოსა, კაცისა სათნოჲსა... ასევე: სათნოჲ კაცი, სათნომან კაცმან, სათნოსა კაცსა, სათნოჲსა კაცისა...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია მომდევნო, ანუ პოსტპოზიციური მსაზღვრელი, ის იხმარება

[1] ეწყობა ზმნას სუბიექტად ან ობიექტად.

უპირატესად, სჭარბობს (ა. შანიძე, 1973; ა. ჩიქობავა, 1950, 046; ი. იმნაიშვილი, 1957, 545; ც. კალაძე, 1961, 97), თუმცა საკმაოდ გვხვდება პრეპოზიციაც მსაზღვრელისა. ახალ ქართულში პირიქით — გაბატონდა, მთავარია პრეპოზიცია მსაზღვრელისა, ესაა ნორმა. მაშასადამე, მსაზღვრელის ადგილის თვალსაზრისით, ძველ ქართულთან შედარებით, მოხდა დიდი ძვრა. ამასთან არის დაკავშირებული ის ცვლილებები, რომლებიც მსაზღვრელის ბრუნებაში გვაქვს ახალ ქართულში (ა. ჩიქობავა, 1950, 047-048). უშუალოდ საზღვრულის წინ მოთავსებული მსაზღვრელი ან სულ უბრუნველი გახდა (როცა ხმოვანფუძიანია), ან იბრუნვის, მაგრამ ბრუნვათა ფორმები გარკვეულ შემთხვევებში სრული არ არის, რადგან მათ ჩამოკვეცილი აქვთ ბრუნვის აფიქსები მთლიანად ან ნაწილობრივ (ა. შანიძე, 1973, 82-87; ა. ჩიქობავა, 1950, 046-048). ცალკე აღებული ეს სახელები კი ბრუნების მიხედვით არსებითი სახელებისაგან არ განსხვავდებიან.

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელებიც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა მათი ადგილი შესიტყვებაში, შემდეგ გამარტივდა ბრუნება. როცა მსაზღვრელი ჩვენებითის ადგილის შეცვლაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ნაწევარი, რომელიც ჩვეულებრივ მოსდევს სახელს. საკუთრივ ჩვენებითი კი ძველ ქართულშიც პრეპოზიციური იყო.

აღნიშნავენ, რომ „ძნელია ჩვენებითი ნაცვალსახელისა და ნაწევრის გამიჯვნა... ერთადერთი ნიშანი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ ისინი, მათი რიგია: როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი, ესე, ეგე, იგი ჩვეულებრივ სახელის წინ იხმარება, როგორც ნაწევარი — სახელის შემდეგ. მაგრამ განსაზღვრულ შემთხვევებში ნაწევარიც შეიძლება სახელის წინ მოგვევლინოს“ (ი. იმნაიშვილი, 1957, 563).[1] მიზეზიც იქვეა დასახელებული: ესაა მათი მსგავსება როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით. შინაარსით ორივესთვის ძირითადია მითითება კონკრეტულ საგანზე.

ნაწევარი სხვა ენებშიც მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან (მაგ., ძველ ბერძნულში, ძველ სომხურში...), მაგრამ შემდეგ მოხდა მათი გამიჯვნა ფორმის მიხედვით და შენარჩუნებულ იქნა ენაში ორივე (მაგ., იმავე ძველ ბერძნულსა და ძველ სომხურში). ეს, როგორც ჩანს, აუცილებელი პირობაა მათი თანაარსებობისათვის. ძველ ქართულში იყო ცდა, რომ ადგილის მიხედვით გარჩეულიყო ეს ორი ტიპის მსაზღვრელი (რადგანაც ფორმით ისინი აბსოლუტურად ერთია), მაგრამ ეს ცდა ბოლომდე მიყვანილი არ არის: ა) ნაწევარი მოსდევს სახელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სხვა სახის მსაზღვრელები არ ახლავს, ან თუ ახლავს, ისინიც მომდევნო არიან. ბ) ნაწევარი უძღვის სახელს, თუ მასთან ერთად მოცემულია ასევე წინ დასმული სხვა მსაზღვრელები (ი. იმნაიშვილი, 1955, 260; ც. კალაძე, 1961, 106).

თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაწევრის ადგილი რამდენადმე დამოკიდებულია სხვა მსაზღვრელთა პოზიციაზე: წინ დასმულ მსაზღვრელთან

[1] შდრ. ც. კალაძე. 1961, 86.

ნაწევარიც წინაა, მომდევნოსთან ისიც მომდევნოა. უეჭველია, რომ ის განიცდის ამ მსაზღვრელთა გავლენას.

შენიშნულია, რომ სამი ნაცვალსახელისაგან — ესე, ეგე, იგი — ნაწევრად ყველაზე ხშირად იგი იხმარება, ჩვენებით ნაცვალსახელად — ესე (ი. იმნაიშვილი, 1957, 563). მაგალითად, ჩვენებით ნაცვალსახელად ქართული ოთხთავის უძველეს რედაქციებში (როგორც სიმფონიიდან ჩანს, ი. იმნაიშვილი, 1948-1949), იგი 14 შემთხვევაში გვაქვს, ხოლო ნაწევრად გამოყენების 100-ზე მეტი მაგალითია მოყვანილი მხოლოდ სახელობით ბრუნვაში, ე.ი. იგი ჩვენებითად თითქმის არ იხმარება.

ესე, ეგე ხან პრეპოზიციურია და, თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენებითია, ხან — პოსტპოზიციური და — ნაწევარი.

უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი არ მოხერხდა ფორმობრივი განსხვავების დამყარება ჩვენებითსა და ნაწევარს შორის (ე.ი. ფორმის შეცვლა რომელიმე მათგანისათვის), ცდილან ამ ნაცვალსახელების დაყოფას ფუნქციის მიხედვით: იგი ნაწევრად იქნა გამოყენებული, ესე, ეგე-მ ჩვენებითის ფუნქცია შეინარჩუნა (შდრ. ა. ჩიქობავა, 1966, 27). მაგრამ არც ეს ცდაა ბოლომდე მიყვანილი: ესე, ეგე ნაწევრის დანიშნულებითაც გვხვდება (ი. იმნაიშვილი, 1955, 256).

ძველ ქართულ ოთხთავში გვხვდება მაგალითები, სადაც ერთი და იგივე ადგილი სხვადასხვანაირ ვითარებას გვიჩვენებს ნაწევრის პოზიციის თვალსაზრისით.

მიუგო ასისთავმან მან და ჰრქუა, მ. 8,8DE,
და მიუგო მან ასისთავმან და ჰრქუა, იქვე, C.
Შდრ. Καὶ ἀποκριθεὶς ὁ ἑκατόνταρχος ἔφη.

Պատասխանի ետ հարիւրապետն եւ ասէ.

სული ეგე არაწმიდაჲ, განვედ კაცისა მაგისგან, მრ. 5,8DE,
განვედ, სულო არაწმიდაო, მაგის კაცისაგან, იქვე, C.
... ἔξελθε τὸ πνεῦμα τὸ ἀκάθαρτον ἐκ τοῦ ἀνθρώπου.

Ել ա՛յսղ պիղծ ՚ի մարդոյ այտի.

რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს, ი. 1,8DE,
რაჲთა წამოს მის ნათლისათჳს, იქვე, C.
... ἵνα μαρτυρήσῃ περὶ τοῦ φωτός.

... զի վկայեսցէ վասն լուսոյն.

ეგევე ადგილი მეორდება (ი. 1,7) და იქაც ასევეა:
ესე კაცი არა არს ღმრთისაგან, ი. 9,16DE,
არა არს კაცი იგი ღმრთისა მიერ, იქვე, C,
... οὗτος ὁ ἄνθρωπος οὐκ ἔστι παρὰ τοῦ Θεοῦ.

... ո՛ւ է այրն այն յաստուծոյ.

რომელმან ჭამოს პურისა ამისგან, ი. 6,51C,
უკუეთუ ვინმე ჭამოს ამის პურისაგანი, იქვე, DE.
... ἐὰν τις φάγῃ ἐκ τούτου τοῦ ἄρτου.

Եթէ ոք ուտիցէ ՚ի հացէ յայսմանէ.

შენ დღეს ამას ღამესა ... სამ გზის უვარ-მყო მე, მრ. 14,30DE,

დღეს ღამესა ამას ... სამ გზის უვარ-მყო მე, იქვე, C.
... σὺ σήμερον ἐν τῇ νυκτὶ ταύτῃ ... τρὶς ἀπαρνήσῃ με.

... դու իսկ յայսմ գիշերի... երիցս ուրասցիս զիս.
რომელი ჭამდეს ამას პურსა, ი. 6,58DE,
რომელმან ჭამოს პური ესე, იქვე, C.
... ὁ τρώγων τοῦτον τὸν ἄρτον.

... որ ուտէ զհացս զայս, ი. 6,59.
არცა-ღა ესე წერილი აღმოგიკითხავსა, მრ. 12,10DE,
წერილიცა ესე არავე აღმოგიკითხავსა, იქვე, C.
Οὐδὲ τὴν γραφὴν ταύτην ἀνέγνωτε.

Եւ ոհ զգիրն զայն իցէ ընթերցեալ ձեր.
ხოლო ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძჱ კაცისაჲ მიეცეს, მ. 26,24DE,
ხოლო ვაჲ მას კაცსა, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის, C.
... οὐαὶ δὲ τῷ ἀνθρώπῳ ἐκείνῳ, δι' οὗ υἱὸς τοῦ ἀνθρώπου παραδίδοται.

... բայց վայ մարդոյն այնմիկ' յոյր ձեռս Որդի մարդոյ մատնեսցի.
თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, მ. 26,31DE,
ყოველნივე დაჰბრკოლდეთ ჩემდა მომართ ღამესა ამას, C.
... πάντες ὑμεῖς σκανδαλισθήσεσθε ἐν ἐμοὶ ἐν τῇ νυκτὶ ταύτῃ.

... ամենեքին դուք դայթակղելոց էք յինէն յայսմ գիշերի.
ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ ... თქუეს ურთიერთას, მრ. 12,7DE,
ხოლო მათ მოქმედთა... თქუეს, C.
Ἐκεῖνοι δὲ οἱ γεωργοὶ εἶπον πρὸς ἑαυτούς.

Իսկ մշակքն ... ասեն ցմիմեանս.
და იყო მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ, ლ. 2,1DE,
და იყო დღეთა მათ გამოჴდა ბრძანებაჲ, იქვე, C.
Ἐγένετο δὲ ἐν ταῖς ἡμέραις ἐκείναις, ἐξῆλθε δόγμα.

Եւ եղեւ ընդ աւուրսն ընդ այնոսիկ ել հրամանն.
რაჲ-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა, ლ. 24,18DE,
რაჲ იქმნა მას შინა დღეთა ამათ შინა, C.
... τὰ γενόμενα ἐν αὐτῇ ἐν ταῖς ἡμέραις ταύταις.

... զին- գործեցաւ 'ի նմա յաւուրսս յայսոսիկ.
აღდგა მარიამ ამათ დღეთა შინა და წარვიდა, ლ. 1,39DE,
აღდგა მარიამ დღეთა მათ და წარვიდა, C.
Ἀναστᾶσα δὲ Μαριὰμ ἐν ταῖς ἡμέραις ταύταις, ἐπορεύθη.

Յարուցեալ Մարիամ յաւուրսն յայնոսիկ գնաց.

მოყვანილი მაგალითების ერთი ნაწილი ბერძნულსა და სომხურში წარმოდგენილია ნაწევრითა და ჩვენებითი ნაცვალსახელით, ე. ი. ნაწევართან ერთად ჩვენებითი ნაცვალსახელიც გვაქვს (ე. დოჩანაშვილი, 1941, 212). ქართულში მათ შეესაბამება სახელი ერთი ნაცვალსახელით.

საინტერესოა, აქვთ თუ არა ასეთ შემთხვევებში ბერძნულისა და სომხურის ჩვენებით ნაცვალსახელებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, თუ ნაწევარს აძლიერებენ?

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ტექსტის პარალელური ფორმები ამ ენათა გავლენის მაჩვენებელია. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათ ქართულში? ტრადიციული გაგებიდან თუ ამოვალთ, პარალელური ფორმებიდან ერთი ნაწევარია (ღამესა ამას), მეორე — ჩვენებითი ნაცვალსახელი (ამას ღამესა). ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ქართული თანაბრად იგუებს ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად როგორც ნაწევარს, ისე ჩვენებით ნაცვალსახელს, რაც, თავის მხრივ, მათ დიდ სიახლოვეზე მიუთითებს.

მეორე მხრივ, ისიც დასაშვებია, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ყველგან ნაწევარი (ან ყველგან ჩვენებითი ნაცვალსახელი) იგულისხმებოდეს. მაშინ ყურადღებას მიიქცევს მათი თავისუფლება გამოყენების ადგილის თვალსაზრისით.

ადგილის მხრივ თავისუფლებას უნდა უჩვენებდნენ ის მაგალითებიც, რომლებსაც ბერძნულსა და სომხურში მხოლოდ ნაწევარი შეესაბამება: ნათლისა მისთჳს II მის ნათლისათჳს. შდრ. περὶ τοῦ φωτός; վասն լուսոյն. ასისთავმან მან II მან ასისთავმან და: ὁ ἑκατόνταρχος, հարիւրապետն.

ზოგჯერ ბერძნულ-სომხურში ორმაგად (ნაწევრითა და ჩვენებითი ნაცვალსახელით) განსაზღვრულ სახელს ქართულში მხოლოდ ნაწევრიანი სახელი შეესატყვისება, მაგრამ თუ კონტექსტს დავაკვირდებით, სახელის მომდევნო ნაცვალსახელს ჩვენებითის შინაარსი უფრო აქვს, ვიდრე ნაწევრისა: არქუ ქვათა ამათ, რაჲთა პურ იქმნენ, მ. 4,3. εἰπέ, ἵνα οἱ λίθοι οὗτοι ἄρτοι γένωνται.

ասա զի քարինքս այսոքիկ հաց լինիցին.

შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აღდგინებად შვილად აბრაჰამისა, მ. 3,9. შდრ. ἐκ τῶν λίθων τούτων; ի քարանցս յայսցանէ.

არა წარჯდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს, მ. 24,34. ἡ γενεὰ αὕτη; ո- անցցէ ազգս այս.

ჩვენებით ნაცვალსახელს მომდევნო პოზიცია რომ ეჭიროს, ამის მაგალითები სხვაც არის:

ყოველი ესე დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან, მ. 19,20C. შდრ. ეგე ყოველი დამიმარხავს, იქვე, DE. შდრ. πάντα ταῦτα ἐφυλαξάμην ἐκ νεότητός μου; զայդ ամենայն պահեցի ի մանկութենէ իմմէ.

უთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა, მ. 28,11DE.

... ἀπήγγειλαν τοῖς ἀρχιερεῦσιν ἅπαντα τὰ γενόμενα;

... պատմեցին քահանայապետիցն զամենայն որ ին- եղեւն.

ბერძნულსა და სომხურში ნაწევარი ან ჩვენებითი ნაცვალსახელი არ ახლავს უკანასკნელ მაგალითს. შდრ. C რედაქცია: მიუთხრეს ... ყოველივე, რაჲცა — იგი იქმნა. ამ შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელი კორელატი უნდა იყოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა, რომელიც ხან არის წარმოდგენილი, ხან კიდევ არა.[1] ასევეა: მ. 5,15; ლ. 1,25.

როგორც ცნობილია, პრეპოზიციურ მსაზღვრელიან სახელთან ნაწევარიც წინ გადმოდის. ეს არის ნორმა, მაგრამ გვაქვს აქედან გადახვევებიც (ი. იმნაიშვილი, 1955, 262-263; ც. კალაძე, 1961, 104):

ყოველი იგი თანა-ნადები მიუტევა მას, მ. 18,27D. შდრ. იქვე, E: ყოველი თანა-ნადები იგი; ასევე: მიმოქადაგებდეს ყოველსა მას ქუეყანასა, მ. 9,31DE. შდრ. მიმოდადვეს იგი ყოველსა ქუეყანასა მას, იქვე, C.

მსაზღვრელი ნაწევარი შედარებით თავისუფლებას გვიჩვენებს აგრეთვე მაშინაც, როცა ის ახლავს ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს. ხშირია შემთხვევები, როცა ნაწევარი მოსდევს ამგვარ სახელს:

განზრჩა გული ერისაჲ ამის, მ. 13,15.

უკჯრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ, ლ. 2,18DE.

მიყუარი სიძისაჲ მის, ი. 3,29C.

დღჱ იგი ერთ შაბათთაჲ მათ, ი. 2,19DE.

აღუხილნა თუალნი ბრმისანი მის, ი. 9,14C; ი. 11,37C.

იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის, ლ. 16,22DE.

წარმოადგინეთ ჩემ წინაშე კაცი ესე ვ~ა განმდრეკელი ერისაჲ მაგის, 23,14C.

კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის, მ. 27,51DE.

რაჲთა მოიღოს ნაყოფი ვენაჯისაჲ მის, მრ. 12,2.

იყო სახელი მონისაჲ მის მალქოს, ი. 18,10.

მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის, ლ. 12,46.

მაგრამ შეიძლება ნაწევარი ორმაგი ბრუნების მსაზღვრელის წინ გადმოვიდეს:

მოვიდა უფალი იგი მათ მონათაჲ, მ. 25,19DE.

ვის ვამსგავსნე კაცნი ესე ამის ნათესავისანი, ლ. 7,31.

მოიყვანა მამაჲ მის ყრმისაჲ, მრ. 5,40.

წარწყმიდნეს მოქმედნი იგი მის ვენაჯისანი, მრ. 12,9C.

გამოიკითხა ყამი იგი გამოჩინებისა მის ვარსკულავისაჲ, მ. 2,7.

შემდგომად ჰირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს, მ. 24,29.

დაადგინა იგი გოდოლსა ზედა მის ტაძრისასა, მ. 4,5C.

მოვიდა იესუ სახლსა მის მთავრისასა, მ. 9,23.

---

[1] მსგავსი დანიშნულება უნდა ჰქონდეს ნაცვალსახელს აქაც: მამაჲ იგი შენი რომელი ხედავს დაფარულსა, მოგაგოს მან შენ ცხადად, მ. 6,6C; მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელთან ნაწევრის პოზიციის მიხედვით განსხვავებულია ოთხთავის სხვადასხვა რედაქციების ერთი და იგივე ადგილი:

1. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის, მ, 24,50DE;
   მოვიდეს უფალი იგი მის მონისაჲ, იქვე, C.
2. ჰგოზა თიჳაჲ იგი ზედა თუალთა ბრმისა მის, ი. 9,6C;
   ჰსცხო მან თიჳაჲ იგი თუალთა მის ბრმისათა, იქვე, DE.
3. რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის, მ. 26,8DE;
   რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ამის ნელსაცხებელისაჲ, იქვე, C.
4. რაჟამს მოვიდეს უფალი იგი ვენაჯისაჲ მის, მ. 21,40DE;
   რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი იგი მის საყურძენისაჲ, იქვე, C.
   ცხადია, ამათი დანიშნულება ერთია.

მოყვანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელი და ნაწევარი ძველ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში მკვეთრად გამიჯნული არ უნდა ყოფილიყო, რაც თავს იჩენს სალიტერატურო ენაშიაც. გვაქვს მერყეობისა და ნორმიდან გადახვევის შემთხვევები. ნორმიდან გადახრად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ძველ ქართულში ნაწევრის ხმარება არ არის სისტემატური, ე.ი. ნაწევარი არ გვხვდება ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში.[1]

ზემოთ აღინიშნა, რომ ნაწევრის ადგილი გარკვეულ შემთხვევებში დამოკიდებულია სხვა მსაზღვრელთა პოზიციაზე. ეს გამოიხატა იმაშიც, რომ ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ნაწევარმა საერთოდ იცვალა ადგილი და წინ გადმოვიდა ისე, როგორც სხვა მსაზღვრელები. ნაწევარი ისევე „იქცევა", როგორც სხვა მსაზღვრელი სახელები (ა. ჩიქობავა, 1966, 23).[2]

ზემოაღნიშნულმა თავისებურებებმა, როგორც ჩანს, განსაზღვრეს ის გარემოება, რომ ახალ ქართულში ნაწევარი დაიკარგა როგორც დამოუკიდებლად არსებული კატეგორია.

მხოლოდ ადგილის შეცვლა და ამასთან დაკავშირებით ნაწევრის ჩვენებით ნაცვალსახელებთან ფორმალური დამთხვევა არ უნდა იყოს ნაწევრის გაქრობის მიზეზი. ამას წინ უძღოდა, როგორც ჩანს, მისი გამოყენების შემცირება საერთოდ. „შუშანიკის წამება" მცირე მოცულობის ძეგლია (18 გვ.). ჩვენებითის ფუნქციით ესე, ეგე, იგი მასში გვხვდება 22 შემთხვევაში (ესე — 11 მაგალითი, ეგე — 4, იგი — 7), ხოლო ნაწევრად ხმარებისა 150 მაგალითი გვაქვს. გ. მთაწმიდლის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში" კი, რომელიც XI საუკუნის ძეგლია, ასეთი სურათია: ესე, ეგე, იგი-ს პრეპოზიციურად გამოყენების 78 მაგალითია, (ამათგან ესე — 53, ეგე — 1, იგი — 24), ნაწევრად ხმარებისა კი — 153. გ. მთაწმიდლის ეს თხზულება „შუშანიკის წამებას" სამჯერ აღემატება მოცულობით (62 გვერდია). ამ თხზულებათა შედარებით ირკვევა, რომ იმდენად

[1] შდრ. (ი. იმნაიშვილი, 1955, 251). აქვე შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციაში ერთსა და იმავე ადგილას ნაწევარი ხან გვაქვს, ხან — არა.

[2] ადგილი იცვალა არა მხოლოდ მომდევნო ნაწევარმა, არამედ პრეპოზიციურმაც, რომელიც გვხვდებოდა წინა მსაზღვრელებიან შესიტყვებაში. ასეთ შემთხვევებში ნაწევარი სხვა მსაზღვრელების წინ მოექცა ჩვენებითის მსგავსად: ორსა ამას დღესა → ამ ორს დღეს.

ესე, ეგე, იგი-ს პრეპოზიციური ხმარება კი არ არის გახშირებული, რამდენადაც თვით ნაწევრის საჭიროება მცირდება. „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ მთელ გვერდებზე არ გეხვდება არც ერთი ნაწევარი (მაგ., გვ. 45, 48, 53, 63, 68, 71, 74, 81, 82, 83, 84 და სხვ.).

ასეთივე ვითარებაა ამ პერიოდის სხვა ძეგლებშიც (მაგ., გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“, რომელიც აგრეთვე XI საუკუნისაა. კიდევ უფრო იშვიათია ნაწევრის ხმარება იოანე პეტრიწის შრომებში).

ნაწევრის ადგილის თვალსაზრისით ისევე, როგორც საერთოდაც, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მწერლის პოზიციას. კარგად ცნობილია ბაგრატ IV-ის ორი სიგელი: 1. სიგელი მიჯნაძოროელთა და ოპოზართაი და 2. სიგელი მღუიმელთაი (ა. შანიძე, 1935). მღუიმელთა სიგელი თარიღიანია (1058 წ.). მიჯნაძოროელთა სიგელი კი უფრო ადრინდელად მიაჩნიათ (იქვე, 111). მიჯნაძოროელთა სიგელში ესე, იგი მსაზღვრელად სულ 18-ჯერ დასტურდება. ამათგან პრეპოზიციურია 16 შემთხვევაში, ოღონდ ოთხ მაგალითში ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს ახლავს. მხოლოდ ორ შემთხვევაში მოსდევს ის სახელს.

მღუიმელთა სიგელში 16 მაგალითიდან რვაში წინ არის დასმული ესე, იგი, დანარჩენთაგან სამი ორმაგი ბრუნების მსაზღვრელს ახლავს და უსწრებს, ხუთი მომდევნოა.

შესაძლოა, ეს სიგელები სხვადასხვა მწერლის მიერ იყოს დაწერილი და განსხვავებაც ამიტომ გვჭონდეს.

მომდევნო ხანის თხზულებებში პოსტპოზიციური ნაწევარი ნაკლებად გეხვდება. ასეა, მაგ., „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“. ამ ძეგლებში ნაწევარი ისევ იხმარება, ოღონდ ის წინ არის გადმოსული ისევე, როგორც მსაზღვრელთა დიდი ნაწილი საერთოდ (ა. ჩიქობავა, 1966, 19 და შემდგ.).

როგორც აღინიშნა, მსაზღვრელის წინ დასმას მოჰყვა მისი მოდუნება და ბრუნების ნორმების შეცვლა. ასეთ მსაზღვრელს ტენდენცია აქვს უბრუნველი გახდეს, რადგანაც კავშირი საზღვრულთან მტკიცეა და ეს უკანასკნელიც საკმარისია იმის გასარჩევად, თუ რა ფორმასთან გვაქვს საქმე (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა).

ამ დროიდან იცვლება წინ დასმული ჩვენებითისა და ნაწევრის ბრუნებაც. უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, იცვლება ესე, ეგე, ისი ნაცვალსახელების ბრუნება, იგი უცვლელია. პრეპოზიციური ესე, ეგე, ისი-ს ბრუნების გამარტივება ძველ ქართულშივე იწყება (ზ. სარჯველაძე, 1973, 52). „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“ მათი ბრუნების ახალი ნორმები გვაქვს უკვე. საინტერესოა ამ მხრივ სხვა პრეპოზიციური მსაზღვრელების შედარება ჩვენებით ნაცვალსახელებთან. ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნების ნორმები ამ ძეგლებში ჯერ კიდევ ძველია: წინ დასმული და მომდევნო ატრიბუტული მსაზღვრელი ერთნაირად სრულად დაირთავს ბრუნვის აფიქსებს. გადახრა ნორმიდან ძალიან იშვიათია და უმეტეს წილად ემფატიკური ა-ს დაკლებაში გამოიხატება. იშვიათად მოკვეცილია ბრუნვის ნიშანიც, რაც ზოგჯერ შესაძლოა გვიანდელ გადამწერლებს ეკუთვნოდეს. გვიანდელ გადამწერთა ჩარევა არ არის გამორიცხული ჩვენებით ნაცვალსახელებთანაც, მაგრამ საეჭვოა, რომ მათ ბრუნების ნორმები მთლიანად შეეცვალოთ ორივე ძეგლში. ამასთან, XVII-XVIII საუკუ-

ნეებში აღნიშნული მსაზღვრელი ნაცვალსახელების ბრუნება სხვაგვარი იყო, ვიდრე „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანშია“ წარმოდგენილი.

აღნიშნულ თხზულებათა მსგავსი ვითარებაა XII-XV ს.ს. სხვა ძეგლებშიც.[1]

პირველ საფეხურზე ესე, ეგე, ისი ირიბ ბრუნვებში იკვეცენ ბრუნვის ნიშნებს, მაგრამ ფუძე სრული სახისაა. ბრუნვის აფიქსის დაკარგვის შემდეგ მათი საერთოდ კვეცადი ფუძე აღიდგენს ბოლოკიდურ ხმოვანს.[2] სახელობითში პირველი ფუძე ჯერ კიდევ სრული სახით გვხვდება: ესე ყმა, ამა ყმამან, ამა ყმასა, ამა ყმისა, ამა ყმითა; მრავლობითშიც იგივე სურათია: ესე ყმანი, ამა ყმათა. შდრ. ძველი ქართულის: ესე ყმაჲ, ამან ყმამან, ამას ყმასა, ამის ყმისა, ამით ყმითა; ესე ყმანი, ამათ ყმათა.

მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას.

სახელობითი. ესე: ესე დღე, ვფ. 549,1; ესე ფიცი, ვის. 85,9; ესე ქავთარელი, გრ. სურამ. 5,16 (1250 წ.); ესე ჩემი გაჩენილი, ქრონ. II,137,8 (1259 წ.); ესე ... ქვეში, ისტ. საბ. II,5,29 (1433 წ.) და მისთ.

ეგე: ეგე ამბავი, ვფ. 241,2; ეგე საქმე, ვფ. 292,2; ეგე საუბარი, ვის. 72,27.

იგი: იგი მზე, ვფ. 482,2: იგი ვარდი, ვფ. 627,2; იგი ადგილი, ვის. 50,23; იგი დარბაზი, ვის. 42,27...

ისი: ისი მთვარე, ვფ. 1134,2; ისი კაცი, ვფ. 1204,2; ისი დიაცი, ვფ. 1092,1; ისი უსწორო, ვის. 77,25; ისი ცოცხალი, ვის. 109,5...

მრავლობითში დასმულ სახელს ჩვენებითი ნაცვალსახელი მხოლობითში შეეწყობა: ესე კაცნი, ვფ. 567,1; ესე წალკოტნი, ვის. 160,10; იგი არენი, ვფ. 345,3; იგი ჭირნი, ვის. 165,11; იგი კაცნი, გრ. სურამ. 7,18 (1250 წ.); ისი სპანი, ვფ. 933,1; ისი სხუანი ჴელმწიფენი, ვის. 124,27; ისი კარბულნი ორნი გლეხნი, ისტ. საბ. II,6,7 (1433 წ.).

იშვიათად სახელობითის ფუძე შეკვეცილია: ეს სამეფო, ვფ. 969,4; ასევე: ვფ. 1261,1; 984,2; ეგ ცნობა, ვის. 69,37; ასევე: ვფ. 886,2.

---

[1] ზოგიერთი მოგვიანო ძეგლი (უფრო მეტად ესენია სასულიერო ხასიათის თხზულებები) ცდილობს დაიცვას ძველი ქართული სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები და ამას საკმაო წარმატებით ახერხებს კიდეც. ამათ მიხედვით, რა თქმა უნდა, ვერ გარკვევა, რა ვითარება იყო იმ პერიოდის ცოცხალ მეტყველებაში, რადგანაც აქ არქაიზაციასთან გვაქვს საქმე. ასეთია, მაგ., „ეჰანის ქუაბთა განგება“ (1204-1234 წწ.), „ძეგლი ერისთავთა“ (1348-1400 წწ.) და სხვ. „ეჰანის ქუაბთა განგებაში“ მსაზღვრელი ესე, ეგე, იგი ნაცვალსახელები ძირითადად პოსტპოზიციურია: მონასტერი ესე ჩემი, 86,7; წესთა ამათ, 91,3; მონასტერსა ამას ჩუენსა შინა, 81,28; 84,4; ასევე: 87,5; 87,11; 61,18; 68,19; 73,28; 76,17; 78,21; 63,1; 87,9; 87,16; 89,16; 91,3 და სხვა.

წინა მსაზღვრელთან ნაცვალსახელიც წინაა, მაგრამ ესეც ძველი ნორმების მიხედვით: კეთილსა ამას წესიერებასა, 76,20; და არა: ამას კეთილსა წესიერებასა, როგორც ამ პერიოდის სხვა ძეგლებში გვაქვს.

გამარტივების ორი შემთხვევაა მხოლოდ: ამა საშინელთა წყევათა ქუეშე, 87,25; ერთიცა ამა ზემოთქუმულთა ბრალთაგანი, 78, 23.

ასევეა „ძეგლი ერისთავთა“ თხზულებაში: სახელი ესე, 1,20; კაცი ესე, 2,15; ციხენი იგი, 2,12; სოფელნი ესე, 2,19; აგრეთვე: 3,11; 9,24; 10, 21; 11,19; 9,24; 6,6; 7,11; 4,5 და სხვა.

პრეპოზიციური წყობა იშვიათია. არ გვხვდება გამარტივებული ფორმები.

[2] შდრ. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის უკუმშველობა ახალ ქართულში (ა. შანიძე, 1973, 83; ა. ჩიქობავა, 1950, 048).

მოთხრობითი. ამა: ამა დღემან, ვფ. 288,1; ამა ყმამან, ვფ. 609,1; ამა ჴელმან, ვის. 128,20; ამა ზარდისა მოჴსენებამან, ვის. 165, 26;[1] მან: მან ყმამან, ვფ. 220,1; 221,1; მან ქალმან, ვფ. 224,1; 266,2; მან ღუინომან, ვის. 122,9; ასევე: ვის. 182,12; 26,14. იმა: იმა შიკრიკმან, ვის. 195,29.

მიცემითი. ამა: ამა საქმესა, ვფ. 155,4; ასევე: იქვე, 26,1; 254,1; ამა ასმათს, ვფ. 650,3; ამა ჭირსა, ვფ. 860,4; ამა ბნელსა ღამესა, ვის. 157,24; 158,14; ამა ციხესა შიგან, ვის. 141,21; ამა ძიძასა, ვის. 127, 12; ამა ჩემსა საუკუნესა აღაპსა, ქრონ. II,98,28 (1227-1230 წლ.); ამავე სახლსა, იქვე, 126,14 (1236-1248 წლ.); ამა ყოფასა, გრ. სურამ. 6,8 (1250 წ.); ამა სოფელსა, ქრონ. II,198,4 ქვ. (1392 წ.), ამა სიგელსა, იქვე, 234,13 (1428-1430 წლ.); ამა პირსა ზედა, ისტ. საბ. II,7,14 (1440 წ.).

მაგა: მაგა ცეცხლსა, ვფ. 301,1; ფუ მაგა მამაცობასა, ვფ. 910,2; ასევე: იქვე, 144,3; 749,1; მაგა დარბაზსა, ვის. 157,30; მაგა ტანსა, ვის. 70,14; ასევე, იქვე, 194,3.

მას: მას მინდორსა, ვფ. 194,2; მას ტაიჭსა არაბულსა, ვფ. 55,2; მას მნათობსა, ვის. 8,12; მას ციხესა ზედა, ვის. 35,23; მას სოფელსა თანა, გრ. სურამ. 5,24.

იმა: იმა ტანსა, ვფ. 671,2; იმა ქედსა, ვფ. 907,1; იმა კაცსა, ვფ. 1107,2; იმა ცეცხლსა შიგან, ვის. 109,16; ასევე: ვის. 81,2; იქვე, 109,16[2].

ბრუნვის ნიშანი ეკვეცება გათიშულ მსაზღვრელსაც: ამა ფრიდონის თათბირსა, ვფ. 1391,1; ამა მამისა სწავლასა, ვფ. 51,1; ამა შენსა ბედითად შეთუ-ლილობასა, ვის. 59,8.

ორიოდე შემთხვევაში მოკვეცილია ფუძისეული ხმოვანი: ამ საქმესა ვფ. 177,1; 1492,1; ამ ალსა, ვფ. 398,2; ამ წელიწადსა, ვფ. 86,2; მაგ საუბარსა, ვფ. 934,1.

მრ. რ. ამა: ამა უცხოთა შიგან, ვის. 69,39; ამა ჟამთა შიგა, ქრონ, II,138,12 (1259 წ.); ამა წყალობა აღურაცხელობათა ღთისათა მინდობილმან, ისტ. საბ. II,4,15 (1433 წ.); მაგა: მაგა კაბათა არ აგხდით, ვფ. 486,2; მათ: ეუბნა მათ კაცთა, ვფ. 199,1; იმა: იმა ზანგთა სით მოჰყვანდი, ვფ. 1139,2; იმა ლაშქართა უნახვან, ვფ. 1599,1.

ნათესაობითი. ამა: ამა ციხისაგან, ვის. 32,34; იქვე, 28,32; იქვე, 16,11; იქვე, 12,26; იქვე, 53,36; ამა დღისათვის, ვფ. 640,4; ამა გულისა, ვფ. 398,1; იქვე, 778,2; 315,1; 692,1; ამა თხემისთვის, აბდულმ. 38,7; ამა ეკლესიისათუის, ქრონ. II,126,16 (1236-1248 წ.); ასევე: იქვე. 127,26 (1236-1257 წ.); იქვე, 181,7; 181,15 (1344 წ.); ისტ. საბ. II,5,27 (1433 წ.) და სხვა.

მაგა: მაგა ამბისა, ვფ. 234,4; მაგა საქმისა, ვფ. 235,2; 1101,2; 929,1; მაგა ჭირისაგან, ვის. 197,19; იქვე, 178,6; მის: მის ყმისა, ვფ. 229,2; იქვე: 280,1; 210,4; 182,3; ვის. 48,31; იმა: იმა ყმისა, ვფ. 533,2; ასევე იქვე: 259,1; 212,2; 260,2; 264,3; იმა კაცისა საქმე, ვის. 109,10; იქვე: 128,10; 131,16; იმა ერთგულობისათვის, ქრონ. II,233,9 (1428-1430 წლ.).

---

[1] ბრუნვის ნიშანი იშვიათად შემორჩენილია: ამან წიგნმან, ვფ. 375,4; იშვიათია ფუძისეული ხმოვნის მოკვეცაც: ამ ამბავმან, ვფ. 1237,4.

[2] გვხვდება სრული დაბოლოების მქონე ფორმებიც, მაგრამ უფრო ნაკლებად.

შეკვეცილია ფუძეც: ამ საქმისა, ვის. 202,1 ქვ.; ამ გაჩენილისაგან, ქრონ. II,138,3; იმ ალვისა ხედ, აბდულ. 54,1.

აქა-იქ გვხვდება სრული ფორმებიც: ამის აუგისაგან, ვის. 101,2; იქვე: 123,10; 48,26; 35,3; 5,24; 97,32; ასევე: ქრონ. II,102,5 ქვ. (1227-1230 წლ.) ...

მრ. რ. ამა: ძალი... ამა ცეცხლთა შრეტისა, ვფ. 489,3; იქვე, 155,2; ამა ქუეყანათა პატრონნი, ვის. 21,9; იქვე: 134,3; 47,27; 21,9; 92,11; ამა ზემოწერილთა მადლმან, ქრონ. II,134,11 (1259 წ.); ამა ყოველთა კეთილთაგან განეშუა, ისტ. საბ. II,4,9 (1433 წ.);

მაგა: მაგა ჭირთა დამთმობარი, ვფ. 258,3; მათ: მათ სპათაგან, ვფ. 995,1; იქვე, 427,1; ვის. 6,11; იქვე, 78,10 და სხვა.

შეკვეცილია ფუძეც: გარდახდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა, ვფ. 637,4.

მოქმედებითი. ამა: ამა გზითა, ვფ. 305,2; ამა ქედით, ვფ. 622,4; ამა გულითა, ვის. 30,1; ამა ჯრმლითა, ვის. 164,31; იქვე: 36,9; 48,3; 88,55; 41,14; 29,32; 105,9; 116,15... ამა სიგლითა, ქრონ. II,81,21 (1202 წ.); ამავე საქმითა, იქვე, 126,11 (1236-1248 წლ.); ასრე და ამა წესითა, ისტ. საბ. II,3,13 (1414 წ.); ასევე: ქრონ. II,200,14 (1393 წ.); ისტ. საბ. II,6,32 (1440 წ.) ... მაგა: მაგა ქცევითა, ვფ. 935,3; მაგა ფიცითა, ვის. 108,14; მაგა საქმითა, ვის. 108,29; ასევე: ვფ. 906,2; ვის. 71,18.

მით: მით სახითა, ვფ. 305,1; მით სიყუარულითა, ვის. 76,15; ასევე: ვფ. 209,1; ვფ. 225,2; 979,1. იმა: იმა ჭირითა, ვის. 76,15.

სრული ფორმები: ამით მიზეზითა, ვის. 82,13; ასევე, იქვე, 150,25.

ვითარებითი. ამა: ამა მათა პაემანამდის, ვის. 50,39. შდრ. მას პაემანამდის მოვიცდი, ვფ. 852,2, სადაც ვითარებითს მიცემითი ენაცვლება.

ამ პერიოდის ძეგლებში ნორმაა ესე, ეგე, იგი, ისი მსაზღვრელი ნაცვალსახელების წინ დასმა. მომდევნო მსაზღვრელი შედარებით ნაკლებად გვხვდება (იხმარება უფრო იგი ნაცვალსახელი). პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში აღნიშნულ ნაცვალსახელთა ბრუნება ისეთივეა, როგორიც იყო ძველ ქართულში და ახლაც გვაქვს ცალკე ხმარების დროს. პრეპოზიციური ნაცვალსახელები კი, როგორც ვნახეთ, ორივე რიცხვის ირიბ ბრუნვებში იკვეცენ ბრუნვის (და რიცხვის) აფიქსებს და ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, მაშასადამე, ფაქტიურად უბრუნველი ხდებიან. ერთი ფორმა მათ აქვთ სახელობითისათვის, ესაა პირველი ფუძე, მეორე — ყველა დანარჩენი ბრუნვისათვის ორსავე რიცხვში. მომდევნო ხანის ძეგლთაგან განსხვავებით, ფუძე სრულია ყველა ბრუნვაში, მათ შორის იმათშიც, რომლებშიც ეს ნაცვალსახელები ადრე იკვეცებოდა. ცალკე დგას იგი ნაცვალსახელი, ის ძველებურად იბრუნვის. განვითარების შემდგომ საფეხურზე ესე, ეგე, ისი ნაცვალსახელები ყველა ბრუნვაში (და ორსავე რიცხვში) კარგავენ ფუძისეულ ხმოვანსაც.[1]

მსაზღვრელი ესე, ეგე, ისი ნაცვალსახელების გამარტივება ბრუნების მხრივ უფრო ადრე უნდა იყოს დაწყებული, ვიდრე სხვა ატრიბუტული მსაზღვრელებისა. ყოველ შემთხვევაში, ბრუნვის ნიშან-მოკვეცილი სახეობის ნორმად

[1] ამგვარი ფორმები, როგორც ვნახეთ, უფრო ადრეც შეინიშნება, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით.

ქცევა ნაცვალსახელებში მაშინ ჩანს დასრულებული, როცა სხვა მსაზღვრელებში ამისი თითო-ოროლა ნიმუში გვხვდება, ამ უკანასკნელთ ჯერ ემფატიკური ა ჩამოეკვეცა, შემდეგ — ბრუნვის ნიშანი, რაც ერთბაშად არ მომხდარა. აღნიშნული ნაცვალსახელების ცვლილებები კი პირდაპირ ბრუნვის აფიქსის დაკარგვით დაიწყო, უფრო მოგვიანებით მას მიჰყვა ფუძისეული ა. შესაძლოა, ეს მოხდა სხვა ატრიბუტულ მსაზღვრელებში ემფ. ა-ს მოკვეცის ანალოგიით. ფუძის შეკვეცას უთუოდ ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ ნაცვალსახელთა ფუძე ცალკე არსად გვხვდება. შდრ. ამ მხრივ სხვა ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელები.

ფუძისეული ხმოვნის ადრეული დაკარგვის ნიმუშები პოეზიაში გვხვდება და ზემოთ მოვიყვანეთ. კვეცა აქ გამოწვეული უნდა იყოს მარცვალთა რაოდენობის დაცვის საჭიროებით. მოკვეცილი სახეობა, რომელიც ესე, ეგე, ისი ნაცვალსახელების ბრუნების ახალი ქართულისეულ ტიპსაც წარმოადგენს, ნორმად იქცა XVI საუკუნიდან. იგი ნაცვალსახელი, როგორც აღინიშნა, ამ ცვლილებებს არ განიცდის.[1] მაგრამ თანდათან მცირდება მისი მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევები (თუმცა დიდხანს შემოგვრჩა). მრავლობითში ისეთივე ვითარებაა, როგორიც მხოლობითში. სახელობითში ნაცვალსახელი იმთავითვე მხოლობითის ფორმით იყო, სხვა ბრუნვებში განსხვავება წაიშალა იმის გამო, რომ დაიკარგა ჯერ თ აფიქსი, შემდეგ — ფუძისეული ხმოვანი.

სრულ სურათს გვიჩვენებს ამ მხრივ „რუსუდანიანი". აქ გვხვდება შეუკვეცელი ფორმებიც, მაგრამ შედარებით ნაკლებად. გაბატონებულია უფრო ახალი, ფუძეშეკვეცილი სახეობა. ბოლოკიდურ ხმოვანს კარგავს სახელობითის ფორმაც, როგორც მსაზღვრელად, ისე ცალკე ხმარებისას.

ასევეა სხვა ძეგლებშიც.

სახელობითი. ეს: ეს ფიქალი, რუს. 58,16; ეს ქალაქი, იქვე, 474,12; ეს პასუხი, ისტ. დოკ. I,18,7 (1563-1564 წ.); იქვე, 18,2 და სხვა. ეგ: ეგ ვეზირი, რუს. 277,16; ეგ ყმაწვილი, 55,18; იგი: იგი კლდე, რუს. 290,31; იგი მნათობი, 69,5.

მრ. რ. ეს: ეს კლიტენი, რუს, 60,6; ეს კაცნი, იქვე, 78,32; ეს კაცები, დოკ. I,75,12 (1675-1682 წ.); იგი: იგი ორნივე მნათობნი, რუს. 104,37; იქვე, 96,30; 122,25; ის: ის დედანი, რუს. 480,28; ის... ლახტები, იქვე, 305,38; ის... კაცნი, იქვე, 51,31.

მოთხრობითი. ამ: ამ მეცხვარემ, რუს. 524,13; ამ თავისმა მეპატრონემ, იქვე, 262,2; მაგ: მაგ შენმა ქალმა, რუს. 470,9; მაგ ჩვენმა ხელმწიფემა, იქვე, 482,10; მან: მან მეცხვარემ, რუს. 527,21; მან ხელმწიფემან, იქვე, 52,21; იმ: იმ ვაჭარმან, რუს. 503,29; იმ კლდემ, იქვე, 439,1; იმ ცეცხლმან, იქვე, 296,13.

მიცემითი. ამ: ამ კლდეს იქით, რუს. 55,3; ამ ორს დღეს, იქვე, 273,34; ამ სამს აღაჯსა, იქვე, 313,15; ამ აღაპზედან, დას. საქ. I,28,24 (1573 წ.); ამ სამოცს თუმანს, დოკ. თბ. ისტ. 10,11 (1649 წ.): ამ თორმეტს საუფ-

[1] დიალექტებში შესაძლებელია ასეთი ფორმებიც შეგვხვდეს: მა კაცმა, მა კაცს, მა კაცის... როდის დაანებებ შენ მა შენ ბოდვას თავს? (მაგ ბოდვას?) (სურამის ციხე. 59,6); შდრ. ვხედავ მა რტოსა, გაშლით მარტოსა, აბდულმ. 59,1.

ლოს დღეში, დას. საქ. I,77,15 (1675 წ.); მაგ: მაგ სიტყვასა, რუს. 77,29. მას: მას ჯოგში, რუს. 270,14; მას მონასა, იქვე, 282,18; იმ: იმ ხეს, რუს. 493,13; იმ დევსა, იქვე, 435,17; იმ ყვითელს კლდეზე, იქვე, 263,23; იმ კაცსაც, დოკ. I,48,7 (1654 წ.); იმ ალაგზედ, დას. საქ. I,56,6 (1656 წ.); იმ გორელს კაცს, დოკ. I,70,6 (1672 წ.); იმ საყდარს, დას. საქ. I,77,15 (1675 წ.).

მრ. რ. ამ: მოგვეც ძლევა ამ ურწმუნოთა ზედა, რუს. 131,7; ასევე: იქვე, 120,5; იქვე, 129,29; იქვე, 131,29; იქვე, 134,30; ამ კაცებს, დას. საქ. I,28,24 (1570 წ.); მათ: დაუძახა მათ ქალთა, რუს. 483,7; ასევე იქვე: 51,22; 65,11; 51,59; იმ: ჩვენთა ნაღარათა ხმამან იმ ახალთა მოსულთა მეფეთა თანა მიაწია, რუს. 486,30; იმ კაცებთან, დოკ. I,75,2 ქვ. (1675-1682 წ.).

ნათესაობითი. ამ: ამ გავსილის მთვარისა, რუს. 547,6; ამ ყველას დიდების ნაცვლად, იქვე, 548,2; ასევე იქვე: 54,33; 57,32; 60,38... ამ სოფლის, ისტ. დოკ. 16,31 (1558 წ.); ამ კაცის, იქვე, 18,8 (1563-1564 წლ.); ამ შეწირულის თეთრისა, დას. საქ. I,37,8 (1604 წ.); ამ სამის კვამლის კაცის ბეგარა, აფხაზ. დავთ. 3,27 (1621 წ.); მის: მის უებროსა ცხენისა იარაღი, რუს. 283,22; იქვე, 53,7; 281,1; იმ: იმ საყდრის, ისტ. დოკ. 17,17 (1563-1564 წლ.) ...

მრ. რ. ამ: ამ სახლთა აქ დაგდება, რუს. 61,1; ამ ორთა საქმეთაგან დიდი ზიანი მაქვსო, იქვე, 109,1; ასევე, იქვე, 57,36; ამ გლეხების, დას. საქ. I,33,9 (1586 წ.); ამ სახლების, დოკ. თბ. ისტ. 23,23 (1672 წ.); მაგ: არც არა თქვენი ხელია და არც არა მაგ გმირთა მეფეთა, რუს. 123,26; მათ: იტყოდეს შაირსა მათ მნათობთა შეყრისასა, რუს. 64,36...

მოქმედებითი. ამ: ამ ყოფითა, რუს. 285,35; ამ სოფლით გასულა, იქვე, 66,29; იქვე, 110,21; ამ წესითა, დოკ. I,44,3 ქვ. (1649 წ.); იმ: იმ ყოფითა, რუს. 52,21.

ვითარებითი. ამ: ამ ერთ ჟამამდი მოგივა, რუს. 485,30.

ეს, ეგ, ის მსაზღვრელი ნაცვალსახელების მხოლოდ ახალი ქართულისეული ტიპი გვხვდება დ. გურამიშვილის თხზულებებში[1] (279,6; 271,4; 250,5; 252,4; 253,3; 254,5; 258,3; 246,5; 245,5; 245,1; 243,2; 240,3; 238,4; 236,3 და სხვ.).

ესე, ეგე, ისი მსაზღვრელი ნაცვალსახელების ბრუნებაში საშუალ ქართულში მომხდარი ცვლილებები პარადიგმატულად ასე წარმოგვიდგება:[2]

ძველი ქართული:

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ესე, ეგე, ისი მონაჲ	ესე, ეგე, ისი მონანი
მოთხ. ამან, მაგან, იმან მონამან	ამათ, მაგათ, იმათ მონათა
მიც. ამას, მაგას, იმას მონასა	„ „ „ „
ნათ. ამის, მაგის, იმის მონისა	„ „ „ „
მოქ. ამით, მაგით, იმით მონითა	„ „ „ „

საშუალ ქართულში განვითარების პირველ საფეხურზე გვაქვს:

[1] მხოლოდ ორიოდე გამონაკლისი გვაქვს: იმა ბიჭისა, 234,5.

[2] შესადარებლად მოვიყვანთ ძველი ქართულის მონაცემებსაც.

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ესე, ეგე, ისი წიგნი	ესე, ეგე, ისი წიგნნი (წიგნები)
მოთხ. ამა, მაგა, იმა წიგნმან	ამა, მაგა, იმა წიგნთა (წიგნებმან)
მიც. ამა, მაგა, იმა წიგნსა	ამა, მაგა, იმა წიგნთა (წიგნებს)
ნათ. ამა, მაგა, იმა წიგნისა	ამა, მაგა, იმა წიგნთა (წიგნების)
მოქ. ამა, მაგა, იმა წიგნითა	ამა, მაგა, იმა წიგნთა (წიგნებით)
ვით. ამა, მაგა, იმა წიგნად	ამა, მაგა, იმა წიგნთა (წიგნებად)

შემდგომ საფეხურზე ცვლილებები თვით ფუძეს შეეხო:

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ეს, ეგ, ის სიგელი	ეს, ეგ, ის სიგელნი (სიგლები)
მოთხ. ამ, მაგ, იმ სიგელმა	ამ, მაგ, იმ სიგელთა (სიგლებმა)
მიც. ამ, მაგ, იმ სიგელს(ა)	ამ, მაგ, იმ სიგელთა (სიგლებს)
ნათ. ამ, მაგ, იმ სიგლის(ა)	ამ, მაგ, იმ სიგელთა (სიგლების)
მოქ. ამ, მაგ, იმ სიგლით(ა)	ამ, მაგ, იმ სიგელთა (სიგლებით)
ვით. ამ, მაგ, იმ სიგლად	ამ, მაგ, იმ სიგელთა (სიგლებად)

ეს ფორმები ნორმაა ახალ სალიტერატურო ქართულში.

XV. თუ კავშირისა და თუ-ს მონაწილეობით შედგენილი ზოგიერთი კავშირის ფუნქციებისათვის ძველ ქართულში

შერწყმული თუ რთული წინადადების შემადგენელ ნაწილთა საკავშირებელი საშუალებების შესწავლას ქართულში ჯეროვანი ყურადღება ექცევა. საკავშირებელ სიტყვათა ფუნქციებს, სემანტიკას თუ მორფოლოგიურ შედგენილობას მეტ-ნაკლებად ეხება სინტაქსის საკითხებზე დაწერილი თითქმის ყველა ნაშრომი. ძველი ქართული ენის მონაცემთა მიხედვით ეს საკითხი განხილულია კ. დონდუას (კ. დონდუა, 1940; 1949), ფ. ერთელიშვილის (ფ. ერთელიშვილი, 1963), შ. ძიძიგურის (შ. ძიძიგური, 1969), ა. კიზირიას (ა. კიზირია, 1953; 1969), თ. ყაუხჩიშვილისა (თ. ყაუხჩიშვილი, 1946) და სხვათა შრომებში. ფ. ერთელიშვილისა და შ. ძიძიგურის გამოკვლევებში მონოგრაფიულად არის შესწავლილი სინტაქსის ეს მეტად მნიშვნელოვანი უბანი. ქართული სინტაქსის შესახებ არსებულ ლიტერატურაში გამოვლენილია საკავშირებელი ერთეულები, დადგენილია მათი ძირითადი ფუნქციები და მნიშვნელობანი, გარკვეულია მორფოლოგია და ეტიმოლოგიური მხარე. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული ენის ძეგლებზე (და, საერთოდ, ქართული ენის მასალაზე) შემდგომი დაკვირვება ალბათ გამოავლენს ზოგ ახალ თავისებურებას, რომლებიც საერთო სურათს შეავსებს.

როგორც ცნობილია, საკავშირებელ სიტყვებად გამოყენებულია: 1. საკუთრივ კავშირები, 2. მიმართებითი ნაცვალსახელები და 3. მიმართებითი ზმნიზედები. გამოყენების თვალსაზრისით ორი უკანასკნელი თითქოს უფრო შეზღუდულია, გვხვდება მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები ძირითადად იხმარება სახელით გამოხატული წევრის ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში. ხოლო მიმართებითი ზმნიზედები — შემასმენლის ამხსნელ დამოკიდებულ წინადადებებში. საკუთრივ კავშირების გამოყენების არე, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო ფართოა. ზოგი კავშირი გვხვდება თითქმის ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში (მაგ., რომ), ზოგიერთი კიდევ — არა მხოლოდ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, არამედ რთულ თანწყობილსა და შერწყმულშიც, ასეთ პოლისემანტიკურ კავშირთა რიცხვს მიეკუთვნება **თუ** კავშირიც. შეიძლება ითქვას, რომ ის არის ერთ-ერთი ყველაზე თავისებური ოდენობა ამ მხრით. თუ კავშირი ასეთ „აქტიურობას" იჩენს მთელ ქართულში. მრავალმხრივია მისი ფუნქცია თუ სემანტიკა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. **თუ** შეიძლება შეგვხვდეს ცალკე, დამოუკიდებლად, ან სხვა სიტყვებთან ერთად. დამოუკიდებელ მნიშვნელობას ის ინარჩუნებს ორივე შემთხვევაში. **თუ**-ს მონაწილეობით წარმოქმნილია ზოგიერთი ახალი კავშირი („ახალი" აქ „განსხვავებულის" მნიშვნელობით არის ნახმარი). ასეთია, მაგალითად, რამეთუ, თითქოს, დაღათუ და სხვ.

ამჟამად ჩვენი განხილვის საგანია კავშირთა ის სახეობები, რომლებშიც **თუ** შედის: **თუ, თუ ... არამედ, ანუ თუ, არა თუ, არა თუ ... არამედ, არცა თუ, არცაღა თუ, არა ხოლო თუ, გინა თუ**. გასაგები მიზეზების გამო არ ვეხებით რამეთუ, თითქოს, უკუეთუ და მისთ. კავშირებს. ესენი დამოუკიდებელი ოდენობებია. **თუ** კავშირის (და მისი მონაწილეობით შედგენილი სხვა კავშირე-

ბის) პოლისემანტიკურობამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ახალი აღთქმის სიმფონია-ლექსიკონის მასალებზე მუშაობის დროს. ჩვენი მსჯელობა ეყრდნობა სწორედ ამ მასალას.[1] დასახელებულ კავშირთა ფუნქციები, როგორც აღინიშნა, ძირითადად დადგენილია ლიტერატურაში, ჩვენს მასალაში გაჩნდა ზოგი სიახლე როგორც ფუნქციის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ყველაფერი ეს შეგვეჯამებინა, ერთად წარმოგვედგინა, ზოგადი ვითარების უკეთ წარმოსაჩენად. ფუნქციათა განხილვის დროს პირველ რიგში ვეხებით უფრო დამახასიათებელ მხარეს ამა თუ იმ კავშირისას, შემდეგ — სხვებს. ამიტომ საკითხთა თანმიმდევრობა შესაძლოა ზოგჯერ უჩვეულო იყოს.

თუ

ცალკე აღებულ **თუ**-ს მრავალგვარი დანიშნულება აღმოაჩნდა. ამათგან უმთავრესია მისი გამოყენება როგორც მაქვემდებარებელი კავშირისა. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ის გვხვდება თითქმის ყველა სახის დამოკიდებული წინადადების კავშირად. კერძოდ, პირობით, ქვემდებარულ, დამატებით, მიზნის გარემოებითსა და დათმობით დამოკიდებულ წინადადებებში.

1. პირობითი დამოკიდებული წინადადება

თუ, როგორც აღინიშნა, გვხვდება პირობითი დამოკიდებული წინადადების კავშირად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულში (ფ. ერთელიშვილი, 1963, 103). ამის გამო მას პირობით კავშირისაც უწოდებენ (შ. ძიძიგური, 1969, 113). ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ხშირად თავისებურია მისი ადგილი — მოსდევს დამოკიდებული წინადადების რომელიმე წევრს, თუმცა ძველ ქართულშივე **თუ** კავშირი ზოგჯერ იწყებს წინადადებას (ფ. ერთელიშვილი, 1963, 103-104).

ჰშიოდის **თუ** მტერსა შენსა, პური ეც მას; და სწყუროდის **თუ**, ასუ მას, ჰრომ. 12,20; მამაკაცმან **თუ** გარდაუტეოს თმაჲ გრძელად, უშუერება არს, I კორ. 11,14; შჯირდეს **თუ** ვისმე თქუენგანსა, ილოცევდინ, იაკ. 5,13; გწამს **თუ** ყოვლითა გულითა, ჯერ-არს, საქმე, 8,37.

თუ დამოკიდებულ წინადადებაში მხოლოდ შემასმენელია, კავშირი ამგვარი წინადადების ბოლოში მოექცევა:

იქორწინე **თუ**, არა სცოდე, I კორ. 7,28; ვახარებ **თუ**, არა არს ჩემდა სიქადულ, იქვე, 9,16; გნებავს **თუ**, რაჲთა არა გეშინოდის ჴელმწიფებისა მის? კეთილსა იქმოდე და მოიღო ქებაჲ მისგან, ჰრომ. 13,3.

ისეთი შემთხვევები, სადაც კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, შედარებით ნაკლებია:

თუ ვინმე პოვნეს ამის მოძღურებისა გზასა..., კრულნი მოიყვანნეს, საქმე 9,2; **თუ** იქორწინოს ქალწული, არაჲ ცოდა, I კორ. 7,28 და სხვა.

ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ პირობითობის **თუ** კავშირი ზოგჯერ მოთავსებულია ზმნისწინსა და ზმნას შორის ან აღწერითი ზმნის შუაში

[1] აქ იგულისხმება ახალი აღთქმის ყველა წიგნი, გარდა ოთხთავისა. რომლის სიმფონია-ლექსიკონი კარგა ხანია შედგენილია (ნ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948-1949 წწ.).

(ფ. ერთელიშვილი, 1963, 103-104): გან-**თუ**-ვიკითხვით, ღმრთისა მიერ განვისწავლებით, I კორ. 11,32; აღ-**თუ**-იარო პირითა შენითა უფალი იესუ..., სცხოვნდე, ჰრომ. 10,9; ძალ-**თუ**-გედვას განთავისუფლებად, უფროჲსღა იღუაწე, I კორ. 7,21...

მცა ნაწილაკიანი **თუ** კავშირი იმავე ფუნქციას ასრულებს ძველ ქართულში, რასაც ამ ნაწილაკის გარეშე, **თუმცა** განსხვავებული კავშირი ჯერ კიდევ არ ჩანს:

არა **თუმცა** უფალმან... დამიტევა ჩუენ ნათესავი, ვითარცა სოდომელნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით, ჰრომ. 9,29; ესე **თუმცა** არა, არამცა დასცხრესა შესაწირავნი იგი, ებრ. 10,2; და **თუმცა** მას მოიჯსენებდეს..., აქუნდამცა ჟამი, ებრ. 11,15.

ახალ ქართულში მას შეიძლება შეენაცვლოს **რომ**.

2. თუ კავშირი დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში.

თუ ასეთ შემთხვევაში გვხვდება გარკვეული ტიპის ზმნებთან, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია, როგორც verba declarandi (შ. ძიძიგური, 1969, 178), ან სხვანაირად როგორც „ცნობიერება წრის" ზმნები (ფ. ერთელიშვილი, 1963, 183). ამ ტიპის ზმნათა მონაწილეობა მთავარ წინადადებაში განსაზღვრავს მთელი წინადადების კონსტრუქციას. შენიშნულია, რომ **თუ** კავშირს აქ ახლავს კითხვითი სიტყვები (ვინ, რა, რომელი და სხვა) (შ. ძიძიგური, 1969, 182; ფ. ერთელიშვილი, 1963, 186).

არა ვიცით, **თუ** რაჲ შეემთხჯა მას, საქმე, 7,40; მუნ **თუ** რაჲ შემთხუევად არს ჩემდა, არაჲ ვიცი, იქვე, 20,22ⳆⲞ; ჰკითხა, **თუ** რომლისა სამთავროჲსაჲ არს, იქვე, 23,34ⳆⲞ; ვიცნი საქმენი შენნი, და **თუ** სადა მკჳდრ ხარ, გამოცხ. 2,13.

თუ კავშირს დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში ზოგჯერ აქვს მნიშვნელობა „იქნებ, ხომ არ": პავლეს ეპისტოლეებში ერთ ადგილას ლაპარაკია ოჯახურ ურთიერთობაზე სარწმუნოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ნათქვამია, რომ თუ მორწმუნე მამაკაცს ურწმუნო ცოლი ჰყავს, ან პირიქით: მორწმუნე დედაკაცს ურწმუნო ქმარი ჰყავს, მაგრამ სურთ ერთად ყოფნა, ოჯახი არ უნდა დაირღვესო. იქნებ ქმარმა ცოლი „აცხოვნოს"-ო (ე.ი. გადაარჩინოსო), ან კიდევ ცოლმა — ქმარი.

ასეთია კონტექსტი ჩვენთვის საინტერესო წინადადებებისა:

რაჲ იცი, დედაკაცო, აცხოვნო **თუ** ქმარი შენი? I კორ. 7,16; ანუ შენ რაჲ იცი, მამაკაცო, აცხოვნო **თუ** ცოლი შენი? იქვე.

ბერძნულში შესაბამის ადგილას გვაქვს εἰ, რომელიც ძირითადად ნიშნავს **თუ**-ს, მაგრამ აქვს ზემოაღნიშნული ნიუანსიც.

იგივე მნიშვნელობა აქვს **თუ** კავშირს ამ წინადადებაში:

ხოლო მოვიდე თქუენდა, რაჟამს მაკედონიაჲ განვლო... და, ვინ უწყის, თუ თქუენ თანა დავადგრე, I კორ. 16,6CD. შდრ. **у вас же, если придется, побуду,** πρὸς ὑμᾶς δέ τυχὸν καταμενῶ (τυχὸν = **возможно, быть может.** ბერძნულში წინადადება სხვაგვარადაა აგებული).

3. თუ კავშირი ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებაში.

ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს საერთო კავშირები ახასიათებს, ერთი მათგანია **თუ**:

სხუაჲ **თუ** რაჲმე მცნებაჲ არს, ამითვე სიტყჳთა აღესრულების, ჰრომ. 13,9; არა უკუე დიდ არს, მსახურნიცა **თუ** მისნი გარდაიცვალნენ ვითარცა მსახურნი სიმართლისანი, 2 კორ. 11,15.

ამავე დანიშნულებისაა **მცა** ნაწილაკიანი ფორმებიც:

უმჯობეს იყო მათა, ეცნავე **თუმცა** არა გზაჲ იგი ჳშმარიტებისაჲ. 2 პეტ. 2,21; ჯერ-იყო, **თუმცა** განიკუეთნესცა აღმაშფოთებელნი თქუენნი, გალ. 5,12Ⴇხ; ჯერ-იყო, თავს-იდევით **თუმცა** ჩემი მცირედ უგუნურებისაჲ, 2 კორ. 11,1Ⴑ.

ჩვენს მაგალითებში მას **რომ** კავშირის მნიშვნელობა აქვს: უმჯობესი იყო მათთვის, რომ არ გაეგოთ (შეეცნოთ) ჳშმარიტების გზა. **რომ** კავშირის მნიშვნელობა **თუ**-ს **მცა** ნაწილაკის გარეშეც აქვს (ფ. ერთელიშვილი, 1963, 186).

4. თუ კავშირი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში.

ასეთი ფუნქცია **თუ**-ს ახალ ქართულშიც აქვს (ლ. კვაჭაძე, 1977, 378), თუმცა ძალზე იშვიათად. ჩვენს მასალაშიც ერთი მაგალითი აღმოჩნდა:

დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი იღჳძებენ სულთა თქუენთათჳს, **თუ** ვითარ სიტყუაჲ მისცენ, ებრ. 13,17D.

5. თუ კავშირი დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში.

ამ ტიპის წინადადებათა ზოგი ძირითადი კავშირისათვის ამოსავალია **თუ**: **ღათუ**, **დაღათუ**, **თუმცა**, **თუნდაც**/ **თუგინდ**. ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ **თუ** კავშირსაც აღმოაჩნდა იგივე ფუნქცია. მაგალითად:

რამეთუ ესე არს მადლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონებისათჳს კეთილისა დავითმინით მწუხარებაჲ, ევნებინ **თუ** სიცრუვით, 1 პეტ. 2,19Ⴑ.

უფრო გამართულია წინადადება სხვა რედაქციებში: დავითმინით მწუხარებაჲ, გუევნებინ **თუ** სიცრუვით ⴑⴡ: ასევე: უკუეთუ... დაითმინნეს ვინმე მწუხარებანი, ევნებინ **თუ** სიცრუით ⴡⴆ. აქ **თუ** = **თუნდ**, **თუნდაც**.

6. თუ მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით.

ზოგჯერ **თუ** ახალი ქართულის **ხოლო**, **კი** კავშირების ბადალია. მისი ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს სხვა ენათა მასალის მიხედვითაც. ამიტომ შესადარებლად მოვიყვანთ შესაბამის ადგილებს ბერძნულადაც:

ენასა ღათუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი და სიყუარული **თუ** არა მაქუნდეს, ვიქმენ ვითარცა რვალი, 1 კორ. 13,1ⴑⴡ; შდრ. Ἐὰν ταῖς γλώσσας τῶν ἀνθρώπων λαλῶ καὶ τῶν ἀγγέλων, ἀγάπην δέ μή ἔχω.

საინტერესოა, რომ მოგვიანო რედაქციებში **თუ**-ს ადგილას გვაქვს **ხოლო**: **ხოლო** სიყუარული არა მაქუნდეს, CD. ბერძნულის δέ **ხოლო**, **კი** კავშირების მნიშვნელობის მქონეა აქ. შდრ. რუს. თარგმანი: а любви не имею.

მაქუნდეს **ღათუ** სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათა ცვალებადმდე, და სიყუარული **თუ** არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ ვარ, 1 კორ. 13,2; შდრ. ... **ἀγάπην δέ μὴ ἔχω**; **а любви не имею**.

შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი... და სიყუარული **თუ** არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ სარგებელ არს ჩემდა, 1 კორ. 13,3;

ბერძნულში მეორდება იგივე ფრაზა.

რაჲ სარგებელ არს..., უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, და საქმე **თუ** არარაჲ აქუნდენ,[1] იაკ. 2,14; შდრ. ... **ἔργα δέ μὴ ἔχῃ**; ... **а дел не имеет**.

თუ-ს იშვიათად უპირისპირდება **არამედ**:

ჴორციელად **თუ** ვიქცევით, **არამედ** არა ჴორციელად განწესებულ ვართ, 2 კორ. 10,3. **თუ ... არამედ** ახალი ქართულით ფარდია **კი ... მაგრამ** კავშირებისა: ხორციელად კი ვცხოვრობთ, მაგრამ ... შდრ. **ἐν σαρκὶ γὰρ περιπατοῦντες**...**γάρ** ნაწილაკის ერთ-ერთი მნიშვნელობა სწორედ ეს არის.

7. თუ ნაწილაკია.

ვარაუდობენ, რომ **თუ** წარმოშობით კითხვის გამომხატველი ნაწილაკია (ვ. თოფურია, 1944, 175; შ. ძიძიგური, 1969, 405). ეს ფუნქცია მას ახალ ქართულშიც აქვს შემორჩენილი (ა. შანიძე, 1973, 614; შ. ძიძიგური, 1969, იქვე). საფიქრებელია, რომ ის გარკვეულ შემთხვევებში ძველ ქართულშიც იხმარებოდა ამ მნიშვნელობით. პავლეს ეპისტოლეებში ერთ ადგილას ნათქვამია: რომლითა-იგი ვინმე იკადრებს სიქადულსა, უგუნურებით ვიტყჳ, ვიკადრო მეცა. ჰებრაელ **თუ** არიან? მეცა. ისრაიტელ **თუ** არიან? მეცა. ნათესავნი **თუ** აბრაჰამისნი არიან? მეცა. მსახურნი **თუ** ქრისტჱსნი არიან? უუგუნურჱსრე ვიტყჳ: უფროჲსღა მე, 2 კორ. 11,21-23.

ახალი ქართულით ამ ნაწყვეტის შინაარსი ასეთია:

რითაც ვინმე გაბედავს სიამაყეს, უგუნურებით ვამბობ, მეც გავბედავ. ებრაელები არიან? მეც. ისრაიტელები არიან? მეც. აბრაამის შთამომავლები არიან? მეც. ქრისტეს მსახურნი არიან? მე მით უფრო.

თუ ამ შემთხვევაში მხოლოდ კითხვას უნდა გამოხატავდეს. ბერძნულში (და რუსულ თარგმანშიც) მოცემული წინადადებები კითხვითია, ოღონდ საგანგებო კითხვით სიტყვას არ შეიცავს: **Ἑβραῖοί εἰσιν; κἀγώ. Ἰσραηλεῖταί εἰσιν; κἀγώ. σπέρμα Αβρααμ εἰσιν; κἀγώ**...

კითხვითი სიტყვა არ არის არც სომხურში, ოღონდ ზმნა პირველ კავშირებითშია: **երբայեցիք իցեն, և ես; իսրաէլացիք իցեն, և ես; զաւակք արբահամ՚ու իցեն, և ես**... სხვაგვარი გაგების უფლებას ამ წინადადებათა კონსტრუქცია არ გვაძლევს.

კითხვითი ნაწილაკი უნდა იყოს **თუ** სხვა ადგილასაც:

აწ უკუე, ძმანო, რაჲ-მე არს? რაჟამს შეჰკრბეთ ერთად, კაცად-კაცადსა თქუენსა ფსალმუნი **თუ** აქუს, მოძღურებაჲ **თუ** აქუს, გამოცხადებაჲ **თუ** აქუს,

[1] ასეა: საქმე... აქუნდენ Ⴑ[1]. შდრ. საქმენი... აქუნდენ Ⴒ.

მეცნიერებაჲ თუ აქუს, თარგმანებაჲ თუ აქუს, — ყოველივე ესე აღსაშჱნებელად იყავნ, 1 კორ. 14,26AB.

თუ ნაწილაკი ამ ადგილას გეხვდება მხოლოდ ძველ რედაქციებში, ამასთან, B რედაქციის ზოგ ხელნაწერს ის აკლია. მოგვიანო CD რედაქციის ხელნაწერებში კი საერთოდ არა გვაქვს. **თუ** ნაწილაკის ფარდი არ მოიპოვება ბერძნულში, სომხურში კი მას **եթէ** შეესატყვისება. ვარაუდობენ, რომ ქართულში ძველ რედაქციაში **თუ**-ს არსებობას სომხური წყარო განსაზღვრავს (კ. დანელია, 1980, 111-112). ამასთან დაკავშირებით ეჭვს ბადებს ის გარემოება, რომ **თუ** ნაწილაკიან ფრაზაში სომხურში ზმნა პირველ კავშირებითშია, ქართულში კი (ბერძნულის მსგავსად) — აწმყოში; **եթէ սաղմոս ունիցի, եթէ վարդապետութիւն ունիցի, եթէ յայտնութիւն ունիցի, եթէ Լեզուս ունիցի, եթէ թարգմանութիւն ունիցի.** შდრ. ბერძ.: ψαλμὸν ἔχει, διδαχὴν ἔχει ἀποκάλυψιν ἔχει, γλῶσσαν ἔχει, ἑρμηνείαν ἔχει.

თუ სხვა კავშირებთან ან ნაწილაკებთან ერთად

ანუ თუ

ანუ გავრცელებული კავშირია ძველ ქართულში და იგივეა, რაც ახალი ქართულის **ან**, ე. ი. **ანუ** მაცალკევებელი კავშირია (ა. კიზირია, 1953, 227; შ. ძიძიგური, 1969, 36). შენიშნულია, რომ **ანუ**-ს შეიძლება ახლდეს **თუ** კავშირიც და გვაქვს **ანუ თუ**. რა ფუნქცია აქვს **თუ**-ს ასეთ შემთხვევაში? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის აძლიერებს **ანუ** კავშირს; ზოგჯერ ასეცაა, მაგრამ, როგორც ირკვევა, **ანუ თუ** შეხამებას სხვადასხვა დანიშნულება უნდა ჰქონდეს სხვადასხვა შემთხვევაში.

1. **ანუ თუ** მაჯგუფებელი კავშირია. მას აქვს მნიშვნელობა ახალი ქართულის **ც, და, კიდევ** ნაწილაკებისა.

მის მიერ დაებადა ყოველი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი, გინა თუ ჴელმწიფებანი, კოლ. 1,16CD.

შდრ. ბერძნ.: Ἐν αὐτῷ ἐκτίσθη τὰ πάντα ἐν τοῖς οὐρανοῖς καὶ ἐπὶ τῆς γῆς, τὰ ὁρατὰ καί τὰ ἀόρατα, εἴτε θρόνοι εἴτε κυριότητες εἴτε ἀρχαί εἴτε ἐξουσίαι.

სომხ.: ... **եթէ աթոռք, եթէ տէրութիւնք, եթէ պետութիւնք եթէ իշխանութիւնք.**

რუს.: видимое и невидимое, и престолы, и господства, и начальства, и власти.

ბერძნულის εἴτε ქართულში გამეორების თავიდან ასაცილებლად პირველ ორ შემთხვევაში გადმოღებულია **ანუ თუ** კავშირით, ბოლო ორ შემთხვევაში კი — **გინა თუ** კავშირით. ეს მონაცვლეობა ბუნებრივია ძველი ქართულისათვის, რადგანაც ანუ და გინა მსგავსი მნიშვნელობის მქონე არიან (შ. ძიძიგური, 1969, 42-45). ანუ **თუ** ზუსტი შესატყვისია εἴτε-სი. εἴτε შედგენილი კავშირია: εἴ+τε, εἰ — თუ; ან, ли, или; τε აგრეთვე, ც; ან, или. εἴτε ჩვეულებრივ **ან** კავ-

შირს ეტოლება, მაგრამ აქვს სხვა მნიშვნელობაც: თუ = და, ც, კიდევ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რუსულში ერთ რედაქციაში ეს ადგილი გადმოღებულია **и ... и** კავშირით. სხვაგან **ли ... ли** კავშირით: **Им создано все, что на небесах и что на земле, видимое и невидимое: престолы ли, господства ли, начальства ли, власти ли.** შდრ. **и престолы, и господства, и начальства, и власти.**

მაშასადამე, **ანუ თუ (გინა თუ**-ც) ფარდია **ც, კიდეც, თუ** (= და) კავშირებისა, **ანუ თუ ... ანუ თუ = ც ... ც, კიდეც ... კიდეც, თუ ... თუ** (= და ... და): მის მიერ დაებადა ყოველი... საყდარნი თუ უფლებანი... თუ მთავრობანი... ან ასე: საყდარნი და უფლებანი... საყდარნიც, უფლებანიც...

ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **თუ**-ს (ანუ თუ-ს) კიდევ ერთ შემთხვევაში: არცა ტაძარსა შინა მპოეს მე მეტყუელად ვის თანამე ... გინა შესაკრებელთა შორის, **ანუ თუ** ქალაქსა შინა. საქმე 24,12ⷮ. ძველ რედაქციებში კავშირად **არცა** მეორდება: **არცა** ბაგინსა შინა მპოვეს მე ... **არცა** შესაკრებელთა შორის და **არცა** ქალაქსა შინა... რაც ბერძნულის ზუსტი თარგმანია, რადგან ბერძნულში οὔτε (= არც) კავშირია ყველგან. აქაც გამეორების თავიდან ასაცილებლად ზოგან ანუ თუ შენაცვლებულია **გინა თუ** კავშირით. **თუ** ამ შემთხვევაში = **ც, და**-ს. **ანუ თუ = ანდა, ან კიდევ.**

2. **ანუ თუ** მაცალკევებელი კავშირია. ბერძნულში მას ჩვეულებრივ შეესატყვისება ἤ, სომხურში — **կամ**, იშვიათად **եթէ ... և եթէ**:

არა თუ ვითარმედ აწვე მომიღებიეს, ანუ თუ აწვე სრულ ქმნულ ვარ, ფილიპ. 3,12CD; საწამებელი წიგნი აქუს, თქუენდა მიმართ **ანუ თუ** თქუენგან, 2 კორ. 3,1CD; **ანუ თუ** შენ რაჲსა შეურაცხ-ჰყოფ ძმასა შენსა, ჰრომ. 14,10CD; ეგრევე უსულოთა მათ ჴმაჲ გამოსციან — **ანუ თუ** ნესტუმან **ანუ თუ** ებანმან, 1 კორ. 14, 7.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ **თუ** გამოყენებულია **და** ნაწილაკის მნიშვნელობით: ანუ თუ = ანდა, ან კიდევ. მართლაც, ერთ შემთხვევაში ქართული **ანუ თუ**-ს შესატყვისად ბერძნულში ἤ καὶ გვაქვს; ἢ καὶ σὺ τί ἐξουθενεῖς τὸν ἀδελφόν σου, ჰრომ. 14,10. ასეთივე ფუნქცია აქვს სომხურში ხანდახან **թէ**-ს, რომელიც საერთოდ ქართული **თუ**-ს ეკვივალენტურია: **կամ թէ** = ანდა, ან არა და (ი. შილაკაძე, 1974, 278).

შესაძლო გვეჩვენება სხვა ვარაუდიც. ბერძნულში ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში ისეთი კავშირია გამოყენებული, რომელიც კითხვის ელემენტსაც შეიცავს: ἤ = რუს. **или, ли**, ქართ. ან, თუ, ხომ. ქართველმა მთარგმნელმა მეტი სიზუსტისათვის ორივე მნიშვნელობა გადმოიღო. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ **ანუ თუ (გინა თუ)** გვაქვს სწორედ გვიანდელ რედაქციებში (CD), ძველ რედაქციებში კი მას ჩვეულებრივ მარტივი კავშირი ეფარდება:[1] **ანუ, გინა**. ასეა, მაგალითად, ჰრომ. 14,10; ფილიპ, 3,12 და სხვაგან. ἤ კავშირის გადმოცემისას მერყეობაა სომხურშიც, **կամ** ან **եթէ ... և եթէ** გვხვდება (ჰრომ. 6,16).

[1] ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ **ანუ თუ (გინა თუ)** ძველ რედაქციებში საერთოდ არ გვხვდება.

3. **ანუ თუ** მაქვემდებარებელი კავშირია პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

მისი მნიშვნელობაა ან თუ, და თუ, **и если**, καὶ ἐάν.

უკუეთუ თქუას ფერჴმან, ვინაჲთგან არა ვარ ჴელ, არა ვარ მის გუამისაგანი, ამისგან-მე არა არსა მის გუამისაგანი? **ანუ თუ** თქუას ყურმან, რამეთუ არა ვარ თუალ, არა ვარ მის გუამისაგანი, ნუ ამისთჳს არა არს მის გუამისაგანი? 1 კორ. 12,15-16.

შდრ. ბერძნ. καὶ ἐάν εἴπῃ τὸ οὖς; სომხ. և եթէ ասիցէ ունկն; რუს. **и если** ухо скажет. მაშასადამე, **ანუ თუ** აქ ორი სხვადასხვა დანიშნულების კავშირისაგან შედგება: **ანუ** მაცალკევებელია, **თუ** — პირობითი.

არა თუ

1. **არა თუ** მაქვემდებარებელი კავშირია პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, როცა დამოკიდებული წინადადება უარყოფითი შინაარსისაა. მარტივი უარყოფის დროს უარყოფითი ნაწილაკები ჩვეულებრივ შემასმენელის (ზმნის) წინ დგას, აქ კი მათ **თუ** კავშირი თიშავს, ასე რომ **არა თუ** ძველ ქართულში ერთ მთლიან ოდენობად აღიქმება. ბერძნულში მისი ფარდია ἐὰν μὴ (იშვიათად ἐάν) = **если не, თუ არ**.

არა თუ წინა-დაიცჳთოთ..., ვერ გიძლავს ცხოვრებად, საქმე, 15,1; ვითარმე მეძლოს უწყებად, **არა თუ** ვინ იყოს წინამძღუარ ჩემდა, იქვე, 8,31; თჳსსა ჟამსა მოვიმკოთ, **არა თუ** მოვმედგრდეთ, გალ. 6,9CD; ვაჲ არს ჩემდა, **არა თუ** ვახარებდე, 1 კორ. 9,16 და სხვ.

ზოგჯერ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გამოტოვებულია შემასმენელი, მაშინ **არა თუ** კავშირი ახალ ქართულში გადმოდის როგორც **თუ არა**. ბერძნულში გვაქვს εἰ μὴ, სომხურში — եթէ ոչ, რუსულში — **как не**. წინადადება კითხვითია.

ვინ-მე არს, რომელმან-იგი მახაროს მე, **არა თუ** მან, რომელ-იგი, შეწუხებულ იყოს ჩემ მიერ? 2 კორ. 2,2; აღსლვაჲ იგი მისი რაჲ-მე არს, **არა თუ** იგი, რამეთუ შთაჴდა იგი პირველად ქუესკნელთა თანა ქუეყანისათა? ეფეს. 4,9.

2. **არა თუ** მაპირისპირებელი კავშირია.

მისი საპირისპირო ცალია **არამედ**. ეს კონსტრუქცია ძალზე გავრცელებულია. ბერძნულში ჩვეულებრივ გვაქვს οὐ (οὐκ, οὐχ), რომელიც მარტივი უარყოფაა = არ, არა, ქართულში **არა თუ** შესაძლოა გვქონდეს ყველა რედაქციაში, როცა ბერძნულშია οὐ (οὐκ, οὐχ), მაგალითად:

არა თუ შენ ძირი იგი გიტჳრთავს, არამედ ძირსა მას — შენ, ჰრომ. 11,18; **არა თუ** ბრძანებით გეტყჳ, არამედ..., 2 კორ. 8, 8; **არა თუ** შვილნი ჴორცთანი ესენი არიან შვილ ღმრთის, არამედ..., ჰრომ. 9,8. ასევე: ჰრომ. 15,20; 1 თეს. 2,13.

უფრო ხშირად **არა თუ** ძველ რედაქციებშია, მარტივი **არა** — გვიანდელში. როგორც ჩანს, გვიანდელი რედაქციები ასწორებს ბერძნულის კვალობაზე. მაგალითად:

შემძლებელ გუყვნა ჩუენ მსახურებად ახლისა შჯულისა, **არა თუ** წიგნითა, არამედ სულითა, 2 კორ. 3,6AB, CD-შია **არა**.

არა თუ საკდემელად თქუენდა მივსწერ, არამედ..., 1 კორ. 4,14; CD-ში: **არა**; ვცნა **არა თუ** სიტყუაჲ იგი..., არამედ ძალი, 1 კორ. 4,19; CD — **არა**; ასევეა: 1 კორ. 11,17; იქვე, 14,22; 2 კორ. 13,7.

ორიოდე შემთხვევაში პირიქითაც გვაქვს: **არა თუ** იგი გუამი... დასთესი, არამედ შიშუელი მარცუალი, 1 კორ. 15,37CD, AB — **არა**; ასევე: 2 კორ. 5,12.

არა თუ-ს შესატყვისი ზოგჯერ არის οὐχ ὅτι:

არა თუ თავით თჯსით შემძლებელ ვართ..., არამედ..., 2 კორ. 3,5 (ყველა რედაქციაში ასეა); **არა თუ** უფლებთ რას სარწმუნოებასა მაგას თქუენსა ზედა, არამედ თანაშემწენი ვართ, 2 კორ. 1,24; **არა თუ** საცემელსა ვეძიებ, არამედ ვეძიებ ნაყოფსა მას, ფილიპ. 4,17. CD ისევ ცდილობს, მიუახლოვდეს ბერძნულს: **არა თუ რამეთუ** საცემელსა ვეძიებ ... οὐχ ὅτι გადმოღებულია როგორც **არა თუ რამეთუ**, რაც არაბუნებრივია.

არა თუ ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი, არამედ მან პირველად შემიყუარნა ჩუენ, 1 იოვ. 4,10. შდრ. ⱠⰈ: **არა რამეთუ** ჩუენ შევიყუარეთ ღმერთი.

იშვიათად **არა თუ** ბერძნულის οὐ γάρ-ს გადმოგვცმს: **არა თუ** სხუასა რას მივსწერთ, არამედ რომელსაცა იკითხავთ, 2 კორ. 1,13; **არა თუ** თავთა თჯსთა ვქადაგებთ, არამედ ქრისტე იესუს, 2 კორ. 4,5.

ზემოთ ვნახეთ, რომ **თუ**-ს ზოგჯერ აქვს **კი**, **კიდევ** ნაწილაკის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, აქაც ყველა შემთხვევაში **თუ** = **კი**-ს. მოცემულ კონტექსტში ის თითქოს აუცილებელია: „არა თუ ბრძანებით გეტყჳ, არამედ"... ნიშნავს: ბრძანებით კი არ გეუბნები; „არა თუ შენ ძირი იგი გიტჯრთავს, არამედ ძირსა მას — შენ" ახალ ქართულში ბუნებრივად ასე გადმოვა: შენ კი არ გიტვირთავს ძირი, არამედ ძირს — შენ.

არა თუ დამოუკიდებლადაც იხმარება, **არამედ** კავშირის გარეშე. მისი მნიშვნელობაა **კი არ**, **კი არა**. მას ბერძნულში იგივე კავშირები შეესაბამება: οὐ (οὐκ, οὐχ), οὐχ ὅτι.

ვითარ-იგი სიტყუას-მიგებდეს მე ჰურიანი, ვიიძულე ღაღადის-გდებად კეისრისა, **არა თუ** შესმენაჲ რაჲ მედვა ნათესავისა ჩემისაჲ, საქმე 28,19; **არა თუ** მაღალი იგი ჴელით ქმნულთა ტაძართა შინა დამკჳდრებულ არს, იქვე, 7,48; ამას ვიტყჳ შენდობით, **არა თუ** ბრძანებით, 1 კორ. 7,6; სხუათა მათ ვეტყჳ მე, **არა თუ** უფალი, იქვე, 7,12. ასევე: ფილიპ. 3,12; 4,11; ებრ. 9,25; კოლ. 2,23 და სხვ.

3. **არა თუმცა**.

მცა ნაწილაკთან ერთად **არა თუ** მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობითაც გვხვდება:

არა უწყითა, რამეთუ ანგელოზნი ვსაჯნეთ, **არა თუმცა** ამის სოფლისაჲცა (სოფლიონი ⱡⰸ), I კორ. 6,3ⰳⱡⰸ. შდრ. ბერძნ. οὐκ οἴδατε ὅτι ἀγγέλους κρινοῦμεν, μήτι γε βιωτικά, რუს. разве не знаете, что мы ангелов судить будем, не тем ли более дела житейские? μὴ τὶ γε = тем более не. მაშასადამე, **არა თუმ-**

ცა-ს მნიშვნელობაა **არა თუ, მით უფრო, მით უმეტეს**. შდრ. ახალი ქართულის **არამცთუ** (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, 1976, 56-57).

4. **არცა თუ, არცაღა თუ**.

არ (**არა**) უარყოფით ნაწილაკს აქ სხვა ნაწილაკები დაერთვის. **თუ**-ს მნიშვნელობა არის **კი**, მთლიანად **არცა თუ, არცაღა თუ** ნაწილაკებია და ახალ ქართულში გადმოდის როგორც **არც კი, ... ც კი არ**:

ჰრქუა მათ: უკუეთუ სული წმიდაჲ მიგიღებიეს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: არამედ **არცაღა თუ** გუასმიეს სული წმიდაჲ, საქმე, 19,2; ბერძნულშია οὐδ' εἰ, რუს. Да мы и не слыхали.

არცაღა თუ თჳთ იგი ბუნებაჲ გასწავებს თქუენ, 1 კორ. 11,14Ქ; ბერძნულშია: οὐδέ. რაჲსა თქუენ შორის სიძვაჲ და ეგევითარი სიძვაჲ, რომელ **არცა თუ** წარმართთა შორის სახელ-ედების, 1 კორ. 5,1CD. бepжн. οὐδέ, рус. какого не слышно даже у язычников.

არა ხოლო თუ

ეს კავშირი ენაცვლება ხოლმე **არა ხოლო**-ს (. შ ძიძიგური, 1969, 34), **არა ხოლო** იგივეა, რაც ახალი ქართულის **არა მხოლოდ, არა მარტო**. მათ ახლავს **არამედ**: **არა ხოლო... არამედ = არა მხოლოდ... არამედ, არა მარტო... არამედ** და მაჯგუფებელი კავშირის ფუნქცია აქვს.

არა ხოლო თუ-ს ფარდად ხან გვაქვს οὐ μόνον = **არა მხოლოდ**, ხან კიდევ — οὐ μόνον δέ, სადაც δέ ქართული თუ-ს ბადალია. δέ-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის კავშირისა: **a, же, ხოლო, კი**. მაშასადამე, **არა ხოლო თუ = არა მხოლოდ, მხოლოდ კი არ, მხოლოდ კი არა, არათუ მხოლოდ**. მოვიყვანთ მაგალითებს:

ბერძნულში გვაქვს οὐ μόνον δέ:

გკრგჳნი... მომცეს... **არა ხოლო თუ** მე, არამედ ყოველთა, 2 ტიმ. 4,8 = მხოლოდ მე კი არა;

ღმერთმან შეიწყალა... **არა ხოლო თუ** იგი, არამედ მეცა, ფილიპ. 2,27CD; შდრ. ბერძნული οὐκ αὐτὸν δέ μόνον.

ვილოცავ... **არა ხოლო თუ** შენთჳს, არამედ ყოველთათჳს, საქმე, 26,29; ასევე: ჰრომ. 8,23; 2 კორ. 7,7Ö; საქმე, 21,13; 1 ტიმ. 5,13Ö.

ბერძნულში არის οὐ μόνον:

სახელ-დებულ არს **არა ხოლო თუ** ამას სოფელსა, ეფეს. 1,21CD; ვარიანტია: არა ხოლო, AB.

არა ხოლო თუ წინაშე უფლისა, არამედ კაცთაცა, 2 კორ. 8,21Ö; ყველა სხვა ხელნაწერში არის **არა ხოლო**;

მიწოდნა ჩუენ **არა ხოლო თუ** ჰურიათაგან, არამედ წარმართთაგანცა, ჰრომ. 9,24CD. AB-შია **არა ხოლო** და სხვა.

გინა თუ

გინა დამოუკიდებლადაც გვხვდება, მაცალკევებელი კავშირია. **გინა თუ** კი, როგორც ირკვევა, სხვადასხვა დანიშნულების მქონეა. **თუ** ამ კავშირში ხან

დამოუკიდებელი ერთეულია და **გინა თუ** მაშინ ორი განსხვავებული ფუნქციის მქონე კავშირისაგან შედგება, ხან კიდევ **გინა** კავშირთან ერთად ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენს.

1. **გინა თუ** მაჯგუფებელი კავშირია.

მისი მნიშვნელობაა ც ... ც, თუ (= და), იხმარება განმეორებულად:

გინა თუ პავლე, **გინა თუ** აპოლო, **გინა თუ** კეფა, **გინა თუ** სოფელი, **გინა თუ** ცხოვრებაჲ, **გინა თუ** სიკუდილი, **გინა თუ** აწინდელი ჟამი, **გინა თუ** მერმჱ იგი ჟამი — ყოველივე თქუენი არს, 1 კორ. 3,22;

შდრ. ბერძნ.: εἴτε Παῦλος εἴτε Ἀπολλῶς εἴτε Κηφᾶς, εἴτε κόσμος εἴτε ζωὴ εἴτε θάνατος, εἴτε ἐνεστῶτα εἴτε μέλλοντα, πάντα ὑμῶν.

სომხური: **եթէ պօղոս, եթէ ապօղոս, եթէ կեփաս, եթէ աշխարհ, եթէ կեանք, եթէ մահ, եթէ որ կանս, եթէ հանդերձեալքն — ամենայն ինն- ձեր է.**

რუსული: и Павел, и Аполлос и Кифа, и мир, и жизнь, и смерть, и настоящее и будущее – все ваше.[1]

ამ ადგილის სხვა თარგმანში რუსულში ли ... или კავშირები გვაქვს. მათი ერთ-ერთი მნიშვნელობაა **თუ**, როგორც ჩანს, მას მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციაც ჰქონია. იგივე შინაარსი შეუძლებელი არ ჩანს **εἴτε** და **եթէ** კავშირებისათვის.

სხვა მაგალითები:

ერთითა სულითა ჩუენ ყოველთა ნათელ-ვიღეთ, **გინა თუ** ჰურიათა, **გინა თუ** წარმართთა, **გინა თუ** მონათა, **გინა თუ** აზნაურთა, 1 კორ. 12,13; შდრ. Иудей и Еллины, и рабы и свободные.

იდიდოს ქრისტე ჴორცთა შინა ჩემთა **გინა თუ** ცხორებით, **გინა თუ** სიკუდილით, ფილიპ. 1,20; მშჯდობა-ყო ... **გინა თუ** ქუეყანასა ზედა, **გინა თუ** ცათა შინა, კოლ. 1,20; ასევეა: ეფეს. 6,8.

ბერძნულში ყველა შემთხვევაში **εἴτε** ... **εἴτε** გვაქვს, სომხურში — **եթէ** ... և **եթէ**.

საყურადღებოა, რომ **გინა თუ** და **გინა** კავშირთა მონაცვლეობა, რომელიც სხვა შემთხვევაში ჩვეულებრივია, აქ არ შეინიშნება. ყველა რედაქციაში **გინა თუ** გვხვდება. როგორც ზემოთ ითქვა, ამავე ფუნქციით **ანუ თუ**-ც იხმარება.

2. **გინა თუ** მაცალკევებელი კავშირია.

თუ-ს აქ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც შესაბამისი დანიშნულების მქონე **ანუ თუ** კავშირში.[2] ბერძნულში მისი ფარდია ჩვეულებრივ ἤ. იშვიათად — εἴτε. სომხურში — **կամ, եթէ** ... և **եթէ**.

არარაჲ ბოროტი ვქმენ ერისათჳს, **გინა თუ** შჯულისა მამულისა, საქმე 28,17; არა დამონებულ არს ძმაჲ იგი **გინა თუ** დაჲ, 1 კორ. 7,15; ეგების-მეა... ვითარმცა ლეღუმან ზეთის-ხილი გამოიღო, **გინა თუ** ვენაჯმან ლეღჳ, იაკ.

[1] Новый Завет, в новом русском переводе К. П. Победоносцева, С-т Петербург, 1907.

[2] ნახე აქვე **ანუ თუ** მე-2.

3,12Ც; დაღათუ ჩუენ, **გინა თუ** ანგელოზი ზეცით გახარებდეს, გალ. 1,8 და სხვა.

მოყვანილი მაგალითების **გინა თუ**-ს ფარდია ბერძნულში ἤ, სომხურში — կամ. ორიოდე ნიმუშს მოვიყვანთ ისეთს, რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება εἴτε ... εἴτε, სომხურში — եթէ և եթէ.

დაღათუ არიან სახელდებულ ღმრთად **გინა თუ** ცათა შინა, **გინა თუ** ქუეყანასა ზედა, 1 კორ. 8,5; **გინა თუ** იგინი, **გინა თუ** მე ესრმთ ვქადაგებთ, იქვე, 15,11; მოიღოს კაცად-კაცადმან... რაჲცა-იგი ქმნა, **გინა თუ** კეთილი, **გინა თუ** ბოროტი, 2 კორ. 5,10 და სხვა.

3. **გინა თუ** მაქვემდებარებელი კავშირია პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

ანუ თუ-ს მსგავსად, **გინა თუ**-ს შემადგენელ ნაწილებსაც შეიძლება აღმოაჩნდეს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქცია. კერძოდ, ერთ-ერთი ელემენტი — **თუ** შესაძლოა მოგვევლინოს როგორც მაქვემდებარებელი კავშირი. **გინა თუ** = ახალი ქართულის **ან თუ**-ს. ასეთ შემთხვევაში **გინა თუ**-ს შეიძლება ჰქონდეს ყველა ის ფუნქცია, რაც აქვს **თუ**-ს. მაგ.:

რამეთუ **გინა თუ** ცხოველ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და **გინა თუ** მოვსწყდებით, უფლისა მიერვე მოვსწყდებით, ჰრომ. 14,8CD. შდრ. AB: ცხოველ თუ ვართ, უფლისად ცხოველ ვართ, და თუ მოვწყდეთ, უფლისა მიერვე მოვწყდეთ. ბერძნულში გვაქვს ἐάν τε γάρ, ἐάν τε = **ან თუკი**, **ან თუ**.

უკუეთუ რომელ-იგი მოვიდეს და სხუასა იესუს ქადაგებდეს, რომელი ჩუენ არა ვქადაგეთ, **გინა თუ** სხუაჲ სული მოაქუნდეს, რომელი არა მიიღეთ, **გინა თუ** სახარებაჲ სხუაჲ, რომელი არა შეიწყნარეთ, კეთილად სამე ჰყავთ, 2 კორ. 11,4AB.

ახალი ქართულით ეს ნიშნავს: თუ ვინმე მოვა და სხვა იესუს იქადაგებს, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგებია, ან თუ სხვა სულს მოიყვანს, რომელიც არ მიიღეთ, ან /თუ/ — სხვა /სა/ხარებას, რომელიც არ შეიწყნარეთ, კარგად ჰქენით. ე. ი. თუ ვინმე ხვა სახარებას იქადაგებს და (თუ) არ მიიღებთ, კარგად მოიქცევითო.

4. **გინა თუ** მაქვემდებარებელი კავშირია მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში = **ან თუ**-ს:

რამეთუ **გინა თუ** ვიჴირვით, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხორებისა, 2 კორ. 1,6CD. შდრ. AB: უკუეთუ ვიჴირვით, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხოვრებისა; ბერძნულშია εἴτε δέ **ან თუკი**; სომხურში — եթէ.

გინა თუ ნუგეშინის-ცემულ ვართ, თქუენისათჳს ნუგეშინის-ცემისა და ცხორებისა, იქვე, 1,7CD; რუს. утешаемся ли, (утешаемся) для вашего утешения и спасения.

გინა თუ განვცჯბრდით, — ღმრთისა, **გინა თუ** განვბრძნდით, — თქუენდა, 2 კორ. 5,13. ბერძნულშია εἴτε ... εἴτε = ან თუ ... ან თუ. შდრ. Если мы выходим из себя, то бога ради; если же в тихом разуме, то ради вас.

5. **გინა თუ** მაქვემდებარებელი კავშირია დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში.

მისი მნიშვნელობაა **თუნდაც/ გინდაც/ რომც**.

სიყუარული არასადა დავარდების, **გინა თუ** წინასწარმეტყუელებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, **გინა თუ** მეცნიერებანი განქარდენ, 1 კორ. 13,8CD.

როგორც ჩანს, იგივე მნიშვნელობა **აქვს ანუ** თუ-საც. შდრ. AB, სადაც **ანუ თუ**-ს ენაცვლება **გინა თუ**: **გინა თუ** ენანი და- ვე -სცხრენ; ბერძნულში **გინა თუ**-ს ფარდია εἴτε δέ, εἴτε: Ἡ ἀγάπη οὐδέποτε πίπτει, εἴτε δε προφητεῖαι καταργηθήσονται, εἴτε γλῶσσαι παύσονται, εἴτε γνῶσις καταργηθήσεται. εἴτε, როგორც ცნობილია, იშლება: εἰ+τε. εἰ კავშირის ძირითადი მნიშვნელობებია **თუ, რომ** если, если бы; τε = **ც, კიდეც**. მაშასადამე, აქ εἴτε = რომც, **კიდეც რომ**. მთლიანად წინადადება ასე უნდა გავიგოთ: სიყვარული არასდროს გაქრება,[1] წინასწარმეტყველებანიც რომ მოისპოს, ენებიც რომ დადუმდნენ, ცოდნაც რომ გაქრეს. ან ასე: თუნდ წინასწარმეტყველებანი მოისპოს, თუნდ ენები დადუმდნენ, თუნდ ცოდნა გაქრეს.

დათმობითი დამოკიდებული წინადადების ამ სახეობას სწორედ კავშირებითის მწკრივთა გამოყენება ახასიათებს (შ. ძიძიგური, 1969, 130).

სხვა მაგალითები:

გინა თუ შემოვიდეთ, **გინა თუ** განვიდეთ, სათნომცა ვართ მისა, 2 კორ. 5,9; ახ. ქართ.: თუნდ შემოვიდეთ, თუნდ გავიდეთ, (მაინც) მოვეწონებით მას. ბერძნულში აქაც εἴτε ... εἴτε კავშირი გვაქვს.

გინა თუ ცოცხალ ვიყვნეთ, **გინა თუ** მოვწყდეთ, უფლისანი ვართ, ჰრომ. 14,8. ბერძნულში შეეფარდება კავშირი ἐάν τε.

[1] ამ ზმნის მნიშვნელობის შესახებ ნახე: კ. დანელია (კ. დანელია, 1980, 99).

Вопросы исторической грамматики грузинского языка

Резюме

В грамматической структуре любого языка глагол занимает центральное место. В этом отношении особый интерес представляет грузинский глагол, который отличается довольно сложной структурой и многообразными функциями. Относительной простоте имени в грузинском языке противопоставляется сложная грамматическая структура глагола и его функциональная нагрузка.

Как известно, грузинский глагол может иметь четырнадцать различных грамматических категорий (лицо, число, время, наклонение, кратность, акт, последовательность, ряд, направление, ориентация, вид, залог, версия, контакт), которые имеют свои особые грамматические модели.

Среди грамматических категорий глагола в грузинском языке особой сложностью отличаются такие категории, как категория лица, числа и залога. В книге указанные категории исследованы с исторической точки зрения и выявлены некоторые закономерности их изменения.

В связи с категориями лица и числа изучены особенности, связанные с III субъектным лицом, а также своеобразие выражения в диалектах форм лица глагола.

Изучению грузинского глагола всегда уделялось большое внимание. В многочисленных работах, посвященных этой части речи, рассмотрены ее основные особенности в древне- и новогрузинском языке.

В древнегрузинском языке (в языке памятников V-X вв.) уже было завершено формирование основных грамматических категорий глагола, однако продолжалось их дальнейшее совершенствование, а также происходило изменение грамматических элементов функционально и структурно. Отдельные формы выходят из употребления и уступают место новым.

Выражение некоторых грамматических функций изменяется радикально. Например, категория вида была у глагола и в древнегрузинском, но способы ее образования были иные, чем в новогрузинском. Точно так же категория кратности играла важную роль в грамматической структуре языка, однако в дальнейшем она утратила собственные формы, а сохранившаяся функция передается различными средствами.

Предметом исследования в настоящей книге является образование, функционирование и изменение определенной части морфологических категорий глагола (лица, числа и залога) с V века до настоящего времени, что дает возможность сделать важные для истории языка выводы.

1. В исследовании освещается вопрос о замещении органического спряжения описательным в процессе исторического развития глагольного сряжения грузинского литературного языка у некоторых групп глаголов в двух рядах: ряде настоящего времени и I заочного. Как известно, в новогрузинском часть непереходных глаголов в первом и во втором лицах обоих чисел ряда настоящего времени имеет вспомогательный глагол: vdga-var (стою), (s)dga-xar (стоишь); vzi-var (сижу), (h)zi-xar (сидишь); vc'ux-var (беспокоюсь), sc'ux-xar (беспокоишься) и т.п. Подобное явление имеется и в I заочном, где вспомогательный глагол наращается на любой непереходный двухличный глагол и на все переходные глаголы, которые, прибегая к инверсии субъектных и объектных лиц, здесь (равно как и в других рядах III серии) бывают только двухличными; напр., vunaxav-var (оказывается, он меня видел), unaxav-xar (оказывается, он тебя видел); gavuzrdi-var (оказывается, он меня воспитал), gauzrdi-xar (оказывается, он тебя воспитал) и т. п. В древнегрузинском в этих и подобных случаях не было вспомогательного глагола, спряжение было органическим.

Монографическое исследование вопроса показало, что вспомогательный глагол сперва стал наращаться в I заочном, а в дальнейшем перекинулся и вряд настоящего времени. Описательное спряжение в I заочном засвиделельствовано в X в., а в настоящем – только с XII-XIII вв.

Причиной перехода органического спряжения на описательное является, несомненно, наличие большого количества омонимических форм в I заочном. Вспомогательный глагол, внесши дифференциацию в образование глаголных форм, придал им бóльшую четкость и ясность.

2. В работе исследовано образование типа "c'evlarien", "ǯdilarien", которые являются диалектными и встречаются в некоторых западных наречиях – нижнеимеретинском, нижнегурийском и лечхумском. Такое описательное образование характерно для тех глаголов, у которых формы I и II лица также описательны и при которых используются вспомогательные глаголы var, xar. Это формы настоящего времени одной группы глаголов среднего залога и статических глаголов страдательного залога.

В работе впервые рассмотрен вопрос на основе данных всех трех диалектов. Эти формы показывают, что процесс развивался в двух направлениях: 1) значительно расширился ареал использования вспомогательного глагола и 2) из форм I и II субъектного лица вспомогательный глагол проник и в формы третьего лица. В первую очередь это касается III лица множественного числа (sʒularien, dganarien).

Следует выяснить состав этих форм, в частности, что представляет собой первая часть их основы, к которой присоединяется вспомогательный глагол. В научной литературе выделяют элемент **il/l** и с его помощью эти формы связывают с причастием (В. Панчвидзе, П. Гачечиладзе), а полностью форма, по мнению ученых, сформировалась под влиянием описательных форм I результативного.

В работе отмечается, что элемент **-il** не существует, он распадается на **i** и **l**, которые различного происхождения. Формы с элементом **l** можно разделить на две группы. В первой группе глагол "arien" присоединяется к основе настоящего времени, которая подверглась фонетическим изменениям. Во второй группе глаголов элемент **l** не относится к основе, он появился по аналогии с глаголами первой группы.

Наиболее ярко строение этих форм видно в гурийском. В гурийском описательные формы можно разделить на несколько групп: 1) элемента **l** нет; 2) элемент **l** получен в форме путем фонетических изменений; 3) элемент **l** получен по аналогии с глаголами второй группы.

Исходное состояние сохранилось в глаголах первой группы, у которых вспомогательный глагол "arian/arien" присоединяется к основе настоящего времени: ǯdanarien, dganarien, čanarien, moc'onarien. Эти формы прозрачны и хорошо видно, что в их составе нет причастия. Во вторую группу входят глаголы, строение которых также прозрачно: gik'vir-arien, gik'vil-arien, uč'ir-arien → uč'il-arien, uq'var-arien → uq'val-arien... Здесь происходит диссимиляция двух **r**. В некоторых глаголах **l** относится к основе: sʒularien, mouvlarien. К третьей группе относятся глаголы: c'uxlarien, ǯilarien, axsovlarien, gindeblarien...

В имеретинском и лечхумском первоначальное состояние изменилось в результате фонетических процессов. В этих диалектах формы I группы гурийского уже не сохранились. Вместо них мы имеем формы: c'evlarien, dgalarien, čalarien, которые появились в результате диссимиляции: dg-an-an → dgaran/dgalan, c'ev-n-an → c'evran/c'evlan, mq'av-n-an → mq'avran/mq'avlan (Л. Кикнадзе, К. Дзоценидзе). Наряду с этим в имеретинском и лечхумском мы имеем ǯoblarien, c'uxlarien и формы с т.н. «элементом **-il**»: dadilarien, morbilarien, ǯdilarien. В этих формах элемент **l** появился под влиянием глаголов I группы, а элемент **i** относится к основе и по-

является и в других лицах: movrbivar, morbis; davdivar, dadis; vǯdivar / vzivar / vʒivar...

Именно поэтому мы считаем неправильной точку зрения тех исследователей, которые наряду с элементом I выделяют также -i и пытаются объяснить несуществующий элемент il.

В работе уделяется внимание еще одному вопросу: множественное число какого лица (субъекта или объекта, только третьего лица или и второго лица) выражает глагол arian/arien? Первоначально, возможно, этот глагол выражал множественное число III субъектного лица, как это мы видим в лечхумском: miq'valarien (isini), gvq'avlarien, gavlarien. Часто глагол "arien" выражает множественное число имени в дательном падеже (грамматич. объекта) в третьем лице и заменяет суффикс -t грузинского литературного языка: moc'onarien (mat is, mosc'ont), uq'valarien (mat is, uq'vart), uk'vilarien (mat is, uk'virt)...

Следует также отметить особенности употребления глагола "arien" во втором лице того же грамматического объекта, когда представлен также показатель объектного лица (g): gikvilarien (gikvirt tkven is), gič'ilarien (qič'irt tkven is). Как видно, происходит обобщение указанного аффикса. Его обобщенным вариантом является "larien".

3. Настоящее время статических глаголов и I результативное переходных глаголов еще в древнегрузинском языке отличались одной особенностью: большая часть глаголов присоединяет суффикс -ie, а другая часть глаголов не имеет показателя. Отдельную группу составляют глаголы с тематическим показателем av и am, для которых характерно отсутствие показателя глагольного ряда.

В грузинском языке уже с давних времен начался процесс уподобления этих глаголов с глаголами другого типа (с суффиксом -ie): dagitesavs → dagitesia, hkidavs → hkidia... Это явление объясняется действием в языке тенденции к унификации (А. Чикобава, В. Топуриа, З. Чумбуридзе).

В зависимости от особенностей образования указанных глагольных рядов диалекты грузинского языка делятся на две группы и, соответственно, выделяются два основных направления: 1) дать преимущество суффиксу i-a (в наречиях низменности) и 2) распространить суффикс -av (в горных наречиях: хевсурском, тушинском и пшавском) (В.Топуриа). Как указывается в специальной литературе, использование показателя -av особенно характерно для хевсурского, в котором это является нормой (А. Чинчараули); в тушинском и пшавском наряду с этим показателем довольно распространен показатель i-a (Т. Утургаидзе).

Возможно полагать, что в горных наречиях в этом отношении сохранился другой путь развития и в связи с этим можно было поставить вопрос: это явление древнее, является пережитком раннего состояния, или же это новое, позднее явление?

Наши наблюдения показали, что суффикс -av характерен только для третьего лица, а в I и II лице (для субъектного статического страдательного и прямого объектного у переходных глаголов) мы имеем суффикс -i точно так же, как и в других наречиях грузинского языка. Вместе с тем, суффикс -i мы имеем в формах множественного числа прямого объекта.

В работе специально изучены формы настоящего времени и I результативного в указанных наречиях и выявлены их некоторые особенности.

Интересно отметить, что унификация форм произошла и здесь: суффикс i употребляется в любом глаголе перед вспомогательным глаголом, в том числе и в глаголах с тематическими показателями -av и -am.

Исходя из сказанного, мы приводим образец спряжения интересующих нас глаголов в хевсурском, пшавском и тушинском:

I результативное:

Ušaireb-i-var, ušaireb-i-xar, ušaireb-av // ušaircb-av-i-s; mauq'van-i-var, mauq'van-i-xar, mauqvan-av // mauq'van-av-i-s; также: maukl-i-var, maukl-i-xar, maukl-av // maukl-av-i-s; unax-i-var, unax-i-xar, unax-av//unax-av-i-s;

Настоящее время:

vygon-i-var, ygon-i-xar, ygon-av // ygon-av-i-s;

vxkid-i-var, xkid-i-xar, xkid-av // xkid-av-i-s;

uč'er-i-var, uč'er-i-xar, uč'er-av// uč'er-av-is и др.

Как было отмечено, в хевсурском в формах множественного числа и третье лицо образуется при помощи суффикса **-i**: uχoc-i-an, daubareb-i-an, unax-i-an... uč'er-i-an, xq'r-i-an, yb-i-an...

В горных наречиях в формах с показателем **i-a** суффикс **-av** должен быть более позднего происхождения и с самого начала должен был присутствовать в третьем лице. Таким образом, в горных наречиях Восточной Грузии – хевсурском, тушинском и пшавском – от других наречий отличается только способ образования формы 3 лица ед.числа, к которой присоединяется суффикс **-av**. В других случаях, как и во всех наречиях грузинского языка, мы имеем суффикс **i**. В частности, суффикс **i** мы имеем: 1) в формах единственного и множественного числа I и II лица любого глагола; 2) в третьем лице множественного числа. Можно сказать, что суффикс **-i** распространен в горных наречиях, как и в других диалектах.

4. В первой части книги исследованы категории лица и числа глагола. Рассмотрены дистрибутивные особенности морфем III субъектного лица в древнегрузинском. Вообще особенности III субъектного лица всегда привлекали внимание ученых. Необходимо объяснить, почему для выражения одного и того же лица используется несколько аффиксов. Интересно и то, что аналогично обстоит дело в формах множественного числа III субъектного лица. Речь идет не о фонетических вариантах морфем лица, полученных в результате фонетических изменений, а о самостоятельных морфемах. В грузинском глаголе лицо имеет категорию числа – единственного и множественного. Поэтому маркер лица один и тот же в единственном и множественном числе, а категория числа обозначается отдельно. Так обстоит дело в I и II субъектном лице, а также во всех трех формах объектного лица.

Иногда в качестве показателей лица выступают несколько различных звуков. Так, например, в I субъектном лице в древнегрузинском мы имеем: **v, w, ø**, а во II субъектном лице грузинского литературного языка мы имеем: **h, x, s, š, ø**, в диалектах к ним добавляются: **z, ž, γ** и др. Это характерно и для I субъектного лица в колхском. Однако, как известно, они являются только фонетическими вариантами, а не различными аффиксами, чего нельзя сказать о показателях III субъектного лица. Показателями III субъектного лица в единственном числе являются: **-s, -n, -d, -a, -o**; во множественном – суффиксы **-en, -an, -n, -es, -ed.**

В работе рассмотрена точка зрения, согласно которой многочисленность аффиксов III субъектного лица объясняется их диалектным происхождением (А. Чикобава, В. Топуриа, Б. Почхуа). Иногда эти аффиксы рассматриваются как фонетические варианты; хотя отмечается, что не всегда можно считать фонетическими вариантами аффиксы III субъектного лица (А. Чикобава), однако допускается, что вариантами могут быть суффиксы с согласным **-n (-en, -an, -n)** (В. Топуриа, Б. Почхуа, Г. Рогава). В специальной литературе указывается, что в формах типа ašenon, dač'ran и др. суффикс **-n** является редуцированным показателем **-en** (В. Топуриа). Согласно другой точке зрения, древнейшим является показатель **-en**, а другие варианты с показателем **-n** происходят от него (Б. Почхуа). В одной из работ суффикс **-an** рассматривается как диссимилятивный вариант суффикса **en: -i-en → -i-an** (Г. Рогава). На этом основании делается следующий вывод: для выражения одного

явления использовались различные показатели, имеющие одну и ту же функцию. В языке существовали различные формы с одинаковым содержанием и значением, т.е. множество форм (В. Топуриа). Суффиксы **-s, -n, -d** по мнению ряда исследователей, по происхождению являются показателями грамматического класса (А. Чикобава, В. Топуриа, Б. Почхуа).

Как видим, в специальной литературе представлена попытка свести аффиксы с показателем **n** к одному аффиксу.

Если допустить, что десяток суффиксов, используемых для выражения III лица, имели одну и ту же функцию и одно и то же назначение, тогда можно допустить и то, что не все они всегда присутствовали в языке и многочисленность суффиксов обусловлена диалектными или фонетическими особенностями. Этим же объясняется и необходимость «сокращения» их числа. Именно поэтому три форманта с одним и тем же согласным (**n**) стали рассматриваться как фонетические варианты. Существует противоположная точка зрения, согласно которой суффикс **-an** не является фонетическим вариантом суффикса **-en**, который образовался после его оформления в качестве глагольного аффикса, он не является исходным для суффиксов **-an-** и **-n-** в глагольных формах (Г. Гоголашвили).

Обоснование следующее: суффикс **-n** не является редуцированным вариантом суффикса **-en**. Упрощение комплекса гласных за счет утраты последующего гласного не характерно для грузинского исторически. Нет этого процесса и в современном грузинском. Не представляется возможным также переход суффикса **-en** в суффикс **-an** путем диссимиляции перед гласным **-i: ea → ia** основывается на регрессивном влиянии и происходит сужение широкого гласного, что закономерно, а во время процесса **ie → ia** влияние прогрессивное и происходит расширение узкого гласного, что не характерно для грузинского (Г. Гоголашвили).

Эти положения можно принять, и, исходя из этого можно заключить, что аффиксы III субъектного лица не сводятся друг к другу.

В специальной литературе отмечается несколько особенностей, связанных с III субъектным лицом. Особо следует отметить распределение морфем III субъектного лица в зависимости от глагольного ряда. Наиболее полный список подобного распределения составлен (И. Имнаишвили) по правилу, которое не подразумевает обобщения: при каждом аффиксе единственного и множественного числа дается перечень только тех глагольных рядов, в которых они встречаются в языке.

Существует точка зрения, согласно которой распределение алломорфов морфемы лица обусловлено не фонологически, а морфологически. Иными словами, выявление указанных алломорфов обусловливает не фонологическое окружение, а какая-то морфологическая категория (глагольный ряд, наклонение, залог...). В другом месте автор указывает еще одну категорию – категорию времени (А. Ониани).

В нашей работе ставится вопрос о том, что суффиксы III субъектного лица имели различную, независимую друг от друга функцию. Как видно, они выражали *время*, *наклонение*, *кратность* (вместе с *лицом* и *числом*) и в соответствии с этим использовались в группах глагольных рядов, которые объединялись путем одной из этих категорий: время (настоящее или прошедшее), наклонение (повествовательное, сослагательное или повелительное) кратность (однократность или многократность). Выражению этой последней категории в древнегрузинском уделялось большое внимание. Категория кратности отличалась многообразием форм: в каждой серии она была представлена одним глагольным рядом или двумя глагольными рядами.

Как известно, будущее время сослагательного наклонения в древнегрузинском не имело собственных форм, эту функцию совмещали в основном глагольные ряды, предусмотренные для сослагательного наклонения.

Что касается категории залога, то противопоставление в соответствии с этой морфологической категорией по отношению к показателям третьего лица проявляется в языке позднее и к тому же частично.

В древнегрузинском действительный и страдательный залог в тех или иных глагольных рядах имеют один и тот же показатель: **adideb-s – ididebi-s, ganhk'urneb-s – ganik'urnebi-s**. Точно также **adid-a – idid-a, gank'urn-a – ganik'urn-a**. Чередование **s~a**, которое встречается в страдательном залоге (**ididebi-s → ideb-a, ganik'urnebi-s → ganik'urneb-a...**), является более поздним явлением.

Что касается глагольных рядов, то в научной литературе существует точка зрения, согласно которой суффиксы (**-a, -e, -o, -i...**), которые считаются показателями глагольного ряда, являются аффиксами, служащими для образования форм времени, наклонения и многократности, и показатели лица не могли иметь ту же самую функцию (В. Топуриа, Б. Почхуа).

С нашей точки зрения, суффиксы **-a, -e, -o, -i** и др. не могут быть показателями времени, наклонения и кратности. Если бы суффикс **-e** указывал на наклонение, то он не должен фигурировать в различных формах времени и наклонения. Как известно, суффикс **-e** используется не только в формах сослагательного наклонения, но и в формах повествовательного наклонения. Вместе с тем, в древнегрузинском **-e** встречается в нескольких глагольных рядах повествовательного наклонения: прошедшего несовершенного, прошедшего совершенного и II результативного. Суффикс **-i** встречается как в формах многократного, так и в формах сослагательного наклонения (в формах I сослагательного, глаголов с показателем **-od**, а также в формах смешанного сослагательного); однако можно полагать, что в таких случаях сослагательное наклонение заимствует формы многократного наклонения: формы I сослагательного глаголов с показателем **-od** совпадают с формами прошедшего несовершенного многократного, а формы смешанного сослагательного совпадают с формами смешанного многократного.

Суффиксы **-a, -e, -o, -i** являются показателями глагольного ряда, с их помощью образуется основа глагольного ряда, поэтому они представлены во всех формах глагольных рядов, если не утрачены по фонетическим причинам.

Когда речь идет о функциях показателей III субъектного лица, то аффиксы единственного и множественного числа рассматривают отдельно и отмечают недостатки системы, а это совершенно неправильно и затрудняет определение их функций. Можно полагать, что аффиксы единственного и множественного числа воспринимались как одна единица, как это мы видим в случае выражения других форм лица. Поэтому мы считаем целесообразным сгруппировать аффиксы III субъектного лица единственного и множественного числа в соответствии с их функциями. В таком случае мы получим следующую схему:

s – en(an) встречается в формах: а) настоящего времени и б) I результативного.

s – an – в формах многократного (кроме многократного настоящего): а) в формах прошедшего несовершенного многократного; б) II многократного; в) смешанного многократного и г) III многократного.

s – n – в формах: а) I сослагательного; б) II сослагательного и в) III сослагательного. Исключение составляют формы I сослагательного глаголов с суффиксом **-od**, которые используют формы прошедшего несовершенного многократного тех же глаголов.

a(o) – es – в формах: а) прошедшего несовершенного; б) прошедшего совершенного и в) II результативного. Показатель **-o** чередуется с **-a** в формах прошедшего совершенного и II результативного; в формах прошедшего несовершенного не встречается.

n – ed – в формах: а) многократного настоящего; б) I повелительного и II повелительного.

Данная схема отражает нормы древнегрузинского языка. О редких формах речь идет отдельно.

Из этой схемы хорошо видно, что каждая пара форм единственного и множественного числа распределяется в соответствии с категориями лица, числа, времени, наклонения и кратности, входящими в глагольные ряды. Каждая пара встречается в группах глагольных рядов, которые объединяют категории времени, наклонения или кратности:

Суффиксы **s – an** используются в формах многократного **-s – n** – в формах сослагательного, **a(o) – es** – в глагольных рядах, выражающих прошедшее время, **s – en(an)** используется в однократных формах настоящего времени, **n – ed** – в формах повелительного наклонения.

Обычно, глагольные ряды, выражающие различные формы времени, наклонения и кратности, имеют по одному аффиксу для III субъектного лица в единственном и множественном числе. Отличаются только две пары, которые в единственном и множественном числе вместо одного показателя имеют два. Одним из них является показатель настоящего времени **s – en(an)**, а вторым показателем является **a(o) – es** глагольных рядов прошедшего времени. Следует отметить, что в этих случаях мы имеем дело с вторичным явлением. Об их вторичности говорит и то, что в одном случае на месте одного аффикса представлены два аффикса в формах единственного числа, а в другом случае – в формах множественного.

Отдельные предположения о суффиксах настоящего времени **en(an)** были представлены выше. С нашей точки зрения, этот вопрос можно сформулировать следующим образом: может быть суффикс **-an** перешел из II многократного? Вспомним, что формы hrkwian, ician, uc'q'ian, которые по происхождению являются формами II многократного, встречаются уже в древнейших памятниках в значении настоящего времени (А. Чикобава).

Эти глаголы не обособлены, рядом с ними стоят глаголы с т.н. тематическим гласным **i**, у которых формы настоящего времени и II многократного совпадают и у которых иногда нет этого совпадения благодаря стяжению и нестяжению основы, если основа может подвергаться редукции (zrdis – zardis) (А. Чикобава). В работе представлено довольно много таких глаголов. Можно полагать, что в формах настоящего времени суффикс **-an** распространился по аналогии с указанными формами.

